

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს განათლების სამინისტროს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ.
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როლანდ თოფჩიშვილი

ეთნოისტორიული ეტიუდები

წიგნი I

ენა და კულტურა

თბილისი

2005

Топчишвили Р. А. Этноисторические этюды, кн. I, Тб., 2005

Topchishvili Roland A. Ethnohistorical etudes, book I, Tbilisi, 2005

ეთნოისტორიული ეტიუდების პირველ წიგნში შეტანილია ავტორის მიერ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც საქართველოს ეთნოისტორიას, ეთნიკურ ისტორიას, ეთნოკონფესიურ ვითარებას, ქართულ გვარსახელებსა და სხვა პრობლემებს ეხება. ამ საკითხებზე ავტორს რამდენიმე წიგნი აქვს გამოქვეყნებული. წინამდებარე ეტიუდები აღნიშნულ მონოგრაფიებში ასახული არაა.

რედაქტორები: აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი;

პროფესორი ნოდარ ასათიანი.

რეცენზენტები: პროფესორი ნანა ხაზარაძე;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

მარინა კანდელაკი;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ქეთევან ხუციშვილი.

ტექნიკური რედაქტორი: ავთანდილ ჩხენკელი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მანანა ბარამიძე.

© როლანდ თოფჩიშვილი

© "ენა და კულტურა"

რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2004 წლის 6 დეკემბერს (ოქმი №7).

ვინ არის ქართველი....

ქართველთა ეთნიკური იდენტობისათვის
(ერთი ანტიეროვნული გამოხდომის გამო).

რად გვჭირდება ეთნიკური ტერმინების
გაუმართლებელი ხმარება.

ხალხთა (ეთნოსთა) სახელწოდებანი _ ეთნონომები.

საქართველოს მოსახლეობის ზოგიერთი
ეთნოისტორიული საკითხი აკად. ნ. ბერძენიშვილის
ნაშრომებში.

XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს
ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა
(ზოგადისტორიული მიმოხილვა).

ეთნიკური კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის
რელიგიური ასპექტები.

რელიგიური სიტუაცია საქართველოში:

ზოგადისტორიული მიმოხილვა.

ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები,
ქართველი გრიგორიანები.

კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის.

ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის.

ეთნიკური სიჭრელისა და მრავალენიანობის
მიზეზების შესახებ დაღესტანში.

ქართულ-ოსური კულტურულ-ენობრივი და
ისტორიული ურთიერთობისათვის.

მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების
მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში.

პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან
გამოყოფის ტენდენციები ხევსურეთში.

ზეპირი საისტორიო წყაროები.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული
გეოგრაფიისათვის.

ქართული გვარსახელები.

ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის.

საქართველოში საკუთარ სახელთა რქმევის
ზოგიერთი ტრადიციის შესახებ.

აღმოსავლური და დასავლური ელემენტი
ქართულ ანთროპონიმიაში.

ქართული ანთროპონიმული მოდელი
წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ვინ არის ქართველი?*

ღრმად ვარ დარწმუნებული, წერილის ასეთი დასათაურება, მკითხველთა დიდ ნაწილში გაკვირვებას გამოიწვევს. მე კი კალამი ხელში ამადებინა ერთმა მოარულმა ავადმყოფობამ, რომელიც ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეეყარა უკანასკნელ ხანს.

საუბარია გვარების ძირების მიხედვით ჩვენი ერის წარმომადგენელთა ქართველებად და არაქართველებად დაყოფაზე. ქართველთა გარკვეულ ნაწილს არაქართულძირიანი გვარების მატარებელნი არაქართველებად მიაჩნია. სამწუხარო ის არის, რომ ასეთ არაქართულძირიანი გვარების წარმომადგენლებს ხშირად მეზობლები თუ თანამშრომლები ერთგვარად გულსაც ატკენენ, როდესაც მათ არაქართველებს (თათრებს, სომხებს, ოსებს...) უწოდებენ. ვინმეს შეიძლება ეგონოს ვაზვიადებდე. არა, მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა: ასეთ მავნე ჩანასახს ძირშივე უნდა ამოკვეთა. ამ სტრიქონების ავტორს არაერთი წერილი აქვს მიღებული, რომელთა ავტორებიც თხოულობენ თავიანთი გვარების ისტორიას. პირადადაც ბევრს მოუმართავს ჩვენთვის, რათა მავანი და მავანი დაარწმუნონ, რომ ისინი ჭეშმარიტად, წარმომობით სისხლით და ხორციით ქართველები არიან.

სამწუხაროდ, ყველა გვარზე როდი შემოგვრჩა საისტორიო საბუთები და რანაირად შეიძლება პასუხი გასცე აუარება წერილსა თუ პირადად მომსვლელს.

მოქალაქეთა, ჩვენი ერის წარმომადგენელთა ზოგიერთ ასეთ ქმედებას რა შეიძლება ვუწოდოთ? ქართველ ერს დღეს შეკავშირება სჭირდება და არა გვარების ფუძეების მიხედვით დაშლა და დაქუცმაცება. ზემოთაც ვთქვი და კვლავ მინდა გავიმეორო, რომ ასეთ არასასიკეთო და არაჯანსაღ ტენდენციას დღესვე უნდა შევებრძოლოთ. მთელმა განათლებულმა ქართველობამ ხმა უნდა ამოიღოს. წინ უნდა აღუდგეს ყოველ ასეთ გამოვლინებას. გვარების ძირების მიხედვით თუ დავიწყეთ ქართველთა ქართველებად და არაქართველებად დაყოფა, მაშინ ჩვენ ძირს გამოვუთხრით ერთიან ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, რომელიც სუკუნეების მიღმა ჩამოყალიბდა და რომლის დაცვა-შენარჩუნებას უთვალავი ჩვენი წინაპრის სისხლი და ხორცი შეეწირა.

სანამ უშუალოდ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან, მინდა მკითხველებს ვურჩიო წაიკითხონ ჩვენი დიდი წინაპრის მიხეილ წერეთლის აქამდე ჩვენთვის უცნობი და ტაბუდადებული გამოკვლევა "ერი და კაცობრიობა", რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მრავალრიცხოვან არაქართულ ლიტერატურაზე, რომლებშიც ერის შესახებაა საუბარი. ყველამ უნდა იცოდეს, დიდმა და პატარამ, განათლებულმა და ნაკლებგანათლებულმა, რომ ერი არამც და არამც არაა ბუნებრივი კატეგორია. იგი სოციალურ-კულტურული, საზოგადოებრივი ფენომენია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა მონათესავე და არამონათესავე ეთნოსთა შენივთებითაა მიღებული. ამასთანავე, ყველა ერს ჰქონდა რა დასაბამი, ის გადის თავისი განვითარების ხანგრძლივ პროცესს და რასაკვირველია, მომავალშიც შეიცვლის ფორმას. მსოფლიოს ყველა ერი წარმოიქმნებოდა ურთიერთბრძოლაში. ხდებოდა ხშირი ასიმილაცია. ღმერთმა უწყის, რამდენი ჩვენთვის ცნობილი და არაცნობილი, ცივილიზებული და არაცივილიზებული ხალხი დაივიწყა ისტორიამ ეთნიკური პროცესების შედეგად, როდესაც ერთი ერი სხვას შეერწყა. ქართველები კი ის ერი ვართ, რომელმაც ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი ყოფა, ჩვენი კულტურა სხვებთან ბრძოლაში შევინარჩუნეთ, სხვებივით სხვა ეთნოსს არ მივეკუთვნეთ. მსოფლიოში ვერსად ვერ ვნახავთ ვერც ერთ ერს, რომ თავისი წმინდა სისხლით მოედწიოს ჩვენამდე. გამონაკლისი არც ქართველები ვართ. დღეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ცივილიზებული და კულტურული ერი რამდენიმე ეთნოსის

* "ლიტერატურული საქართველო", №11, 15.03.91.

შერწყმის შედეგადაა მიღებული, თუმცა, ეს შერწყმა-შერევა ზოგს მეტად შეეხო, ზოგს – ნაკლებად.

მართალია, ქართველი ერი სამი მონათესავე ტომის (ქართველების, ზანების, სვანების) შერწყმის შედეგად მიღებული სოციალურ-კულტურული ერთეულია, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, ქართველ ხალხში ყოველთვის იყო სხვათა შემოღწევის, გაქართველების შემთხვევები. ქართველი ხალხი ხომ არასდროს არ იყო მოწყვეტილი საზოგადოების განვითარების ბუნებრივ პროცესს, ჩვენ არ ვიყავით სხვათაგან მოწყვეტილი და ჩაკეტილი. ერის განვითარება მაშინ ხდება, როდესაც ის გასცემს და იღებს სხვათა კულტურულ მონაპოვარს, მაგრამ იღებს არა მზამზარეულად, არამედ შემოქმედებითად. იგივე შეიძლება ითქვას ხალხის, ერის ფენომენზეც. ქართველ ხალხში მთელი ისტორიის მანძილზე ხდებოდა სხვათა შემოღწევა, გაქართველება, ისევე, როგორც ქართველნი სხვათა შემადგენლობაში შედიოდნენ. ჩვენდა საბედნიეროდ, იმდენად ძლიერი იყო ქართული ეროვნული ორგანიზმი, ქართული კულტურა, რომ ასეთი მიგრანტები ვერ ცვლიდნენ და რაიმე გავლენას ვერ ახდენდნენ ქართველ ერზე, მის გენოტიპზე, თუ, რა თქმა უნდა ასეთი რამ საერთოდ არსებობს. მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ისტორიის კრიტიკულ მომენტებში, თვით საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა ქართველთა მიქცევა. ჩვენი ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგი იყო, რომ საქართველოში ქართული მოსახლეობა თათრდებოდა, სომხდებოდა, ფრანგდებოდა, აფხაზდებოდა, ოსდებოდა. ეს ფაქტია, რასაც ვერ გავექცევით. მაგრამ, ალბათ, განგებას მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მტერმა მთლად ვერ მიგვაქცია იქით და ჩვენ ჩვენი ეროვნული მეობა, ენა, ყოფა და კულტურა შევინარჩუნეთ. ქართული ეროვნული ორგანიზმის სიმლიერე-სიმტკიცის, ქართული კულტურის თავისთავადობის, ჩვენი ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონის მაჩვენებელია, რომ დღეს ვიბრძვით თითქმის ორასი წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

ამ დროს კი ზურგში მახვილის ჩაცემასავითაა ქართველთა დაყოფა გვარების ძირების მიხედვით, ქართველებად და არაქართველებად.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა იმისთვის დამჭირდა, რომ მეთქვა, მსოფლიოში არ არსებობს წმინდა სისხლის არცერთი ერი. თუ ასეთი ხალხი სადმე არსებობს, მაშინ ის ტომის მდგომარეობას არ გასცილებია და არც უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომ ერია. საგაზეთო წერილში არაა საშუალება ვისაუბროთ იმაზე, ევროპისა და აზიის დიდი და პატარა ერები რომელი სხვადასხვა ხალხების შერევის შედეგად არიან მიღებული, ანდა ამა თუ იმ ერმა თავისი ისტორიის მანძილზე ვისი ასიმილირება მოახდინა, რომელი სხვა ერის წარმომადგენლები შედიოდნენ შექონვით მასში დროთა განმავლობაში. მსოფლიოს ხალხთა ისტორია იმას ადასტურებს, თუ როგორ ცდილობდა ყველა ძლიერი ერი სხვათა ასიმილირებას, რუსი გარუსებას, ფრანგი გაფრანგებას, გერმანელი გაგერმანელებას, ირანელი გასპარსელებას, თურქი გათურქებას, სომეხი გასომხებას. მათთვის ეს არ იყო უჩვეულო და სხვანაირი თვალთ არც უყურებდნენ მას, თუ ვინმე არაფრანგს, არარუსს, არაგერმანელს, არაირანელს, არათურქს, არასომეხს ფრანგული, რუსული, გერმანული, სპარსული, თურქული და სომხური სული და თვითშეგნება ჩამოუყალიბდებოდათ. არც ჩვენს წინაპრებს ახასიათებდათ ასეთი პროცესებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. მხოლოდ დღევანდელ ქართველებში შეიმჩნევა ის. მთავარი იყო საქართველოს მიწა-წყალზე მოსულ უცხო ეთნიკური ერთეულის წარმომადგენელს მართლმადიდებლური ქრისტიანობა მიეღო, ის უკვე ქართველი იყო. ერთ-ორი თაობის შემდეგ მის არაქართველობას ვერავინ შეამჩნევდა, დღეს კი ასეთ პროცესებს ხშირად გავურბივართ. ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, ჩამოუყალიბდა ქართული სული და თვითშეგნება, ენითა და კულტურით არის ქართველი, ჩვენსკენ მოიწევს, ოფიციალური იურიდიული აღიარება უნდა, რომ ის ქართველია და ჩვენ მას ხელს ვკრავთ. მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ჩვენში შემოსვლის შემდეგ ხელოვნურად იქნა შეჩერებული ეს პროცესი, რაც განსაკუთრებით ბოლშევიკურ პერიოდზე უნდა ითქვას.

ბევრმა ისიც კარგად იცის, რომ რუსეთის იმპერიამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული ორგანიზმის დაშლა მოიწადინა, რათა უფრო ადვილად ჩაესახლებინა რუსული სული ქართულ სხეულში, რათა, რაც შეიძლება ცალ-ცალკე მალე გავერუსებინეთ. ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები არაქართველებად გამოცხადდა. ამასთანავე, დაიწყო ქართველთა სხვადასხვა კონფესიური ჯგუფების არაქართველებად გამოცხადება. ქართველი მაჰმადიანები თათრებად (თურქებად) მიიჩნიეს, ქართველი გრიგორიანელები სომხებად, ქართველი კათოლიკეები – ფრანგებად და სხვ. არაქართული ეროვნება მათ ოფიციალური იურიდიული დოკუმენტებით დაუკანონეს, ქართული გვარებიც დაუკარგეს და დღეს, როცა კონფესიური ქართველების ნაწილში გაიღვიძა ქართულმა თვითშეგნებამ, როცა ისინი ქართული გვარებისა და ეროვნების აღდგენას თხოულობენ, ზოგიერთი ქართველი მათ ხიშტებით ხვდება. ასეთ პროცესებს არა მარტო უნდა მივესალმოთ, არამედ, პირიქით, გამოვადვიდოთ ყველა მათგანში ქართული სული და თვითშეგნება.

ახლა, რაც შეეხება არაქართულძირიან ქართულ გვარებს. ქართულძირიანი და არაქართულძირიანი ქართული გვარების მატარებელი ყველანი ქართველები არიან. ამ პრინციპით რომ დავაჯგუფოთ ჩვენი ერი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქართველ ერს გავანახევრებდით. ისტორიულად ისე წარმართა ერის ცხოვრება, რომ მას უხდებოდა არსებობა მტრულად განწყობილი არაქართველების გვერდით. დიდი იყო გავლენა ქართულ ენასა და კულტურაზე ჩვენი აღმოსავლელი მეზობლებისა (არაბებისა, ირანელებისა, თურქებისა). თავისთავად ცხადია, ქართველ ხალხში ვრცელდებოდა არაქართული სახელები, არაქართული ტერმინები, რომლებმაც გვიან ქართულ გვარებს ჩაუყარეს საფუძველი. ამიტომ შეიძლება შეგხვდეს ერთნაირი, მსგავსფუძიანი გვარები ქართველებში, სომხებში, აზერბაიჯანელებში, ბერძნებში... როგორ შეიძლება ალიხანაშვილს, დემურხანაშვილს, ჩილინგარაშვილს, ჯანგირაშვილს, დარაბეგაშვილს, ალთუნაშვილს არაქართველი უწოდო. ანდა არაქართული წარმომავლობის გვარად მიიჩნიო ისინი? რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე კარგ ქართველს, გვარად ალთუნაშვილს, რომელსაც რომელიღაც ვაიქართველმა გული ატკინა იმის გამო, რომ არსებობს სომხური გვარი ალთუნაიანი. ეჭვი შეეპარათ მისი გვარის ქართველობაში. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ გვარის ფუძე არც სომხურია და არც ქართული. ის თურქულია. თურქულად "ალთუნი" ოქროს ნიშნავს. ძველ ქართულ საისტორიო საბუთებში თუ ჩავიხედავთ, არაერთგზის შეგვხვდება მამაკაცის სახელად "ალთუნა", ქართველ ხალხში გავრცელებულმა აღნიშნულმა თურქულმა სახელმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ გვარს ალთუნაშვილს. იგივე შეიძლება ითქვას სარაჯიშვილების შესახებაც. "სარაჯი" უნაგირისა და ცხენის სხვადასხვა აღკაზმულობის მკეთებელი ხელოსანი, მეუნაგირე იყო. პროფესიისა და ხელობა-მოსაქმეობის ეს აღმოსავლური ტერმინი შევიდა ქართულ და სომხურ ენებში, რამაც ორივე ხალხში დამოუკიდებლად წარმოშვა გვარები სარაჯიშვილი და სარაჯიანი (სარაჯევი). სხვა მაგალითები არაერთი და ორი შეიძლება იქნას მოტანილი. ბევრ გვარში დაცულია გადმოცემა ადრინდელი გვარის შესახებ. ხშირად ეს გადმოცემები დოკუმენტურადაც დასტურდება. არაქართული ძირი აქვს ხაშურის რაიონის სოფ. წალველში მოსახლე აღაშვილების გვარს. გადმოცემით ისინი სამცხიდან გადმოსახლებული დიასამიძეების შთამომავალნი არიან. ქვემო ქართლის სოფელ ბოსლებში მცხოვრები ბეგლარაშვილების თავდაპირველი ქართული გვარი წვიმაძე ყოფილა.

საქართველოში ცხოვრობენ შავერდაშვილები. იმის გამო, რომ არის სომხური გვარი შავერდიანი და აზერბაიჯანული – შავერდოვი, ვიღაც ვიღაცეებს ქართველი შავერდაშვილები ქართველებად არ მიაჩნია. ამ ამბით შეწუხებული შავერდაშვილი ინსტიტუტში მეწვია, რათა მიმეცა მეცნიერული დასკვნა მისი გვარის ქართველობის შესახებ. ვისაც შავერდაშვილების ქართულ წარმომავლობაში ეჭვი ეპარება, ვეტყვი, რომ ისინი ფშავიდან არიან წარმოშობით და მათი ადრინდელი ქართული გვარი გოგოჭური იყო. სხვათაშორის, ჩვენს მთაში მამაკაცის საკუთარი სახელი "შავერდა" უაღრესად გავრცელებული გახლდათ.

ამას წინათ ერთი შეწუხებული მშობელი მეწვია, გვარად შიუკაშვილი. აღმაშფოთებელი ამბავი მოყვა. მის ქალიშვილს თბილისის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ოსი უწოდა, ალბათ, იმის წაბადვით, რომ არსებობს ოსური გვარი სიუკაევი. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ისაა, რომ ასეთ მკრეხელობას მასწავლებელი ჩადის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ შიუკაშვილი ერთ-ერთი ძველი ქართული გვარია, მას საფუძვლად უდევს მამაკაცის ქართული სახელის შიოს კნინობითი ფორმა "შიუკა". სახელი შიუკა არაერთგზის გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო საბუთებში. მაგალითად, 1668 წ. საბუთში დასახელებულია ვინმე "შიუკა გულისაშვილი" (დოკუმენტები, 1, 5. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 45). 1704 წლის ყმების წყალობის წიგნში შიდა ქართლის სოფ. თორტოზას დასახელებული არიან პაპუნა, მასურა და შიუკა შიუკაშვილები (იქვე. გვ. 128). საბუთის მიხედვით ისინი ქართველები არიან. ხოლო რაც შეეხება ოს შიუკაეებს (სიუკაეებს) დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაოსებული ქართველები არიან. შიდა ქართლის მთაში ოსთა მრავალრიცხოვან გარემოცვაში მხოლოდ ერთი და ორი ქართული გვარი როდი გაოსდა.

ასეთივე დამოკიდებულება გამოამჟღავნეს ბიკაშვილების (კახეთის მკვიდრები არიან) მიმართ. იმის გამო, რომ არსებობს ოსური გვარი ბიკაევი. ქართველ ბიკაშვილებს მავანი და მავანი შეურაცხყოფას აყენებს და გულს უკლავს ქართველი არა ხარო. ქვემო ქართლის სოფ. გომარეთში მცხოვრებ ურუმაშვილებს ვიღაცამ ქურთი უწოდა, იმის გამო, რომ თურმე არსებობს ქურთული გვარი ურუმოვი. ქართული გვარი ურუმაშვილი ე.წ. ეთნონიმურ გვართა რიცხვს მიეკუთვნება (შდრ. ბერძენიშვილი, ფრანგიშვილი). საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი ბერძნები თავის თავს ხომ ურუმებს უწოდებენ. "ურუმა" ჩვენს ხალხში გავრცელებული სახელი იყო. ქვემო ქართლის სოფ. გომარეთში მცხოვრები თითქმის ყველა გვარი კი, საერთოდ, ჯავახეთიდანაა გადმოსახლებული.

ზოგიერთი ქართველის ფანტაზია იქამდე მიდის, რომ ქართლელი კოკოზაშვილებიც ოსებად გამოაცხადეს, იმის გამო, რომ არსებობს ოსური გვარი კოკოევი. კოკოზაშვილის გვარს მამაკაცის მეტსახელი "კოკოზა" უდევს საფუძვლად. კოკოზას მას ეძახდნენ ვინც კოკოზებს წნავს ("კოკოზა" არის მრგვალი მოწნული, რომელსაც მდინარეში სდგამენ და მით თევზებს იჭერენ). საერთოდ კი საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ შიდა ქართლში მოსახლე კოკოზაშვილების თავდაპირველი ქართული გვარი იყო რაზმამე. ერთმა კუსრაშვილმა გვარის კასრამედ გადაკეთება მოითხოვა, კასრამეები ვიყავითო. როდესაც აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობის გამო უარყოფითი პასუხი მიიღო, განერვიულებულმა გვითხრა, აბა, რა ვქნა, ოსს რომ მეძახიანო. მავანმა და მავანმა ასევე ეჭვი შეიტანა ხაჩიძეებისა და ხაჩიურების ქართველობაში. საბუთი? არსებობს ოსური გვარი ხაჩიროვი. ყველა ამ გვარს ოსურსაც და ქართულსაც საფუძვლად უდევს არც ქართული და არც ოსური სახელი. "ხაჩე" ადიღეურად სტუმარს ნიშნავს და ეს ადიღეური სახელი კავკასიის მრავალ ხალხში იყო გავრცელებული.

საქართველოში თავისი ქართველობითა და ეროვნული საქმეებით ცნობილ გვარს ჩოლოყაშვილი საფუძვლად თურქული სახელი ("ჩოლაგ") უძევს, რაც თურქთა ენაზე კოჭლს ნიშნავს. რა, მივადგეთ ჩოლოყაშვილებს და ვეძახოთ ქართველი არა ხარო?

ზოგიერთს ჰგონია, რომ ალანია, ჩერქეზია, ოსიშვილი, ბერძენიშვილი, ფრანგიშვილი, ლეკიშვილი, თურქიაშვილი, შესაბამისად, ალანის, ჩერქეზის, ოსის, ბერძენის, ფრანგის, ლეკის, თურქის შთამომავალია. არა! ეს ე.წ. ეთნონიმური ქართული სახელები არაერთგზის გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო საბუთებში. მაგალითად, საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ოსიშვილების, რომლებიც წარმოშობით არიან ქსნის ხეობის სოფელ სამეგურიდან, ადრინდელი ქართული გვარი იყო რაზმამე. XIX ს-ის კამერალური აღწერის დავთრებში სამეგურში მცხოვრებ ოსიშვილებს მიწერილი აქვთ თავდაპირველი გვარი რაზმამე: "ოსიშვილი იგივე რაზმამე". რაც მთავარია, ოსიშვილებს თავიანთი თავდაპირველი გვარის (რაზმამის) შესახებ გადმოცემაც აქვთ. ასე რომ, ოსიშვილის გვარის საფუძველჩამყრელი იყო არა ეროვნებით ოსი, არამედ ვინმე ოსია რაზმამე. ამდენად, არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი

ჩამოთვლილი ქართული გვარების ქართულ წარმომავლობაში. ასეც რომ არ იყოს, არავის არა აქვს უფლება არაქართველად მოიხსენიოს ისიც, ვინც სინამდვილეში არაქართული წარმოშობისაა. ეროვნების ერთადერთი და მთავარი განმსაზღვრელი არის არა წარმომავლობა, სისხლი, არამედ სული, თვითშეგნება, ყოფა, კულტურა. აქ ჩამოთვლილ ნიშან-თვისებებთან ერთად განსაკუთრებული, მაგრამ, არა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენასაც. ენა ეროვნების განმსაზღვრელი მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია. სამწუხაროდ, ისიც მოხდა, რომ არამართო საქართველოს საზღვრებს გარეთ, არამედ საქართველოშიც შეიძლება შეგვხვდეს ქართველი, რომელმაც ქართული ან არ იცის, ან იცის, მაგრამ ის მისი დედა ენა არაა. აქ მახსენდება გასულ წელს ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში დაბეჭდილი სტატია სათაურით "ეროვნება ქართველი, მშობლიური ენა?", რომელშიც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული ასეთი ქართველების ქართველობა. არ უნდა ვიჩქაროთ ასეთი ქართული ენის არამცოდნე ქართველების ქართველთა სიიდან ამოწერა, თუ ისინი ქართველად სთვლიან თავს. საქართველოში მცხოვრებ ასეთ ქართველთა მოტრიალება თავისუფლად შეგვიძლია. 1979 წლის აღწერით, თითქმის ოთხი მილიონი ქართველიდან 68 000-ზე მეტმა დედაენად ქართული არ მიიჩნია, რაც ქართველთა საერთო რაოდენობის 1,8 პროცენტია. მთავარია, რომ დღეისათვის ასეთი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ დედაენად ქართულს არ თვლიან, თვითშეგნებით ქართველები არიან. ამ თვალსაზრისით, მთელ საბჭოთა კავშირში ჩვენ ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი გვაქვს. ქართველთა 98,2% თუ თვლის მშობლიურ ენად ქართულს, სომხებში ეს მაჩვენებელი 91,7%-ია, ლატვიელებში _ 94,8%, უკრაინელებში _ 81,1%, ბელორუსიაში 70,9%. მთელი მსოფლიოს ებრაელობა გავიხსენოთ. ანდა, რაღა შორს წავიდეთ, წალკის რაიონში მცხოვრებ ბერძენთა ("ურუმთა") დიდი ნაწილისათვის დედა ენას თურქული წარმოადგენს (რომელთა შორის, სხვათაშორის, ბევრია წარმომავლობით ლაზი).

დაბოლოს, არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი წერილი, რომელიც მივიღე და რომლიდანაც კარგად ჩანს, თუ რა არის ეროვნების განმსაზღვრელი: "ბატონო, როლანდ, აღნიშნული წერილის მოწერა გაზეთში თქვენმა საღმა და დასაბუთებულმა მსჯელობამ გადამაწყვეტინა (ამ წინადადების აქ მოტანისათვის მკითხველს ბოდიშს მოვუხდი _ რ. თ.). ახლა საქმის შესახებ. მამაჩემი გ.კ. კ-შვილი (გასაგები მიზეზების გამო ინიციალები შეცვლილი მაქვს _ რ. თ.) თბილისში 30-იან წლებში ჩამოსახლებულა სოფ. დიდი ლილოდან. ჩემი წინაპრები ამ სოფლის მკვიდრნი ყოფილან. როგორც ჩემი ნათესავებისა და მოგვარეების გადმოცემით ვიცი, არც პაპაჩემს და არც მის მამას ოსური ენა არ სცოდნიათ, ხოლო კ-შვილების გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარი ყოფილა დიდ ლილოში, ადრეც და მგონი ახლაც. ამასწინანდელ "ლიტერატურულ საქართველოში" ბატონ გურამ პეტრიაშვილის წერილში განმარტებულია, რომ სოფ. დიდი ლილო ჩვეულებრივი ქართული სოფელია და მისი მცხოვრებლები ძირძველი ქართველები არიან. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ხშირად მესმის, რომ ჩვენი გვარიც და სოფ. დიდ ლილოში მცხოვრებელი სხვა ზოგიერთი გვარებიც, წარმოშობით ოსები არიან. მე არ ვიცი რაიმე არგუმენტზე დაყრდნობითაა გავრცელებული ეს ხმები, თუ ჩვენს (დიდ ლილოელების) გასაღიზიანებლად.

რაც შეეხება პირადად ჩემ აზრს, მე ქართული სულით, ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი გახლავართ. რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს ჩემი გვარი, ჩემ ქართულ სულს და საქართველოსადმი თავდადებას ვერავითარი არგუმენტი ვერ შემაცვლევინებს. შვილებს იმავე ქართული ტრადიციებით და საქართველოს სიყვარულით ვზრდი, როგორც მე მზრდიდა მამაჩემი და როგორც იზრდებოდა თვითონ და არ მსიამოვნებს, როცა ჩემს შვილებს ვინმე ეუბნება, ოსები ხართო. ეს ყოველთვის ცრემლებით მთავრდება.

გთხოვთ განმიმარტოთ სოფ. დიდი ლილოსა და ჩემი გვარის წარმომავლობის ისტორია და ამ სოფელში ჩემი გვარის დამკვიდრების პერიოდი. საერთოდ გვხვდება თუ არა ეს გვარი სადმე საქართველოში და რის საფუძველზეა წარმოშობილი. ამასთანავე გთხოვთ, ჩემი გვარის არაქართული წარმოშობის შემთხვევაში, სადმე საინფორმაციო წყაროებში ნუ გამოაქვეყნებთ და პასუხი მაცნობოთ შემდეგ მისამართზე (მოკითხვამდე) კ. გ. კ-შვილს. ამას ვაკეთებ იმიტომ,

რომ შესაძლოა თქვენი პასუხი (მხედველობაში მაქვს ჩემთვის არასასურველი) წაიკითხონ ჩემმა ბავშვებმაც და არ მსურს მათი ქართველობის რწმენის ოდნავი შერყევაც კი".

პასუხი არ გამიგზავნია, ძვირფასო მკითხველო. იმიტომ, რომ აღნიშნული გვარის ისტორია შესწავლილი არა მაქვს (ერთი რამ ცნობილია ისტორიიდან, რომ დღევანდელი დიდი ლილოს მოსახლეობა XVIII ს-ის ბოლოს მიგრირებულია ლიახვისა და ქსნის ხეობებიდან, და როგორც ამ ხეობებიდან გადმოსახლებულ ქართველებს, ოსის იარლიყი მიაკერეს. დღესაც კი ასეა შიდა ქართლის სოფლებიდან წამოსული გამჭვირვალე ქართული გვარის მატარებელნიც კი რატომღაც ოსებად აღიქმებიან (ისე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მეგრელი იმავე მეგრელის მიერ აფხაზად აღიქმებოდა და ქვემო ქართლში მცხოვრები ქართველი – სომხად).

აი, რა განსაზღვრავს ეროვნებას. ყოველგვარი მეცნიერული კონცეფციების გარეშე ზუსტადაა მოცემული ეროვნების განსაზღვრება. მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული წერილის ავტორის წინაპრები რამდენიმე საუკუნის წინ ვინ იყვნენ. მთავარია, ვიმეორებ, სული და თვითმეგნება. კ. გ. პ-შვილის ქართველობაში ვის შეიძლება ეჭვი შეეპაროს. ის მშვიდად უნდა იყო.

"ვინ არის ქართველი?"-ს პრობლემა ქართულ მწერლობასაც არ დარჩენია უყურადღებოდ. აღნიშნული საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დასვა თავის ერთ-ერთ პატარა და უაღრესად საინტერესო მოთხრობაში მწერალმა გურამ დოჩანაშვილმა. მოთხრობის – "ძნელი" – გმირი უშანგი (მეტსახელად ძნელი) ერთი უბრალო კაცია. ის უკვე საკმაოდ მოზრდილი, მას შემდეგ, რაც გამზრდელი მშობლებიც გარდაცვლილი ყავს, გაიგებს, რომ აყვანილი ყოფილა. უშანგს ეჭვი ღრღნის, არის თუ არა ის ქართველი. გავს თუ არა ის ქართველს. არა და მას ძალიან უყვარს თავისი სამშობლო, ამაყობს თავისი ქართველობითა და ქართული სულით.

ერთხელ უშანგს აეკვიატება, ბოშა ხომ არაა, მაგრამ თავის თავს ხმამაღლა პასუხობს: " – მაგრამ არა, არა, ბოშა არ ვიქნები, წანწალი თუმცა კი მიყვარს, მაგრამ ჩემი ქვეყანა თავს მირჩევნია. ბოშებს კი სადა აქვთ აბა ერთი კუთხე და მისაჯაჭვი სამშობლო... არა?".

უშანგი (ძნელი) უცოლ-შვილო პიროვნება რამდენიმე წლის შემდეგ გვიან ღამით ქუჩაში ხვდება არქეოლოგს, ვისთანაც ექსპედიციაში მუშად მუშაობდა და ვისაც თავის "აღსარებას" ანდობდა და სთხოვს სახლში გაყვეს. საუბრიდან ირკვევა, რომ უშანგს ბინა გადაუცვლია, რომ შვილი ყავს, ცოლი კი არა. ძნელს ბიჭი უშვილებია და მას მეუღლის გარეშე ზრდის. გზაში თანამოსაუბრეს ის ეუბნება: " – ნუ გეშინია, აქვე ვცხოვრობ. – და დაფიქრებულმა თქვა: – ვთქვათ და, დავუშვათ, გინდაც არ ვიყო ნამდვილი ქართველი, არა? ეჰ, ჩემს დედ-მამას ვენაცვალე, მაინც ისეთად გამზარდეს, რომ მეც ჩემდა თავად ქართველ შვილს გავზრდი. იცვლება ჩემი სათუო არაქართველობით რამე? თავშესაფრიდან გამოვიყვანე, თანაც ნაღდად ვიცი, რომ ქართველია".

ამაღელვებელია მოთხრობის ფინალი. შუალამისას, მეგობრის მუდარის მიუხედავად, უშანგი თავის პატარა გოგიას აღვიძებს. თვალებდახუჭული ბავშვი ხელის ცეცებით იპოვის სკამს, აძვრება ზედ და ამბობს ლექსს "მე პატარა ქართველი ვარ!"

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას "ძნელს" თავის დროზე სათანადო შეფასება მისცა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ (იხ. "ლიტერატურული საქართველო", 1985 წ. 29 მარტი). მას დავესესხები: "უშანგი მაინც არ არის განწირული, რადგან მის ფიქრსა და საქციელს ეროვნული განცდა წარმართავს და გამოსავალსაც სწორედ ეროვნული განცდა მიაგნებინებს ანუ გზას უპოვნის მის დაგუბებულ ენერგიას, ასე რომ აწუხებს მოთხრობის დასაწყისში". არ შეიძლება როსტომ ჩხეიძეს არ დაეთანხმო კიდევ ერთ რამეში: "ძნელის" გამოქვეყნების შემდეგ ქართული ხასიათის თავისებურებათა კვლევისადმი მიძღვნილ "ფუნდამენტურ მონოგრაფიას", რომელიც უთუოდ დაიწერება მომავალში და რომელიც გურამ ასათიანის დაწყებულ გზას გაჰყვება ნაგულისხმევ პარაგრაფებთან ერთად. ეს პარაგრაფიც მიემატება, უშანგის სახელით დასათაურებული პარაგრაფი – "საკუთარი ფესვების ამაოდ მძებნელი კაცის ხასიათი, ხასიათი სათუო ქართველობის სევდით გატანჯული კაცისა".

სტატიის სათაურში დასმულ კითხვას – ვინ არის ქართველი? – შეიძლება ერთი წინადადებით ვუპასუხოთ. ქართველია ის, ვინც სულით და თვითშეგნებით ქართველია.

ქართველთა ეთნიკური იდენტობისათვის*

(ერთი ანტიეროვნული გამოხდომის გამო)

«Нет этноса, который бы не
произошел от разных предков»

Л.Н. Гумилев

ქართველები სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულით, ქართული ეთნიკური კულტურით. ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პერიოდში მსოფლიოს ეთნიკური რუკა სრულიად სხვაგვარი იყო. მაშინდელ ეთნიკურ რუკას (და პოლიტიკურსაც) დღევანდელს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ძველი ხალხებიდან მხოლოდ თითო-ოროლამ მოაღწია ჩვენამდე. ქართველებიც მათ შორის ვართ. ადრეულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ისტორიის მონაკვეთში IV ს-დან IX ს-მდე, ბევრი ახალი ეთნოსი წარმოიქმნა. ახალი ნაციების წარმოქმნა მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივ-გეოგრაფიული) და ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი ხალხთა გადასახლებებმა შეასრულა. მიგრირებული ხალხები ერთმანეთს ერეოდნენ, ძველი ნაციები (ეთნიკური ერთეულები) ქრებოდნენ და ახლები წარმოიქმნებოდნენ.

არაერთი გადაშენებული ეთნოსის ენობრივი რაობის შესახებ არაფერი ვიცით. ისტორიის ანალებმა მხოლოდ ეთნონიმები (ხალხთა სახელწოდებანი) შემოგვინახა. როდესაც ამას ვწერთ, ძირითადად ევროპა, ხმელთაშუაზღვისპირეთი, წინა აზია და საქართველოს მიმდებარე ტერიტორიები გვაქვს მხედველობაში. ახალმა ნაციებმა კი დიდი ნახტომი გააკეთეს მსოფლიოს კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში. ახალ ეპოქაში ამერიკის კონტინენტზე ახალი ნაციების წარმოქმნაც შეიძლება გავიხსენოთ. ეს ერები არა მხოლოდ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების, არამედ სხვადასხვა რასების შერევის შედეგადაც წარმოიქმნენ.

ქართველი ხალხის გადარჩენა მიზეზთა ერთობლიობამ განაპირობა. ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობა საჭირო არაა.

ვრცელი ისტორიული ექსკურსი ხალხთა ეთნიკური ისტორიების შესახებ იმიტომ კი არ გავიხსენეთ, რომ ამით რომელიმე ახლად წარმოქმნილ ეთნოსთან ქართული ეთნოსის უპირატესობა ვამტკიცოთ. ჩვენი ეთნიკური კულტურით სიამაყე განსაზღვრულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული და ამით სხვას თავი არ უნდა გადავამეტოთ.

ყოველივე ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ამასწინათ საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთმა ქართველმა პარლამენტარმა სამარცხვინო, ამაზრზენი, უეჭველად ფაშისტური შეკითხვა დასვა: "მინდა მთავრობის ყველა წევრს... დავუსვა შეკითხვა მათი და მათი მშობლების ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრწამსის შესახებ".

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ერთ პარლამენტარსაც კი ფაშისტური აზროვნება რომ აქვს, ეს ამაზრზენი, შემადრწუნებელი ამბავია. მთელმა საზოგადოებამ ამის გამო განგაში უნდა ატეხოს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს. შემადრწუნებელი კიდევ სხვა რამაა. პარლამენტარი უთუოდ ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის, წრის შეხედულებებს გამოხატავს. სხვათაშორის, ნაციებისა და ნაციონალიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში პარლამენტს იმ სოციალურ ინსტიტუტებს შორის მოიხსენიებენ (მასობრივ ლიტერატურასთან, სასამართლოსთან, სკოლასთან, მედიასთან ერთად), რომლებიც ნაციონალურ იდენტურობას ქმნიან, შემოინახავენ და მომავალ თაობას გადასცემენ.

* სტატიის განსხვავებული ვარიანტი დაიბეჭდა "24 საათში", №166, 15 ივლისი, 2004 წ.

მე ამ პარლამენტარსა და მის მსგავსად მოაზროვნე ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მინდა შევახსენო, რომ ქართული ეთნოსი, ქართველი ერი ერთი გენეტიკური ერთობლიობის განვითარების შედეგად არაა ჩამოყალიბებული. მსგავსად სხვადასხვა ევროპული ნაციებისა, ჩვენც მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენს რიგებში სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებსაც განუსაზღვრელად ვიღებდით. ის კი არა, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, საქართველოს ისტორიულ მხარეებსაც არ მოუღწევიათ თავიანთი პირველყოფილი სიწმინდით. ჩვენს გვერდით თითქმის მუდმივად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის მატარებელი. საქართველოს ისტორიამ, ქართულმა კულტურამ, მწერლობამ, მსგავსი რამ არ იცის. ჩვენ ისტორიამ, ბედმა გვარგუნა ტოლერანტი, შემწყნარებელი ერი ვყოფილიყავით. ქართველთა წინაპრები არასოდეს არავის თავის ეთნიკურობით თავს არ ამეტებდნენ. ასეთი რამ ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის უცხო იყო. საიდან გაჩნდა, როდის გაჩნდა ასეთი შეხედულებები, ამას ჩაძიება, გამოკვლევა ესაჭიროება. პირდაპირ ვიტყვი, ასეთი გაუკუღმართებული აზროვნება შედეგია უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის აზროვნებისა. სამწუხაროდ, ასეთ აზროვნებას ხელი ქართულმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამაც შეუწყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსგავს გამონათქვამებს ქართველ მწერალთა გაზეთში ვკითხულობდით, რაც ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის დაშლისაკენ მიზანმიმართული მცდელობა იყო. მაშინდელი ხელისუფლება კი დუმდა და თავისი დუმილით აშკარად ფაშისტურ აზროვნებას ხელს უწყობდა, ოღონდ კი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები როგორმე ჩაეძირა.

326 წელს მივიღეთ რა ქრისტიანობა და გამოვაცხადეთ რა ის ქვეყნის სახელმწიფო რელიგიად, ჩვენ ხაზი გავუსვით და განაცხადი გავაკეთეთ ჩვენი მაღალკულტუროსნობის შესახებ. მაღალკულტუროსნობა კი სხვა ხალხთა პატივისცემასა და სიყვარულსაც ნიშნავს. ჩვენი ეროვნული რელიგია _ მართლმადიდებლობა არ ანსხვავებს ხალხებს ერთმანეთისაგან, არ თესავს სიძულვილს სხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმართ. საქართველოს ისტორიამ არ იცის არც ერთი ფაქტი სხვა ეთნიკური ჯგუფების დევნისა, შევიწროვებისა, სიძულვილისა, ხალხთა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მიხედვით დაყოფისა.

ზემოთ ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზთა კომპლექსი ვახსენეთ და ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი ჩვენი სხვა ეთნოსებისდმი (და რელიგია-კონფესიებისადმი) დამოკიდებულებაც იყო. გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოსადმი არაერთი სხვა ხალხი ინტერესს იჩენდა. მტრად მოსულებიც მოყვარედ მიგვიღია და საცხოვრებელი, სამკვიდრებელი მიგვიცია. საქართველო თითქმის ყოველთვის პოლიეთნიკური ქვეყანა იყო. ვინ არ მოდიოდა და არ ცხოვრობდა ჩვენს გვერდით: ძველი და ახალი ბერძნები, სპარსელები (ირანელები), ებრაელები, არაბები, თურქები, სომხები, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები (ვაინახები, ოსები...), რუსები, გერმანელები, პოლონელები... მაგრამ სხვადასხვა ხალხებთან ცხოვრების ქრისტიანული მორალი ქართველებს არასოდეს არ დაურღვევიათ. "ვეფხისტყაოსანიც" ხომ ხალხთა მეგობრობის აპოლოგიაა. ჩვენს ქვეყანაში მოსულებს ყველას ეძლეოდა შესაძლებლობა ქართულ კულტურულ-ისტორიულ სამყაროში შესვლისა, ქართული კულტურის, ენის, ლიტერატურის ზიარებისა.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოში ეთნიკური, რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები დღევანდელი დასავლური სტანდარტების დონეზე იდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველ მემკვიდრეს არ სცხვენოდა და არ მალავდა იმას, რომ ერთ-ერთი დიდი ქართველი მეფე მირიანი, ვინც ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ქართველთა დასავლური ორიენტაცია განსაზღვრა, ეთნიკურად სპარსი იყო. პირიქით, მემკვიდრეს ეამაყებოდა, რომ ის კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ქართველად იქცა, რომ მან ქართველები შეიყვარა, ქართული ენა ისწავლა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა. ისტორიკოსი წერს, რომ ქასრე სასანიანმა "მისცა ქართველთა მეფედ მე მისი და დასუა მცხეთას". "და აღიზარდა მირიან

მსახურებასა მას შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული". დიდი ქართველი ისტორიკოსი აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი იყო გამოკვეთილი "ეროვნულ-კულტურული მთლიანობა". "აქედან ქართველი ამ კულტურის მატარებელი ადამიანი. ამრიგად, უცხო, არაქართველი ჩამომავლობის ადამიანი შეიძლება გამხდარიყო ქართველი. ასეთი იყო მირიან".

საქართველოს ისტორიაში მირიანის მსგავსი არაერთი და ორი, არამედ მრავალი იყო. უცხო ეთნოსები (ინდივიდუალურად, თუ ჯგუფურად) ქართულ ეთნიკურ სივრცეს ავსებდნენ, ქართველდებოდნენ და ამისათვის მათ არავინ კილავდა, მათ შთამომავლებს არავინ გამოარჩევდა. პირიქით, ეს ჩვენი კულტურის სიძლიერის მიმანიშნებელი იყო. ჩვენი მეზობელი ალბანელების დიდი ნაწილი გათურქდა, ნაწილი გასომხდა (ყარაბაღში) და ნაწილი გაქართველდა კიდევაც. მათ ვერ შეძლეს ქვეყანაში მისული სხვა ეთნოსების ასიმილირება, პირიქით, ისინი სხვებში გაითქვიფნენ. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ჩვენც ქართველებს, მათი ბედი გაგვეზიარებინა. არ გავიზიარეთ იმიტომაც, რომ ჩვენი წინაპრები მოსულ უცხო ეთნოსებს არ უპირისპირდებოდნენ, მათ მტრად არ იხდიდნენ, პირიქით, ქართულ ეროვნულ ორგანიზმში ჩაწერის საშუალებას აძლევდნენ. ვიმეორებ, ჩვენი ეთნოსის გადარჩენის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

ალბათ, არცერთი ქართველი არ დაფიქრდება იმაზე, რომ აბო ტფილელი ქართველი არ იყო. დიახ, ეთნიკურად არაბი, ქართველად, ეროვნულ გმირად, მისაბამ მაგალითად იქცა: "ჰაბო ისმაიტელყოფილი ქართველი". (სხვა ეთნოსის წარმომადგენელი, ქრისტიანობის მიღებისთანავე ქართველად ითვლებოდა). საქართველოს ისტორიის მანძილზე ასე ისრუტავდა ქართველი ერი სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებს. ქართველ ხალხში სხვათა ინტეგრაცია მუდმივი მოვლენა, პროცესი იყო. ბაგრატიონები უმეტესად სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიის წარმომადგენლებზე ქორწინდებოდნენ. რა, ისინი ქართველები არ იყვნენ და ქართულ სახელმწიფოებრიობას, კულტურას არ ემსახურებოდნენ? დავით აღმაშენებლის მიერ შემოყვანილ ყივჩაღთა ნაწილი საქართველოდან გავიდა, ნაწილი კი ქართველ ხალხს შეერია. დავდგეთ ახლა და ვარჩიოთ, ვინაა თურქ-ყივჩაღთა შთამომავალი დღევანდელ ქართველ ხალხში?

შუასაუკუნეების საქართველოში არა მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების ადამიანი ითვლებოდა ქართველად, არამედ ყველა, ვინც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობდა და ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ასეთი მაგალითების მოყვანითაც შორს არ წავალთ. მხარგრძელები (ერთი მართლმადიდებელი და მეორე – მონოფიზიტი) შეიძლება გავიხსენოთ, წარმოშობით ქურთები, ქართველებად გაიზარებოდნენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს იცავდნენ. მხარგრძელთა შთამომავლები შემდეგ სხვა ქართულ თავადურ გვარსახელს ატარებდნენ. რა, ვკრათ ხელი ახლა მათ შთამომავლებს და წარმოშობით არაქართველი ვეძახოთ?

ქართველ ხალხში არაერთი ჩრდილოეთკავკასიელი შემოდიოდა. მიგრაცია ხან ინდივიდუალური, ხანაც ჯგუფური იყო (ეს მიგრაციული პროცესები მუდმივი იყო და არც ცალმხრივი! ქართველებიც გადადიოდნენ იქით და ამ ეთნოსთა წევრნი ხდებოდნენ). ახლა დავიწყოთ გარჩევა ვინ ადიღეველის, ოსის, ბალყარელის, ყარაჩაელის, ვაინახის (ჩაჩნის, ინგუშის) და ვინ დაღესტნელის შთამომავალია? ქართულ სოფელში დასახლებული და ქრისტიანობამიღებული ოსი ქართველისათვის უკვე ქართველი იყო. აბა გვენახა შიდა ქართლში რამდენი შერეული ქართულ-ოსური ოჯახი არსებობდა. ამ ორ ხალხს შორის ნათელმძრონობის მაგალითებს ხომ ვერ დავითვლით. უკანასკნელი წლების გაუგებრობამ, გარედან თავს მოხვეულმა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა კი შერეული ოჯახების რაოდენობა შეამცირა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნიკური ოსები, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს სასარგებლოდ, ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა (და ამისათვის უმეტესობა მზადაც იყო), ჩვენ მათ ხელი ვკარით (ჩვენ კი არა, ბანდებმა),

ლტოლვილებად ვაქციეთ. ისე სხვათაშორის, ბევრი მათგანისათვის დედაენა უკვე ქართული იყო. ნიშანდობლივია ერთი ხუბაშვილის ჩემთან პირად საუბარში ნათქვამი: რა ვიცი, აქამდე ისეთივე ქართველი მეგონა თავი, როგორი ქართველებიც მეგრელები არიანო.

საქართველოს დედაქალაქში თბილისში თითქმის ყოველთვის იყო მაჰმადიანი მოსახლეობა, ებრაელები, სომხები (და მათ შორის ბევრი იყო გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველი). ბევრისათვის მშობლიური, სახელმწიფო ენა ქართული იყო (იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებად გაიცნობიერებდნენ თავს). ცნობილია, თუ რაოდენ შემწყნარებელი იყო საქართველოს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი. მუსლიმების (ელის თათრების) შემოსახლება მოჰყვა ქვემო ქართლსა და კახეთში შაჰ-აბასის შემოსევებს. მართალია, მოსახლეობის ამ ნაწილის ქართულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში (ქართულ ეთნოსში) შესვლა-ინტეგრაცია არ ყოფილა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები თურქმანული ტომები აქტიური და ერთგული წევრნი იყვნენ ქართული სახელმწიფოსი, ერთგულნი ბაგრატიონთა დინასტიისა. ისინი ისევე იცავდნენ ქვეყანას მომხდური მტრისაგან, როგორც ქართველები. ქვემო ქართლის, ბორჩალოს თათრები საქართველოს მეფის ერთგული ყმები იყვნენ. თეიმურაზ ბაგრატიონს ასეთი ცნობა აქვს მათ შესახებ მოყვანილი: "ჟამსა ამას (1755 წელს _ რ.თ.) აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზედა ერევანს. მაშინ მეფემან ირაკლიმ შეიყარა მხედრობა, მოვიდა ერევანს და აჰყარა იგინი და გადმოასახლა ბორჩალოდვე". იქნებ, ვინმემ თქვას მეფე ერეკლემ არაქართული საქმე გააკეთაო. არამც და არამც! ბორჩალოელნი, როგორც აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქეები იყვნენ. მაჰმადიან მტერთა შემოსევისთანავე ქართველ მეფეთა დამახილზე, ისინი პირველნი მოდიოდნენ და იცავდნენ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს, საზღვრებს, ტერიტორიას. რატომ? იმიტომ, რომ მათ ამას საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეობა ავალდებულებდათ. ბორჩალოელთა წრიდან XVIII ს-ში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა და ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. ეს იყო ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც იგივე ისტორიკოსი "ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც" პიროვნებად მოიხსენიებს. ხუდია ბორჩალოელსა და სხვა ბორჩალოელებს, რომლებსაც ისტორიკოსი "სხვანიელნი ჩვენნი"-ს სახელით მოიხსენიებს, არაერთ ბრძოლაში გამოუჩენიათ თავი ლეკების წინააღმდეგ. ის გმირულად იბრძოდა 1770 წლის ასპინძის ბრძოლაში. ბორჩალოელი თათრები, როგორც სვ. წერეთელი უწოდებს "ჩვენი თათრები" "საოცარი გულდამშვიდებით იბრძოდნენ" კრწანისის ომში. ამ ომში ერეკლე მეფეს ბოლოს 150 კაციანი თათართა რჩეული ამაღა შერჩა, რომლებიც ენერგიულად იგერიებდნენ სპარსელების თავდასხმებს და რომელთაგანაც თითქმის ყველა დაიღუპა. წესითა და რიგით, **ხუდია ბორჩალოელს, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თავდადებულ მოქალაქეს, გმირს, ძეგლი უნდა დავუდგათ**, თუნდაც როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის სიმბოლოს. მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, განახორციელოს ეს იდეა. რით არ იყო ეთნიკურად არაქართველი ხუდია ბორჩალოელი და "სხვანიელნი ჩვენნი" ქართველი? ის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე დიახაც რომ უფრო ქართველი იყო (ნაციის დღევანდელი დასავლური გაგებით), ვიდრე ზოგიერთი მოღალატე ეთნიკური ქართველი.

XVIII ს-ის საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური არაქართველებიც ქართველები იყვნენ, ოღონდ, რადგან ენობრივად, რელიგიურად და კულტურულად განსხვავდებოდნენ ძირითადი მოქალაქეებისაგან, მათ ისტორიკოსი "სხვანიელნი ჩვენნი" უწოდებს.

მე მხოლოდ ფრაგმენტები მოვიყვანე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ყოველმა ქართველმა, რიგითმაც და პარლამენტარმაც უნდა იცოდეს, რომ ქართველი არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ. ის მუდმივ ცვლილებებს (რაოდენობრივთან ერთად თვისობრივსაც) განიცდიდა, ვითარდებოდა. არც ერთ ნაციას (ერს) მსოფლიოში არ მოუღწევია თავისი გენეტიკური სისხლიერი პირველყოფილობით. ქართულ ეთნიკურ სამყაროში სხვა ეთნოსთა

წარმომადგენლები რომ არ შემოსულიყვნენ, ჩვენ ის არ ვიქნებოდით რაც ვართ. ქართველები ტომობრიობის დონეზე დავრჩებოდით. არა მარტო ქართველები, არამედ არც ერთი ნაცია სუფთა სისხლის (გენეტიკური) მოვლენა არაა. ყოველი მათგანი რამდენიმე ეთნოსის შერევის შედეგადაა ჩამოყალიბებული. თანამედროვე ხალხების უმეტესობა უბრალოდ არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ეთნიკური პროცესები, რომლებშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გადასახლებები, ეთნიკური შერევები, კულტურათა და ენათა ურთიერთგავლენა. ჩვენმა მეზობელმა თურქებმა ძლიერი ნაცია და სახელმწიფო შექმნეს იმიტომ, რომ მათ ყველა ეთნოსს გაუღეს კარი, ყველა თურქს ჰქონდა უფლება ცოლად შეერთო სხვა ეთნოსისა და რელიგიის ადამიანი. როგორც ჩვენთან წარმოდგენიან, ამას ისინი იმიტომ კი არ აკეთებდნენ, რომ ფიზიკურად გაკეთილშობილებულიყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფო შეექმნათ, სადაც უცხოოდ არავინ იგრძნობდა თავს, სადაც ყველა თურქად გაიზარებდა თავს. ისინი თუ ასეთ პოლიტიკას არ განახორციელებდნენ, მათ მუდმივი დამაბულობა, შინაომები ექნებოდათ იმ მრავალრიცხოვანი ეთნოსების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახლად შექმნილი თურქული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მრავალეთნიკური მცირე აზიის ტერიტორიაზე თითქმის ანალოგიურად ჩამოყალიბდა თურქთა წინამორბედი ბიზანტიური ეთნოსი, რომელთა თვითსახელწოდება “რომეი”, ე.ი. “რომაელი” იყო. ბიზანტიური ეთნოსი ფაქტობრივად აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიამ (სახელმწიფომ) და ქრისტიანობამ შექმნა ოცი სხვადასხვა ეთნიკური ერთობისაგან. ეს სხვადასხვა ეთნოსები ერთმანეთში აითქვიფნენ, აილუფხნენ ბერძნული ენის გარშემო, რადგან ის თავდაპირველად მათი საურთიერთო, შემდეგ კი საღვთისმეტყველო და სახელმწიფო ენა იყო (VII ს-დან). სხვათაშორის, ენდოგამიური ეთნოსი განწირულია რიგი ნაკლოვანებებისათვის. ევროპის ხალხებმა დიდი ნახტომი ცხოვრების ყველა სფეროში იმიტომაც გააკეთეს, რომ ისინი ევზოგამიური იყვნენ, არ ერიდებოდნენ შერეულ ქორწინებებს.

დღევანდელი ფრანგები რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ესენი არიან გალები (კელტები), რომაელები და სხვადასხვა გერმანული ტომები (სხვათაშორის, ეს რომანულენოვანი ხალხი ერთ-ერთი დიდი გერმანული ტომის – ფრანკების სახელს ატარებს. ფრანგი ხალხის ეროვნული გმირი, ლოტარინგიელი გოგონა ჟანა დარკი, რომელიც ასწლიან ომში (1337-1453) ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას ედგა სათავეში, ფრანგულ ენაზე გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა). ესპანელები იბერების, კელტების, რომაელების, გერმანელების (სვევების, ვესტგოთების), არაბების და სხვათა შერწყმის შედეგნი არიან. გერმანელების შემადგენლობაში კი არაერთი სლავი, ბალტიელი და კელტია შესული. ინგლისელთა ეთნოგენეზისში მონაწილეობა მიიღეს ანგლებმა, საქსებმა, იუტებმა, ფრიზებმა, კელტებმა, დანიელებმა, ნორვეგიელებმა, დასავლეთ ფრანგებმა. (“История ассимиляции и есть история формирования английской национальности” – Марк Блок. Феодальное общество. М., 2003, с.425). ბულგარელები ნარევი არიან თრაკიელების, სლავების და თურქების. უნგრელები იმდენი ხალხის ნაჯვარნი არიან, ყველას ვერ ჩამოვთვლით (მადიარები, ჰუნები, თურქული მოდგმის ავარები, თურქი-პაჭანიკები, თურქი-ყივჩალები, კელტები, სლავები). რუმინელების წინაპრები დაკები და გეტები იყვნენ. რუმინული ეთნოსის ჩამოყალიბება ორიგინალურად მოხდა. რომის პროვინცია დაკია იმპერიის ქვეშევრდომი აჯანყებული ხალხების გადასახლების ადგილი იყო. ესენი იყვნენ: ფრიგიელები, კაპადოკიელები, თრაკიელები, სირიელები, ბერძნები, ილირიელები... ერთმანეთისათვის რომ გაეგოთ, ისინი იძულებულნი იყვნენ საყოველთაოდ ცნობილ ლათინურ ენაზე ესაუბრათ. როდესაც რომაელთა ლეგიონები დაკიიდან წავიდნენ ძალით გადასახლებულთა შთამომავლები აქვე დარჩნენ და დაკებთან და გეტებთან ერთად ჩამოყალიბდნენ ახალ ეთნოსად, რომლებიც XIX ს-ში “რუმინელებად”, ე.ი. “რომაელებად” იწოდნენ (ბერძნული და რუსული წყაროების “ვლახები”, “ვოლოხები”). მათ თანამოძმე მოლდოველებს კი სლავების დიდი ნაკადი შეუერთდა. ახლა რუსები და უკრაინელები ავიდოთ. სად წავიდნენ სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მომთაბარე

სხვადასხვა ირანულენოვანი, თურქულენოვანი ხალხები. სად წავიდნენ ოდესღაც რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფინურენოვანი ხალხები? (თვით ტოპონიმ "მოსკოვსაც" კი ფინური ენით ხსნიან. ფინური ტომები იყვნენ განსახლებულნი დღევანდელ ცენტრალურ რუსეთში, მდინარეების ოკისა და ვოლგის შუამდინარეთში. არა მარტო მდ. მოსკვა, არამედ მდინარეები პროტვა, სილვა, კოსვა და სხვ. ფინური ენით იხსნება. მარტო მდ. ოკას ოცი შენაკადი Va სუფიქსით ბოლოვდება, რაც ფინურად წყალს ნიშნავს. ოკა (joki) კი ფინურად საერთოდ მდინარეს აღნიშნავს. რუსების მიერ ფინურენოვანი ხალხების ასიმილაციის შესახებ დაწვრილებით იხ. В.О. Ключевский. Сочинения, т.I, М.,1987, с.295-308). ყველა ისინი რუსებსა და უკრაინელებში განივთდნენ, მათ შეერწყნენ. რუსებში სხვადასხვა ეთნოსთა შესვლა-შეღწევა მუდმივი პროცესი იყო და ეს პროცესი აქ დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ფინურენოვანი ხალხების ასიმილაციის შემდეგ რუსებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით თათარ-მონღოლთა ასიმილაციაც მოახდინეს. რუსული ეთნოსის რიგები შეავსეს ბალტიელმა ხალხებმაც, რომელთაგანაც განსაკუთრებით გოლიადები უნდა გამოვყოთ. ბელორუსებსაც დიდი რაოდენობით ბალტიელი ხალხები შეერივნენ. ამასთანავე უეჭველად დადგენილია, რომ ეთნონიმი "როსი-რუსი" არასლავურია. სხვადასხვა ჰიპოთეზებს შორის დღეს რუსულ ისტორიოგრაფიაში უმეტესად გაზიარებულია თეორია – აღნიშნული ეთნონიმი თავდაპირველად ირანული ტომების საკუთრება იყო და ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობის სლავიზაციის შემდეგ მათი ეთნიკური სახელწოდება სლავების მიერ იქნა შეთვისებული (იხ. В.В. Седов. Восточные славяне в VI-XIII вв. М, 1982, с.111-112). თუმცა დასავლურ მეცნიერებაში კვლავ პოპულარულია თეორია თავდაპირველი რუსების გერმანული წარმომავლობის შესახებ, უფრო სწორედ, როგორც აღნიშნავენ, ისინი იყვნენ სკანდინავიელი ვაჭარ-მეომრები (ვიკინგები), რომლებიც სლავებით, ბალტიელებითა და ფინურ-უგრული ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებზე სავაჭრო გზებს ემებდნენ (Джеффри Хоскинг. Россия и Русские, кн., М., 2003, с. 41). ავსტრიის დედაქალაქის ვენის სატელეფონო წიგნი რომ ავიღოთ, აღმოვაჩინოთ, რომ თითოეულ სახლში მოსახლეთა 25-30% სლავურ გვარებს ატარებს. რომელიმე ავსტრიელს (რომლებიც თავისთავად კელტებისა და გერმანელების ნაჯვარნი არიან) თავში მოუვა როდესმე ეს სლავური გვარის მატარებელი ავსტრიელები გამოაჩინონ?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი ლიტვის პრეზიდენტი, გვარად ლანდსბერგისი იყო, წარმოშობით გერმანელი, მაგრამ ლიტვის დიდი პატრიოტი. არალიტვური გვარის გამო ლიტველებს ის ქვეყნის პრეზიდენტად არ უნდა აერჩიათ? ასევე ბევრ გერმანულ გვარსახელს ვხვდებით სლოვენელებსა და ჩეხებს შორის. მათ ამის გამო არავინ არ ანსხვავებს სლოვენისა და ჩეხეთში. ლატვიის ფესბურთელთა ნაკრები, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, ძირითადად ეთნიკური არალატვიელებით, რუსებითაა დაკომპლექტებული. ლატვიელებს ეს არ ესირცხვილებათ. თუმცა, ლატვიის რუსი მოქალაქეები გვარსახელებს ლატვიური სუფიქსით ატარებენ. დიდი გონების დამაბზა არ სჭირდება იმას, რომ აფანასევასი – აფანასევი, სტეფანოვასი – სტეფანოვი და ა.შ. ანდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში შესანიშნავად მოასპარეზე ჩეხეთის გუნდის შემადგენლობა ავიღოთ. აქ ბარომისა და ჰაინცის გვარსახელები მახსენდება. ამ უნგრული და გერმანული გვარების მატარებლებს ჩეხეთში ვინმე ჩათვლის არაჩეხებად? რა თქმა უნდა, არავინ. ამ თვალსაზრისით, არც ქართველები ვყოფილვართ და ვართ გამონაკლისი და თუ დღეს საქართველოში ასეთი პროცესები მიმდინარეობს, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ამას უნდა მოვესალმოთ და ადამიანები არ უნდა დავახარისხოთ იმის მიხედვით, ვის დედა სომეხი, რუსი, ებრაელი, გერმანელი, აზერბაიჯანელი, ოსი თუ სხვა ჩრდილოეთკავკასიელი ჰყავდა. XIX ს. დასაწყისში საქართველოში პოლონელთა რამდენიმე ოჯახი დასახლდა. მათ შორის არიან ფასანაურში მოსახლე ტრიპოლსკები. პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში, ეროვნების გრაფაში ქართველი ეწერათ. რა, ისინი ქართველები არ არიან? იქნებ ვინმეს მოუტრიალდეს ენა და თქვას თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი

იოსებ ტრიპოლსკი ქართველი არ იყო. სწორედაც რომ ის ქართველი იყო, რომელიც თავისი მოღვაწეობით ქართული კულტურის სამსახურში იდგა. უფრო მეტიც, ეთნიკური თვითშეგნებით ქართველი იყო. აქვე შეიძლება გურიაში მოსახლე მარები და გოგოლებიც გავიხსენოთ. ასე თუ გავყევით, რუსებმა თავიანთი რიგებიდან რუსული პოეზიის კლასიკოსები პუშკინი (წარმოშობით აბსინიელი) და ლერმონტოვი (წარმოშობით შოტლანდიელი) უნდა ამორიცხოვნ. დიდი გერმანელი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი წარმოშობით ფლამანდიელი იყო (ამას მისი გვარიც მიუთითებს). ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯოსეფ კონრადი და ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფრანგი პოეტი გიომ აპოლინერი წარმოშობით პოლონელები იყვნენ. პირველის ნამდვილი სახელი და გვარი თეოდორ კონრად კოჟენიოვსკი იყო, მეორესი – ვილჰელმ აპოლიანარ კოსტროვიცკი. დიდი ესპანელი ფერმწერი ელ გრეკო სინამდვილეში წარმოშობით ბერძენი დომენიკო ტეოდოკოპულო გახლდათ. ძვ.წ. II ს-ის ერთ-ერთი უდიდესი რომაელ მწერალს, კომედიოგრაფს პუბლიუს ტერენტიუსს წინაპარი აფრიკელი ჰყავდა და დღემდე მოღწეულ მის სკულპტურულ გამოსახულებას შესამჩნევი ნეგროიდული ნიშნები აქვს. მსგავსი მაგალითები დაუსრულებელი შეიძლება მოვიყვანოთ. ქართველებმა ისიც უნდა შევიგნოთ, რომ გვარების ფუძეების მიხედვით ქართველების დახარისხება დიდი უზნეობაა. ქართულ გვარსახელებს საუკუნეთა მანძილზე ირანული, არაბული, თურქული, სომხური (ქართულთან და ქრისტიანულთან ერთად) სახელები ედებოდა საფუძვლად. ყველა ისინი ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების, ქართველი ერის ღირსეული წევრები არიან. რატომ უყურებს დღეს ზოგიერთი "ქართველი" ასეთ ქართველებს ეჭვით? მაღლობა ღმერთს, ისინი ბევრნი არ არიან (სხვაგვარად, ფაშისტურად მოაზროვნეები) და ამინდს ვერ ქმნიან.

მსოფლიო ეთნიკურმა ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის დამპყრობელი მეომარი მამაკაცების დაპყრობილი ხალხების ქალებთან თანაცხოვრებისა. თუნდაც ამ თვალსაზრისით ახალ დროში ამერიკის კონტინენტზე ევროპელი მამაკაცების ადგილობრივ ინდიელ ქალებთან ურთიერთობა გავიხსენოთ, რომელთა შთამომავალნი "მეტისების" სახელით არიან ცნობილი. ქართული ეთნოსიც არაერთხელ ვყოფილვართ სხვის მიერ დაპყრობილი... ვის არ ჰქონდა ამ მხრივ ქართველებთან ურთიერთობა: სპარსელებს, ბერძნებს, რომაელებს, არაბებს, თურქებს... და ბოლოს "მშვიდობის დამამყარებელ რუსებს". ჩრდილოეთ კავკასიელების შემოდენა კი მუდმივი პროცესი იყო (ისე როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა გადენა). "ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ცნობა, რომ ქართლის მეფე საურმაგმა დღევანდელი ჩეჩნების წინაპრები – დურძუკები, რომელთა ქვეყანა გადამეტსახელებული იყო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში განასახლა (ისე, სხვათაშორის, გვაქვს ქართული გვარსახელიც **ძურძუკი**). სად წავიდნენ მათი შთამომავალნი? სად და ქართველ ხალხს შეენივთდნენ, ქართველებად იქცნენ. მე შემიძლია უცბად სამ ათეულზე მეტი ქართული გვარი დავასახელო, რომელთა წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან მიგრირებულნი (ქართული ტრადიციით საქართველოს მთიანეთში ამანათად მოსული ჩრდილოეთ კავკასიელების ინკორპორაცია პრობლემას არ წარმოადგენდა. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სოციუმშიც უცხოელის მიღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქ შეიძლება ზაპოროჟიელი კაზაკები გავიხსენოთ. მათ რიგებში მიღების ერთადერთი პირობა მონათვლის აუცილებლობა იყო. გვარსა და ტომს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ). სხვათაშორის, XVII-XVIII საუკუნეებში უკრაინელ კაზაკთა შორის ეთნიკური ქართველებიც აღირიცხებოდნენ. ასე თუ დავიწყეთ ქართველი ხალხის დახარისხება, ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი მწერალი მავანმა შეიძლება ქართველად არ ჩათვალოს, რადგან მისი წინაპარი საუკუნეებს მიღმა ჩრდილოეთ კავკასიიდან – ინგუშეთიდან იყო გადმოსახლებული. თავის მხრივ ქართველები სხვა ეთნოსების შემადგენლობაში შედიოდნენ (სპარსელებში, თურქებში, სომხებში... ისტორიის ადრეულ ეტაპზე იმიერტაოში მცხოვრები ზანები სომეხი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ. ე.წ. მესხეთელი თურქები კი მხოლოდ და მხოლოდ გამაჰმადიანებული გენეტიკური ქართველები არიან. დღევანდელ თურქ ხალხში ოთხ

ანთროპოლოგიურ ტიპს გამოყოფენ და ერთ-ერთი მათგანი ჭოროხ-რიონული ტიპია). XIX ს-ის დასაწყისში ბოშათა ბანაკმა საქართველოს სამხედრო გზაზე გაიარა. მათ ქართველ მთიელთა ერთ სოფელში შვიდიოდე წლის ბიჭი დარჩათ. ქართველებმა ბავშვი იშვილეს, გაზარდეს და მისი შთამომავალნი დღეს გამზრდელი ოჯახის გვარსახელს ატარებენ და არაფრით არ განსხვავდებიან თავიანთი თანამოგვარებისაგან. მათი ქართველობა ირგვლივმყოფთ არასდროს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებიათ, რადგან ასეთ ნიუანსებს ისინი არასდროს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. გამოდის რომ ხალხი ყოველთვის უფრო სახელმწიფოებრივად, ეროვნულად აზროვნებდა, ვიდრე ე.წ. განათლებული ინდივიდი. აქ შეიძლება ცნობილი რუსი მეცნიერის ლევ გუმილიოვის მონოგრაფიიდან ერთი ადგილი დავიმოწმოთ. ლ.ნ. გუმილიოვი ეთნიკური რიტმის შესახებ აღნიშნავდა, რომ ის თანდაყოლილი რამ არაა. ახალდაბადებული მშობლებისაგან, წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მხოლოდ გენოტიპს და ფენოტიპს იღებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ეთნიკურ რიტმს. ბავშვი ზრდასთან ერთად გარშემომყოფთა ველთან უნისონში შედის. ეთნიკური მიკუთვნებულობისათვის ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა პიროვნების ყველაზე ადრეულ ეტაპზე აღზრდას აქვს და არა რასობრივ მიკუთვნებულობას. გენოტიპით შეიძლება განისაზღვროს ტემპერამენტი, რეაქციის სიჩქარე, აბსტრაგირების უნარი, წარმოსახვა და სხვ., მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეთნოსის დამახასიათებელი ნიშანი: “თვისის” და “სხვისის” შეგრძნება. ჩვილს, ყრმას ეთნიკურობა, ეთნიკური იდენტურობა, ეთნიკური თვითშეგნება, რასაც ლ. გუმილიოვი ეთნიკურ რიტმს უწოდებს, ტრადიციით გადაეცემა. ამიტომ ამა თუ იმ ეთნიკურ კოლექტივში სხვა ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლების ინკორპორაცია შესაძლებელია და ის კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდმივად ხდებოდა და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს (Л.Н.Гумилев, Этносфера: история людей и история природы, СПб – М., 2002, с.233). რაღა შორს წავიდეთ: ისტორიამ ქართველთა სხვა ეთნოსებში (ლ. გუმილიოვის ტერმინით “ეთნიკურ რიტმში”) ინკორპორაციის მრავალი შემთხვევა იცის (გასპარსება, გათურქება, გაარაბება, გარუსება, გასომხება, გაოსება, გაფრანგება...).

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ბრძოლის ამ მეთოდის გამოყენება (წამოძახება არაქართველობის შესახებ) პოლიტიკოსთა შორის გაჩაღდა. ეს იყო და არის ბინძური ბრძოლა, ერთიანი ქართული ორგანიზმის დაშლისაკენ მიზანმიმართული ქმედება. როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებს ვერაფრით ვერ ერევან, ასეთი ვაი-პოლიტიკოსების (და ვაი-ქართველების) ბრძოლის იარაღი ხდება ცილისწამება იმისა, რომ მისი მოწინააღმდეგე ქართველი არაა, რომ მას რომელიღაც მშობელი ქართველი არა ჰყავს. როდესაც ჩვენ ასეთ რამეებს თავს დავანებებთ, აი, მაშინ შევქმნით ნამდვილ სამოქალაქო საზოგადოებას, ნამდვილ და ძლიერ ქართულ სახელმწიფოს. სხვა შემთხვევაში განწირული ვიქნებით და მუდმივად ქვეყანაში ეთნიკური დაპირისპირება გვექნება.

რა დამავიწყებს, როდესაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მოწინააღმდეგენი არაქართველობას (ებრაელობას) აბრალებდნენ. ანდა, რა დამავიწყებს იმას, რომ საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტსაც ეთნიკურად სხვა ერის წარმომადგენლად თვლიდნენ. მაღლობა ღმერთს და ქართველ ხალხს, რომ ასეთ ვიგინდარებს არ დაუჯერა. სად გაგონილა, რომელ ქვეყანაშია, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეებს გვარების მიხედვით ახარისხებდნენ.

აღნიშნული ნეგატიური პროცესების წინააღმდეგ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში არც ხელისუფლებამ და არც მედიამ არაფერი გააკეთა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ აზროვნებას ხელსაც უწყობდნენ, აქეზებდნენ. სხვანაირად ვერც იფიქრებ კაცი, როდესაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ბრიფინგზე იმას გამოაცხადებს, რომ სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, მას და მის გვარს ეროვნულობის თვალსაზრისით პრობლემები არა აქვს. წაქეზებად ითვლება ისიც, როდესაც საარჩევნო მიზნით ქვემო ქართლში ჩასულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ლიდერს რაიონის გამგებელი მუშტიკრივს გაუმართავს და თან არაქართველად (სომეხად) მოიხსენიებს. ისე, იმ გამგებელის გვარი რამდენადაც მახსოვს,

ჯაფარიძე იყო ("ჯაფარ" არაბული სახელია. რა ჯაფარიძეები ქართველები არ არიან?). ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთ გამგებელს დაუყონებლივ გადააყენებდნენ თანამდებობიდან და პასუხისგებაშიც მისცემდნენ.

ცოტა ხნის წინ იყო ფაქტები იმისა, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებში სამუშაოდ არ იღებდნენ ადამიანებს, თუ დაბადების მოწმობაში დედის ეროვნება ქართველი არ ეწერა, საპირისპიროდ კომუნისტური პერიოდისა, როდესაც ასეთ ორგანოებში მიღებული თანამშრომლები უპირატესად ეთნიკურად ნარევი უნდა ყოფილიყვნენ.

რა დამავიწყებს იმას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ქართველების გარკვეული ნაწილი, უფრო სწორედ ბანდები (დამნაშავეს ეთნიკურობა არა აქვს!) ღამით თავს ესხმოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ოსებს, ძარცვავდნენ და სახლებიდან ყრიდნენ. და მე ხაზს ვუსვამ, სწორედ ისეთ ხალხს ყრიდნენ, რომლებიც უკვე ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ ეროვნულ ორგანიზმში, ისეთებს, რომლებისათვისაც დედაენას ქართული წარმოადგენდა. ოსური გვარის გამო სამსახურიდან ითხოვდნენ (და ოსებს ბევრი წარმომოებით ქართველიც მიაყოლეს, რომელთა ქართული გვარის წარმომავლობაში ეჭვი ეპარებოდათ). იყო ისეთი შემთხვევაც, ფეხმძიმე ქართველ ქალს, გვარად ულუმბელაშვილს, გინეკოლოგმა კონსულტაცია არ გაუწია, რადგან მოეჩვენა, რომ ის ოსური გვარის მატარებელი იყო. დამნაშავენი ვართ ჩვენი უდანაშაულო ოსი მოქალაქეების წინაშე, ვინც ლტოლვილად ვაქციეთ, ჯერ ვლადიკავკაზში ჩავიყვანეთ და იქიდან კი როკის გვირაბით შემოსულები ცხინვალში ქართველების სახლებში დაბინავდნენ. მოყვრები მტრებად ვაქციეთ. ნიშანდობლივია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის არჩევნების დროს, საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ქალბატონმა, ქართველებს მადლობა გადაგვიხადა მშვენიერი ქართულით (დედა ქართველი ჰყავდა), მადლობა იმის გამო, რომ ქართველებმა გამაგებინეს, რომ ოსი ვარო. ასეთ ხალხს ჩვენ ბოდიში უნდა მოვუხადოთ (და თავის მხრივ, ოსებმაც ქართველებს) და თითოეული მათგანი ყოფილ საცხოვრებელ ადგილებზე დავაბრუნოთ (დღევანდელი ხელისუფლება ამას ნამდვილად გააკეთებს). მაშინ შევქმნით ნამდვილ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას, ძლიერ ქართულ სახელმწიფოს.

არის ასეთი ფაქტებიც: ზოგიერთი პედაგოგი საშუალო სკოლაში და პროფესორი უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეებს და სტუდენტებს საჯაროდ მიმართავს, რომ ამა თუ იმ გვარის მატარებელი მისი სტუდენტი ქართველი არაა. ალბათ, ამაზე დიდი შეურაცხყოფა წარმოუდგენელია. შენ, შენი ერის შვილს ეუბნებოდე და მის მეგობრებსაც თავში უტენიდე, რომ ამა თუ იმ გვარის მატარებელი ქართველი, ქართველი არაა. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთან შეწუხებული სტუდენტები და მშობლები მოდიოდნენ, შველას თხოულობდნენ, რათა მათთვის დამეწერა, რომ მათი გვარი ქართულია. უნივერსიტეტის ის პროფესორი, რომლის გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებ, რა თქმა უნდა, ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ჩადიოდა.

ანდა, ავიღოთ ხელისუფლების გადაწყვეტილება, პირადობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტებიდან ეროვნების (ეთნიკურობის) რეკვიზიტის ამოღების შესახებ. ეს გადაწყვეტილებაც ხომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს სახელმწიფოს გამლიერებისაკენ იყო მიმართული, რათა ჩვენი მოქალაქე ეთნიკურად არაქართველნი გაუცხოებული არ ყოფილიყვნენ ქართველთაგან. როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მე ვიფიქრე პროტესტს ეთნიკური არაქართველები გამოთქვამდნენ. ნურას უკაცრავად, ამ ფაქტმა ქართველთა ნაწილი (მე ვიტყვოდი, საქმეში ჩაუხედავი და უცხო ქვეყნის აგენტი ქართველები) აღაშფოთა. თურმე, ამით ჩვენ, ქართველებს ეროვნებას გვართმევდნენ. ჩაწერა-არჩაწერით თუ განისაზღვრებოდა ადამიანთა ეთნიკურობა, ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. უწინ, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებს არასდროს ჰქონიათ დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი. ეროვნების რეკვიზიტი საბჭოთა კავშირში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში XX ს-ის 30-იანი წლების შემდეგ გაჩნდა. საუკუნეების განმავლობაში ჩვენს წინაპრებს არსად რომ არ

უფიქსირდებოდათ ეთნიკურობა (ეროვნება), რაო, ისინი ქართველები არ იყვნენ? აქამდე ვერ მოიტანეს ქართველობა? ეთნიკურობის ჩაწერა განსაზღვრავს ქართველთა ეთნიკურ იდენტობას? ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ ჩვენი ეროვნება სადღაც ჩაწერა-არჩაწერით განისაზღვრება. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ სხვა რამეშია საქმე. ვაი-პატრიოტ ქართველებს ამით არ უნდათ სხვა ეთნოსთა წარმომადგენლების ქართველთა შორის ინტეგრაცია, ქართული ნაციის დასავლური ტიპის ნაციად ("ნაცია-სახელმწიფოდ") ჩამოყალიბება. ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი ნუთუ იმის მიხედვით უნდა დავახარისხოთ, ვინ ეთნიკურად ქართველია და ვინ არა? თან რომ არ მოვტყუვდეთ, ამისათვის მათ პირადობის დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში ეროვნების (ეთნიკურობის) აღმნიშვნელ რეკვიზიტს უნდა ჩავკრათ თვალი. იმისათვის გვინდა ეროვნების ჩაწერა, რომ ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ქართველები და არაქართველები, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეები? ამ გზით ხომ ჩვენ ძლიერ სახელმწიფოს, ნამდვილ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ვერასდროს ვერ შევქმნით. ისე, სხვათაშორის, მსოფლიოში მხოლოდ სამად სამი ქვეყანა იყო, სადაც პიროვნების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში ეთნიკურობა იწერებოდა. ეს იყო საბჭოთა იმპერია, იუგოსლავია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

სამწუხარო და დამაფიქრებელი ფაქტია კიდევ ერთი რამ. ერთ-ერთი ქართველი მწერალი, თურმე იმიტომ გახდა ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი, რომ მას ეროვნება წაართვეს და აბა, რანაირად გამოვჩნდე რომ ქართველი ვარო. XXI საუკუნეში ქართულ იდენტობას ეთნიკური კულტურის ერთი პატარა ელემენტი _ ეროვნული ტანსაცმელი თუ განსაზღვრავდა, ჩემთვის აღმოჩენა იყო. ხალხთა და პიროვნებათა ეთნიკურ იდენტობას ცნობიერება და თვითშეგნება განსაზღვრავს. ჩოხა-ახალუხს შუა საუკუნეებში მხოლოდ ზედაფენა ატარებდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ტანსაცმელი გვხვდებოდა (ხევესურული ტალავარი გავიხსენოთ). რა, ქართულ ეთნოსს, ამის გამო საუკუნეების განმავლობაში ერთიანი ეთნიკურ-ეროვნული შეგნება არ ჰქონდა? ისე, ფრიად სასიამოვნოა ჩვენი მოქალაქეების ქართული ტრადიციებისადმი ამ სახით პატივისცემა. კითხვა ჩნდება, საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად არაქართველმა ჩოხოსანთა საზოგადოებაში შესვლა რომ გადაწყვიტოს, მისი პატივცემული წევრები მას თავის რიგებში არ მიიღებენ? როდესაც კულტურის ამ ერთი ელემენტის ტარებას ქართველობას ვუთანაბრებთ, იქნებ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჩოხა-ახალუხი მხოლოდ ქართული ეროვნული ტანსაცმელი არაა. ის საერთო კავკასიური მოვლენაა, ჩრდილოეთ კავკასია მაქვს მხედველობაში. ისე, იმის საშიშროებაც კი არის ეს დიალექტზე მეტყველი ქართველი მწერალი ჩეჩენი, ინგუში, ოსი, ადიღეველი ანდა თუნდაც კაზაკი (თერგის, ყუბანის) ეგონოთ. ეთნიკურობის განსაზღვრაში მთავარი არა გარეგნული, არამედ შინაგანი ფაქტორებია (მითუმეტეს, დღეს). ჩვენ კი ქართველთა ზოგიერთ ნაწილს, ამ თვალსაზრისით, თურმე, იარლიყები გვჭირდება. იარლიყით კი ეთნიკური მიკუთვნებულობა არ განისაზღვრება. ის რეალური ცნებაა და მას ადამიანის (ან ადამიანთა დიდი ჯგუფების) ეთნიკური თვითშეგნება განსაზღვრავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეთნიკური მიკუთვნებულობა ადამიანთა ცნობიერებაში გამოვლინდება. ეთნიკური თვითშეგნების ცვლილება კი შეიძლება ძალიან სწრაფად, ორი-სამი თაობის განმავლობაში განხორციელდეს.

ახლა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური არაქართველები გავიხსენოთ, რომლებმაც ქართულ სახელმწიფოს თავიანთი სპორტული მიღწევებით წარმატებები მოუტანეს: ვალერი ალთაბაევი, ვოვა გუცაევი, ლერი ხაბელოვი, რაფაელ ჩიმიშვიანი, ვიქტორ სანეევი. არ ვამაყობდით მათი სიძლიერით? ისინი საქართველოს ძლიერებას არ უქმნიდნენ საფუძველს? ანდა დღეს გოჩა ზასოხოვი ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის არ იღწვის?

იმედი მაქვს, ერთი პარლამენტარივით გაუკუღმართებულად მხოლოდ ჩვენი თანამემამულეების მცირე ნაწილი აზროვნებს. ამის იმედს ისიც იძლევა, რომ ტელეკომპანია "იმედის" ეთერში ახალგაზრდა მომღერალ კონკურსანტებს შორის ერთ-ერთი გამარჯვებული ეთნიკური სომეხი ვლად არამოვი გახდა, როგორც ქართველი ტელემეყურებლების

სატელეფონო ზარების, ისე ობიექტური ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე. ნიჭიერებას, განათლებას, შრომისმოყვარეობას როდესაც არავის დაუკარგავ (ეთნიკურ არაქართველს) აი, მაშინ ექნება საქართველოს სახელმწიფოს წარმატებები, მაშინ აღარ იქნება ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირება.

დასასრულს კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ისტორიულ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური არაქართველები და სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენლები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად გვყავდა ქართველი კათოლიკეები, ქართველი მონოფიზიტები, ქართველი მაჰმადიანები. ამ თვალსაზრისით ქვეყნის მოქალაქეები არ ხარისხდებოდნენ და ამაშიც იყო შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი საიდუმლოება. ფრანგი ჟან შარდენი ქართველთა ბევრ კარგ თვისებებთან ერთად ამასაც აღნიშნავდა: "საქართველოში უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი". იგივეს წერდა გერმანელი გიულდენშტედტიც: "მმართველობა და სამღვდელთა მამულებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანების და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ".

დღეს კი საქართველოში ხანდახან სიძულვილის მსგავსი რამ ინერგება კათოლიკეებისა და პროტესტანტების მიმართ. ჩვენი ეროვნული რელიგიის – მართლმადიდებლობის აღორძინება კათოლიციზმის ლანძღვის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს (მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ეს გარედან თავსმოხვეულია, რათა ამით ქართველი ხალხი დასავლეთს დაუპირისპირონ, მისი დისკრედიტაცია მოახდინონ), მითუმეტეს, რომ ქართული ეთნოსის გარკვეული ნაწილი ისტორიულად და დღესაც ამ კონფესიის აღმსარებელია. მათ თავიანთი ეთნიკური იდენტობის (ქართველობის) შენარჩუნება სწორედ კათოლიციზმის მიღებით შესძლეს. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა კათოლიკეებმა, მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან ერთად, დიდხანს იბრძოლეს, რომ თავიანთი ქართველობა დაედასტურებინათ და სომხურ-კათოლიკური ეკლესიის კლანჭებიდან გამოეხსნათ თავი. ქართველ კათოლიკეთაგან ძმები ზუბალაშვილების, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის და მიხეილ თამარათის მოღვაწეობაც იკმარებს. მიხეილ თამარაშვილი ხომ იტალიაში საქართველოს ისტორიის ობიექტურად შესწავლის გამო ჩაახრჩვეს ზღვაში. მისი იტალიიდან საქართველოში ჩამოსვენება კი ეროვნულ მანიფესტაციად იქცა და ამ პროცესიაში მთელი ქართული მართლმადიდებელი სამღვდელთაგან მონაწილეობდა. ახლა ქართველი მუსლიმები გავიხსენოთ. ჩვენი წინაპრები იძულებულნი იყვნენ საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მაჰმადიანობა მიეღოთ. მათმა დიდმა ნაწილმა ეთნიკური თვითშეგნება, ქართული ენა შეინარჩუნა. ვკრათ მათ და მათ შთამომავლებს ხელი და ვუკიჟინოთ, რომ ისინი სხვა რელიგიის აღმსარებელნი არიან? არ მივცეთ ქართველ მაჰმადიანებს (და მათ შთამომავალ აწ ქრისტიანებს) ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში ქართული საქმის კეთების უფლება? ცოტა ხნის წინ ირანში ფერეიდნის პროვინციაში ქართველმა მაჰმადიანებმა აღმაფრთოვანებელი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს პრეზიდენტს. ტელევიზიით შეხვედრის კადრების ნახვის შემდეგ შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს მაჰმადიანი ფერეიდნელი ქართველების ეროვნულ ცნობიერებაში, ქართულ ეთნიკურ იდენტობაში?

XVIII ს-ის პირველ ნახევარში დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი გვმოდვრავდა, რომ ეროვნულობის განმსაზღვრელი სარწმუნოება არ იყო (შეადარე: გიორგი მერჩულესათვის ქართველთა ეროვნული ცნობიერების ძირითადი ნიშნები ენა და სარწმუნოება იყო. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობას. ქართველად ითვლებოდა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ყველა პიროვნება, ვინც ქრისტიანი იყო და წირვა-ლოცვას ქართულად აღასრულებდა), რადგან ის ნათლად ხედავდა ერთ რამეს: მისი დროის ქართველნი სხვადასხვა რელიგია-კონფესიებს აღიარებდნენ და

აღნიშნული ნიშნით ქართველობის განსაზღვრა მიუღებელი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქვემო ქართლში მოსახლე სომხები “ქცევა-ზნითა ქართულითა”, არიან, ე.ი. იგივე ქართველები არიან, ოღონდ სარწმუნოებით არიან განსხვავებულნი.

ჩვენ ქართველებმა უნდა ვიამაყოთ, რომ ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები საქართველოში თანამედროვე დასავლური ურთიერთობების დონეზე იდგა. ქართველებს ისტორიულად კიდევ ერთი კარგი თვისება გვაქვს და ეს თვისება ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ეთნიკურ-ფსიქოლოგიური ნიშანია. ესაა სხვა ხალხების სიყვარული. არასდროს საქართველოში შემოსული დამპყრობლების მიმართ ქართველებს სიძულვილის გრძნობა არ უჩნდებოდათ. რამდენი ცუდი ახსოვს ქართველებს ჩრდილო კავკასიელებისაგან, მაგრამ ყოველთვის აფასებენ მათ ვაჟკაცობას და სხვა არაერთ კარგ თვისებებს (ამ თვალსაზრისით ვაინახებთან და ლეკებთან ურთიერთობაც შეიძლება გავიხსენოთ). ასე იყო XX ს-ის ბოლოსაც, როდესაც ჩვენი ტერიტორიების მიმტაცებელი, სეპარატისტი ოსებისა და აფხაზების მიმართ სიძულვილის გრძნობა არ გაგვიჩნდა. პირიქით, მზად ვართ მიტევებისათვის, სიყვარულისათვის. გამრუდებული წარმოდგენები ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ ჩამოუყალიბა. ვიყოთ ჩვენი წინაპრების ტრადიციების ერთგული გამგრძელებლები.

დავუბრუნდეთ ისევ პარლამენტს. რაოდენ ნიშანდობლივი იყო, რომ პირველი დიდი პროტესტი პარლამენტარის ანტისახელმწიფოებრივი, ფაშისტური ქმედების გამო, რუსეთიდან ახლად მობრუნებულმა ბატონმა კახა ბენდუქიძემ გამოთქვა. მისი სიტყვები იყო: "ვიღაცა გიჟი გამოვიდა და მინისტრებმა უნდა გამოაცხადონ მათი მშობლების ეთნიკური წარმოშობაო. ეგ არის აბსოლუტურად მიუღებელი ნებისმიერ ქვეყანაში და მაგაზე ნებისმიერ პატიოსან ქვეყანაში მაგ კაცს ჩასვამდნენ ციხეში... ეგ არის უბრალოდ უსინდისობა და უნამუსობა".

მე კი მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს (რომელიც მოწოდებული უნდა იყოს ქართული ეთნიკური იდენტობის გაძლიერების), გაამკაცრონ ქვეყნის კანონმდებლობა. ასე მოაზროვნე ადამიანები საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ და კანონი გაუკუღმართებული აზროვნების პარლამენტარებს უფლებამოსილებას უნდა ართმევდეს. პირველ რიგში, ჩვენი თითოეული მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი, განათლებული, ინტელექტუალური სახელმწიფოს შექმისათვის უნდა იბრძოდეს. ამის წინაპირობა კი პოლიტიკური ნაციის, ნაცია_სახელმწიფოს შექმნაა და არა ფაშისტური აზროვნება, რომელიც ხანდახან სადღაც სარეველასავით გამოერევა ხოლმე.

ეთნიკური კონტაქტები ამა თუ იმ ფორმით და ხარისხით ყველა დროის ყველა ეთნიკურ სისტემაშია დადასტურებული, იზოლიატების გამოკლებით (თუმცა ასეთი იზოლიატების მოდიფიკაცია მეზობელ ეთნიკურ ერთეულთა გავლენით მაინც მიმდინარეობს). იზოლიატი ეთნოსები არსებობენ პამირში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ტიბეტში და არსებობდნენ, რაღაც ერთი საუკუნის წინ, ჩვენს მახლობლადაც, დაღესტანში. ეთნოსთა იზოლიატებად ქცევა კი ბუნებრივ-გეოგრაფიულმა, რელიგიურ-სოციალურმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობა. იზოლირებული, რელიქტური ეთნოსებისათვის (ხალხებისათვის) კი უცხოა მოსახლეობის მატება, საზოგადოებრივი ყოფის თვითგანვითარება, დამახასიათებელია ეთნიკური სისტემების გადაბერება. ნუთუ რომელიმე ქართველის სურვილია ერთ-ერთი ძველი და მაღალკულტუროსანი ქართული ეთნოსის იზოლიაციაში მოქცევა, რელიქტურ, გადაბერებულ ეთნოსად ქცევა, ისტორიული არენიდან გასვლა? ჩვენს წინაპრებს არც ამის მაგალითები მოუციათ და ცხოვრების ასეთი ყაიდა არც ანდერძად დაუტოვებიათ. ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ხალხებს (ნაციებს) აღმავლობის, აღმასვლის ფაზა გაცხოველებული ეთნიკური კონტაქტების შედეგად უდგებათ (ეთნიკური კონტაქტები მრავალმხრივი ცნებაა და იგი პირველ რიგში ქორწინების გზით სხვათა შერევასაც გულისხმობს), რა თქმა უნდა, თუ ის გარკვეულ ცივილიზებულ ჩარჩოებშია მოქცეული. ასეთი სახის მშვიდობიან, ცივილიზებულ

ეთნიკურ კონტაქტებს (თუ ის აგრესიული პოლიტიკით განპირობებული არაა) ნეგატიური შედეგი არასდროს ჰქონია. ხალხთა ეთნიკური განვითარება, მეცნიერთა დასკვნით, მუდმივი პროცესია, რომლის დროსაც ახალი ეთნიკური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები იქმნება, რაც ძველი, წინამორბედი ელემენტებისა და ახალი ნიშნების პრინციპულად ორგანული შეერთების გზით მიიღწევა. ზემოთ ეთნიკურ ერთეულთა გადაბერება ვახსენეთ. რადგან ეთნოსი არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენაცაა, გადაბერების თავიდან ასაშორებელი ერთადერთი გზა გაახალგაზრდავებაა, რაც "სისხლის გადასხმის" გზით მიიღწევა. ეს კი სხვა არაფერს გულისხმობს, თუ არა დროდადრო დოზირებულ სისხლის შერევას, ეთნოსის ეგზოგამიურობას, სხვებთან საქორწინო ურთიერთობას, რაც საბოლოო ჯამში გონებრივ და ფიზიკურ გაუმჯობესებაში გამოიხატება.

დასასრულს, უკანასკნელ წლებში ხშირად გაიგონებდით მოწოდებას ეროვნული იდეოლოგიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. მე არ ვიცი ასეთი იდეოლოგია რანაირი სახით, ანდა ვინ უნდა შექმნას და მიიღოს ის; ოფიციალური უნდა იყოს ის, თუ არაოფიციალური. მაგრამ ასეთი ეროვნული იდეოლოგია თუ შეიქმნება, ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ არაქართველებთან ურთიერთობის მუდმივ მოწესრიგებას, ამკარად ფაშისტური გამოხდომების დასჯას, ხალხში სახელმწიფოებრივი აზროვნების დანერგვას. ამაში კი გადამწყვეტი როლი სახელისუფლებო ორგანოებმა, განათლების სისტემამ, სასამართლო ხელისუფლებამ, მედიამ უნდა შეასრულოს (იგივე პრინციპები საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც უნდა იყოს ასახული).

P.S. წინამდებარე სტატია დაწერილი გვქონდა, როდესაც ცნობილმა ლინგვისტმა მიხეილ ქურდიანმა თავისი ერთი ახალი ნაშრომის ამონაბეჭდი მიბოძა (იხ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", №1, ივნისი, გვ. 63-66). რადგან ბატონ მიხეილის ნაშრომი ფართო მკითხველთა საზოგადოებისათვის შეიძლება ხელმიუწვდომელი აღმოჩნდეს და ჩვენი ნააზრევი სრულ თანხვედრაშია, გთავაზობთ ვრცელ ამონარიდს:

"როდესაც სხვები აფართოებდნენ ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიებს, ახდენდნენ მონათესავე თუ მეზობელი ეთნოსების ასიმილაციას, ან ქმნიდნენ იმპერიებს, ჩვენ შევქმენით სიტყვა "ნაყივჩადარი".

ჩემთვის უცნობია სხვა ენა, რომელსაც ამ ტიპის ორგანული წარმოების ტერმინები ექნება: ნაყივჩადარი, ნასომხარი, ნაოსარი, ნალეკარი, ნათურქალი, ნასპარსალი, ნარუსალი და ა.შ.

ეს ნა-არ ცირკუმფიქსი წინა მდგომარეობას გამოხატავს _ ნა-ქალაქ-არ-ი, ანუ ის, რაც ქალაქი აღარ არის, ნა-სოფლ-არ-ი ანუ ის, რაც სოფელი აღარ არის, ნა-ვენახ-არ-ი ანუ ის, რაც ვენახი აღარ არის, ნა-სახლ-არ-ი ანუ ის, რაც სახლი აღარ არის და ა.შ.

ამდენად, ნა-ყივჩად-არ-ი უნდა ნიშნავდეს მას, ვინც იყო ყივჩადი და ყივჩადი აღარ არის, და თუ ყივჩადი აღარ არის, ვინ არის _ ქართველი.

მაგრამ, როდესაც ორი **ქართველი** დაჯდა სამშობლოსათვის სამომავლო გზის ასარჩევად სათათბიროდ და ერთ-ერთს არგუმენტები მოაკლდა, მან სხვა უკეთესი ვერაფერი მოიგონა და თავისი ინტელექტუალური მარცხის დაფარვა ამ სიტყვით სცადა _ **ნაყივჩადარო!** ანუ ოპონენტს, მასავით ქართველს, განსხვავებული ეთნიკური წარმოშობა წამოაძახა.

სიტყვა ნაყივჩადარის და მისი ანალოგიების შექმნა გამორიცხავს რაიმე ისტორიულ პერსპექტივას, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე საკუთრივ ეროვნული ცნობიერებისათვის.

როდესაც ერზე ველაპარაკები ჩემს სტუდენტებს, ასეთ მეტაფორას მივმართავ: ინდაური, რომელიც დარბის ეზოში, კაკალი, რომელიც აბია ხეს, ხახვი, რომელიც იზრდება ბოსტანში, წიწკა, რომელიც აღმოცენებულია ქოთანში, ზაფრანა, რომელიც კიდია აივნის სვეტზე, მარილი, რომელიც ინახება განჯინაში, წყალი, რომელიც არის ჭაში, უცხო სუნელი, რომელიც ხმება სხვენზე, ჯერ კიდევ არ არის საცივი _ ის საცივად იქცევა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ერთ ქვაბში მოიხარშება და მას შემდეგ, რაც ის საცივად იქცევა, აღარ ექნება მნიშვნელობა მისი ინგრედიენტების სხვადასხვა წარმოშობას.

ერიც საცივს გავს, ის ერთი სახელმწიფოს ქვაბში უნდა მოიხარშოს, ერთი სახელმწიფო ენის წვენი და უნდა იხარშოს მანამ, სანამ ერთ "კერძად", ერთ ერად არ იქცევა.

მითხარით თუ არსებობს სადმე თუნდაც ერთი ჯანსაღი ერი, რომელიც სიხარულით არ გაუყოფს თავის მთავარ სიმდიდრეს – ენასა და კულტურას ნებისმიერს, ვინც მოინდომებს მას შეერწყას. დამისახელეთ ერთი ფაქტი, რომ რომელიმე ერს (resp. სახელმწიფოს) ხელი ეკრას მისი სამსახურის მოწადინეთათვის".

მინდოდა ბატონ მიხეილ ქურდიანის ზემოთ მოყვანილი ამონარიდისათვის კომენტარი გამეკეთებინა, მაგრამ ვფიქრობ, საკომენტარო თითქმის არაფერია, მხოლოდ ერთს დავუმატებ, რაზედაც ზემოთ სტატიაშიც ვთქვი: პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ჩვეულებრივ საკამათო რომ აღარაფერი აქვთ, დამარცხებულები მათ წინაპართა ეთნიკურ წარმომავლობას ახლაც წამოამახებენ. რაც შეეხება "ნაყივჩაღარს" და მსგავსი წარმოების სხვა ტერმინებს, ისინი საერთოდ უნდა გაქრეს ჩვენი სამეტყველო ენიდან.

მინაწერს ისევ მ. ქურდიანის სიტყვებით დავამთავრებთ: "კანონის უზენაესობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა განურჩევლობას მათი ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად – ნებისმიერი გადახვევა ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ქმედება".

რად გვჭირდება ეთნიკური ტერმინების გაუმართლებელი ხმარება?*

ამ წერილის დაწერა განაპირობა უკანასკნელ წლებში პრესასა და რადიო-ტელევიზიაში, აგრეთვე პარლამენტში ეთნიკურ-ეთნოლოგიური ტერმინების უადგილო ხმარებამ. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) მხარეებში (კუთხეებში, პროვინციებში) მაცხოვრებლებს მეცნიერული და ეროვნული თვალსაზრისით მიუღებელი და გაუმართლებელი ეთნიკურ-ეთნოლოგიური ტერმინებით მოიხსენიებენ. ერთიან ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, რომელიც საუკუნეების მიღმა წარმოქმნილი, კარგს არაფერს უქადის ეთნიკური ნომენკლატურის დაუფიქრებელი გამოყენება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ აჭარლებს, გუდამაყრელებს, გურულებს, თუშებს, იმერლებს, ინგილოებს, კახელებს, ლეჩხუმელებს, მეგრელებს, მესხებს, მთიულებს, მოხევეებს, რაჭველებს, სვანებს, ფშავლებს, ქართლებს, ხევსურებს, ჯავახებს მოიხსენიებენ ისეთი ტერმინებით, როგორებიცაა "ეთნოსი", "ეთნიკური ერთობა", "ეთნიკური ჯგუფი", ხალხი", "ტომი", "ეთნოგრაფიული ჯგუფი". თავიდანვე ვიტყვი, რომ ეთნიკური ნომენკლატურის ასეთი ხმარება საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში მცხოვრები ქართველების მიმართ გარედან თავსმოხვეულია. ვილაცამ ისინი შემოგვაპარა და ჩვენც უცბად დავეხარბეთ ისე, რომ არც გაგვიაზრებია, კონკრეტულად რა შინაარსია თითოეულ ზემოთ დასახელებულ ტერმინში ჩადებული. გასაოცარი ისაა, რომ თავდაპირველად ასეთი ნომენკლატურისადმი მიდრეკილება რამდენიმე ჩვენმა მეცნიერმაც გამოამჟღავნა და ამ ორი ათეული წლის წინათ მშვენიერი მონოგრაფიაც დაიწერა პროფ. მ. გეგეშიძისა "ეთნიკური კულტურა და ტრადიციები", რომელშიც, სათანადო მეცნიერულ დონეზე, ნაჩვენებია აღნიშნული ტერმინებით ხმარების, მევიტყოდი, მავნებლური ხასიათი.

მანამ, სანამ ძირითად სათქმელს ვიტყვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინები "ეთნოსი", "ეთნიკური ერთობა", "ეთნიკური ჯგუფი", მეცნიერებაში არცთუ ისე დიდი ხნის გაჩენილია. ისინი XIX-XX სს. მიჯნაზე წარმოიქმნენ და სამეცნიერო მიმოქცევაში განსაკუთრებით

* "ლიტერატურული საქართველო", №33, 34, 1995.

ფართოდ დაინერგნენ XX ს-ის 60-იან წლებიდან. მხედველობაში გვაქვს როგორც რუსული (ყოფილი საბჭოთა), ისე დასავლური მეცნიერება.

ტერმინი "ეთნოსი" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხს, მაგრამ არა უბრალოდ ხალხის ჯგუფს, არამედ იმ ხალხს, რომელიც თავის თავს გამოაცალკევებს სხვა ხალხებისაგან ენობრივი და კულტურული ნიშან-თვისებებით. ამრიგად, "ეთნოსი" ეთნოლოგიურ (და საერთოდ საისტორიო მეცნიერებაში) იხმარებოდა და იხმარება "ქართველი ხალხის", "ფრანგი ხალხის", "სომეხი ხალხის", "თურქი ხალხის", "რუსი ხალხის", "გერმანელი ხალხის" და სხვათა აღსანიშნავად. იმისაც ვიტყვით, რომ ეთნოსისათვის (ხალხისათვის) ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება არის ეთნიკური თვითშეგნება (XIX ს-ის ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის, მწერლის, რელიგიის ისტორიკოსისა და ფილოლოგ-აღმოსავლეთმცოდნის ჟოზეფ ერნესტ რენანის განმარტებით "ერი არის სული, გონითი პრინციპი. ამ სულს, ამ გონით პრინციპს შეადგენს ორი რამ, რაც, მართალი რომ ვთქვათ, სინამდვილეში ერთი და იგივეა. ერთი წარსულშია, მეორე – აწმყოში. ერთი არის მოგონებათა მდიდარი მემკვიდრეობის საერთო ფლობა, მეორეა აქტუალური თანხმობა, ერთად ცხოვრების სურვილი, მიღებული მემკვიდრეობის განუყოფელი შენარჩუნების ნება"). ამასთანავე, ისტორიულად ეთნოსები ჩამოყალიბდნენ გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე. ტერიტორიული და ენობრივი ერთობა ეთნოსის ფორმირების უპირველესი პირობა იყო. ტერიტორიული ერთობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ეთნოსის წარმოქმნა და აღწარმოება. ეთნოსისათვის აგრეთვე ნიშანდობლივია სამეურნეო საქმიანობის თავისებურებანი, ყოფისა და ფასეულობით-ნორმატიული სისტემების საერთოობა. თითოეული ეთნოსი გამოირჩევა ყოფის, წეს-ჩვეულების, ხალხური კულტურის, ქცევის ნორმების ტრადიციულობითა და სიმტკიცით. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველი ეთნოსი ეყრდნობა თავის საკუთარ ეთნიკურ კულტურას. ეთნიკური კულტურისა და შესაბამისად, თვითშეგნების გაქრობა ეთნოსის (ან ეთნოსის ნაწილის) გაქრობას იწვევს.

შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი კომპონენტი არ იყოს მკვეთრად დამახასიათებელი ამა თუ იმ ეთნოსისათვის (მაგალითად, ერთ ენაზე შეიძლება რამდენიმე ეთნოსი ლაპარაკობდეს. ერთი კულტურის მატარებელი შეიძლება ორი სხვადასხვა ეთნოსიც იყო), მაგრამ ყოველი ეთნოსისათვის მთავარი და ძირითადი განმსაზღვრელი ეთნიკური თვითშეგნებაა. ეთნიკური თვითშეგნების გარეგანი გამოხატულებაა თვითსახელწოდება (ეთნონიმი). ყოველი ეთნოსი თავის თავს გაიაზრებს სხვა ეთნოსებთან დაპირისპირებაში ("ჩვენ" – "ისინი"). აი, ასეთი ეთნოსები არიან ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, რუსები, სომხები, ირანელები, ჩინელები, იაპონელები და რა თქმა უნდა ქართველები.

ასე რომ, როდესაც საუბარია რომელიმე ეთნოსზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ესა თუ ის ხალხი, ესა თუ ის ერი. ქართველი ხალხი არის ერთი ეთნოსი, ერთი ეთნიკური ერთობლიობა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ დღეს არსებული ეთნოსების (ხალხების, ერების) ნაწილი საკმაოდ დიდი ხნის წინ, საუკუნეების მიღმა წარმოქმნილი. ზოგიერთის ეთნიკური ფორმირება კი შედარებით გვიან მოხდა და დღესაც ჩვენს პლანეტაზე სხვადასხვა ეთნოსთა, ეთნიკურ ერთობათა ფორმირება მიმდინარეობს. საერთოდ, ეთნოსები ჩამოყალიბების შემდეგ როდი იყინებიან, ისინი მუდმივ განვითარებას განიცდიან. მსოფლიოს ეთნოსთა ისტორიას თუ გადავხედავთ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეთნოსები (ხალხები, ერები) მუდმივი კატეგორიები არაა. ისტორიაში ცნობილი არაერთი ეთნოსი (ხალხი) გადაშენდა, არაერთი სხვა, ახალი წარმოიქმნა. ე.ი. ეთნოსებს აქვთ დასაწყისიც და დასასრულიც. ძველი ისტორიიდან ცნობილი ეთნოსებიდან მარადიულობა შედარებით მცირე ეთნოსებმა (ხალხებმა, ერებმა) შეინარჩუნეს. მათ შორისაა ქართული ეთნოსიც, რომლის ფორმირება ისტორიის სიღრმეში მოხდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ქართველური ეთნიკური ერთობა უკვე ჩამოყალიბებული იყო ძველი წ.ა. III და II ათასწლეულების მიჯნაზე (გ. მელიქიშვილი). ამ დროისათვის არსებობდა საერთო ფუძე-ენა სამი დიალექტით, რომლებიც შემდგომ ეპოქებში სამ ენად (ქართული, ზანური, სვანური)

გარდაიქმნა. ერთი საერთო ფუძე-ენის სამ ენად დაშლას თითქმის კანონზომიერად უნდა გამოეწვია ეთნოტრანსფორმაციული პროცესი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეთნიკური პარციაცია (ეთნიკური სეპარაცია), მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. ენობრივი დანაწევრების მოუხედავად, ერთიანი ქართველური ეთნოსი სამ სხვადასხვა ეთნოსად არ დაშლილა. ზანებიც, სვანებიც და ქართველებიც იყვნენ და არიან ერთიანი ქართული ეთნოსის ნაწილები. აქ გადაწყვეტი როლი შეასრულა საერთო ნათესაური წარმომავლობის დიდმა შეგნებამ. ეთნიკური კულტურა სამივე ენაზე მოლაპარაკეთათვის ერთი დარჩა. სვანებიც და მეგრელებიც ისეთსავე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის შექმნაში, როგორსაც ქართველები. რაც ყველაზე მთავარია, ისტორიის გრძელ მანძილზე სვანებს, მეგრელებსა და ქართველებს ერთიან ეთნოსოციალურ ორგანიზმში თანაცხოვრების დიდი სწრაფვა ჰქონდათ. შემთხვევითი არაა XIII-XIV საუკუნეთა სვანურ ლოცვა-ვედრებებში "ერთობილი საქართველოს" მოხსენიება. ასეთი ლოცვა-ვედრება თავის საწყისს საუკუნეების სიღრმეში იღებს და სვანეთი ამ მხრივ გამონაკლისი როლი იყო. მსგავსი რამ საქართველოს ყველა მხარის ჯვარ-ხატების სავედრებლებში გაისმოდა. მაგალითად, მთიულეთის ცხავატის თემის სალოცავ "ცეცხლიჯვარში" დეკანოზი ასე დაილოცებოდა: "ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ქრისტიან კაცს, ჩვენს ხელმწიფეს; დიდებულო ცეცხლიჯორო, მტერს ნუ მორევ ჩვენს საქართველოს და ჩვენ მეფეს. ღმერთო დიდებულო, შენ უშველე, მთელს მთიულეთს, გუდამაყარს და ხანდო-ჭართალს; დიდებულო ცეცხლისჯორო, შენ უშველე ჩვენ თემს და შენს მოსაწირავეთ". მთიულეთის ცენტრალური სალოცავის "ლომისას" დეკანოზის დალოცვიდან: "ღმერთო, უშველე ქვეყნიერებასაო, ქვეყნიერებაში – საქართველოსაო, საქართველოში – მთიულეთსაო, მთიულეთში – მღეთესაო". ამ კონტექსტშია აგრეთვე განსახილველი ის ეთნოგრაფიული მასალაც, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ძირითადი, ცენტრალური სალოცავები და ქართველი მეფეები ერთმანეთს მოძმეებად ითვლებოდნენ.

ამრიგად, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ქართულ-ქართველური ერთეულების შერწყმა-შეერთების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული ეთნოსი (ხალხი, ერი). ქართული "ეთნოსი (ქართველი ხალხი, ქართველი ერი, ქართული ეთნიკური ერთობა) არის საერთო ქართული ეთნიკური კულტურის მატარებელი. ეს ეთნიკური კულტურა და ტრადიციები წარმოიქმნა საუკუნეების სიღრმეში და იხვეწებოდა ისტორიის გრძელ მანძილზე. ასე რომ, საქართველოს ყველა პროვინციაში მაცხოვრებელ ქართველს აქვს საერთო ქართული კულტურა და მის შექმნაში ყველას – ნებისმიერ მხარეში, მთასა თუ ბარში მაცხოვრებელს თავისი გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი. მართალია, საქართველოს თითოეულ კუთხეში მაცხოვრებელთათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ყოფით-კულტურული ნიშნები, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, მაგრამ ისინი განპირობებულია ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებით და საერთო ქართულ ეთნიკურ კულტურას დიდ მრავალფეროვნებას სძენენ. ეს მრავალფეროვნება კი გამოწვეულია საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. ღარიბი და ერთფეროვანი ლანდშაფტის, ერთსახოვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს პირობებში არც ქართული ეთნოგრაფიული სხვაობა გვექნებოდა და არც ამდენი დიალექტი. ქართული ხალხური სიმღერის ისეთი ბრწყინვალე ნაირსახეობანი, როგორებიცაა გურული და მეგრული სიმღერები, გურუასა და სამეგრელოშია წარმოქმნილი, მაგრამ ისინი საერთო ქართულიცაა, რომლებიც ისტორიის გრძელ მანძილზე ყველა ქართველმა გაითავისა, იმიტომ, რომ თავისი სულით ეს სიმღერები წმინდა ქართული სიმღერებია. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს მთაში შექმნილ უნიკალურ ხალხურ პოეზიაზე, რაც შეეხება მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ყოფით ელემენტებს, მათი ზოგიერთი ნაწილის განზოგადება მოხდა, ნაწილისა კი – არა. ესა თუ ის სახვნელი იარაღი თუ ხალხური სატრანსპორტო საშუალება, რომელთა მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა ქართული ეთნოგრაფიული ყოფა, მხოლოდ ამა თუ იმ კუთხისათვის, ხშირად ერთი ხეობისათვის იყო დამახასიათებელი. კულტურის ასეთი

ელემენტები ერთი პროვინციიდან მეორეში ვერ ვრცელდებოდა იმიტომ, რომ თითოეული ეს ელემენტი მიესადაგებოდა იმ გეოგრაფიულ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, რომლებშიც ის წარმოიშვა. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ნიმუში, როგორცაა დარბაზული საცხოვრებელი, დასავლეთ საქართველოს არც ერთ ხეობასა და კუთხეში არ გვხვდება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ზედგამოჭრილი იყო სამხრეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსათვის. დასავლეთ საქართველოში კი ისეთი საცხოვრებელი კომპლექსები გვქონდა, რომლებსაც სამეგრელოს, იმერეთის და გურიის კლიმატი იგუებდა. რაც შეეხება კულტურის ისეთ ელემენტებს, როგორცაა მაგალითად, თუშური ქუდი (ქართლში კახურ ქუდს რომ უწოდებენ) და სვანური ქუდი, რა თქმა უნდა, ისინი სწორედ საქართველოს ამ პროვინციებში წარმოიშვნენ, მაგრამ მათ მალე მთელი საქართველო მოიცვას.

ქართველი ხალხის (ერის, ეთნოსის) საბოლოო ფორმირება მოხდა მას შემდეგ, რაც ჩვენში ქრისტიანული რელიგია გავრცელდა, თუმცა, როგორც შენიშნულია, ქართველ ხალხს იქამდეც ერთი წარმართული რელიგიური სისტემა ჰქონდა. ქრისტიანულმა რელიგიამ დააჩქარა ერთიანი ქართული ეთნიკური კულტურის საბოლოო ჩამოყალიბება; მან ხელი შეუწყო ქართული ეთნიკური კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას, რისი დაგვირგვინებაც გახლდათ ქართული ანბანის შემოღება და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება. ამ დღიდან მოკიდებული ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველისათვის საერთო იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართი იყო ის, სვანი, თუ ზანი. სალიტერატურო ენის პარალელურად კვლავ არსებობდნენ ქართული ენის დიალექტები, რომლებიც ზანურსა და სვანურთან ერთად ხვეწდნენ და ამდიდრებდნენ ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას. ზანიც და სვანიც ქართულ ეკლესია-მონასტრებს აგებდა, ქართული წარწერებით ამშვენებდა მათ და რაც მთავარია იქ ქართულ ხელნაწერებს ქმნიდა და ქართულ ენაზე ლოცულობდა. არავინ საქართველოში არ წერდა თავის დიალექტზე, არავინ არ წერდა სვანურად და ზანურად, საქართველოს პროვინციათა განცალკევებულობის დროსაც კი. ერთიანი ქართული სამწერლობო ენა და მდიდარი მხატვრული ლიტერატურა ყველა კუთხეში მცხოვრები ქართველის საკუთრება იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზი აქვს გასმული იმასაც, რომ ქართული ეთნოსის (ქართველი ერის) საბოლოო ფორმირებაში ქართულ ქრისტიანობასთან, ენასთან და მწერლობასთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული, სოციალური ურთიერთობის მოდელის გავრცელებას, ქართული ფეოდალიზმის განფენას ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (დ. მუსხელიშვილი). აი, ეს იყო ის ჯაჭვი, რომლითაც ქართული ეთნოსი (ქართველი ერი) სამუდამოდ იყო ერთმანეთთან შეკრული და ყოველივე ამის სიმბოლოს ბაგრატიონთა სამეფო გვარი წარმოადგენდა. ჟ.ე. რენანი წერდა: "თანამედროვე ერი ისტორიული შედეგია ერთი მიმართულების მქონე ხდომილებათა ჯაჭვისა. ხანდახან ერთიანობა ხორციელდება რომელიმე დინასტიის მიერ, როგორც საფრანგეთში; სანდახან პროვინციათა ნების პირდაპირი გამოხატვით, როგორც ჰოლანდიაში, შვეიცარიაში და ბელგიაში". დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება ისტორიულად მიმდინარეობდა ზემოთ დასახელებული ორივე ხვდომილების ურთიერთგადაჯაჭვით. ოღონდ, ჩვენს შემთხვევაში, ქრონოლოგიურად მეორე (მხარეთა ურთიერთისაკენ სწრაფვა) წინ უსწრებდა პირველს. რაც მთავარია, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ქართველთა ერთიანობის იდეოლოგია, რაც გამოხატულია "ქართლის ცხოვრებაში" ანუ იგივე "საქართველოს ისტორიაში". "ქართლის ცხოვრების" პირველი ავტორი ქმნის კონცეფციას ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ და ამ ერის (ქართველი ერის) არსებობას მეფე ფარნავაზის დროიდან ასაბუთებს, ერისათვის დამახასიათებელი ისეთი კომპონენტების ერთობლიობით, როგორებიცაა ტერიტორია, ენა, დამწერლობა, საერთო რელიგია ("ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული"; "ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისა"). ამასთანავე, ლეონტი, ფარნავაზის დროს ქართველ

ერში მხოლოდ ქართველები როდი იგულისხმებიან, არამედ ეგრები, აფხაზები, ჰერები და სხვებიც. ისტორიის წერილობითი გაფორმებაც ხომ ქართველი ერის ჩამოყალიბების მომასწავებელი იყო და ის ამ ერის ისტორიის ასახვით, მის მომავალ ინტერესებს ემსახურებოდა, მაფს აბამდა ეთნოსის წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.

საქართველოს ყველა პროვინციაში მცხოვრებნი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობაში იყვნენ. რაც აკლდა ერთს, ჰქონდა მეორეს, რაც ჰქონდა მესამეს, არ ჰქონდა მეოთხეს და ა.შ. საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებნი დანაკლისს ერთმანეთს შორის არსებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდნენ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო ერთიანი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო და ხშირად სამეურნეო ცხოვრებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობები პოლიტიკურ ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს ნაკლებად ექვემდებარებოდა. ამ თვალსაზრისით მას ერთი მშვენიერი მაგალითი მოაქვს საქართველოს ისტორიიდან: “XVIII საუკუნეშიც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (იხ. მისი “საქართველოს საზღვრები”..., გვ. 42). მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ აღნიშნული კუთხე დანარჩენ საქართველოსთან მხოლოდ მიწათმოქმედების მხრივ არ იყო დაკავშირებული. არსებითი მნიშვნელობისა იყო მესაქონლეობის მეურნეობრივი ურთიერთობაც. რაკი ისტორიულად ქართველ მეცხვარეებს ცხვარი და საქონელი სამხრეთ საქართველოს საზაფხულო სამოვრებზე დაჰყავდათ, ეს ტრადიცია, თურქების მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ხშირად მთიელს ბარში ჰქონდა მიწები საქართველოს მტრებთან ბრძოლაში დამსახურებისათვის ქართველ მეფეთა მიერ ბოძებული. ბევრ ბარელს მთაში ჰქონდა ძირი – სალოცავი. მთიელები თავისუფალ დროს სამეურნეო დანაკლისს, ბარში სეზონური სამუშაოებით ივსებდნენ. მთელ საქართველოს ასე იყვნენ მოდებული სვანები და რაჭველები, რომლებიც ოდითგანვე ყველაზე დაშორებულ პროვინციებში (სამცხე, კახეთი) სეზონური მუშაობით ირჩენდნენ თავს. ამასთანავე, მთიელს ზედმეტი პროდუქტი ბარში ჩამოჰქონდა სარეალიზაციოდ. ასეთი ტიპის ურთიერთობები ქმნიდა და ამტკიცებდა ერთიან ქართულ ეთნიკურ კულტურას, წესჩვეულებებს, ერთიან ეთიკურ-ფასეულობით ნორმებს, ქართულ ხასიათს.

შემჩნეულია და დადგენილია, რომ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ისტორიულ-ეთნოგრაფიული) მხარეების მოსახლეობა უძველესი დროიდანვე ერთმანეთში ადგილმონაცვლეობდა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ქართული ეთნოსისა და ქართული ეთნიკური კულტურის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ქვეყნის მოსახლეობის შიდა მიგრაციულმა პროცესებმა. მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთსა და ბარში ჩამოდიოდა საცხოვრებლად (მაგალითად, ათეულობით გვარი შეიძლება დავასახელოთ დღევანდელ სამეგრელოში, რომლებსაც სვანური წარმოშობა აქვთ). დემოგრაფიულად კატასტროფის პირამდე მისული ბარისათვის ზოგჯერ ქართული მოსახლეობის აღწარმოების ერთადერთი გზა სწორედ ეს იყო. ბარელსაც არაერთგზის შეხვდებოდით მთაში, როდესაც ხშირი თავდასხმების დროს თავის გადარჩენის ერთადერთი გზა მთის პროვინციებში შეხიზვნა იყო. არაერთი ბარელი იქვე ევანებოდა სამუდამოდ. ისტორიის ერთ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ავსებდა დასავლეთ საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას; სხვა დროს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა აწონასწორებდა აღმოსავლეთ საქართველოს დემოგრაფიულად მძიმე სურათს. ინტენსიური იყო ქართველთა მიგრაცია სამხრეთ საქართველოდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (ჯავახები – ქართლში, მესხები – იმერეთსა და გურიაში, შავშელ-კლარჯელები – გურიასა და აჭარაში) და პირიქით. როგორც აკად. ნ. ბარძენიშვილი შენიშნავდა, ახლანდელი საქართველოს მოსახლეობა მის

ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია, “ძველი ტომურ-ნათესაობით სიწმინდით დღემდე არც ერთ კუთხეს არ მოუღწევია”. მოსახლეობის ასეთ ცვლილებას (ურთიერთშეღწევას) საქართველოს ვერც ერთი მხარე ვერ ასცდა. ყველგან “თავდაპირველი მოსახლეობა სახემეცვლილია და ვინ იცის რამდენი “ნათესავის” შერწყმის ნაყოფია თითოეული მათგანის აწინდელი აბორიგენი” (ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 230). საქართველოს არც ერთ კუთხეს არასოდეს ჩაკეტილად, მხოლოდ თავისი ცხოვრებით არ უცხოვრია. მხოლოდ ზამთარში თუ მოწყდებოდა ხოლმე მთის პროვინციები ბარის პროვინციებს.

ყველაფერზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ქართული ეთნიკური კულტურის შესახებ ზოგადად თქმულიც საკმარისია. ზემოთქმულის მოტანა დაგვჭირდა იმისათვის, რათა ხაზი გაგვესვა, რომ ქართველი ხალხი არის ერთი ეთნოსი ერთიანი და მტკიცე ეთნიკური კულტურით და რომ საქართველოს ამა თუ იმ ხეობასა და მხარეში, ანუ ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) კუთხეში მცხოვრებნი არც ცალკე ხალხი შეიძლება იყოს და არც ცალკე ეთნოსი და არც ცალკე ეთნიკური ერთეული (ეთნიკური ერთეული უდრის ეთნოსს ვიწრო მნიშვნელობით). უნდა გვახსოვდეს, ქართველი ხალხი არის ერთი ეთნიკური მთლიანობა, ერთი ეთნოსი და აღნიშნული ტერმინების ხმარება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში (მხარეში) მცხოვრებთა აღსანიშნავად გაუმართლებელი და დიდი უხერხულობის შემქმნელია. თუ ჩვენ დავამკვიდრებთ ასეთი ტერმინების ხმარებას აჭარლების, გუდამაყრელების, გურულების, თუშების, იმერლების, ინგილოების, კახელების, ლეჩხუმელების, მეგრელების, მესხების, მთიულების, მოხვევების, რაჭველების, სვანების, ფშაველების, ქართლელების, ხევსურების, ჯავახების მიმართ, მაშინ, რაღას ვერჩით სხვას, გარეშეს, რომელმაც აღნიშნული ეთნიკური ნომენკლატურა შემოგვაპარა და ჩვენ მას გაუაზრებლად დავეწაფეთ? მეტროპოლია, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენ შევდიოდით, გეგმაზომიერად ცდილობდა ქართული ეთნოსის (ქართველი ერის) დანაწევრებას სხვადასხვა ეთნოსებად, ეთნიკურ ერთეულებად; ცდილობდნენ ქართველი ერი წარმოედგინათ სხვადასხვა ხალხების ხელოვნურად შეკოწიწებულ კრებულად. მარტო ის რად ღირს, რომ ერთი პატარა სათავადოს – სამურზაყანოს მცხოვრებთ, მეფის რუსეთი “ნაროდნოსტის” გრაფაში სამურზაყანოელს უწერდა, რომ არაფერი ვთქვათ, ცალკე მეგრელების და სვანების, ფშაველების და ხევსურების, იმერლების და გურულების, აჭარლების და ინგილოების ეროვნებებად მოხსენიებაზე.

ამდენად, ყველა ქართველს, რომელ კუთხეშიც უნდა ცხოვრობდეს ის, თავი ერთიანი ქართული ეთნოსის (ერის) წარმომადგენლებად გვაქვს გააზრებული და აღარასოდეს არ უნდა ვიხმაროთ აღნიშნული ეთნიკურ-ეთნოლოგიური ნომენკლატურა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთა აღსანიშნავად.

ასევე გაუმართლებელია ტერმინ “ტომის” ხმარება. ტომებს ძირითადად უწოდებენ პირველყოფილი საზოგადოებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროინდელ ეთნოსებს, ეთნიურ ერთეულებს. ქართველი ხალხი დიდი ხანია გასცდა აღნიშნულ ფორმაციებს, კლასობრივ საზოგადოებაში ცხოვრობს და ტერმინ “ტომის” ხმარება საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთა აღსანიშნავად ასევე მიუღებელია და გაუმართლებელია. აქ შეიძლება ნ. ბერძენიშვილის ავტორიტეტი მოვიხმოთ. ის წერდა, რომ ადრეფეოდალური პერიოდისათვის ძველი ქართული (ქართველური) ტომები უკვე აღარ არსებობდა. “ფეოდალურ საქართველოს დიდი საქმე გაეკეთებინა. გაექრო ზოგი თემი – აფშილები, გურულები, ეგრისის დიდი ნაწილი (სამოქალაქო, არგვეთი), მესხები, ჰერები, კახ-კოხები” (ტ. VIII, გვ. 146). რაც შეეხება სხვებს (სვანებს, ზანებს) ისინი მათ ფეოდალურ ნაწილში იყვნენ გაქართველნი. მეცნიერი ასკვნიდა: “ძველი ტომობრივი ერთეულები ახლა უფრო ისტორიულ მონაგონარს წარმოადგენდა, ვიდრე რეალურ ვითარებას” (იქვე). “კლასობრივი ურთიერთობა არღვევს ტომობრივ ზღუდეებს და ტომებს ეროვნებად აყალიბებს” (გვ. 149). “ეს ქართულ-ქართველური ტომები უძველესი, წინაფეოდალური ამბავია. ქართველი

ეროვნების წარმოქმნა მონათმფლობელურ ხანას მიეკუთვნება, ქართული ფეოდალური ეროვნება ჩ.წ. IV საუკუნიდან ისახება და VII ს-ში იმარჯვებს” (გვ. 150).

ახლა “ეთნიკური ჯგუფის” შესახებ. ეს ტერმინიც ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ იხმარებოდა და იხმარება “ხალხის”, “ერის”, “ტომის” აღსანიშნავად. ამ გაგებით ხმარობდა აღნიშნულ ტერმინს XIX-XX სს. მიჯნაზე ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი ჟ. დენიკერი. ბოლო პერიოდში კი მეცნიერებაში “ეთნიკურ ჯგუფს” ძირითადად ხმარობენ იმ ეთნოსთა (ხალხთა, ერთა) ნაწილის აღსანიშნავად, რომლებიც თავის ეთნოსოციალურ ორგანიზმს, ძირითად საცხოვრებელ ტერიტორიას არიან მოწყვეტილი. ასეთი ეთნიკური ჯგუფები მოსახლეობის მიგრაციის შედეგად წარმოიქმნებიან ხოლმე და თავისი ეთნოსის (ერის) ნიშანთვისებებს, პირველ რიგში ენას, ეთნიკურ კულტურას, ტრადიციას, ეთნიკურ თვითშეგნებას არ კარგავენ. სომეხთა ეთნიკურ ჯგუფებს უწოდებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსახლებულ სომეხებს. ეთნიკური ჯგუფი შეიძლება ეწოდოს საქართველოში მცხოვრებ ქურთებს და აისორებს, რომლებიც აქ მიგრირებულნი არიან და მოწყვეტილად ცხოვრობენ თავიანთი ეთნოსის ძირითადი საცხოვრებელი ტერიტორიიდან. ამ თვალსაზრისით ქართველთა ეთნიკური ჯგუფია, ირანში კომპაქტურად მცხოვრები ფერეიდნელი ქართველები, რომლებმაც ენა და ქართული ეთნიკური თვითშეგნება შეინარჩუნეს, უცხო ეთნიკურ-რელიგიურ გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად. ხალხის, ერის (ე.ი. ეთნოსის) რომელიმე ტერიტორიული დანაყოფის მიმართ ტერმინ “ეთნიკური ჯგუფის” ხმარება მიუღებელია. ჯერ ერთი, “ეთნიკური” უკვე სხვა ეთნოსს, სხვა ეთნიკურ ერთეულს გულისხმობს და მეორე, ქართული ენა ვერ იტანს ეთნოსისა და მისი ტერიტორიული ერთეულის მიმართ სიტყვა “ჯგუფის” ხმარებას. ქართულში “ჯგუფს” სულ სხვა შინაარსი და დატვირთვა აქვს.

როგორც ჩანს, ჩვენმა ავტორებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება სხვა ტერმინებიც, მაგალითად, “სუბეთნოსი”, თორემ, რა დაუშლიდათ, მასაც ხარბად დაეწაფებოდნენ და საქართველოს სხვადასხვა მხარეებში მცხოვრებთ ამ ნომენკლატურითაც შეამკობდნენ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტერმინიც ჩვენთვის უაღრესად საშიში ტერმინია და ქართველი ხალხის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) კუთხეებში მაცხოვრებლებს ის არ უნდა ვუწოდოთ. “სუბეთნოსებს” ძირითადად უწოდებენ ყოფილ ეთნოსებს, რომლებიც სხვა ეთნოსების შემადგენლობაში შევიდნენ და ერთგვარ თავისთავადობას კვლავ ინარჩუნებენ. ქართველი ხალხი (ქართველი ერი, ქართველი ეთნოსი), ერთი ქართულ-ქართველური ერთეულების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა და მის სხვადასხვა ტერიტორიულ-დიალექტურ ერთეულებს ამ ტერმინით ვერ მოვწათლავთ. თუმცა, არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ ქართველი ერის შემადგენლობაში, მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არა ერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც შემოვიდა, მაგრამ ეს, ძირითადად, შემოჟონვის გზით ხდებოდა, სხვათა ქართულ ეროვნულ ორგანიზმში ინდივიდუალური შემოსვლით. ყოფილა შემთხვევა, რომ ქართულმა ეთნოსმა თავის შემადგენლობაში სხვა ეთნოსებიც (ეთნოსთა ნაწილი) მოაქცია, მაგრამ იმ ყოფილი ეთნოსებისაგან ქართულ სინამდვილეში არც სახელი დარჩენილა და არც სხვა რამე. ქართველებიც არაერთგზის შესულან სხვა ეთნოსთა შემადგენლობაში. საერთოდ, ხაზი უნდა გაესვას, რომ მსოფლიოში სუფთა სისხლის ერები არ არსებობენ. შენიშნულია, რომ "ევროპის მოწინავე ერები ისინია, რომელთაც სისხლი საფუძვლიანად არეული აქვთ" (რენანი).

არის მცდელობა, ჩვენს პროვინციათა მცხოვრებლებს უწოდონ "ეთნოგრაფიული ჯგუფი". ჩვენი აზრით ამ ტერმინის მცდარობის შესახებ სამართლიანად მიუთითა პროფ. მ. გეგეშიძემ. ზემოთ ვთქვით, რომ ხალხის, ერის, ეთნოსის ერთ გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე მცხოვრებთა აღსანიშნავად სიტყვა "ჯგუფის" ხმარება ქართულ ენაში მიუღებელია, როგორც ეთნოგრაფიული და დიალექტური თავისებურებებითაც არ უნდა ხასიათდებოდნენ ისინი. თუ

მაინცდამაინც ასეთი ტერმინების ხმარება აუცილებელია, შეიძლება გამოვიყენოთ "ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეული", მაგრამ უმაგისოდაც გავალთ ფონს.

მსოფლიოს ხალხებისადმი მიძღვნილ, საცნობარო-ენციკლოპედიურ გამოცემებში აღნიშნულია (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ერთტომეული, «Народы мира», историко-этнографический справочник, главный редактор Ю.В. Бромлей, М., 1988), რომ ეთნოსები (ხალხები, ერები) ძირითადად ორად არიან დაჯგუფებული: 1. მაღალი განვითარების ეთნოსები (ხალხები, ერები) და 2. თავისი განვითარებით ჩამორჩენილი ეთნიკური ერთეულები, ეთნოსები, რომლებიც მყარ ეროვნულ ორგანიზმად ჯერ არ არიან ჩამოყალიბებულნი. საერთოდ, თითქმის ყველა ეთნოსში (ხალხში, ერში) გამოიყოფა ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეულები. ეს შეიძლება ითქვას მაგალითად, ფრანგებზეც, გერმანელებზეც, იტალიელებზეც, ესპანელებზეც... ენციკლოპედიურ ლექსიკონში კი სიტყვა არაა დაძრული მათ "სუბეთნოსებსა", "ეთნიკურ ჯგუფებსა" და "ეთნოგრაფიულ ჯგუფებზე", მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებში აშკარად გამოიყოფიან ასეთი ტერიტორიული ერთეულები ბავარიელების, საქსონელების, პრუსიელების და სხვათა სახით, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი (პრუსიელები) თავდაპირველად არაგერმანული (ბალტიური) ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც გერმანული ეთნოსის მიერ იქნენ ასიმილირებულნი. სამაგიეროდ, სხვა ეთნოსებში, და მათ შორის, ქართველებში, გამოიყოფენ სუბეთნოსებს (სუბეთნიკურ ჯგუფებს), ეთნიკურ ჯგუფებს და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. რა გამოდის? ქართველები არა ვართ მყარი ეროვნული ორგანიზმი?

შეიძლება სხვებს ასე ეგონათ. ხანდახან იმ სხვებს იქნებ ჩვენ თვითონაც ვაძლევთ ამის საბაზს. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ქართველობა, როგორც მყარი ეროვნული ორგანიზმი, ერთიანი ეთნოსი, საუკუნეების მიღმაა ჩამოყალიბებული ქართულ მიწა-წყალზე მაღალგანვითარებული ენითა და ეთნიკური კულტურით, ზნე-წყესითა და ტრადიციით, ეთნიკურ-ფასეულობითი სისტემითა და რაც მთავარია, ეთნიკური თვითშეგნებით. ამდენად, ჩვენ მაინც ნუ ვიხმართ ისეთ ეთნიკურ-ეთნოლოგიურ ნომენკლატურას საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) მხარეებში მცხოვრები ქართველების აღსანიშნავად, როგორებიც არიან აჭარლები, გუდამაყრელები, გურულები, თუშები, იმერლები, ინგილოები, კახელები, კლარჯელები, ლეჩხუმელები, მეგრელები, მესხები, მთიულეები, მოხევეები, რაჭველები, სვანები, ფშაველები, ქართლელები, შავშელ-იმერხეველები, ხევსურები, ჯავახები. დიდ ივანე ჯავახიშვილს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ქართველების აღსანიშნავად არასდროს არ უხმარია ისეთი ტერმინები, რომელთა შესახებაც გვქონდა საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნომენკლატურა მის დროს სამეცნიერო მიმოქცევაში უკვე შემოსული იყო და მისი არსებობა მეცნიერმა, რა თქმა უნდა, იცოდა. ის გურულებისა თუ მეგრელების, სვანებისა თუ კახელების, რაჭველებისა თუ ფშაველების და მისთანათა აღსანიშნავად მხოლოდ და მხოლოდ ტერმინ "თემს" ხმარობდა. ამავე ტერმინით სარგებლობდა მიხაკო წერეთელიც. ეს ტერმინი ("თემი") არაერთხელ აქვს გამოყენებული ბერძენიშვილსაც. იგი აღნიშნული ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეულების სახელწოდებებს, კუთხურსადაურობის აღმნიშვნელ ტერმინებს, უბრალოდ ეთნოგრაფიულ ტერმინებს უწოდებდა. ამრიგად, ქართველი ერი (ქართველი ეთნოსი), ისევე როგორც სხვები, ხანგრძლივი წარსული ცხოვრების, მსხვერპლის და თავგანწირვის, ძალისხმევისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად მიღებული ეთნოსოციალური ორგანიზმია და მისი რაიმე ნიშნით დაშლის მცდელობას ყოველმხრივ უნდა აჯუღკეთოთ.

ეს წერილი პროფ. მ. გეგეშიძის დასახელებული წიგნიდან ამონაწერით უნდა დავამთავროთ: "... ჩვენში ეთნიკური ნომენკლატურის ხმარება-გამოყენება ამჟამად სრულ ნებისმიერობაზე არის დამყარებული, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი. მაგალითად, არასწორია, როცა ხევსურებს, ქართლელებს, იმერლებს თუ სხვა მსგავს ჯგუფებს, ეთნიკურ ერთეულებს ანდა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს უწოდებენ. ეთნიკური ერთეული გენეტიკური

თვალსაზრისით მთლიანი, ერთიანი მოცულობაა და იგი შეიძლება მხოლოდ ეთნიკურ მთელს ეწოდებოდეს – ამ შემთხვევაში ქართველ ხალხს. ქართველი ხალხი იგივე ქართველი ეთნოსია, იგივე ეთნიკური ერთეულია, მაგრამ ხევსურები, ქართლები, იმერლები და სხვა ქართველები არ შეიძლება ცალკე ეთნიკური ერთეულები, ცალკე ეთნოსები იყვნენ. აკი ამიტომაც არ ვამბობთ (და ვერც ვიტყვით) "ხევსური ხალხი", "ქართლელი ხალხი", "იმერელი ხალხი" და სხვ. ამ შემთხვევაში "ხალხი" ეთნოსის ანუ ერის ცნებას გაუტოლდებოდა და "ქართველი ხალხის" საპირისპირო გაგებას მივიღებდით. რად გვჭირდება ეს?

მართლაც, რად გვჭირდება ეს და რისთვის ვიტყვივით ქართველები აუტკივარ თავს?

ხ ა ლ ხ თ ა (ე თ ნ ო ს თ ა) ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა ნ ი _ ე თ ნ ო ნ ი მ ე ბ ი *

დედამიწაზე ისტორიულად არსებულ ყველა ხალხს (ეთნოსს) საკუთარი სახელი ჰქონდა. ხალხთა (ეთნოსთა) სახელებს მეცნიერები ეთნონიმებს (ბერძნ. ethnos_ხალხი და onyma_სახელი) უწოდებენ. ეთნონიმი ხალხის ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების, იდენტობის გამოხატულებაა. რადგან ეთნონიმის წარმოქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ისტორიასთან, ამიტომ ხალხთა საკუთარი სახელების შესწავლა გვეხმარება გავარკვიოთ მათი წარმოშობის საიდუმლოებანი და სხვადასხვაგვარი ეთნიკური კავშირები. ეთნონიმების ისტორიული სემანტიკის გარკვევა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზითაა შესაძლებელი. მაგრამ ეთნონიმიკურ კვლევაში საუკეთესო შედეგის მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ეთნონიმების ლინგვისტურ ანალიზთან ერთად მკვლევარები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ მონაცემსაც (ეთნონიმების ერთი ნაწილი ისტორიულ წყაროებში ძალიან ბევრჯერაა მოხსენიებული, ზოგიერთი მხოლოდ ერთჯერაა დაფიქსირებული. უამრავი ეთნონიმი კი მხოლოდ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ტექსტებში შეიძლება მოვიძიოთ). თავდაპირველად ეთნონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული ხალხის სახელის აღმნიშვნელი არც იყო. ისინი საზოგადო სახელები იყო. ამავე დროს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბევრი ეთნონიმის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო "ადამიანები", "ხალხი". ამგვარი მნიშვნელობა ჰქონია თავდაპირველად გერმანელთა თვითსახელწოდებას "Deutsche"-ს, "ნოხჩოს", "ნენცს", "ნიცხს", "აინუს" და ა.შ.

ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი) შეიძლება მომდინარეობდეს ტერიტორიის სახელიდან (ტოპონიმიდან), რომელზედაც ის ცხოვრობს. მაგალითად, კავკასიელი ჩაჩნებისა და ინგუშების სახელწოდებანი დასახლებული პუნქტების "ჩაჩანაულის" და "ანგუშტის" (თანამედროვე კაზაკთა სოფელი "ტარსკაია" ოსეთში) სახელწოდებებიდან მომდინარეობს (ორივე ეთნონიმი ხალხთა გარე სახელწოდებაა ანუ ეგზოეთნონიმია. პირველნი თავიანთ თავს "ნოხჩოს" უწოდებენ, მეორენი – "ღალღაის", შესაბამისად, ქართული წყაროების "მურძუკები" და "ღლიღვები". მათივე აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმია "ქისტიც"). უკრაინელთა სახელი ყოფილი რუსეთის იმპერიის ისტორიული ტერიტორიის სახელიდან მომდინარეობს (Украина – განაპირა მხარე). ეს სახელი უკრაინელებს რუსებმა შეარქვეს. თვით უკრაინელები თავიანთ თავს ჯერ კიდევ XVII ს-ში "რუსებს" უწოდებდნენ და ძველ რუსთა ნამდვილ შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მაშინ "უკრაინელს" ეთნიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა და ის უბრალოდ მხოლოდ განაპირა მხარის მკვიდრთ აღნიშნავდა. ტოპონიმი უდევს საფუძვლად რუსთა უკრაინულ და პოლონურ სახელწოდებას "მასკალ" (ე.ი. მოსკოველი). ეთნონიმი "აზერბაიჯანელი" კი ძველი ირანის პროვინციის ატროპატენის სახელწოდების სახეცვლილი ფორმიდანაა მიღებული. ისტორიაში დადასტურებულია საპირისპირო

* მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

ფაქტებიც: გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) მიღებულია ეთნონიმებისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, ამ რიგის მაგალითად "საქართველო" შეიძლება დავასახელოთ: "ქართველი" → "სა-ქართველო", თუმცა "ქართველი", როგორც ეთნონიმი, ქვეყნის სახელიდან (გეოგრაფიული სახელწოდებიდან) – "ქართლი" იყო წარმოქმნილი. ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ამა თუ იმ ეთნოსმა სახელწოდება ცნობილი მმართველთა საკუთარი სახელებიდან მიიღო. მაგალითად, შეიძლება ეთნონიმები "უზბეკი" და "ნოღაელი" დავასახელოთ. ისინი მომთაბარე ტომობრივი ჯგუფების ხანთა საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს. როგორც მეცნიერებაში აღიარებულია, ნოღაელები ერთ დროს ძლიერი თურქულენოვანი ხალხის "გუზების" შთამომავალნი არიან, რომლებიც ჯერ კიდევ X-XI სს-ში კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, მდინარეების ვოლგასა და ურალს შორის ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ.

მსოფლიოს ძალიან ბევრ ხალხს რამდენიმე სახელი აქვს. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ეთნონიმია საკუთარ სახელებს შორის (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები) ერთადერთია, რომელიც აუცილებელი პარალელიზმით ხასიათდება. ეთნონიმთა შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი აუცილებლად თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია), მეორე კი გარესსახელწოდებაა (ეგზოეთნონიმია). მაგალითად, ქართველები ქართველს მხოლოდ ჩვენ თავს ვუწოდებთ. ამ სახელით საქართველოს ტერიტორიის გარეთ არავინ არ გვიცნობს. სომხებისათვის "ვრაც"-ები ვართ (მველსომხურად "ვირკ"), რუსებისათვის – "გრუზინ"-ები, ირანელებისა და თურქებისათვის (აგრეთვე მაჰმადიანი ჩრდილოკავკასიელებისათვის) – "გურჯ"-ები, ფრანგებისათვის – "ჟეორჟიენ", ესპანელებისათვის – "ხეორხიანოს", ინგლისელებისათვის – "ჯორჯიან". ყაზარდოელებისათვის ქართველი "სონე"-ა, ბალყარელისათვის – "ეზზე". გერმანელთათვის სახელწოდებაა (ენდოეთნონიმია) "დოიჩ", რუსები მათ "ნემეც"-ს უწოდებენ, ინგლისელები – "ჯიომენ"-ს, ფრანგები "ალემან"-ს, იტალიელები – "ტედესკო"-ს, ფინელები – "საქსალაინენ"-ს, სერბები – "შვაბ"-ს. რაც შეეხება ეთნონიმს "გერმანელი", ის სხვადასხვა ხალხში კელტებიდან გავრცელდა. ამრიგად, ეთნონიმებიდან აშკარად ჩანს, რომ ამა თუ იმ ეთნიკური სახელის მატარებლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ერთიანობა და რომ სხვა ეთნოსებს ისინი სახელით (ეთნონიმით) უპირისპირდებიან (ფორმულა "ჩვენ" – "ისინი"). ყველა ეთნოსი სახელით გამოარჩევს თავის თავს სხვა ეთნიკური ერთობებისაგან.

საისტორიო ტრადიციით ეთნონიმთა ნაწილი წინაპრის სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სომეხთა თვითსახელწოდებაა "ჰაი". სხვები სომეხებს ძირითადად "არმენ"-ების სახელით იცნობენ (თურქულენოვანი ხალხებისათვის ისინი "ერმენლი"-ს წარმოადგენენ). სომხური საისტორიო ტრადიციითაც სომეხები ორი ძმის "ჰაიკის" და "არმენიკის" შთამომავალნი არიან. გადმოცემით ყაზარდოელების მამამთავარს სახელად ერქვა "ყაზარდა", რომელმაც თავისი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მიიყვანა. ეთნონიმიც აქედან მომდინარეობს. ქართული საისტორიო ტრადიციითაც ეთნონიმი "ქართველი" ეთნარქიდან – "ქართლოსი" მომდინარეობს, თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა და ამდენად დამაჯერებლობას მოკლებულია.

ეთნონიმთა უმეტესობა დროთა განმავლობაში გავრცელების არეს იცვლიდა. თავდაპირველად ესა თუ ის ეთნონიმი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილის, პატარა ჯგუფის აღმნიშვნელი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ ეთნონიმი – "ქართველი" შეიძლება დავასახელოთ. "ქართველი" თავდაპირველად საქართველოს ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ქართლის მკვიდრს აღნიშნავდა. შემდეგ ეს ეთნონიმი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებზე გავრცელდა, ის მიეკუთვნა იმერელსაც, მეგრელსაც, სამცხელსაც, ტაოელსაც, აფხაზსაც, დვალსაც, სვანსაც, კახელსაც, ჰერსაც, ფხოველსაც..., რადგან ქართული ტომების არა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში (სახელმწიფოში), არამედ ერთ კულტურულ-ისტორიულ არეალში გაერთიანება მოხდა ქართლისა და ქართლელთა გარშემო.

ასე გაიფართოვა გავრცელების არეალი ეთნონიმმა "ფრანგი". თავდაპირველად ის დღევანდელი საფრანგეთის ერთი პროვინციის, მეფის დომენის, ილ-დე-ფრანსის მაცხოვრებლებს მიეკუთვნებოდა. შემდეგ აღნიშნული ეთნონომი სხვა პროვინციების: ნავარას, ბეარნის, ბურგუნდიის, აკვიტანიის, ელზასის, ლოტარინგიის, პროვანსის მკვიდრებზედაც გავრცელდა. IX ს-მდე "ჩეხები" დასავლეთ სლავების ერთ პატარა ტომს ეწოდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ მრავალი სლავური ტომი გააერთიანეს, ახალმა ეთნიკურმა ერთობამ გამაერთიანებელი ჩეხების სახელწოდება მიიღო, გაერთიანებული ტომების სახელწოდებანი კი გაქრა. სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, უნდა დავასკვნათ, რომ ხშირად ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება მთელ ხალხებს გადაეცემა. იგივე შეიძლება ითქვას ეგზოეთნონიმებზეც. მაგალითად, ფრანგებისათვის გერმანელები "ალემანები" არიან, ლატვიელებისათვის რუსები – "კრივიჩები". ალემანები გერმანელთა ერთ-ერთი ტომობრივი გაერთიანება იყო, რომლებთანაც ფრანგებს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ. კრივიჩები კი ლატვიელებთან ახლოს განსახლებული ერთ-ერთი აღმოსავლეთ-სლავური ტომი გახლდათ.

რადგან ეთნოგრაფიული ჯგუფები ვახსენეთ, ორიოდ სიტყვით მათი სახელწოდების შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. ხალხთა (ეთნოსთა) უმეტესობა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იყოფა, რომელთა წარმოქმნა განპირობებულია ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული ცხოვრებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ერთი სიტყვით, ეთნოსთა ეს დანაყოფები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყოფა-ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით სპეციფიკურობით ხასიათდება. ამავე დროს ყველა ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელია შესაბამისი დიალექტი, კილოკავი ანდა ენობრივი განსხვავებულობაც კი. ესპანელთა ეთნოგრაფიული ჯგუფები არიან: კასტილიელები, ასტურიელები, ლეონელები, ესტრემადურიელები, არაგონელები, ანდალუსიელები, ვალენსიელები.....იტალიელებისა – ვენციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები, სიცილიელები. დასახელებული ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებანი ეთნონიმები არაა (ზოგჯერ არასწორად მათ ეთნონიმებად წარმოიდგენენ). ეთნონიმებია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ჯგუფების გამაერთიანებელი სახელწოდებანი – ესპანელები, იტალიელები. იგივე შეიძლება ითქვას ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებებზეც (ქართლელი, კახელი, იმერელი, აჭარელი, გურული, მეგრელი, სვანი, მესხი, ჯავახი).

მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ხშირად ეთნონიმი არა მხოლოდ ფონეტიკურად იცვლებოდა, არამედ ობიექტსაც იცვლიდა. დადასტურებულია არაერთი შემთხვევა ეთნიკური კონტაქტების შედეგად ეთნონიმის ერთი ხალხიდან მეორე ხალხზე გადაცემისა. ასეთ შემთხვევაში ხშირად ეთნონიმების **ბულგარელის, ფრანგის, რომაელის** და სხვათა მაგალითები მოჰყავთ. დღეს ბულგარელები სლავები არიან. თავდაპირველად კი ეთნონიმი "ბულგარელი" თურქულენოვანი ხალხის სახელწოდება იყო, რომლებიც ვოლგისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარეობდნენ. თრაკიაში სლავი ტომები თურქმა ბულგარელებმა დაიპყრეს. მათ აქ სახელმწიფოც შექმნეს და ზედა ფენასაც ისინი წარმოადგენდნენ. ქვეყანას "ბულგარეთი" ეწოდა და ქვეყნის მკვიდრნიც "ბულგარელებად" იწოდნენ (მოსული ბულგარელები სლავებში გაითქვიფნენ). ბულგარელთა ეთნონიმმა განვითარება ჰპოვა აგრეთვე სხვა თურქულენოვან ხალხში – ბალყარელებში, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მკვიდრნი არიან. გერმანულენოვანმა ფრანკებმა რომანიზებული გალია დაიპყრეს. რომანიზებული გალების თვითსახელწოდება (და ეგზოეთნონიმიც) "ფრანსე" ("ფრანგი") გახდა. მაკედონიელები დღეს სლავები არიან, მაგრამ ოდესღაც დღევანდელი მაკედონიის ტერიტორიაზე სხვა ხალხი – მაკედონიელები ცხოვრობდნენ (ალექსანდრე მაკედონელი ამ ეთნოსის წარმომადგენელი იყო), რომელთაც არავითარი საერთო არც ეთნიკური კულტურის, არც ენობრივი თვალსაზრისით არ ჰქონდათ დღევანდელ მაკედონიელებთან. მაკედონიის ტერიტორიაზე VI ს-ში მოსულმა სლავებმა აქ ანტიკურ პერიოდში მცხოვრები ხალხის ეთნონიმი საკუთარ ეთნონიმად აქცია. ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბალტიელი ხალხი – პრუსები (ლიტველებისა და

ლატვიელების მონათესავენი) მკვიდრობდნენ. XII-XIII სს-ში მათი ტერიტორია გერმანელებმა დაიკავეს. პრუსების ნაწილი გერმანელებმა გაანადგურეს, ნაწილი კი ასიმილირებულ იქნა. პრუსიის მიწაზე შექმნილი გერმანული სახელმწიფო “პრუსიად” იწოდა და აქ მცხოვრები გერმანელები – “პრუსიელებად”. დადგენილია, რომ ეთნონიმი “რუსი-როსი” არასლავურია. სხვადასხვა ჰიპოთეზებს შორის რუსულ მეცნიერებაში დღეს უპირატესობა ენიჭება თეორიას, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ეთნონიმი თავდაპირველად ირანული ტომების საკუთრება იყო და ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობის სლავიზაციის შედეგად მათი ეთნიკური სახელწოდება სლავების მიერ იქნა შეთვისებული (ვ. სედოვი). თუმცა დასავლურ ისტორიოგრაფიაში ისევ ძველ-როსების გერმანული წარმომავლობის თეორიას ენიჭება უპირატესობა (ჯეფრი ჰოსკინგი). როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ეთნონიმის შინაარსის კარდინალური შეცვლა ძველი ისტორიის პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, მცირე აზიაში თავდაპირველად **ხატები** მკვიდრობდნენ. მათი ეთნიკური რაობისა და ენის შესახებ არაფერია ცნობილი. ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისში ისინი ინდოევროპელებმა დაამარცხეს. გამარჯვებულებმა დამარცხებულთა ეთნონიმი “ხეთ”-ის ფორმით მიიღეს. ამრიგად, აშკარაა, რომ ეთნონიმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ისტორიის ერთ ეტაპზე ესა თუ ის სახელწოდება თუ ერთ რომელიმე ხალხს აღნიშნავდა, მეორე ეტაპზე – მეორეს და, შესაძლებელია, მესამე ეტაპზე მესამე, სრულიად სხვა ხალხი აღნიშნოს. აქედან გამომდინარე, მკვლევარებს დიდი სიფრთხილე მართებთ, როდესაც საისტორიო წყაროებში ამა თუ იმ ეთნონიმს ამოიკითხავენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურა, რომელშიც ეთნონიმი “აფხაზი” გვხვდება არა აფხაზთა აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელწოდება “აფსუაა”, არამედ ის სინონიმია ეთნონიმისა “გურჯი”, ე.ი. ქართველისა.

ეთნონიმის შინაარსი მისი ობიექტის შეცვლისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება შეიცვალოს. ხშირად ერთი ხალხის ეთნონიმი მეორე ხალხზე გადაჰქონდათ. შავიზღვისპირეთში XIX ს-ში მოლდოველებს ზოგჯერ **ბერძნებისა და ციგნების** სახელებით მოიხსენიებდნენ. XX ს-ის 20-იან წლებამდე რუსეთში ეთნონიმი “ყირგიზი” აღნიშნავდა არა ყირგიზებს (მათ ყარაყირგიზებს უწოდებდნენ), არამედ ყაზახებს. VIII ს-ის შუა აზიაში ტერმინი “ტაჯიკი” არაბს (ე.ი. ხალიფას მეომარს) აღნიშნავდა, შემდეგ კი იგი აქაური სპარსულენოვანი ხალხის ეთნონიმად იქცა. უეჭველია, რომ ეთნონიმების ერთი ხალხიდან მეორეზე გადატანა უფრო ხშირი იყო დამწერლობის შექმნამდე, დამწერლობის არამქონე ხალხებში და ის ძირითადად მეზობელი თუ შორეული ხალხების ისტორიის არასაკმარისი ცოდნით იყო განპირობებული. რაღა შორს წავიდეთ, XVIII ს-ში რუსეთში “ნემეცი” აღნიშნავდა არა მხოლოდ “გერმანელს”, არამედ სხვა გერმანიკული მოდგმის ხალხსაც. მაგ., “ჰოლანდიელსაც”, “დანიელსაც” და ა.შ. “ლიტვანი” ბელორუსსაც მიესადაგებოდა, პუშკინის მიხედვით, პოლონელსაც. ფრანგი ბევრ ხალხში (და მათ შორის, ქართველებშიც) ევროპელთა, უფრო სწორად, ევროპაში მოსახლე სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმად იყო. ძველი ისტორიკოსები ხშირად სხვადასხვა ხალხთა ნაკრებს ერთი ეთნონიმით, ყველაზე ძლიერი და დიდი ხალხის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. ამის მაგალითად “ხაზარები” და “სკვითები” შეიძლება დავასახელოთ. ელინიზმის ეპოქაში ეთნონიმს “სკვითი” შავიზღვისპირეთიდან თითქმის შუა აზიამდე განსახლებულ მომთაბარე ტომებსაც მიუსადაგებდნენ. მეცნიერი ხშირად შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ძველ წყაროთა ჩვენებებმა. გვიანდელი ისტორიკოსები ზოგჯერ, როდესაც აღწერენ დაახლ. ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე და აქ თუ ეთნოსი შეცვლილია, ძველი ეთნოსის სახელწოდების აღსანიშნავად მის დროს მცხოვრები ხალხის ეთნონიმს გამოიყენებენ. მაგალითად, “ქართლის ცხოვრება”, როდესაც აღწერს ჩრდილოეთ კავკასიის მოვლენებს V საუკუნისათვის, ხშირად ახსენებს ოსებს. სინამდვილეში კი ჰუნები იგულისხმება.

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეიცვალა, გაფართოვდა, სხვა ხალხებს მიეკუთვნა ეთნონიმები: “თურქი”, “თათარი”, “რომაელი”. თავდაპირველად რომაელი (“რომი”) თუ

აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ლათინურენოვან ეთნოსს მიესადაგებოდა, შემდეგ ეს ეთნონიმი ბიზანტიურმა ეთნოსმა მიისაკუთრა და “რომეი” მათ თვითსახელწოდებად იქცა (“ურუმს” უწოდებდნენ თავიანთ თავს თურქეთიდან XIX ს-ის 30-იან წლებში საქართველოში, თრიალეთში გადმოსახლებული თურქულენოვანი ბერძნები). თუმცა სინამდვილეში ისინი რომისა და რომაელთა მესაფლავენი იყვნენ და მომდინარეობდნენ მცირე აზიის, სირიის, ეგვიპტის პოლიეთნიკური ქრისტიანული თემებიდან. შემდეგ სახელწოდება “რომაელი” რუმინელებზეც გავრცელდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ ხალხში ეთნონიმი “ფრანგი” ევროპის მკვიდრ სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმი იყო. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ეთნონიმის “თათარი” შესახებაც. ამ ეთნონიმმა განვითარების რთული გზა გაიარა. თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ჩინელი მემატიანეები ჩინეთის ჩრდილოეთით მცხოვრებ ყველა “სტეპნიაკს” მიუსადაგებდნენ. უხეშად რომ შევადაროთ, მას თითქმის ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორც ევროპელს, რომელშიც იტალიელსაც ვგულისხმობთ და დანიელსაც, პოლონელსაც და უნგრელსაც. სინამდვილეში ეთნონიმი თათარი მრავალრიცხოვანი სტეპური ტომებიდან ერთ-ერთის სახელწოდება იყო. თათრები მონღოლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მალე ისინი საერთო მონღოლურ სახელმწიფოში შევიდნენ. მონღოლებმა როგორც სხვა ტომების, ისე თათრების ასიმილირება ადვილად მოახდინეს. მას შემდეგ მონღოლებმა მეორე სახელწოდება “თათარი” მიიღეს. გვიან ეს ეთნონიმი მაჰმადიანური სარწმუნოების რამდენიმე თურქულენოვანმა ხალხმა მიიღო (ყირიმის თათრები, ყაზანელი თათრები, ასტრახანელი თათრები). ქართველთათვის (საერთოდ ქრისტიანთათვის) “თათარი” იყო ყველა მაჰმადიანური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველიც ამ ეპითეტის მატარებელი ხდებოდა (ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ოცამდე სხვადასხვა მართლმადიდებელი სარწმუნოების ეთნოსი ბიზანტიელად, ე.ი. ბერძენად (თვითსახელწოდება “რომეი”) იქცა. ამ მხრივაც ხდებოდა ხალხების (ეთნოსების) მიერ სახელების შეცვლა. მაგალითად, ხაზართა შთამომავლების გარკვეული ნაწილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა და მუსლიმური სარწმუნოების გამო ისინი მექანიკურად თათრებად იქცნენ. ასევე “თათრებად” იწოდნენ დონისპირეთის ყივჩაღები, რომლებიც ადრე თათარ-მონღოლთა დაუძინებელი მტრები იყვნენ.

ეთნონიმებთან მიმართებით მეცნიერებს შემჩნეული აქვთ შემდეგი გარემოებაც. ესაა რამდენიმე ხალხის მიერ ერთი სახელწოდების ტარება, რაც ძირითადად გარესახელწოდებაზე (ეგზოეთნონიმებზე) ვრცელდება. მაგალითად, ანტიკური წყაროები “იბერიელებს” უწოდებენ აღმოსავლეთ ქართველებს და პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მოსახლეობას – ესპანეთის ძველ მკვიდრებს. “ალბანელები” ეწოდებოდათ ქართველთა მეზობელ, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვიდრ ეთნოსს და “ალბანელებს” უწოდებენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხს, რომელთა თვითსახელწოდებაა “შკიპტარ”. “ავარები” ერქვათ ერთ-ერთ თურქულენოვან ხალხს, რომლებიც VI ს-ის შუახანებში დუნაისპირეთში შეიჭრნენ და პანონიაში დასახლდნენ. მემატიანეებს მათ თავი იმით დაამახსოვრეს, რომ ისინი თარეშობდნენ გერმანიის, იტალიისა და ევროპის სხვა ქვეყნების სიღრმეებში. მხოლოდ VIII ს-ის ბოლოს შემდეგ კარლოს დიდის მხედართმთავრებმა ავარების განადგურება და მას შემდეგ, როგორც ეთნოსი, ისინი გაქრნენ. რა თქმა უნდა, თურქულენოვან ავარებთან არავითარი საერთო არა აქვს დაღესტნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნოსს “ავარიელებს” (ქართულად “ხუნძებს”. ავარიელთა ქართული სახელწოდება “ხუნძები” ტოპონიმიდან, სოფლის სახელიდან – “ხუნძახი” მომდინარეობს), რომელთა თვითსახელწოდებაა “მარულალ”, რაც მათ ენაზე “მთიელს” ნიშნავს. ეს საერთო ეთნონიმი შემთხვევითია, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ავარები თურქები იყვნენ, კავკასიელი ავარიელები (ხუნძები) კი კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთ ენაზე ლაპარაკობენ.

ერთ-ერთი თურქულენოვანი ხალხი **ხაზარების** სახელწოდებას ატარებდა, რომლებსაც ჩრდილოეთკავკასიის ბარში, მდ. თერგის ჩრდილოეთით და ვოლგისპირეთში VI-X საუკუნეებში სახელმწიფო – ხაზართა კადანატი ჰქონდათ შექმნილი. X საუკუნის ბოლოს ისინი ისტორიის არენიდან გაქრნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა. მუსლიმურმა სარწმუნოებამ ხაზარები მექანიკურად თათრებად აქცია. ნაწილი XIII ს-ში მიმოიფანტა. ებრაული ზედაფენა უკვალოდ გაქრა. ფიქრობენ, რომ იუდაური სარწმუნოების მიმდევარი ხაზარების გარკვეული ნაწილი კავკასიაში გაიქცა და ერთმორწმუნე მთიელ ებრაელებს შეერია. რადგან შუასაუკუნეებში რწმენა ადამიანთა ბედს განსაზღვრავდა, თერგის ქრისტიანი ხაზარები ერთმორწმუნეებს ეძებდნენ. ასეთები კი მდინარე დონის აუზში მცხოვრები **ბროდნიკები** იყვნენ (ბროდნიკები ნარევი წარმოშობის რუსულ ენაზე მოლაპარაკე მართლმადიდებლებს წარმოადგენდნენ). დღეს ერთნონიმით “ხაზარები” ცნობილია სრულიად სხვა ხალხი, რომლებიც ავღანეთის სტეპებში ცხოვრობენ. მათ არაფერი აქვთ საერთო ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში ოდესღაც განსახლებულ ხაზარებთან. ავღანელი ხაზარები ირანელი მონღოლების შთამომავლები არიან, რომლებმაც 1295 წელს ისლამი მიიღეს და გააფთრებული ომის გამო სამშობლოში დაბრუნება ვეღარ მოახერხეს. ასე რომ, ერთი ეთნონიმის მატარებელ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მცხოვრებ ხალხებს ეთნიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო (იხ. Л.Н. Гумилёв. Открытие Хазарии, М., 2003, с. 27, 29; Л.Н. Гумилёв. Ритмы Евразии, СПб-М., 2003, с. 132).

ეთნონიმებთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც ბოლო დროს გავრცელდა. ესაა ადრინდელი სახელწოდების (მკვდარი ეთნონიმის) თანამედროვე ეთნოსებისათვის მიკუთვნება. ამის ნათელი მაგალითია ოსების მიერ თავიანთი საცხოვრებელი ტერიტორიისათვის (ოსეთისათვის) მეორე სახელის – “ალანეთის” და შესაბამისად ეთნონიმის – “ალანების” მისაკუთრება. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ადრინდელი სახელების თანამედროვე თაობებისათვის თავს მოხვევას “აზრი არა აქვს არა მარტო როგორც უბრალოდ ანაქრონიზმის აღორძინების, არამედ რიგ (და უმეტეს) შემთხვევაში ეს ეთიკურადაც გაუმართლებელია, რამდენადაც პრაქტიკულადაც ვნებს ხალხთა შორის ურთიერთობას”. ეთნონიმი “ალანი” ოსებისათვის უცნობი იყო. ის მათი არც ენდოეთნონიმი და არც ეგზოეთნონიმი. იმ თვალსაზრისითაცაა მიუღებელი ოსების თვითსახელწოდებად “ალანების” გამოყენება, რომ ისინი როგორც ეთნოსი კავკასიაში ადგილობრივი კავკასიური ტომების და მოსული ირანულენოვანი ეთნიკური ერთეულის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ამასთანავე ცნობილია, რომ სახელწოდება “ალანი” I-IV სს-ში ევრაზიის სტეპებში მცხოვრებ ყველა ნომადზეც ვრცელდებოდა, თუ ისინი წესჩვეულებებით, ცხოვრების ველური წესითა და შეიარაღებითაც მათ ჰგავდნენ. სხვათაშორის, მეგრულ მეტყველებაში “ალანები” ეწოდებოდა ჩრდილოეთკავკასიელ თურქულენოვან ხალხს “ყარაჩაელებს”. ასევე გაუმართლებელი იქნებოდა ქართველებს საქართველოსათვის “იბერია” და ქართველებისათვის “იბერიელები” გვეწოდებინა, რადგან ამ სახელწოდებებმა ისტორიას, დროს ვერ გაუძლო და დღევანდელი ეგზოეთნონიმები კი ტრადიციულადაა ჩამოყალიბებული. წარუმატებელი აღმოჩნდა XVIII ს-ში საქართველოს და ქართველების აღსანიშნავად მკვდარი სახელწოდების “იბერიისა” და “იბერიელების” (“ივერიისა” და “ივერიელების” ფორმით) აღორძინება.

მსოფლიოში დღეს 6000-მდე ეთნოსს ითვლიან, მაგრამ ეთნონიმთა რაოდენობა ბევრად დიდია, რადგან ხალხთა უმეტესობას ენდოეთნონიმთან ერთად რამდენიმე ეგზოეთნონიმიც აქვს. კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი ეთნონიმი გაქრა, ეთნიკურ სახელთა შედარებით მცირე რაოდენობამ კი დროს გაუძლო და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. ბევრმა ეთნონიმმა ჩვენამდე საერთოდ ვერ მოაღწია. ზოგიერთი აწ არარსებული ხალხის ეთნონიმი კი შეიძლება სადმე, რომელიმე ხალხის მეტყველებაში ახლაც აღმოვაჩინოთ. მაგალითად, ანტიკურ წყაროებში დაახლოებით კასპიის ზღვის ჩრდილო-

დასავლეთ ტერიტორიაზე, ევრაზიის სივრცეში აღნიშნულია **სავირები** (ფიქრობენ, რომ ისინი ჰუნთა ერთ-ერთი ტომი იყო. სხვა მოსაზრებით მადიარებს ან თურქებს ენათესავებოდნენ). დასავლეთ საქართველოს მთიელთა, სვანთა მეტყველებაში დღეს სავირებს ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან ბალყარელებს უწოდებენ (ზოგჯერ ოსებსაც). ეს მასალა კი უდავოდ გვამღევეს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე ოდესღაც სავირებსაც უცხოვრიათ, რომელთა სახელი ჯერ აქ მოსულ ირანულენოვან ხალხზე, ოსებზე გადავიდა, შემდეგ კი თურქულენოვან ბალყარელებზე. მეგრელთა მეტყველებაში თურქულენოვანი ყარაჩაელების აღმნიშვნელი ეთნონიმი, როგორც აღვნიშნეთ, არის **ალანები**, რაც ასევე იძლევა საშუალებას დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ყარაჩაელების მიწა-წყალზე მათ მოსვლამდე ოსთა ახლო მონათესავე ალანები მკვიდრობდნენ (რომლებიც კავკასიის ველებში ჰუნთა შემოსევების შემდეგ გამოჩნდნენ) და ადრინდელი მოსახლეობის სახელი შემდეგ მოსულ ხალხს მიეკუთვნა.

მეცნიერები ხშირად სვამენ კითხვას: როდის წარმოიქმნა ეთნონიმები? პასუხი მარტივია: როდესაც ეთნოსები (ხალხები) ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც გამოკვეთილი ეთნიკური თვითშეგნება ჰქონდათ. ეს კლასობრიობამდელ საზოგადოებაში მოხდა. თუმცა ეთნონიმთა წარმოქმნა, ახლის შექმნა, დავიწროება თუ გაფართოვება მუდმივი მოვლენა იყო, რადგან ეთნოსები (ხალხები) ისტორიის ყველა ეტაპზე ფორმირდებოდნენ. ერთი რამ კი აშკარაა, შეიძლება ერთი ენობრივი ერთეული ჩამოყალიბებული ყოფილიყო, მაგრამ ერთი ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდათ და არც ეთნონიმის მატარებელნი არ ყოფილიყვნენ. ამის დამადასტურებელი მაგალითები დადესტნის ყოფიდან შეიძლება მოვიყვანოთ: «Известно, что в прошлом, даже вплоть до Октябрьской революции, у многих дагестанских народов, в том числе и наиболее крупных, не было своих единых этнических имен, как например, в настоящее время – аварцы, даргинцы, табасаранцы, лезгинцы и др. А. Дир писал: «У некоторых народностей Дагестана мы встречаем странное явление: у них не существует общего названия для обозначения народа и области, в которой распространен язык данного народа» (И.Х. Абдулаев, К.М. Микаилов. К истории дагестанских этнонимов лезг и лак. – Этнография имен, М., 1971, с. 16). ნიშანდობლივია, რომ დადესტნურ ენებში ეთნონიმი და ტოპონიმი ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატება. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ლაკებში ყოველი სოფლის სახელწოდება აღნიშნავს როგორც აულს, ისე მასში მცხოვრები ხალხის ერთობლიობას. ლაკური აულის სახელწოდება ერთდროულად ეთნონიმურიცაა და გეოგრაფიულიც. საერთო სახელწოდება არ ჰქონდათ აგრეთვე ოსებს, თუმცა მეზობელი ხალხები მათ ერთიან ხალხად აღიქვამდნენ (Н.Т. Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 108). ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დადასტურებული აღნიშნული მოვლენა, როგორც ჩანს, ამ ხალხების იზოლაციური ცხოვრების შედეგი იყო. ამავე დროს აშკარაა, რომ საერთო ენის ჩამოყალიბების პროცესი წინ უსწრებდა ერთიანი ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის გამოხატულებას და, შესაბამისად, საერთო ეთნონიმის წარმოქმნასაც, რისთვისაც საჭირო იყო საერთო ისტორიული ბედი და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. ამასთანავე, ერთიან ენობრივ კოლექტივს საერთო ეთნონიმისათვის (ენდოეთნონიმისათვის) აუცილებლად სჭირდებოდა სხვა ეთნოლინგვისტურ ჯგუფთან დაპირისპირება.

ამრიგად, ასეთია ზოგიერთი მონაცემი ეთნონიმთა შესახებ. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეთნონიმები ისტორიის შესანიშნავი მოწმეები არიან, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც გაუმიფრავია.

საქართველოს მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი

აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში*

აკად. ნ. ბერძენიშვილს ტერმინი "ეთნოისტორია" არსად არ მოუხსენებია, ერთი უბრალო მიზეზის გამო – იმდროინდელ მეცნიერებაში ის ფართოდ არ იხმარებოდა. მას არც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნია საქართველოს მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემებისადმი. მაგრამ ჩანს, ამ თემის დამუშავებას, მისი ყველაზე ფართო გაგებით, აპირებდა. ესაა ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების საკითხი. საამისოდ მას უამრავი ამონაწერი შეუსრულებია ქართული საისტორიო და სხვა ხასიათის წყაროებიდან და სათანადო კომენტარებით გაუმართია. ყველა ეს წინასწარული მოსაზრება-მონახაზი დაბეჭდილია ნ. ბერძენიშვილის "საქართველოს ისტორიის საკითხების" VIII ტომში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტომში მოცემულ მასალასა და შენიშვნებს, ამ მასალების გააზრებას, დასრულებული სახე არა აქვს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემებისადმი მიძღვნილი მსჯელობები და დასკვნები, ისევე როგორც ნ. ბერძენიშვილის მთელი შემოქმედება, ქართული საისტორიო მეცნიერების ოქროს ფონდში შედის.

ეს რაც შეეხება ეთნოისტორიულ მოვლენებს ფართო გაგებით. მაგრამ მოსახლეობის ეთნოისტორიულ საკითხებში იგულისხმება სხვა, ვიწრო გაგებაც. ესენია: ქართული ეთნოსის ურთიერთობა სხვა, არაქართულ ეთნოსებთან. ამ ნიადაგზე მიმდინარე ასიმილაციური პროცესები; საქართველოში სხვადასხვა არაქართული ეთნოსების შემოსახლების ისტორია; საქართველოს, თუ მის მომიჯნავე ტერიტორიებზე ამა თუ იმ ტომთა ეთნიკური რაობის გარკვევა; მოსახლეობის ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით მიმდინარე მიგრაციული პროცესები... დაბოლოს, ქართული გვარების ისტორიის საკითხები.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ფართოდ მიმოვიხილოთ ნ. ბერძენიშვილის ის ნაშრომები, რომლებშიც ეთნოისტორიულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული. საკითხი თანაც ისეთი ფართოპლანიანია, რომ თავისთავად ის ერთი მოხსენების ფარგლებს სცილდება.

მოსახლეობის ეთნოისტორიული პროცესების კვლევის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციების ანგარიშები და დღიურები, რომლებიც მისი "საქართველოს ისტორიის საკითხების" პირველ ტომშია დაბეჭდილი. აი, ერთი ამონაწერი დღიურიდან "ექსპედიცია ივრის ხეობაში", რომელიც საყურადღებოა კახეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარის მოსახლეობის ჩამოყალიბების შესასწავლად: "ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. მაგრამ მრავალ დანარჩენთაგან ამ მხრითაც განსხვავდება: 1. სხვებთან შედარებით ეს ისტორიული პროცესი აქ უფრო რთული ჩანს; 2. აწინდელი კახეთი გაცილებით უფრო გვიან ყალიბდება, ვიდრე საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეები და ამიტომაც ამ პროცესის შესახებ ცნობებიც მეტი მოგვეპოვება. ამდენადვე, უხვი ნაყოფიც უზრუნველყოფილია ამ ამოცანაზე ჭირნახული მკვლევარისათვის. კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბანელნი, ალვან-ჰერნი, სოჯნი, ფხოელ-ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები და შემდეგ, ლეკები, თურქები, ოსები, სომხები და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ჯავახ-მესხნი, სომხითარნი, ქართლები) – ყველა ამათ შერწყმა-"შეჯვარების" (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესამღებლობის ქვეყანა" (საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, გვ. 175 შმდ. სის).

* კრებული "აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი _ 100, 1996, გვ. 146-157.

მეცნიერს ეს მოსაზრება არაერთმა წერილობითმა, თუ არაწერილობითმა წყარომ (არქეოლოგიურმა, ეთნოგრაფიულმა, ფოლკლორულმა მონაცემმა) და მათმა ერთ კომპლექსში გააზრებამ დააწერინა. მის ამ დებულებას ძნელია შეედავო. ნ. ბერძენიშვილი იმასაც წერდა, რომ ასეთი სხვადასხვა ქართული და არაქართული ეთნოსების ბრძოლითა და შერევით გვაქვს მიღებული საქართველოს თითოეული ეთნოგრაფიული კუთხე და საბოლოო ჯამში, ერთიანი საქართველო, ერთიანი ქართული ეთნოსი, თავისი მოწინავე მეურნეობით, კულტურით.

ნ. ბერძენიშვილი განაგრძობს: "ალაზნის ხეობა უფრო ექსპანსია-კოლონიზაციის ობიექტს წარმოადგენს. ამ "კოლონიზაციას" ადგილი აქვს ერთსა და იმავე დროს სამი მხრიდან: ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან.

რა თქმა უნდა, ეს ექსპანსია მხოლოდ VII-X საუკუნეთა ამბავი არ არის, ის გაცილებით ადრე იწყება, უფრო ადრე, ვიდრე ჩვენი წერილობითი წყაროები აღწევს. ლეონტი მროველის ცნობა კახეთ-ჰერეთის საზღვრების შესახებ, რასაც თითქოს სტრაბონის ცნობაც უჭერს მხარს, გარკვეული მდგომარეობის აღმნიშვნელია. მაგრამ ეს ცნობა არ არის უძველესი, რომლის იქით გადახედვა ჩვენ თითქოს არ შეგვეძლოს. აქ უკვე სხვა ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული, სადაც არქეოლოგიასა და ტოპონიმიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება" (სის, I, გვ. 181). აკადემიკოსის ეს სიტყვები XX ს-ის 30-იან წლებში იწერებოდა. მან ფაქტობრივად მოგვცა პრობლემის კვლევის მიმართულეობა და განსაკუთრებით აღნიშნა არქეოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის, არამედ ძველ საქართველოში მიმდინარე ეთნოსოციალური და ეთნიკური პროცესების კვლევის საქმეში. ასეთივე დიდსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ის ქართული ტოპონიმების შესწავლას.

ქართული ტოპონიმების განუზომელი მნიშვნელობის, საქართველოს ეთნოისტორიული პროცესების შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი სხვა არაერთ ნაშრომშიც მიუთითებდა. ის წერდა: "ჩვენს წინაშეა აურაცხელი მასალა, რომელიც თავისი ხარისხით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა რიგის წყაროებს. ეს არის ადგილთა სახელები (ტოპონიმიკა). მრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო. ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუწვებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდანვე მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა. _ მეტყველი და უტყუარი. სატომო სახელები, ტომთა განსახლება, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა, მისი რელიგიური ცხოვრება, ომი თუ გართობა და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა, ცხოვლადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს" (სის, I, გვ. 358).

შემდეგ აგრძელებდა: "ეს ხომ ზღვა მასალა იქნება ჩვენში წარსული ცხოვრების მეცნიერულად აღსადგენად. იგულისხმება, რა თქმა უნდა, რომ ამ მასალის ისტორიულად შესწავლაში ჩვენ, ისტორიკოსებს, ქართული ენათმეცნიერება წარმოგვეშველება (ჩვენ აქ არ ვამბობთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობის მქონეა ეს ტიპონიმიკური მასალა საკუთრივ ქართული ენათმეცნიერებისათვის, ქართულ-ქართველური ენების ისტორიისათვის)" _ (სის, I, გვ. 359).

ვრცელი ამონაწერის მოყვანა განსვენებული მეცნიერის ნაშრომებიდან განსაკუთრებით საჭიროდ ჩავთვალე. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში ტოპონიმების კვლევის თვალსაზრისით უკვე მნიშვნელოვანი და საჭირო საქმენია გაკეთებული, მაინც მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა სხვანაირად ამეტყველდეს არა მარტო ძველი, არამედ შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის ფურცლები. ნ. ბერძენიშვილი პირდაპირ მიგვითითებდა: ამ თვალსაზრისით ისტორიულ მეცნიერებას ქართული ენათმეცნიერება უნდა წარმოეშველოსო, უფრო სწორად, ხელიხელ ჩაჭიდებულს უნდა გაეწიათ ეს უღელი. სამწუხაროდ, ნ. ბერძენიშვილის ეს ანდერძი (მეთოდური მითითება) ვერ სრულდება

სრულყოფილად. დღეს საქართველოში ტოპონიმების კვლევის საქმე ცალ-ცალკე მიმდინარეობს, ყველა თავისი ჭოგრიტიდან უყურებს მას. ტოპონიმების კომპლექსურ შესწავლას კი კომპლექსური ცოდნა სჭირდება; სჭირდება ცოდნა და მეთოდი ისტორიკოსისაც, ენათმეცნიერისაც, ეთნოგრაფისაც, გეოგრაფისაც.

ნ. ბერძენიშვილის სახელმძღვანელო დებულებამ ამ სტრიქონების ავტორს დააწერინა ნაშრომი "ტოპონიმები, როგორც წყარო მთის მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად". აკადემიკოსის მეთოდური მითითებანი სხვა მხრივაც გამოგვადგა, როდესაც საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებზე ვმუშაობდი, მხედველობაში მაქვს ქართველთა ძირ-სალოცავებთან დამოკიდებულება.

ნ. ბერძენიშვილის მიერ მითითებული ეს წყაროც უტყუარი აღმოჩნდა პროცესის შესასწავლად. მეცნიერს სხვა მეთოდური მითითებანიც ჰქონდა მოცემული მიგრაციული პროცესების კვლევის თვალთახედვით, მაგრამ მასზე ცოტა ქვემოთ შევჩერდები.

ნ. ბერძენიშვილი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანობას, რომლის ქალკედონისტური მიმართულება ერთგვარად ჩვენს ეროვნულ რელიგიად იქცა. დავესესხოთ მას: "ასიმილაცია-კოლონიზაციის გზაზე ქრისტიანობა ერთ-ერთი ეტაპის აღმნიშვნელი მოვლენაა. ქრისტიანობა ერთი უძლიერესი იარაღი იყო ამ ექსპანსია-კოლონიზაციის საქმეში. მონასტრები და საეპისკოპოსო ტაძრები ამ კოლონიზაცია-ასიმილაციის დასაყრდენი პუნქტები იყო. ქრისტიანობის გავრცელება მცხეთიდან ალაზნის ხეობაში (და ქალკედონური მრწამსისა, კერძოდ) ფეოდალურ-კლასობრივი ურთიერთობის ტენდენციათა გამარჯვების გვერდით ნიშნავდა ქართველთა (resp. კახთა) პოლიტიკური ბატონობის გავრცელებას ჰერეთში (ე.ი. მის იმ ნაწილში, სადაც აქამდის წმინდად იყო დაცული ჰერული მოსახლეობა) და ჰერთა ასიმილაციას (ეს მოვლენა უფრო ადრეც მიმდინარეობდა) (სის, ტ. I, გვ. 181-182).

აქ შეიძლება ყურს სჭრიდეს ტერმინის "ასიმილაცია-კოლონიზაციის" ხშირი ხმარება, მაგრამ ისტორიკოსი ფაქტებს ვერ გაექცევა. ასეთივე იყო ყველა ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბება. ქართველი ხალხიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ მას დღეს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ქართველ ხალხში, ბოლო პერიოდში, ვაი-პატრიოტებმა გაავრცელეს შეხედულება, თითქოს ჩვენ ერთი "ნათესავით ქართველის" შთამომავალნი ვართ, რომ ქართველ ხალხს სხვა არავინ შემოგვრევია და არც უნდა შევირიოთ. ყოველივე ეს იმას გვაგულისხმებინებს, რომ ქართველი ერის ეთნიკურ შეგნებაში რაღაც დარღვევები ხდება და დღევანდელი ჩვენი ისტორიკოსების ვალია ნ. ბერძენიშვილის ეთნოისტორიული დაკვირვებანი ჩვენ ხალხს გასაგები ენით ავუხსნათ.

არაერთი მნიშვნელოვანი ეთნისტორიული საკითხი აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს დასმული "ბორჯომის ხეობაში", რომელშიც განსაკუთრებით შეეხო საქართველოში მოსახლეობის მიგრაცია-მოძრაობის და გვართა სადაურობა-წარმომავლობის ფაქტებს. ნ. ბერძენიშვილი აუცილებლად თვლიდა საქართველოში მოსახლეობის მიგრაციის ფაქტების შესწავლას გვართა სადაურობა-წარმომავლობის გადმოცემებზე დაყრდნობით. ისტორიულად საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა ერთმანეთში მოძრაობდა. ეს მუდმივი მოძრაობა-მიგრაციაც იყო მიზეზი ჩვენი ერის ერთად ჩამოყალიბებისა და ხშირ შემთხვევაში გადარჩენისა და ცხოვრების ახლიდან დაწყებისა. ნ. ბერძენიშვილი სახავდა გეგმებს მომავალში საქართველოს მოსახლეობის შინაგანი მოძრაობის შესასწავლად. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მას ამ პროცესების კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვან წყაროებად მიაჩნდა ტოპონიმები და საკულტო ძეგლები, აგრეთვე, გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ველზე გასული მეცნიერი საშუალებას არ უშვებდა ჩაეწერა და დაეფიქსირებინა ეს გადმოცემები. ამ გადმოცემების შესახებ განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი დღესაც არ სთვლის მას სათანადო წყაროდ. ქართველ ხალხში კი ეთნოისტორიული პროცესების შესასწავლად სწორედ რომ მნიშვნელოვანი და

ზღვა მასალა დაუნჯებული. არსებობს გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ გადმოცემების სისწორე-არასისწორის დამადასტურებელი მეცნიერული ხერხები, რაც ყველაზე მთავარია, ამ გადმოცემების უტყუარობა ჩვენთვის მაშინ გახდა ნათელი, როცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დოკუმენტურადაც იქნა დადასტურებული.

"ბორჯომის ხეობაში" ნ. ბერძენიშვილი წერს: "აქვე შორიახლოს ერთი მოხუცი განმარტობით იჯდა, მეც მას მივუჯექი, გამოვესაუბრე. ზუგდიდის რაიონიდან ყოფილა, ოფარჩხაფელი, გვარად ჯოჯუა, როგორც ამბობდა, "86 წლის კაცი". "სამაგიეროდ ჩემი მოსაუბრის ცნობა უფრო სარწმუნო ჩანდა, ჯოჯუების ჯინჯი ხატი ილორშია. ჩვენი ძველი იქიდან მოსულა, – განმიმარტა მოსაუბრემ. ყოველ მესამე წელიწადს დავდიოდით და შესაწირავი მოგვქონდა ცხვარი, ქათამი" (სის, I, გვ. 208). ეს ამონაწერი, სამეგრელოს რომ შეეხება, შეგნებულად მოვიტანე; მოვიტანე იმისათვის, რომ მეჩვენებინა ერთი გვარის მიგრაცია ენგურს იქიდან, რომ ენგურს გაღმაც საქართველოს ერთი "ქვეყანა" – სამეგრელო იყო, რომ ბევრს ენგურს აქეთ სამეგრელოში მცოვრებს ძირი, ანუ როგორც მეგრელი იტყოდა, "ჯინჯი" ხატი ილორში ჰქონდა. არადა, ასეთი უტყუარი გადმოცემების დიდი ნაწილი დავიწყებას ეძლევა. ასეთი გადმოცემების დასაფიქსირებლად XX ს-ის 20-30-იან წლებში მთელი საქართველო უნდა დარაზმულიყო, ისე როგორც შინამრეწველობის მასალების ჩაწერის დროს. ეს ეთნოგრაფთა განსაკუთრებული საქმე იყო. სამწუხაროდ, ყველაფრის გაკეთება ვერ მოხერხდა. კი წაადგებოდა დღევანდელ საქართველოს, მით უმეტეს, თუ იმასაც დავაფიქსირებდით სად ჰქონდათ აფხაზებსა და ოსებს ძირი – ხატი.

ერთნაირი ინტერესით იწერდა ნ. ბერძენიშვილი გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ გადმოცემებს ბორჯომის ხეობასა და ზემო იმერეთში, ქართლსა და ჯავახეთში. საყურადღებო მონაცემები აქვს მას ამ თვალსაზრისით დაფიქსირებული ჯუღელეების, კაპანაძეების, წაქაძეების, მაჭარაშვილ-მაჭავარიანების, სანდაძეების, გოგიჩაშვილების, ხაჩიძეების და სხვათა და სხვათა შესახებ. მოვიყვან ვრცელ ციტატას: "ვიდრე ძეგლს ვათვალთვლიერებდით ჩვენთან ვინმე ხაჩიძე მოვიდა. აქვე დაბელი კოლმეურნე. მათი გვარის (ხაჩიძეთა) საიდანმოსულობა ვკითხე. "პაპაჩემისაგან გამიგონია, რომ ძირი ხატის მოსალოცავად ის ნარას (ე.ი. დვალეთს, ნ. ბ.) დადიოდა; ჩვენი წინაპარი ძველი დროიდანვე მოსულა ქართლში, წაქესა და ბიჯნისს სახლებულან სურამის თავზე, შემდეგ ზოგი ხეობაში წამოსულა, ზოგი აქვე დარჩენილა. აქ დაბაში, ყველა მოსულია "ქართლიდან (თედაშვილი, მესხიძე, ლომიძე) და ვინ იცის საიდან..." (სის, ტ. I, გვ. 235).

მინდოდა კომენტარი მე გამეკეთებინა, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით უკეთესად ნ. ბერძენიშვილი წერს: "შესანიშნავი მაგალითია ქართველი გლეხის ადგილმონაცვლეობისა საშუალსაუკუნეებში. საიდან სად მოდის ქართველი მიწის მუშა მიწისა და თავისუფლების ძებნაში: ზოგან ნიადაგია მწირი, ზოგან ბატონი არ გაახარებს, ზოგან გარეშე მტერი არ უსვენებს. დადის ქართველი გლეხი და ეძებს გასაძლის ქვეყანას: მიწას, მშვიდობას და თავისუფლებას. დადის საუკუნეთა მანძილზე. მრავალ ადგილს იცვლის, მაგრამ "ძირი-ხატი", "ძირი-სალოცავი" არ ავიწყდება" (გვ. 235). ნ. ბერძენიშვილმა ხაჩიძის მიერ გადმოცემულ მასალას მისი გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ, ხაჩიძეთა ძირი-სალოცავის შესახებ ფართო განზოგადება მისცა. ჩვენ მაინც გავკადნიერდებით და შედარებით მცირე, მაგრამ საქართველოს ისტორიისათვის არცთუ უმნიშვნელო (მით უმეტეს დღეს) კომენტარს გავუკეთებთ. ცნობილია, რომ დვალეები – ეს ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომი, პირისაგან მიწისა აღიგავნენ. მათი ნაწილი ოსების მიერ იქნა ასიმილირებული და ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამცხე) გადასახლდა. საქართველოს ისტორიას მნიშვნელოვან მასალას მისცემდა ხაჩიძეთა-დვალეთიდან მიგრირებული ამ გვარის მსგავსი გვარების ფიქსირება. დვალთა ქართულ პროვინციებში განსახლების მიმანიშნებელია არა მარტო ოიკონიმები და გვარსახელები (დვალი, დვალიძე, დვალიშვილი), არამედ ნ. ბერძენიშვილის მიერ დაფიქსირებული მასალა ხაჩიძეთა წარმომავლობის შესახებ. ქართველ

მკვლევარს რამდენი ასეთი გვარი ელოდება, რომელიც თავის სადაურობა-წარმომავლობას დვალეთიდან იტყვის. რამდენიმე ასეთი გვარი დღეს შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარშია განსახლებული. მოყვანილი მასალა იმითაცაა საყურადღებო, რომ დვალეები რაღაც განცალკევებულად კი არ იდგნენ ქართული სინამდვილისაგან, არამედ აქტიურად იყვნენ ჩაბმული ყველა იმ სოციალურ თუ ეთნოპროცესებში, რომელიც ისტორიულ საქართველოში მიმდინარეობდა.

მანამ, სანამ ნ. ბერძენიშვილის მსჯელობას დავუბრუნდებით საქართველოში მიგრაციული პროცესების შესახებ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ასევე მისი დიდი ყურადღება ქართველთა კონფესიური ჯგუფების შესახებ. "ბორჯომის ხეობაში" ის წერდა: "სოფლის აწინდელი მოსახლეობა (იგულისხმება წითელსაყდარი) თითქმის სულ სომხებია ბარალეთიდან (ჯავახითიდან). მცირე ნაწილი ქართველებია, გვარად სანდაძეები (ამათგან უმრავლესობა გასომხებულია)" _ (სის, ტ. I, გვ. 200).

მეცნიერს ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ქართულ მიწაზე ქართველ და უცხო ეთნოსთა მიმართების ფაქტები. განსაკუთრებით ტკივილიანია ჯავახეთის ექსპედიციის დღიური _ ანგარიში. აკადემიკოსმა შემოიარა რა ქართველი ეთნოსისაგან დაცლილი ეს ძირძველი ქართული მხარე, დააფიქსირა ქართველი გლეხი კაცის, მიწისმოქმედის ყველა ნახელავი, რომელიც სხვა ეთნოსის აქ მოსვლის შემდეგ გადარჩენილიყო. რამდენიმე ამონაწერი: "სოფელი ხოსპია. ჯავახეთის მტკვრის ორსავე ნაპირზე. 1918 წლამდის მდინარის მარჯვენით სომხები, მარცხით იერლი, ბინალი ანუ ქართველი მუსლიმანები ესახლნენ. აღნიშნულ წელს უკანასკნელნი აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მათ ადგილზე თრიალელი ქართველები და ბერძნები სახლობენ რეხადან" (სის, ტ. I, გვ. 29). "გალმა ხოსპია სომხურივე დარჩა. ამ ნაწილს სახელი გამოსცვლია: ეხლა მას მარტუნი ჰქვია" (იქვე). "მურჯახეთი. 1917-1918 წლამდის მოსახლეობა იყო ქართულ-სომხური. ქართველები იყვნენ ქრისტიანები და მუსლიმანები" (იქვე, გვ. 58). "პატარა ხანჩალი. 1918 წლამდის აქ უმრავლესობა მუსლიმები ყოფილან. ამ წელს ისინი აყრილან და ოსმალეთში გადასულან. მათი ადგილი სომხებს დაუჭერიათ. სოფელში დაცულია ძველი სასაფლაო ქართული და მუსლიმანური" (იქვე, გვ. 69). ჯავახეთის ეთნოისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტნაკლებად შესწავლილია. ქართველი მაჰმადიანები თურქეთში გადასახლდებოდნენ. ქართველი ქრისტიანებიც სტოვებდნენ ჯავახეთს. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მონაცემებით, ჯავახეთის ქართული მოსახლეობა ქართლშია მიგრირებული. ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას, ნ. ბერძენიშვილი ჯავახეთში ქართული მოსახლეობის ამოვარდნას მხოლოდ 1829 წლის კატასტროფით არ ხსნიდა: "გაუკითხაობის, სილატაკის, უმწეობის, ე.ი. სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური სიღუბჭირის შედეგი იყო მოსახლეობის ბუნებრივი შემცირება-ამოწყვეტა, აყრა-ამოდრავება, ე.ი. ვერანების კიდევ უფრო გამრავლება. ასე იყო ჯავახეთშიც. XVI ს-ის ბოლოს ამ ვითარების შედეგია შეჯამებული: ათეულობით ახალი ვერანები, ხოლო ცოცხლად დარჩენილი სოფლები გავერანების პირას არიან მისული: თითოეული მათგანის კომლთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლება" (იქვე, გვ. 169).

ახლა მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. ნ. ბერძენიშვილი წერდა: "მოსახლეობის მოძრაობა, მოსახლეობის ტერიტორიული ადგილმონაცვლეობა ყოველი საზოგადოების ეთნიკური სახის დადგენის, მისი ეთნიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია. და ჩვენი ისტორიოგრაფიის მძიმე ნაკლია, რომ დღემდე ეს საკითხი მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა. დღემდის არავის შეუწუხებია თავი, რომ ეკვლია, თუ როგორი იყო ეთნიკური განვითარება მონათმფლობელური საქართველოსი, როგორი იყო ეთნიკურად ფეოდალური ან ბურჟუაზიული საქართველო" (იქვე, გვ. 236). ნ. ბერძენიშვილმა საქართველოში მოსახლეობის მოძრაობის, მიგრაციის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად კლასთა ბრძოლა მიიჩნია (იქვე, გვ. 237): "საკმაოა გაეცნოს ადამიანი ბატონყმური ურთიერთობის ხანის ქართულ დოკუმენტებს, რომ ეჭვი აღარ დარჩეს გლეხობის ადგილმონაცვლეობის ინტენსიურობაში. აურაცხელი წიგნები ყმადმოსულობის, თავნასყიდობისა, ხიზნობისა, კედლად დგომისა,

მოსახლეობის სტატისტიკური მასალის ჩვენებანი (ხიზან-ბოგანოთა და აყრილთა საოცარი სიმრავლე) და სხვ. უცილობლად მოწმობენ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე ქართველი მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიურ ადგილმონაცვლეობას".

"საკმაო ადამიანი ჩაუკვირდეს ადამიანის სატომო სახელების ან სადაურობის მანიშნებელი სუფიქსით ნაწარმოებ ქართველ გლეხთა გვარებს (ქართლელი, იმერელი, მეგრელი, გურული, რაჭველი, მარგველი, ლაშხი, სვანი, აფხაზი, აფშილი, ჯიქი, ჩერქეზი, ჩაჩი, ჩაჩანი, სანიკი, სანი, ჭანი, ალანი, ოსი, დვალი, თუში, კახი, სოჯი, ჰერი, მესხი, ჯავახი, სომეხი, არაზი, ხაზარი, ყივჩაღი, თათარი, ბერძენი და სხვა) და თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება ეს დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა და მისი მარადმოქმედი მთავარი ფაქტორი – პერმანენტული კლასთა ბრძოლა".

ვფიქრობთ, ნ. ბერძენიშვილმა საქართველოში მოსახლეობის მოძრაობის ძირითად ფაქტორად კლასთა ბრძოლა რომ გამოაცხადა, ამით ერთგვარად ხარკი მოუხადა იმ დროს, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა. ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალებით, მართალია, კლასთა ბრძოლა (თუ კლასობრივი წინააღმდეგობა) განაპირობებდა მოსახლეობის მოძრაობა-მიგრაციას, მაგრამ ის არ იყო წამყვანი და ძირითადი ფაქტორი. თვითონ ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავდა: "მაგრამ ისტორიულ წყაროთა (ისტორიკოსთა მოწმობანი თუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემანი) ცნობების ანალიზი, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი და ტოპონიმიკურ-ეთნონიმიკური მასალის შესწავლა ჩვენ გვამღვებს საკმაო საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ კლასობრივი ურთიერთობის ხანაში და მის შედეგად არ დაწყებულა. რომ მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა წინაკლასობრივ საზოგადოებასაც ახასიათებდა და კლასობრივი ურთიერთობის ხანაშიაც მოსახლეობის შედგენილობის ცვლა, როგორც უკვე შევნიშნეთ, ყოველთვის მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის უშუალო შედეგი არ ყოფილა (იქვე, გვ. 240).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერი ამ თვალსაზრისით მთისა და ბარის ურთიერთობას. სამართლიანია დასკვნა, რომ მთიელთა გადმოსახლების ხასიათი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი საზოგადოებრივი ურთიერთობები იყო ბარში. ბარის სიძლიერის პირობებში "მთიელები თანდათან ჩამოდიან ბარში, ისინი ქართველი ფეოდალების "მებეგრეებად" ესახლებიან და თავისუფლების ამ მცირედ შეზღუდვის კომპენსაციად მატერიალურ წარმატებას ცდილობენ" (იქვე, გვ. 242). "თავისთავად ცხადია, ბარის ურთიერთობას ნაზიარები ეს მთიელყოფილები მთიელობასთან ერთად კარგავენ თავიანთ ეთნიკურ სახეს, ქართველგლეხდებიან".

მეცნიერს მხედველობიდან არ რჩებოდა არა მარტო საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები, არამედ ქართველთა განთესვის ფაქტებიც. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ნ. ბერძენიშვილმა მომავალი თაობის ისტორიკოსებს კვლევის მეთოდი დაგვისახა. მეცნიერი ჩვენს ყურადღებას იქცევს იმ ფაქტებით, რომ ქართველთა ეს განთესვანი გამოიხატებოდა "ქრისტიანობიდან მიქცევაში", "გათათრებაში", "გალეკებაში", "დაკარგვაში". მიქცევა-განთესვის ფაქტების ჩამოთვლა შეიძლება გაგვეგრძელებინა, თუ გავიხსენებდით "გასომხებასაც", "გაოსებასაც", "გააფხაზებასაც"...

ცალკე მსჯელობის საგანია ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი ქართული გვარების სუფიქსების შესახებ. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს მისი 1952 წლით დათარიღებული "ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო", რომელშიც ყურადღება გამახვილებულია -იან (-ან) სუფიქსიან გვარებზე. ამ სტატიაში ავტორის მიერ მოცემული ყველა მოსაზრება მწყობრი და ჩამოყალიბებული, ლოგიკური და მისაღებია. რაც ყველაზე მთავარია, დასაბუთებულია, რომ -იან (-ან) სუფიქსები მხოლოდ მამაკაცის სახელებს დაერთვოდა და არა ტოპონიმებს და რომ ეს სუფიქსი "იმის მოწმობაა, რომ "საგვარეულო სახელწოდება" სხვაგანაც საქართველოში, ისევე, როგორც სვანეთში და სამეგრელოში, ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებით, გვარის სახელის მეთაურის სახელთან

დაკავშირებით იწარმოება და ამ პირის მიკუთვნებას აღნიშნავდა ხსენებული კრებულისადმი" (იქვე, გვ. 341).

ნ. ბერძენიშვილი სხვაგან (სის, ტ. VIII) ხაზს უსვამს ამ სუფიქსის (-იან) პირველადობას ქართული გვარების წარმოებისას, -ურ სუფიქსთან ერთად, რომელიც ასევე "კოლექტივთან მისი ერთი წევრის ურთიერთობას აღნიშნავს". ამ მისაღები მსჯელობის შემდეგ ჩვენთვის ერთგვარად მიუღებელია მისი მსჯელობანი ქართული გვარების წარმოებისას ქართული სუფიქსების ოთხ საფეხურად დაჯგუფების შესახებ და ამ სუფიქსების მიხედვით ქართველურ ენათა ერთმანეთისაგან დაშორების შესახებ. კონკრეტულად ის წერდა: "გვარსახელის "ელით" წარმოება "ქვეყნის განვითარების გარკვეულ საფეხურს უკავშირდება". "ელით" გვარსახელის წარმოება უკვე მესამე საფეხურია, როცა ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი არ ხასიათდება, არამედ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიდან იწარმოება". "მაგრამ ინდივიდის სრული მოწყვეტა კოლექტივისაგან თავს იჩენს შემდგომ (მეოთხე) საფეხურზე _ "ძე", "შვილი". ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრება მის ამ დასკვნას მხარს არ უჭერს, ამასთანავე, ჩვენთვის გაუგებარია სუფიქსების მიხედვით ქართული გვარების წარმოქმნის ოთხ საფეხურად დაყოფა. ჩვენ მხოლოდ ორ საფეხურს, ორ ეტაპს ვხედავთ.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილს ქართული გვარსახელები საკმაოდ დიდი ხნის წარმონაქმნ მოვლენად მიაჩნდა. მისი წარმოდგენით ქართულ სინამდვილეში მოხდა ბუნებრივი გადასვლა კლასობრიობამდელი გვარისა კლასობრივი საზ-ის გვარსახელში (ფამილიაში).

ამრიგად, ზემოთ მხოლოდ მოკლედ შევეცადეთ გვეჩვენებინა აკად. ნ. ბერძენიშვილის დამოკიდებულება ქვეყნის ისტორიის ერთერთი კარდინალური საკითხის _ საქართველოს მოსახლეობის ეთნოისტორიული საკითხებისადმი. ნ. ბერძენიშვილის, როგორც მეცნიერის, დამოკიდებულების სრულყოფილი შესწავლა აღნიშნული პრობლემისადმი, მომავლის საქმედ გვესახება.

XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ*

ეთნოგრაფიული მეცნიერების ძირითადი წყარო, როგორც ცნობილია, ხალხში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებია. ამასთანავე, ცნობილია ისიც, რომ, როგორც ისტორიული მეცნიერება, ეთნოგრაფია მხოლოდ საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალით როდი კმაყოფილდება. იგი დასაბამიდანვე მისდევდა სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროების გამოყენებასაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია XIX ს-ში რამდენჯერმე ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები და 1880 წ. საოჯახო სიები (სს). ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ეს უკანასკნელი, 1886 წ. თბილისის გუბერნიის (აღმოსავლეთი საქართველო) სს, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორის ბრძანებით 1886 წ. 24 თებერვალს გადაწყდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რეგიონისათვის სს შედგენა. სს შედგენის ძირითადი მიზანი იყო: ა) სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ზუსტი აღრიცხვა; ბ) მოსახლეობის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის დაზუსტება და გ) კომლთა საგადასახადო შესაძლებლობების განსაზღვრა. სს. შედგენა დაიწყო 1886 წ. მაისში და დამთავრდა იმავე წლის ბოლოს.

სს-ში შეტანილია ყველა დასახლებული პუნქტი. ნაჩვენებია ამა თუ იმ დასახლებულ

* "მნათობი", №12, 1987, გვ. 157-165.

პუნქტში მოსახლე ოჯახების სულთა შემადგენლობა. შესაბამისად, დაჯამებულია სოფლის (ქალაქის) კომლთა და სულთა რაოდენობა, მამრობით და მდედრობით სქესთა ცალ-ცალკე ჩვენებით. 1886 წ. სს შეიცავს გრაფებს, რომლებშიც ფიქსირებულია თითოეული პირის ასაკი, ეთნიკური მიკუთვნელობა (народность), სარწმუნოება, საოჯახო სალაპარაკო ენა (язык домашний), განათლება, კომლთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა. ამასთანავე, ყურადღება აქვს მიქცეული მოსახლეობის გადაადგილების საკითხებს. მოსახლეობის მიგრაცია სს-ში ძირითადად ფიქსირებულია უკანასკნელი კამერალური აღწერიდან (1873 წ.). ნაჩვენებია მიგრაციის ფორმაც. როგორც ჩანს, სს სათანადო ორგანოებისათვის მუდმივად სამუშაო დავთრებს წარმოადგენდა, რადგან შენიშვნების გრაფაში შეტანილია შემდეგდროინდელი ცვლილებები კომლთა მონაცემების შესახებ.

1886 წ. სს-ის სტატისტიკური მონაცემები, აღწერის ჩატარებიდან შვიდი წლის შემდეგ, ცალკე წიგნადაც გამოვიდა.¹

1886 წ. სს-ის დედნების მეცნიერულ დამუშავებასა და შესწავლას არაერთი თვალსაზრისით აქვს ღირებულება, რადგან გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, ბუნებრივია, ვერ ასახავდა სრულად იმ სოციალურ, სამეურნეო და ეთნიკურ მომენტებს, რომლებსაც მათში იპოვის მკვლევარი. მკვლევარს შეუძლია სს-დან ამოიღოს მისთვის სასურველი მასალა: 1. დემოგრაფია (მოსახლეობის რაოდენობა; სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის – მთა, მთისწინეთი, ბარი; ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები; მოსახლეობის განსახლების სიხშირის დადგენა დასახლებული და დაუსახლებელი ადგილების ჩვენებით), 2. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა; 3. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა; 4. ეთნიკური პროცესები; 5. მოსახლეობის მიგრაცია; 6. გვარსახელების ეთნოგრაფია; 7. საოჯახო ყოფა; 8. სამეურნეო სფერო; 9. ტოპონიმები... წინამდებარე წერილში აქ ჩამოთვლილ საკითხთაგან მხოლოდ ზოგიერთს შევხებით.

ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისას მკვლევარს ერთგვარი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ზოგჯერ ძნელია ენდო გრაფას, რომელშიც აღნიშნული პიროვნების ამა თუ იმ ეროვნებისადმი კუთვნილებაა აღნიშნული. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართველ გრიგორიანებზე, ქართველ მაჰმადიანებსა და ქართველ კათოლიკეებზე. ქართველი მონოფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერთა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. თუ ქართველი, მართლმადიდებლური რწმენის გარდა, აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) – კათოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგილოებად – მაჰმადიანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად – მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთში საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ კათოლიკე ქართველები, სს-ის მიხედვით, სომხებად არიან წარმოდგენილნი ალბათ იმის გამო, რომ როგორც ცნობილია, მათ რომის პაპის მიერ დამტკიცებული ჰქონდათ სომხურენოვანი რიტუ (ტიპიკონი)² და დამორჩილებული იყვნენ სომხური კათოლიკური ეკლესიისადმი. ამით იყო განპირობებული, რომ ქართველი კათოლიკეების ("ფრანგების") გვარსახელებს ზოგჯერ სომხური ძირები ჰქონდა.

ისტორიულად საქართველოში (უმეტესწილად ქალაქებში) ცხოვრობდნენ სომხები, რომლებიც თავიანთი ეროვნული სარწმუნოების – გრიგორიანული ქრისტიანობის მიმდევრები იყვნენ. ცნობილია, რომ საქართველოში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) მონოფიზიტური ქრისტიანობა გავრცელდა ქართველთა შორისაც და ჩამოყალიბდა ქართველ გრიგორიანთა თავისებური ჯგუფი,³ სს-ის მიხედვით, ქართველი გრიგორიანები (რა თქმა უნდა სომხებთან ერთად) ქართლ-კახეთის არაერთ სოფელში

გვხვდებიან. რა მონაცემებით ვადგენთ, რომ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევართა ნაწილი ქართველია? პირველ რიგში გასათვალისწინებელია გრაფა "язык домашний". ამ გრაფის მიხედვით კი არაიშვიათად სომხური ეროვნებისა და გრიგორიანული სარწმუნოების რიგი ოჯახებისათვის შინაურულ სალაპარაკო ენას "ქართული" წარმოადგენს. მაგრამ ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან ბევრი სომხისათვისაც ამ პერიოდში დედაენა ქართულია. ეს ერთი, მეორე – ქართულ გვარსახელებზე დაკვირვება. ხშირად, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ქართული გვარსახელების მატარებელნი სომხებად არიან მიჩნეულნი. მესამე – ზოგჯერ გრიგორიანული სარწმუნოებისა და სომხური გვარსახელის მატარებელი მეორე (ქართული) გვარსახელითაც არის მოხსენიებული. მეორე ანუ ძველი გვარსახელით პიროვნებათა მოხსენიება სს-ის დიდ პლუსად მიგვაჩნია. ამით შესაძლებლობა გვეძლევა ვიკვლიოთ როგორც ეთნიკური პროცესები, ისე კონკრეტული გვარსახელების ისტორია. ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს, რომ სს-ში მოხსენიებული მეორე გვარსახელი ძველი გვარსახელია, რომლის შეცვლაც ფეოდალური და კაპიტალისტური პერიოდის საქართველოში, გარკვეული მიზეზების გამო, იშვიათად არ ხდებოდა.

გორის მაზრის ვარიანის საზ-ის სოფ. ახალდაბაში, სხვადასხვა გვარის ქართველებთან ერთად მოსახლეობდნენ **პაპუაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები, თანდილაშვილები, გიორგაშვილები, კუტიშვილები, ჯავახიშვილები.**⁴ ჩამოთვლილ გვართა წარმომადგენლები სომხური ეთნიკური ფენისადმი არიან მიკუთვნებული, ჩვენი ღრმა რწმენით, სარწმუნოებრივი მომენტის გამო. აღნიშნული გვარსახელების მატარებელნი იმავე სს-ის მიხედვით საქართველოს სხვა რეგიონებშიც არიან განსახლებულნი და ყველანი ქართველებს ეკუთვნიან. ამასთანავე, გიორგაშვილი წარმოშობით სომეხი რომ იყოს, ის იქნებოდა არა გიორგაშვილი, არამედ გეურქაშვილი. ახალდაბაში ასეთია სულ 29 კომლი, საერთოდ, 1886 წ. სს-ით შეიძლება გამოთვლა, თუ რამდენი კომლი, გვარი, სული არის ჩამოცილებული ხელოვნურად ქართულ ეთნოსს და მექანიკურად სხვა ეთნოსზე, ამ შემთხვევაში სომხურზე მიწერილი.

სს-ის მიხედვით მკვეთრად სომხური ეთნიკური სურათია ნაჩვენები ქართლის სოფ. ახალქალაქში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გარკვეულ მიკრორაიონში ახალქალაქი ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ახალქალაქში სომხები დაასახლა როსტომ მეფემ (1632-1658).⁵ ახალქალაქის სომხური გვარსახელების ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. მაგრამ უნდა დავასახელოთ ზოგიერთი "სომხური" გვარსახელი: **მამასახლისიშვილი, ქვრივიშვილი, ხუციშვილი, მეზურნიშვილი, გოგინაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ჩალაშვილი, ტატანაშვილი, აბუაშვილი, გაბრიელიძე, წევრიანაშვილი, მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი, ივერიანოვი, ფირალიშვილი, გოდერძაშვილი, მამაცაშვილი** (254-8-1654).

ჩამოთვლილ გვარსახელებს ქართული ძირები აქვთ. ეთნოგრაფიული მასალებითაც ისინი გრიგორიანი ქართველები იყვნენ და ბოლოს 1818 წ. კამერალურ აღწერაში მათი უმეტესობა ეროვნებით ქართველია (254-1-542). 1830 წ. კამერალურ აღწერაში კი ახალქალაქელი გოზალიშვილები მეორე გვართ (წერეთელი) არიან მოხსენიებული (254-1-1244, გვ. 24-32). მაგრამ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ახალქალაქში არამცირედი რაოდენობით ჩანს ნამდვილი სომხური ფენაც. სს-ით სომხებსაც ეთნიკური პროცესების მნიშვნელოვანი გავლენა განუცდიათ ქართულ სამყაროში და მათი საოჯახო სამეტყველო ენა ქართული გამხდარა.

გორის მაზრის სოფ. ბერბუკში მოსახლეობდნენ გიგაურები (254-3-1655). სს-ით **გიგაურები**, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების გამო, სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული. ეთნოგრაფიული მონაცემებითაც სოფელში მათ სომხებს ეძახდნენ. გადმოსახლებული კი არიან ქსნის ხეობის სოფ. ძეგლევდიდან, სადაც ადრე არაგვის ხეობის მთიდან იყვნენ მოსული.

ბორჯომის ხეობის სოფ. ბერისაყდარში (254-3-1660) ძირითადი მოსახლეობა სომხები იყვნენ. მაგრამ აქ მკვიდრობდნენ ქართველებიც (სანდამე, მოსიაშვილი, ვერხვიაშვილი და სხვ.), რომლებიც სს-ით მიკუთვნებული არიან სომხური ეთნოსისადმი.⁶ ამასთანავე, ისიც ხაზგასასმელია, რომ ვერხვიაშვილების ერთი კომლი თუ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი და ეროვნებით "სომეხია", მეორე – მართლმადიდებელი და ქართველია.

გორის მაზრის სოფ. ვაყაში (254-3-1662) სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული იმედაშვილები, მამულაშვილები, მეკარიშვილები... გრაკალში – პაპიაშვილები, გოგინაშვილები, დურგლიშვილები, ტატიაშვილები (254-3-1663); დიდ გარეჯვარში – თუშიშვილები, მუნჯიშვილები; დირბში – კულუმბეგაშვილები (ამ გვარის წარმომადგენლები საერთოდ ოსები არიან), დოლიაშვილები, მოძმანაშვილები, თეთრუაშვილები, ქოთუაშვილები, ბერიანაშვილები, პაატაშვილები (254-3-1667)... ზემო რეხში – კაკიტაშვილები, მამუკელაშვილები, ქარელიშვილები, კაბულაშვილები (ეს გვარიც ოსურია... 254-3-1674); ტყვიავეში – ქარელები, მერაბაშვილები, გიგუაშვილები, ხაბაზიშვილები (245-3-1706) და მრავალი სხვა.

ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ქ. ცხინვალის აღწერა, რომელშიც ზოგჯერ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრები ქართული ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული. მაგალითად, ხოჯაბაევი, ნალბანდიშვილი, ბუტაური (254-3-1717). პირველი ორი გვარსახელის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, მესამე (ბუტაური) კი ქართული გვარია, რომლის წინაპრებიც დაბლობში შიდა ქართლის მთიანეთიდან იყვნენ ჩამოსული.

ს. კავთისხევში, სომხურ-გრიგორიანული რწმენის გამო, სომხური ეროვნებისადმი არიან მიკუთვნებული: ნანიკაშვილები, ქსოვრელები (1830 წ. აღწერით ქსოვრელების ნაწილი მართლმადიდებელია, ნაწილი – გრიგორიანი; 254-1-12-46, გვ. 76-93. 1818 წ. აღწერით კი ყველა ქსოვრელი ქართველია. 254-1-544, გვ. 158-164); ირემაშვილები, ტუშურაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები... (254-3-1725); ქვახვრელში – ბერიკაშვილები, პაპიაშვილები, გოგოლაშვილები, მათიაშვილები, ხუციშვილები, გიგოლაშვილები...

სომხური ეთნიკური ელემენტი მოსახლეოდა ქსნის ხეობის სოფ. ახალგორშიც (დღევანდელი ლენინგორი). სომხური ეთნოსის გაჩენა ახალგორში, ჩვენი დაკვირვებით, XV ს-ში უნდა მომხდარიყო.⁷ ძირად სომხებთან ერთად ახალგორში მოსახლეობდნენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფესიური მიკუთვნებულობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლაშვილი, ხუბაშვილი (ძირად ოსი), ხოცუელიშვილი, ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო, მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად მიეკუთვნენ სომხურ ეროვნებას. მაგალითად, გათენაშვილის ადრინდელი გვარი გიგაური ყოფილა. ამასთანავე, გათენა მამაკაცის უძველესი ქართული სახელია. ამ ძირზე გვარსახელი გათენეთი (გათენაძე) XIII ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჭოროხის ხეობა) გვხვდებოდა.⁸

ქართველი გრიგორიანების ჩამოთვლა 1886 წ. სს მიხედვით შეიძლება გაგვეგრძელებინა აგრეთვე თბილისის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდან. ამჟამად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნებული იმ გვარსახელებისადმი, რომლებიც მეორე გვარსახელებითაც არიან მოხსენიებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნავთ, ფრჩხილებში მითითებული მეორე გვარსახელები ადრინდელ გვარებს წარმოადგენენ. მეორე გვარით პიროვნების მოხსენიება დამახასიათებელი იყო XIX ს. თითქმის ყველა კამერალური აღწერისათვის, რა თქმა უნდა, თუ ასეთი მეორე (ანუ ძველი) გვარსახელი ჰქონდათ. ხშირად ეთნოგრაფიული მასალა (გადმოცემა გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ) და დოკუმენტური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. ავიღოთ მაგალითად თბილისის მაზრის

სოფელი ახალსოფელი (25-3-1606), სადაც მოსახლე კაზაროვების ერთ ნაწილს მიწერილი აქვთ: «он же Матиашвили», "მეორე ნაწილს «он же Мартиашвили», სოფელ კუმისში (254-3-1616) მკვიდრობდა Кекелов (он же Алавердашвили)». კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული რწმენის გამო კი სომხებად არიან ჩაწერილი). ამ შემთხვევაში თავად გვარსახელები მიუთითებენ თავიანთ ეთნიკურ ქართველობას: **ბაბალაშვილი, გურასპაშვილი** (შდრ. გურასპაული), **საყვარელაშვილი, მათურაძე** (შდრ. ოიკონიმი მათურა ფშავში და გვარსახელი მათურელი), **თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანოვი, ხოსიტოვი, გურამოვი, ძამიევი, ჟუჟიაშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედალაშვილი, ნინიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყევაროვი, კახუროვი, როსტიაშვილი...** პატარა ენაგეთში (254-3-1629): «Грикурашвили (он же Мествиришвили)»; სართიქალაში – «Степанов (он же Гарсиашвили)»; სანიორეში – «Оханашвили (он же Оркодашвили)»; «Саркисашвили (он же Кикиашвили)»; ყანდაურაში – «Кузанашвили (он же Гамткицулашвили)»; ჩუმლაყში – Демуров (он же Менабдишвили)» (254-3-1782, 1603); ანანურში (დუშეთის მაზრა) – «Степанов (он же Мухашвили)».

ზემოთ მიმოხილული მასალით, ვფიქრობთ, ქართველ გრიგორიანთა არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუმცა ასეთი ჯგუფების არსებობა საქართველოში ეჭვს ქვეშაა დაყენებული ზოგიერთი ავტორის მიერ. მაგალითად. პ. მურადიანი წერს, «... каким-то образом нужно доказать само существование «общности грузин-григориан». Это понятие было придумано в начале нашего столетия под воздействием определенных настроений в Грузинском буржуазном обществе».⁹ თუმცა იმავე ნაშრომის სხვა გვერდზე ვკითხულობთ: “Известно, что бывали случаи, когда армяне-монофизиты переходили в лоно халкедонистов, а грузины становились «армянами» (т.е. монофизитами)».¹⁰ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში არსებულ საფლავის ქვათა ეპიტაფიების ორენოვანი (ქართულ-სომხური) წარწერები იმავე ავტორს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ამ სოფლებში ორენოვანი სომეხი მოსახლეობა მკვიდრობდა.¹¹ ჩვენი მხრით დავძენთ, რომ ორენოვანი (ქართულ-სომხური) ეპიტაფიები ამის დამადასტურებელი არაა. ეთნოგრაფიული მასალებით, იმ სოფლებში, რომლებზედაც პ. მურადიანი მიუთითებს, ორენოვანი სომეხი მოსახლეობა არ ყოფილა. აქ მხოლოდ ქართველი გრიგორიანები ცხოვრობდნენ, რომელთა მშობლიური ენა ქართული იყო და უცნობი იყო მათთვის სომხური ენა. მეორეც, იმავე ეთნოგრაფიული მასალებით (რომლებსაც საოჯახო სიები მხარს უჭერს) სომხური ენა არ იცოდნენ თვით ნამდვილად სომხებმაც. ასეთი არაერთი მაგალითის მოტანა შეგვეძლო. რაც შეეხება საფლავის ქვათა ორენოვან ეპიტაფიებს, ანგარიშგასაწევია, რომ ისინი კეთდებოდა სომხური გრიგორიანული ეკლესიის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ მართალია, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში სომხური მოსახლეობა იყო, და შესაბამისად, ქართველი გრიგორიანებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით იგრძნობა XIX ს. შუა ხანებიდან (არაერთი მაგალითი შეიძლება მოგვეტანა XIX ს. სხვადასხვა პერიოდის კამერალური აღწერებიდან, რომლებშიც ესა თუ ის გვარები ჯერ მართლმადიდებლებად და ქართველებად, შემდეგ კი გრიგორიანებად და სომხებად არიან ჩაწერილი). საქართველოში XIX ს-ში ქართველი გრიგორიანების ზრდა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყო, ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ ზრდასა და 1811 წლიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასთან.

როგორც აღვნიშნეთ, 1886 წ. სს მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ მოსახლეობის მიგრაციის კვლევისათვის.¹² გადაადგილების ყველა შემთხვევას სს-ში აღნიშნავდნენ. ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ოსთა შიდა ქართლის მთიდან შიდა ქართლის ბარში გადასახლების შემთხვევებს. სს მიუთითებენ, რომ ოსების შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლება ძირითადად მოხდა XIX ს. შუა ხანებიდან. განსაკუთრებით 60-80-იან წლებში. ამჟამად ჩანს დასახლებული ეთნიკური ერთეულის ჯგუფური გადასახლებები აღნიშნული მიმართულებით. სს-ში ზუსტი ჩვენებაა მოცემული იმისა, თუ მთის ამა თუ იმ სოფლიდან

ბარის რომელ სოფელში გადასახლდნენ ოსების ოჯახები. მთის სოფლების აღწერისას მიწერილი აქვთ სად გადასახლდნენ, დროებით არიან წასული თუ მიდმვიად. დროებით საცხოვრებლად წასულების უმეტესობა კი მუდმივად საცხოვრებლად რჩებოდნენ. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: დღევანდელი ქარელის რ-ის სოფ. ბანში სს-ით ათი კომლი ოსი მკვიდრობდა. სს-ის მიხედვით ისინი ყველანი მიგრანტები იყვნენ, რომლებიც მოსულან ლიახვის ხეობის ზემო წელის სხვადასხვა სოფლებიდან. 10 ოჯახიდან ორი ოჯახი ჩამოსახლდა "15 წლის წინ" (ე.ი. 1871 წ.), დანარჩენები "11 წლის წინ" (ე.ი. 1875 წ.), "12 წლის წინ" (ე.ი. 1874 წ.), "10 წლის წინ" (ე.ი. 1876 წ.), 8 წლის წინ" (ე.ი. 1878 წ.) და სხვა (254-3-1655).

სოფ. კოშკიდან (დიდი ლიახვის ხეობა, დღ. ჯავის რ-ნი), რომელშიც სს-ით 169 კომლი ცხოვრობდა, ბარის სხვადასხვა სოფელში მიგრირებულა 112 კომლი (254-3-1681). სოფ. ზადიდან (დღ. ცხინვალის რ-ნი) შიდა ქართლის ბარის სხვადასხვა სოფელში გადასახლებულა 75 ოჯახი (254-3-1674). 46 კომლიდან 20 კომლი გადასახლებულა სოფ. დამწვარიდან. საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთისა და ბარის სოფლებში დასახლებული ოსები უმეტესაც ხიზნის კატეგორიით არიან მოხსენიებული. მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 1886 წლისათვის დღევანდელი სამხრეთ ოსეთის აო-ის ცენტრში _ცხინვალში და ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში ახალგორში (დღევანდელი ლენინგორი) არ მოსახლეობდნენ ოსი ეროვნებისანი (254-3-1117, გვ. 1-40; 254-3- 1790, გვ. 1-64).

ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყო ზოგიერთი სხვა მასალის მოტანაც. 1886 წ. სს-დან უთუოდ კვლევის ამ ორბიტაში ექცევა ის, რომ საქართველოში მოსახლე ყველა ოსის გვარსახელი _შვილი ფორმანტით იყო გაფორმებული, გარდა თრუსოს ხეობის ოსებისა. თრუსოელი ოსების გვარსახელების ფუძე ძირითადად _ოვ (-ევ) სუფიქსს ირთავდა. მაგრამ თრუსოს სს სხვა მხრივ იძლევა მასალას ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების გამოსავლენად. სოფ. ალმასიანში (ბაზალიანში) მოსახლე **ზაგაშვილებს** მართალია ეროვნება "ოსი" აქვთ მიწერილი, მაგრამ მათი «язык домашний» ქართულია. სს-ით ორენოვანია სოფ. კარატკავის მოსახლეობა (ქართული და ოსური). იგივე შეიძლება ითქვას სოფ. ქეთრისის მკვიდრებზეც. სოფ. მნის მცობრებლებს კი «язык домашний»-ის გრაფაში ქართული აქვთ მიწერილი. რაც შეეხება ოქროყანას (მოსახლეობდნენ: **გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ზაგალოვები, კაკაევები**), თავდაპირველად აღმწერს «народность»-ის გრაფაში «осетины» "ჩაუწერია, მაგრამ შემდეგ გადაუშლია და იმავე ხელით ზემოდან დაუწერია «грузины». «язык домашний» -ს გრაფაში კი «грузинский и осетинский» (254-3-1816). ასევე ორენოვანია სოფლების სივრათას, რეხის, სუათისის, ტეფეს, ცოცოლდის, შევარდენის მოსახლეობა. სოფ. თოლგოთის მკვიდრი (ფიტაროვებს და თაყაევებს) «язык домашний» გრაფაში ქართული უწერიათ.

საყურადღებოა, რომ სს-ით კარგად ჩანს, იმერეთის მოსახლეობის მიგრაცია შიდა ქართლში, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური ყოფილა XIX ს. შუა ხანებში, თუმცა პროცესი ჯერ კიდევ XVII-XVIII სს. იყო დაწყებული. სს-დან ირკვევა, რომ გვიან, XIX ს. 80-90-იან წლებში, 900-იანი წლების დასაწყისში, მიგრანტი იმერეთის მოსახლეობის ნაწილი უკან უბრუნდებოდა თავდაპირველ საცხოვრისს. ჩვენთვის ჯერ უცნობია ამ უკანდაბრუნება-გადასახლების მიზეზი, რასაც ალბათ სავლელ კვლევა-ძიება დაადგენს. სს-დან ერთი რამ ცხადად ჩანს, რომ იმერეთიდან ქართლში გადმოსახლებულთა ნაწილი კვლავ აგრძელებდა თავდაპირველ საცხოვრისთან კავშირს (ოჯახი მთლიანად არ გადმოსახლდებოდა) გარკვეული ხნის განმავლობაში.

სს-დან ჩანს, რომ ინტენსიური იყო დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების მოსახლეობის მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოში, უფრო სწორად თბილისის საგარეუბნო სოფლებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. მათი უმრავლესობა ახალ საცხოვრისში დროებით მცხოვრებლებად არიან გატარებული. შენიშვნების გრაფა კი

მიუთითებს ამ კატეგორიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მუდმივად საცხოვრებლად დარჩენაზე. დასავლეთ საქართველოს აღნიშნული რეგიონებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის მოსვლის თავდაპირველი ფორმა "დროებით სამუშაოზე სიარული" უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალციხის, ახალქალაქის მაზრებისა და ზაქათალის ოკრუგის მასალები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ქართველი კათოლიკეების გვარსახელებს თუ დავაკვირდებით, აშკარად გამოიყოფა სამი ტიპის გვარსახელები: ა. ქართულფუძიანი, ბ. სომხურფუძიანი, გ. თურქულფუძიანი. საერთოდ, ეს გვარები, უმეტეს შემთხვევაში – ოვ (-ევ) სუფიქსითაა გაფორმებული. ეროვნება ყველას ქართველი აქვს მიწერილი, სარწმუნოება – სომხურ-კათოლიკური, «ЯЗЫК ДОМАШНИЙ» – ქართული. ქართული ძირებით არიან: ნებიეროვი, დათებოვი, გოკიელოვი, ბეთანოვი, ბერიძე, ფირალოვი, მეფისოვი, ფეიქაროვი, ხარისჭაროვი, ხუციანოვი, მესარკოვი... არაქართული ძირებით: კევორკოვი, ნაზაროვი, ხოჯევანოვი, აკამოვი, სეხპოსოვი, ხითაროვი... ზემოთაც გვქონდა ნათქვამი და აქაც გავიმეორებით, რომ სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და არა ლათინურ-კათოლიკურს. სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას კი სომხური ტიპიკონი ჰქონდა დადგენილი,¹³ რაც ქართველ კათოლიკეთა წრეში ჯერ სომხური სახელებისა და შემდეგ სომხურძირიანი გვარსახელების გავრცელებას იწვევდა. სომხური და თურქული ძირებით წარმოდგენილი გვარსახელები, რა თქმა უნდა, მეორეული მოვლენაა და ყველა ასეთ გვარსახელს თავდაპირველი გვარი უეჭველად ჰქონდა. მაგალითად, ხითარიშვილის ძირი – გვარი თამარაშვილი ყოფილა.¹⁴ ქ. ახალციხის გარდა, სს-ის მიხედვით სომხურ-კათოლიკური მრწამსის ქართული მოსახლეობა გვხვდებოდა სოფლებში: არალში, ვალეში, უდეში, ვარგავში, ხიზაბავრამში (ორი უკანასკნელი სოფელი ახალქალაქის მაზრაში შედიოდა). არალის ქართველი კათოლიკეების გვარები: აფრიამოვი, ფეიქაროვი, ჩაგიევი, ტატალოვი, ჩილინგაროვი,¹⁵ თათეოზოვი, კაჭკაჭოვი, მარტიროზოვი, თომაშვილი, გრიქორაშვილი, ნადირაძე, პეტრეშვილი, ტატეშვილი...

ვალეში ცხოვრობდნენ როგორც მართლმადიდებელი ქართველები, ისე ქართველი კათოლიკეები: გოზალოვი, ზაქაროვი, არუთინაშვილი, გიგოლაშვილი, ნასყიდოვი, მელქონაშვილი, ატენოვი, ჩიტიშვილი, გაბელაშვილი, ჯაფომვილი, მალვენოვი, სარიანოვი, დავიდოვი, გაბრიელოვი, ნიკოშვილი, ბეჩიტაძე. სოფ. უდეს ქართველ კათოლიკეთა გვარებია: მამულოვი, პეტროევი, მაისუროვი, კაზაროვი (он же Гзиришвили), გოგილოვი, ფაცხოვი, პოდოსოვი, ბალახოვი, ობოლოვი, მამასახლისოვი, ყულიჯანოვი, კეჟეროვი, ვართანოვი (он же Абуладзе), ბადლოევი (он же Абуладзе), ლალიევი, ზაზაევი, აბულაძე, ანტონაშვილი, პარუნაშვილი, ჭილაშვილი...

1886 წ. სს-ით სოფ. ვარგავში კათოლიკე ქართველების მშობლიური ენა ქართულია, მაგრამ «народность»-ის გრაფაში მათ სომხური უწერიათ. ეს გვარებია: ლაზაროვი, დათაევი, შეშაბერიძე, თამაზოვი, დავლესერიძე (მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს მიერილი "ქართველი").

ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით სოფ. ხიზაბავრას მოსახლეობა (137 კომლი, 1,274 სული) სომხებადაა მიჩნეული.¹⁶ სს-ის დედნის მიხედვით კი ხიზაბავრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ. ოფიციალურად დაბეჭდილმა დოკუმენტმა კი სხვა სურათი მოგვცა. ეს გამონაკლისი როდია.

ახალციხის მაზრა XIX ს. ძირითად მაჰმადიანური იყო. სს გვამღევს საშუალებას გავარკვიოთ აღნიშნული მაზრის მაჰმადიან მოსახლეობაში, რომელი სოფლების მოსახლეობაა ქართული. ქართველებს «народность»-ის გრაფაში მიწერილი აქვთ ქართველი, სარწმუნოება – მაჰმადიანურ-სუნიტური და «ЯЗЫК ДОМАШНИЙ» – თურქული, ხან კი ქართული და თურქული. მაჰმადიან ქართველებს ზოგჯერ ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი. 1886 წლისათვის ახალციხის მაზრაში ორენოვანი იყო 16 სოფლის მოსახლეობა, რომლებშიც შემდეგი ქართული

გვარსახელება ფიქსირებული: **ჩხოკიძე, ტატაძე, ცხადაძე, მამუკაშვილი, ბაზაძე, ზეთიაშვილი...**¹⁷

გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობა, რომელთა «язык домашний» თურქული იყო, 1886 წ. სს-ით, ახალციხის მაზრაში 51 სოფელში მკვიდრობდა.

სს-დან ისიც ჩანს, რომ, მართალია, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა ყოველმხრივ თურქებადაა გატარებული (ეროვნება, ენა, სარწმუნოება), მაგრამ ჩანს, რომ ასეთი "თურქები" ზოგჯერ ქართველებს წარმოადგენდნენ. ასეთი სოფლებია კამზა, მხე, დიდი ხოპსი. ორი ქართული გვარსახელი (**თურმანიძე, აბაზაშვილი**) ამოვიკითხეთ პატარა სმადაში. მხოლოდ სხვათაშორის მიწერილი ეს ქართული გვარები გვაგულისხმებინებს, რომ ამ სოფლის მოსახლეობა ძირად ქართული იყო. მესხეთის ქართველ მაჰმადიანთა შორის შეიძლება გადასახელოთ შემდეგი გვარები: **თავდგირიძე, დუნუკაძე, წულუკიძე, გოლოთიძე, აფაქიძე, დედულაძე, კარწელაშვილი, ჩახოშვილი, გვახიძე, გვარაძე, მაკარიძე, პაიკიძე, სადინაძე, სადუნაძე, კიკიაძე, მოსიძე, ჯავახაძე, დვალისშვილი, ყიფიანი...** პრივილეგირებული წოდებიდან: **ერისთოვი, მუხრანსკი, პეპინოვი, გიორგწმინდაძე, ამილახვარი, ლორთქიფანიძე, ვაჩნაძე, სანიკიძე...**

ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით საყურადღებო უნდა იყოს ამონაწერი სოფ. კლდის სს-დან. აქ გვხვდება "რაჯაბ ბიძინ ოლლი ტატაძე" და "ხალილ ბიძინ ოლლი ტატაძე", რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ მაჰმადიანებში ჯერ კიდევ იყო ტრადიცია ქართული სახელების დარქმევისა. ჩანს, სოფ. კლდეში გამაჰმადიანება-გათურქების პროცესი შედარებით ახალდაწყებული იყო. გამაჰმადიანება-გათურქების ახლად დაწყებული პროცესის შესახებ მიუთითა ნ. მარმაგ: «Сейчас за ручьем Гигадзис-Цкали в селе Дасабومه живет Мамуд Ахмед-оглы Джарбидзе, грузин-мусульманин, который утверждает, что дед его был священником при церкви».¹⁸ აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1595 წ. თურქეთის ხელისუფალთა მიერ ფისკალური მიზნით შედგენილ "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" შეტანილ ოჯახის უფროსთა სახელები და მამის სახელები ქართულქრისტიანულია. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვხვდება თურქული სახელები.¹⁹

1886 წ. სს-ში ჩანს ქართველი მაჰმადიანების თურქეთში გადასახლების შემთხვევები და სომეხთა თურქეთიდან გადმოსახლება (ადრე დაწყებული პროცესის გაგრძელება). მთლიანად თურქეთში გადასახლებულა ს. კოლათხევის მოსახლეობა (254-3-1843); უდესა და ურაველის საზოგადოებებიდან 1880-იან წლებში თურქეთში მიგრირებულა 37 კომლი (254-31852).

ქართველთა გასომხების შემთხვევები შეინიშნება ახალქალაქის მაზრაში. მაგალითად, სოფ. ტურცხში, სადაც სომეხი კათოლიკეები მკვიდრობდნენ, გვხვდება გვარსახელები აშკარად ქართული ძირებით: **ხუციევი, ილიაძე, ოქროევი...** სს-ში ეს გვარები ეროვნებით და ენით სომეხებად არიან ჩაწერილი (254-3-1892, გვ. 1-49).

უნდა აღინიშნოს, რომ სს-ში ახალციხის ზოგიერთი ქართული გვარი გვარსახელთა მაწარმოებელი უძველესი ქართული სუფიქსით (_ეთ, _ათ) გვხვდება.²⁰ მაგალითად **პეტრეთი, გულიჯანათი...** ამ ფორმანტიტ ქართული გვარსახელების წარმოება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდეა შემორჩენილი (ოფიციალური _ძე და _შვილი-ს ნაცვლად ხალხურ სამეტყველო ენაში აღნიშნული სუფიქსი იხმარება). სამცხეში თამარაშვილის ნაცვლად იტყვიან **თამარათი**, ხევში ავსაჯანიშვილის ნაცვლად – **ავსაჯანეთი**, ფშავში მუშატაშვილის ნაცვლად – **მუშტათი** და სხვ.

ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემებით ახალქალაქის მაზრაში ქართველების რაოდენობა 20.455-ით განისაზღვრება.²¹ სს დედნის მიხედვით კი ერთგვარად სხვანაირი სურათი ჩანს. არაერთგზისი გამოანგარიშებით ქართველთა რაოდენობა ახალციხის მაზრაში 1886 წ. შედარებით მეტი ყოფილა – 23.995 სული. ცხადია, წინა წლებში ეს რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, რადგან სს-ში ვერ მოხვდა თურქეთში გახიზნულ-გადასახლებული ქართველობა. პროცენტული რაოდენობის მიხედვით ქართველი მართლმადიდებლები მთელი ქართული მოსახლეობის 19,3 პროცენტს შეადგენდნენ, ორენოვანი ქართველი

მაჰმადიანები (რომლებიც ეთნიური პროცესების თვალსაზრისით შუა გზაზე იყვნენ გაჩერებული) – 19,4 პროცენტს, თურქულენოვანი ქართველი მაჰმადიანები – 43,2 პროცენტს, ქართველი კათოლიკეები – 18,1 პროცენტს.

1886 წ. სს-ით ზაქათალის ოკრუგში (საინგილო, ისტორიული ჰერეთი) მოსახლეობდნენ როგორც მართლმადიდებელი, ისე გამაჰმადიანებული ქართველები. ამ უკანასკნელთ «народность»-ის გრაფაში უწერიათ ქართველთა ადგილობრივი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება "ინგილო", რომელთა «язык домашний» ქართული იყო. მართლმადიდებელი ქართველები სს-ში გვარსახელებით არიან ჩაწერილი, რასაც ვერ ვიტყვით მაჰმადიან ქართველებზე.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თიანეთის მაზრის სს-ზე. არაერთგზის ერწო-თიანეთში ხევსურეთიდან მიგრირებული ცოლ-ქმრული წყვილი არაკანონიერადაა მიჩნეული, შესაბამისად – მათი შვილებიც (253-3-1752, 1739, 1747...). ვფიქრობთ, ამ მასალას ვრცელი კომენტარი არ სჭირდება. ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში გადმოსახლებულნი ჯვარს არ იწერდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში და არც ბავშვებს ნათლავდნენ. ხევსურული წეს-ჩვეულების მიხედვით, ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი და კანონიერი შვილების მშობლები იყვნენ. აღნიშნულიდან ამკარად ჩანს მთიელთა ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება. მიგრანტები ახალ გარემოში, გარკვეულ ხანს ინარჩუნებდნენ მთისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ყოფით (ამ შემთხვევაში სოციალურ-რელიგიურ) ელემენტებს.

ხევსურეთისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ყოფითი მომენტი კარგად ჩანს აგრეთვე ხევსურეთსა და ახალ საცხოვრისში (მაგალითად, ერწო-თიანეთში) მათთვის დამახასიათებელი ანთროპონიმური მასალით. მხედველობაში გვაქვს საკუთარი სახელები. სახელები კი ეთნოგრაფიული კვლევისათვის საყურადღებო მასალას წარმოადგენს.²² 1886 წ. სს-ით ხევსურეთსა და მიგრანტ ხევსურებში ფაქტიურად არ გვხვდება ქრისტიანული კანონიზებული სახელები (იშვიათი გამონაკლისია გიორგი და ივანე). საქართველოს აღნიშნულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში ძირითადად გავრცელებული იყო ძველი ქართული სახელები (გვხვდება მეზობლად მცხოვრები ვაინახების სახელებიც). შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი (მამაკაცის სახელები): ახალა, ბაბუა, ბიჭური, ბეკო, ბაჭია, გაგა, გამახელა, გელა, ვეფხვია, ია, იმედა, კურდღელა, მინდია, ნადირა, უშიშა, უმცრუა, ფშაველა, შუა, ძაღლიკა, წიქა, ცისკარა, ჭრელა, ხატულა, ჯოყოლა, ჯარია; (ქალის სახელები): ბერდედა, ბუბა, განძა, დედიქალა, კმარა, მზექალა, მთიურა, მზია, მინდა, ნათია, ნანა, სამძიმარა, ქალთათა, შუქია და მრავალი სხვ.

სს-ით ფშავეში ერთგვარად სხვაგვარი სურათი გვაქვს. აქ, არაერთგზის, მამაკაცები ორი სახელით არიან წარმოდგენილი: ერთი ოფიციალური ქრისტიანული და მეორე ადგილობრივი (ძვ. ქართული) სახელით. ქრისტიანულ სახელებს ფრჩხილებში არაქრისტიანული სახელები აქვთ მიწერილი. ეთნოგრაფიული მასალებით, აქ ეს უკანასკნელი იხმარებოდა.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევხვით კიდევ შემდეგ ეთნოგრაფიულ საკითხს, რომელზედაც სს-ში მკვლევარი ფასეულ მასალას იპოვის. სს-ის მიხედვით შეიძლება 1886 წ. აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ოჯახების რაოდენობის გამოთვლა. ასევე გარკვევა იმისა, თუ რომელ რეგიონში სჭარბობდა დიდი ოჯახები. სს-ით კლასიკური ტიპის დიდი ოჯახები უფრო ბარში შეინიშნება. ამავე დროს, დიდი ოჯახები, მასში შემავალ სულთა რაოდენობის მიხედვით, განსხვავებას ამჟღავნებს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში (მთა, მთისწინეთი, ბარი) და ეთნოგრაფიულ პროვინციებს შორის. ამ თვალსაზრისით მთისწინეთი ერთგვარ საშუალო რგოლს წარმოადგენდა მთასა და ბარს შორის. ბარში თუ არაიშვიათად იყო შემთხვევები, როდესაც დიდ ოჯახში 40-50 სული ცხოვრობდა (მაგალითად, 57 სული დავითვალეთ სოფ. მარტყოფში გ.ი. სამჭკუაშვილის დიდი ოჯახში – 254-3-1626, გვ. 27-39), მთაში ეს რიცხვი იშვიათად აჭარბებს 18-20 სულს. მთისწინეთი კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ გარდამავალ საფეხურს, საშუალო რგოლს წარმოადგენდა. სს-ით ხევსურეთში არ ჩანს დიდი ოჯახები, თუ არ ჩავთვლით სოფ. მუცუმში ქავთარ ჭინჭარაულის ოჯახს, რომელშიც 23 სული მკვიდრობდა

(254-3-1746, გვ. 70-71). ამ ორმოციოდე წლის წინ ხევსურეთის სოფ. გარბანში 12-სულიანი დიდი ოჯახი (რომელშიც ცოლშვილიანი ძმები ერთად ცხოვრობდნენ) დაუდასტურებია ი. ჭყონიას.²³ ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, დიდი ოჯახი ყოფილა არდოტის თემში XX ს-ის დასაწყისში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დიდი ოჯახების ეს რაოდენობა თვისობრიობაში ვერ გადადის. თითებზე ჩამოსათვლელი იყო დიდი ოჯახები ფშავშიც. ისინი ძირითადად შეინიშნება წინაფშავში, სადაც ფშავლები ბუდე-ფშავიდან იყვნენ მიგრირებული XV-XVI საუკუნეებში. თუმცა დიდი ოჯახები ძირითადად იმ სოფლებში ჩანს, რომლებშიც, სს-ის მიხედვით, განვითარებული იყო გადარეკვითი მეცხვარეობა. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ დაბლობში ჩამოსახლებულ ხევსურებში უკვე შეინიშნება ტენდენცია დიდ ოჯახად ცხოვრებისა. ერწო-თიანეთში მიგრირებულ ხევსურებს შორის არაერთი და ორი შემთხვევაა აღნიშნული ორი ცოლ-შვილიანი ძმის ერთად ცხოვრებისა. ხევსურეთში კი ორი დაოჯახებული ძმის ერთად ცხოვრება დასტურდება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ მათგანს შვილები არა ჰყავს. ხევსურეთში დიდი ოჯახების არარსებობა ამ რეგიონის საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფის თავისებურებებით უნდა აიხსნას. ვფიქრობთ, დიდი ოჯახების არარსებობას აქ განაპირობებდა ურთიერთდახმარების თავისებური ფორმა და მეურნეობის ფართოდ განვითარების შეზღუდულობა. მხედველობაში მისაღები უნდა იყოს, აგრეთვე, მთის ამ კუთხისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დემოგრაფიული სიტუაცია. ამ მხრივ კვლევის წარმართვა ალბათ აღნიშნული თეზისის სისწორეში დაგვარწმუნებს.

სს-ში შესაძლებელია საყურადღებო მონაცემების მოძიება საქორწინო ასაკის შესახებაც. თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (განსაკუთრებით ხევსურეთში) ხშირად 25-28 წლის მამაკაცები დასაქორწინებელნი იყვნენ.

თიანეთის მაზრაში შედიოდა მეზობელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, სულ 11 სოფელი. სს-ში ვაინახები გვარსახელებით არიან მოხსენიებული, რაც იშვიათი შემთხვევაა მაჰმადიანური სამყაროსათვის. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ მაჰმადიანობის მიღებამდე, კავკასიის ამ ხალხში გავრცელებული იყო გვარსახელები (ჩვენი აზრით, ესენი იყო არა გვარსახელები, არამედ გვიანდელი გვარები, რომლებიც შემდგომ პერიოდში გვარსახელებად გადაიქცნენ). ჩაჩნებში გავრცელებული გვარსახელები იყო **ალბაკაური, აშიგაური, ბარჩაული, ბადურგაული, ბაკაშაური, გადუმაური, დადიგაური, ზანტაური, კარსამაული, მუხაური, ხაიაური...** გვარსახელები წარმოდგენილია საქართველოს მთის გვარსახელებისათვის დამახასიათებელი – ურ (-ულ) სუფიქსით, რაც ვაინახებსა და ქართველ მთიელთა ისტორიულად არსებული ეთნოკულტურული ურთიერთობების მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ასეთია მოკლედ ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები, რომლებსაც 1886 წ. სს-ში იპოვის მკვლევარი. ზემოთ მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტალურად შევხეთ ზოგერთ საკითხს. არანაკლებ საყურადღებო მონაცემები მოიპოვება XIX ს. კამერალური აღწერების მასალებში,²⁴ რომელთა შესწავლა და სს-თან შედარება შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ რიგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებს მთელი XIX ს. მანძილზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893 (შემდეგში: Свод...).
2. შ. ლომსაძე, კათოლიკობა საქართველოში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 319.
3. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 302-322 (დანარჩენი ლიტერატურა იხ. აქვე).
4. საქართველოს სსრ ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფ. 254, ან. 3, საქ. № 1650 (შემდეგ ყველგან ტექსტში: 254-3-1650).

5. П. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии. Тифлис, 1850, с. 27.
6. სანდაძეთა გასომხების შესახებ მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილიც, იხ. მისი "საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. 1, თბ., 1964, გვ. 220.
7. რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.), "მაცნე" (ისტორიის... სერია), №4, 1987.
8. ტბეთის მატთანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, გვ. 37, 42, 164.
9. П.М. Мурадян, Армянская эпиография Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985, с. 90.
10. იქვე. გვ. 125.
11. იქვე. გვ. 41.
12. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ., 1984.
13. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
14. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (მასალები), თბ., 1981, გვ. 230.
15. ჩილინგაროვის ძველი გვარი ვარდიძე ყოფილა ("ჩილინგარ"-თურქ. ზეინკალი), ყაუხჩიშვილისა (თურქ. "ყაუხჩი" _ მექუდე) _ დარდაგანიძე, პარმასიზაშვილისა (თურქ. მეტსახელი "პარმასიზ" _უთითო) _ვანაძე (ი. მაისურაძე, დასახ. წიგნი, გვ. 200, 184, 131).
16. Свод...
17. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მსგავსი სიტუაცია დაადასტურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნ. მარმა: «В Дабацврили (სოფელი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რ.თ.) имеются фамилии Гопадзе и Халадзе. Местные по грузинской фамилии себя не называют. Только когда спросите, они сообщают свою грузинскую фамилию (Н.Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, С-П., 1911, с. 5, იხ. აგრეთვე 25, 26, 31-33, 36, 45); სოფ. ხანძთის შესახებ ნ. მარი წერს: «Грузинская речь здесь домашняя...» (с. 32).
18. ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
19. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, წიგნი II, თბ., 1941.
20. ვ. დონდუა, "ლიპარიტეთ"-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, "საისტორიო ძიებანი", თბ., 1967, გვ. 101-140; ტბეთის მატთანე, გვ. 37-40, 73; ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1979, გვ. 66-70.
21. Свод...
22. Этнография имен. М., 1971; Системы личных имен у народов мира, М., 1986.
23. И.В. Чкониа; Некоторые вопросы семейных общины в Картли, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1955, გვ. 403.
24. 1830 წლის მთიანეთის კამერალური აღწერის მონაცემები გამოყენებულია ეთნოგრაფიულ კვლევაში. იხ. რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფ. ძველად, თბ., 1965.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ე თ ნ ი კ უ რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა * (ზოგად ისტორიული მიმოხილვა)

ყველა ეთნოსს აქვს თავისი ბინადრობის ადგილი. ჯერ ქართველურ ტომთა და შემდეგ ქართველი ერის ფორმირება დღევანდელი და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ისტორიულად და დღესაც ქართველიერია, რომელიც საუკუნეების სიღრმეში წარმოიშვა ძირითადად ქართველურ ტომთა და სხვა ეთნოსთა შერევის შედეგად.

* "ქართველური მემკვიდრეობა", III, ქუთაისი, 1999, გვ. 72-79.

ისტორიულად საქართველო (და სხვა ქვეყნების უმეტესობაც) მონოეთნიური თითქმის არასოდეს არ ყოფილა. ამას პირველ რიგში მისი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა. სხვადასხვა მხრიდან მოსული მტრების ხშირი თავდასხმები საქართველოს მოსახლეობის სიჭრელეს თავისთავად ხელს უწყობდა. ერთნი თუ თავს აფარებდნენ ქართულ მიწა-წყალს, მეორენი ძალით სახლდებოდნენ ქართველი ერის ამოგდებისა და ასიმილაციის მიზნით. შენიშნულია საქართველოში უცხოეთნიკურ ერთეულთა გაჩენის მესამე გზაც: ქართველი მეფე-ხელისუფალნი თავად იწვევდნენ და ასახლებდნენ მათ გაპარტახებულ ქართულ სოფელ-ქალაქებში. შესაბამისად მოზაიკური და ჭრელი იყო საქართველოს მოსახლეობა კონფესიური თვალსაზრისით. ადგილობრივ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად საქართველოში მკვიდრობდნენ ქართველი კათოლიკენი და ქართველი გრიგორიანელები, მაჰმადიანები, უფრო ადრე მაზდეანები, იუდაველები...

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე უფრო საგრძნობი გახდა ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ და საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შედეგად ეს სიჭრელე საქართველოს მოსახლეობას დღემდე მოყვა. ალბათ ქართველი კაცის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ხალხს მის მიწა-წყალზე მოსახლე სრულიად განსხვავებულ ეროვნულ და კონფესიურ ერთეულებთან არასდროს რაიმე დაპირისპირება და კონფლიქტი არ ჰქონია.

დღევანდელი თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საქართველოში უცხო ეთნიკური ერთობებიდან ყველაზე მეტნი სომხები არიან. შემდეგ მოდიან: რუსები, თურქები (ახერბაიჯანელები), ოსები, ბერძნები, აისორები, ებრაელები, ქურთები... იყვნენ: სპარსელები, გერმანელები...

სანამ უშუალოდ გადავალთ თითოეული ეთნიკური ერთეულის საქართველოში დასახლების მოკლე ისტორიაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ისე როგორც სხვა ხალხების, ქართველი ხალხის (ერის) ჩამოყალიბების გზაც არ იყო ერთგვაროვანი. ქართველი ერი წარმოიქმნა, როგორც ქართული ტომების შემჭიდროების, ისე უცხო ეთნიკურ ერთეულთა ქართველ ერში შესვლა-შენივთებით, გადახარშვით. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთობ შერეული მოსახლეობა ძირითადად გვქონდა საქართველოს განაპირა მხარეებში. უცხო ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლები აქ უფრო ადვილად ახერხებდნენ დასახლება-დამკვიდრებას. ჭრელი ეთნიკური სურათი გვქონდა საქართველოს ქალაქებშიც.

ლეონტი მროველის მიხედვით, ძველ ქართლში, ქართულთან ერთად, რამდენიმე სხვა ენაც ისმოდა. მემატიაზე კონკრეტულად წერს: "და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა" (ქც. 1955, გვ. 16).

მემატიაზე უცხო ეთნიკური ერთეულებისაგან ქართლის გაწმენდას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს: "და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა _ იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდეთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან" (ქც. 1955, გვ. 17). "დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგინი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანი" (ქც. 1955, გვ. 18).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე ოდიტგანვე სხვადასხვა ეთნოსების შემოსვლა-დასახლება, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს.

ლეონტი მროველი უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოსახლებას მეფე საურმაგს მიაწერს. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ქვეყანა _ დურძუკეთი

ველარ იტევდა გამრავლებულ მოსახლეობას და დურძუკების საშუალებით "დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი", "მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მითულებს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი" (ქც. 1955, გვ. 27). ჩვენი აზრით, ვაინახთა სწორედ ამ შემოსახლების შედეგი უნდა იყოს საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ვაინახური ტოპონიმები. დროთა განმავლობაში ქართულ ეროვნულ-კულტურულ სამყაროში დასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები ქართველთა მიერ ასიმილირებული იქნენ.

უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოყვანა მიეწერება მეფე ფარანჯომსაც, რომელმაც "შეიყუარნა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას" (ქც. 1955, გვ. 20).

საქართველოს არაქართული მოსახლეობიდან ებრაელები ყველაზე ადრე არიან მოსული. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევებიდან ჩანს, საქართველოში ებრაელ მიგრანტთა რამდენიმე ტალღა მოსულა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში (ქ. აბულაძე, 1993). ლეონტი მროველი ებრაელების პირველ დასახლებას საქართველოში ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს (ძვ.ე. VI ს-ში): "მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი" (ქც. 1955, გვ. 15-16). ებრაელთა შემდეგი მიგრაციული ნაკადი ძვ.წ. 169 წელს მოსულა (სინ-I, 1970, გვ. 452-453). კიდევ ერთი ნაკადი ებრაელებისა ახ.წ. I ს-ში მოსულა: "და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი (ადერკის შვილები: ბარტამი და ქართამი – რ.თ.). ხოლო ამათსა მეფობასა უესპანიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა..." (ქც. 1955, გვ. 44). მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფიები ებრაელთა დიდი კოლონიის არსებობას ადასტურებს (ა. აფაქიძე, 1963, გვ. 240-244). ქართლის დედაქალაქში "უბანი პურიათა" არსებობდა. აქ მათ "ზაგინი ჰურიათა" (სინაგოგა) ჰქონდათ.

შუა საუკუნეებში ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ. მათი განსახლების ადგილებს ჩამოგვითვლის ვახუშტი ბაგრატიონი. XIX ს-ში ჩვენს ქვეყანაში ქალდეველი ებრაელებიც სახლდებიან. როგორც აღნიშნავენ, წინამორბედების მსგავსად მათაც შეითვისეს ქართული ენა, ქართული ყოფა-ცხოვრება (ქ. აბულაძე, 1993, გვ. 69). XIX საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდნენ სპარსეთისა და ევროპელ ებრაელთა მცირერიცხოვანი თემები. სპარსელი ებრაელებისაგან განსხვავებით, ევროპელი ებრაელები თანდათანობით მრავლდებოდნენ. ისინი ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ ქართულ ენას. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 14.714 სული ებრაელი მკვიდრობდა. საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებით ებრაელთა დედაენა ქართული იყო.

დღევანდელ საქართველოში უცხო ეთნიკურ ერთეულებს შორის ყველაზე მეტნი სომხები არიან. ისინი კომპაქტურად ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში-თრიალეთში ცხოვრობენ. საქართველოში სომეხთა მიგრაცია თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ხორციელდებოდა. სომხების საქართველოში ხშირი გადმოსახლება განპირობებული იყო იმით, რომ ისინი საქართველოს მოსაზღვრენი იყვნენ. მტერთაგან ლტოლვილნი სომხები უშუალოდ საქართველოს მოაშურებდნენ ხოლმე. ორ მოსაზღვრე ქვეყანას საქართველოსა და სომხეთს შორის ხშირი იყო საზღვრების შეცვლა. სასაზღვრო ზოლში თითქმის ყოველთვის იყო ქარულ-სომხური შერეული მოსახლეობა. ცნობილია, რომ V საუკუნის ქვემო ქართლში ღვთისმსახურება ქართულთან ერთად სომხურ ენაზეც მიმდინარეობდა, რაც თავისთავად აქ სომხური მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს. X საუკუნის II ნახევარში ქვემო ქართლის

ტერიტორიაზე ლორე-ტაშირის სომეხ კვირიკიანთა სამეფო წარმოიქმნა, რამაც აქ სომეხთა მომრავლება გამოიწვია (გ. მაისურაძე, 1982; ლ. ზურაბაშვილი, 1989).

სომეხების საქართველოში მიგრაცია განხორციელდა რამდენიმეგზის. მაგალითად: XI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მათ სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, დავით აღმაშენებელს მიგრანტი სომეხების ჯგუფი ქალაქ გორში დაუსახლება. ამავე პერიოდიდან სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოსახლებულა საქართველოში XV საუკუნეში. თომა მეწოფეცის ცნობით XV საუკუნის 30-იან წლებში სივნიეთიდან 6000 ოჯახი გადმოსახლებულა. 1774 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-ს რვა სომხური სოფლის მოსახლეობა აუყრია და საქართველოში დაუსახლება (გ. მაისურაძე, 1982).

საქართველოში დასახლებულ სომეხთა უმეტესობისათვის დედაენა ქართული იყო. ისინი ისევე ებრძოდნენ შემოსულ მტერს, როგორც ქართველები. არაერთი სომეხი დროთა განმავლობაში ეთნიკურად ქართველად იქცა.

სომეხთა მნიშვნელოვანი შემოსახლება მოხდა საქართველოში 1829-1830 წლებში, კერძოდ, ჯავახეთში. სომეხები აქ ცარიზმმა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიიდან: არზრუმიდან, ყარსიდან, ბაიაზეთიდან... გადმოსახლა. ისინი ძირითადად ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ მართლმადიდებელთა ნასოფლარებში დასახლდნენ; პირველნი თურქეთში იყვნენ გადასახლებულნი, მეორენი კი – აღმოსავლეთ საქართველოში. 1829-1830 წლებში თურქეთიდან სამცხე-ჯავახეთში მიგრირებულა 14.044 კომლი (90.000 სული) სომეხი (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 342-362). ასე შექმნა რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოში ქართველთა დაუკუთხავად დიდი სომხური კომპაქტური დასახლება. საქართველოში წინა საუკუნეებში მოსული სომეხებისაგან განსხვავებით, ჯავახეთში მოსულ სომეხებს არასდროს გამოუჩენიათ ქართული ენის შესწავლის სურვილი. ეს გასაგებიცაა, ისინი ხომ რუსეთის იმპერიამ გადმოსახლა საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთის კოლონია იყო.

1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით საქართველოში 172.000 სომეხი მოსახლეობდა, რაც მთელი მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა.

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლში მცხოვრებ უცხო ეთნიკურ ერთეულთაგან შეიძლება დავასახელოთ ბერძნები. ძველი დროიდან ბერძნები დასავლეთ საქართველოშიც მკვიდრობდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნულ კოლონიზაციას თან სდევდა ბერძნული მოსახლეობის დამკვიდრება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში (მ. ინაძე, 1982). არქეოლოგიური გათხრებით მცხეთაში ბერძენთა მცირე ჯგუფების არსებობას ვარაუდობენ (ა. აფაქიძე, 1963, გვ. 241). ისინი ძირითადად ხელოსნურ საქმიანობას ეწეოდნენ. შუა საუკუნეებში საქართველოში მსხვილი ბერძნული დასახლებები არ გვქონია. კომპაქტური ბერძნული დასახლებები საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში ჩნდება. ცნობილია, რომ მეფე ერეკლე II-მ ანატოლიელი ბერძნები ახტალისა და ალავერდის სპილენძის მადნების დასამუშავებლად მოიწვია.

წალკის ველზე ლტოლვილი ბერძნების დიდი ჯგუფი დასახლდა 1830-იან წლებში გუმბიშხანედან. ამავე დროს ბერძენთა 50 ოჯახი ჯავახეთის ახალქალაქში დასახლებულა, რომლებიც იქაურ სომეხთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გასომხებულან (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 337). აღნიშნულ დროს ბერძენთა 100-მდე ოჯახი სამცხის შავწყალის ხეობის ნასოფლარებში დასახლებულა, რომლებსაც შემდეგ თავი სოფელ ციხისჯვარში მოუყრიათ (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 337). 1886 წ. საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 28.774 ბერძენი მკვიდრობდა.

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ეთნიკურ ერთეულს ქურთები შეადგენენ, რომლებიც ძირითადად თბილისში მკვიდრობენ. 1886 წელს თბილისში მხოლოდ ორი ქურთი ცხოვრობდა. თბილისში ქურთები პირველი მსოფლიო ომის დროს არიან მოსული თურქეთიდან. თუმცა ქურთები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ

(ლაპარაკია სამხრეთ საქართველოზე). 1886 წელს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ერთად 1388 სული ქურთი მკვიდრობდა (Свод... 1893). გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის მიხედვით ქურთები XVI საუკუნის სამცხე-ჯავახეთში მომთაბარეობდნენ. როგორც გარკვეულია, ისინი ყარს-ერევნის ტერიტორიიდან იყვნენ შემოსული (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 335). XIX ს-ის 80-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ქურთები შვიდ სოფელში ცხოვრობდნენ.

მნიშვნელოვან უცხოეთნიკურ ერთეულს საქართველოში თურქები (თათრები, აზერბაიჯანელები) წარმოადგენენ. საქართველოს ტერიტორიაზე თურქ-სელჩუკები XI-XII საუკუნეებში იჭრებიან, მონღოლ-თურქები _ XIII-XIV სს-ში, თურქმანები _ XIV-XV სს-ში, ყიზილბაშები _ XV-XVI სს-ში, რის შემდეგაც ივრის, მტკვრის, ხრამის, დებედას ხეობებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა თურქმანული ტომებით შეიცვალა. XVI-XVII სს. ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ყიზილბაშური ტომები დასახლდნენ. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ თარაქამები სამცხე-ჯავახეთში. 1886 წ. საოჯახო სიებით თბილისის გუბერნიაში 68.364 სული თათარი ცხოვრობდა. თუმცა ამ მონაცემებით ძალიან ძნელია განვსაზღვროთ რამდენი იყო ეთნიკურად თათარი (თურქი, აზერბაიჯანელი) და რამდენი მაჰმადიანი ქართველი.

XIX საუკუნის მანძილზე ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3% და 4%-ს შორის მერყეობდა. 1886 წელს ისინი 72.000-ს ითვლიდნენ. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ოსური დასახლებანი XVII საუკუნის შუა ხანებში განხორციელდა. რაც შეეხება საქართველოს უძველეს და ძირძველ ტერიტორიას _ დვალეთს, აქ ოსები XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში დასახლდნენ. XVIII და XIX საუკუნეებში კი ოსები საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ფართოდ განსახლდნენ. ისინი ძირითადად ქართველთა ნასოფლარებში სახლდებოდნენ (რ. თოფჩიშვილი, 1997).

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ გერმანელებზე. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში 5.836 სული გერმანელი მკვიდრობდა. გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი (181 სული) თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს ჩამოსულა. ისინი სართიჭალასთან დაუსახლებიათ. 1818 წელს თბილისში გერმანელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსულა. სამეცნიერო ნაშრომებით ცნობილია, რომ 1819 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი გერმანული კოლონია იყო. 1884 წელს გერმანელ კოლონისტებს სოხუმის მახლობლად ორი კოლონია შეუქმნიათ (გ. მანჯგალაძე, 1974; ა. სონღულაშვილი, 1995).

რუსების დასახლება საქართველოში XIX საუკუნეში განხორციელდა. პირველად ჩვენში სახლდებოდნენ რუსეთის არმიაში ნამსახური ჯარისკაცები. 1837 წლიდან სამხედრო კოლონიები მოეწყო თბილისთან, წალკაში, მანგლისში, კოჯორში, ახალციხის მახლობლად... ეს კოლონიები ეწყობოდა იქ განლაგებული ჯარის ბანაკებთან. ცარიზმს იმედი ჰქონდა, რომ ამ დასახლებებით საქართველოს რუსიფიკაციას მოახდენდა, მაგრამ "ასტავნოი" ჯარისკაცებმა ეს ვერ შეძლეს. პირიქით, XIX საუკუნის ბოლოს ალ. ყიფშიძე წერდა: "საუკუნის დასაწყისს დაბანაკებული ჯარისკაცნი ადვილად შეეჩვივნენ მეზობელ ქართველებს, ისწავლეს ქართული, ტანსაცმელი ნახევრად ქართული შემოიღეს, ხვნა-თესვის წესრიგი ხომ სრულიად ქართული აქვთ. ბაკურიანში დაბინავებულმა რუსობამ სრულიად დაივიწყა რუსული, მხოლოდ თითო-ოროლადა ამტვრევს ჩიქორთულად რუსულს, სწორედ ტკბილი და მშვიდობიანი განწყობილება ჩამოვარდა ქართველებსა და პირველ რუს მოსახლეთა შორის" (ალ. ყიფშიძე, 1899, გვ. 1).

XIX საუკუნეში დასახლდნენ რუსი სექტანტები საქართველოში. მათი პირველი ნაკადი ჯავახეთში 1841 წელს მოსულა. ჯავახეთის მთიანეთში რვა რუსული სოფელი იყო. 1841-1845 წლებში ჯავახეთში ჩამოსახლდა 4.097 სული სექტანტი. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში 40.662 სული რუსი მკვიდრობდა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ აფხაზებზე. 1886 წლის აღწერით აღრიცხულია 60.432 აფხაზი. მაგრამ, როგორც ამავე აღწერით ირკვევა, სამურზაყანოელი ქართველები აფხაზებზე

იყვნენ მიწერილი. სამურზაყანოელების რაოდენობა კი ამ დროს 30.640 იყო. ე.ი. რეალურად XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 29.792 აფხაზი ითვლებოდა (Свод...).

ამრიგად, საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა. ასევე იყო ისტორიულად. მაგრამ ეთნიკური აჭრელება ქვეყნისა ძირითადად ცარიზმის მიერ საქართველოს კოლონიად გადაქცევის შემდეგ მოხდა. 1800 წელს თუ ქართველები საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტს წარმოადგენდნენ, 1897 წელს ეს მაჩვენებელი 69%-მდე დავიდა (ვ. ჯაოშვილი, 1984).

მოზაიკური იყო საქართველო კონფესიური თვალსაზრისითაც. ქართველი ხალხის ეროვნულ რელიგიას მართლმადიდებლობა წარმოადგენს. საქართველოს მთელი ისტორია ფაქტობრივად არის სხვა ეთნოსთა და შესაბამისად სხვა რელიგიათა, ქართველობისა და მისი რელიგიისადმი დაპირისპირება. რელიგიათა ამ დაპირისპირებამ უკვალოდ მაინც არ ჩაიარა. ქართველ ხალხში გაჩნდნენ სხვა კონფესიათა – მაჰმადიანობის, კათოლიკობის, გრიგორიანელობის აღმსარებელნიც, XX საუკუნის დასაწყისში – ბაპტისტები, XX საუკუნის დასასრულს – ეღოველები. ამის გამო, ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი სხვა ეთნოსის შემადგენლობაში შევიდა. ქართველთა კონფესიური ჯგუფების დიდმა ნაწილმა კი ეროვნული ცნობიერება შეინარჩუნა. ასე რომ, საქართველოში კონფესიური მოზაიკურობაა თვით ქართველი ხალხის შიგნით.

1886 წლისათვის თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის 61,35% მართლმადიდებელი იყო. დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) ეს მაჩვენებელი 86,61%-ს შეადგენდა. საქართველოში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სარწმუნოებით მონოფიზიტი (გრიგორიანელი) იყო. 1886 წ. ისინი თბილისის გუბერნიაში მკვიდრთა 22,25%-ს შეადგენდნენ. ქუთაისის გუბერნიაში სომეხ-გრიგორიანთა პროცენტული რაოდენობა 0,83% უდრიდა. სომხური მოსახლეობის მცირე ნაწილი სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისა იყო (თბილისის მაზრაში – 2% ქუთაისის მაზრაში – 0,97%). უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ საქართველოში რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისანი (თბილისის გუბერნიაში – 0,46%, ქუთაისის გუბერნიაში – 0,07%). იგივე შეიძლება ითქვას ლუთერანებზე (0,63% და 0,12%). რაც შეეხება მაჰმადიანებს, ჩვენში სუნიტური შტოს მიმდევრები ჭარბობდნენ. თბილისის გუბერნიაში სუნიტები მთელი მოსახლეობის 8,43%-ს შეადგენდნენ, შიიტები კი 2,41%-ს. ქ. ქუთაისის გუბერნიაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 10,50%-ს და 0,13%-ს შეადგენდა. რაც შეეხება იუდეველებს, ისინი ქუთაისის გუბერნიაში 0,76% იყვნენ, თბილისის გუბერნიაში – 0,94%.

ჩვენ არაფერი ვთქვით აისორებზე (ასირიელებზე), სპარსელებზე, ქისტებზე, ლეკებზე, ბულგარელებზე, ბოშებზე. აისორები 1886 წელს თბილისის გუბერნიის მოსახლეობის 0,03%-ს შეადგენდნენ, ქისტები – 0,30%-ს, ლეკები 0,01%-ს. სპარსელები ქუთაისის გუბერნიაში იყვნენ აღრიცხული (1299 სული, რომელთაგან მხოლოდ 51 იყო ქალი). ქისტები პანკისის ხეობაში XIX საუკუნის შუა ხანებში არიან გადმოსახლებული ჩაჩნეთიდან და ინგუშეთიდან. გადმოსახლებისას ისინი მართლმადიდებლებად მოინათლნენ, რამაც განაპირობა მათი ქართულსუფიქსიანი გვარები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისელი ქისტები მაჰმადიანობას დაუბრუნდნენ.

ისტორიულად საქართველოში მცხოვრები არაქართველები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ისინი სრულყოფილად ფლობდნენ ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეებად გაითვითცნობიერებდნენ თავს. ჟან შარდენი წერდა: საქართველოში "შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებს, მოსკვიტებსა და ევროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება. აქ (საქართველოში) უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი" (ჟან შარდენი, 1975, გვ. 297-298). მეორე ევროპელი, გიულდენშტედტი იგივეს წერდა: "მმართველობა და სამღვდელეობა ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანის და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 209)

ახლა ერთი ქართული ხალხური ლექსიც გავიხსენოთ:

"ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არის,
ჩვენსა და სომხებ შუა განყოფილება'რა არის."

ასე რომ, ეროვნული ურთიერთობები საქართველოში თანამედროვე დასავლური ურთიერთობების დონეზე იყო. ტრადიციული ეროვნული ურთიერთობები საქართველოში რუსეთმა მოშალა. რუსეთის შემოსვლით ჩვენი ქვეყანა უფრო ჭრელი შეიქმნა. საქართველოში მოსახლეობის მოზაიკური აჭრელებით ცარიზმს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბულაძე, 1993 _ ქ. აბულაძე, საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის... სერია, №3-4, 1993.
2. აფაქიძე, 1963 _ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
3. გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962.
4. ზურაბაშვილი, 1989 _ ლ. ზურაბაშვილი, ეროვნებათმორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989.
5. თოფჩიშვილი, 1997 _ რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
6. ინაძე, 1982 _ მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.
7. მაისურაძე, 1982 _ გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
8. მანჯგალაძე, 1974 _ გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974.
9. სინ. _ I, 1970 _ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
10. სონდულაშვილი, 1995 _ ა. სონდულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
11. ყიფშიძე, 1899 _ ალ. ყიფშიძე, უცხოელების დაბინავება საქართველოში, "მომამბე", 1899, №6, გან. II.
12. შარდენი, 1975 _ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
13. ჯაოშვილი, 1984 _ ე. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984.
14. Свод... – Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г., Тф., 1893.

ETHNIC COMPOSITION OF POPULATION IN GEORGIA

(General historical review)

The Georgian nation historically and also nowadays, consists the main part of the population of Georgia. In the different stages of history in Georgia there lived also representatives of the other ethnic groups: Hebrews, Greeks, Armenians, Turks, north Caucasians, Russians, Kurds, Europeans. The history of each ethnos' settlement in Georgia has been investigated. It is considered that the population of Georgia became especially varied in the late feudal period and in the XIXth century.

ეთნიკური კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის რელიგიური ასპექტები*

დედამიწაზე არსებული არც ერთი ეთნიკური ერთობის, ერის (ნაციის) წარმოქმნისა და განვითარების გზა არ ყოფილა იდენტური. ყველა ეთნოსმა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული გზა გაიარა. ზემოთქმული არ გამორიცხავს ეთნოსების პირველი საფეხურის – ტომების ერებად (ნაციებად) ფორმირების პროცესში გარკვეული კანონზომიერების არსებობას, თუმცა ხაზს უსვამს ამ კანონზომიერებათა დადგენის, კვალიფიკაციისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის განსაკუთრებულ სირთულეს და იმავდროულად ცხადყოფს ასეთ აუცილებლობას. ეთნოსის ორივე ფორმის, როგორც ტომის, ისე ერის (ნაციის) ნიშან-თვისებებს შორის ზოგჯერ რელიგიასაც ასახელებენ. მაგრამ მას ენის, ტერიტორიისა და ეროვნული კულტურის ელემენტებთან ერთად ერის აუცილებელ კომპონენტად ვერ განვიხილავთ. მხოლოდ ეთნიკური ერთობების საწყის სტადიაზე შეიძლება ყოფილიყო რელიგია ეთნოსის დამახასიათებელი აშკარა ნიშანი, როდესაც მცირე თუ დიდ ტომებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღვთაებები თუ პოლითეისტური რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ. დიდი, მონოთეისტური რელიგიების წარმოქმნის შემდეგ ეთნიკური ერთობისათვის დამახასიათებელი რელიგიური ნიშან-თვისება უკანა პლანზე იწევს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მცირე ეთნიკური ერთობები დიდ ერთობებად – ერებად გარდაიქმნენ.

მსოფლიოში არსებული ყველა ძველი და ახალი ერის (ნაციის) კულტურა, უფრო სწორედ, ეთნიკური კულტურა განპირობებული იყო კონფესიურობით (რელიგიურობით). ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ნაციონალური რელიგიები: ეგვიპტური, ბაბილონური, სირიული, ფინიკიური, ირანული, ბერძნული, რომაული... ჩამოთვლილი ყველა რელიგია ეთნიკური ნიშნების მატარებელი იყო. ადამიანების ერთი ჯგუფი სხვა ჯგუფისაგან არა მარტო ეთნოსისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებით ანსხვავებდა თავს, არამედ რელიგიითაც. «Боги, созданные таким образом у каждого отдельного народа, были национальными богами, и их власть не переходила за границы охраняемой ими национальной области, по ту сторону которых безраздельно правили другие боги» (ენგელსი, 1961, გვ. 313). ასე რომ, ტომების და ძველი ანუ პირველი ტიპის ერების (ნაციების) დროს ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური კულტურა აშკარად ეთნოკონფესიური იყო.

ერთგვარად იცვლება ეთნოსისა და რელიგიის ურთიერთმიმართება მონოთეისტური რელიგიების ჩამოყალიბებისა და გავრცელების შემდეგ. ისტორიის ამ მონაკვეთზე თვალყურის გადევნებით აშკარაა, რომ ამა თუ იმ მონოთეისტურ რელიგიას მსოფლიოში რამდენიმე ეთნოსი (ერი) აღიარებს. ისიც ცხადია, რომ ამა თუ იმ დიდი ერისათვის (ნაციისათვის) შეიძლება დამახასიათებელი იყოს ორი და მეტი რელიგიაც (კონფესიაც). ეს ერთი შეხედვით აშკარაა. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ რელიგიის როლი ერების (ნაციების) ეთნოკულტურული სახის შექმნაში არასოდეს არ დაკნინებულა, პირიქით, მონოთეისტურმა რელიგიებმაც დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამა თუ იმ ერის (ნაციის) წარმოქმნასა, განვითარებასა და შემდეგ დიფერენციაციაში.

ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში ერთი რელიგია ასრულებდა მაკონსოლიდირებელ როლს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთი ხალხის შიგნით ორი ან რამდენიმე რელიგია (კონფესია) იჩენდა თავს, ხელი ეწყობოდა ერის დეზინტეგრაციულ მოვლენებს. "ჩვენ ჯგუფის" წევრად აღარ ითვლებოდა ენობრივად და ეთნიკურად ჯგუფის წევრი, თუ ის სხვა რელიგიის (კონფესიის) აღმსარებელი ხდებოდა. მონოთეისტურმა რელიგიებმა ხელი შეუწყვეს როგორც ძველი, ისე ახალი ტიპის (ფორმაციების) ერების განმტკიცებას, ადრე ჩამოყალიბებული ერების საბოლოო შეკავშირებას. საერთო რწმენასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

* თანაავტორი მ. ქურდიანი. "ქართველური მემკვიდრეობა", V, ქუთაისი, 2001, გვ. 131-141.

საღვთისმეტყველო ენასაც. ერთი რელიგია საერთო საღვთისმეტყველო ენით ხელს უწყობდა ერში საერთო კულტურულ-ყოფითი ელემენტების მდგრადობას.

მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისით ყველა მონოთეისტური რელიგიის, მით უმეტეს, კონფესიის ერთ სიბრტყეზე წარმოდგენა არ შეიძლება. აქ საკმარისი იქნება ერთმანეთს იუდაიზმი, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა შევადაროთ. იუდაიზმის დამტოვებელი ებრაელი უკვე ებრაელად აღარ ითვლებოდა. მაჰმადიანობის დროში კი მოხდა სხვადასხვა ხალხების არაბიზაცია, თურქიზაცია. რაც შეეხება ქრისტიანობას, ის აშკარად მყარ ერთობად აქცევდა ამა თუ იმ ეთნოსს. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის სხვადასხვა კონფესიას ეთნიკურ საკითხთან მიმართებაში სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდა. მაგალითად, კათოლიკურ სამყაროში წირვა-ლოცვა და საღვთისმეტყველო ენა ლათინური იყო; ეროვნულ (ნაციონალურ) ენებზე აქ წირვა-ლოცვა და ღვთისმეტყველება არ დაიშვებოდა. მართლმადიდებელი ეკლესია კი ნებას რთავდა ნაციონალურ ენებზე წირვა-ლოცვასა და ღვთისმსახურებას. ამდენად, ეს უკანასკნელი უფრო ხელს უწყობდა ადგილობრივი ენების და კულტურების, საერთო ჯამში კი ეთნოსების (ერების) განვითარებას; მის საფუძველზე ხდებოდა ეროვნული კონსოლიდაცია. ყველა მართლმადიდებელი ეკლესია (ბიზანტიური, ქართული, რუსული, სერბიული, ბულგარული...) ამავე დროს იყო ეროვნული. ყველა, ვინც შეითვისებდა მართლმადიდებლობას, საკუთარ ეროვნულ სარწმუნოებად აქცევდა მას. მართლმადიდებლურ ქვეყანაში საკუთარი საეკლესიო ორგანიზაცია ეროვნულობის არა მარტო შენარჩუნების, არამედ კონსოლიდაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო: ყველა მართლმადიდებელი ბიზანტიაში ბერძენად ითვლებოდა და ბერძენად გაიზარებდა თავს (აქ საკმარისია საქართველოში XIX ს-ის 30-იან წლებში გადმოსახლებული ბერძნები ანუ ე.წ. ურუმები გავიხსენოთ, რომელთა დედაენა თურქულია, მაგრამ თავს თვლიდნენ და თვლიან ბერძნებად, იმის გამო, რომ სარწმუნოებით ქრისტიანი მართლმადიდებლები არიან. ცნობილია, რომ ურუმები სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა შერევის შედეგად არიან მიღებული, რომელთა შორის განსაკუთრებული ხვედრითი წილი ლაზებს აქვთ); საქართველოში მართლმადიდებლობის მაღიარებელი ეთნიკურად, წარმოშობით არაქართველი უკვე ქართველად ითვლებოდა. ასევე იყო რუსეთშიც. რუსულ საისტორიო წყაროებში ქრისტიანი (ე.ი. – რუსი) დაპირისპირებულია არარუსს, არამართლმადიდებელ მოსახლეობასთან. ოქროს ურდოს ბატონობის შემდეგ რუსეთში ტერმინს «хрестьяне»- «крестьяне» გამოიყენებდნენ რუსული მოსახლეობის აღსანიშნავად დამპყრობთა საპირისპიროდ.

ასე რომ, ამა თუ იმ ერის (ნაციის) ეთნიკური კულტურის შექმნაში რელიგიას ჰქონდა გადამწყვეტი როლი.

ზემოთ ჩვენ ახალი ტიპის (ფორმაციის) ერები ვახსენეთ. ბუნებრივია, ვგულისხმობთ ძველი, ანუ პირველი ტიპის (ფორმაციის) ერების არსებობასაც: პირველი ტიპის (ფორმაციის) ერებად გაიზარებული უნდა იქნენ ის ერები, რომელთა წარმოქმნა ერთი სახელმწიფო (ეროვნული) ენის გარშემო კონსოლიდაციამ გამოიწვია. ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველნი თავს აღიქვამდნენ ერთი ენობრივი სამყაროს წევრებად და უპირისპირდებოდნენ დანარჩენ სამყაროს როგორც "ჩვენ" და "უცხო". ამ ენობრივი ერთობის განცდას ქმნიდა ინტერდიალექტური ან ზედიალექტური კოინე, რომელიც ტომთაშორისი ურთიერთობის პროცესში ყალიბდებოდა და პროპორციულად არ ემთხვეოდა არც ერთ დიალექტს ან დიალექტთა ჯგუფს. ასეთი კოინე მაშინაც კი ასრულებდა თავის ფუნქციას, როდესაც ყველა ამ ტომს თავისი ქალაქ-სახელმწიფოები ან "ქვეყნები" ჰქონდა და არა ერთიანი სახელმწიფო (ასეთები იყვნენ, მაგალითად, ბერძნები, შუმერები და სხვ.).

მეორე ტიპის (ფორმაციის) ერებად უნდა გავიაზროთ ერები, რომელთა ფორმირება მოხდა პირველი ფორმაციის (ტიპის) ერების შიგნით. დღეს მსოფლიოში არსებული ერების (ნეციების) უმეტესობა მეორე ტიპის (ფორმაციის) ერებია, რომელთა წარმოქმნა უშუალოდ დაკავშირებულია მათში მონოთეისტური რელიგიების (კონფესიების) გავრცელებასთან.

პირველი ტიპის (ფორმაციის) ბევრი ერი აღიგავა, დროთა განმავლობაში სხვა ეთნოსის (ერის) შემადგენელ ნაწილად იქცა, ტრანსფორმაცია განიცადა, რაშიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მონოთეისტურმა რელიგიებმა. მონოთეისტური რელიგიების შედეგია ისიც, რომ პირველი ტიპის (ფორმაციის) ზოგიერთი ერი მეორე ტიპის (ფორმაციის) ერად იქცა, რომელთაგან შეიძლება სპარსელები, ბერძნები, სომხები, არაბები და ქართველები დავასახელოთ.

ზოგიერთი რელიგია (კონფესია) ამა თუ იმ ხალხისათვის ეროვნულ რელიგიად (კონფესიად) იქნა გააზრებული. ამდენად, რომელიმე კონკრეტული ერის გადარჩენის საქმეში სწორედ რელიგიამ (კონფესიამ) ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. აქ შეიძლება ებრაელების და სომხების მაგალითი მოვიყვანოთ. მთელ მსოფლიოში გავრცელებული ებრაელები და სომხები საქორწინო ურთიერთობაში არ შედიოდნენ ადგილობრივი ერების, ე.ი. სხვა რელიგიების (კონფესიების) წარმომადგენლებთან. მათ ამის საშუალებას იუდაიზმი და მონოფიზიტობა არ აძლევდათ. მაჰმადიანი (სუნიტი) ქურთები ადვილად თურქდებოდნენ, მაშინ, როდესაც იეზიდების გათურქების მაგალითები არაა დაფიქსირებული.

რელიგიებმა (კონფესიებმა) მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს ეთნიკური რუკის ჩამოყალიბებაში იმ მხრივაც ითამაშეს, რომ ყველა რელიგიას თავისი დამოკიდებულება ჰქონდა საქორწინო ურთიერთობასთან. ერთ შემთხვევაში ის თუ აჩქარებდა შერევებს, ასიმილაციურ პროცესებს, მეორე შემთხვევაში პირიქით, ის ეთნიკური ერთობის შემონახულობის ძირითადი პირობა იყო. თითქმის ყველა რელიგია (კონფესია) უპირატესობას ანიჭებდა ერთი რელიგიის (კონფესიის) წარმომადგენლების ერთმანეთზე დაქორწინებას. ზოგიერთი რელიგია (კონფესია) კი მკვეთრად უარყოფითად ეკიდებოდა სხვა სარწმუნოების ადამიანებთან დაქორწინებას. შეიძლება დავასახელოთ იუდაიზმი, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა. მართლმადიდებლობა ფორმალურად ნებას რთავდა სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან ქორწინებას, მაგრამ მას არ იწონებდა. ისლამი ნებას რთავდა მუსლიმ მამაკაცებს დაქორწინებულიყვნენ სხვა მონოთეისტური რელიგიების მიმდევრებზე, თუმცა მაინც შიდაკონფესიურ ქორწინებებს ანიჭებდა უპირატესობას. კონფესიათა შორის ქორწინებას ლიბერალურად ეპყრობოდნენ პროტესტანტიზმის ძირითადი მიმდინარეობანი (ამ მხრივ, მხოლოდ მენონიტიზმი მკაცრად კრძალავდა სხვა კონფესიებისა და რელიგიის მიმდევრებზე დაქორწინებას. XVI ს-ში წარმოქმნილ ამ პროტესტანტულ ეკლესიას ნახევარი მილიონი მიმდევარი ჰყავს. მენონიტებისათვის სარწმუნოება ეთნიკურობის განმსაზღვრელი ნიშანია). იგივე შეიძლება ითქვას ბუდიზმსა და სხვა აღმოსავლურ რელიგიებზე. რელიგიამ (კონფესიამ) რომ განაპირობა დიდ ეთნოსებს შორის მცხოვრები მცირე ეთნოსების (რომლებიც სხვა რელიგიას და კონფესიას აღიარებდნენ) შემონახულობა, არა ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. და პირიქით, სხვადასხვა ეთნოსების ერთ ეთნოსად გაერთიანება-შერწყმის მაგალითებიც ბევრია, რაც საერთო რელიგიის და შესაბამისად ერთმანეთთან საქორწინო ურთიერთობაში შესვლის შედეგად ხორციელდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველა დამპყრობი ან ძალით ნერგავდა თავის რელიგიას, ან ქადაგებდა მას. რელიგიის ქადაგება შეიძლებოდა, ეთნიკურობისა კი – არა. უცხო ეთნიკურ-რელიგიურ გარემოში არაერთი რელიგიის (კონფესიის) წარმომადგენლებმა გადაირჩინეს თავი ასიმილაციისაგან.

პოლიკონფესიური ეთნოსი მყიფე და არამყარი იყო. რელიგიამ (კონფესიამ) მიგვიყვანა ერთი ენობრივ-ეთნიკური ერთობის (ერის) დეზინტეგრაციულ მოვლენებამდე. ერთ ენაზე მოლაპარაკე სამხრეთ სლავების – სერბების, ხორვატების, ბოსნიელების – სხვადასხვა ერებად ჩამოყალიბება სხვადასხვა აღმსარებლობამ განაპირობა. სერბების მართლმადიდებლობამ, ხორვატების კათოლიკობამ და ბოსნიელების ჯერ "ბოგომილსტვობამ" და შემდეგ მაჰმადიანობამ განაპირობა მათი სხვადასხვა ერებად ჩამოყალიბება. ასე რომ, სამხრეთ სლავებში რელიგიამ (კონფესიამ) ეთნიკური თვითშეგნების იდენტობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ სერბები, ბოსნიელები და

ხორვატები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და მათ საერთო წარმომავლობა აქვთ, ისინი სამი სხვადასხვა ერის (ნაციის) წარმომადგენლებად თვლიან თავს. სამივე დასახლებულ სლავურ ერს (ნაციას) საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურა სამმა სხვადასხვა რელიგიამ (კონფესიამ) ჩამოუყალიბა. სერბების, ხორვატიელების და ბოსნიელების (მუსლიმების) განცალკევებულობა დაკავშირებულია მათი სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ხანგრძლივი ყოფნით, რამაც განაპირობა რელიგიური განსხვავებულობა.

სხვადასხვა ენობრივი (ეთნიკური) ჯგუფები ოსმალეთის იმპერიაში მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლამ ერთიან თურქ ერად ჩამოაყალიბა და ეს პროცესი აქ საკმაოდ დიდხანს, 600 წელიწადს გაგრძელდა. ოსმალეთის იმპერიის ქრისტიან მოსახლეობას დამატებით გადასახადებს აწერდნენ. მაჰმადიან ხელისუფალთა ასეთი ზეწოლის გამო, მათთვის ერთადერთი გამოსავალი იყო ისლამის მიღება. ახლადმოქცეული მუსლიმები კი ადვილად ექვემდებარებოდნენ გათურქებას. ერთი ეთნიკური ერთობის – ფინელებისა და კარელების გათიშვაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, რელიგიამაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი (ფინელები ლუთერანები, კარელები კი მართლმადიდებლები არიან). ანალოგიურად დგას სპარსელების (შიიტები) და ტაჯიკების (სუნიტები), თურქების (სუნიტები) და აზერბაიჯანელების (შიიტები) და სხვა მრავალი საკითხი.

შუა საუკუნეებისათვის ფრიად სპეციფიური ნიშან-თვისება იყო ის, რომ ხშირად რელიგიური (კონფესიური) თვითშეგნება ეთნიკურ თვითშეგნებაზე მაღლა იდგა. ამ მიზეზით ყოველი პოლიკონფესიური ეთნოსი წარმომადგენდა არამყარს, ხოლო მონოკონფესიური ეთნოსი (ერი) მყარი იყო.

არაბთა ერთიანი ენობრივი სამყაროს კონსოლიდაციისათვის მუჰამედის მიერ ისლამის გამოყენებას მყარი საფუძველი ჰქონდა არაბთა ისლამადელი რელიგიური წარმოდგენების სხვადასხვაობაში – მის მიერ დანერგილი მონოთეიზმი თანაბრად უცხო და ამდენად, თანაბრად მისაღები იყო ყველა არაბისათვის (თუმც ამ პროცესს უბრძოლველად და უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია). მსგავსი რამ საქართველოში ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს განხორციელდა მისი რეფორმების ფარგლებში – საკმარისი იყო ფარნავაზს რომელიმე, ვთქვათ, მისი ტომის მთავარი ღვთაება ჩაეყენებინა ქართველთა გაერთიანებული სახელმწიფოს პანთეონის სათავეში, რომ ეს საკუთარი ღმერთების (ღვთაებების) შეურაცხყოფად აღექვათ სხვა ტომებს, რაც დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეოდა და ახალშექმნილი სახელმწიფოს ბედს სასწორზე შეაგდებდა. მაგრამ, ფარნავაზმა მიიღო გენიალური გადაწყვეტილება – მან ახალი კერპი (ღმერთი), ზემოთქმულივით ყველასათვის მისაღები აღმართა, რათა ერის კონსოლიდაციისათვის ყველა აუცილებელ პირობათაგან ესეც დაეკმაყოფილებინა: ენა, მამული (ტერიტორია), სარწმუნოება.

ქრისტიანობა არაერთ ქვეყანაში იქცა ერის შემქმნელ ფაქტორად ზოგან პირველი ტიპის (ფორმაციის) ერებისა, ზოგან კი – მეორე ტიპისა (ფორმაციისა). ანალოგიური როლი შეუსურლებიათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში იუდაიზმს, ისლამს და სხვ. იგულისხმება არა მხოლოდ თვით რელიგიები, არამედ მათი ცალკეული კონფესიებიც.

ინდოელთა ერთიანი ენობრივი სამყაროს – იგულისხმება ჰინდი ენა – დაშლა მოხდა რამდენიმე მეორე ტიპის (ფორმაციის) ერად რელიგიის გამო. მაგალითად, ჰინდუებად (ინდუიზმი), პაკისტანელებად (ისლამი), სიკხებად (სიკჰიზმი) და სხვ. ჩინეთში ჩინელები (ხანი) და დუნგანები (ხუი) ლაპარაკობენ ერთ ჩინურ ენაზე, სარგებლობენ იეროგლიფებით, განსახლებულნი არიან ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებებით, რაც განპირობებულია სხვადასხვა რელიგიით. ჩინელები ძირითადად ბუდიზმის მიმდევრები არიან, დუნგანები (ტუნგანები) კი მუსლიმები (რვა მილიონი). მე-20 ს-ის შუა ხანებამდე ტერმინი "ხუი", ჩვეულებრივ ჩინეთის ყველა მუსლიმს აღნიშნავდა. ყველა ეს მეორე ტიპის (ფორმაციის) ერი, ცხადია, ერთ ენაზე ლაპარაკობს, როგორც ეს საზოგადოდ ახასიათებთ მეორე ტიპის (ფორმაციის) ერებს, რაკი ისინი ერთი ენობრივი სამყაროს შიგნით ექსტრალინგვისტური

ფაქტორების გავლენით არიან შექმნილნი, თუმცა, ერების გათიშვისათვის ენობრივი ასპექტის მნიშვნელობის გათვალისწინების გამო, ხდება დიალექტურ სხვაობათა შეგნებული (ცნობიერი) ჰიპერბოლიზაცია, ფექტიზაცია და სხვა. უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ ტერმინთა სხვადასხვაობის ხაზგასმა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის სესხების გზის შეცვლა, ნეოლოგიზმების შემოღების (სიტყვადქმნადობის) ინტენსივობის ზრდა, სიხშირის ლექსიკონების მეშვეობით სინონიმების პოლარული გამოყენება, ანბანის შეცვლა (მაგ., დევანაგარისა არაბულით, კირილიცის ლატინიციტით და სხვ.), არაიშვიათად თვით ენისათვის სახელის შეცვლით (მაგ., ჰინდისა ურდუდ და სხვ.). ამავე გზით ახდენენ ურთიერთგამიჯვნას სერბები (მართლმადიდებლები, წერენ კირილიციტით), ხორვატები (კეთოლიკეები, წერენ ლატინიციტით), ბოსნიელები (მუსლიმი სუნიტები, წერენ კირილიციტით) – მეორე ტიპის (ფორმაციის) ერები.

დაახლოებით ასევე იქცეოდნენ უკრაინელები (მალოროსები) და ბელორუსები, რომლებიც პირველი ტიპის (ფორმაციის) ერთ ერს შეადგენდნენ რუსებთან (ველიკორუსებთან) ერთად – ახალ, მეორე ტიპის (ფორმაციის) ერთად ჩამოყალიბების სურვილით, მათ რელიგიური მომენტიც გამოიყენეს – 1596 წელს ბრესტის უნია დადეს კათოლიკეებთან მართლმადიდებელმა უკრაინელებმა და ბელორუსებმა, საკუთარი ინიციატივით, ოღონდ რუსებს (და მათ პატრიარქს) გამიჯვნოდნენ. უკრაინისა და ბელორუსიის მართლმადიდებელი ეკლესია თავის მეთაურად ცნობდა რომის პაპს, მაგრამ შეინარჩუნა ღვთისმსახურება სლავურ ენაზე და მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებითობა (საყურადღებოა, რომ ბრესტის უნია ოფიციალურად დარღვეულ იქნა 1946 წელს ლვოვის საეკლესიო კრებაზე საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლით). პირველი ფორმაციის ერების მსგავსად, მეორე ფორმაციის ერებიც (მაგალითად, ხორვატები, უკრაინელები და სხვ.) ხშირად ქმნიდნენ საკუთარი ეთნოგენეზისისა და ენობრივი თვითმყოფადობის მითოლოგიებს და მასზე აფუძნებდნენ ეროვნულ იდეოლოგიას. ცხადია, ასეთ პოლიტიკას ყოველთვის გამოუჩნდებოდნენ ხოლმე არა მხარდამჭერები და წამქეზებლები, არამედ არაიშვიათად ინსპირატორებიც, ჩვეულებრივ, ქვეყნის გარედან.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ქრისტიანობამ (მართლმადიდებლობამ) ქართველი ერის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ძველი მოდელის (ფორმაციის) ქართველი ერი, რომლის ფორმირება ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის, ქართული დამწერლობის გაჩენის შემდეგ მოხდა, საბოლოოდ ქრისტიანობამ შეკრა და შეადუღა. სახელმწიფოსთან, საერთო სახელმწიფო ენასთან ერთად, ქართველი ერის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სწორედ მონოთეისტურმა ქრისტიანულმა რელიგიამ და ქართულმა საღვთისმეტყველო ენამ. ამან განაპირობა თავიდანვე ქართველ ერში მონათესავე ქართველურ და აგრეთვე, სხვა ენებზე მოლაპარაკე სხვადასხვა კოლექტივების შეყვანა. ქართული ტრადიციით, ის ეთნიკურად არაქართველი, რომელიც საქართველოში ქრისტიანობას მიიღებდა, ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, ერთმა სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენამ და საერთო რელიგიამ ქართველ ერში გააერთიანა ის კოლექტივებიც კი, რომლებსაც საოჯახო სალაპარაკო ენა სხვა ჰქონდათ. მსგავსი მაგალითების მოყვანა მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან არაერთი შეიძლება. როდესაც გიორგი მერჩულე ხაზს უსვამდა იმას, რომ "არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების" ის საქართველოდ (და ქართველი ერის წარმომადგენლად) თვლის ორი მიზეზის გამო: ა) პოლიტიკურად და ეკლესიურად ერთიან საქართველოში გვქონდა პროვინციები, სადაც წირვა-ლოცვა კი სრულდებოდა ქართულ ენაზე, მაგრამ საოჯახო სამეტყველო ენა ხალხს სხვა ჰქონდა და ბ) ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ სხვაგანაც, მაგრამ, რადგან წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა (ქრისტიანები არ იყვნენ) ე.ი. ის მხარე საქართველოში და მასში მცხოვრებნი ქართველებად არ ითვლებოდნენ.

ერების (ნაციების) განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სასულიერო წოდება. მათი როლი განსაკუთრებით იზრდებოდა მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში დამპყრობი ქვეყნის, სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები იდგნენ. ამ მხრივ, ქართველი ერის ეთნიკურ ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. თუმცა მან საბოლოოდ ბოლომდე ვერ შეასრულა ის მისია, რომელიც მას ეკისრა. ქვეყნის პოლიტიკურ დაშლასთან ერთად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობაც დაიშალა. უფრო გამოკვეთილი იყო ეკლესიისა და სამღვდელოების როლი მეზობელი სომხების ეთნიკურ ისტორიაში. მას შემდეგ, რაც სომხეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული გაქრა და ზედაფენა ამოწყდა, სომხური მონოფიზიტური ეკლესია მოგვევლინა ნაციონალური ენის, ეთნიკური კულტურისა და ცნობიერების ერთადერთ შემნახველად და დამცველად.

გვიანფეოდალურ პერიოდში საქართველოს ეკლესიურმა დაშლილობამ, ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე გადასვლამ ერთიანი ქართველი ერის დეზინტეგრაციული მოვლენები გამოიწვია. ის ქართველი, რომელიც მართლმადიდებლობას არ აღიარებდა, ქართველად აღარ ითვლებოდა. ქართველი მაჰმადიანი თათრად გაიზრებოდა, მონოფიზიტი – სომხად, კეთოლიკე – ფრანგად. მსგავსი რელიგიური სიტუაცია მსგავს ეთნიკურ სურათს ქმნიდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, რადგან ეროვნული (ნაციონალური) თვითშეგნება (ცნობიერება) და რელიგია ერთმანეთთან გაიგივებული იყო. საქართველოს მსგავსი ეთნოკონფესიური სქემა იყო რუსეთშიც. აქ მართლმადიდებელი რუსთან იყო იდენტიფიცირებული, მუსლიმი – თათართან და კათოლიკე – პოლონელთან. ასევე იყო ბულგარეთში, სადაც მხოლოდ მართლმადიდებელი ითვლებოდა ბულგარელად. ისლამის მიმდევარი ეთნიკური ბულგარელები ბულგარელებად აღარ ითვლებოდნენ, მათ პომაკებს უწოდებდნენ. როდოპის მთებში მცხოვრებმა მაჰმადიანი ბულგარელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეთნიკური თვითშეგნებაც შეიცვალა, ხოლო ნაწილმა ბულგარული ენა შეინარჩუნა. დღესაც მაჰმადიან მეტოხიელ ალბანებს ორმაგი ცნობიერება აქვთ. ისინი თავიანთი ეროვნების შესახებ ამბობენ: "მე ვარ ალბანელი, მაგრამ ვარ თურქი" და ამ აზრით ცნება "თურქი" მათთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა, ვიდრე "ალბანელი". ლიტვაში და პოლონეთში მცხოვრებმა თათრებმა, მართალია, ენა დაკარგეს, მაგრამ ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა და შეინარჩუნეს ეთნიკური კულტურა იმიტომ, რომ ისინი არ ეზიარნენ ადგილობრივ, კათოლიკურ კონფესიას და კვლავ მაჰმადიანობის მიმდევრები არიან და ამდენად, თავს თვლიან თათრებად. ასე რომ, რელიგიის შეცვლა იწვევს ეთნიკური თვითშეგნების შეცვლას, ხოლო უცხო ეთნიკურ-რელიგიურ გარემოში წინაპართა რელიგიის შენარჩუნება ეთნიკურობის, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების წინაპირობაა. სხვადასხვა რელიგიური (კონფესიური) რწმენის ადამიანთა ერთმანეთში თანაცხოვრება, მათ შორის აპირობებს ენდოგამიურ საზღვრებს და ამ თვალსაზრისით შერეული საქორწინო ურთიერთობებიც და აქედან გამომდინარე, საქორწინო წყვილიდან ერთ-ერთის მიერ რელიგიის (კონფესიის) შეცვლაც გამოირიცხება.

მუსლიმური ქვეყნების უმეტესობაში ნაციონალურ უმცირესობად ითვლებიან არა მარტო სხვა რელიგიების, არამედ ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობისა და სექტების წარმომადგენლები. მაგალითად, სირიაში, სადაც მოსახლეობის 70% სუნიტია, დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც სხვადასხვა მუსლიმური მიმდინარეობისა და სექტის მიმდევარია, აგრეთვე ქრისტიანები და იუდეველები, არა მხოლოდ ფორმალურად არიან ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებულნი, არამედ სინამდვილეში ახასიათებთ მნიშვნელოვანი ეთნიკური განსხვავებულობა.

ხშირად ერთი გვარის, ერთი ოჯახის წევრები, როდესაც სხვადასხვა რელიგიებს აღიარებდნენ, შესაბამისად, სხვადასხვა ეთნოსების (ერების) წარმომადგენლებად გაიზარებდნენ თავს. XII ს-ის საქართველოში ამის კალსიკური მაგალითი მხარგრძელების გვარი (ოჯახი) იყო, რომლებსაც ეთნიკური წარმოშობა არც ქართული და არც სომხური ჰქონდათ, მაგრამ ერთი ნაწილი ქართველად თვლიდა თავს, იმის გამო, რომ

მართლმადიდებელი იყო და მეორე ნაწილი – სომეხად, მონოფიზიტური აღმსარებლობის გამო. რელიგიური (კონფესიური) აღმსარებლობით გამოწვეული დეზინტეგრაციული მოვლენები ქართველ ერში, სხვადასხვა ხარისხით განხორციელდა. სამცხე-ჯავახეთში ქართველთა მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლამ თუ აქ განსახლებული ქართველი მაჰმადიანების ძირითადი ნაწილის თურქ ერში გადასვლა გამოიწვია, აჭარაში ეს პროცესი ვერ განხორციელდა, მაჰმადიანობის აქ შედარებით გვიან და, ამასთანავე, ზედაპირული შესვლის გამო.

ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომელიმე ენობრივი ერთობის პირველი ტიპის (ფორმაციის) ერად ჩამოყალიბება არ მოხდა რელიგიის გავლენით, ანუ პირველადი ფორმაციის რეალიზაციას ხელი შეუშალა მეორადი ფორმაციის მიზეზმა. ამის მაგალითად შეიძლება განხილულ იქნას აქადელებისა და ქანაანელების ისტორია. პირველ შემთხვევაში ერთი ენის (აქადურის) ორ დიალექტზე (ასურულსა და ბაბილონურზე) მეტყველი ორი სახელმწიფო ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო დაპირისპირებული, რამაც ერთის დანგრევა და მეორის დასუსტება (რასაც ბოლოს უცხო ძალების მიერ მისი განადგურება მოჰყვა) გამოიწვია. ამ დაპირისპირებაში იყო რელიგიური მომენტი და იგი გადამწყვეტი გამოდგა სხვა ფაქტორების ფონზე, თუმცა, გვიანდელი თვალთახედვით ორი პოლითეისტური რელიგიის დაპირისპირება არ უნდა ყოფილიყო ერის კონსოლიდაციისათვის ასეთი გადაულახავი დაბრკოლება. სწორედ ეს შეურიგებლობა და უკომპრომისობა, დამახასიათებელი მეორე ტიპის (ფორმაციის) ერებისათვის, იძლევა საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ ასურელები და ბაბილონელები ასეთად მივიჩნიოთ და მათი პირველი ტიპის (ფორმაციის) კუთვნილება შემერებთან მათი, როგორც ერის დაპირისპირების ეპოქით განსაზღვრით, რის საკმაო საბუთს ისტორიული წყაროებიც იძლევიან.

მეორე შემთხვევაში საქმე უფრო რთულად უნდა იყოს – ფინიკიელები და ებრაელებიც ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებდნენ, მაგრამ მათ შორის, როგორც პოლითეისტებსა და მონოთეისტებს შორის, გადაულახავი უფსკრული და შეურიგებელი მტრობა იყო. მაგრამ ასე არ უნდა ყოფილიყო აბრაამამდე, რომელიც უფალმა გამოარჩია ქანაანელ ტომთა შორის და მისგან დაუდო საფუძველი ახალ ერს – ამ შემთხვევაშიც, ყველა ნიშნით, მეორე ფორმაციისას.

ამრიგად, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია (კონფესია) ენასთან, საერთო პოლიტიკურ ორგანიზაციასთან (ტერიტორიასთან) ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეთნოსთა (ერთა) ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე. ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში რელიგიის როლი არასდროს არ შენელებულა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მსოფლიოს ეთნიკური სახის შექმნაში რელიგიამ ერთ-ერთი განსაკუთრებული როლი ითამაშა (თუნდაც XX ს-ში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დიდი მიგრაციები გავიხსენოთ). მხოლოდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ერთი რელიგია ერთი ერის (ნაციის) მაკონსოლიდირებული იყო, მაშინ როდესაც ერთ ეთნოსში (ერში) სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების გაჩენა ეთნომადიფერენცირებელ როლს თამაშობდა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აგაევი, 1967 – А.А. Агаев. Нация, ее сущность и самосознание. Вопросы истории, №7, 1967.
2. ბარიაკტაროვიჩი, 1974 – М. Баряктарович. К вопросу об изменении этнического самосознания (на материалах Югославии). – Советская этнография, №2, 1974.
3. ბრომლეი, 1969 – Ю.В. Бромлей. Этнос и эндогамия. – Советская этнография, №6, 1974.
4. ბრუკი, ჩებოკსაროვი, ჩესნოვი, 1969 – С.М. Брук, Н.Н. Чебоксаров, Я.Я. Чеснов. Проблемы этнического развития стран зарубежной Азии. – Вопросы истории, №1, 1969.

5. ენგელსი, 1961 _ Ф. Энгельс. Людвиг Фейербах и конец классической немецкой философии. Маркс К., Энгельс Ф. Соч..., 2-е изд. т. 21.
6. თოფჩიშვილი, ქურდიანი, 2000 _ რ. თოფჩიშვილი, მ. ქურდიანი, რელიგიის როლი ერების ჩამოყალიბებაში. ქუთაისური საუბრები, VII, ქუთაისი, 2000.
7. იპატოვი, 1978 _ А.Н. Ипатов. Менониты (Вопросы формирования и эволюции этноконфессиональной общности), М., 1978.
8. იპატოვი, 1985 _ А.Н. Ипатов. Национальная культура и религия. Киев, 1985.
9. მარშანი, 1989 _ Ги Ле Маршан. Становление европейских наций (до XIX века). –Вопросы истории, №2, 1989.
10. ჰუჩკოვი, 1973 _ П.И. Пучков. О соотношении конфессиональной и этнической общности. – Советская этнография, №6, 1973.
11. ტოკარევი, 1964 _ С.А. Токарев. Проблема типов этнических общностей (К методологическим проблемам этнографии). – Вопросы Философии, №11, 1964.
12. ჩებოკსაროვი, 1967 _ Н.Н. Чебоксаров. Проблемы типологии этнических общностей в трудах советских ученых. – Советская этнография, №4, 1967.
13. Чешко, 1989 _ Е.В. Чешко. История Болгарского языка и этническое самосознание болгар в XII-XIV вв. – Вопросы этнического самосознания славянских народов в эпоху зрелого феодализма, М., 1989.

RELIGIOUS ASPECTS OF ETHNIC CONSOLIDATION AND DIFFERENTIATION

Religions (confessions) played important role in the formation of ethnic variety of today's world. This paper gives many examples of the world-history from this point of view. In some cases the religions (confessions) promoted consolidation of tribes, in other cases they caused their differentiation. Consolidation took place when member of one or several cognate or non-cognate tribes/nations were the followers of one monotheistic religion (confession). Dissemination in one nation of several religions (confessions) caused its differentiation, because very often a religious self-consciousness transcended ethnic self-consciousness. Mono-confessional tribes by virtue of this were stable, and poly-confessional - unstable ones.

რელიგიური სიტუაცია საქართველოში ზოგადისტორიული მიმოხილვა*

ქრისტიანობამ, რომელიც ერთ-ერთი დიდი მონოთეისტური რელიგიაა მსოფლიოში, გარკვეული მიმართულება მისცა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებას. ქრისტიანობას დაეყრდნო და დაეფუძნა ის დიდი კულტურული მიღწევა, რომელიც დასავლური კულტურის სახელითაა ცნობილი. რომ არა ქრისტიანობა, ალბათ, სხვანაირი იქნებოდა ჩვენი პლანეტის ეთნიკური შემადგენლობაც. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ რელიგიებმა და, მათ შორის, ქრისტიანობამაც დიდი როლი ითამაშა ეთნიკურ ერთობათა ფორმირებაშიც. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანობას ეზიარებოდნენ მხოლოდ კულტურისა და სოციალური განვითარების გარკვეულ, მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხები. იქ, სადაც საამისო სოციალური, კულტურული პირობები არ არსებობდა, ქრისტიანობამ ვერც მოიკიდა ფეხი სიღრმისეულად. მხოლოდ ზედაპირულად და დროებით იქნა ის მიღებული.

ქართველი ერი იმ ერთა შორის იმყოფება, რომელმაც ქრისტიანობა საკმაოდ ადრე, ქრისტეს დაბადებიდან 300 წლის შემდეგ, IV ს-ის დასაწყისში მიიღო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე

* კრებული "ქრისტიანობა საქართველოში: ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები", 2000, გვ. 74-91.

საქართველოში ქრისტიანული თემები არსებობდა, რასაც სხვადასხვა მონაცემებთან ერთად უდავოდ ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც.

საქართველო, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ქრისტიანული და აღმოსავლური რელიგიების (ჯერ მაზდეანობის და შემდეგ მაჰმადიანობის) გზაჯვარედინზე არსებობდა, ყოველთვის მიისწრაფოდა კულტურული დასავლეთისაკენ. ქრისტიანობის მიღებით კი მან საბოლოოდ განსაზღვრა თავისი მიმართულებისა და განვითარების გზა. მაგრამ ამ გზაზე ქართველ ხალხს ყოველთვის წინ ელობებოდნენ. ჩვენი ერი ამ წინააღმდეგობას მაინც არ ეპუებოდა და ეძებდა გზებს იმ კულტურულ-რელიგიური სამყაროსაკენ, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ მიაკუთვნა თავი.

მანამ, სანამ ორიოდ სიტყვას ვიტყვით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე, მოკლედ იმ რელიგიის შესახებ, რომელსაც ქართველური ტომები აღიარებდნენ. ქართულ მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ეს იყო წარმართული, კერპთაყვანისმცემლური რელიგია, რომელსაც ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა ჰქონდა. ქართველთა წინარექრისტიანული რელიგიური სისტემების აღდგენის საშუალებას გვაძლევს საქართველოს მთის ეთნოგრაფიული მასალა, სადაც ქრისტიანული რელიგია მხოლოდ ზედაპირულად შევიდა. მთაში ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ის რელიგიური რეალიები, რომელიც მას ქრისტიანობის მიღებამდე ჰქონდა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ქართველობისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო საოჯახო, საგვარეულო კულტები, საუბნო, სასოფლო, სათემო, სახევო, რეგიონალური სალოცავები (ღვთაებები) და საერთო საქვეყნო ქართული სალოცავი. წარმართობისდროინდელ ამ სალოცავებს, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქრისტიანული კულტები ჩაენაცვლა. ასე რომ, ქართველი ერის შემკავშირებელი და შემკვრელი ენასთან და კულტურასთან, საერთო წარმომავლობის შეგნებასთან ერთად, რელიგიაც იყო, რა თქმა უნდა, ჯერ ქართული წარმართული რელიგიური სისტემა და შემდეგ ქრისტიანობა. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ "არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა" (ჯავახიშვილი, 1960, გვ. 116). მანვე ხაზი გაუსვა იმას, რომ წარმართობის დროსაც ქართველს, ზანებს და სვანებს საერთო რელიგიური ტერმინოლოგია ჰქონდათ.

ლეონტი მროველით ქართველთა ღვთაებები (ღმერთები) იყვნენ: არმაზი, ზადენი, გაცი და გაიმი. მემატიანე მათ შესახებ წერს: "...ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქვეყნის ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ, _ იგინი იყვნეს სარწმუნებელად კაცთა მიმართ" (ქც. 1955, გვ. 106).

ქართული საისტორიო ტრადიცია არმაზის კულტის დამკვიდრებას ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული დამწერლობის საფუძვლის ჩამყრელს მეფე ფარნავაზს უკავშირებს: "და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპნი დიდი სახელსა ზედა თვსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი და თავსა ზედა ქართლისასა და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის" (ქც. 1955, გვ. 25). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის გარკვეული, არმაზის ღვთაებას არაფერი აქვს საერთო სპარსულ რელიგიურ სამყაროსთან; ის ხეთურ სამყაროს უკავშირდება (მელიქიშვილი, 1959, გვ. 229; აფაქიძე, 1963, გვ. 176-178), სადაც ის მთვარე-ღმერთს აღნიშნავდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მთვარის ღვთაების ხეთური სახელის არმაზის გაჩენა მცირე აზიიდან ერთ-ერთი ქართველური ტომის მუშქების (მესხების) სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოსახლებაასთან არის დაკავშირებული (მელიქიშვილი, 1959, გვ. 420; აფაქიძე, 1963, გვ. 176). მიგრაციის ასეთივე გზა ჰქონია გავლილი მეორე ღვთაებას ზადენსაც. გასაზიარებლად მიგვაჩნია ა. აფაქიძის შეხედულება, რომ არმაზის ღვთაება, ერთი ქართველური ტომის მიერ

მოტანილი, ჩაენაცვლა ადგილობრივი ქართლური მთვარის ღვთაებას. ყოველივე ეს უმტკივნეულოდ მოხდა იმიტომ, რომ არმაზიც მთვარის ღვთაება იყო (სინ, 1970, გვ. 668).

ქართული წარმართული პანთეონის შესახებ მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ აღვნიშნავთ ვ. ბარდაველიძის დიდ ღვაწლს ამ სფეროში. მისი გამოკვლევით, ძველ დროს ქართველები ასტრალური პანთეონის სამეულს სცემდნენ თაყვანს. ესენი იყვნენ: უზენაესი ღმერთი ანუ მორიგე ღმერთი, ქალღმერთი მზე ან მზექალი და კვირია (ბარდაველიძე, 1957, გვ. 2).

ქრისტიანობის მიღებამდე ქართულ წარმართულ რელიგიას სხვა რელიგიები ებრძოდნენ. ბუნებრივია, მტერი, გარეშე ძალა ცდილობდა თავისი რელიგია მოეხვია ქართველებისათვის. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რელიგია და რელიგიური მსოფლმხედველობა ეროვნული კუთვნილების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო. ქართულმა საისტორიო წყაროებმა, აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებმა არაერთი ფაქტი შემოგვინახეს მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) გავრცელების შესახებ. ეს რელიგია ქართველ ხალხში ძალით ვრცელდებოდა, პირველ რიგში კი მას მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები იღებდნენ. პირველი ასეთი ცნობა ისევ "ქართლის ცხოვრებაში" ლეონტი მროველთან გვაქვს დაცული. მეფე ფარნაჯომმა მას შემდეგ რაც ქართული საქმენი აკეთა, ააშენა ციხე-ქალაქები, ზადენის ციხე და "შექმნა კერპნი სახელით ზადენ", "ამის შემდგომად შეიყურა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსაც აწ ჰქვან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთჳს მოიძულეს იგი მკვდრთა ქართლისათა რამეთუ, დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ" (ქც, 1955, გვ. 29). ახლა "წმ. შუმანიკის წამება" გავიხსენოთ. V ს-ში, ქრისტიანობის მიღებიდან დიდი ხნის შემდეგ, ქრისტიანობას განუდგა და მაზდეანობა აღიარა ვარსქენ პიტიახშიმა. ყველა ასეთი სარწმუნოებრივი განდგომა ზედა ფენებიდან იწყებოდა და ისინი ყოველთვის ცდილობდნენ უცხო რელიგიები (ამ შემთხვევაში ცეცხლთაყვანისმცემლობა) დაბალი ფენებისათვის, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მოეხვიათ თავზე. ამავე დროს, ეროვნული სარწმუნოებიდან განდგომა ხშირად ქართულ საზოგადოებაში მძაფრ ურთიერთდაპირისპირებასაც იწვევდა.

ქრისტიანობამ საქართველოში გაიმარჯვა დიდ ჭიდილში, როგორც ადგილობრივ წარმართულ რელიგიასთან, ისე მაზდეანობასთან. ქართული საისტორიო ტრადიციით, სამეფო სახლის გაქრისტიანების შემდეგ თითქმის ქვეყნის მთელი მოსახლეობა მოინათლა: "და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას მოსწრაფებით და ევედრებოდეს მღდელთა, რათა პირველად მას ვისმე ნათელსცეს... და ესრეთ სახედ ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თანიერ ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიათა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენიმე" (ქც, 1955, გვ. 116). საისტორიო წყაროთი აშკარაა, რომ ქართლის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ქრისტიანობა მიიღო. მხოლოდ მთიელებმა თქვეს უარი ნათლისღებაზე და კარგა ხნის განმავლობაში დარჩნენ ძველი ქართული რელიგიის ერთგულნი და არაერთი რეალია წარმართობისა ბოლო დრომდე შემოინახეს. წმ. ნინო ქართლის სხვადასხვა პროვინციაში მოგზაურობდა ჭეშმარიტი სარწმუნოების გასავრცელებლად. მხოლოდ "ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვლი მათ ზედა (იგულისხმებიან მთიელები, _ რ. თ.) და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი" (ქც, 1955, გვ. 125). მთიელთაგან ქრისტიანობის მიმართ განსაკუთრებული წინააღმდეგობა ფხოველებმა გამომაჟღავნეს, რამაც მათი მეზობელ თუშეთში მიგრაციაც კი გამოიწვია: "ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს და სხვანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება" (ქც. 1955, გვ. 126).

წარმართული რეგიონები საქართველოში, როგორც ჩანს, სხვაგანაც რჩებოდა. ჭიდილი ხანგრძლივი იყო. საამისოდ მნიშვნელოვანი წყაროა "წამებად ყრმათა წმინდათაჲ, რიცხვით ცხრათაჲ", რომელშიც საქართველოს სამხრეთ პროვინციაში _ კოლაში წარმართების ბრძოლაა ასახული ქრისტიანების წინააღმდეგ VI საუკუნეში: "იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა

დიდსა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკვარი, ხევსა, რომელსა ჰრქვიან კოლაჲ და იყო უმრავლესი ერი სოფლისაჲ მის წარმართთა კერპთმსახური და უმცროსი ერი ქრისტიანე, ღმრთისმსახური" (ქპ, 1981, გვ. 183). გამძვინვარებულმა წარმართმა მშობლებმა და ბრბომ 7-9 წლის ქრისტიანი ბავშვები მოიყვანეს "თავსა მას ზედ წყაროდსასა, სადა-იგი ნათელ-ელო წმინდათა მათ ყრმათა". ამოთხარეს დიდი ორმო ("დათხარეს ხნარცვი ფრიად ღრმაჲ"), შიგ ჩაყარეს ბავშვები. "მაშინ უღმრთოთა მათ მშობელთა მათთა განხუთქნეს თავნი მათნი და განტუნეს იგინი". "გველთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უშჯულოთა არა ყვეს წყალობაჲ შვილთა მათთათვის და სიმრავლემან ერისამან დაჰკრიბეს, ქვაჲ, ვიდრემდის აღავსეს ხნარცვი იგი და დაფარნეს ქვითა წმინდანი იგი გვამნი მათნი".

ქართული საისტორიო მონაცემებით, VII საუკუნისათვის საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას უკვე ქრისტიანობა მიღებული ჰქონდა. შესაძლებელია სწორედ ამიტომ უკავშირებდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ქართველი ერის საბოლოო ფორმირებას VII საუკუნეს. აქ ხაზგასმით მხოლოდ ერთსღა აღვნიშნავთ, რომ იმავე პერიოდში მიიღო ქრისტიანობა (IV ს.) დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამაც.

ცალკე განხილვის თემაა საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი. ქართველ ეთნოგრაფთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია საქართველოს მთიანეთში სინკრეტული რწმენა-წარმოდგენები. გარეგნულად აქ თითქოს ქრისტიანობა გვქონდა, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთთან შერწყმული იყო წარმართული (ქრისტიანობამდელი) რწმენა-წარმოდგენები და ქრისტიანული რელიგია. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს მთაში ქრისტიანული რელიგია მხოლოდ ზედაპირულად შევიდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, გუდამაყარში არ გვქონდა ქრისტიანული ტაძარ-სამლოცველოები, არც მღვდელი ემსახურებოდა მრევლსა და მის ფუნქციას ადგილობრივ ჯვარ-ხატებში ხევისბერნი, ხუცესნი და დეკანოზნი ასრულებდნენ. ქართველ მთიელთა ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისაგან ერთგვარად შორს, განზე დგომა ქართულ საისტორიო წყაროებსაც არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა. ჯერ კიდევ XI ს-ის ავტორი ლეონტი მროველი აღნიშნავდა რომ "რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღესაქამომდე" (ქც, 1955, გვ. 126). ვახუშტი ბაგრატიონი მოხევეთა შესახებ წერს: "სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისცა უმეცარნი" (ბაგრატიონი, 1973, გვ. 359). თამარის პირველი ისტორიკოსი წერდა: "ხოლო ფხოელნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ" (ქც, 1959, გვ. 111). XVII ს-ის ქართული საეკლესიო საბუთებითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ქრისტიანობა ნაკლებ ჩანს. 1669 წლის "წილკნელის ღვთისმშობლის სიგელში" ვკითხულობთ: "ქ. ქაისხეველებს არა აძევს რა: არა ღრამა, არა სახუცო ჩაყენება, წილკნელისა თვინიერ. მღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეეძლოს, საწირავი მიართონ. ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, არც ახსარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანდი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოუსივათ, ავად მოეპყრა" (ქსმ, 1970, გვ. 553). "და შემდგომი ამის წარვედით და შეუდევით კვალსა ისე მამად-მთავრისასა და მივედით მთიულეთსა. მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი, არც ქრისტიანობა და არც ნათლისღებით შვილობა მართალ არ იწოდებოდა, ისევე კერპის მსგავსი იყვნენ; არც მართლა ნათლისღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდმარხვის მეტი. ფრიად ჭირითა ვიღვაწე: ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შემწეთ, ზოგნი თავისის ნებით მოიქცნენ, აღსარება, ემბაზით ნათვლა გავაჩინეთ; წმინდას ზიარებას ერისკაცს მისცემდა სადმე ღვდელი და ერისკაცი სადმე აზიარებდა; ეს ამოვკვეთეთ. ერისკაცს ღვდელი საიდუმლოს არ მისცემს _ თითონ ღუდელმა უნდა აზიაროს ერისკაცი. ჩვენ, რომანოზ წილკნელი ზაალ ერისთავის დროს მთიულეთში სამჯერ ვყოფილვართ, საყდრები ვაკურთხეთ" (ქსმ, 1970, გვ. 559).

ამკარაა, რომ არაგვის ხეობის მთისწინეთში-ქაისხევში (რომელიც წილკნელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა) XVII ს-ის მეორე ნახევარში ძლიერი იყო წარმართული ელემენტები. ეთნოგრაფიული დაკვირვებით კი ჩანს, რომ სიგელის შედგენის დროისათვის ქაისხევის მოსახლეობა მთიდან იყო მიგრირებული, ძირითადად ხევსურეთიდან, სადაც სინკრეტიზმის ელემენტები დიდხანს შემორჩა. XVI-XVII სს. მთიდან მთისწინეთში მოსული მოსახლეობა ინარჩუნებდა წარმართულ კულტმსახურებას, არ იხდიდა წილკნელი ეპისკოპოსის გადასახადებს და არც ქრისტიან მღვდელმსახურებს უშვებდა ქაისხევში. ანალოგიური რელიგიური ვითარება გვქონდა უფრო ჩრდილოეთით, მთიულეთში.

თითქმის იგივე ვითარება არის ასახული 1685 წლის საბუთში – "ალთქმის წიგნი მარილელთა ნიკოლოზ ალავერდელისადმი" (ქსძ. 1965, გვ. 586), საიდანაც ირკვევა, რომ კახეთის სოფელ მარილისის (დღევანდელი სოფელ მატნის ერთი ნაწილი) მცხოვრებნი აღუთქვამდნენ ალავერდელ ეპისკოპოსს, რომ დღეის ამას იქით თავიანთ სოფელში აღარ დაუშვებდნენ წარმართულ კულტმსახურებას, შეინახავენ მარხვას და სხვ. დავძენთ, რომ კახეთის სოფელ მარილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფშავიდან იყო გადმოსახლებული.

XVII ს-ის კიდევ ერთ დოკუმენტში (მასალები..., 1964) საუბარია იმაზე, რომ მთიულეებმა (მთიული იყო სოფელი ახმეტის სამხრეთით, სადაც მთიულეთიდან გადმოსახლებულები მოსახლეობდნენ) პირობა მისცეს ალავერდელ ეპისკოპოსს, რომ აღკვეთდნენ მარხვისას ჭამას, ცდუნების შემთხვევაში კი გაუმხელდნენ.

საქართველოს მთიანეთში რელიგიური ვითარება უცხოელ მოგზაურებსაც არ დარჩენიათ ყურადღების გარეშე. გერმანელი კარლ კოხი წერდა: "თუმები შთამომავლობით ქართველები არიან და ქრისტიანულ რელიგიასაც ცნობენ. ფშავებსა და ხევსურებს, ისევე როგორც ოსებს, სულ არ გააჩნიათ რელიგია. ამის გამო ძალიან უჭირთ როგორც ერთის, ისე მეორეთა მონათვლა მართლმადიდებელ ქრისტიანებად. ისინი მღვდლებს, რომლებსაც მათ უგზავნიდნენ, ყოველთვის უკან აგდებდნენ" (კოხი, 1981, გვ. 256).

საისტორიო საბუთებით და ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამკარაა, რომ საქართველოს მთიანეთის ყველა რეგიონში მსგავსი რელიგიური სიტუაცია როდი გვქონდა. მთიანეთის თითქმის ყველა მხარე ერთმანეთისაგან ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდა. ქრისტიანობა ისევე შევიდა შიდა ქართლის მთიანეთის ქსნისა, ლიახვის ხეობების მონაკვეთში და დვალეთში, როგორც ბარში. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებული რელიგიური სიტუაცია გვქონდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – სვანეთში. აქ ქრისტიანობა ბევრად ღრმად შევიდა, რასაც სვანეთში მოფენილი ორიგინალური ქრისტიანული სალოცავების სიმრავლეც ადასტურებს, თუმცა სვანეთშიც ბევრი ქართული წარმართული მოვლენა გვიანობამდე შემორჩა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა აღიარებული, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით მოხდა ქვეყნის კონსოლიდაცია. ერთიანმა კულტმა შეამჭიდროვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონები, განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება (სინ, 1973, გვ. 71). ქრისტიანული ეკლესიის სათავეში მდგომი მთავარეპისკოპოსი ეკლესიურად, სულიერად კრავდა სხვადასხვა პროვინციებს. ამის შესახებ 1852 წელს არქიმანდიტი თეოფანე გაბუნიაც აღნიშნავდა: "ქრისტიანობა არს გინა სჯული შემკვრელი ერისა და შემაერთებელი საზოგადოებისა". ამავე დროს, ქრისტიანობის მიღებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ითარგმნა სახარება და ქართული ენა გახდა საღვთისმეტყველო ენაც. ყველა ქართულ-ქართველური ტომისათვის საეკლესიო აღმსარებლობის ენად ქართული ენა იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს საშინაო, საოჯახო სალაპარაკო ენა სხვა ჰქონდა (მეგრული, სვანური, დვალური). X ს-ის მოღვაწე გიორგი მერჩულე პირდაპირ წერდა: "ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენით ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების".

მართალია, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა თითქმის იმავე პერიოდიდან გავრცელდა, როცა აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ეკლესიურად დასავლეთ

საქართველო ბიზანტიას ექვემდებარებოდა და შესაბამისად საეკლესიო-საღვთისმეტყველო ენაც ბერძნული იყო. მაგრამ IX ს-დან აქ ბერძნული ენა განდევნილი იქნა ქართული ენის მიერ, "უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა" (სი, 1958, გვ. 139). რაც მთავარია, ქრისტიანობის მიღებით საქართველომ საბოლოოდ გამოკვეთა თავისი დასავლური ორიენტაცია, დაუპირისპირდა ის აღმოსავლეთს, ირანს და მათ მაზდეანურ (ცეცხლთაყვანისმცემლურ) სარწმუნოებას. საქართველოს მთელი შემდგომდროინდელი ისტორია ფაქტობრივად არის ბრძოლა აღმოსავლელი დამპყრობლების რელიგიის – მაჰმადიანობის – წინააღმდეგ. "იმ დროს, როდესაც ირგვლივ ბერძნები და მცირე აზიელები თანდათან ისლამის რჯულს იღებდნენ, ქართველები და სომხები (ნაკლებად), თავიანთ მამაკაპური რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ. აღმოსავლეთში ქრისტიანობა სრული განადგურებისაგან სწორედ მათ გადაარჩინეს" (კოხი, 1981, გვ. 173).

ასე რომ, ქრისტიანობა, კონკრეტულად მართლმადიდებლობა, თითქმის უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენს. ქრისტიანობისათვის ბრძოლა ნიშნავდა ქართული ეთნიკური ერთობისათვის, მისი გადარჩენისათვის ბრძოლასაც. მაგრამ საქართველოში ისტორიულად სხვა სარწმუნოების მიმდევრებს ჰქონდათ სრული თავისუფლება და გასაქანი. არავინ, არც ერთი რელიგიური მიმდინარეობა არ იდევნებოდა. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VI ს. მოვიდნენ ებრაელები საქართველოში. ებრაელთა ერთი მიგრაციული ნაკადი ძვ. წ. 169 წელსაც მოსულა, კიდევ ერთი ნაკადი – ახ.წ. I ს-ში. ქართლის დედაქალაქში "უბანი ჰურიათა" არსებობდა, სადაც მათ "ზაგინი ჰურიათა" (სინაგოგა) ჰქონდათ. მთელი ადრეფეოდალური პერიოდის მანძილზე ირანელები ჩანან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (თბილისში, მცხეთაში), რომლებიც თავიანთი რელიგიის – ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევრები იყვნენ. ქართულმა აგიოგრაფიულმა ლიტერატურამ ისეთი ფაქტებიც დააფიქსირა, როდესაც ჩვენში მცხოვრები სპარსელები ქრისტიანობას იღებდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ირანელებს ჰქონდათ დაპყრობილი და ქვეყნის უზენაესი მპყრობელი ისინი იყვნენ. აქ შეიძლება "წმ. ევსტათი მცხეთელის წამება" გავიხსენოთ, რომელიც VI ს-ის 70-იან წლებშია დაწერილი ევსტათის წამებიდან მცირე ხნის შემდეგ. ევსტათისთან ერთად კიდევ შვიდი სპარსელი გაქრისტიანებულა. აქვე არაბი აბოს გაქრისტიანებაც უნდა გავიხსენოთ. ასე რომ, მხოლოდ ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე გადასვლა არ ხდებოდა, როგორც იოანე საბანისძე წერდა: "ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს – რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუარებით და სხუანი". ქართველებმა იცოდნენ, რომ სარწმუნოებრივი გადაგვარება ეროვნულ გადაგვარებას იწვევდა, ამიტომ პირიქითი პროცესების აღწერით (აბოს წამებით და ევსტათის წამებით), მათი ავტორები ქართველებს ქრისტიანობაზე მყარად დგომისა და პატრიოტიზმის მაგალითებს აძლევდნენ.

საქართველოს სახელმწიფოს ბედი შემდგომში ისე წარიმართა, რომ მის შემადგენლობაში, დავით აღმაშენებლის დროიდან, საკუთრივ ქართულ მიწა-წყალთან ერთად არაქართული პროვინციებიც შედიოდა (მაგალითად, სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, აღმოსავლეთიდან – შირვანი) და შესაბამისად ქართველ მართლმადიდებლებთან ერთად საქართველოს სახელმწიფოში სხვა სარწმუნოების მოსახლეობაც საკმაო რაოდენობით მკვიდრობდა, კერძოდ, სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) სარწმუნოებისანი, მაჰმადიანები და აგრეთვე ძველი დროიდანვე, როგორც აღვნიშნეთ, იუდეველები. მაჰმადიანები, იუდეველები და მონოფიზიტ-ქრისტიანები მკვიდრობდნენ საქართველოს ქალაქებშიც. დავით აღმაშენებლის დროს, ტრადიციულად ტარდებოდა შემწყნარებლური პოლიტიკა სხვა კონფესია-რელიგიების მიმართ. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისელ მაჰმადიანებს განსაკუთრებული შეღავათები მიაწია. ის ისევე ზრუნავდა მაჰმადიანებსა და მონოფიზიტებზე, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანებზე.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა რამდენიმე შტო-რელიგიად იყოფა. მართლმადიდებლებს გარდა, თავისი სიმრავლით გამოირჩევიან კათოლიკეები. განსაკუთრებული კონფესიის წარმომადგენლები არიან მონოფიზიტები, რომელსაც ჩვენი მეზობელი სომხები აღიარებენ. არაფერს ვიტყვით VII ს-ის დასაწყისში მომხდარ ქართულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებაზე. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ შაჰის ირანი დიოფიზიტების (მართლმადიდებლების) საპირისპიროდ ყოველთვის მონოფიზიტების მფარველად გამოდიოდა. ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილებით და ქართული ეკლესიის საბოლოოდ დიოფიზიტობისადმი მიკუთვნებით, საქართველოს ეკლესიამ მისი კათალიკოსის კირიონის შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილებით, ჭეშმარიტი ქრისტიანული პოზიციის გამოხატვის გარდა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქართული ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს დასავლურ ორიენტაციას.

სომხები ისტორიულად ხან მცირე და ხან საკმაო რაოდენობით თითქმის ყოველთვის ცხოვრობდნენ საქართველოში. განსაკუთრებით მკვიდრობდნენ ისინი სასაზღვრო ზოლში ქართულ მოსახლეობასთან შერეული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მონოფიზიტები საქართველოშიც ცხოვრობდნენ. სასაზღვრო ზოლში, როგორც ჩანს, თავის დროზე, ქართველთა გარკვეული ნაწილიც აღიარებდა მონოფიზიტობას, რის გამოც ისინი სომხებად შეირაცხნენ. ასევე სომეხთა გარკვეული ნაწილი, რომელიც დიოფიზიტობას აღიარებდა, ქართველობას მიეკუთვნა. სომეხი მონოფიზიტები კომპაქტურად საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდნენ. მკვიდრობდნენ ისინი ზოგიერთ სოფელშიც. ისტორიულად ისეც მოხდა, რომ განსაკუთრებით გვიანფოდალურ პერიოდში და XIX ს-ში არაერთმა ქართველმა მიიღო სომეხთა ეროვნული სარწმუნოება. შესაბამისად ისინი სომხებად შეირაცხნენ. სომხები თავიანთი ეროვნული სარწმუნოების ერთგულნი რჩებოდნენ. რელიგია კი სომეხთათვის, სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, ეროვნულობის შენარჩუნების ერთადერთი გზა იყო. ისევე როგორც ყველა სხვა რელიგიის მღვდელთმსახურნი, სომხური ეკლესიის მესვეურნიც ცდილობდნენ ყველგან თავიანთი სამწყსოს გამრავლებას. ასევე იყო საქართველოშიც, მით უმეტეს, რომ ისინი ქართველი მეფეების კეთილგანწყობითაც სარგებლობდნენ. გრიგორიანულმა (მონოფიზიტურმა) ეკლესიამ ქართველ მართლმადიდებელთა ნაწილი რელიგიურად გადაიბირა, ხალხის თქმით, "გაასომხა". ამის თქმის საშუალებას გვაძლევს XIX ს-ის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრები, აგრეთვე XVIII ს-ის დემოგრაფიული ძეგლები. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანს. არაერთი გვარი, რომელთა წარმომადგენლები ადრე მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, მომდევნო პერიოდში გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად და სომხებად გვევლინებიან. თავდაპირველად ქართველი გრიგორიანელები ქვემო ქართლში მკვიდრობდნენ, რაც აშკარად ჩანს XVII ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან და რასაც უთუოდ ხელს უწყობდა სომხებთან მოსაზღვრეობა, მეზობლობა. ვახუშტი ბაგრატიონი ხომ წერდა, რომ ქვემო ქართლში ძირითადად სომხური სარწმუნოების ქართველები მოსახლეობდნენ. სხვა აზრი არ შეიძლება გამოვიტანოთ მისი სიტყვებიდან: "... ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა" (ბაგრატიონი, 1973, გვ. 312, ხაზი ჩვენი, _ რ. თ.).

XIX ს-ის დასაწყისიდან ქართველ გრიგორიანელთა კონფესიური ჯგუფები ჩნდება შიდა ქართლში, კახეთში. ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველთა გრიგორიანულ (მონოფიზიტურ) სარწმუნოებაზე გადასვლის მიზეზების დასახელება. პირველ ყოვლისა, თავისი სამწყსოს გამრავლებით დაინტერესებული იყვნენ სომხური ეკლესიის მესვეურნი, რომლებიც მისიონერული მოღვაწეობით ცდილობდნენ მართლმადიდებელი ქართველების გადაბირებას. ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების ერთ-ერთი გზა იყო, აგრეთვე ქართველ მეფეთა მიერ ექმიაძინისა და ახპატის მონასტრებისათვის გლახთა შეწირვა. ქართველ თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარის (თუმანიშვილი, ბებუთიშვილი, ბეგთაბეგიშვილი, არღუთაშვილი) ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი

იყო, რომლებსაც თავიანთი ქართველი ყმები მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადაჰყავდათ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების მიზეზი თურქთა აგრესია იყო. ცნობილია, რომ თურქები მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმართ დიდად შეურიგებლნი იყვნენ, როგორც ბიზანტიელთა რელიგიისადმი. მონოფიზიტების მიმართ კი ერთგვარ შემწყნარებლობას იჩენდნენ.

სომხეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა თავდაპირველად ეტანებოდა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებს, სადაც მათ ხელოსნობასა და ვაჭრობაში პრიორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული. გამორიცხული იყო ქართველი მართლმადიდებლის ხელოსნობასა და ვაჭრობაში ჩაბმა, თუ არ მიიღებდა მონოფიზიტობას. დაბოლოს, XIX ს-ის დამდეგიდან ისარგებლეს რა ქართული სახელმწიფოებრიობისა და შემდეგ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით (1811 წელი), სომეხი ტერტერები მოედვნენ ქართლ-კახეთის სოფლებს და ღარიბი ქართველი გლეხებისადმი ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევით აღწევდნენ თავიანთ ეროვნულ სარწმუნოებაზე მათ გადაყვანას. ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების ფაქტები დადასტურებულია საისტორიო საბუთებში. ქართველთა მონოფიზიტობაზე გადასვლა ("გასომხება") არაერთი საყურადღებო საბუთით დაადასტურა გ. მაისურაძემ. ქართულ მეცნიერებაში ქართველი მონოფიზიტების საკითხს პირველად ა. ხახანაშვილი შეეხო, რომელმაც მეცნიერული დამაჯერებლობით აჩვენა ქართველების სომეხთა ეროვნულ სარწმუნოებაზე გადასვლის ფაქტები. მონოფიზიტური რწმენის ქართველებზე მიუთითა 1881 წელს ლიონში დასტამბულ ნაშრომში ესპანეთის ვიცეკონსულმა ტრაპიზონში მარენომ, აგრეთვე, გერმანელმა მოგზაურმა და მეცნიერმა კარლ კოხმა (საქართველოში იმოგზაურა XIX ს-ის 30-იან წლებში). ის წერდა: "სავაჭრო საქმეებს ჩვეულებრივ ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხებად იწოდებიან" (კოხი, 1981, გვ. 192). XVII ს-ის პირველ ნახევარში ქართველთა გასომხების შესახებ იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილევ აღნიშნავდა.

მონოფიზიტობაზე ქართველთა გადასვლის ურიცხვ მასალას იპოვის მკვლევარი XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში. ახლა კი მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიტანთ XVIII ს-ის ქართული საისტორიო საბუთიდან, რომელშიც ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე და შესაბამისად გასომხებაზეა საუბარი. ესაა არზა დიმიტრი ჯომარდიძის ყმის თაობაზე ბატონიშვილის ოქმით: "ჩემო ხელმწიფევ, ერთი ჩემი ყმის შვილი თურმე დაობლდა და წაიყვანა თავისმა ძიძამ და ციციშვილის კაცს თანანაშვილს გააზრდევინა. როდესაც გაიზარდა ამ თავისმა ძიძამ კიდევაც გაასომხა და ცოლიც შერთო. მამაჩემმა ილაპარაკა, _ სამართლით ეს კაცი დარჩა. შემდგომად კიდევ ეს კაცი არ დგებოდა. მე სანატრელს მეფესთან ვილაპარაკეთ და პატრიარხთან ოქმი მიბოძა. ნინია ჯავახიშვილი რომ გახლდათ იმას კიდევ უნდა აეყარა და კიდევ უნდა გაექართველებინა" (ქსმ, 1985, გვ. 631, ხაზი ჩვენია. _რ. თ.).

ჩვენ აქ აღარ მოვიყვანთ სხვა საისტორიო მასალებს ქართველთა მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადასვლის შესახებ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მოსახლე მონოფიზიტები შედეგობდნენ როგორც აქ სხვადასხვა დროს მიგრირებული სომხებისაგან, ისე გაგრიგორიანებული ქართველებისაგან.

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, ქართველთა ნაწილი არა მხოლოდ მონოფიზიტობაზე, არამედ კათოლიკობაზეც გადადიოდა. ქრისტიანული რელიგიის განშტოებები ხომ მკაცრად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს. თუმცა არც მონოფიზიტობა და არც კათოლიკობა, მაჰმადიანობის მსგავსად, ძალით არ ინერგებოდა საქართველოში. სამეცნიერო გამოკვლევებით ცნობილია, რომ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება XIII ს-დან დაიწყო. ამ დროს საქართველოში რამდენიმე კათოლიკური მონასტერი ყოფილა, მათ შორის, თბილისში _ ორი, ახალციხეში _ ერთი. საქართველოში კათოლიკობის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას არ იჩენდნენ, პირიქით, ამ სარწმუნოების მიმართ სრულ შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ. კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შედეგად

ქართველთა გარკვეულ ნაწილს კათოლიკობა მიუღია. მ. თამარაშვილის აღნიშვნით განსაკუთრებული თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩენია კათოლიკეებისადმი გიორგი ბრწყინვალეს, რის შედეგადაც "საქართველოს ბევრ პროვინციაში ქართველები გადავიდნენ კათოკილობაზე" (თამარაშვილი, 1902, გვ. 31). საქართველოში კათოლიკობის გავრცელების მასშტაბზე უდავოდ მიუთითებს ის, რომ XIV-XVI სს-ში არსებობდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო (პაპაშვილი, 1995, გვ. 99). კათოლიკეებისადმი საქართველოს ხელისუფალთა კარგი დამოკიდებულება უდავოდ პოლიტიკური მომენტით იყო გამოწვეული, საქართველო ხომ ერთგვარი იმედით შეჰყურებდა დასავლეთს.

მონოფიზიტ ქართველებს თუ სომხებს უწოდებდნენ, კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრებს ფრანგები ეწოდებოდათ. მაგრამ ისტორიული ვითარების კვალობაზე ქართველი კათოლიკეებისათვის რიტის (ტიპიკონის) პრობლემა შეიქმნა. თავდაპირველად ქართველ კათოლიკეებს ქართული ტიპიკონი ჰქონდათ. პაპის მიერ გამოგზავნილი მისიონერები, საეკლესიო მოღვაწეები ქართულს სწავლობდნენ. მაგრამ XVI ს-ის შუა ხანებიდან ვითარება შეიცვალა. რომის პაპმა ქართველი კათოლიკეები სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა, რომელსაც ლათინურის მაგიერ სომხური ტიპიკონი ჰქონდა დაკანონებული, ე.ი. წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველ კათოლიკეთა სომხურ რიტზე გადასვლა კი საფრთხეს უქმნიდა ერთიან ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართულ ეთნოსს ერთგვარი ბზარი ჰქონდა გაჩენილი ქართველი მონოფიზიტების სახით. კათოლიკობა ქართველთა გარკვეული ნაწილისათვის ევროპასთან დაახლოების და ამგვარად თავის გადარჩენის ერთ-ერთი გზა იყო. განსაკუთრებით გავრცელდა კათოლიკური სარწმუნოება სამხრეთ საქართველოში, სადაც უცხო ელემენტის შერევა უფრო საგრძნობი იყო. სამცხე-ჯავახეთის არაერთი სოფლის მკვიდრნი კოლექტიურად გახდნენ კათოლიკური რწმენის მატარებელნი. კათოლიკე ქართველები ცხოვრობდნენ თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში. კათოლიციზმის გავრცელების დადებითი შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ კათოლიკე მისიონერების საშუალებით საქართველოში ვრცელდებოდა იმდროინდელი ევროპული სიახლენი. საერთოდ, სხვადასხვა კონფესიების გავრცელება ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის დეზინტეგრაციულ პროცესებს უწყობდა ხელს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ამ მოვლენის მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე: ქართველ მონოფიზიტთა და ქართველ კათოლიკეთა საეკლესიო ენა არაქართული იყო. ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ამ სამი სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, რაც, ბუნებრივია, ქართველი მართლმადიდებლებისაგან ქართველი კათოლიკეების და ქართველი მონოფიზიტების (აგრეთვე, ქართველი მაჰმადიანების) გათიშვას უწყობდა ხელს. თუმცა, აღნიშნული თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა ზემოთ ხსენებულ სხვა აღმსარებლობებთან შედარებით შემწყნარებლური იყო.

შემდეგ ისე მოხდა, რომ ქართველი კათოლიკეების ("ფრანგების") ნაწილი სომხებად მიიჩნიეს, ისევ და ისევ ერის ისტორიასა და ერის წარსულში ჩაუხედავმა ადამიანებმა. ქართველ კათოლიკეთა სომხებად მიჩნევა იმიტომ მოხდა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, რომის პაპმა ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა. მასში წირვა-ლოცვა და საქმის წარმოება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველი კათოლიკეებისათვის კი ეს ენა გაუგებარი იყო. ქართველ კათოლიკეებს გაუჩინეს სომხურფუძიანი ახალი გვარსახელები (თუმცა უმეტესობას თავიანთი ძველი ქართული გვარები კარგად ახსოვდა). გაჩნდა ეჭვი ქართველი კათოლიკეების არაქართველობის შესახებ. ზოგიერთი არაქართველი მეცნიერი დღესაც ცდილობს ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობა "დაამტკიცოს", თუმცა მათი არგუმენტები წინასწარ აკვიატებულ აზრებზეა დაფუძნებული. ქართველ კათოლიკეთა ეთნიკური წარმომავლობა კარგადაა ნაჩვენები თვით ქართველ კათოლიკე მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

1886 წლის საოჯახო სიებში ქართველ კათოლიკეებს ეროვნების გრაფაში ყველას ქართველი აქვს მიწერილი, რაც, რა თქმა უნდა, მათი ნებისა და ამდენად ეროვნული თვითშეგნების

გამოხატულება იყო. სარწმუნოების გრაფაში კი სომხურ-კათოლიკური სარწმუნოება უწერიათ. მას შემდეგ, რაც 1845 წლის რუსეთის მთავრობამ საქართველოდან განდევნა ევროპელი კათოლიკე მოღვაწენი და ევროპელ კათოლიკეებს აკრძალათ საქართველოში საეკლესიო მოღვაწეობა, ქართველი კათოლიკეების სრული ბატონ-პატრონი სომხურ-კათოლიკური ეკლესია შეიქმნა. აქამდე თუ ქართველი კათოლიკეები ზოგჯერ ახერხებდნენ ლათინური ტიპიკონის გამოყენებას და ლათინურთან ერთად ქართულად წირვა-ლოცვას, ახლა ყველასი და ყველაფრის პატრონად სომხურ-კათოლიკური ეკლესია იქცა თავისი სომხური რიტით. ქართველმა კათოლიკეებმა კი ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა ქართული რიტისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე ქართველები გამოირჩეოდნენ. მაგალითად იკმარებს პეტრე ხარისჭარაშვილის მიერ კონსტანტინოპოლში 1861 წელს დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესია თავისი ქართული რიტით, სასულიერო სასწავლებლითა და სტამბით. თუმცა ქართველ კათოლიკეთა ბრძოლა ქართველობისა და ქართული ტიპიკონისათვის ყოველთვის წარმატებული როდი იყო. მათ წინ ცარიზმის ხელისუფლებაც ეღობებოდა. სამწუხაროდ, ქართველ კათოლიკეთა ნაწილი მაინც გასომხდა. ეს მოხდა ჯავახეთში, სომხურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში, სოფლებში: ბავრაში, ტურცხში, ხულგუმოში, კარტიკამში, სადაც 1828 წელს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიიდან, არტანის ორი მეზობელი სოფლიდან ველიდან და ურიდან გადმოსახლებული კათოლიკე ქართველები გასომხდნენ, უფრო სწორედ, გაასომხეს საბჭოთა ხელისუფლების დროს. წერილობითი საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ჯავახეთის აღნიშნულ სოფლებში მიგრირებული სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისანი ორენოვანნი იყვნენ. ისინი თურქულად და ქართულად ლაპარაკობდნენ. კამერალური აღწერების მიხედვით მათ საერთოდ არ იცოდნენ სომხური ენა. კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარებიც. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როგორც სომხურ-კათოლიკური რწმენის მატარებელნი სომხებად ჩაწერეს და სომხური სკოლები გაუხსნეს. ასე მიაკუთვნეს ისინი სომხებს. მათ შესახებ გ. ბოჭორიძე წერდა: "კარტიკამი, ხულგუმო, ბავრა და ტურცხი, ესენი არტაანის ოლქის სოფ. ურიდან გადმოსული არიან 1828 წელს. ქართველი კათოლიკეები, ისინი გამაჰმადიანებული არ არიან" (ბოჭორიძე, 1992, გვ. 148). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: "ხულგუმოში თურქულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობაა. ასეთივეა ბავრა, კარტიკამი და, როგორც გადმოგვცეს, ტურცხი. სომხურს ესენი ეხლა ითვისებენ. მათ თავიანთი ეროვნული ვინაობის არა იციან რა. ხულგუმოდან 35-ოდე ყმაწვილი ახალქალაქის ქართულ შვიდწლედში (ეხლა უკვე ათწლედში) სწავლობს და ამიტომაც თავს ქართველს უწოდებენ, სოფელში სომხური სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღიარებენ, მაგრამ ორივე ეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოეშვებით და აიძულებთ თავიანთი ვინაობა სარწმუნოებრივი მომენტის გარეშე განსაზღვრონ, რაც მათ ეძნელებათ. ჩვეულებრივ ისინი თავის თავს ფრანგებს ("ფერენგ") უწოდებენ". "ბავრას აწინდელი მოსახლეობა თურქულად მოსაუბრე კათოლიკეებია". "გზაზევეა კარკიტამიც. აქ თურქულად მოსაუბრე კათოლიკეები ცხოვრობენ" (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 53, 107, 109).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ებრაელები საქართველოში ყველაზე ძველად მოსული ერთ-ერთი ეთნიკური ერთობაა, რომლებმაც შეინარჩუნეს ეროვნული სარწმუნოება _ იუდაიზმი. თუმცა ოცდაექვსსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ისე შეეწყვნენ ქართველებს, რომ მათ ქართველებისაგან მხოლოდ სარწმუნოება განასხვავებდა. იუდეველების დედა ენა ქართული იყო. ისინი საქართველოში ძირითადად ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ცხოვრობდნენ და სავაჭრო საქმეებს მისდევდნენ. როგორც ჩანს, საუკუნეთა განმავლობაში იუდეველების რაღაც ნაწილს ქრისტიანობა მიუღია და ისინი ქართველებს შერწყმიან. ებრაელთა (იუდეველთა) განსახლების გეოგრაფია მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში. ისინი მკვიდრობდნენ ატენში, მძორეთში, ცხინვალში, თამარაშენში, ალში, სურამში, ჩიხორში, საჩხერეში, ქუთაისში, ხოტევიში, ონში, ოზურგეთში, გოკიაში, ბარალეთში, ახალციხეში... XIX

ს-ში იუდეველთა განსახლების ადგილები შეიცვალა. თანდათან მათი კონცენტრაცია თბილისში მოხდა. ამავე დროს საქართველოში საკმაო რაოდენობით შემოვიდნენ ევროპელი იუდეველები, რომელთა დედაენაც რუსული იყო.

ვრცლად მოგიწევს შეჩერება მაჰმადიანებზე. საქართველოს ბედი ისე წარიმართა, რომ მისი ძირითადი დამპყრობნი მუსლიმები იყვნენ. ბუნებრივია, აგრესორი ყოველთვის ცდილობდა მყარად მოეკიდა ფეხი საქართველოში და თავისი იდეოლოგიის საფუძველი – ისლამი დაენერგა და გავრცელებინა ქართველ ხალხში. ამასთანავე, მუსლიმების დაპყრობებს საქართველოში მათი დასახლებანიც თან სდევდა. არაერთი არაბი მაჰმადიანი გაჩნდა საქართველოში არაბობის დროს. თურქთა აგრესიას შესაბამისად მათი დასახლებანიც მოყვებოდა ხოლმე. სპარსელების (ირანელების) აგრესიას თავის დროზე ცეცხლთაყვანისმცემლების, შემდეგ მაჰმადიანების შემოსახლებანი მოსდევდა. საქართველოს დედაქალაქში – თბილისში თითქმის ყოველთვის იყო მაჰმადიანი მოსახლეობა. ზემოთ დავით აღმაშენებლის მუსლიმანთა მიმართ შემწყნარებლობის შესახებ ვისაუბრეთ. მრავალი მუსლიმის (ელის თათრების) შემოსახლება მოჰყვა ქვემო ქართლსა და კახეთში შაჰ-აბასის შემოსევებს. სხვათა შორის, საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თურქმანული ტომები თითქმის ყოველთვის აქტიური წევრები იყვნენ ქართული სახელმწიფოსი. ისინი ისევე იცავდნენ ქვეყანას მომხდური მტრისაგან, როგორც ქართველები. ქვემო ქართლ-ბორჩალოში განსახლებული ელის თათრები საქართველოს მეფის ერთგული ყმები იყვნენ. თეიმურაზ ბაგრატიონს ასეთი ცნობა აქვს მათ შესახებ მოყვანილი: "ჟამსა ამას (1775 წელს, – რ. თ.) აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზედა ერევანს. მაშინ მეფემან ირაკლიმ შეიყარა მკედრობა, მოვიდა ერევანს და აჰყარა იგინი და გარდმოასახლნა ბორჩალოდვე" (ბაგრატიონი, 1983, გვ. 50). იგივე ისტორიკოსს ხუდია ბორჩალოელი მოხსენიებული "ჰყავს ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც" პიროვნებად (ბაგრატიონი, 1983, გვ. 53). ხუდია ბორჩალოელსა და სხვა ბორჩალოელებს ("სხვანიელი ჩვენნი") არაერთ ბრძოლაში გამოუჩენიათ თავი ლეკების წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ არაერთმა ქართველმა საქართველოში დამპყრობთა ნაძალადევი პოლიტიკის წყალობით მაჰმადიანობა მიიღო. ასე გაჩნდნენ ქართველთა მაჰმადიანური ჯგუფები თურქთა მიერ დაპყრობილ და ანექსირებულ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ის აჭარლებს, სამცხელებსა და ჯავახებს შეეხოთ. გამუსლიმდა აგრეთვე აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობა, დღეს ინგილოებს რომ ვეძახით.

ქრისტიანობისაგან ქართველთა ჩამოშორებით ქართველთა მტრები ცდილობდნენ დაესუსტებინათ ქართველთა ერთობა, რასაც, ნაწილობრივ, აღწევდნენ კიდეც. "ქრისტიანობას მიქცეული", ე.ი. ქრისტიანობის დამთმობი ქართველი კი, ხალხის გაგებით, ქართველი აღარ იყო, რადგან საქართველოში ეროვნება და სარწმუნოება ფაქტობრივად ერთმანეთთან იყო გაიგივებული. ამ გზით არაერთი გამაჰმადიანებული ქართველი შევიდა სხვა ეთნოსების (სპარსელების, თურქების, აზერბაიჯანელების, არაბების) შემადგენლობაში. სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა დიდი ჯგუფი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თურქულ და აზერბაიჯანულ ეროვნებებს მიაკუთვნეს იმის გამო, რომ მაჰმადიანები იყვნენ. ანგარიში არ გაუწიეს ბევრი მათგანის ქართულ თვითშეგნებას, ქართულ სამეცხველო ენას, ქართულ გვარებს და მათ მიერ შემონახულ ქართულ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტრადიციებს.

იმდენად დიდი იყო გათანაბრება ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომ ქართველ კაცს ვერ წარმოედგინა არამართლმადიდებელი ქართველისათვის ქართველი ეწოდებინა. მაჰმადიანი ქართველი მისთვის ყველა შემთხვევაში "თათარი" იყო. ვიმეორებთ, "ქრისტიანობიდან მიქცევისა" და მაჰმადიანობის მიღების შემდეგ ქართველი მაჰმადიანი მაინც ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ სახეს, თავის ქართველობას, ის თავის თავს თურქად არ აღიარებდა. მან ყოველთვის იცოდა, რომ ის არათურქი, ადგილობრივი ("იერლი") იყო. ოღონდ ქართველობას

ველარ ამბობდა, რადგან ქართველობა მასში ქრისტიანობის ასოციაციას აღძრავდა. ქართველ მაჰმადიანებს ქართველობის აღიარებაში მხოლოდ ერთი რამ უშლიდა ხელს – ახალი სარწმუნოება.

როდის წარმოიქმნა სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაში მაჰმადიან ქართველთა კონფესიური ჯგუფები? XVI ს-ის დასასრულს თურქთა მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მთლიანად ქრისტიანული იყო. ამის დამადასტურებელია 1595 წელს თურქთა მიერ შედგენილი "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელშიც შეტანილი ოჯახის უფროსთა სახელები თითქმის მთლიანად ქართულ-ქრისტიანულია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რელიგიური სურათი კარგად აქვს დახატული ვახუშტი ბაგრატიონს: "ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მანენი, შემართებულნი, შუენიერნი, ცოდნა-ველოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩქვე (1626), ქართულისა ტიდ-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთის გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან" (ბაგრატიონი, 1973, გვ. 660). სხვა ადგილას სამცხის გლეხების შესახებ ვახუშტი წერს: "არამედ გლეხნი კუალადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათჳს დიდისა" (გვ. 669). რაც შეეხება ჯავახებს, ვახუშტი წერს: "სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა მღუდელნი ქართველნი" (გვ. 672); კოლისათვის: "არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი" (გვ. 675); ისპირისათვის: "კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა" (გვ. 686); თორთომისათვის: "კაცნი მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითვე, არამედ უბნობენ თურქულსა" (გვ. 687).

შემდგომი მოვლენები ისე განვითარდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმეტესობამ XVIII ს-ის მანძილზე მაჰმადიანობა მიიღო და მათმა ნაწილმა დედაენაც დაკარგა. გამაჰმადიანება XIX ს-შიც გრძელდებოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში XIX ს-ის დასაწყისში გამაჰმადიანება-გათურქების პროცესის შესახებ მიუთითა ნ. მარმაც.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საქართველოს ისტორიული პროვინციის – აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მაჰმადიან ქართველთა შესახებაც. 1886 წლის საოჯახო სიებით ზაქათალის ოკრუგის სულ ოთხ სოფელში მკვიდრობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმდევარი ქართველები, დანარჩენი ქართული სოფლების მცხოვრებნი კი ქართველი მაჰმადიანები იყვნენ. აღმწერებმა ქრისტიანებს ეროვნების გრაფაში "ქართველი" ჩაუწერეს, მაჰმადიან ქართველებს კი ინგილო. თუმცა დავთრებში ინგილო მაჰმადიანთა ქართველობის მიმანიშნებელი ქართული დედაენაცაა აღნიშნული.

დაახლოებით ასეთი რელიგიური (და ეთნიკური) ვითარება იყო საქართველოში, როდესაც ის რუსეთის კოლონია გახდა. XIX ს-ში ეთნიკურ-რელიგიური სიტუაცია საქართველოში უფრო აჭრელდა. ინტენსიური გახდა მართლმადიდებელი რუსების მიგრაცია. ამავე დროს ბევრად გაიზარდა მონოფიზიტი სომხების რიცხვი. იმატა აგრეთვე სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობამ. პირველი დიდი პარტია სომხებისა სამცხე-ჯავახეთში 1828 წლის შემდეგ მოვიდა. მიგრანტი სომხების რაოდენობა 30000 აჭარბებდა. სომეხ გრიგორიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოში XIX ს-ის 80-იან წლებში და პირველ მსოფლიო ომის დროს შემოსახლდა. ჯავახეთშივე დაასახლა ცარიზმმა რუსი სექტანტები, სადაც პირველი მიგრაციული ტალღა 1841 წელს მოვიდა. ჯავახეთის რვა დუხაბორულ სოფელში 1841-1845 წლებში 4 097 სული სექტანტი ჩამოასახლეს. სექტანტებს გარდა საქართველოში XIX ს-ის მთელ მანძილზე მართლმადიდებელი რუსებიც გადმოსახლდებოდნენ. საქართველოში მომსახურე რუსების მნიშვნელოვანი რაოდენობა სამუდამოდ რჩებოდა აქ საცხოვრებლად.

მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც სამხედრო სამსახური დაამთავრა. XIX ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში რუსი სექტანტებისა და მართლმადიდებლების უკვე 32 სოფელი არსებობდა.

1830-იან წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით დასახლდნენ საქართველოში (წალკის ველზე) თურქეთიდან ლტოლვილი ბერძენი მართლმადიდებლები. თუმცა თურქეთის გიუმიშხანის პროვინციიდან ბერძნების მიგრაცია XVIII ს-ის ბოლოსაც მოხდა. 1830-იან წლებში 50-მდე ბერძნის ოჯახი ჯავახეთის ახალქალაქში დასახლებულა, რომლებიც იქაურ სომხურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გასომხებულან (ლომსაძე, 1975, გვ. 337), რა თქმა უნდა, მათი მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან მონოფიზიტობაზე გადასვლის გზით. აღნიშნულ დროს მართლმადიდებელი ბერძნულენოვანი ბერძნების 100-მდე ოჯახი სამცხის შავწყალის ხეობის ნასოფლარებში დამკვიდრებულა, რომლებსაც შემდეგ თავი სოფელ ციხისჯვარში მოუყრიათ (ლომსაძე, 1975, გვ. 335). 1886 წ. საქართველოში (თბლისსა და ქუთაისის გუბერნიებში) 28774 მართლმადიდებელი ბერძენი ცხოვრობდა. საყურადღებოა, რომ წალკაში მიგრირებული ბერძნების უმეტესობისათვის დედაენა ბერძნული როდი იყო. ისინი თურქული ენის ანატოლიურ დიალექტზე მეტყველებდნენ. ღვთისმსახურება კი ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა.

XIX ს-ში ჩნდებიან საქართველოში ლუთერანები (გერმანელები). 1886 წ. საოჯახო სიებით საქართველოში 5836 სული ლუთერანი გერმანელი ცხოვრობდა. მათი პირველი ჯგუფი (181 სული) თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს ჩამოსულა, რომლებიც სართიჭალასთან დაუსახლებიათ. 1818 წელს თბილისში გერმანელი ლუთერანების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსულა. სამეცნიერო ნაშრომებით ცნობილია, რომ 1819 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი გერმანული კოლონია იყო, რომლებიც პროტესტანტიზმის ლუთერანულ მიმდინარეობას აღიარებდნენ. 1884 წელს მათ სოხუმის მახლობლად ორი კოლონია შეუქმნიათ (მანჯგალაძე, 1974; სონლულაშვილი, 1995).

საქართველოში განსახლებული ყველა რელიგიის წარმომადგენელი იყო თავმოყრილი თბილისში. 1876 წელს მართლმადიდებლები თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. ქართველებსა და რუსებთან ერთად (შესაბამისად 22,2 ათასი და 19,6 ათასი) მასში შედიოდნენ ბერძნები (ოთხასი კაცი), ოსები (სამასი სული), აგრეთვე: სომხები (100 კაცი), ასირიელები (100 სული), გერმანელები (44 ადამიანი), პოლონელები (26 ადამიანი), ებრაელები (22 სული), თათრები (9 კაცი), სპარსელები (4 ადამიანი), რომლებსაც მართლმადიდებლობა ჰქონდათ მიღებული. 1825 წელს თბილისში 18 მართლმადიდებლური ეკლესია ყოფილა, რომელთაგანაც 12 ქართული იყო, ოთხი – რუსული და ორი – ბერძნული. მ. მედიჩის ცნობით, 1817 წელს ათი ეკლესია ჰქონიათ თბილისში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებს. XIX ს-ის დასაწყისში მაჰმადიანობის მიმდევრები თბილისში ბევრი არ ყოფილან. 1825 წლისათვის თბილისში 300 მაჰმადიანი ითვლებოდა, რომელთაგანაც უმეტესობა შიიტები იყვნენ. XIX ს-ში თბილისში მუსლიმებს ჰქონდათ როგორც შიიტური, ისე სუნიტური მეჩეთები. 1876 წელს თბილისში 4, 3 ათასი მაჰმადიანი ცხოვრობდა, რომელთაგან შიიზმს აღიარებდა 3,7 ათასი. 1897 წელს თბილისელი მუსლიმების რაოდენობამ 7,4 ათასს მიაღწია. მთელი XIX ს-ის მანძილზე იზრდება თბილისის კათოლიკური მოსახლეობა. 1825 წელს აღრიცხულმა 400 სულმა კეთოლიკემ 1897 წლისათვის 7 ათასს გადააჭარბა. ეთნიკური თვალსაზრისით თბილისელ კათოლიკეთა შემადგენლობა ერთობ ჭრელი იყო. მასში შედიოდნენ: ქართველები, სომხები, პოლონელები, ფრანგები, აისორები და რუსები. თბილისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლს შორის ქართველთაგან 1883 წელს აღრიცხულნი არიან: თუმანიშვილები, ანდრონიკაშვილები, ბაქრაძეები, სააკაშვილები, ზუბალაშვილები, ჯიმშერაშვილები... ამ გვარებიდან კათოლიკე ქართველები – სააკაშვილები, ზუბალაშვილები, ანდრონიკაშვილები – გორის 1842 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც არიან აღრიცხული (სცსსა, 254-1-1939). თბილისში მკვიდრობდნენ რუსი მოლოკნებიც. 1893 წელს თბილისში 1,2 ათასი მოლოკანი ცხოვრობდა. თბილისის გერმანულ კოლონიაში ლუთერანული ეკლესია ჰქონდათ, რომლის მლოცველთა რაოდენობამ XIX ს-ის ბოლოს 3

ათასს გადააჭარბა. ეთნოკულტურული და ენობრივი თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ იყო თბილისის ებრაული მოსახლეობა. ქართველ ებრაელებთან ერთად თბილისში ე.წ. "ევროპელი ებრაელებიც" ცხოვრობდნენ. თბილისში ცხოვრობდნენ აგრეთვე ქურთისტანიდან მიგრირებული ებრაელების მცირე ჯგუფი, რომლებიც ახალსირიულ ენაზე ლაპარაკობდნენ. 1886 წელს იუდაიზმის რწმენის 1,6 ათასი მიმდევარი ითვლებოდა თბილისში, რომელთა რიცხვი 10 წლის შემდეგ 3,4 ათასამდე გაიზარდა. XIX ს-ში თბილისში ოთხი სინაგოგა ყოფილა. შესაბამისად ყველა აღმასარებლობის წარმომადგენელს თბილისში ცალკე სასაფლაო ჰქონდა. მართლმადიდებელთა წმინდა პეტრესა და პავლეს სასაფლაოსთან ერთად არსებობდა სომხურ გრიგორიანული სასაფლაო (ხოჯევანქი), მაჰმადიანური ანუ თათრების სასაფლაო, კათოლიკეების სასაფლაო, იუდეველების სასაფლაო. ცალკე სასაფლაო ჰქონდათ ლუთერანებსაც.

1886 წელს თბილისის გუბერნიაში 495808 მართლმადიდებელი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში – 799643. თუ დავაჯამებთ, მთელი საქართველოს მასშტაბით მართლმადიდებლები 1295451 იყო. მონოფიზიტების საერთო რაოდენობა 1886 წლისათვის საქართველოში 187348 სულს შეადგენდა (თბილისის გუბერნიაში – 179773 სული, ქუთაისის გუბერნიაში – 7575 სული). 1886 წლის საოჯახო სიებში ცალ-ცალკეა აღნუსხული სომხურ-კათოლიკური და რომაულ-კათოლიკური კონფესიების წარმომადგენლები. ორივე გუბერნიაში ერთად სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისანი კი 4554 სულს ითვლიდნენ. ასევე ცალ-ცალკე იყვნენ კონფესიების მიხედვით აღრიცხულნი მაჰმადიანები. საქართველოს ტერიტორიაზე სუნიტები ჭარბობდნენ შიიტებს. სუნიტების რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 30524 სულს შეადგენდა, შიიტების – 19504 სულს. ქუთაისის გუბერნიაში სუნიტების რაოდენობა 96930 იყო და ისინი ძირითადად ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში ცხოვრობდნენ. შიიტების რაოდენობა ქუთაისის გუბერნიაში 1314 სულით განისაზღვრებოდა. სულ ერთად 98244 სული. თბილისის გუბერნიაში მცხოვრები შიიტების ძალიან დიდი ნაწილი ბორჩალოს მაზრაზე მოდიოდა. საერთოდ, 1886 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 148272 მაჰმადიანი ცხოვრობდა.

რუსი სექტანტებიდან მოლოკნები და დუხოზორები თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდნენ. მოლოკნები ძირითადად მკვიდრობდნენ ბორჩალოს, თბილისის და აგრეთვე სიღნაღის მაზრებში, დუხოზორები კი ძირითადად ჯავახეთში, ახალქალაქის მაზრაში იყვნენ კონცენტრირებულნი. გარკვეული რაოდენობით ისინი ბორჩალოს მაზრაშიც ცხოვრობდნენ (663 სული). 1886 წლისთვის მოლოკნები 4812 ხული იყო აღრიცხული, დუხოზორები – 7263 სული. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ მოლოკნების მხოლოდ 33 სული ცხოვრობდა ბათუმის ოკრუგში.

ლუთერანების საერთო რაოდენობა 1886 წლისათვის საქართველოში 6186 სული იყო, მათ შორის, თბილისის გუბერნიაში 5072 სული ლუთერანი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში კი – 1114 სული. თბილისის გუბერნიაში ისინი ძირითადად თბილისის მაზრაში მკვიდრობდნენ, აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში. ქუთაისის გუბერნიაში ლუთერანები სოხუმის ოკრუგში აღირიცხებოდნენ.

1886 წლისათვის თბილისში 96 ბაპტისტები ცხოვრობდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ბაპტისტები არ იყვნენ აღრიცხულნი. თბილისის გუბერნიაში 1886 წელს 122 სუბოტნიკი მკვიდრობდა. იუდეველების საერთო რაოდენობა 13268 სულს შეადგენდა (თბილისის გუბერნიაში 6186 სული, ქუთაისის გუბერნიაში – 7082 სული).

1886 წლისათვის თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის 61,35% მართლმადიდებელი იყო. დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) ეს მაჩვენებელი 86,61%-ს შეადგენდა. თბილისის გუბერნიაში მონოფიზიტების პროცენტული რაოდენობა 22,25% იყო. ქუთაისის გუბერნიაში სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებისანი 0,83%-ს შეადგენდნენ. სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობის რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 2% იყო, დასავლეთ საქართველოში – 0,97%. უმნიშვნელო პროცენტულ რაოდენობას შეადგენდნენ

რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისანი: თბილისის გუბერნიაში 0,46%, ქუთაისის გუბერნიაში _ 0,07%. იგივე შეიძლება ითქვას ლუთერანებზე (შესაბამისად, 0,63% და 0,12%). თბილისის გუბერნიაში სუნიტები მთელი მოსახლეობის 8,43%-ს შეადგენდნენ, შიიტები კი 2,41%-ს. ქუთაისის გუბერნიაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 10,5%-ს და 0,13%-ს უდრიდა. რაც შეეხება იუდეველებს, ისინი ქუთაისის გუბერნიაში 0,76% იყვნენ, თბილისის გუბერნიაში _ 0,94%.

ასეთი იყო ზოგად ხაზებში რელიგიურ-კონფესიური სურათი ისტორიულ საქართველოში. XX ს-ში არსებული ვითარება კვლავ შეიცვალა და მისი ცალკე შესწავლა საჭირო. თუმცა, სრული სურათის დახატვა გაჭირდება, რადგან საბჭოთა ხელისუფლება კონფესიური თვალსაზრისით სტატისტიკურ მოაცემებს არ აწარმოებდა. მხოლოდ ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ XX ს-ის 40-იან წლებში საქართველოდან გაასახლეს ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ თურქებად აღრიცხა. ამავე პერიოდში ქართველი მონოფიზიტების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებლობას დაუბრუნდა; სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაზე მიწერილი ქართველი კათოლიკეები რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლნი შეიქმნენ. სტატიაში არაფერი ვთქვით ქისტებზე, რომლებიც პანკისის ხეობაში XIX ს-ის შუა ხანებში გადმოსახლდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან. გადმოსახლებისას ისინი მართლმადიდებლებად მოინათლნენ, რამაც განაპირობა მათი ქართულსუფიქსიანი გვარები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისელი ქისტები მაჰმადიანობას დაუბრუნდნენ.

ნაშრომი გვინდა დავამთავროთ იმის აღნიშვნით, რომ ისტორიულად საქართველოში მცხოვრები არაქართველები და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა: საქართველოში "უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი" (შარდენი, 1975, გვ. 297-298). მეორე ევროპელი, გიულდენშტედტი იგივეს ადასტურებდა: "მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანების და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 209).

ასე რომ, ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები ისტორიულ საქართველოში თანამედროვე დასავლური ურთიერთობების დონეზე იყო.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ანჩაბაძე, ვოლკოვა, 1990 _ Ю.Д. Анчабадзе, Н.Г. Волкова, Старый Тбилиси (город и горожане в XIX веке), М., 1990.
2. აფაქიძე, 1963 _ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.
3. ბაგრატიონი, 1973 _ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973.
4. ბაგრატიონი, 1983 _ თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1983.
5. ბარდაველიძე, 1957 _ В.В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.
6. ბერძენიშვილი, 1964 _ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964.
7. ბოჭორიძე 1992 _ გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში თბ., 1992.
8. გიულდენშტედტი, 1962 _ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962.
9. ვოლკოვა, 1984 _ Н.Г. Волкова, Материалы экономических обследований Кавказа 1880-х годов как этнографический источник, «Кавказский этнографический сборник», VIII, М., 1984.

10. თამარაშვილი, 1952 _ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
11. თოფჩიშვილი, 1991 _ რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები_კრ.“დიდგორი”, თბ., 1991.
12. თოფჩიშვილი, 1999 _ რ. თოფჩიშვილი, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (ზოგადისტორიული მიმოხილვა) _ ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.
13. კოხი, 1981 _ ვ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარი დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.
14. ლომსაძე, 1975 _ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
15. მანჯგალაძე, 1974 _ გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974.
16. მასალები..., 1964 _ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი (X-XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1964.
17. მელიქიშვილი, 1959 _ Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959.
18. მაისურაძე, 1982 _ გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
19. პაპაშვილი, 1995 _ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995.
20. სი, 1958 _ საქართველოს ისტორია, თბ., 1958.
21. სინ, 1970 _ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
22. სინ, 1973 _ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
23. სონლულაშვილი, 1995 _ ა. სონლულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
24. ქც, 1955 _ ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955.
25. ქც, 1959 _ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა თბ., 1959.
26. ქპ, 1981 _ ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.
27. ქსძ, 1965 _ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II თბ., 1965.
28. ქსძ, 1970 _ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III თბ., 1970.
29. ქსძ, _ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985.
30. შარდენი, 1975 _ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
31. ჯავახიშვილი, 1960 _ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
32. Свод..., 1893 – Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886, Тф., 1893.

ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები*

შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოადგენდა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას (თუმცა მას სხვა ხალხებიც აღიარებდნენ) იმ თვალსაზრისით, რომ მისი დროშით ჩვენი წინაპრები იცავდნენ ქართულ ენას, კულტურას, ტერიტორიას, ეროვნულ მეობას მტრისაგან. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დააჩქარა ქართველურ ტომთა კონსოლიდაციისა და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, ქართველ ხალხს თითქმის

* კრებული “დიდგორი (ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული)”, თბ., “მეცნიერება”, 1991 წ., გვ. 32-44.

ყოველთვის უხდებოდა თავდაცვა უცხოთა მოძალადეობისაგან. მტერი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა ქართული კულტურის საფუძვლის – მართლმადიდებლური ქრისტიანობის – ამოძირკვას, მის ადგილას თავისი რელიგიის დანერგვას, რათა ამ გზით დაესუსტებინა და მოესპო ქართველი ერი და მისი კულტურა.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ჩვენში ქრისტიანობის დაცვა ქართული ეროვნულობის დაცვას ნიშნავდა. ამიტომ ცდილობდნენ მტრები პირველ რიგში ქრისტიანობისაგან ქართველთა ჩამოშორებით დაესუსტებინათ ქართველთა ერთობა, რასაც, ნაწილობრივ, აღწევდნენ კიდეც. "ქრისტიანობას მიქცეული", ე.ი. ქრისტიანობის დამთმობი ქართველი კი, ხალხის გაგებით, ქართველი აღარ იყო, რადგან საქართველოში ერთი პერიოდისათვის საბედნიეროდ და მეორე პერიოდისათვის სამწუხაროდ, ეროვნება და სარწმუნოება ფაქტობრივად ერთმანეთთან იყო გაიგივებული. ისტორიული ბედუკუდმართობის გამო გვიანფეოდალურ პერიოდში ქართველ ხალხში სხვადასხვა რელიგიები გავრცელდა. ხდებოდა დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული ერთიანობის დასუსტება. მაჰმადიანობის დანერგვას ქართველ ხალხში იარაღის საშუალებით ახერხებდნენ, ხოლო ქრისტიანობის შტო-რელიგიების – კათოლიკობისა და გრიგორიანობის – გავრცელებას მშვიდობიანი გზით აღწევდნენ.

მაჰმადიანობა საქართველოში სამხრეთელ და აღმოსავლელ დამპყრობლებს (არაბებს, სპარსელებს, თურქებს) შემოჰქონდათ, რომლებსაც მუდმივად ეჭირათ თვალი ქართულ მიწაზე. მათ შეძლეს საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, საინგილო) თავიანთი სარწმუნოების დანერგვა. ამ გზით არაერთი გამაჰმადიანებული ქართველი შევიდა სხვა ეთნოსების (სპარსელების, თურქების) შემადგენლობაში. სამწუხაროდ, ასეთი პროცესი თვით საქართველოს ისტორიულ და დღევანდელ ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა დიდი ჯგუფი, რომლებსაც ცარიზმი ქართველებად მიიჩნევდა (ქართველებად არიან ისინი ჩაწერილი 1886 წლის საოჯახო სიებში), საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თურქულ და აზერბაიჯანულ ეროვნებებს მიეკუთვნენ იმის გამო, რომ მაჰმადიანები იყვნენ. ანგარიში არ გაეწია ბევრი მათგანის ქართულ თვითშეგნებას, ქართულ სამეცყველო ენასა და მათ მიერ შემონახულ ქართულ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტრადიციებს, ქართულ გვარებს.

იმდენად დიდი იყო გათანაბრება ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომ ქართველ კაცს ვერ წარმოედგინა არამართლმადიდებელი ქართველისათვის ქართველი ეწოდებინა. მაჰმადიანი ქართველი მისთვის ყველა შემთხვევაში "თათარი" იყო. ვიმეორებთ, "ქრისტიანობიდან მიქცევისა" და მაჰმადიანობის მიღების შემდეგ ქართველი მაჰმადიანი მაინც ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ სახეს, თავის ქართველობას, ის არასდროს არ აღიარებდა თავის თავს თურქად. მან ყოველთვის იცოდა, რომ ის არათურქი, ადგილობრივი ("იერლი") იყო. ოღონდ ქართველობასაც ვეღარ ამბობდა, რადგან ქართველობა მასში ქრისტიანობის ასოციაციას აღძრავდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებს საქორწინო ურთიერთობა არ ჰქონდათ აქ დასახლებულ თურქმანულ ტომებთან. ქართველ მაჰმადიანებს ქართველობის აღიარებაში მხოლოდ ერთი რამ უშლიდა ხელს – ახალი სარწმუნოება. ენა (რომელიც ზოგიერთმა თანდათან დაკარგა) და ტრადიციები, წეს-ჩვეულებები მამა-პაპისა ჰქონდათ; იცოდნენ თავიანთი ქართული გვარებიც.

XIX ს-ის სხვადასხვა წლების მოსახლეობის აღწერის მასალებით აშკარად ჩანს, რომ სამცხეში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები თავს როდი თვლიდნენ თურქად, მიუხედავად იმისა, რომ მათმა ნაწილმა ენაც დაკარგა. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ 1886 წლის საოჯახო სიებში მაჰმადიანი ქართველების უმრავლესობამ აღმწერებს ეროვნების გრაფაში ქართველი ჩააწერინა და "ოღლობით" (სახელითა და მამის სახელით) ჩაწერილებმა თავიანთი ქართული გვარებიც მიაწერიეს. მაგრამ მეზობელი მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველებისათვის ისინი "თათრებს" წარმოადგენდნენ. მათ "თათრებად" მოიხსენიებდნენ.

როდის წარმოიქმნა სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაში მაჰმადიან ქართველთა კონფესიონალური ჯგუფები? XVI საუკუნის დასასრულს თურქთა მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველო მთლიანად ქრისტიანული იყო. ამის დამადასტურებელია 1595 წელს თურქეთის ხელისუფალთა მიერ შედგენილი "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელშიც შეტანილი ოჯახის უფროსთა სახელები და მამის სახელები თითქმის მთლიანად ქართულ-ქრისტიანულია. ქართულია შემორჩენილი ტოპონიმებიც. როდესაც "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს" ათვალთვინებ, მასში ბევრ კარგ და ლამაზ ქართულ სახელს ამოიკითხავ. მხოლოდ ერთი რამაა გულდასაწყვეტი: ქართველი გლეხები გვარებით არ არიან მოხსენიებული. თურქებს ეს არ სჭირდებოდათ. მთელი მაჰმადიანური სამყაროსთვის გვარსახელი უცნობია. გვარსახელის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ჩვენში საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება იყო. ქართული ტრადიცია კრძალავდა ერთი კაცის შთამომავალთა, სისხლიერ ნათესავთა ერთმანეთზე დაქორწინებას. ამის გარკვევა კი ძირითადად გვარსახელის საშუალებით შეიძლებოდა. ქართველ მაჰმადიანებში კი სხვა მაჰმადიანური სამყაროსაგან განსხვავებით, კვლავ იყო ტრადიცია გვარების არსებობისა; თუმცა მას აქ ფუნქცია აღარ ჰქონდა, თითქმის ყველა ქართველმა მაჰმადიანმა კარგად იცოდა თავისი გვარი. მაჰმადიანი ქართველი მაინც უფროთხილდებოდა წინაპართა მიერ გადმოცემულ გვარსახელს, მომავალ თაობას გადასცემდა, ესათუთებოდა, არ ჰკარგავდა მას. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ნახსენებ საოჯახო სიებში ქართველმა მაჰმადიანებმა სამცხე-ჯავახეთში აღმწერებს ხშირ შემთხვევაში ქართული გვარებიც მიაწერინეს. სანამ სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა ზოგიერთ ქართულ გვარს ჩამოვთვლით, უნდა აღინიშნოს, რომ 1886 წლისათვის ახალციხის მაზრაში 16 სოფლის მკვიდრ მაჰმადიან ქართველთათვის დედაენა ქართული იყო. ამავე მაზრის 51 სოფელში კი მაჰმადიანი ქართველებისათვის დედაენას თურქული წარმოადგენდა. 1886 წლის საოჯახო სიებიდან ისიც ირკვევა, რომ ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა, მართალია, სამცხე-ჯავახეთში ყოველმხრივ თურქებადაა გატარებული (ეროვნება, ენა, სარწმუნოება), მაგრამ, ჩანს, რომ ასეთი "თურქები" ზოგჯერ ქართველებს წარმოადგენდნენ. ეს შეიძლება ითქვას სოფლებზე: კამზა, მხე, დიდი ხოპსი... სხვათა შორის, მიწერილი ქართული გვარები გვაგულისხმებინებს, რომ ამ სოფლების მოსახლეობა ძირად ქართული იყო. 1886 წლის საოჯახო სიები გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა გვარებს ატარებდნენ სამცხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანები: ჩხოვრიძე, ტატაძე, ცხადაძე, მამუკაშვილი, ბაზაძე, ზეთიაშვილი, თურმანიძე, აბრაზაშვილი, თავდგირიძე, დუნუკაძე, წულუკიძე, გოლოთიძე, აფაქიძე, დედულაძე, კარწელაშვილი, ჩახოშვილი, გვახიძე, გვარაძე, მაკარიძე, პაიკიძე, სადინაძე, კიკიაძე, მოსიძე, ჯავახაძე, დვალიშვილი, ყიფიანი, ლასურიძე, ბერიძე, ალაფიძე, ბაქრაძე, ლაზიშვილი, მოლოზნიანი, კიკნაძე, ჭუვაძე...

ქართველთა გამაჰმადიანება სამცხე-ჯავახეთში ძირითადად XVII ს-ის დასასრულიდან დაიწყო და მეტ-ნაკლებად XVIII ს-ში დასრულდა. ჩანს, ეს პროცესი აქ XIX საუკუნეშიც კი გრძელდებოდა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია 1886 წლის საოჯახო სიები. მაგალითად, ზემო ოშორაში, რომელიც მთლიანად ქართველი მაჰმადიანებით იყო დასახლებული (82 კომლი, 737 სული), მკვიდრობდა ასეთი პიროვნება: "ისმაილ გოგია ოღლი, იგივე მირზა ოღლი", ე.ი. ისმაილ გოგიას ძე, იგივე მირზას ძე. აქედან ჩანს, რომ ისმაილის მამა ქრისტიანი ყოფილა, მას გოგია რქმევია და გამაჰმადიანების შემდეგ მეორე, მაჰმადიანური სახელი (მირზა) უწოდებიათ. ამავე სოფელში ნახსენებია "კიულ ახმედ-ოსმან ოღლი, იგივე ტატო ოღლი", ე.ი. კიულის მამას ახმედ-ოსმანს გამაჰმადიანებამდე სხვა სახელი _ ტატო უტარებია. სოფელ კლდეში ჩაწერილი იყვნენ "რაჯაბ ბიძინ ოღლი ტატიძე" და "ხალილ ბიძინ ოღლი ტატიძე", ე.ი. რაჯაბ და ხალილ ტატიძეების მამას ქართული სახელი _ ბიძინა რქმევია და ის გამაჰმადიანებული არ ყოფილა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში XIX ს-ის დასაწყისში გამაჰმადიანება-გათურქების ახლად დაწყებული პროცესის შესახებ მიუთითა ნ. მარმაც.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საქართველოს ისტორიული პროვინციის – აღმოსავლეთ კახეთის, დღეს რომ საინგილოს ვეძახით, მაჰმადიან ქართველთა შესახებაც. 1886 წლის საოჯახო სიებით ზაქათალას ოკრუგის სულ ოთხ სოფელში მკვიდრობდნენ მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმდევარი ქართველები, დანარჩენი ქართული სოფლების მკვიდრნი კი ქართველი მაჰმადიანები იყვნენ. აღმწერებმა ქრისტიანებს ეროვნების გრაფაში "ქართველი" ჩაუწერეს, მაჰმადიან ქართველებს კი ინგილო. თუმცა დავთრებში ინგილო მაჰმადიანთა ქართველობის მიმანიშნებელი ქართული დედაენაცაა აღნიშნული. აქ "თათრულ" ეროვნულ სამყაროში ქართველთა გადასვლის პროცესიც მიმდინარეობდა. ერთ-ერთი სოფლის ყორადან-მუსულმანის მკვიდრი ინგილოებისათვის მშობლიურ ენას უკვე "თათრული" წარმოადგენდა.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ XIX ს-ში ბევრი ქართველი მაჰმადიანი მოლა ქართულად ქადაგებდა. ამ მხრივ სახელი გაითქვა ახმედ ეფენდი ხალიფაშვილმა. 1860-იან წლებში ის ჯამეში ქართულად ქადაგებდა და ყურანსაც ქართულად უხსნიდა მრევლს, რის გამოც სტამბულში ჩაიყვანეს და სამართალში მისცეს.

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, ქართველთა ნაწილი სხვა სარწმუნოებაზე, ქრისტიანობის სხვა შტო-რელიგიებზე გადადიოდა. ქრისტიანული რელიგიის ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი განშტოებები ხომ მკაცრად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს. მაჰმადიანობისაგან განსხვავებით, კათოლიკობა და გრიგორიანობა (მონოფიზიტობა) ძალით როდი ინერგებოდა საქართველოში. ისინი მშვიდობიანად ვრცელდებოდა ქართველ ხალხში. გარკვეულ პერიოდში ქართველთა ნაწილმა, ევროპასთან დაახლოების და ამგვარად თავის გადარჩენის ერთ-ერთ გზად კათოლიკობა მიიჩნია. ქართველთა შორის გაჩნდნენ ამ სარწმუნოების მიმდევრები. განსაკუთრებით ეს მოხდა იმავე სამხრეთ საქართველოში, სადაც უცხოური ელემენტის შემოტევა უფრო საგრძნობი იყო. სამცხე-ჯავახეთის არაერთი სოფლის მკვიდრნი კოლექტიურად გახდნენ კათოლიკური რწმენის მატარებელნი. კათოლიკე ქართველები გაჩნდნენ ქალაქებშიც (თბილისი, გორი, ქუთაისი, ახალციხე). დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის გამოკვლევით, ქართველ ხალხში კათოლიკობა XIII ს-დან გავრცელდა. ასე ჩამოყალიბდნენ საქართველოში კათოლიკე ქართველთა კონფესიური ჯგუფები. კათოლიკობას საქართველოში ძირითადად იტალიელი მისიონერები ავრცელებდნენ. კათოლიკე მისიონერთა საშუალებით, ევროპისაგან მოწყვეტილ გვიანფეოდალურ საქართველოში, ვრცელდებოდა იმდროინდელი ევროპული სიახლეები. მაჰმადიან ქართველებს თუ "თათრებს" უწოდებდნენ, კათოლიკე ქართველებს – "ფრანგებს". სხვადასხვა რელიგია (თვით ქრისტიანობის შტო-რელიგიები) მკაცრად კრძალავდა სხვა სარწმუნოების ადამიანებთან ქორწინებას. ასე ეთიშებოდნენ ერთმანეთს ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი მაჰმადიანები და ქართველი გრიგორიანები. თუმცა, აღნიშნული თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა ზემოთ ხსენებულ სხვა აღმსარებლობასთან შედარებით შემწყნარებლური იყო.

შემდეგ ისე მოხდა, რომ ქართველი კათოლიკეების ("ფრანგების") ნაწილი სომხებად მიიჩნიეს, ისევ და ისევ ისტორიასა და ერის წარსულში ჩაუხედავმა ადამიანებმა. ქართველ კათოლიკეთა სომხებად მიჩნევა იმიტომ მოხდა, რომ რომის პაპმა ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა. მასში, წირვა-ლოცვა და საქმის წარმოება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა, ქართველი კათოლიკეებისათვის ეს ენა გაუგებარი იყო. ქართველ კათოლიკეებს გაუჩინეს სომხურფუძიანი ახალი გვარსახელები (თუმცა უმეტესობას თავიანთ ძველი ქართული გვარები კარგად ახსოვდა). გაჩნდა ეჭვი ქართველი კათოლიკეების არაქართველობის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი დღესაც ცდილობს ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობა "დაამტკიცოს", თუმცა მათი არგუმენტები წინასწარ აკვიატებულ აზრებზეა დაფუძნებული. ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ქართული წარმომავლობა

კარგადაა ნაჩვენები თვით ქართველი კათოლიკეს მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

1886 წლის საოჯახო სიებში ქართველ კათოლიკეებს ეროვნების გრაფაში ყველას ქართველი აქვს მიწერილი, რაც, რა თქმა უნდა, მათი ნებისა და ამდენად, ეროვნული თვითშეგნების გამოხატულება იყო.

ეროვნული თვითშეგნების გარდა, ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობის დამადასტურებელია 1886 წლის საოჯახო სიებიც. XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის სხვა დავთრები. ქართველი კათოლიკეებში დღეს სამი ტიპის გვარსახელები შეიმჩნევა: 1) ქართულძირიანი და ქართულფორმანტიანი, 2) თურქულძირიანი და 3) სომხურძირიანი, რომელთაგან XIX ს-ში (და დღესაც) ნაწილი ქართული და ნაწილი რუსული ფორმანტებითაა ნაწარმოები. ქართველ კათოლიკეებში სომხურძირიანი გვარების გავრცელების მიზეზის შესახებ უკვე მივუთითეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და არა ლათინურ-კათოლიკურს. სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას კი სომხური საეკლესიო წესდება (ტიპიკონი) ჰქონდა დადგენილი, რაც ქართველ კათოლიკეთა წრეში ჯერ სომხური სახელებისა და შემდეგ სომხურძირიანი გვარსახელების გავრცელებას იწვევდა. სომხური და თურქული ძირებით წარმოდგენილი გვარსახელები, რა თქმა უნდა, მეორეული მოვლენაა და ყველა ასეთ გვარსახელს თავდაპირველი ქართული გვარი უეჭველად ჰქონდა. მაგალითად, ხითარიშვილების (ახალციხე, ვალე) ერთი შტოს ძირი-გვარი თამარაშვილი ყოფილა, მეორე შტოსი – ნანობაშვილი, გოზალიშვილებისა – კოჭიბროლაშვილი. 1886 წლის აღწერაში ქართველ კათოლიკეთა სომხურძირიან გვარებს ადრინდელი, თავდაპირველი ქართული გვარებიც აქვთ მიწერილ-მითითებული. მაგალითად, ქართველი კათოლიკე ყაზაროვების (ყაზარაშვილების) ძირი-გვარი გზირიშვილი იყო, ვართანოვებისა და ბაღდოელებისა – აბულაძე... ცხადია, შეუძლებელია "ქართულენოვანი სომეხი კათოლიკე" უწოდო, სომხური წარმომავლობა ამტკიცო ისეთი გამჭვირვალე ქართული გვარებისა, როგორებიცაა: ნებიერიძე, გოკიელი, ვარძიელი, ბეთანიშვილი, ბერიძე, მეფისაშვილი, ხუციშვილი, კაჭკაჭიშვილი, ნადირაძე, ჩიტოშვილი, გაბელაშვილი, ბეჩიტაძე, ბალახაძე, ზაზაძე, ჭილაშვილი, აბულაძე, რომლებსაც სომხურ-კათოლიკურმა ეკლესიამ მათი ქართული წარმომავლობის დაფარვისა და ქართული გვარის ფორმის, შინაარსისა და ჟღერადობის დაკარგვის მიზნით, გვარსახელების მაწარმოებელი ქართული სუფიქსები რუსული სუფიქსებით შეუცვალა.

საქართველოში დასახლებული სომეხები თავიანთი ეროვნული სარწმუნოების ერთგულნი რჩებოდნენ. რელიგია კი სომხთათვის სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, ეროვნულობის შენარჩუნების ერთადერთი გზა იყო. ისევე როგორც ყველა სხვა რელიგიის მღვდელთმსახურნი, სომხური ეკლესიის მესვეურებიც ცდილობდნენ ყველგან თავიანთი სამწყსოს გამრავლებას. ასევე იყო საქართველოშიც, მით უმეტეს, რომ ისინი ქართველი მეფეების კეთილგანწყობილებითაც სარგებლობდნენ. გრიგორიანულმა ეკლესიამ ქართველ მართლმადიდებელთა გარკვეული ნაწილი რელიგიურად გადაიბირა, ხალხის თქმით, "გაასომხა". ამის თქმის საშუალებას გავძლევს მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები, რომლებიც XIX ს-ში არაერთხელ ჩატარებულა, აგრეთვე, XVIII ს-ის დემოგრაფიული ძეგლები. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. არაერთი გვარი, რომელთა წარმომადგენლები ადრე მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, მომდევნო პერიოდში გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად და სომხებად გვევლინებიან. თავდაპირველად ქართველი გრიგორიანები ქვემო ქართლში მკვიდრობდნენ, რაც აშკარად ჩანს XVIII ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან და რასაც უთუოდ ხელს უწყობდა სომხებთან მოსაზღვრეობა, მეზობლობა. ვახუშტი ბაგრატიონიც ხომ წერდა, რომ ქვემო ქართლში ძირითადად სომხური სარწმუნოების ქართველები მოსახლეობენო. სხვა აზრი არ შეიძლება გამოვიტანოთ მისი სიტყვებიდან: "ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად

ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა". 1721 წლის ქვემო ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთარი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ აქ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქართველი გრიგორიანები იყვნენ. მათში გავრცელებული იყო ძირითადად ქართულძირიანი, აგრეთვე თათრულ და სომხურძირიანი გვარები. არაქართულძირიანი გვარების გაჩენა ფეოდალური პერიოდის საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც გამოწვეული ჩანს ჩვენში ძირითადად არაქართული სახელების გავრცელებით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქვემო ქართლის აღწერის დავთარში გვარებითაა ჩაწერილი. გვარსახელები კი ქართველ ხალხში ადრეული ხანიდან ჩნდება. იმავე დავთრით ადვილი გასარკვევია ქვემო ქართლის რომელ სოფლებში მოსახლეობდნენ სომხები. მათი პროცენტი, წინასწარი გამოთვლით, 10-ს არ აღემატებოდა. ქართველი გრიგორიანები აქ თუ გვარებით არიან ჩაწერილი, სომხები მხოლოდ სახელებით, გვარების გარეშე. ეს ბუნებრივია: სომხებს ხომ XIX ს-ის მეორე ნახევრამდე გვარსახელები არ ჰქონდათ.

XIX ს-ის დასაწყისიდან ქართველ გრიგორიანთა კონფესიური ჯგუფები ჩნდებიან შიდა ქართლში, კახეთში. ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველთა გრიგორიანულ (მონოფიზიტურ) სარწმუნოებაზე გადასვლის მიზეზების დასახელება. პირველ ყოვლისა, თავისი სამწყსოს გამრავლებით დაინტერესებულნი იყვნენ სომხური ეკლესიის მესვეურნი, რომლებიც მისიონერული მოღვაწეობით ცდილობდნენ მართლმადიდებელი ქართველების გადაბირებას. ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების ერთ-ერთი გზა იყო, აგრეთვე, ქართველ მეფეთა მიერ ექმიანობისა და ახპატის მონასტრებისათვის გლეხთა შეწირვა. ქართველ თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარის (თუმანიშვილი, ბებუთიშვილი, ბეგთაბეგიშვილი) ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო, რომლებსაც თავიანთი ქართველი ყმები მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადაჰყავდათ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თუმანიშვილები, რომლებსაც შიდა ქართლის თავიანთი სამფლობელო სოფლებში (ბერბუკი, ხელთუბანი, ზერტი, სვენეთი) მოსახლე ქართველი გლეხები გრიგორიანებად მონათლეს ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევარში. აქვე შეიძლება ზოგიერთი სხვა გვარიც დავგვსახელებინა: ანესაშვილი, გოდელაშვილი, განჯელაშვილი, გიგაური, გიუნაშვილი, გამხუაშვილი, მანძულაშვილი, კიკრიაშვილი, კობუაშვილი, მარკოზაშვილი, მჭედლიშვილი, მეზვრიშვილი, მამუკელაშვილი, პეტრემღვდლიშვილი, ქობულაშვილი, ყაყიტაშვილი, ცარიელაშვილი, ჯოლბორდი...

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების მიზეზი თურქთა აგრესია იყო. ცნობილია, რომ თურქები მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმართ დიდად შეურიგებელნი იყვნენ, როგორც ბიზანტიელთა რელიგიისადმი; გრიგორიანების მიმართ კი ერთგვარ შემწყნარებლობას იჩენდნენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მართლმადიდებელი ქართველები გრიგორიანობის მიღების საშუალებით ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას, თუმცა ამ ნაბიჯს საბოლოო ჯამში მათი სხვა ეთნოსში გადასვლა მოსდევდა.

სომხეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა თავდაპირველად ეტანებოდა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებს, სადაც მათ ხელოსნობასა და ვაჭრობაში პრიორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული. გამორიცხული იყო ქართველი მართლმადიდებლის ხელოსნობასა და ვაჭრობაში ჩაბმა, თუ არ მიიღებდა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას. დაბოლოს, XIX ს-ის დამდეგიდან ისარგებლეს რა ქართული სახელმწიფოებრიობისა და შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით (1811 წ.), სომეხი ტერტერები მოედვნენ ქართლ-კახეთის სოფლებს, ეწეოდნენ მისიონერულ მოღვაწეობას და ღარიბი ქართველი გლეხებისადმი ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევით აღწევდნენ თავიანთ ეროვნულ სარწმუნოებაზე მათ გადაყვანას. ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების არაერთი ფაქტია დადასტურებული საისტორიო საბუთებში, საარქივო მასალებში. ქართველთა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა ("გასომხება") არაერთი საყურადღებო

საბუთით დაამტკიცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. მაისურაძემ წიგნში "ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს-ში".

ქართველი ისტორიკოსებისათვის ყოველთვის ცხადი იყო ქართველთა სხვადასხვა კონფესიური ჯგუფების და, მათ შორის, ქართველი გრიგორიანების არსებობა. მაგრამ ზოგჯერ სომხურ საისტორიო ლიტერატურაში ცდილობენ ქართველ გრიგორიანთა კონფესიური ჯგუფების არსებობა ქართველ ისტორიკოსთა ფანტაზიას მიაწერონ, რომ ვითომ ასეთი ჯგუფები ქართველმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა და პირველ რიგში, ზ. ჭიჭინაძემ მოიგონა, რომელმაც 1926 წელს, დასტამბულ მონოგრაფიაში "ქართველი გრიგორიანები (სომხის რჯულის ქართველები)" არაერთი ფაქტით აჩვენა ქართველთა მონოფიზიტობაზე გადასვლა. ჩვენ ამ წიგნიდან არ შევუდგებით უტყუარი ფაქტების მოტანას, გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ზაქარია ჭიჭინაძემდე ქართველ ისტორიკოსთაგან ქართველ გრიგორიანთა კონფესიურ ჯგუფების არსებობას ყურადღება მიაქცია (ვახუშტი ბაგრატიონზე რომ არაფერი ვთქვათ) ალექსანდრე ხახანაშვილმა (სხვათა შორის, ხახანაშვილთა ნაწილსაც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება ჰქონდა მიღებული), რომელმაც მეცნიერული დამაჯერებლობით აჩვენა ქართველთა სომეხთა ეროვნულ სარწმუნოებაზე გადასვლის ფაქტები. თუმცა მიკერძოება რომ არ დაგვწამონ, სჯობს არაქართველ ავტორებს მოვუსმინოთ. მონოფიზიტური რწმენის ქართველებზე მიუთითებდა 1881 წელს ლიონში დასტამბულ ნაშრომში ესპანეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში მარენო, აგრეთვე, გერმანელი მოგზაური და მეცნიერი კარლ კოხი (საქართველოში იმოგზაურა XIX ს. 30-იან წლებში), რომელიც წერს: "სავაჭრო საქმეებს ჩვეულებრივ ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომეხებად იწოდებიან. ისინი უმთავრესად ართვინში ცხოვრობენ". XVII ს-ის იტალიელ მისიონერს დონ პიეტრო ავიტაბილეს თავის რელაციონში მოყვანილი აქვს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) როსტომ მეფისადმი მიმართვა: "ყოველ დღე ჩვენი თვალებით ვხედავთ, რომ ქართველები სომეხებიან და უმრავლესობა კი თურქდება... განა რატომ არ უნდა მიიღოს კაცმა ფრანკობა?" (დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე). ბ. გიორგაძის გამოცემა, თბ., 1977, გვ. 66).

ქართველთა გაგრიგორიანება-გასომეხების არაერთი ფაქტი აქვთ დადასტურებული კავკასიათმცოდნე ეთნოგრაფს ნატალია ვოლკოვას, აგრეთვე გიორგი ჯალაბაძეს. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა გრიგორიან ქართველთა ადრინდელი ქართული გვარები (თუკი ის დაკარგეს), ამ სარწმუნოების მიღების დრო და მიზეზები. მაგალითად, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, დირბელი (ქარელის რაიონი) მღებრიშვილები, რომლებიც ახლა სომეხებად იწერებიან, ფურცელაძეები ყოფილან. აქვე მოსახლე კოჭუაშვილების (ესენიც სომეხებად წერიან) წინაპრები გრძელიშვილის გვარს ატარებდნენ. ჯავახეთიდან გადმოსახლებული გრძელიშვილები ქართლში გაგრიგორიანებულან და გვარის დაფარვის მიზნით ახალი გვარი მიუღიათ. დირბის მეზობელ სოფელ რუისში XIX ს-ის მეორე ნახევრის აღწერის დავთრებში სომეხებად არიან ჩაწერილი ბალიაშვილები. ბალიაშვილების ქართველობის მიმანიშნებელია XIX ს-ის დასაწყისის საეკლესიო გლეხების აღწერის დავთარი, რომელშიაც ისინი მართლმადიდებლებად და შესაბამისად ქართულ-ქრისტიანული სახელებით არიან ჩაწერილი. ხაზგასასმელია, რომ შიდა ქართლში XIX ს-ის შუა ხანებისათვის თითქმის არ დარჩა სოფელი, რომ სომეხს გრიგორიანული ეკლესია არ გაეხსნათ. ასეთი ახლად გახსნილი ეკლესიები კი, ჩვეულებრივ, ქართველთა მიტოვებული ეკლესიები იყო.

გრიგორიანობაზე ქართველთა გადასვლის ურიცხვ მასალას იპოვის მკვლევარი XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, რომლებზედაც მხოლოდ გაკვრით გვექნება ქვემოთ ლაპარაკი და რომლის სრული გამომხეურება-გამოქვეყნება მომავლის საქმეა. ახლა კი მხოლოდ ამონაწერს მოვიტანთ XVIII ს-ის ქართული საისტორიო საბუთებიდან, რომლებშიც ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე და შესაბამისად გასომეხებაზეა საუბარი. ესაა "არზა

დიმიტრი ჯომარდიძისა ყმის თაობაზე" ბატონიშვილის ოქმით: "ჩემო ხელმწიფევე, ერთი ჩემი ყმის შვილი თურმე დაობლდა და წაიყვანა თავისმა ძიძამ და ციციშვილის კაცს თანანაშვილს გააზრდევინა. როდესაც გაიზარდა ამ თავისმა ძიძამ კიდეცაც გაასომხა და ცოლიც შერთო. მამაჩემმა ილაპარაკა, _ სამართლით ეს კაცი დარჩა. შემდგომად კიდეც ეს კაცი არ დგებოდა. მე სანატრელს მეფესთან [იგულისხმება ერეკლე II] ვილაპარაკეთ და პატრიარხთან ოქმი მიბოძა. ნინია ჯავახიშვილი რომ გახლდათ, იმას კიდეც უნდა აეყარა და კიდეც უნდა გაექართველებინა. ამჟამად იმას განსაცდელი მიადგა, თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქმნა და ეს კაცი იქავ დარჩა. ის კაცი წმინდის გიორგის მნათეც გახლავთ, არც ხატი აყენებს და მთელმა გაღმა მხარმა იცის, რომ ჩემი ყმა გახლავთ".

მეორე საბუთი "განჩინება სოლომონ ბეგთაბეგიშვილის ყმის საქმეზე" 1779 წლითაა დათარიღებული. საბუთის მთლიანი შინაარსის აქ გადმოცემას ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ ორ ამონაწერს მოვიტანთ. "ერთი წიგნი წამოაყენა სანატრელის მეფის თეიმურაზისაგან ბოძებული, რომელსა შინა წერილი ესრეთ აცხადებდა: დარფუნ გოდერძასშვილები ქართველობაშიაც ამათი ყმანი ყოფილან და ახლაც ბეგთაბეგ მდივნისა და ყარან მდივნისათვის გვიბოძებია". "მარა დარფუნ გოდერძასშვილის მოსესას შვილები გოდერძა და კიკოლა ამას ამბობდნენ: ქართველობაშიც თქვენი ყმანი არ ვყოფილვართ, სანატრელის ცხებულის მეფის თეიმურაზისათვის ყალბათად გაუსინჯებიათ და ამისათვის ჩვენი თავი თქვენთვის ყმად უბოძებიათ".

ახლა სანამ თელავის 1873 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარში ჩავიხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX ს-ის მოსახლეობის აღწერებში პიროვნებები ხშირად მეორე ანუ თავდაპირველი გვარებითაც არიან მოხსენიებული. გვარსახელის შეცვლა კი ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის პერიოდის საქართველოში იშვიათი მოვლენა არ იყო. თელავის 1873 წლის აღწერაში გრიგორიანული სარწმუნოებისა და სომხური ეროვნებისად ჩაწერილებს ხშირად ადრინდელი ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი. ამდენად, შესაძლებელია საარქივო მასალებით გავარკვიოთ დღეს ამა თუ იმ სომხური გვარისა და სომხური ეროვნების მატარებელთა შორის ვინაა წარმომავლობით ქართველი და რა იყო მათი ძირი ქართული გვარი. მაგალითად, 1873 წ. თელავის აღწერის დავთარში მოხსენიებული ბეგიჯანოვების ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს ფრჩხილებში მითითებული მეორე გვარი – ტალიური: "ბეგიჯანოვი, იგივე ტალიური". საყურადღებოა, რომ თელაველ ბეგიჯანოვებს დღესაც "ტალიანთ" სახელით მოიხსენიებენ. ტალიურები კი თელავში თიანეთის მხრიდან, სოფელ სახასოდან (ახლანდელი ახალსოფელი) არიან გადმოსახლებულნი. სახასოში, XVIII ს-ის პირველი მეოთხედის აღწერის დავთრით, ორი კომლი ტალიური მოსახლეობდა. 1801 წლის აღწერით, ტალიურები ისევ თიანეთის მკვიდრნი იყვნენ, რის შემდეგაც ისინი თელავში გადასახლდნენ, გრიგორიანობა მიიღეს და სომხურმა ეკლესიამ ბეგიჯანა ტალიურის შვილები ბეგიჯანოვებად და სომხებად ჩაწერა. ტალიურების გვარს საფუძვლად უდევს ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელი – ტალია, რომელიც ბოლო დრომდე სვანეთში იყო შემორჩენილი.

ავილოთ იმავე თელავში მოსახლე მარტიროსოვების გვარი. 1873 წ. აღწერის დავთრის მიხედვით თელაველ მარტიროსოვთა ოთხ ოჯახს მიწერილი აქვს "იგივე ბერძნიშვილი", ორ ოჯახს – "იგივე ჭადარაშვილი". ამკარაა, რომ დღეს თელავში მცხოვრები მარტიროსოვებისათვის საფუძველი ორ სხვადასხვა ქართულ გვარს მიუცია. თელაველ მარტიროსოვთა ქართველობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, როდესაც მათ გვარს მეორე სახელით ("ბერძნიანი") მოიხსენიებენ. მათივე წინაპრების საფლავის ქვებზე ბერძნიშვილის გვარი იკითხება. გადმოცემა აქვთ, რომ გადმოსახლებული არიან დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ გორგანიდან. თელაველი არუთინოვები მომდინარეობენ დემინაშვილების, აწყვერელების და ფეტვიხვრეტიაშვილებისაგან, ავეტიქოვები – ბოშაშვილებისაგან, ოსეფოვები – ქონეშვილებისაგან, ტერ-ფარსელოვები – ტერაშვილებისაგან,

თეიმურაზოვები – დემეტრაშვილებისაგან, ოგანეზოვები – მათურელებისაგან, მანუჩაროვები – ჩელხიაშვილებისაგან, სიმონოვები – მესხურებისაგან, აფრიამოვები – მენაბდეებისაგან.

სიღნაღის 1874 წლის აღწერაში სომხებად არიან ჩაწერილი გომელაუროვები (გრიგორიანობის მიღების შემდეგ – ურ სუფიქსიანი ქართული გვარისათვის რუსული სუფიქსი –ოვ დაუმატებიათ), ბოჭორმელოვები, ხუროშვილები, სიხარულოვები, ჭარელოვები, გოძიევი. სიღნაღელ სომხებად ჩაწერილი პაატოვების ადრინდელი ქართული გვარი კი გაბაშვილი ყოფილა, სარქისოვებისა – ბებრიშვილი, არუთინოვებისა – გონიაშვილი, ოხანეზოვებისა – ბურდული. რა თქმა უნდა შეუძლებელია ეთნიკურად სომხები იყვნენ სიღნაღის 1874 წლის აღწერაში მოხსენიებული "გრიგოლ გიგილოვი, იგივე ქართლელიშვილი", "სარქის გლახას ძე ქართლელიშვილი, იგივე ხატიაშვილი", "გარსევან ივანეს ძე ყანდაშევი, იგივე ლეკიშვილი". საისტორიო საბუთებით ქართველები და გვარად გულეურები იყვნენ დღეს გორში მოსახლე პეტროსოვები. ველისციხელი კობტიევი კი კობტაშვილებისაგან მომდინარეობენ, რომლებსაც საარქივო მასალებით უფრო ადრე კოჭატაძის გვარი უტარებიათ. ამავე სოფლის მკვიდრთა XIX-XX სს. მიჯნაზე სომხებად ჩაწერილი სარაშვილების ადრინდელი ქართული გვარი ბეროშვილი იყო, არდაბეგოვებისა კი – ბერუაშვილი.

თბილისში მოსახლე სომხებად მიჩნეულ, მაგრამ წარმოშობით ქართველთაგან შეიძლება დავასახელოთ ჯარიაშნელოვების, მეგველოვების, კოშკელოვების გვარები. ამ სამ გვარში ქართული გვარების სადაურობის მაწარმოებელი – ელ სუფიქსის გამოყოფა ძნელი არაა.

ქართველ გრიგორიანებს შორის გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი მოსახლეობისა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად ცხოვრობდა და ქართულ ეროვნულ სამყაროსთან კულტურულ-ისტორიული, ყოფითი ურთიერთობის კვალობაზე გაქართველებულნი არიან. ასეთია ეთნიკური ისტორიის ბუნებრივი კანონი. თავისი თავდაპირველი სიწმინდით არც ერთ ერს არ მოუღწევია ჩვენამდე, არც ქართველი ერია ამ მხრივ გამონაკლისი. ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებულთა ეთნიკურ პროცესებში ჩართვა გარდაუვალი მოვლენა იყო და არის. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა კიდევ: "ეთნიკურად საქართველოს არ მოუღწევია ჩვენს დრომდე უცვლელად, ერთხელ მოცემული სახით. იმ მუდამ იცვლებოდა მეტის თუ ნაკლების ინტენსივობით, ომით თუ მშვიდობიანი შემოთესლებით, ერთიანი შემოსახლებით თუ თანდათან, ყოველდღიური, კოლექტიური თუ ერთპიროვნული შემოღწევით".

ქართველი გრიგორიანები საქართველოს ე.წ. ქართულენოვანი სომხური მოსახლეობის ორ-მესამედს შეადგენდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ "გასომხებას" საქართველოს ისტორიის მანძილზე დროსთან მიმართებაში ორგვარი შინაარსი ჰქონდა. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე "გასომხებაში" ჩადებული იყო მხოლოდ რელიგიური შინაარსი. ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში რელიგიურად გასომხებულნი კვლავ ქართული ეროვნული ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ, კულტურულ-ისტორიული, ენობრივი, ყოფითი, ფსიქიკური, ტერიტორიული თვალსაზრისით. XIX ს-დან "გამოსხებაში" ახალი შინაარსი შეიძინა და იგი ეროვნულ-ეთნიკური რაობის რანგში იქნა აყვანილი, რაც სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მესვეურთა და ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო.

კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის*

დვალეთსა და დვალებს წინამდებარე სტატიის ავტორმა ოსთა საქართველოში მიგრაციისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის პირველი მონაკვეთი ("დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის") უძღვნა.¹ აქ დაწვრილებით აღარ გავიმეორებთ იმ მოსაზრებას, რაც დვალეთისა და დვალების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. მხოლოდ ორიოდე

* "ანალები", №2, 1999, გვ. 50-55.

სიტყვით ვიტყვით, რომ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხე დვალეთი, მისი განუყოფელი ნაწილი იყო როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით. დვალეთი საქართველოს ისეთივე მთიანი პროვინცია იყო, როგორც ფხოვი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი... ამასთანავე, დვალეები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართულ კულტურულ და საეკლესიო ცხოვრებაში. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ 1801 წელს რუსეთმა საქართველოს ანექსია დვალეთთან ერთად განახორციელა. 1858 წელს კი მეტროპოლიამ დვალეთი საქართველოს (თბილისის გუბერნიას) ადმინისტრაციულადაც ჩამოაშორა და ის რუსეთის თერგის ოლქს დაუქვემდებარა. ისევე როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა მხარეში, გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში დვალეთში მოხდა მოსახლეობის ეთნიკური ცვლა. დვალეთიდან გამოდევნილი ადგილობრივი ქართულ-ქართველური ეთნიკური ერთობის ადგილი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსახლებულმა ირანულენოვანმა ოსებმა დაიკავეს. დვალთა მამა-პაპათა საცხოვრისიდან გამოდევნა XV ს-ის მეორე ნახევარში დაიწყო. ოსთა მძლავრობის, თავდასხმების, მეკობრეობის შედეგად საქართველოს მთიანეთის აღნიშნული მხარე მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა. დვალეები განსახლდნენ: რაჭაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში და სამცხეშიც კი. ადგილზე დარჩენილი დვალთა გარკვეული ნაწილი, ოსთა აქ მიგრაცია-დასახლების შედეგად, დროთა განმავლობაში ასიმილირებულ იქნა მოსული ეთნიკური ერთობის მიერ. დვალეთში ოსთა დასახლკარება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და ის ძირითადად XVI ს-ში დასრულდა.² XVII ს-ში დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება უკვე განხორციელებულია. მაგრამ როგორც ჩანს, ამ საუკუნეში ბევრ დვალს ეთნიკური თავისთავადობა კვლავ შენარჩუნებული აქვს, რადგან, მთის პირობებში კულტურულ-ეთნიკური ასიმილაცია, ბარისაგან განსხვავებით, ერთობ გამძლეებულია. ოსები დვალეთში ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ და მათი აქ (აგრეთვე შიდა ქართლის მთიანეთში) მიგრაცია XVIII ს-ის 70-80-იან წლებამდე გრძელდებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოსურმა ეთნოსმა ადგილობრივთა ეთნონიმი – დვალი (ოსურად "თუალი") საკუთარ ეთნონიმად აქცია. ასეთი შემთხვევა მსოფლიოს ეთნოისტორიიდან არაერთია ცნობილი.

დვალეების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. მანამ, სანამ ამ შეხედულებებს ჩამოვთვლით, უნდა გავიმეოროთ ვახუშტი ბაგრატიონის ყველასათვის ცნობილი ფრაზა, რომ მათ "ენა აქუთ ძუელი, დვალური, და აწ უზნობენ ოსურსა საკუთრად".³ ვ. გამრეკელს დვალეები ვაინახებად, უფრო სწორად, ქართიზებულ ვაინახებად მიაჩნდა. მისი აზრით, დვალთა ქართიზაცია VII ს-ში უნდა მომხდარიყო, როდესაც, არაბობის გამო შეწუხებული ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით მიგრირდებოდა.⁴ ამ ავტორმა ბოლოს ეს შეხედულება შეიცვალა და დვალეები, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაბეჭდილ სტატიაში ქართველურ ტომად – ზანებად მიიჩნია.⁵ ვ. აბაევი და ნ. ვოლკოვა დვალეებს იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.⁶ ამავე დროს, რუსი ეთნოგრაფი დვალთა ირანიზაციას VI-VII საუკუნეებით ათარიღებდა. ერთ-ერთი შეხედულებით დვალეები სვანები სვანურ ენაზე მოლაპარაკენი იყვნენ.⁷ ბევრად ადრე იგივე მოსაზრებას კოლეგებთან პირად საუბრებში ჩვენც გამოვთქვამდით. მაგრამ პრობლემებზე მუშაობისას და არაერთი მასალის გაცნობა-დამუშავებისას დავრწმუნდით, რომ ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას დვალთა ზანური წარმომავლობის შესახებ რეალური საფუძველი ჰქონდა. თუმცა ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ დვალეები არ იყვნენ ზანების იდენტურნი. ისინი ერთ-ერთი ქართველური ენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ლაპარაკობდნენ ზანურსა და სვანურს შორის მდგომ ენაზე. ამავე დროს, დვალური ენა უფრო ახლოს იდგა ზანურთან.⁸ არ შეიძლება დავიწყებულ იქნას აგრეთვე დ. გვრიტიშვილის სტატია, რომელშიც ქართულ მეცნიერებაში პირველადაა უარყოფილი დვალთა ოსობა.⁹ რაც შეეხება ოს ავტორებს, ვ. აბაევისა და გ. თოგოშვილის გამოკლებით, ისინი დვალეებს, ხელალებით ოსებად აცხადებენ. თუმცა, ყველა ოსური გადმოცემით, დვალეთში ოსთა მიგრაცია გვიან განხორციელდა. ვ.

აბაევს ძველი დვალეები იბერიულ-კავკასიურ ტომად მიაჩნდა, ოსური ენისა და ტოპონიმების შესწავლის შედეგად.¹⁰ ქართველ ავტორთაგან დვალთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს ბოლოს ბ. გამყრელიძე შეეხო, რომლის დასკვნით, დვალეთი "ძველთაგანვე ეთნიკურად, კულტურულად, ადმინისტრაციულად ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო".¹¹ ამავე ავტორის მიერ მოყვანილი ზოგიერთი მასალა, ვფიქრობთ, ჩვენს მოსაზრებას უჭერს მხარს. რაც მთავარია, მას თავის დროზე დვალეთში დაუფიქსირებია საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები ოსთა მიგრაცია-განსახლებისა და ადგილობრივი გვარების შესახებ. აი, ერთ-ერთი გადმოცემა: "ადრე აქ (დვალეთში – რ. თ.) ბერძნებს უცხოვრიათ, შემდეგ ქართველებს. ქართველებს განუდევნიათ ბერძნები, როდესაც ოსები საქართველოს დაემორჩილნენ. შემდეგ მოდიან ოსები მიზურიდან, როდესაც კავკასიას მონღოლები შემოესივნენ. თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან გამოქცეულან და ამ ადგილებისათვის შეუფარებიათ თავი".¹² ლოგიკურია ავტორის მსჯელობა, როდესაც ბერძნებში დასავლურ-ქართულ ელემენტს გულისხმობს, რადგან, ცნობილია, რომ ეკლესიურად დასავლეთ საქართველო და დვალეთის, რაჭის მიმდებარე ნაწილიც IX ს-მდე ბერძნული იყო. აშკარაა, რომ დვალეთმა დასავლეთ საქართველოსთან ერთად გადაიგდო ბერძენთა (ბიზანტიელთა) საეკლესიო უღელი და ბუნებრივი სწრაფვის გზით ქართულ ეკლესიას აქაც გაეხსნა გზა. ზემომოყვანილი გადმოცემის ლოგიკური ახსნა სწორედ ესაა.

წინამდებარე სტატიის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომლითაც აშკარაა, რომ დვალეთი კულტურულ-ისტორიულად ქართული ქვეყანა იყო. შესაძლებელია დვალეებს ჰქონდათ საოჯახო სალაპარაკო დვალური ენა, მსგავსად მეგრულის, სვანურის და წოვათუმურის, მაგრამ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით დვალეები ქართველები იყვნენ და აქ ქართულ ენას და ქართულ წიგნს დიდი ასპარეზი ჰქონდა. მხედველობაში გვაქვს 1920 წლისათვის ონის საჯანის კარის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული XIV-XV საუკუნეების ნუსხახუცურით შესრულებული სახარების იმავე და მომდევნო პერიოდის მინაწერები. ე. თაყაიშვილი აღნიშნული სახარების შესახებ წერდა: "დაწერილია ეტრატზე ორ სვეტად, XIV-XV საუკუნეთა ნუსხახუცურით. სათაური და მეთაური ასოები სინგურითაა დაწერილი. ყდა ტყავგადაკრული ხისაა, გატეხილი. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს სარჩევი. ერთ ადგილას სარჩევში წითლურით სწერია: "ღვ~ვა: ყვ~თ: გღხ~კისა: გ~ისთ~ს: რ~ნ ვთარგმნე სხ~რბჲ". ამრიგად, სახარება გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა არის".¹³ ოთხთავზე რამდენიმე მინაწერია, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ერთი იქცევს. სანამ აღნიშნულ წარწერას მოვიყვან, საჭიროდ ვცანით მკითხველს ორი სხვა მინაწერი გავაცნოთ. ლუკას სახარების ბოლოს გადამწერს მიუწერია: "ყთ~ა ღ~თა მდღ~ითა შეუიღვნეს ღ~ნ ნიკ~ლზს ამისსა მწერალსა: ვინცა თქ~ას მს~ცა შ~ნდენ~ს ღ~ნ: ღ~ნ იცის ამისებრი ოთხთ~ვი ქართლს არა ძეს. და უმრ~თლესი: ამისა სიკეთისთ~ს ესეთნი მოვიჭირვე რ~ლ ორსა წელსა ვ~წერე: და ვამოწმე: ქართულთა ოთხთვ~თა სიკეთისთ~ს".¹⁴ მათეს სახარების ბოლოს ხუცურითვე შემდეგი მინაწერი ყოფილა: "ესე ოთხთავი სახარებ~ჲ წედის ციხე რომ აიღო ერისთ~ვნმ, მაშინ წულუკიძემ წაიღო: მე ლელა ჯიბრიაშვილის ქა~მნ დავიხსენი".¹⁵ ეს, სხვათაშორის, აღნიშნული სახარების მნიშვნელობისათვის. რაც მთავარია მარკოზის სახარების ბოლოს ხუცურითვე შემდეგი მინაწერია: "ქ. ლუდისა ღთის მშ~ბლისა ხატნი და წიგნები წაჰდა თათრობასა ბერციხეს და ესე, ოთხთავი ხორაულსა ეპოვნა: სლ~სა ხორაულისა ივანადსა და მისთა დედა მმთასა შ~ნდნეს ღ~ნ ა~ნ: – ფარუხაულსა დედისა მისისათჳს დვალეთს გაეგზავნა გასასყიდლად და ღჳჭისშვილსა წაერთუა. ს~ლსა ღჳჭისშვილისა კვრიკაძესა და მისთა დედა მმთასა შ~ნდნეს ღ~ნ ა~ნ: ვინცა გამოაჳუას დედისა ღ~თისა ეკლესიასა რისხვამცა მ~მა ძე და სლ~იწ~ა: და ყ~დწ~იღ~თის მშ~ბელი: და ამამცა ოთხთავისა მადლი და დაისჯების ს~ლი მისი: ვინცა ამსახუროს კხ~ლმცა არის".¹⁶

ამრიგად, ჩვენს წინაშეა მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო, რომლითაც დასტურდება, რომ დვალეთი ქართული ქვეყანა იყო ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება

იყო ქართულ სახარებაზე, სადაც ქართულ სახარებას მყიდველი ყავდა. მანამ, სანამ ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მინაწერში მოხსენიებული **ლუდა** ეს არაა მთიულეთის ლუდა. ამ შემთხვევაში საუბარია რაჭის სოფელ ლუდაზე, რომელიც შემდეგ და ახლაც **ლუნდად** მოიხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონს თავის ატლასში **ლუნდა** ჯეჯორის ხეობაში, პიპილეთის სამხრეთით აქვს დატანილი".¹⁷ 1886 წელს ლუდა (ლუნდა) შედიოდა ბაჯისხევის სასოფლო საზოგადოებაში (ამავე საზოგადოებაში შედიოდნენ სოფლები: ბაჯისხევი, ფსორი, ცხმორი, ჩორდი), სადაც 23 კომლი (242 სული) მკვიდრობდა. 1904 წლის მონაცემებით, ლუდაში (ლუნდაში) მხოლოდ ორი გვარის ხალხი ცხოვრობდა: გოცირიძეები (10 კომლი) და საბანაძეები (11 კომლი).¹⁸ 1843 წლის აღსარების მთქმელთა დავთრით, გოცირიძეები და საბანაძეები ცხმორის მთავარანგელოზის ეკლესიის მრევლს შორის არიან მოხსენიებულნი. აღნიშნული სახარება რაჭის სოფელ ლუდის (ლუნდის) ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდა. მინაწერიდან ირკვევა, რომ ოთხთავი საგარეო ვითარების გამო (თათრობა) სხვა წიგნებსა და ხატებთან ერთად ინახებოდა ბერციხეში. მაგრამ ისინი ბერციხეში შენახვამაც ვერ დაიცვა. აქ წახდენილა და დაფანტულა თათრობის დროს. გასარკვევია რომელ ბერციხეზეა საუბარი, სად იყო ბერციხე? აგრეთვე: თათრობაში მაჰმადიანთა რომელი შემოსევა იგულისხმება, თანაც დასავლეთ საქართველოში, რაჭაში? დღევანდელი მონაცემებით, რაჭაში ბერციხე ვერსად დავადასტურეთ. საფიქრებელი იყო ბერციხის ფრონეების ხეობის სათავეში არსებობა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ სახარებას პოულობს ხორაულის გვარის კაცი. ხორაულები (იგივე ხარაულები) კი ფრონეების ხეობის სათავეში, სოფელ ბეყმარში მკვიდრობდნენ. ფრონეების ხეობასა და ჯეჯორის ხეობას ერთმანეთისაგან მხოლოდ ყვირილას ვიწრო ხეობა ყოფს. საერთოდ, ისტორიოგრაფიაში ორი ბერციხეა ცნობილი: ერთი ქსნის ხეობის სათავეში – ჟამურში და მეორე – იმერეთში, ქვევრულას ხეობაში. ვახუშტი წერდა: "ამ ძვერულას, ამ ქუაბს ზეით, ერთვის ჳევი ქუევრულა. სდის ოკრიბა-მუხურას შუას მთას და მოდის სამჯრეთად. ამ ჳევზედ არს ბერ-ციხე, კლდისა ზედა შენი, მაგარი. ამ ჳევს ზეით, ძვერულსავე ეყრების ტყირბულის ჳევი".¹⁹ ქსნის ხეობის სათავეს ჟამურის ბერციხე ხალხურ ლექსშიცაა მოხსენიებული. ერთ მთიულურ ლექს-გადმოცემაში, რომელსაც "ხორეშული" ეწოდება, ვკითხულობთ:

"ხორაშანს ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი;

იქ შემოგვესმა ჟღერანი ჟამურს ბერციხის კლდისანი?"²⁰

რაჭასა და ფრონეების ხეობაში თუ არ იყო ბერციხე, მაშინ მინაწერში მოხსენიებული ბერციხე ქვევრულას ხეობის ბერციხე უნდა იყოს, რადგან ის რაჭაში გადასასვლელ გზებსაც აკონტროლებდა. რაც შეეხება თათრობას, ვფიქრობთ, მასში თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები იგულისხმება. ცნობილია, რომ მერვე შემოსევისას, 1403 წელს ის დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა, 700 დაბა, ყანა და მონასტერი დაარბია და გაძარცვა.²¹

ხორაულის (ხარაულის) შემდეგ ოთხთავი ხელში უვარდება ფარუხაულის გვარის კაცს, რომელიც სახარებას გასაყიდად დვალეთში დედამისს უგზავნის. მაგრამ დვალეთში გაგზავნილი ოთხთავი ადრესატამდე ვერ აღწევს და, როგორც ჩანს, გზაში კვირიკა ღვიჭიშვილი (რაჭაში ან შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები) ხელთ იგდებს, სახარებას წამლებს წაართმევს და პატრონს უბრუნებს. ჩვენთვის ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, არის ოთხთავის დვალეთში გასაყიდად გაგზავნის ფაქტი. ამკარაა, რომ დვალეთში ქართულ სახარებაზე დიდი მოთხოვნილება იყო, სადაც XV საუკუნეში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა; დვალეები ქართულად კითხულობდნენ სახარებას, ღვთისმეტყველება დვალეთში ქართულ ენაზე ხორციელდებოდა. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ XV ს-ში დვალეთში ჯერ კიდევ არ იყო შემოსახლებული ოსური მოსახლეობა, არც მათი თავდასხმები იყო დაწყებული, რადგან ომიანობის პირობებში სახარების შესაძენად ვერავინ მოიცლიდა. ასე რომ, XV ს-ში დვალეთი კულტურულ-ისტორიულად ქართული ქვეყანაა, სადაც ღრმად

შესული ქრისტიანობა. სავარაუდოა, რომ ოთხთავის მყიდველი დვალეთში ადგილობრივი აზნაურობა და სასულიერო წრის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

მინაწერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოხსენიებული ანთროპონიმი – **ფარუხაული ქართული გვარსახელია. ფარუხაულები დვალეები იყვნენ.** ფარუხაულთა ოჯახის ერთ-ერთი წევრი დვალეთიდან საცხოვრებლად მუდმივად ან დროებით აქეთაა გადმოსული (რაჭაში ან შიდა ქართლის ფრონების ხეობაში). გვარსახელი ნაწარმოებია აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარებისათვის დამახასიათებელი – ურ (-ულ) სუფიქსით. ამ სუფიქსით ნაწარმოები გვარები დვალეთში სხვებიც არსებობდა. დვალეები იყვნენ წარმოშობით ხადურები,²² ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბელეღურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები; აგრეთვე: ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები). ყაბარდოდან მიგრირებული ხეთაგის შთამომავალნიც –ურ სუფიქსით იფორმებენ გვარს (ხეთაგური), რადგან სხვანაირად წარმოუდგენელი იყო. ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელი მხოლოდ ქართული სუფიქსით ფორმდება. რაც შეეხება აღნიშნული გვარსახელის (ფარუხა-ულ-ი) ფუძეს, ეს არის იგივე ძველი ებრაული სახელი **ბარუქ (ბარუხ)**, რაც კურთხეულს ნიშნავს და რომელიც ქართულ-ქრისტიანულ სამყაროში ერთობ გავრცელებული იყო.²³ ფარუხი ბარუქის (ბარუხის) ფონეტიკური ვარიანტია. ქართულში არაერთი შემთხვევაა დადასტურებული ბ-ს ფ-ში გადასვლისა და პირიქით. აღნიშნული სახელი სვანურში ბარუყ-ის ფორმით გვხვდება. ფარუხ (ფარუხია) სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო (ესეც ერთი ნიშანდობლივი მაგალითია დვალეთის ზანურ სამყაროსთან სიახლოვისა). მაგალითად, 1611 წლის ილორის წა გ ს ხატის წარწერა გვამცნობს: "ზუგდიდს ნადირობასა ცხენის რბევასა შიგან შეიძგერენ ბატონი (მანუჩარ) და **გოშამე ფარუხია** და ცხენი წააქცია, ამიერ სოფლით მიიცვალა".²⁴ სხვათაშორის, ქართლსა და კახეთში XVII-XVIII სს-ში ფარუხაშვილების გვარიც მკვიდრობდა.²⁵ გამორიცხული არაა, რომ ისინი დვალი ფარუხაულების შთამომავალნი იყვნენ. დღეს ფარუხაულებიცა და ფარუხაშვილებიც ცოცხალ გვართა შორის აღარ არიან.

ამრიგად, XV საუკუნეში დვალეთი ჯერ კიდევ ქართული ქვეყანაა. ამ დროს ოსური ეთნოსი აქ ჯერ შემოსახლებული არაა და, ბუნებრივია, არც მხარის დეეთნიზაციაა დაწყებული. გავიმეორებთ ადრე თქმულ დასკვნას, რომ დვალეთში ოსები ძირითადად XVI ს-ში ესახლებიან. XVII ს-ის დასაწყისში დვალეთი თითქმის უკვე ოსური ეთნოსითაა დასახლებული, თუმცა ამ დროს აქ დვალთა კუნძულოვანი დასახლებანი, ჯერ კიდევ არის. 1601 წლის ერთ საბუთში "დუვალეთი" უკვე ოსეთთან არის გაიგივებული. ამასთანავე, XVII ს-დან ზოგჯერ ქართველ ხელისუფალთ დვალეთში მახვილის მიმართვა სჭირდებათ, რაც, ბუნებრივია, ეთნოსთა ცვლის კვალობაზე: "ქკსა სპთ (289) (ე.ი. 1601 წელს – რ. თ.) აქა დაიპყრა სრულებით დუვალეთი, ოსეთი და აღილო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ იმერეთისამან".²⁶ ცნობილია, აგრეთვე დვალეთის მოურავის გიორგი სააკაძის ლაშქრობა დვალეთში: "კუალად ჟამთ ამათ არა მოსცეს დუალთ ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს".²⁷ დვალეთში შესვლას აპირებდა ვახტანგ V-ც: "მერმე არღარა მოსცეს დუალთა მეფესა ბეგარანი. ამისთაღს მივიდა სპითა ქრცხინვალს შესვლად ოსეთად. მსმენელნი დუალნი შეშინდნენ და მოერთუნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს ბეგარანი და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ".²⁸ მიუხედავად ამისა, XVIII ს-ის ჩათვლით, ქართული წყაროები და საბუთები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან დვალეთსა და ოსეთს. ისიც ნიშანდობლივია, რომ დვალეთში შემოსახლებული ოსები, რომელთა შორის გაოსებული დვალეებიც იყვნენ, ქართველთათვის კვლავ დვალეებს წარმოადგენდნენ.

Одна из горных областей Грузии Двалети была её неотъемлемой частью, как с политической и экономической, также и с социальной точки зрения, двалы активно были включены в общегрузинскую культурную и церковную жизнь. Об этнической принадлежности двалов в науке существует несколько предположений. Их считали: вайнахами; ираноязычными осетинами; носителями одного из иберийско-кавказских языков или же говорящими на одном из картвельских языков занском или сванском. С точки зрения автора данной работы, двалы говорили на одном из картвельских языков, скорее всего на занском. В этой работе впервые в научный обиход вносится новый исторический источник – приписка на евангелии XV века, которая свидетельствует, что в XV веке Двалети в культурно-историческом отношении была грузинской, и что миграция осетин в эту область к этому периоду ещё не имела места. Миграция осетин в эту область началась только в XVI веке.

Once Again On The Ethnic Belonging Of The Dvals

Dvaleti – one of the mountainous areas of Georgia was socio-politically and economically its integral part. The Dvals participated actively in the common Georgian cultural and church life. In accordance with several suppositions concerning the ethnic belonging of the Dvals, they may have been either the Veinakhs or the Iranian-speaking Ossetes, also one of the Iberian-Caucasian language speakers or the Georgian languages – Zan and Svan speakers.

The author assumes that the Dvals spoke one of the Georgian languages close to Zan. The inscription on the Testament of the 14th-15th cent. appears to be the new historical source that proves that in the 15th cent. Dvaleti was the inseparable part of Georgia and that the migration of Ossetes was accomplished in the 16th century.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 6-72.
2. რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი; მისივე, ზეპირი საისტორიო წყაროები. – “კლიო”, №3, 1998, გვ. 147-152
3. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქც, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 639.
4. В.Н. Гамрекели, Двалы и Двалетия, в I-XV вв. н. э., Тб., 1961.
5. ვ. გამრეკელი, დვალელები – ქსე, ტ. 3.
6. В. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, 1949; Н.Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 123-124.
7. ვ.ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992, გვ. 69-186.
8. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 6-72.
9. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობის და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის – “მომომხილველი”, თბ., 1949, გვ. 109-121.
10. В. Абаев, დასახ. წიგნი.
11. ბ. გამყრელიძე, ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონიმების “ოსი” და “დვალი”-ს მიმართების საკითხისათვის). – “საისტორიო ძიებანი”, I, თბ., 1998, გვ. 100.
12. ბ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.
13. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 106.
14. იქვე.

15. იქვე, გვ. 107.
16. იქვე, გვ. 107-108.
17. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, თბ., 1997, გვ. 19.
18. ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფ.8.ან. I, საქ. 1809.
19. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქც, IV, თბ., 1973, გვ. 755.
20. ა. შანიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. I, თბ., 1984, გვ. 174.
21. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე _ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 708-711.
22. ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში. _ კრ.: "ოსთა საკითხი", თბილისი-გორი, 1996, გვ. 182.
23. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1972, გვ. 103.
24. თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მეორე, ტფ., 1897, გვ. 439.
25. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 593, 624.
26. თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრომი, გვ. 434.
27. ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 434.
28. იქვე, გვ. 455

ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიისათვის*

კავკასია ეთნიკური და ენობრივი სიჭრელით გამოირჩევა. ასევე იყო ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშიც. მაგრამ კავკასიის ეთნიკურ-ენობრივი შემადგენლობა უცვლელი როდი იყო. ის ხშირად იცვლებოდა, როგორც ბარში, ისე მთისწინეთსა და მთაში. მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ამ თვალსაზრისითაც ახდენდა კავკასიაზე გავლენას. ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობასთან ერთად აქ მკვიდრობდნენ და მკვიდრობენ მოსული ეთნიკური ერთეულებიც. კავკასიის მკვიდრმა არაერთმა ეთნოსმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. მათი ნაწილი ასიმილირებული იქნა მოსული თურქულენოვანი და ირანულენოვანი ეთნიკური ერთეულების მიერ. ნაწილი კი თავად შეერწყა ერთმანეთს.

ამჯერად ჩვენი ყურადღების სფეროშია ცენტრალური კავკასია და აქ ოდესღაც მცხოვრები დვალები, რომლებმაც არსებობა შეწყვიტეს და ასიმილირებულ იქნენ ირანულენოვანი მიგრანტი ოსების მიერ (გამრეკელი, 1961; თოფჩიშვილი, 1997; გამყრელიძე, 1998).

დვალები, ისევე როგორც სხვა ქართველი მთიელები, საუკუნეების მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართული კულტურის შექმნაში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის დღიდანვე დვალეთი ყოველთვის საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველ მეცნიერებში არასოდეს არ დამდგარა საკითხი დვალთა არაქართული ეთნიკური სამყაროსადმი მიკუთვნებულობის შესახებ. მაგრამ არაქართველი მეცნიერები, მხედველობაში გვყავს ოსები, მათ ოსურ ეთნიკურ ელემენტად მიიჩნევენ, რათა რაც შეიძლება დააძველონ კავკასიაში და, რა თქმა უნდა, საქართველოში თავიანთი მკვიდრობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ოსმა ეთნოგრაფმა ბ. კალოევმა საქართველოს მთიანეთის ეს ისტორიული მხარე, მომიჯნავე სხვა ქართულ მიწა-წყალთან ერთად, ცენტრალურ ოსეთად მონათლა.

ქართველ მეცნიერთაგან დვალთა ეთნიკურ კუთვნილებას გამოკვლევები უძღვნეს: დ. გვრიტიშვილმა, ვ. გამრეკელმა, რ. თოფჩიშვილმა, ვ.ვ. ითონიშვილმა, ბ. გამყრელიძემ. აქ აღარ გავიმეორებთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებებსა და არგუმენტებს. დაინტერესებულ

* "ანალები", №2, 2001, გვ. 16-20.

მკითხველს ისინი შეუძლია სათანადო ნაშრომებში გაიგნოს. ოს ავტორთაგან მხოლოდ ვ. აბაევი და გ. თოგოშვილი არ მიიჩნევენ დვალეებს ოსებად. ჩვენი შეხედულებით, დვალეები ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო, რომელიც ლაპარაკობდა აწ გადაშენებულ ქართველურ ენაზე, რომელიც ზანურსა და სვანურს შორის იდგა და უფრო მეტი საერთო ჰქონდა ზანურთან. ვფიქრობთ, დვალეების ქართველობის დამადასტურებელი ყველა წყარო და საბუთი ჯერჯერობით გამომზეურებული არაა. უკანასკნელ ხანს ჩვენს მიერ მიგნებულმა ერთმა საისტორიო წყარომ (XV ს-ის სახარებაზე იმავე დროის მინაწერმა) აშკარა გახადა, რომ დვალეთი ეთნიკურად, კულტურულ-ისტორიულად ქართული ქვეყანა იყო, დვალეები ყოველმხრივ იყვნენ ჩართული საერთო ქართულ კულტურულ, პოლიტიკურ და საეკლესიო-სასულიერო ცხოვრებაში და რომ დვალეებს ისეთივე ქართული გვარსახელები ჰქონდათ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებში (თოფჩიშვილი, 1999).

უკანასკნელ ხანს ჩვენი ყურადღება მიიპყრო მატერიალური კულტურის, სულიერ კულტურასთან დაკავშირებულმა, ერთმა ძეგლმა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გავრცელებული. ესაა მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობა, აკლდამა. აქვე, გარდა მიწისზედა აკლდამებისა, გვხვდება ნახევრადმიწისზედა და მიწისქვეშა აკლდამებიც. მიწისზედა აკლდამები გავრცელებული იყო ჩაჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, ბალყარეთსა და ყარაჩაიში. ასე რომ, მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი ეკუთვნის სამი სხვადასხვა ეთნოლინგვისტური ერთობის წარმომდგენლებს: ადგილობრივ კავკასიელ ინგუშებსა და ჩაჩნებს, ირანულენოვან ოსებს და თურქულენოვან ყარაჩაელებსა და ბალყარელებს. მატერიალური კულტურის ეს ძეგლები, რა თქმა უნდა, თავის დროზე ერთ-ერთი ამ ეთნოლინგვისტური ერთობის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ სხვა ხალხებშიც გავრცელდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწისზედა აკლდამების გავრცელების არე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთით შემოისაზღვრება. ბარსა და მთისწინეთში ასეთი აკლდამები დადასტურებული არაა. არც შეიძლება ბარელებისათვის ყოფილიყო ის დამახასიათებელი, რადგან მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში შეტანილი მიცვალებული მუმიფიცირებას განიცდიდა. ბარში მუმიფიცირება გამორიცხული იყო. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ მეცნიერები სამი ტიპის მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობებს გამოყოფენ: ა) მოგრძო შენობები ორფერდა გადახურვით; ბ) ოთხკუთხა ნაგებობანი პირამიდული სახურავით და გ) მრგვალი შენობა ძაბრისებური გადახურვით. პირველი ორი ტიპის მიწისზედა აკლდამები ფიქალით იყო გადახურული. ამასთანავე, მოგრძო ორფერდა აკლდამები თავისი კონსტრუქციით წააგავს ადრეფეოდალური პერიოდის ქრისტიანულ სალოცავებს, ოთხფერდა ფიქალით გადახურული აკლდამები კი ჩაჩნეთ-ინგუშეთში გავრცელებულ საბრძოლო გადაკვეთილ კოშკებს. ყველა ასეთ აკლდამას აქვს ორი ან სამი საძრომი, რომლის საშუალებითაც შიგ მიცვალებული შეჰქონდათ. თითოეული აკლდამის შიგნით მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულებს ასვენებდნენ (კოკაევი, 1928; მიზიევი, 1970; მარკოვინი, 1978).

მიწისზედა აკლდამები ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად საგვარეულო იყო. ჩაჩნებსა და ინგუშებში აკლდამის უქონლობა უთვისტომობის (უგვარობის) ნიშანი იყო. როდესაც აქ ქალიშვილს ათხოვებდნენ, ანდა ვაჟს აქორწინებდნენ, მშობლები პირველ რიგში არკვევდნენ ჰქონდა თუ არა საპატარძლოს ან სასიძოს საგვარეულო აკლდამა. თუ ასეთი არ აღმოაჩნდებოდათ, ქორწინებაც არ შედგებოდა. ინგუშეთში ასეთი თქმაც ყოფილა: "ადამიანს სიცოცხლეში სჭირდება კოშკი, სიკვდილის შემდეგ კი აკლდამა". ამასთანავე, ვაინახებში მიწისზედა აკლდამას ადგილობრივი ტერმინიც – "კაშ" ჰქონდა, რაც "მზის სამარედ" ითარგმნება.

ჩვენ აღარ შევუდგებით მეცნიერებაში არსებული შეხედულებების ჩამოთვლას მიწისზედა აკლდამების წარმოშობის მიზეზების შესახებ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აკლდამებში დაკრძალვის წესი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ნორმებს და თავისთავად ცხადია

ქრისტიანული ეკლესია მას ებრძოდა კიდევ. მეცნიერთა ერთი ნაწილი აკლდამებს ადგილობრივი კავკასიური წარმოშობისად მიიჩნევს, მეორენი მათ წარმოქმნას ირანულენოვან ოსებს უკავშირებენ, რაც ამთავითვე უნდა აღვნიშნო ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი კავკასიაში წარმოიქმნა ქრისტიანული ტაძრებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის ეპოქამდე. კავკასიაში აკლდამების მშენებლობას ალანამდელ პერიოდს უკავშირებენ ვ. მარკოვინი და ე. ალექსეევა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მონგოლებამდელი პერიოდის აკლდამებს აქვთ მსგავსი კონსტრუქციები და ტიპოლოგიურად არიან მსგავსნი, რაც იმას ადასტურებს, რომ მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლის გავრცელების ტერიტორიაზე თავდაპირველად ერთი ეთნიკური ერთობის ან მონათესავე ეთნოსების წარმომადგენლები მკვიდრობდნენ.

რუსი ავტორი ლ. ნეჩაევა დაკრძალვის აღნიშნულ წესს და დასაკრძალავ ნაგებობებს ალანებს უკავშირებს. კავკასიური კატაკომბური სამარხები და მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი ალანთა ეთნიკურობის ერთ-ერთ მიმანიშნებლად მიაჩნია. მისი აზრით, მონგოლებამდელი პერიოდის კატაკომბური და აკლდამური დაკრძალვა ალანთა განსახლების ტერიტორიებს ემთხვევა და თურმე ადასტურებს ალანური მრავალრიცხოვანი მოახლეობის არსებობას და საკუთრივ ალანების ეთნიკურ ერთგვაროვნებას, რომლებიც მკვიდრობდნენ ალანეთში მონგოლებამდელ პერიოდში (ნეჩაევა, 1972, გვ. 288). ამავე ავტორის მოსაზრებით ბალყარეთის ტერიტორიაზე VIII-IX სს-ის შემდეგ და XII-XIII სს. ყარაჩაიში აკლდამების ტრადიციის შეწყვეტა მომთაბარეთა მიერ (ბულგარები, ყივჩაღები, მონგოლები) ალანების გამოდევნის შედეგს წარმოადგენს. ამრიგად, დასახელებული ავტორი ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ აკლდამებს ოსური ეთნოსის კუთვნილებად აცხადებს, რომლებიც თურმე ფართოდ იყვნენ განსახლებულნი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში.

ლ. ნეჩაევას აღნიშნული შეხედულება სრული ნონსენსია. ცნობილია, რომ ოსთა წინაპრებმა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე მიგრაციის რთული და ხანგრძლივი გზა გაიარეს. შუა აზიიდან მიგრირებულნი ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ჯერ აზოვის ზღვასა და ვოლგას შორის გადაჭიმულ ვრცელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ის 70-იან წლებში ჩამოიწიეს მათ ჩრდილოეთ კავკასიის ბარსა და მთისწინა ადგილებში: «... немногочисленность комплексов V в. говорит за то, что гунны не столько отогнали в горы алан, сколько увлекли их за собой в своем движении на запад, а в горы ушло местное кавказское население» (ევრაზიის.. 1981, გვ. 83). ოსები მთებში მხოლოდ მონღოლთა შემოსევების შემდეგ შევიდნენ (თოფჩიშვილი, 1997). ცოტა უფრო ადრე, ახ. წ. IX-X სს-ში დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე განსახლდნენ, მას შემდეგ, რაც დაიპყრეს ადგილობრივ კავკასიელთა მიწა-წყალი.

ისმის კითხვა, როგორ ეკუთვნოდათ მატერიალური კულტურის ზემოთ დასახელებული ძეგლები (კატაკომბაც და აკლდამაც) ალან-ოსებს? ისინი ხომ "სტეპნიაკები" იყვნენ და ახ.წ. V ს-მდე ბინადარ ცხოვრებას არც ეწეოდნენ? კატაკომბაც და აკლდამაც ადგილობრივი კავკასიური ეთნიკური ერთობის კუთვნილებაა. მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობების მშენებლობა ჩაჩნება და ინგუშებს მოსულმა ირანულენოვანმა ოსებმა ასწავლეს? აკლდამები ხომ მთისთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ძეგლები იყო.

ლ. ნეჩაევას ზემოთ აღწერილი მოსაზრებანი სამართლიანად არ გაიზიარა ვ. მარკოვინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკლდამური ნაგებობანი არა მარტო ნაკარნახევი იყო იდეებით, არამედ მთიელთა სამშენებლო ოსტატობით. იგივე ავტორი ხაზს უსვამს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კატაკომბებისა და აკლდამების ურთიერთდაკავშირება; არ შეიძლება აკლდამა კატაკომბის განვითარების შედეგს წარმოადგენდეს, რადგან კატაკომბებს გრუნტში გამოთხრიდნენ (მარკოვინი, 1978, გვ. 123-124). «Аланские катакомбы очевидно, не

имеют отношения к происхождению склепов. Склеповые постройки возникли на Северном Кавказе задолго до появления алан, а к моменту их расселения уже прошли длительный путь развития – от примитивных сооружений до гробниц, снабженных лазом и полками». სხვა ავტორი ხაზს უსვამს: «Можно только сказать, что рассматривать предкавказские катакомбные могильники ираноязычных сармат-алан у нас нет оснований» (აბრამოვა, 1987, გვ. 177).

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოსური გადმოცემები მიწისზედა აკლდამების მშენებლობას მიაწერს სხვა ხალხს, რომელიც მათ მოსვლამდე აქ მკვიდრობდა (კოკიევი, 1928, გვ. 10, 34). მართალია, ოსები აკლდამებს (მიწისქვეშა და ნახევრადმიწისზედა) თვითონაც აშენებდნენ, მაგრამ გადმოცემებით ისიც ცნობილია, რომ ძველად მათი მშენებლობით ინგუშები იყვნენ განთქმული, როგორც შესანიშნავი ხელოსნები და იწვევდნენ კიდევაც ამ უკანასკნელთ როგორც აკლდამების, ისე საბრძოლო კომპლექსების მშენებლებად (კოკიევი, 1928, გვ. 41). ოსური გადმოცემებით, მთიანი ოსეთის ყველა ხეობაში ოსების მოსვლამდე მათთვის უცხო ხალხი ცხოვრობდა, რომელიც ძირითადად ეპიდემიის შედეგად ამოწყდა. დიგორის სოფელ გალიათში ადგილობრივთა ამოწყვეტის შემდეგ ჯერ დვალები დასახლებულან, რომლებსაც იგივე ბედი გაუზიარებიათ და მას შემდეგ დასახლებულან იქ ოსები (კოკიევი, 1928, გვ. 43). აქ საინტერესო ისიცაა, რომ ოსური გადმოცემები დვალებს ოსებად არ მიიჩნევდნენ, დვალსა და ოსს უპირისპირებდნენ ერთმანეთს. ქურთათის ხეობის მიწისზედა აკლდამების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ «Эти два типа надземных склепов, как видели выше, встречаются по всей нагорной Осетии, но, несмотря на это, на них нигде не претендуют осетины, и они являются забытыми». სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ «Многообразные памятники горного Кавказа – каменные ящики, склепы, грунтовые ямы, скальные захоронения – отнесены в «горно-кавказский вариант» той же аланской культуры, хотя они ничего общего с культурой алан не имеют» (მიზიევი, 1986, გვ. 147).

საგულისხმოა, რომ მთიან ოსეთში, ოსური გადმოცემებით, ზოგიერთი მიწისზედა აკლდამა ეკუთვნოდა ნოღაელებს, რომლებსაც ოდესღაც ოსებთან ერთად აქ უცხოვრიათ. არაერთი მიცვალებულის ნოღაელობა მათი ანთროპოლოგიური ტიპით, ჩაცმულობით და აკლდამაში არსებული ჭურჭლითაც დასტურდება. ქურთათის, თაგაურის და დიგორის ხეობებში ოსებთან ერთად ნოღაელების მკვიდრობის შესახებ გამოცემები XX ს-ის 20-იან წლებში დაუფიქსირებიათ (კოკიევი, 1928, გვ. 46, 50-56). ისიც საყურადღებოა, რომ ნოღაელებს მთიან ოსეთში შესვლამდე დღევანდელი ოსეთის ბარში უცხოვრიათ, რომლებიც ბარიდან მთაში ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ (XV ს.) გადასახლებულან. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბარიდან ნოღაელები მთაში ოსებთან ერთად მიგრირებულან XIV-XV სს. მიჯნაზე (კოკიევი, 1928, გვ. 54). მთაში შემოსახლებულმა ოსებმა (ნოღაელებთან ერთად), ყარაჩაელებმა და ბალყარელებმა ადგილობრივი აკლდამური კულტურა შეითვისეს, რადგან «... Культура склеповых сооружений - это не степная, а специфическая горная культура...» (კოკიევი, 1928, გვ. 56).

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიური მიწისზედა (და ნახევრადმიწისზედა) აკლდამები ადგილობრივი კავკასიელების შემოქმედებაა. მოსულმა არაკავკასიურმა, ირანულენოვანმა და თურქულენოვანმა ეთნიკურმა ერთეულებმა ისინი გაითავისეს, დაიწყეს რა მათში თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ დვალეთსა და დვალებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული «Обращает внимание полное отсутствие склепов по всей Центральной Осетии в Нарской котловине, Мамисонском, Зругском, Гуртикомском, Джинатском и Трусовском ущельях» (კალოევი, 1984, გვ. 95; კალოევი, 1999, გვ. 206). ოსი მეცნიერის მიერ მითითებული ეს ტერიტორიული ერთეულები, ხეობები, ისტორიული დვალეთია. ისინი ხომ დვალეთს ახლა ცენტრალურ ოსეთს უწოდებენ. ისმის კითხვა: თუ დვალეთში ოდითგანვე ოსები ცხოვრობდნენ, თუ დვალეთი ოსეთი იყო, თუ დვალელები ოსები

იყვნენ, რატომ არაა აქ მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობანი (აკლდამები), ისევე როგორც ოსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე? დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: დვალები არ იყვნენ ოსები და იმიტომაც არ იცნობდნენ მატერიალური კულტურის აღნიშნულ ძეგლებს. თქმული იმაზეც მიუთითებს, რომ ოსები დვალეთში საკმაოდ გვიან შემოსახლდნენ (როგორც დადგენილი გვაქვს ძირითადად XVI ს-ში). მათ აქ აკლდამები არ დახვედრიათ, რომ მისი გამოყენება, ათვისება მოეხდინათ, განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიის ოთხი ოსური ხეობისაგან, სადაც ოსებს აკლდამები მზამზარეულად დახვდათ და მატერიალური კულტურის აღნიშნული ძეგლების გათავისებაც მოახერხეს. ოსები რომ ყოფილიყვნენ აკლდამების შემქმნელ-შემოქმედნი, მათ არც დვალეთში მიგრაციის შემდეგ გაუჭირდებოდათ მიწისზედა აკლდამების აშენება. დვალები იყვნენ ქართველი მთიელები (ერთ-ერთი ქართველური ტომი), რომლებშიც ქრისტიანობა ღრმად იყო შესული და როგორც ყველა ქრისტიანი ქართველი ისინიც ჩვეულებრივ, მიწაში იკრძალებოდნენ.

დვალეთში მიწისზედა აკლდამების არარსებობა სხვა მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს. მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრებით დვალები იყვნენ ვაინახები, თუმცა ჯერ კიდევ VII ს-ში ქართიზებულნი (გამრეკელი, 1961). ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ამ მოსაზრების ავტორმა ბოლოს ის უარყო და დვალები ზანებად მიიჩნია. დვალეთში აკლდამების არარსებობა პირდაპირ გამორიცხავს დვალთა ვაინახობასაც, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა ჩაჩნეთსა და ინგუშეთში აკლდამები გავრცელებული იყო და ისინი საუკეთესო მშენებლებს წარმოადგენდნენ და აკლდამებს აგებდნენ არამარტო სამშობლოში, არამედ მეზობელ ოსეთშიც. უდავოა, დვალები რომ ვაინახები ყოფილიყვნენ, აკლდამების კულტურა მათშიც გავრცელებული იქნებოდა.

ზოგიერთი მეცნიერი დვალეთის ტერიტორიაზე აკლდამების არარსებობას იმით ხსნის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა XVIII ს-მდე მუდმივად გაედინებოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, საქართველოში და გვიან, XVIII ს-ის დასასრულიდან ჩრდილოეთ ოსეთის ბარში (კალოევი, 1984, გვ. 95). რა თქმა უნდა, ეს შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. მართალია, დვალები, ისევე როგორც სხვა ქართველი მთიელები მიგრირდებოდნენ საქართველოს მთიანეთის დანარჩენ მხარეებსა და ბარში, მაგრამ აქ ადგილობრივი დვალური მოსახლეობა XVI საუკუნის ბოლომდე მუდმივად იყო და ტრადიციულ ყოფით რეალიებს არსებობა არ შეუწყვეტია. ერთი რამ აშკარად ცხადია: ოსეთის მთიანეთიდან მიგრირებულმა ოსებმა დვალეთში ვეღარ დანერგეს აკლდამური კულტურა, რადგან ის მათი შემონაქმედი არ იყო. მათ უბრალოდ მთაში შემოსახლების შემდეგ დაიწყეს ძველი მოსახლეობის მიერ დატოვებული მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობების გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ხომ შენიშნულია, რომ ოსები მხოლოდ ნახევრადმიწისზედა აკლდამებს აგებდნენ და მიწისზედა აკლდამების ასაგებად ისინი ინგუშებს იწვევდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დვალეთის ზახას ხეობის ერთ-ერთ სოფელში არის დადასტურებული მიწისქვეშა და ნახევრადმიწისზედა აკლდამები, რომლებიც აქ გვიან შემოსახლებული ოსების მიერაა აგებული XVII-XVIII სს-ში.

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მიწისზედა აკლდამები მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

1) ოსეთის მთიანეთში არსებული მიწისზედა აკლდამები არ იყო ოსთა შემოქმედების შედეგი. აკლდამები ადგილობრივი კავკასიელების, ძირითადად ვაინახების და მათი მონათესავე ტომების შემონაქმედეა. XIII ს-ის შემდეგ კავკასიის ხეობებში შემოსახლებულმა “სტეპნიაკმა” ოსებმა მზამზარეულად არსებული, მათ წინ აქ მცხოვრები კავკასიური ტომების დანატოვარი აკლდამები აითვისეს. მოსულმა ეთნიკურმა ირანულენოვანმა ერთობამ ტრადიციული კულტურის აღნიშნული ელემენტი გაითავისა, მას შემდეგ რაც მოახდინა ადგილზე დარჩენილი კავკასიელების ასიმილაცია.

2) აშკარაა, რომ დვალეთი არ იყო ოდითგანვე ოსებით დასახლებული და დვალები არ იყვნენ ოსები. იმის გამო, რომ დვალები არ იცნობდნენ მატერიალური კულტურის ჩვენს მიერ

მიმოხილულ ელემენტს, აქ გვიან (XVI ს-დან) მიგრირებულმა ოსებმა მიცვალებულების დამარხვა ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით მიწაში დაიწყეს. დვლები რომ ოსები ყოფილიყვნენ, რა თქმა უნდა, მათშიც იქნებოდა აკლდამები გავრცელებული.

3) დვალეთში აკლდამების არარსებობა გამორიცხავს აგრეთვე დვლების ვაინახობას, რადგან, როგორც აღინიშნა, ჩაჩნებისა და ინგუშებისთვის მიწისზედა დასაკრძალავი აკლდამები ოდითგანვე დამახასიათებელი და ტრადიციული იყო. ვაინახები აკლდამების საუკეთესო მშენებლებად ითვლებოდნენ.

4) ყოველივე ზემოთ თქმული განამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დვლები ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო და ეთნიკურად და კულტურულ-ისტორიულად დვლები ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ.

ОБ ЭТНИЧЕСКОЙ ИСТОРИИ ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

На Центральном Кавказе до XVI века проживали двалы, которые по грузинским источникам, являлись одним из грузинских племен. Двалетия же на протяжении всей истории Грузии являлась одной из историко-этнографических провинций горной части Грузии. Некоторые осетинские историки двалов считали осетинами. Это предположение в науке аргументировано отрицается. Принадлежность двалов к осетинскому этносу исключают такие памятники материальной культуры, какими являются надземные могильники (склепы).

В четырех ущельях гор Северного Кавказа покойников, в основном, хоронили в надземных могильниках (склепах). Такие склепы также широко были распространены в Чечне и Ингушетии. Как выяснилось после завоевания монголами гор Северного Кавказа мигрировавшие сюда осетины присвоили погребальные склепы, в которые хоронили своих покойников проживающие здесь (местные) чеченцы, ингуши и их родственные племена.

На Центральном Кавказе, где раньше проживали двалы, место проживания которых с XVI века заняли расселенные здесь осетины, научно не засвидетельствованы надземные погребальные склепы. Этот факт также исключает принадлежность двалов к ираноязычным осетинам, а также к вайнахам.

ON ETHNIC HISTORY OF THE CENTRAL CAUCASUS

The Dvals were settled in the Central Caucasus until XVI century. According to the Georgian Sources they represented one of the Georgian tribes and Dvaleti was one of the historical-ethnographical provinces of Georgian mountainous part during the whole history of Georgia. Several Ossetian scientists consider Dvals as Ossetians. This opinion is argumentedly neglected in the scientific circles. The belonging of Dvals to the Ossetian ethnic world is also accepted by the data of monuments of material culture, such as burial buildings. Among the Ossetians settled is the four gorges of the Northern Caucasus' mountains, the dead were always buried in the burial buildings over the ground. Such buildings were wide-spread among Chechens and Ingushs. The overground burials were shared by Ossetians who came after Mongol conquests in the mountains of the North Caucasus, from the aboriginal Chechens, Ingushs and their relative tribes. In the central Caucasus where the Dvals were settled and which after the XVI century became the dwelling of migrant Ossetians, the scientists do not discover overground burial buildings. Thus the ethnic belonging of Dvals to the Iran lingual Ossetians and Vhainakhs is accepted.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. აბრამოვა, 1987 _ Абрамова Т. П. Подкумский могильник, м., 1987.

2. გამრეკელი, 1961 _ გამრეკელი В. Н. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961.
3. გამყრელიძე, 1998 _ გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონომების "ოსი" და "დვალა"-ს მიმართების საკითხისათვის). _ "საისტორიო ძიებანი", I, თბ., 1998.
4. ევრაზიის..., _ 1981 _ Археология СССР: Степи Евразии в эпоху средневековья, М., 1981.
5. თოფჩიშვილი, 1997 _ თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
6. თოფჩიშვილი, 1999 _ თოფჩიშვილი რ. კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის _ "ანალები", №2, 1999.
7. კალოევი, 1984 _ Калоев Б.А. Похоронные обычаи и обряды осетин в XVIII – начале XIX в. – Кавказский этнографический сборник; VIII, М., 1984.
8. კალოევი, 1999 _ Калоев Б.А. Осетинские историко-этнографические этюды, М., 1999.
9. კოკიევი, 1928 _ Кокиев Г.А. Склеповые сооружения горной Осетии (историко-этнографический очерк), Владикавказ, 1928.
10. მარკოვინი, 1978 _ Марковин В.И. О возникновении склеповых построек на Северном Кавказе. – Вопросы древней и средневековой археологии Восточной Европы. М., 1978.
11. მიზიევი, 1970 _ Мизиев И.М. Средневековые башни и склепы Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.), Нальчик, 1970.
12. მიზიევი, 1986 _ Мизиев И.М. Шаги к истокам этнической истории центрального Кавказа, Нальчик, 1986.
13. ნეჩაევა, 1972 _ Нечаева Л.Г. Осетинские погребальные склепы и этногенез осетин. – Этническая история народов Азии, М., 1972.
14. შილინგი, 1931 _ Шилинг Е. Ингуши и Чеченцы – Религиозные верования народов СССР (сборник этнографических материалов), том II, М., 1931.

ეთნიკური სიჭრელისა და მრავალენიანობის მიზეზების შესახებ დადესტანში*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის მოსახლეობა გამოირჩევა ეთნოლინგვისტური სიჭრელით. აქ მკვიდრობს ორმოცდაათამდე ეთნოსი ამდენივე დამოუკიდებელი ენით, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალთაურ (თურქულ) ენებზე. ამ ეთნიკურ და ლინგვისტურ სიჭრელს ძირითადად განაპირობებს დადესტანის მოსახლეობა. ჯერ კიდევ ძველი დროიდან დადესტანი ცნობილი იყო როგორც "მთების ქვეყანა" და "ენათა მთა" (დადესტანის..., 1955, გვ.6). მეცნიერები დადესტანში 30-მდე ენასა და 70-მდე დიალექტს ითვლიან, ისე რომ ერთი ენის ზოგიერთი დიალექტის წარმომადგენელს ერთმანეთის ენის გაგება უჭირს. ნიშანდობლივია, რომ დადესტანურ ენებში ეთნონიმი და ტოპონიმი ერთი და იგივე სიტყვით გამოიხატება. ს. ხაიდაკოვს ასეთი მაგალითები მოაქვს ლაკური ენიდან. ლაკებში ყოველი აულის სახელწოდება აღნიშნავს როგორც აულს, ისე მასში მცხოვრები ხალხის ერთობლიობას. ლაკური აულის სახელწოდება ერთდროულად ეთნონიმიურიცაა და გეოგრაფიულიც (ხაიდაკოვი, 1960, გვ. 469).

მანამ, სანამ ძირითად სათქმელზე გადავალთ, ჩამოვთვალოთ ის ძირითადი ენები, რომლებიც დადესტანურ ქვეჯგუფში შედიან: **ხუნძური ანუ ავარული ენა; ანდიური ენა** (უმწერლობო ენა, რომლზედაც დაახლ. 8 ათასი კაცი ლაპარაკობს); **დიდოური ანუ ცეზური ენა** (უმწერლობო ენა. ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლ. 7 ათასი კაცი); **დარგული ენა** (ახუმური, წუდახარული, კუბაჩური და ხაიდაკური დიალექტებით). ზოგიერთი მეცნიერი **კუბაჩურსა და**

* "გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი", №2, 2002, გვ. 10-23.

ხაიდაკურს ცალკე ენებად მიიჩნევენ. ამასთანავე, კუბაჩურად მხოლოდ ერთი სოფლის მოსახლეობა მეტყველებს. 1886 წელს კუბაჩურად 507 ოჯახი (2.232 სული) ლაპარაკობდა, ხაიდაკურად (კაიტალურად) – 2.827 კომლი (14.220 სული). შემდეგ შეიძლება დავასახელოთ **ლაკური ენა**, რომელიც რამდენიმე დიალექტს შეიცავს და რომლებიც ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავდებიან, ვიდრე სხვა ჯგუფებისა (ლაკურად 1886 წელს 6.383 ოჯახი, 29.215 სული მეტყველებდა); **ლეზგიურ** ქვეჯგუფში ორი ენაა გაერთიანებული: **ლეზგიური (კირიული ენა)** და **ტაბასარანული ენა**. (1886 წ. ლეზგიურ ანუ კირიულ ენაზე 10.168 ოჯახი, 55.233 სული ლაპარაკობდა, ტაბასარანულზე – 2.209 ოჯახი, 13.270 სული). სხვა ენებიდან შეიძლება დავასახელოთ: **არჩიული ენა** (არჩიული ენა მხოლოდ ერთ სოფელში – არჩიში არის გავრცელებული. 1886 წ. ამ ენაზე 203 კომლი, 804 სული მეტყველებდა). **აღლური ენა** (გავრცელებული იყო ექვს პატარა სოფელში (1886 წლის მონაცემებით აღლურ ენაზე 1.266 ოჯახში 6.840 სული ლაპარაკობდა. დღევანდელი მონაცემებით აღნიშნულ ენაზე 700-მდე კაცი მეტყველებს); **ახვახური ენა** (ხუნძურის ჯგუფის ენა დასავლეთ დაღესტანში. ამ ენაზე სამ სოფელში 3.800-მდე კაცი ლაპარაკობს. 1886 წლის მონაცემებით: 838 ოჯახი, 3.585 კაცი); **ბაგულალური ანუ კვანადური ენა** (მეტყველებს 3.300-მდე კაცი დასავლეთ დაღესტნის სულ ოთხ სოფელში. 1886 წელს ბაგულალურ ენაზე 398 ოჯახის 1.474 სული ლაპარაკობდა); **ბოთლიხური ანუ ღოდობერული ენა** (დასავლეთ დაღესტნის ორ სოფელში აღნიშნულ ენაზე დაახლ. 3.500 კაცი მეტყველებს. 1886 წელს – 203 ოჯახი, 887 სული); **ბუდუხური ენა** (აზერბაიჯანის შაჰ-დაღის მთებში ბუდუხურად ლაპარაკობს 2.000 კაცი); **კაპუჭური ანუ ბეიჭური ენა** (ხუნძურის ჯგუფის ამ ენაზე დასავლეთ დაღესტნის სამ სოფელში ლაპარაკობს სულ 2.500 კაცი. 1886 წელს: 44 კომლი, 2.330 სული); **კარატაული ენა** (მეტყველებენ სულ ორ სოფელში. 1886 წ. 1.897 კომლი, 7.217 სული); **კრიწული ენა** (აზერბაიჯანის შაჰ-დაღის მთებში ლაპარაკობს 500 კაცი); **რუტულური ენა** (ლეზგიურთან ახლო მდგომ ამ ენაზე სულ ორი სოფლის 700 ადამიანი მეტყველებს. 1886 წელს ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო – 2.259 ოჯახი, 11.985 სული); **წახურული ენა** (ამ ენას ფლობს 800-მდე კაცი. 1886 წ.: 912 კომლი, 5.165 კაცი); **ხინალულური ენა** (1000 კაცი). გამოყოფენ აგრეთვე **ტინდიურ** (1886 წელს – 1024 ოჯახი, 3889 სული), **ხვარშიულ** (ხუთი სოფელი. 1886 წელს – 338 კომლი, 1.406 კაცი), **ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულ, ანწუხურ ენებსა და დიალექტებს** (ჩიქობავა, 1952, გვ. 369-371; ახვლედიანი, 1972, გვ. 312-314; კავკასიის..., 1960, გვ. 22).

საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ თავის დროზე კავკასიის სხვა მხარეებზე მრავალენობრივი და მრავალენოვანი იყო. მაგალითად, ანტიკური მწერლები მიუთითებენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მრავალ ენაზე, რომელთათვისაც მაშინ ისეთივე ეთნოლინგვისტური სიჭრელე იყო დამახასიათებელი, როგორც დღევანდელი დაღესტნისათვის. პოლიეთნიკური იყო აგრეთვე ალბანეთიც. "ისტორიის მამა" ჰეროტოდე (ძვ.წ. Vს.) წერდა, რომ "კავკასიაში მკვიდრობს მრავალი სხვადასხვა ტომი". ხუთასი წლის შემდეგ იგივეს წერდა სტრაბონი, რომელიც გაოცებული იყო კავკასიის პოლიეთნიკურობით. მისი სიტყვით, მხოლოდ ქალაქ დიოსკურიაში (დღევანდელი სოხუმი) დასავლეთ კავკასიის 70-მდე ტომის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს სავაჭროდ (თ. ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 123). რაც შეეხება ალბანეთს, აქ სტრაბონით 26 სხვადასხვა ტომი და ხალხი ცხოვრობდა, რომლებსაც ყველას თავისი ენა ჰქონდა და როგორც სტრაბონი აღნიშნავს, "იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ერევიან" (ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 134). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისტორიული ალბანეთის ტერიტორია ძირითადად დაღესტნურ ენებზე მოლაპარაკე ტომებით იყო დასახლებული და დაღესტანის გარკვეული ნაწილიც ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა. ალბანელები სხვა ეთნოსების მიერ იქნენ ასიმილირებული. რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, აქ მრავალი ეთნოსისა (და ენის) შერწყმის შედეგად ბოლოს ორი-სამი ადიღური ენა მივიღეთ.

ორივე სიტყვით უნდა გავიხსენოთ ეთნოსების (და შესაბამისად ენების) განვითარების გზა. თავდაპირველად გარკვეულ რეგიონში წარმოქმნილი ენა დიალექტებად დაიშალა. ეს დიალექტები ხანგრძლივი იზოლაციის შედეგად დამოუკიდებელ ენებად გარდაიქმნენ.

შემდეგ კი ისტორიის განვითარების კვალობაზე მოხდა ენათა კვლავ გამსხვილება. ასიმილაციური პროცესების შედეგად მრავალი მონათესავე და არამონათესავე ენა (ეთნოსი) შეერია ერთმანეთს და მივიღეთ დიდი ენები. შორს რომ არ წავიდეთ, ზემოთ ნახსენები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მაგალითი უნდა გავიხსენოთ. აქ დროთა განმავლობაში მრავალი ენის შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ორი-სამი მონათესავე ენა. დაღესტანში ასეთი პროცესები არ განხორციელდა. ენობრივი მოზაიკურობა არ დაირღვა და მან დღევანდლამდე შემონახა თავი. ჩვენს წინაშე ისმის კითხვა: რატომ არსებობს დაღესტანში მრავალი ენა და ეთნოსი? რატომ არ მოხდა ამ ენათა შერევა და ეთნოსთა ასიმილაცია? სხვათაშორის, ამ საკითხს ნ. ბერძენიშვილიც შეეხო, რომელმაც აღნიშნა, რომ გარკვეული მიზეზებით მონათესაობის პრინციპიდან გამომდინარე ეთნოსების (და ენების) შერევა არ ხდება. ის კერძოდ წერდა: "დაღესტანში ორი სოფლის ერთიმეორესთან შერწყმა (მონათესავე ენების მქონე სოფლის) არ ხდებოდა და საუკუნეთა მანძილზე განაგრძობენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. ამავე დროს ძველი საინგილო (ასეთივე "დაღესტნური") ერთიანად გაქართულდა. ჰერეთთან ერთად, რაღა შუაშია მონათესავეობის მომენტი?" (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 410).

სხვადასხვა ხალხების და მათი ენების შერევა-ასიმილაციის ხელისშემშლელ არაერთ ფაქტორზე მიუთითებენ მეცნიერებაში. პირველყოვლისა ასახელებენ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. დიდი მთები, ხეობები, განიერი მდინარეები, უდაბნოები... ხელს უშლიდნენ ორი და რამდენიმე ხალხის (ეთნოსის) ეთნიკურ და ენობრივ კონტაქტებს. იქ, სადაც ასეთი ხელისშემშლელი პირობები არ იყო ისტორიულად ორი ეთნოსის საკონტაქტო ზონაში ყოველთვის გვექონდა შერეული მოსახლეობა, რაც ხშირად ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის ასიმილაციას იწვევდა.

დაღესტანში ეთნოსების და ენების მრავალრიცხოვნების მიზეზების შესახებ ასახელებდნენ მეურნეობის ფორმასაც. მხედველობაში აქვთ ნატურალური მეურნეობის შემონახულობა და გადარეკვითი მეცხოველეობის არარსებობა. თავისთავად, ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, ეს მომენტი ერთგვარად მხედველობაშია მისაღები, მაგრამ არაა გადამწყვეტი და წამყვანი. მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში მეურნეობის მსგავსი ფორმების არსებობის პირობებში მაინც მოხდა წვრილ-წვრილი ეთნოსებისა და ენების გამსხვილება (ისევ და ისევ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ). ამასთანავე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის სხვა მხარეებში (მაგალითად, ცენტრალურ კავკასიაში) რელიეფი უფრო რთულია, ვიდრე დაღესტანში.

დაღესტანში ეთნიკური სიჭრელე და მრავალენიანობა მიზეზთა კომპლექსის შედეგია, რომელთაგანაც მთავარი არის სოციალურ ურთიერთობათა ის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც აქ არსებობდა და, პირველ რიგში, ქორწინების წესი. ცნობილია, რომ მსოფლიოში ქორწინების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: ეგზოგამიური და ენდოგამიური. ეგზოგამიური ქორწინების დროს ქორწინება აკრძალულია ერთი და იმავე გვარის ან თემის შიგნით. ენდოგამიური ქორწინების დროს ქორწინება დასაშვებია ერთი და იმავე ტერიტორიული, სოციალური, საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებს შორის. ეგზოგამიური ქორწინების დროს თუ აკრძალულია ქორწინება სანათესაო წრის შიგნით, ენდოგამიური ქორწინებისას კი პირიქით, ქორწინება იკრძალება სანათესაო წრის გარეთ.

მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ეგზოგამიურ ქორწინებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ეთნიკური ერთობების ჩამოყალიბებაში, არამედ ნეანდერტალელი ტიპის ადამიანისაგან Homo Sapiens-ზე გადასვლაში. ბიოლოგიური თვალსაზრისით საქორწინო ურთიერთობების გამორიცხვამ სისხლით მონათესავეთა შორის მიგვიყვანა ადამიანის ფიზიკური ტიპის გაუმჯობესებასთან. ანთროპოლოგთა უმეტესობის აზრით, ადამიანთა განვითარებაში ხარისხობრივად ახალი სტადია განპირობებული იყო ძველი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ძლიერი შერევით, რაც ხშირი საქორწინო კონტაქტების შედეგად ხორციელდებოდა (გენინგი, 1970, გვ. 35-36). მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეთნიკური ერთობები ფორმირდებიან გვარის (სისხლით მონათესავე ჯგუფების) წარმოქმნასთან ერთად.

გვიანი პალეოლითის ეპოქაში ახალი საწარმოო საშუალებების გაჩენამ მიგვიყვანა საქორწინო ურთიერთობების აკრძალვამდე ერთი სამეურნეო უჯრედის შიგნით, რამაც ახალი სოციალ-ეკონომიკური უჯრედის გვარის წარმოქმნა გამოიწვია, რომელშიც მტკიცე, ერთ სამეურნეო კოლექტივად გაერთიანებული იყვნენ უახლოესი სისხლით მონათესავე კოლექტივები (გვარები). ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ არამარტო სოციალური, სამეურნეო, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც. ორი და მეტი გვარის ასეთი გაერთიანება უკვე გვამღევს ტომს, რომელიც ეთნიკური ერთობის პირველი საფეხური იყო. თითოეულ ტომს კი თავისი სამეტყველო ენა (თუ დიალექტი) ჰქონდა. ასეთი ეთნიკური ერთეულები (ტომები) ენდოგამიურნი იყვნენ. ქორწინება ხდებოდა ტომის, ეთნიკური კოლექტივის შიგნით. ტომის ენდოგამიურობის დარღვევის შემთხვევაში მისი ეთნიკური ტრანსფორმაცია გარდუვალა იყო. ისტორიაში ცნობილია არაერთი ფაქტი, როდესაც ერთი ეთნოსის მეორეში შერევა, ახალი ეთნოსების ჩამოყალიბება ხდება სწორედ მაშინ, როდესაც ეთნოსის ენდოგამიურობა ირღვევა, როდესაც ორი მეზობლად მცხოვრები ანდა შემხვედრი ეთნოსი ერთმანეთთან საქორწინო ურთიერთობაში შედის (ბრომლეი, 1969). მართალია, ორი ეთნოსის შეხვედრის ადგილას ასიმილაციური პროცესებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაოდენობრივ ფაქტორს, მაგრამ შეიძლება მრავალრიცხოვან ეთნოსს ვერ მოეხდინა მცირერიცხოვანი ეთნოსის ასიმილაცია, თუ ეს ეთნოსები ენდოგამიურნი იყვნენ, თუ საქორწინო ურთიერთობით არ შეერეოდნენ ერთმანეთს, თუ ქორწინება მხოლოდ თავისი ეთნოსის შიგნით ჰქონდათ. ეთნიკური ტრადიციების შენარჩუნებისათვის ენდოგამია აუცილებლად მიაჩნდა ლ. გუმილიოვს, რადგან ენდოგამიური ოჯახი ბავშვებს გადასცემს ქცევის გამომუშავებულ, ტრადიციულ სტერეოტიპებს, ეგზოგამიური ოჯახი კი გადასცემს მათ ორ სტერეოტიპს, რომლებიც ერთმანეთს მუდმივად ახშობენ (გუმილიოვი, 1989წ, გვ. 89-90).

ქორწინების ფორმას მიაწერენ არქეოლოგიური კულტურების ერთიდან მეორეში გადატანას. როდესაც ორი მონათესავე (თუ არამონათესავე) ტომი ერთმანეთთან ეგზოგამიურ ქორწინებაში იყო არა მარტო ენობრივი ელემენტის გადატანა ხდებოდა ერთი ტომიდან (ეთნოსიდან) მეორე ტომში (ეთნოსში), არამედ კულტურის ამა თუ იმ ელემენტისაც. მსგავსი კულტურების ამ გზით გავრცელება უფრო მისაღებად მიაჩნიათ, ვიდრე სესხება (ბრიუსოვი, 1956).

გვიან პერიოდში ქორწინების ამა თუ იმ ფორმას ხშირად განაპირობებდა რელიგიაც, განსაკუთრებით დიდი, მონოთეისტური რელიგიები გვაქვს მხედველობაში. აღნიშნულმა მონოთეისტურმა რელიგიებმა ბევრად განსაზღვრეს დღევანდელი მსოფლიოს ენობრივი და ეთნიკური სახე. თურქული ეთნოსის არაენდოგამიურობამ ხელი შეუწყო არაერთი სხვადასხვა ეთნოსის თურქულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში შესვლას. თურქთათვის მთავარი იყო რელიგიური და არა ეთნიკური ფაქტორი. ქორწინების წესმა დაიცვა ხორვატები სერბთა ასიმილაციისაგან. კონფესიური სხვაობის გამო, ხორვატები და სერბები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ, შესაბამისად ერთმანეთს არ ერეოდნენ. ენდოგამიური ხორვატული ეთნოსი ეგზოგამიური გვარებისაგან შედგებოდა. საქორწინო ურთიერთობა ამ ეგზოგამიურ გვარებს შორის ხორციელდებოდა. საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ XII ს-ის ხორვატიაში გვარი მნიშვნელოვანი სოციალური ერთეული იყო (ჩემკო, 1989, გვ. 141).

ისევ იუგოსლავიის მაგალითი უნდა მოვიყვანო. ცნობილია, რომ უცხოეთნიკურ და ენობრივ გარემოში მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთეულები ადვილად ასიმილირდებიან. მაგრამ ყოველთვის ასე არაა. იუგოსლავიაში არიან ცალკეული ჯგუფები, რომლებმაც ასწლეულების განმავლობაში, უცხო ეთნიკურ გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად, შეინარჩუნეს თავიანთი ნაციონალური თვითშეგნება და ენა. ასე მაგალითად, 1657 წელს ჩერნოგორიელთა 50-მდე ოჯახი გადასახლდა პეროში (სოფელ ისტრიაში ქ. პულის სიახლოვეს). გადასახლებულები აღმოჩნდნენ ისტრელი სლავებისა და ნაწილობრივ იტალიელების სრულიად უცხო გარემოში, როგორც ენობრივი, ისე რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით წარსულში, განსაკუთრებით იტალიაში აბსოლუტური

ხელისუფლების დროს, არაერთგზის ცდილობდნენ მათ ასიმილაციას. პეროანელებს არ ჰქონდათ სკოლა მშობლიურ ენაზე, მაგრამ მათ შეინარჩუნეს ეთნიკური და ენობრივი თავისთავადობა, მართლმადიდებლური სარწმუნოება, წეს-ჩვეულებები მხოლოდ და მხოლოდ ენდოგამიური ქორწინების საფუძველზე. ისინი ქორწინდებოდნენ მხოლოდ თავისი ეთნიკური ჯგუფის შიგნით. ამასთანავე, რომ არ გასულიყვნენ საქორწინო ურთიერთობის დასამყარებლად თავისი ჯგუფის გარეთ, ხშირად სისხლით ნათესავებიც კი ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე (ბარიაკტაროვიჩი, 1974, გვ. 52). კათოლიკობის მიღების შემთხვევაში კი მიგრანტი ჩერნოგორიელები შევიდოდნენ საქორწინო ურთიერთობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან და ისინი უკვე დიდი ხნის ასიმილირებული იქნებოდნენ. მაშასადამე, ენდოგამია განაპირობებს ეთნიკური ჯგუფის და მისი ენის შემონახულობას.

საქორწინო წეს-ჩვეულების (ურთიერთობის) გამო სრემელი ალბანელები შეერივნენ ადგილობრივ სლავურ მოსახლეობას და, პირველ რიგში კათოლიკე ხორვატებს, რადგან ტომში დაკანონებული ტრადიციის მიხედვით, მათში ენდოგამია აკრძალული იყო. ალბანელებში ეგზოგამიის ჩვეულება უფრო შორს იყო წასული. აქ გვქონდა არა ეგზოგამიური გვარი, არამედ ეგზოგამიური ტომი. ალბანელები არასდროს არ ქორწინდებოდნენ თავისი ტომის შიგნით. უფრო მეტიც, ყველაზე დიდი ალბანური ტომის – მიდრიტას წარმომადგენლები არ ქორწინდებოდნენ შალის და შოშის ტომების ადამიანებზე, რადგან, გადმოცემით, ამ სამი ტომის საფუძვლისჩამყრელი იყო სამი ძმა.

ამრიგად, ეთნიკური ერთობის მდგრადობის მძლავრი განმაპირობებელი ფაქტორი იყო მის ენდოგამიურობა, ე.ი. საქორწინო ურთიერთობის დამყარება ერთობის (ამ შემთხვევაში ეთნიკური ერთობის) შიგნით. ენდოგამიურობა დამახასიათებელი მოვლენა იყო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ტიპის ეთნოსებისათვის. საყურადღებოა, რომ ძველ ათენში პერიკლეს დროს (ძვ.წ. Vს.) კანონით აკრძალა ქორწინება "ბარბაროსებთან", ე.ი. სხვა ხალხებთან. თანამედროვე პირობებში შენიშნულია, რომ ეთნოსები ჩვეულებრივ უკიდურეს შემთხვევაში 90%-ით ენდოგამიურები არიან. ეთნოსის ენდოგამიურობის დარღვევა თუ აცდა 10-15%-ს, მაშინ მისი დეზინტეგრაციული მოვლენა მოქმედებას იწყებს და ენდოგამიურობის მნიშვნელოვნად დარღვევის შემთხვევაში ეთნოსის მოდიფიკაცია ანდა სრული გაქრობა გარდაუვალია (ბრომლეი, 1969). საერთოდ, ცნობილია, რომ შერეული ქორწინებანი წარმოდგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს ახლი ეთნოსის შექმნისა ორი ან მეტი ეთნიკური ერთობის სინთეზის საფუძველზე. ახალი ეთნიკური ერთობების ფორმირებაში ენდოგამიის გარღვევის როლი კარგად ჩანს ადრემუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის მაგალითზე. დასავლეთ ევროპის ხალხების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი იყო VII-VIII სს-ში ყველა ბარბაროსულ სამეფოში შერეული ქორწინების აკრძალვის გაუქმება (კორსუნსკი, 1968, გვ. 128). ამრიგად, ეჭვი არაა, რომ სწორედ ქორწინება წარმოადგენს ყველაზე რადიკალურ გზას ამა თუ იმ ეთნოსში უცხო ელემენტების შესვლისა. ეთნოსის ენდოგამიურობა, საქორწინო წრის ჩაკეტილობა უზრუნველყოფს ერთგვაროვანი ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობის შენარჩუნებას.

დავუბრუნდეთ ისევ დალესტანს. დალესტანის წვრილ-წვრილი ეთნოსები ენდოგამიურნი იყვნენ. ამასთანავე, დალესტანში, კავკასიის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, არ გვქონდა გვარი და შესაბამისად არც გვარის (სანათესაო წრის) ეგზოგამიურობა არსებობდა. კავკასიის ყველა ხალხში არსებობდა ისეთი სოციალური ერთეული, როგორცაა გვარი. გვარი ჩვეულებრივ აქ გაიაზრებოდა, როგორც ერთი პიროვნების (წინაპრის) შთამომავალთა ერთობლიობა. გვარის წევრების ერთმანეთზე დაქორწინება გამოირიცხებოდა. არამარტო გვარი, არამედ სოფელიც კავკასიაში ეგზოგამიური იყო. ტრადიციის დამრღვევი, სისხლის შემრყენელი კავკასიის სხვადასხვა ხალხებში სასტიკად ისჯებოდა. ყაბარდოში გვარი ("ლეპკ") მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ არამარტო საერთო წარმომავლობით, არამედ სამეურნეო, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური კავშირებით (პერშიცი, 1951, გვ. 177). "ლეპკის" წევრების ერთობის

დამახასიათებელი ნიშანი იყო საგვარეულო ეგზოგამია, რომელიც ძველი გვაროვნული ეგზოგამიიდან მიღებულ ტრადიციულ წესს წარმოადგენდა. არავის არ ჰქონდა უფლება დაქორწინებულიყო თავის მოგვარეზე. ეთნოგრაფიული მონაცემებით ყაბარდოში არ დასტურდება საგვარო ეგზოგამიის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. ამ ჩვეულების დარღვევის შემთხვევაში გარდაუვალი იყო ქვეყნიდან გაძევება და სიკვდილიც კი (პერშიცი, 1951, გვ. 178; კავკასიის..., 1960, გვ. 178). მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოში და ჩერქეზეთში ისლამი ნებას რთავდა სხვა რიგის საქორწინო ურთიერთობებს (მრავალცოლიანობა, ნათესავების ერთმანეთზე დაქორწინება და სხვ.), ბოლო დრომდე ტრადიციულს ენიჭებოდა უპირატესობა. ისლამმა ვერ მოსპო აქ გვარი და საგვარო ეგზოგამია. ყაბარდოში (ჩერქეზეთში) გვარის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ისიც, რომ აქ ყველა გვარს სოფლის სასაფლაოზე თავისი უბანი ჰქონდა. ყაბარდოში გამოყოფენ მეორე რიგის გვარებსაც, როდესაც ერთი ძირი-გვარიდან რამდენიმე ახალი გვარია წარმოქმნილი. ამ შემთხვევაშიც დაცული იყო მკაცრი ეგზოგამია ადრინდელი გვარის წარმომადგენლებთან.

გვქონდა გვარი ("მიგაგ") ოსეთშიც, რომლის წევრებიც აგრეთვე ერთი წინაპრისაგან მომდინარედ თვლიდნენ თავს. ოსებში მკაცრად იცავდნენ ეგზოგამიას. ქორწინება მოგვარეზე, თუნდაც ნათესაობა ძალიან დაშორებული ყოფილიყო, გამოირიცხებოდა (კავკასიის..., 1960, გვ. 329; გაგლოითი, 1974, გვ. 18-19, 90).

ასეთივე საქორწინო ურთიერთობა არსებობდა ჩეჩნეთში და ინგუშეთში. აქაც მოგვარეების დაქორწინება გამოირიცხებოდა. აქ იკრძალებოდა ქორწინება არა მარტო სისხლიერ ნათესავებს შორის, არამედ არასისხლიერ ნათესავებს შორისაც (კავკასიის..., 1960, გვ. 360, 384, 385). ამასთანავე, კავკასიის ყველა ხალხში ეგზოგამიური იყო არა მარტო გვარი, არამედ სოფელი. სოფელში მცხოვრებ სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ერთმანეთზე დაქორწინების უფლება. პიროვნებას საქორწინო პარტნიორი სხვა გვარში, სხვა სოფელში (ტერიტორიულ ერთეულში) უნდა მოეძებნა. ყოველივე ამან კი გამოიწვია თავის დროზე აქ არსებული ეთნიკური და ენობრივი მოზაიკურობის გაქრობა. გარკვეული სოფელი თუ ხეობა არ ჩაიკეტა, პირიქით, მისმა გახსნილობამ, სხვა სოციუმის, სხვა ტერიტორიული ერთეულის წევრობამ საქორწინო ურთიერთობაში მოხსნა ენობრივი და ეთნიკური ბარიერები და მსხვილი ეთნიკური და ენობრივი ჯგუფების წარმოქმნამდე მიგვიყვანა, მიუხედავად ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით არახელსაყრელი პირობების არსებობისა. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამდენადაც ენა წარმოადგენს ურთიერთობის საშუალებას, უდამწერლობო ეთნოსები მას ადვილად და ხშირად იცვლიან (გუმბელი, 1989, გვ. 76).

საერთო კავკასიური წეს-ჩვეულებებისაგან ერთგვარად ცალკე დგას დაღესტნური საქორწინო ურთიერთობანი. დაღესტანში გვარი საერთოდ არ გვქონდა და შესაბამისად არც ეგზოგამიურ ქორწინებას იცნობდნენ. ქორწინება გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში (სოფელში) იყო ენდოგამიური. ის ხორციელდებოდა სანათესაო ჯგუფის (თოხუმის) შიგნით. დაღესტნის თითქმის ყველა ხალხში ქორწინება ახლო ნათესავებს შორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. დაღესტნის ყველა ეთნოლინგვისტურ ერთეულში ქორწინება მხოლოდ ღვიძლ და-ძმას შორის იკრძალებოდა. დაღესტნის ყველა ეთნოსში ქორწინების ენდოგამიურობის შესახებ მითითებულია სათანადო ლიტერატურაში (კავკასიის..., 1960, გვ. 451, 514, 533). აღნიშნულია, რომ ალულებში თოხუმურმა ენდოგამიამ უარყოფითად იმოქმედა მათი ცხოვრების ყველა წესზე, რამაც გამოიწვია თოხუმების იზოლაცია, არ ხდებოდა მათი შემჭიდროება, დაკონსერვებული იყო ალუღური ენის ცალკეული დიალექტები და კილოკავები.

გვინდა მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც ლინგვისტმა ალ. მაგომეტოვმა ჩაგვაწერინა, რომელიც დაღესტნის სოფელ კუბაჩიდანაა. კუბაჩელები მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ კუბაჩურ ენაზე მეტყველებდნენ. მისი ბავშვობის დროს, XXს-ის 20-იან წლებში კუბაჩში ერთი ასეთი შემთხვევა მომხდარა. ახალგაზრდა კუბაჩელი ქალი, რომელიც თავის თანასოფელზე და ნათესავზე იყო გათხოვილი, დაქვრივებულა. ქვრივს რომანი

გაუბამს მეზობელი სოფლის, ამუზგის (დარგუელების სოფელი) მკვიდრ ახალგაზრდა კაცთან, რომელმაც მალე იგი ცოლად შეირთო, რამაც კუბაჩში დიდი მღელვარება გამოიწვია. ფეხზე დამდგარა ყველა კუბაჩელი მამაკაცი, რომლებიც შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი მეზობელი სოფლისაკენ გაემართნენ საბრძოლველად, რადგან არ ყოფილა კუბაჩში და მეზობელ სოფელშიც ოდესმე შემთხვევა ერთმანეთზე დაქორწინებისა; არასდროს კუბაჩიდან ქალი სხვაგან არსად არ გათხოვილა. ტრადიციის დამრღვევნი მკაცრად უნდა დაესაჯათ. შეჯახებისაგან ეს ორი სოფელი უხუცესებმა იხსნეს, რომლებმაც ქალი ქმარს წაგვარეს და თავის სოფელს დაუბრუნეს. სხვათაგან შორის, დარგუელებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დიდ და მცირე სანათესაო წრეებს – "თოხუმსა" და "ჟინსს". "ჟინსის" წევრებს შორის ქორწინებას უპირატესობა ენიჭებოდა, "თოხუმის" წევრებს შორის ქორწინებასთან. აქ როგორც "ჟინსი", ისე "თოხუმი" ენდოგამიური იყო. საპატარძლოსადმი მთავარი მოთხოვნა "სისხლის სისუფთავე" იყო. "სისხლის სისუფთავეში" კი იგულისხმებოდა წყვილის ერთსა და იმავე სანათესაო ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა, ანუ საპატარძლო და საქმრო აუცილებლად ერთი "ჟინსისა" ან ერთი "თოხუმის" წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ, დაუშვებელი იყო ქორწინება სხვა სოფლის მკვიდრებთან (ნიკოლსკაია, 1952, გვ. 25-26).

დაღესტნის ეთნოგრაფიულ ყოფაში ქორწინების ენდოგამიურობა ტაბასარანელებში ყოფილა დარღვეული. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ტაბასარანელები სამონათესაო ჯგუფში ქორწინებას არ იწონებდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ ქორწინებას მეზობელი სოფლის გოგონებთან (თუმცა მაინც იყო ქორწინება ბიძაშვილებს შორის). ამდენად, ტაბასარანელების ლეზგიანებთან მრავალრიცხოვანმა ქორწინებებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა მათ ენობრივ სიტუაციაზე. მხედველობაში გვაქვს ტაბასარანელებში ლეზგიური ენის გავრცელება და ორენოვანება.

შეიძლება ვინმემ ბუნებრივი კითხვა დასვას: ხომ არ იყო დაღესტნის ხალხებში ეგზოგამიურობის არარსებობა და ენდოგამიური ქორწინება ისლამის მიერ დანერგილი? ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ჯერ ერთი, ქორწინების ტრადიციული ფორმა – ეგზოგამიური ქორწინება ისლამმა ვერ მოსპო კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხებში. მეორე, სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატუაცი (Xს.) ცნობით, ენდოგამია დამახასიათებელი მოვლენა იყო ალბანელებისა და დაღესტნელებისათვის. ეს ავტორი მოგვითხრობს ქრისტიანული ეკლესიის ბრძოლის შესახებ VIII ს. I ნახევარში აღნიშნულ ქვეყნებში ნათესავებს შორის ქორწინების წინააღმდეგ (კალანკატუაცი, 1861, გვ. 255, 256, 281, 282; დავლიანიძე, 1985, გვ. 150, 168, 169). დაღესტნელებში, კერძოდ დიდოელებში სანათესაო წრის, ე.ი. გვარის არარსებობა შენიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატიონსაც. ის წერდა: "... არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა" (ვახუშტი, 1973, გვ. 553).

ამრიგად, დაღესტანში მრავალენიანობა და ეთნიკური სიჭრელე განპირობებული იყო ქორწინების თავისებური წესით, ენდოგამიურობით, გვარის არარსებობით. საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის შეურევლობა აკონსერვებდა არსებულ ვითარებს, ხელს უწყობდა სხვადასხვა დიალექტების დამოუკიდებელ ენებად ქცევას. დაღესტნის გარეთ, კავკასიის სხვა ქვეყნებში ეგზოგამიამ გამოიწვია წვრილ ეთნიკურ ერთეულებს შორის საზღვრების წაშლა, ენდოგამიამ კი დაღესტანში წვრილი ეთნიკური ერთეულების და მათი ენების შემონახულობამდე მიგვიყვანა.

აღნიშნული პრობლემის შესახებ რამდენიმე წლის განმავლობაში ვფიქრობდი და მისი წერილობითი გაფორმება მას შემდეგ მოხდა, როდესაც სრულიად შემთხვევით გავეცანი ეთნოგრაფიაში ლ. ლავროვის ორგვერდიან წერილს, დაბეჭდილს 1951 წლის "სოვეტსკაია ეტნოგრაფიაში", რომელიც არსად, არცერთ ავტორთან დამოწმებული არაა, განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს ი. ბრომლის წერილი "ეთნოსი და ენდოგამია" და ამ წერილის ირგვლივ დაბეჭდილი ვრცელი დისკუსიის მასალები. ჩვენი დასკვნა ლ. ლავროვის დასკვნის ანალოგიურია. ლ. ლავროვიც დაღესტანში მრავალენიანობის მიზეზად ენდოგამიას ასახელებს, თუმცა არაფერს აღნიშნავს იმის შესახებ, რომ დაღესტნური ენდოგამია

გამოწვეული იყო აქ გვარის და შესაბამისად საგვარო ეგზოგამიის არარსებობით. ამასთანავე, როგორც ჩანს, მან ხარკი მოუხადა იმ დროს, როდესაც მოღვაწეობდა და მთავარ ფაქტორად მაინც ეკონომიკური მიიჩნია (ლავროვი, 1951, გვ. 103). ჩვენი აზრით, დაღესტანში ეთნიკური სიჭრელისა და მრავალენიანობის მიზეზი ენდოგამიასთან ერთად არის მთის გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო. ველის პირობებში, ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით, ალბათ ტერიტორიული ერთეულის (სოფლის) ენდოგამიურობა გადამწყვეტი არ აღმოჩნდებოდა და ეთნოსთა და ენათა გამსხვილება მაინც მოხდებოდა. ამავე დროს გასათვალისწინებელია რელიგიური ფაქტორიც, როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი. აქ თავის დროზე ვერ გავრცელდა ქრისტიანობა რომელიმე ერთი საღვთისმსახურო ენით. ამ რელიგიის მაკონსოლიდირებელი როლი კი საყოველთაოდ ცნობილია.

დასასრულს, გასაზიარებლად მიგვაჩნია გამოთქმული შეხედულება, რომ ენდოგამია აუცილებელი ელემენტიაგანია როგორც მცირე, ისე დიდი ეთნოსისა. ენდოგამია უზრუნველყოფს ოჯახის ეთნიკურ ერთგვაროვნებას, რადგან სწორედ ოჯახის საშუალებით გადაეცემა ეთნოსის უპირველესი ნიშანი – ენა, ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციული კულტურა. ენდოგამია ეთნოსისათვის გენეტიკური ბარიერის შემქმნელია. ამიტომ მეცნიერულია შეხედულება, როდესაც ენდოგამიას ეთნოსის ერთ-ერთ ნიშნად ასახელებენ (ბრომლეი, 1969).

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, 1972 – ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1972.
2. ვახუშტი, 1773 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება”, ტ. VI, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973.
3. ბარიაკტაროვიჩი, 1974 – М. Баряктарович, К вопросу об изменении этнического самосознания (на материалах Югославии), СЭ, №2, 1974.
4. ბერძენიშვილი, 1990 – ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
5. ბრიუსოვი, 1956 – А.Я. Брюсов, Археологические культуры и этнические общности. – «Советская археология», XXVI, 1956.
6. ბრომლეი, 1960 – Ю.В. Бромлей, Этнос и эндогамия, - «Советская этнография», №6, 1960.
7. გაგლოითი, 1974 – З.Д. Гаглойти, Очерки по этнографии Осетии, Тб., 1974.
8. გენინგი, 1970 – В.Ф. Генинг, Этнический процесс в первобытности, Свердловск, 1970.
9. გუმილიოვი, 1989 – Л.Н. Гумилев, Хуны в Азии и Европе. – «Вопросы истории», №6, 1989.
10. დავლიანიძე, 1985 – მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
11. დაღესტნის..., 1955 – Народы Дагестана, сборник статей, М., 1955.
12. კავკასიის..., 1960 – Народы Кавказа, М., 1960.
13. კალანკატუაცი, 1861 – Мойсей Каганкатвацци, История агван, СПб, 1861.
14. ლავროვი, 1951 – Л.И. Лавров, О причинах многоязичия в Дагестане, СЭ, №2, 1951.
15. ნიკოლსკაია, 1952 – З.А. Никольская, Этническое описание Даргинского Кавказа. – Вопросы Этнографии Кавказа, Тб., 1952.
16. პერშიცი, 1951 – А.И. Першиц, Фамилия – льепкъ у кабардинцев в XIX веке, - СЭ, №1, 1951.
17. ყაუხჩიშვილი, 1956 – თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.
18. ჩემკო, 1989 – Е.В. Чешко, История Болгарского языка и этническое самосознание болгар в XII-XIV вв. – «Развитие этнического самосознания славянских народов в эпоху зрелого феодализма, М., 1989.
19. ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ქართულ-ოსური ენობრივ-ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ოსებში*

კავკასია ენობრივ-ეთნიკური სიჭრელის კლასიკური გეოგრაფიული რეგიონია. ადგილობრივი იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენებს გარდა აქ ვხვდებით სხვადასხვა ენობრივი სამყაროს წარმომადგენლებს. ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე სომხებს გარდა, კავკასიაში მკვიდრობენ თურქულ ენებზე მოლაპარაკენი. აქვე გვხვდება ირანულ ენათა ჯგუფის ოსური ენის მატარებელი მოსახლეობაც.

საქართველოში დასახლებამდე ქართველ ხალხს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებთან. ეს ურთიერთობა ხან მტრული და ხანაც მეგობრული იყო.

XIII-XIV საუკუნეებიდან ოსები გვევლინებიან ქართველთა უშუალო მეზობლებად.

XIV ს-ში ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა საქართველოს შიდა ქართლის მხარეში დასახლება. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონღოლთა ეს ფაქტობრივად საპოლიციო რაზმები, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე გიორგი V ბრწყინვალეს (1314-1346) მიერ განადგურებული და გაძევებულ იქნენ საქართველოდან. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრისკარი) და კარგა ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია.

კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – დვალეთში, ოსების შემოსახლება კანტიკუნტად იწყება XV ს-ის ბოლოს. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველური ტომის – დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივ ცვლილებას, ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (1859 წლამდე).

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მალრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის შუა ხანებში განხორციელდა. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი ბარში იყო საცხოვრებლად წასული.

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების: დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწვევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახლებული ორი ხეობის მთიან ნაწილს მთლიანად. აქ, დასახლებულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად ცხოვრობდნენ. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში.

* “ქართველური მემკვიდრეობა”, VIII, 2004, გვ.109-119

XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდ. ჯეჯორის სათავე) – გუფთა (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) – აწერისხევის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) – მუჯადას ხეობის სათავეში ორი სოფელი – ჟამური (ქსნის ხეობაში) – ღუდა (მდ. თეთრი არაგვის სათავე) – თრუსო (მდ. თერგის სათავე). XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში.

XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში.

XIX ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში (საბჭოთა პერიოდის ზნაურის რაიონი), მუჯადას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ოსთა ეთნიკური ერთეულით, ძირითადად განხორციელდა XIX ს-ის შუა ხანებიდან 1880-იან წლებამდე.

XIX ს-ის 30-იანი წლებიდან ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX ს-ის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX ს-ის II ნახევარში დასახლდნენ ოსები გუჯარეთის ხეობაში (ბორჯომის რაიონი). კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX ს-ის დასაწყისში გადასახლდნენ.

XVIII ს. იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფიული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასახლებლად, ისევე როგორც სომხებს, ელის თათრებს, ბერძნებს...

XVIII ს-ის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.180 კომლი (15.000-მდე სული) ოსი ცხოვრობდა. თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, 1979 წელს ბუნებრივი მატების შედეგად საქართველოში ოსთა რაოდენობამ 160 ათასს მიაღწია.

საქართველომ 1918-1921 წლებში დროებით რუსეთისაგან კოლონიური უღელი გადაიგდო და სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. ამ პერიოდში დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო ბოლშევიკური რუსეთისაგან ინსპირირებული ოსური სეპარატისტული მოძრაობა. ამის სანაცვლოდ საქართველოში კომუნისტური დიქტატურის დამყარებისა და საქართველოს ისევ რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ოსებს საქართველოს ძირითადი პროვინციის – შიდა ქართლის ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნა, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსთა ტერიტორიული ერთეულისაგან გასამიჯნავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ეწოდა. ამ ავტონომიური ოლქის ცენტად გამოაცხადეს ქალაქი ცხინვალი, რომელშიც იმ დროისათვის თითქმის არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა. ცხინვალში მხოლოდ ქართველები, ქართულენოვანი სომხები და ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ, რომელთა არა მარტო საურთიერთო, არამედ დედაენა მხოლოდ ქართული იყო. ამავე დროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში მოაქციეს კომპაქტურად დასახლებული ქართული სოფლებიც. ამ გარემოებამ სხვათაშორის, თავის დროზე ქართული სოფლების მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია და ამ პროტესტის ძირითადი მიზეზი ენობრივი მომენტი იყო. მაგალითად, სოფ. ნედლათის მცხოვრებნი წერდნენ, რომ "ჩვენ ნედლათის მცხოვრებნი მიწერილი ვიყავით ოქონას. დღეს ოქონა სამხრეთ ოსეთს დაექვემდებარა და ჩვენც მძიმე პირობებში ჩავცვივდით, სხვათაშორის იმიტომაც, რომ წარმოება რუსულად და ოსურადაა, რაიც ჩვენთვის გაუგებარია". სოფ. მარწემის მკვიდრი ქართველები წერდნენ: "რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეული ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მითუმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო. მხოლოდ რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა (იგულისხმება

ცხინვალის რაიონი – რ.თ.), მცირე გამონაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზედ მოსაუბრე, მემკვიდრე ქართველებით".

საარქივო მასალებით აშკარაა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის პასუხისმგებელი მუშაკები იმ დროიდანვე უწყობდნენ ხელს რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას სახელმწიფო ენის – ქართული ენის ხარჯზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისთანავე, ოსური ეთნიკური ერთეულის ძირითადი ნაწილი ავტონომიური ოლქის გარეთ მკვიდრობდა. 1989 წლის აღწერით საქართველოში სულ 164 ათასი ოსი მოსახლეობდა, რაც მთელი მოსახლეობის 3%-ს შეადგენდა. მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ოსთა რაოდენობა 65 ათასი იყო (ოლქში მცხოვრებთა 66%). ოსური ეთნიკური ერთეულის დანარჩენი წარმომადგენლები (დაახლოებით 100 ათასი კაცი) საქართველოს სხვადასხვა მხარეში იყვნენ განსახლებულნი, ზოგან კომპაქტურად, ზოგან ქართულ მოსახლეობაში შერეულნი. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ ეთნიკური ოსები თბილისში, გორში, ქარელში, რუსთავში...

აშკარაა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში მოსული და საქართველოში დასახლებული ოსები ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებოდნენ და მათმა დიდმა უმრავლესობამ იცოდა საქართველოს სახელმწიფო ენა – ქართული ენა. მხოლოდ ქართულ სოფლებში სპორადულად განსახლებული ოსები თუ ივიწყებდნენ დედაენას. ოსურენადავიწყებულები თავს უკვე ქართული ეთნოსის წარმომადგენლებად თვლიდნენ, მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაშინდელ საქართველოში ქრისტიანობამიღებულები ეთნიკურ ქართველებად ითვლებოდნენ. რაც შეეხება კომპაქტურად დასახლებულ ოსებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ორენოვანი იყო. ისინი მშობლიურ ენასთან ერთად თავისუფლად ფლობდნენ ქართულ ენას, რისკენაც მათ რეალური ვითარება უბიძგებდა.

საქართველოს მთიანეთში დასახლებულ ოსებს აუცილებლად სჭირდებოდათ ბარის საქართველოსთან ურთიერთობა, რადგან თითოეული ხეობა საქართველოში ერთ ტერიტორიულ-სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა (მაგალითად, მთიელს ბარის საზამთრო სამოვრები სჭირდებოდა, ბარელს კი მთის საზაფხულო სამოვრები). მთაში მოწეული სოფლის მეურნეობის მოსავალი მთელი წლის განმავლობაში არ ყოფნიდათ. ამიტომ, ბართან კავშირების აუცილებლობის გამო, ისინი იჩენდნენ ქართული ენის შესწავლისადმი დიდ სწრაფვას. ორმხრივი სამეურნეო კავშირები განაპირობებდა ოსთა მიერ სახელმწიფო ქართული ენის შესწავლისადმი სწრაფვას. ამავე დროს, შეხვედრებით არაერთ ქართველს, რომლებიც ოსების საკონტაქტო ზოლში ცხოვრობდნენ და რომლებიც ლაპარაკობდნენ ოსურ ენაზეც. ოსთა და ქართველთა საკონტაქტო ზოლში ეთნოლოგიური მასალებით დადასტურებულია ოსი ბავშვების ქართულ სოფლებში მიბარების შემთხვევები ქართული ენის შესწავლის მიზნით, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ნათელმძრონობის, დანათესავების საშუალებით (სხვათაშორის, ეს უძველესი კავკასიური ჩვეულებაა. სასაზღვრო პუნქტებში მცხოვრები ქართველების ნაწილმა იცოდა მეზობელ ხალხთა ენები). მთაში მცხოვრები ოსები ძირითადად წარმართული სინკრეტული სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული ოსებისაგან საქართველოს სამეფო ხელისუფლება ძირითადად ითხოვდა, რომ მიგრანტებს ქრისტიანობა მიეღოთ. ოსებიც გარკვეულ დაინტერესებას იჩენდნენ ქრისტიანობის მიმართ. საეკლესიო კანონმდებლობა ქართველებს არაქრისტიან ოსზე დაქორწინების ნებას არ რთავდა. ქრისტიანობის მიღება ასევე გზას უხსნიდა ოსებს ქართული ენის შესასწავლად, რადგან საღვთისმეტყველო ენა ქართული იყო. მთაში მცხოვრები გაქრისტიანებული ოსები ბარში მცხოვრებ ნათლია ქართველებთან ხშირად აგზავნიდნენ თავიანთ შვილებს ქართული ენის შესასწავლად.

ისტორიული და ეთნოლოგიური მონაცემებით ასევე ძალიან ხშირი იყო, განსაკუთრებით საკონტაქტო ზოლში, ქართულ-ოსური ქორწინებები, რაც ასევე ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო ორი ეთნოსის დაახლოებისა და ურთიერთის ენის შესწავლისა.

ოსების საქართველოს მთიანეთში შემოსახლებას მოყვა ადგილზე დამხვედურ ქართველთა მცირე ნაწილის მიერ ოსური ენის შეთვისება და ოსთა მიერ მათი ეთნიკურ-ენობრივი ასიმილაცია. დღემდე ქსნის ხეობის შენაკად ჭურთის ხევზე სოფელ დორეთკარში მცხოვრები ქართველი ილურიძეები (40-მდე ოჯახი) ორენოვანნი არიან. XVIII ს-ში ჭურთის ხეობა მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქართველები ბარში გადასახლდნენ. მხოლოდ ერთ სოფელში შემორჩა ქართული მოსახლეობა. დორეთკარის ზემოთ, მთაში ქართველთა ნასოფლარებში ოსები დასახლდნენ. აქ საქორწინო ურთიერთობის ერთგვარი დაუწერელი წესი იყო. ქართველი თავის თანასოფელზე და მითუმეტეს თანამოგვარეზე არასდროს დაქორწინდებოდა. დორეთკარში მცხოვრებ ქართველებს მათ ქვემოთ, ბარისაკენ მცხოვრები ქართველები ცოლად არ მიყვებოდნენ, რადგან ბარიდან მთაში ქალი იშვიათად თხოვდებოდა. ქართველი ილურიძეები აღმოჩნდნენ რა ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში, იძულებული იყვნენ მათ ზემოდან, მთაში მცხოვრები ოსის ქალები შეერთოთ ცოლად. ოსის ქალებმა თავიანთ ვაჟებს ისევ ოსის ქალები შერთეს ცოლად. XIX ს-ის შუა ხანებიდან ასეთმა საქორწინო ურთიერთობებმა და ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში ცხოვრებამ ქართველი ილურიძეები ორენოვანი გახადა. ოსის ქალმა ოჯახში ოსური ენა და შესაბამისად წეს-ჩვეულებებიც შემოიტანა. ქართველებს თუმცა ქართული ენა არ დავიწყებიათ, ყველა მათგანი კვლავ ლაპარაკობს ქართულად. ისინი ქართველადც გაიცნობიერებენ თავს. წამყვანი, ოჯახში სალაპარაკო ენა ოსურია. ჩვენი სოფელში მისვლისას სოფლის მცხოვრები ეთნიკური ქართველები ერთმანეთში ოსურად ლაპარაკობდნენ (XX ს-ის 80-იან წლებში 40 კომლიან სოფელში მხოლოდ ერთი ქართველი რძალი ყავდათ). ოსური ენის თითქმის დედაენად ქცევამ ქართველ ილურიძეებს სოფ. დორეთკარში ეთნიკური თვითშეგნება არ შეუცვალა. ყველა ქართველად გაიზარებს თავს. ამ თვალსაზრისით შესაძლოა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის გარემოება, რომ ისინი სკოლაში ქართულ ენაზე სწავლობენ. აგრეთვე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მათ ხშირი ურთიერთობა და კონტაქტი აქვთ ქვემოთ, ბარისაკენ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასთან.

ქსნის ხეობაში ანალოგიური სიტუაცია სხვაგანაც დასტურდება. მაგალითად, სოფ. ნახიდში, მთხრობელის სიტყვით "ზევრი ფსუტური გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობენ". იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი ოდიშვილის შესახებაც.

1987 წელს ამ სტრიქონების ავტორმა ფეხით შემოიარა მეჯუდას ხეობის ოსური სოფლები. ხეობის უკიდურესი ზემო წელის ორი მცირე ოსური სოფლის გარდა, ოსები აქ XIX ს-ის 30-80-იან წლებში დასახლდნენ. მეჯუდას ხეობის ბარის უკანასკნელი დიდი ქართული სოფელია მეჯვრისხევი. მეჯვრისხევს უშუალოდ ესაზღვრება სოფ. ღრომი, რომელიც ოსებითაა დასახლებული. ღრომი ავტონომიური ოლქის საზღვრებში შედიოდა. 1886 წლისათვის ღრომში ჯერ კიდევ ქართველები სახლობდნენ, რომელთა მეჯვრისხევში გადმოსახლების შემდეგ, აქ ოსები დასახლდნენ. მეჯვრისხევში არაერთი შერეული ქართულ-ოსური ოჯახი მკვიდრობს. ზემოთ ხეობაში ძირითადად ოსები ცხოვრობენ, თუ არ ჩავთვლით სოფელ ისროლისხევს, სადაც რამდენიმე ქართული ოჯახი კვლავ შემორჩენილია. არაერთ ეთნიკურ ოსთან გვქონდა შეხვედრა. ხეობაში თითქმის ერთთვისანი მივლინების დროს მხოლოდ ერთი ხნიერი ქალი შეგვხვდა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, დანარჩენები ყველანი მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად. საყურადღებოა, რომ ხეობის არც ერთ სკოლაში, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებში კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენა – ქართული ენა არ ისწავლებოდა. აქ არსებობდა ე.წ. ოსურ-რუსული სკოლები, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაწყებით კლასებში (1-4 კლასი) საგნები ოსურ ენაზე ისწავლებოდა, ხოლო ოთხი კლასის ზემოთ ყველა საგანი რუსულ ენაზე პლუს ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლა. მიუხედავად იმისა, ხეობაში

მცხოვრებმა ოსებმა არა მარტო ქართული ენა იცოდნენ, არამედ ქართული წერა-კითხვაც. ქართულ ანბანს ისინი დამოუკიდებლად სწავლობდნენ, რადგან როგორც თვითონ ხსნიდნენ მათ, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ძირითადად ჰქონდათ არა ავტონომიური ოლქის მოსახლეობასთან, არამედ ხეობის ბარის ნაწილის ქართულ მოსახლეობასთან. ასეთივე ვითარება დავაფიქსირეთ ლეხურას ხეობის ოსურ მოსახლეობაში. საერთოდ, ეს ჩვეულებრივი სურათი იყო თითქმის მთელი ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობისათვის, გარდა ჯავის რაიონისა. ჯავის რაიონი მოიცავდა დიდი ლიახვის ხეობის მთიან ნაწილს. ოსური ეთნოსით კომპაქტურად დასახლებულ ამ რაიონის მოსახლეობას შედარებით ნაკლები კონტაქტები ჰქონდა ქართულ მოსახლეობასთან. საბჭოთა პერიოდში მათთვის ე.წ. ოსურ-რუსული სკოლების გახსნამ და ქართული ენის უგულვებელყოფამ აქ მცხოვრები ოსების ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროსაგან გაუცხოება გამოიწვია, რაც ერთგვარი მიზეზი გახდა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ოლქის ტერიტორიაზე ოსური სეპარატისტული მოძრაობის წარმოქმნისა.

როგორც აღვნიშნეთ მეჯუდას ხეობის უკიდურეს მთიან მონაკვეთში კვლავ შემორჩენილია ძველი ქართული მოსახლეობა, თუმცა საბჭოთა პერიოდში მათმა რაოდენობამ უკიდურესად იკლო. ადგილზე დარჩენილი ქართველები ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში მშვენივრად ლაპარაკობენ ოსურად. აქვთ ხშირი საქორწინო ურთიერთობანი ოსურ მოსახლეობასთან. ერთ-ერთ ასეთ ოჯახში სტუმრობის საშუალება გვქონდა. ოჯახი გენგიურების ქართული გვარის მატარებელია. ოჯახის უფროსი, 60 წლის მამაკაცი ეთნიკურად ქართველად თვლის თავს, ლაპარაკობს შესანიშნავი ქართული ენით. მას დედა და მეუღლეც ოსი ყავს. მაგრამ მის ხუთ შვილს უკვე გაორებული ცნობიერება აქვს. პირველი, რაც თვალშისაცემი იყო, ისაა, რომ ხუთივე მოზრდილი შვილი ქართულს ლაპარაკობდა ოსური აქცენტით. ამასთანავე, ისინი მსჯელობდნენ იმაზე, ქართველებს მიეკუთვნებოდნენ, თუ ოსებს. ქალიშვილები უფრო ოსურ ეთნიკურ სამყაროს აკუთვნებდნენ თავს. არც ვაჟებს ჰქონდათ მისწრაფება ქართულისადმი. ოჯახის ერთ-ერთ ვაჟს გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთში სასწავლებლად წასვლა. როდესაც დავინტერესდით, თუ რატომ უნდა წასულიყო ასე შორს, რუსეთში, მან აღნიშნა, რომ თბილისი არ უყვარს. თბილისისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება კი გამოწვეული იყო ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნითა და საერთოდ ქართული წერა-კითხვის უცოდინრობით. როგორც გაირკვა გენგიურებს შვილები მიუზარებიათY სასწავლებლად ქ. ცხინვალის ე.წ. ოსურ-რუსულ სკოლაში, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მათი ქართული ეთნოსიდან ოსურ ეთნოსისადმი მიკუთვნება.

გენგიურების მაგალითი მხოლოდ ერთი გამონაკლისი როდი იყო ავტონომიური ოლქის მთიან ნაწილში.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განსახლებულ ოსებს, ისინი ყველგან მშობლიურ ოსურ ენასთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. არის შემთხვევები, როდესაც ოსური ეთნოსის წარმომადგენლებს თავი გააზრებული აქვთ ქართველად.

მანამ, სანამ საქართველოში მცხოვრებ ოსთა თანამედროვე ენობრივი ვითარების შესახებ საბოლოოდ ვისაუბრებთ, მცირე ექსკურსის სახით XIX საუკუნეს უნდა დავუბრუნდეთ. ამ დროს ქართული პრესა დიდ ყურადღებას იჩენდა ოსური ენისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერალ ს. მგალობლიშვილის სტატიები. ოსებს არ ჰქონდათ სწავლა-განათლებისადმი მისწრაფება. ქართული საზოგადოებრიობა კი ცდილობდა ოსურ სოფლებში გაეხსნათ სკოლები. ისინი მშობლებს არწმუნებდნენ, რომ შვილებისათვის განათლება მიეცათ. რუსეთის ხელისუფლება ოსების სოფლებში რუს მასწავლებლებს აგზავნიდა. ოსის ბავშვებმა კი რუსული არ იცოდნენ. ისინი მხოლოდ ოსურად და ქართულად ლაპარაკობდნენ. ს. მგალობლიშვილი აღნიშნავდა, რომ "აქ უნდა იყვნენ მასწავლებლად ან ოსები, ან ქართველები. თუ არ დაუშლით, რუსები გააგზავნონ მთასიქითა ოსეთში, სადაც ლაპარაკობენ ოსურს და რუსულ ენაზე". ქართველი პუბლიცისტები წერდნენ იმაზე, რომ

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსები გარუსების გზას ადგენენ და ამასთანავე ეროვნული სახის დაკარგვის საშიშროების წინაშე იყვნენ. საქართველოში კი შემფოთებას გამოთქვამდნენ, ოსებს ვუძველოთ, ენა და ეროვნება შევუნარჩუნოთო. ნ. თადეოზიშვილი 1884 წლის გაზეთ "დროების" ერთ-ერთ ნომერში წერდა, რომ "მთასაქეთა ოსებში დიდი გავლენა აქვთ ქართველებს. ოსი მამაკაცები ყველა ლაპარაკობს ქართულად, ხოლო ის ნაწილი ოსებისა, რომლებიც დასახლებულნი არიან ქართული სოფლების სიახლოვეს, ქალებიც და ბავშვებიც ლაპარაკობენ ქართულად. არათუ ლაპარაკობენ, არამედ წერა-კითხვაც იციან. მთისიქით ოსები რამდენადაც რუსობას მისდევენ, იმდენად ქართველობას მისდევენ მთის აქეთა ოსები. მათ თავი მოაქვთ იმით, რომ ქართული წერა-კითხვა იციან, ახლო სოფლების მცხოვრებნი ერთმანეთს აძლევენ ცოლად ქალებს. ასე რომ, შერეული ოჯახები ჩვეულებრივი სახეა მათი ცხოვრებისა". ს. მაგალობლიშვილი წერდა, რომ ქართველებს სათანადო ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ, რომ ოსებს არ დაეკარგათ ენა და ეროვნული სახე. ამისათვის ის ოსთათვის სკოლების გახსნას მოითხოვდა. სხვა ავტორი (გრიგოლ ლიახველი, იგივე სამაგლიშვილი) იმავე გაზეთ "დროებაში" ყველას მოუწოდებდა ოსებისა და მათი ენის გადასარჩენად. აუცილებლობად მიაჩნდა ოსთათვის საკუთარი ანბანის შექმნა.

ოსური ენისადმი დიდ ინტერესს იჩენდა გაზეთი "ცნობის ფურცელიც". 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ კუდაროში მცხოვრებმა თითქმის ყველა ოსმა იცოდა ქართული, რაჭველებსა და იმერლებთან მეზობლობისა და ახლო ურთიერთობის გამო. იგივე გაზეთი 1901 წელს წერდა: "არის განზრახვა საქართველოში მცხოვრები ოსების სკოლაში ოსური სახელმძღვანელოთი სწავლებისა. ამისათვის მიუმართავთ მცოდნე პირებისათვის, წარმოადგინონ სახელმძღვანელოები, რომ ყველა ოსურ სასწავლებელში ახლო მომავალში შემოიღონ ოსური ენის სწავლება".

ამრიგად, XIX საუკუნისა და XX ს-ის დასაწყისის ქართულ პრესაზე ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ მაშინდელი განათლებული ქართული საზოგადოების დიდი ზრუნვა ოსურ ენასა და ოსურ ეროვნებაზე, რომ ჩვენში მიგრირებულ და დასახლებულ ოსებს არც ერთი და არც მეორე არ დაეკარგათ.

აღნიშნული დამოკიდებულება ქართველი განათლებული ადამიანებისა და საქართველოს ხელისუფლებისა ოსური ენის მიმართ XX საუკუნეშიც გრძელდებოდა. ავტონომიური ოლქის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთაც ყოველგვარი პირობა ჰქონდათ ოსებს შექმნილი ოსური ენისა და კულტურის განსავითარებლად. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პრესაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ადარებენ საქართველოში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ენობრივ-ეთნიკურ სიტუაციებს. ჩრდილოეთ ოსეთში ყველაფერი რუსულ ენაზე იყო გადასული, რუსულ ენაზე ხდებოდა საქმის წარმოება, სწავლა-განათლება. რაღა შორს წავიდეთ. 1972 წელს ამ სტრიქონების ავტორი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სტუდენტ-ეთნოგრაფთა კონფერენციაში ქ. ლენინგრადში. აქ იყვნენ ჩრდილოოსეთელი სტუდენტებიც, რომლებიც გაოცებას ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ ჩვენ ქართველები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ერთმანეთთან ქართულად ვლაპარაკობდით და ქართულად ვწერდით.

ქ. ცხინვალში იყო და არის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლას. აქ სხვა მნიშვნელოვან გამოკვლევებთან ერთად, მომზადდა "ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი". ცხინვალში ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს სახელმწიფო ოსური თეატრი. გამოდიოდა და გამოდის გაზეთები და ჟურნალები ოსურ ენაზე. ოსურ ენაზე ხდებოდა და ხდება რადიოგადაცემების მოწყობა. საქართველოში 1990-1991 სასწავლო წელს 97 ოსური სკოლა იყო, აქედან 90 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. ხოლო შვიდი ოსური სკოლა ოლქის ფარგლებს გარეთ იყო, კერძოდ, ლაგოდეხში, ქარელში, ბორჯომში. 80-იანი წლების დასაწყისში

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ოსური სკოლების გახსნა საქართველოს იმ რაიონებში, სადაც კომპაქტური ოსური მოსახლეობა იყო.

საყურადღებოა, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლე 65 ათასი ოსიდან 64.257 ოსურ ენას თვლიდა მშობლიურ ენად. ოსურ ენას არ თვლიდა დედაენად მხოლოდ 820 ეთნიკურად ოსი (ე.ი. 1,3%). ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს კი არ ჰქონდათ საშუალება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართული ენის თავისუფლად გამოყენებისა. საბჭოთა პერიოდის მანძილზე ოსები აქტიურად ცდილობდნენ შეეცვალათ ძირძველი ქართული ტოპონიმები ოსური ნათარგმნი და კალკირებული ტოპონიმებით. სინამდვილეში არაერთი უძველესი ქართული ტოპონიმი ოსებმა ხელოვნურად დაამახინჯეს და სახელი შეუცვალეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოლშევიკი და ტერორისტი ოსების გვარსახელების მიკუთვნებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს 97 სკოლაში მიმდინარეობდა ოსურ ენაზე სწავლება, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში, საიდანაც არიან მიგრირებული ოსები საქართველოში, არც ერთი ოსური სკოლა არ იყო. ოსები მხოლოდ რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ა. გალაზოვი ამის შესახებ გაზეთში "პრავდა" (1983, 11/XI) წერდა: "მე გულწრფელად მეცოდება ჩემი ეროვნების ახალგაზრდა ადამიანები... როცა ისინი საკუთარ სახლში თავს უხერხულად გრძნობდნენ ოსური კულტურის ელემენტარული უცოდინრობის გამო. მაგალითად, ეროვნულ ახალგაზრდობას წართმეული აქვს საკუთარი მშობლიური ენა. გასულ წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში არ იყო არც ერთი სკოლა ოსური ენის სწავლებით". საქართველოში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელი მუშაკები კი ხელს უწყობდნენ რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე. XX ს-ის 20-იანი წლების ენობრივი ვითარება აღწერა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ისტორიკოსმა გ. ბოჭორიძემ. ის წერდა: 'ქართული ენა იდევენება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად წარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია'. "1929 წლიდან სასამართლოებში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს, ხოლო ამაზე ადრე – 1928 წელს, ახალგორში, თედევის დროს, თვით განცხადებაც კი ოსურად, ან ყოველ შემთხვევაში, რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი. ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვათ, რომ ქართული განცხადება მიეღოთ". "სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921-1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ექვსი-შვიდი თვის ჯამაგირები არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა თავი გაენებებინა სკოლისათვის და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა თხოულობდა სკოლას, ეუბნებოდნენ: "თუ გნებავთ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არადა თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნიით". "ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს". "ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მათი შვილებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი უთხრეს".

დაბოლოს, ორიოდ სიტყვით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XX ს-ში ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსური ენის შესწავლის საქმეში. საკმარისია აკად. გ. ახვლედიანის მეცნიერული გამოკვლევები დავასახელოთ. გ. ახვლედიანის რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის აკადემიური გრამატიკის ორტომეული.

ამრიგად, ოსთა საქართველოში მიგრაციისა და დასახლების შემდეგ, მათ ენობრივ ვითარებაში შეიძლება სამი პერიოდის გამოყოფა. პირველი პერიოდი ესაა ოსთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის პირობებში ცხოვრება. ოსები აღიქვამდნენ რა თავს საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებად, ისინი ისევე როგორც სხვა ეთნოსის წარმომადგენლები პატივს სცემდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას. ოსების უმეტესობა ფლობდა ქართულ ენას. ოსებთან თანაცხოვრების საკონტაქტო ზოლში ბევრი ქართველიც თავისუფლად

ლაპარაკობდა ოსურად. ყოველივე ამას ბევრად განაპირობებდა ქართველ ხალხთან ოსების სამეურნეო-ეკონომიკური და ნათესაური კავშირები.

XIX საუკუნიდან საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ ოსთა ენობრივი ვითარება საქართველოში ერთგვარ ცვლილებებს იწყებს, რაც განპირობებული იყო რუსეთის ხელისუფლების აქტიური ჩარევით. რუსეთი ყველა კოლონიაში ძალით ავრცელებდა რუსულ ენას და სხვადასხვა ეთნოსებს ერთმანეთს უპირისპირებდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ქართული ენის ნაცვლად ოსებისათვის მეორე ენად რუსულის ჩანაცვლებას. XIX ს. და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი იყო ბევრი ოსისათვის რუსულ ენაზე გადასვლის დაწყების პერიოდი. ამ პერიოდისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეები დაუღალავად იღვწოდნენ, რომ ოსებს შეენარჩუნებინათ მშობლიური ოსური ენა და ეთნიკური თავისთავადობა. თუმცა XIX ს-შიც ბევრი ოსი ფლობდა ქართულ ენას, რაც პრაქტიკული საჭიროებით იყო განპირობებული.

მესამე პერიოდი ესაა საბჭოთა პერიოდი, როდესაც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საბოლოოდ მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუცხოვება. რუსულ ენაზე ტოტალური სწავლების პირობებში ოსური ეთნოსის წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ფლობდა ქართულ ენას. თუმცა ამ პერიოდში აშკარად გამოიკვეთება ასეთი ტენდენციაც: ოსების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით განათლებული ადამიანები, ფლობენ ქართულ ენას, კითხულობენ ქართულ ენაზე, მაგრამ შეგნებულად არ საუბრობენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Абаев В., Осетинский язык и фольклор, I, 1949
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973
3. Берозов Б.П. Переселение осетин с гор на плоскость XVIII-XX вв., Орджоникидзе, 1980
4. გამყრელიძე ბახვა, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრ.: “ოსთა საკითხი”, გორი-თბილისი, 1996
5. Гамрекели В.Н., Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Тб., 1968
6. გაჩეჩილაძე მაყვალა, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა (1857-1905 წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით), თბ., 1986
7. Волкова Н.Г., Миграции и этнокультурная адаптация горцев в условиях равнинного Кавказа (XIX-XX вв.) – «Расы и народы», №18
8. თოიძე ლევან, ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში, კრ.: “ოსთა საკითხი”, გორი-თბილისი, 1996
9. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997
10. სამხრეთ ოსეთი გიორგი ბოჭორიძის თვალით, კრ.: “ოსთა საკითხი”, გორი-თბილისი, 1996
11. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991 წ.

მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში*

მოსახლეობის მიგრაციები კაცობრიობის ისტორიის თანმხლები მოვლენაა. სხვადასხვა ხალხების ურთიერთში შერევა, მრავალი ეთნოსის გაქრობა თუ ახლის წარმოქმნა ძირითადად მოსახლეობის მიგრაციებთანაა დაკავშირებული. ასეთი მიგრაციული მოვლენები არც

* მიმდევნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მეორე სამეცნიერო კონფერენცია), “ლომისი”, თბ., 1998, გვ. 34-41.

კავკასიისათვის იყო უცხო. აქ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში არაერთმა მიგრაციულმა ნაკადმა გადაიარა. ზოგნი დროებით ჩერდებოდნენ, ზოგნი კი მუდმივად მკვიდრდებოდნენ. ხალხთა ერთი ნაწილი ისტორიის სარბიელიდან სამუდამოდ გაქრა, მეორე ნაწილმა თავი დღევანდლამდე შემოინახა.

მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, თავისთავად ცხადია, ისტორიული და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. საქართველოში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მოსახლეობის, ადამიანთა გადასახლების ორ მიმართულებაზე. პირველი ესაა მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები, მეორე – შიდა მიგრაციული პროცესები. როგორც ერთი, ისე მეორე მიგრაციული მიმართულება დაწვრილებით მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ამ მოვლენის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის. გარე მიგრაციული პროცესები ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში არ შემოდის. ერთი შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი (და ისტორიული საქართველოს) მოსახლეობის სიჭრელე, მოზაიკურობა სწორედ გარე მიგრაციული პროცესებით არის გაპირობებული. ვგულისხმობთ როგორც ქვეყნის გარედან საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე უცხო ეთნიკურ ერთეულთა შემოსახლების, ისე ქართველთა მშობლიური ქვეყნიდან აყრა-გადასახლებისა და განთესვის ფაქტებს. ჩვენი ინტერესი ძირითადად მიმართულია შიდა მიგრაციული პროცესებისადმი. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შიდა მიგრაციულმა პროცესებმა საქართველოს ისტორიასა და კონკრეტულად ჩვენი ერის გადარჩენის საქმეში დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. თუმცა იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ გადარჩენისა და ქართველი ერის ჩვენამდე მოღწევის საქმეში შიდა მიგრაციული პროცესები ერთ-ერთი კომპონენტთაგანი იყო და არა ერთადერთი.

ამრიგად, წინასწარი დასკვნა, თეზისი საქართველოს შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისა ასეთია: 1) შიდა მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული როლი ითამაშა ადრე ფეოდალურ პერიოდში სხვადასხვა ქართული (და არაქართული) ტომების ურთიერთშერევაში და აქედან გამომდინარე ქართველი ერის შექმნა-ჩამოყალიბებაში და 2) გვიანფეოდალურ პერიოდსა და XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის შიდა გადასახლებები ხშირად ერთადერთი საშუალება იყო ზოგიერთ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის; რომ არა საქართველოს ერთ კუთხიდან მეორეში ჭარბი მოსახლეობის გადასახლება, მოსახლეობისაგან ამოვარდნილ, გაპარტახებულ რეგიონებში, უეჭველად, საქართველოს არაერთ სხვა პროვინციასაც უცხო ეთნიკური ერთეული დაიკავებდა.

მანამ, სანამ ვისაუბრებ მოსახლეობის მიგრაციის ამსახველ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ, თუ რა წყაროების საშუალებით ხდება ამ სოციალური მოვლენის შესწავლა: 1) პირდაპირ და არაპირდაპირ მონაცემებს ვხვდებით ქართულ საისტორიო წყაროებში, ძველ ქართულ მწერლობაში; 2) მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული ქართული საისტორიო საბუთები; 3) აურაცხელი მასალა მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესებისა დაცულია XIX საუკუნის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIII სს. მოსახლეობის აღწერის დავთრები; 4) პროცესის აღდგენა ხერხდება აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემებით და კერძოდ, გადმოცემებით გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ამ მონაცემებს ხშირად უტყუარს ხდის ხალხის აღწერის დავთრებთან (XVII-XVIII სს.) და XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებთან შედარება; 5) მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე საკულტო ძეგლები და 6) ტოპონიმიკური მონაცემები. საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადასახლებულ მოსახლეობას თან მიჰქონდა მამა-პაპათა სალოცავის ნიში. ისინი ახალ საცხოვრისში იმავე სალოცავის ნიშებს აგებდნენ ანდა მიგრანტების შთამომავალნი გადმოსახლებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სალოცავად დადიოდნენ წინაპართა თავდაპირველ საცხოვრისში. ზოგჯერ კი მიგრანტთა შთამომავალნი საგვარო და სასოფლო სალოცავის დღესასწაულს მორიგეობით ოჯახებში იყენებდნენ. საქართველოს

რუკას, ანდა სოფლების ჩამონათვალს თუ თვალს გადავაველებთ, ვნახავთ, თუ რამდენი გვაქვს წყვილადი, სეხნია, ერთმანეთის მსგავსი ოიკონიმები (სოფელთა საელწოდებანი), რაც, ხშირ შემთხვევაში, მაჩვენებელია იმისა, რომ ჯგუფურად აყრილ მოსახლეობას, როდესაც ის გადასახლდებოდა ერთი რეგიონიდან მეორეში, თან მიჰქონდა თავისი სოფლის სახელწოდებანი. ხშირად მიგრაციაქმნილი ტოპონიმები -ელ სუფიქსითაა ნაწარმოები. მაგალითები: ფხოვი_ფხოველი, ფშავი_ფშაველი, მთიულეთი_მთიული, ახადი_ახადელი, მუქუ_მუქუელი, ხორხი_ხორხელი, ყვარა_ყვარელი, დვალეთი_დვალთა, გუდანი_გუდანელები, ხევსურეთი_ხევსურთსოფელი, ხადუ_ხადუელები, ღული_ღულიელები... გვაქვს ორი და მეტი მადარო, ბუშატი, ოკამი, ბოჭორმა, გომეწარი, წყნეთი, იწრია, წიფორი, კუკია, რეხა, ერწო, ოძისი, რუისი, არმაზი, მაჩხაანი, თვალი, გომი, მეტეხი, ბაგრანეთი, ბიეთი, მძორეთი, სხლები, წრომი, მიწობი, გომარეთი, ქსოვრისი, ლოშო, ჭართალი, ინაური, ხანდო (ხანდოეთი), ჯილაური და სხვა მრავალი.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების გადასახლების ფორმათა შესახებ. როგორც თავის დროზე სამართლიანად შენიშნა გ. ჩიტაიამ, ეს გადასახლებანი იყო ორი ფორმის ინდივიდუალური ანუ გაჟონვითი და ჯგუფური. მიგრაციის ორივე ეს ფორმა ხორციელდებოდა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე. ჯგუფური გადასახლებანი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეინიშნება, იმ დროს, როდესაც უმეტესად მთის რეგიონებში ჭარბი მოსახლეობა რაოდენობის ზღვარს მიაღწევდა და საქართველოს ესა თუ ის რეგიონი (უმეტესად მთისწინეთი და ბარი) მოსახლეობისაგან ამოვარდებოდა. გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური გადასახლებანი კი მუდმივად ხდებოდა, რომლის მიზეზი სხვადასხვა იყო: კლასობრივ-სოციალური დაპირისპირება, მესისხლეობა, ეკონომიკური პირობები...

მანამ, სანამ ვისაუბრებთ სხვადასხვა მიგრაციულ მარშრუტებზე (მიმართულებებზე), უნდა დავუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვა ვთქვათ ნაშრომის დასაწყისში აღნიშნულ პირველ თეზისზე: შიდა მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული როლი შეასრულა სხვადასხვა ქართველური ტომების ურთიერთშერევისა და ქართველი ერის ჩამოყალიბებაში. მართალია ერი სისხლიერი, ბუნებრივი კატეგორია არაა, ის თვითშემეცნებითი მოვლენაა, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთ ტერიტორიულ ერთეულზე სახელმწიფოებრივი მოწყობა, დედაენა (უფრო სწორად საერთო სალიტერატურო, სახელმწიფო, ეროვნული, საღვთისმეტყველო ენა), საერთო ზნე-ჩვეულებები და კულტურა. ამასთანავე, ამა თუ იმ ერის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო წარმომავლობის შეგნებას. მართალია, ქართულ-ქართველურ ტომებს ყოველთვის ჰქონდათ საერთო წარმომავლობის შეგნება, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა მათ ურთიერთისაკენ სწრაფვას, მაგრამ ისტორიული განვითარების კვალობაზე ეს ქართულ-ქართველური ტომები ხანგრძლივად მოსწყდნენ ერთმანეთს. გეოგრაფიული ფაქტორების გამო ისინი ერთგვარად დაშორებულნი აღმოჩნდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ ადრეფეოდალურ პერიოდში და იმაზე ადრეც დაიწყო სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ერთეულთა შორის მოსახლეობის ხშირი გადაადგილება-გადმოადგილება, ერთმანეთში შერევა, ერთ ეთნიკურ ქვაბში გადახარშვა. მხოლოდ ნ. ბერძენიშვილს დავესესხებით: "ეთნიკურად საქართველოს აწინდელი მოსახლეობა მის ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია, რომ ძველი ტომურ-ნათესაური სიწმინდით დღემდის არც ერთ კუთხეს არ მოუღწევია" (ხაზი ჩვენია _ რ. თ.). გავაგრძელოთ ნ. ბერძენიშვილის ციტირება: "ჩვენი დროის კახეთში, მაგალითად, მცირე ვინმეა ძველ კახთა და ჰერთა ჩამომავალი, რომ ეთნიკურ-ნათესაურად ჩვენი დროის კახელს მცირე რამ აქვს საერთო ძველ კახთან და ჰერთან.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა არანაკლებ თვალსაჩინოა საქართველოს ცენტრალურ რაიონში _ ქართლში. ქართლის აწინდელ ქართველებში ძველ ქართველს ტომურ-ეთნიკური სიწმინდით მცირე ვინმეს თუ მოუღწევია...

ასეთივე მოვლენა აღინიშნება, მეტის თუ ნაკლები მიახლოებით, საქართველოს სხვა მხარეებშიც: ეგრის-აფხაზეთში, გურია-ფერსათში, არგვეთ-იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში თუ მესხეთ-ჯავახეთში, – ყველგან ეთნიკურ მონათესავეობის თვალსაზრისით თავდაპირველი მოსახლეობა სახეშეცვლილია და ვინ იცის რამდენი "ნათესავის" შერწყმის ნაყოფია თითოეული მათგანის აწინდელი აბორიგენები" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964, გვ. 239).

ქართველთა სხვადასხვა ტომების ეს ურთიერთში შეღწევა ქართველი ერის ჩამოყალიბებამდეც (ძვ.წ. III ს.) მიმდინარეობდა და მას შემდეგაც. აქედან გამომდინარე, რამდენად სამწუხაროა, რომ სხვადასხვა კუთხის (მხარის, პროვინციის) ქართველებს დღესაც კი ზოგნი ეთნიკურ ერთეულებად და ტომებად მოიხსენიებენ. საქართველოში ქართველი ერია ერთი ეთნიკური ერთეული და არა მის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) მხარეში (რეგიონში) მცხოვრები ქართველები ცალ-ცალკე. ამ მხარეთა მცხოვრები მოსახლეობის არც ტომად მიჩნევა დასაშვები. ტომობრიობის ეტაპი ქართველებმა დაასრულეს მაშინვე, როდესაც ამ სხვადასხვა ტომისანი ერთ ქართველ ერად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს სხვადასხვა პროვინციათა სახელწოდებების ჩვენამდე მოღწევა მათი ტომობრიობის მიმანიშნებელი არაა. საქართველოს სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები ისე შეიღწნენ ერთმანეთში, რომ მათ ტომობრიობაზე (და ცალკე ეთნიკურ ერთობებზე) საუბარი სრული ნონსენსია. ისევ ნიკო ბერძენიშვილს დავესესხები: "ტომობრიობა, ფეოდალური ურთიერთობის მიერ გადალახული და მონელებელი საფეხური იყო, სადაც ეს როგორიმე სახით კიდევ ბოგინობდა, ის რუდიმენტი იყო" (ნ. ბერძენიშვილი, სის, 1, გვ. 417).

ქართველი ერის ჩამოყალიბებამდე და ქართველი ერის ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები მტკიცედ შეერწყნენ ერთმანეთს. ქართველი ერი ყალიბდებოდა სწორედ სხვადასხვა ქართულ-ქართველური ტომების წარმომადგენელთა ერთი ადგილიდან მეორეზე მიგრაციის ფონზე.

პროცესი საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული ადგილმონაცვლეობისა, ჩვენი ისტორიის მთელ მანძილზე გრძელდებოდა. რაც უფრო აქეთ მოვდივართ, ეს მოვლენა უფრო ხელშესახებია. მაგრამ მიგრაციული პროცესების ამსახველი წყაროები ისტორიის სიღრმეშიც გაგვაჩნია. მიჩნეულია, რომ ქართლიდან ინტენსიური იყო მოსახლეობის გადასახლება არაბობის დროს, VII ს-ის შუა ხანებიდან დასავლეთ საქართველოში, რასაც შედეგად ზანების გაქართვება მოჰყვა. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიგრაციული გადასახლებანი უფრო ადრეც იყო და ეს პროცესი ჯერ კიდევ ძვ.წ.-ით დაიწყო. პარალელურად ხორციელდებოდა მოსახლეობის გადაადგილება სამხრეთ საქართველოდან, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ მოაშენეს მურვან-ყრუს მიერ მოსახლეობისაგან 735-736 წლებში ამოწყვეტილი სამხრეთ საქართველო (შავშეთ-ტაო-კლარჯეთი) ქართლიდან გადმოსახლებულმა მოახალშენებმა. "კონსტანტი კახის წამება" გვამცნობს, თუ როგორ ილტვოდნენ შიდა ქართლის გაღმა-მხარის კონსტანტი კახადს საუფლოში VIII-IX სს-ში სხვადასხვა მხარიდან მოსული მოახალშენები ("მრავალნი მიივლტიედ მისა შორით ქვეყნით ლტოლვილნი თანამდებთა თვისთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაჰხდის თანანადები იგი მათი"). იმავე დროს, არგვეთისა და სამცხის მცხოვრებნი ემკვიდრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეთხელებულ ფერსათში, გურიაში, ქვემო აჭარაში.

IX საუკუნეში სხვა მნიშვნელოვანი მიგრაციული მიმართულებებიც რომ ხორციელდებოდა, ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ შიდა ქართლის მთიელთა – წანართა ინტენსიური აყრა-გადასახლება კახეთში. წანართა ამ ერთდროულმა გადასახლებამ ამ ქართული ეთნოგრაფიული ერთეულის გაქრობაც კი გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მისცა სხვა ქართველ მთიელებს – დვალეებს მათ ნამოსახლარებზე დაფუძნებულიყვნენ (მხედველობაში გვაქვს თერგის სათავე – თრუსო). XIII ს-ის დასასრულს გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართლის გლეხობის გარკვეული ნაწილი სამცხეში გადასახლდა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განუხორციელებია ამ მხრივ XV ს-ის პირველ ნახევარში ალექსანდრე I-ს. მან მთის ნამატი მოსახლეობა კახეთში: ყვარელში, მადაროში და სხვა სოფლებში ჩაასახლა, ნასოფლარები ააღორძინა. 1470 წლის საბუთით "გუჯარი ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის შალვასი, ბოძებული ლარგვისის მონასტრისადმი", ირკვევა, რომ ამ პიროვნებამ ახლიდან მოაშენა მეჯუდას და ქსნის ხეობების რიგი სოფლები, სადაც "მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულიყო". ქსნის ერისთავები გაპარტახებული მთისწინეთისა და ბარის სოფლების მოშენებას საერისთაოსივე მთის სოფლების მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე ახდენდნენ. ქვემო ქართლის თავადს, ყაფლან ორბელიშვილს 40 წლის მანძილზე მოუხერხებია აოხრებულ სოფლებში მოსახლეობის დასახმა. მისი საფლავის ეპიტაფია (გარდაიცვალა 1671 წელს) გვამცნობს: "... ბარსა და მთაში მტრისაგან გაოკრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი და (61)".

XVII ს-დან საქართველოს ერთი მხრიდან მეორეში მოსახლეობის გადასახლება აშკარად ხელშესახებია. ამ პერიოდიდან მიგრაციათა შესწავლა გადმოცემებითა და გვართა სადაურობა-წარმომავლობის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც შეიძლება. XVII-XVIII-XIX საუკუნეებში მთის ნამატი მოსახლეობა ეფუძნება მთისწინეთისა და ბარის ნასოფლარებში. ასე იქნა მოშენებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების მიერ ქართლ-კახეთის რიგი ადგილები. მაგრამ საქართველოს ისტორიაში მოხდა ისეთი მოვლენაც, როდესაც მთიელთა მთლიანად აყრამ მამა-პაპათა საცხოვრისიდან და მტრებისაგან გავერანებულ ბარში დასახლებამ დვალეთის, დიდ და პატარა ლიახვის ხეობათა მთიანი ნაწილის ქართული მოსახლეობისაგან დაცლა გამოიწვია. მთიელთა ამ გადმოსახლების შედეგად ბარში თუ მოხდა ქართული მოსახლეობის კვლავწარმოება, მთაში მალევე ეთნიკური სურათი შეიცვალა; ქართველ მთიელთა ნასახლარებზე ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული უცხო ეთნიკური ერთეულის წარმომადგენლები – ოსები დაფუძნდნენ.

მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა როდი მიგრირებოდა მთისწინეთსა და ბარში. ასევე იყო დასავლეთ საქართველოშიც. დიდი რაოდენობითაა დასახლებული სვანური ელემენტი ლეჩხუმში, რაჭაში, სამეგრელოში, იმერეთში. ლეჩხუმელები და რაჭველები თავის მხრივ იმერეთში გადასახლდებოდნენ. აფხაზეთიდან, სამურზაყანოდან მიგრირებული არაერთი გვარი მკვიდრობს ენგურსგამოდმა სამეგრელოში, იმერეთში. ზემო იმერლები და რაჭველები გაპარტახებული შიდა ქართლის ამაღორძინებლები იყვნენ XVI-XVII და შემდეგ საუკუნეებში. შიდა ქართლის მოსახლეობის XVII საუკუნის აღწერის დავთრების ნაწყვეტებს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ თუ წარმომავლობით რამდენი იმერული და რაჭული გვარი მკვიდრობდა აქ. 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში ერთი თვალის ჩაკვრაც კი დაგვარწმუნებს ამაში. შიდა ქართლის ეს მოსახლეობაც XVIII ს-ში თითქმის გამოგვეცალა ხელიდან, რისი მიზეზიც ლეკიანობა, ყიზილბაშობა და ოსმალობა იყო. ბევრი კახეთს შეეხიზნა და "გაკახელდა". XVIII ს-ში უკვე მერამდენედ დაიცალა ქვემო ქართლი მოსახლეობისაგან. მათი გადარჩენილი ნაწილი კახეთს შეეფარა. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ქართველი თავად-აზნაურები და მეფეები კვლავ ცდილობენ ააღორძინონ როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლი. მთიელებთან ერთად მათ უცხოტომელებიც მოყავთ. XIX ს-ში დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ინტენსიურად ესახლება აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ქართლსა, ისე კახეთში. იმერეთისა და რაჭის მოსახლეობამ იხსნა შიდა ქართლის ბარი. დღევანდელი ბორჯომის რაიონი თითქმის მთლიანად იმერლობამ მოაშენა. XIX ს-ის დასაწყისში აქ თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი ქართველობა იყო. დასავლეთ საქართველოდან მიგრირებული მოსახლეობის დიდი პროცენტია დღევანდელი ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონებში. ასევე მრავლად ვხვდებით მათ განსახლებულებს კახეთში.

ინტენსიური იყო მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შორის. ზემოთ აღვნიშნეთ: როცა საჭირო იყო, სამხრეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ევანებოდა. შავშელ-

კლარჯელები გურია-აჭარაში მიგრირდებოდნენ, სამცხელები – გურიასა და იმერეთში, ჯავახები – ქართლში. ჯავახთა ქართლში გადმოსახლების დამადასტურებელი უნიკალური მასალაა დაცული 1818 წლის გორის მაზრის აღწერის დავთარში. ამ საარქივო დოკუმენტში ფიქსირებულია 30, 50, 70, 100 წლის წინ ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაცია. მთელ რიგ გვარებსა და ოჯახებს მიწერილი აქვთ, რომ "წინაპრები გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან ასი წლის წინ", "... 70 წლის წინ" და ა.შ. ამ მიგრაციულ მიმართულებებს გვიდასტურებს XVII და XVIII სს-ის ქართული საისტორიო საბუთებიც. ჯავახეთიდან ქართლში მობოდნენ, მიგრირდებოდნენ არა მარტო ქრისტიანი ქართველები, არამედ გამაჰმადიანებულნიც, რომლებიც ხელახლა იღებდნენ მამა-პაპათა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. დღევანდელ შიდა ქართლში თითქმის არ არის სოფელი, რომელშიც ორი-სამი გვარი მაინც არ მკვიდრობდეს ჯავახეთიდან მიგრირებული. ქვემო ქართლში ჯავახები ჯგუფურადაც გადმოსახლებულან და სოფელი გომარეთიც აუღორძინებიათ. ჯავახთა ქართლში გადმოსახლებამ ქართლის დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორებას კი შეუწყო ხელი, მაგრამ სავალალო შედეგი გამოიღო ჯავახეთისათვის. იმავე დროს მაჰმადიან ჯავახთა თურქეთში გადასახლებამაც თითქმის მთლიანად ამოაგდო საქართველოს ეს კუთხე ქართული მოსახლეობისაგან. ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთი, ჯავახეთიც უცხო ეთნიკურმა ერთეულმა დაიჭირა. ასევე ინტენსიური იყო სამცხელთა მიგრაცია მოსაზღვრე იმერეთის რაიონებში.

XIX საუკუნემდე მთიულ-გუდამაყრელთა ქართლის გადმამხარში ჩასახლების პერიოდი იყო. XX ს-ის დასაწყისში ქართველმა მთიელებმა შირაქის ველიც აითვისეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში მოხდა კახეთში, ალვანის მინდორზე თუშთა დაფუძნება.

მსგავსი სხვა მაგალითები არაერთი შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ისტორიიდან. სტატიაში მიგრაციული მიმართულებანი მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილეთ. შეიძლებოდა კონკრეტულად მრავალი მიგრირებული გვარის დასახლება, არაერთი საკულტო ძეგლის ჩამოთვლა, რომლებიც სწორედ მოსახლეობის მიგრაციის შედეგად არიან წარმოქმნილი.

დასკვნა ასეთია: ა) მოსახლეობის შიდა მიგრაციულმა პროცესებმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველი ერის შეკვრა-შედუღებაში; ბ) მოსახლეობის შიდა მიგრაციების შედეგად მოხდა მტრისაგან გავერანებულ, მოსახლეობისაგან ამოვარდნილ ქართულ პროვინციებში ქართველი ხალხის კვლავწარმოება. ასეთი მიგრაციები დარღვეულ ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციას მალევე აღადგენდა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მთიანეთის პროვინციებმა, რადგან მთაში მოსახლეობის რაოდენობა ლიმიტირებული იყო და ნამატი ყოველთვის ბარში გადადიოდა საცხოვრებლად.

პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან გამოყოფის ტენდენციები ხევსურეთში*

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი ყოფისა და სოციალური სტრუქტურის საკითხები კარგა ხანია მეცნიერთა ცხოველ ინტერესს იწვევს [28: 9; 10; 11; 23; 31; 21; 22; 1; 33; 12; 16; 3; 30; 2; 26]. მკვლევართა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ მთიანეთი თავისი შინაგანი განვითარებით ჩამორჩებოდა ბარის რეგიონებს. ამავე დროს, ისიც ხაზგასასმელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა რეგიონები, სოციალური

* "ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები – 1988", "მეცნიერება", თბ., 1991, გვ. 90-112.

განვითარების თვალსაზრისით, ერთ დონეზე როდი იდგნენ. მთიანეთის საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული (ისტორიულ-ეთნოგრაფიული) ერთეულებისადმი ასეთ არადიფერენცირებულ მიდგომას უფრო ხშირად ვხვდებით სხვადასხვა დროის მეცნიერთა ნაშრომებში. სოციალური სტრუქტურის მიხედვით ყველაზე მეტ კონსერვატულობას მთის კუთხეებს შორის ამჟღავნებს ხევსურეთის ეთნოგრაფიული რეგიონი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ისიც აღიარებულია, რომ ფეოდალურ ბარს ჩამორჩენილი საქართველოს მთიანეთი ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდა [12; 30]. მთიანეთის ავტონომიურ ჩართვას ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემასა და ქართულ ეროვნულ ორგანიზმში, სოციალური ვითარების ამსახველ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, კარგად მიუთითებენ იდეოლოგიური სფეროს ტრადიციებიც [27].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი ყოფისა და სოციალური სისტემის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მასალებს, მით უფრო წერილობითი წყაროების სიმცირის გამო (ბართან შედარებით). საკითხთან დაკავშირებით, მკვლევართა მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია მრავალმხრივ საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები. ბევრიც ელის გამომზეურებას. საგულისყურო ეთნოგრაფიულ მასალას წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოპოვებული მასალები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ [4; 5; 6]. მთიანეთის საზოგადოებრივი ყოფისა და სოციალური სისტემის კვლევის თვალსაზრისით გვართა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემები ფაქტობრივად არ იყო შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში, თუმცა სხვადასხვა პრობლემის კვლევისას ასეთი მასალები ყოველთვის იმსახურებდა ეთნოგრაფთა ყურადღებას რ. ერისთავით დაწყებული და თანამედროვე საბჭოთა მკვლევრებით დამთავრებული (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია, ალ. რობაქიძე, თ. ოჩიაური, ვ. ითონიშვილი, ი. ჭყონია, მ. კანდელაკი, ჟ. ერიაშვილი, რ. თოფჩიშვილი და სხვ.). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ალ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული ჩანაწერები.

კარგა ხანია აღიარებულია, რომ გვართა ისტორიის ამსახველი გენეალოგიური გადმოცემები ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. ასეთი გადმოცემების სანდოობის შესახებ მიუთითებდა ალ. რობაქიძე: "ხალხში შემონახული გენეალოგიები გარკვეულ ნაწილში და მათი კრიტიკული შემოწმების პირობებში ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ საინტერესო წყაროს წარმოადგენს" [15; გვ. 75; 32; გვ. 183]. ისიც აღიარებულია, რომ გადმოცემების განსაკუთრებული სახე, რომელსაც "ანდრეზს" უწოდებენ, რეალურ სინამდვილეში მომხდარი ფაქტის კონსტატაციაა [20; 14]. სწორედ ანდრეზების ჯგუფს მიეკუთვნება მთაში დაცული გადმოცემები ამა თუ იმ გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართველ მთიელთა გადმოცემები გვართა გენეალოგიების შესახებ ზეპირი ისტორიაა, რომლის მეცნიერული შესწავლა იძლევა იმის დანახვის საშუალებას, რომ ზეპირ ისტორიაში დაცულია ჭეშმარიტი ისტორიული სიმართლე.

რა განაპირობებდა მთაში ანდრეზების, გადმოცემების, გენეალოგიების მაღალ დონეზე შემონახულობას? – პირველ რიგში, მთისათვის დამახასიათებელი სოციალური სისტემა (რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ასეთ გადმოცემებს და უფრო მეტად მცირდება ასეთი გადმოცემების სანდოობა). ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა გადმოცემა-გენეალოგიებს დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმამდელი საზოგადოებისათვის. ა. გურევიჩს თუ დავიმოწმებთ, «Варвары проявляли напряженный интерес к генеалогиям и родовым сказаниям. Это не просто естественный интерес к прошлому, он прежде всего имел практическое значение» [25, გვ. 415]. საქართველოს მთიანეთში დიდი როლი უნდა ეთამაშა აგრეთვე ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. ხანგრძლივი ზამთარი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობისაგან დიდი ხნით მოწყვეტას იწვევდა, რაც განაპირობებდა მამაკაცთა ხანგრძლივ შეკრებას და უფროსი თაობის წარმომადგენელთა მიერ

ძველი ამბების და მათ შორის განეალოგიების, ანდრეზების არაერთგზის მოყოლას (შეიძლება ითქვას, რომ მთის თითოეული კუთხე თავისი ცხოვრებით, თავისი წარსულით ცხოვრობდა). ამავე დროს, ასეთი გადმოცემა-ანდრეზებით ჩვენს მთაში შემავრებული იყო გვარის (თემის) ერთობა, რასაც ადგილობრივთა სათემო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს გენეალოგია-გადმოცემები იყო ერთ-ერთი მთავარი პირობა ტერიტორიული თემების სიმტკიცისა და ერთიანობისა, რომლებიც გარეგნულად გვაროვნული თემის შთაბეჭდილებას ახდენდნენ. სხვათა შორის, მსგავსი გადმოცემებით განპირობებული იყო სკანდინავიელთა ყოფა VIII-XI საუკუნეებში [29, გვ. 297].

გვართა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალებით შესაძლებელია რიგი ეთნოისტორიული და სოციალური საკითხების კვლევა, კერძოდ: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქართული ეთნოსით დასახლების საკითხი; აქ ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესები და ეთნიკური ისტორია; მთიელთა მთასშიდა და მთის გარეთ მიმართული მიგრაციული პროცესები; მთიელთა ანთროპონიმია და სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი; ტყვის სოციალური სტატუსი; პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან გამოყოფის ტენდენციები და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი მიძღვნილია ამ უკანასკნელი პრობლემისადმი. იგი თავის ძირითად ნაწილში ეყრდნობა ალ. ოჩიაურის ხელნაწერ ეთნოგრაფიულ მასალებს [15], რაც ობიექტური პირობებით შეიძლება აიხსნას: ფშავ-ხევსურეთის ყოფის თვითმხილველის ამ 40-50 წლის წინ მოძიებული მასალები უფრო სრულყოფილია, ვიდრე ამ ნაშრომის ავტორის მიერ თითქმის გაუკაცრიელებულ მთასა და ბარში განსახლებულ მთიელებში ჩაწერილი მასალები.

XIX ს. ეთნოგრაფიული მონაცემებით ხევსურეთში სულ 28 გვარი მოსახლეობდა. ესენია: არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური, წიკლაური, ბურდული, გიგაური, ზვიადაური, ქისტაური, ქერაული, ქეთელაური, ალუდაური, შეთეკაური, დაიაური, ქიბიშაური, ჯაბუშანური, ბალიაური, ცისკარაული, ოჩიაური, ნაროზაული, თეთრაული, გაბური, მინდიკაური, ხოსიაური, მამიაური, ზარიძე (იგივე ხორნაული), ლიქოკელი, მურღუევი (მურღვანი). გადმოცემით, ყველა ჩამოთვლილ გვარს თავისი ისტორია გააჩნია, როგორც ხევსურეთში დასახლების [6], ისე სხვა გვარებთან და ადგილობრივ სოციალურ სისტემასთან ურთიერთობა-მიმართებისა. ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღნიშნული გვარების ისტორიის განხილვა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ისტორიულად ხევსურეთში გვარების გაცილებით მეტი რაოდენობა მოსახლეობდა [6]. როგორ და რანაირად მოხდა აქ გვარსახელთა რაოდენობის შემცირება? ხევსურეთში ეს პროცესი ძირითადად სამი გზით მიემართებოდა:

1) მცირერიცხოვანი და სუსტი გვარების დიდ (კაცრიელ) და ძლიერ გვარებში შესვლით (ე.ი. მიმდინარეობდა გვარების გამსხვილების ხელოვნური პროცესი. მსგავსი სოციალური მოვლენა დადასტურებულია გუდამაყარში¹) [5]. გვარების გამსხვილების ერთ-ერთი გზა იყო, აგრეთვე, ჩვენს მთაში დადასტურებული ამანათობის ისნტიტუტიც [26]; 2) ზოგიერთი გვარის აყრა-გადასახლებით მეზობელ მთის რეგიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში [4]; 3) ზოგიერთი გვარის (ანდა გვარის დანაყოფის //პატრონიმიული ერთეულის// მამიშვილობის) ამოწყვეტით. გვარების შემცირების სამივე გზა ხევსურეთის საზოგადოებრივი ყოფითა და სოციალური სისტემით იყო განპირობებული და შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი ხდებოდა ისტორიის გრძელ მანძილზე და ერთის მოქმედება მეორის ან მესამის მოქმედებას ხელს არ უშლიდა. გვარების შემცირების სამივე გზა ერთდროულად მიმდინარეობდა: ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ.

¹ გუდამაყრელთა წიკლაურების გვარში, გარდა წიკლაურებისა, გაერთიანებული არიან სხვადასხვა გვარები: ხარხელაური, თამნიაური, თლოშიაური, ბუბუნაური, ჭოჭოლაური, მიგრიაული. ბექაურების გვარში გამოიყოფა ცუცქენაურების და შარვანაულების შტოები, რომლებიც ადრე ცალკე, დამოუკიდებელი გვარები იყვნენ [იხ. 5].

ამოწყვეტილი (აგრეთვე, აყრილ-გადასახლებული) გვარების შესახებ ეთნოგრაფიული მასალები პასუხობენ წინამდებარე ნაშრომში შესასწავლ პრობლემას. თავდაპირველად მივმართოთ სათანადო ხევისურულ ეთნოგრაფიულ მასალებს.

არხოტის თემში, XIX ს. არსებული ხუთი სოფლის გარდა, ყოფილა კიდევ ორი სოფელი – **თათხელი და ორბელთა**, რომლებშიც შესაბამისად თათხელიონთა და ორბელთა გვარებს უცხოვრიათ. ორბელთა გვარზე, როგორც ხევისურეთიდან აყრილ გვარზე, ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქ კი დაწვრილებით შევჩერდებით თათხელიონებზე, რომლებიც მსხვერპლნი გახდნენ მეთემეთა ერთობლივი მოქმედებისა. ალ. ოჩიაურის თქმით, "ეს ხალხი იყო ძალიან ამაყი. ისინი ხალხს არ ეპუებოდნენ და არც ჯვარ-ღმერთი სწამდათ. ამიტომ ისინი ხალხს აწუხებდნენ (ალ. ოჩ., 1-2). თათხელის მკვიდრნი, მათ ადგილში თუ მსხვილი პირუტყვი გადავიდოდა, მას პატრონს აღარ უბრუნებდნენ. თათხელიონთი ყველას ეშინოდა. მათ ისე ჰქონდათ დაკანონებული, რომ სოფელზე თუ ვინმე გაივლიდა (თათხელი გზაზე ამაყი და ახიელს შორის მდებარეობდა), გამვლელს აუცილებლად უნდა დაემახა: "თათხელიონნო, კარში გამვედით". ისინიც გამოვიდოდნენ, თუ გამვლელს კარგი რამ ექნებოდა, წაართმევდნენ. თათხელიონთა შიშით გზაზე ვერავინ გაივლიდა, მათ მიერ შემოთავაზებული დამახების ფორმულა რომ არ შეესრულებინა. თათხელიონთა გვარში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი პიროვნება, სახელად სისკარა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თანასოფლელებში მოპოვებული და ისინიც მისი მითითების მიხედვით მოქმედებდნენ: "რასაც სისკარა იტყოდა, დანარჩენებიც იმას ასრულებდნენ" (ალ. ოჩიაური., 1-3). ამასთანავე, თათხელიონთ, საუკეთესო სახნავ-სათიბი ადგილებიც ექირათ. ბოლოს თათხელიონთა სიამაყემ და მძლავრობამ აპოგეას მიაღწია: ერთ დღეს თათხელის ბოლოზე ერთ ამღელ მოხუცს გაუვლია, რომელსაც მათთვის არ დაუძახია. თათხელიონებმა, სისკარას ბრძანებით, მოხუცი ძალიან სცემეს, შეურაცხვეს და ისე გაუშვეს ამაღამ. მოხუცის გალახვა საბაზი გახდა თათხელიონთა ამოწყვეტისა. მეთემეებმა პირი შეკრეს და გათენებისას თავს დაესხნენ გაამაყებულ გვარს. ჯერ სისკარა მოკლეს და შემდეგ ყველა, მთელი გვარი ამოწყვეტეს. "ხალხის თქმით, თათხელიონნი ამოწყვეტა სიამაყემ და ურწმუნობამ" (ალ. ოჩ., 1-4). აღნიშნულის შესახებ ხალხური ლექსიცაა ნათქმავი:

"ის არ ეგონა სისკარას, თუ მტერი მოერეოდა,
თავის თათხელი მზისპირი შიგში აერეოდა,
წინითი ნადგომ სუფრაი თუ სისხლში გაერეოდა" (იქვე).

დიდი გვარი ყოფილა ბერდიაული, რომლებიც ხევისურეთის რამდენიმე სოფელში (ჩირდილი, ჩხუბა, ქმოსტი, ღელისვაკე, რომკა) ყოფილან განსახლებული. ალ. ოჩიაურის სიტყვით, ბერდიაულები "თითქმის მაგანძურს არ უთმობდნენ კაცრივლობით" (ალ. ოჩ., VII-74). ბერდიაულთ, ანდრეზი ხევისურეთისათვის ბევრი კეთილი საქმის ჩადენას მიაწერს. მათ გაუწყვეტიათ ხევისურეთზე დასალაშქრავად წამოსული ლეკის ლაშქარი, ბოდავიდან მოუტანიათ ბოდავის მინდორჯვარის ნიში და ამით ხევისურეთი უხსნიათ ხანგრძლივი, შვიდწლიანი გვალვისაგან. ყოველ წელს ბერდიაულებს ბოდავიდან მოყავდათ ბოდავის მინდორჯვარის დროშა. ანდრეზებით, ყოველივე ამას ბერდიაულები ძალიან გაუამაყებია. "ბერდიაულნი იქამდინ გათამამებულიყვნენ, რომ ბოლოს ჯვარმა წაიცდინა და თავისი მოყვანილი მედროშე თვითონ მოკლეს. ამის შემდეგ გაუწყრა მინდორის ჯვარი და ბერდიაულები სულ ერთიანად ამოწყდნენ" (ალ. ოჩ., VII-77). ხალხის რწმენით, ბერდიაულთა ამოწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი "ურჯულოს" განუსაზღვრელი რაოდენობით კვლაც ყოფილა. ღრმად თუ ჩავუკვირდებით ალ. ოჩიაურის აქ მოტანილ ეთნოგრაფიულ მასალას, ნათლად ჩანს, რომ ბერდიაულებს კავშირი ჰქონდათ დამყარებული ბართან, ბარის სალოცავთან. მთის, ბარისაგან განსხვავებულ, საზოგადოებას კი, საგულვებელია, არ სურდა ბართან მუდმივი კავშირების დამყარება. ეს ხომ არ გახდა მიზეზი ჯერ ბოდავის მედროშის მოკვლის და შემდეგ ბერდიაულთ ამოწყვეტისა?

არა ერთი და ორი მიზეზით ხევსურეთში ამოწყვეტილ გვარებს (მამიშვილობებს) შორის გვხვდებიან ისეთები, რომლებიც ითვისებენ როგორც მეზობელთა, ისე თემის (სალოცავის) კუთვნილ ადგილ-მამულებს. ქეთელაურთ გვარის ერთ-ერთი დანაყოფი (ხევსურული ტერმინით "მამა") ყოფილან **კინწანი**. "ისინი იყვნენ საშინელი ამაყი, უყვარდათ ქურდობა, დამცემლობა და ძალმომრეობა. ისინი არც სოფელს და არც ჯვარ-ჯვარისკარს არაფრად აგდებდნენ. სოფელში ისე იქცეოდნენ, როგორც მათ სურდათ და ხმის გაცემა არავის შეეძლო. მიდიოდნენ სხვის სათიბში და თვითონ თიბავდნენ. აგრეთვე, სხვის მამულებს ეტანებოდნენ სახნავად. ჯვარში, როცა ლუდი და დღეობა იყო, იქაც თავისუფლად იქცეოდნენ". "როგორც ხალხის მამულების, ასევე საჯვარო მამულების მოხვნასაც არ ერიდებოდნენ. სახლში რომ ხორცი შემოაკლდებოდათ, წავიდოდნენ სადმე მთებში, ან მეცხვარეების ცხვრებს გამორეკავდნენ, ან სადმე სხვა სოფლის მცხოვრებლების მსხვილფეხა რამეს, რომელიც სიმსუქნეზე მოეწონებოდათ, წამოიყვანდნენ და დაკლავდნენ სახლში". "ხევსურებმა რჯულის ძალით იციან საქმის გარჩევა, მაგრამ კინწანი რჯულში ადვილად არავის მოჰყვებოდნენ. როცა თვითონ ბრალი ედებოდათ, ძალას გამოაცხადებდნენ: რჯულში არ მოგყვებით და რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ადვილად ვერავინ გაუბედავდა სამაგიეროს გადახდას. ბოლოს კინწანი მივიდნენ და თავის მეზობლის ჩოდრათ მამუკას მამულები მიითვისეს და ძალით დაიწყეს მისი ხვნა" (ალ. ოჩ., II-20/22). ვრცელი ამონაწერები ალ. ოჩიაურის მასალებიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად იყვნენ კინწანი თემისადმი დაპირისპირებულნი, როგორც სახალხო, სათემო, ისე რელიგიურ საქმეებში. კინწათ სიამაყეს საზღვარი არ ჰქონია, რაც, გადმოცემით, გამხდარა მიზეზი მათი ამოწყვეტისა. "ხევსურებმა მათი გათავება მიაწერეს მათ სიამაყეს, ჯვარ-ჯვარისკარში და ხალხში თავაშვებულობას და სხვ." (ალ. ოჩ., II-20). თუმცა ისინი ერთი კაცის ჩოდრათ მამუკას მსხვერპლნი გახდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებით, ხევსურეთში გაამაყებული გვარების (მამიშვილობების) ამოწყვეტა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში ხდებოდა, როგორც ერთობლივად თემის, ისე ცალკეული პიროვნებების მიერ. ზოგჯერ, სანამ მათ მიმართ უკიდურეს ზომებს განახორციელებდნენ, მიმართავდნენ გაფრთხილებას: ამის შემდეგ სალოცავებში არისხებდნენ. გადმოცემებით, დარისხების შედეგად, ხატის მიერ ამოწყვეტილიც ბევრია. კონკრეტული მასალების მოტანა შორს წაგვიყვანდა. დავასახელებთ ზოგიერთ მამიშვილობებს, რომლებიც თემიდან გამოცალკევებას ლამობდნენ და ამის გამო იქნენ ამოწყვეტილნი: **მარტიანი** (სოფ. აჭეხი, არაბულების მამიშვილობა) – ადგილ კეოში მიითვისეს ლიქოკელთა მამულები, რაზედაც ამ უკანასკნელებმა მარტიანი დაარისხეს (ალ. ოჩ., VI-62). **ნანაისძენი** (მოწმაო) – "დაუწყეს სოფელს ბრძოლა. წაართვეს მამულები მეზობლებს". ამოწყვეტა სოფელმა ერთობლივად (ალ. ოჩ., X-119). **ორჩოლანი** (ოჩიაურთ მამიშვილობა) – "სამან-სამძღვარს ეტანებოდნენ". "სხვის მამულში ნაპირებზე გადასწვდნენ სამანს". სოფელი უშლიდა სხვისი მამულების მითვისებას, მაგრამ ამაოდ. **ორჩოლანი** სტიქიური უბედურების (ზვავის) მსხვერპლნი გახდნენ. "ხალხმა მათი გათავება მიაწერა იმას, რომ სამან-სამძღვარს არ ინდობდნენ" (ალ. ოჩ., VII-15/16): **გუგუანი** (ნაროზაულთ მამიშვილობა) – "მათი მამის ხალხი ამაყები იყვნენ, არავის არაფრად არ აგდებდნენ, მამულებს და სახნავ-სათიბ მიწებს ძალით ითვისებდნენ" (ალ. ოჩ., 1-10). ბოლოს, ერთმა კაცმა არხოტის ჯვარის გალავანთან ხმალი იხმარა, რაც საბაბი გამხდარა გუგუათ გათავებისა: **ყაბელნი** (სოფ. რომკა, წიკლაური გვარის ერთ-ერთი მამა) – მდიდრად ცხოვრობდნენ და სხვის მამულებს ეტანებოდნენ" (ალ. ოჩ. VIII-88); **ბასილანი** (სოფ. რომკა) – ამოწყვეტის მიზეზი იყო ტყუილად დაფიცება და ჯვარის მამულების მითვისება (ალ. ოჩ., VIII – 87); **ალბექანი** (მოწმაო. არაბულთა ერთ-ერთი მამა) – "აიშენეს სახლი ჯვარის ადგილში და ჯვარის მამულებსაც თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ხალხი ჩუმად არისხებდა" (ალ. ოჩ., IX – 107); **ნებიერელნი** (ლიქოკის ხეობა) – "ერთბაშად მათ მამაში ოცამდი კაცი ითვლებოდა ხმლისა და თოფის ამტანი". მათ სამოსახლო ადგილში იახსარი ყოფილიყო დაარსებული. არ აიყარნეს ჯვარის ადგილიდან. ბოლოს იახსარი გაუწყრა და ქალ-ქალიშვილიანად ამოწყდნენ (ალ. ოჩ., X_118). ამავე მიზეზით გათავებულან

დავითაურნი (ს. გველეთი); **კიწონი** (ს. მოწმაო) – მათი მძლავრობით სოფელი დროებით აყრილა და სხვაგან გადასახლებულა; მითვისებული ჰქონდათ როგორც მეზობლების, ისე სალოცავის მამულები (ალ. ოჩ., VIII – 102/103). **ბაბუანი** (ს. ბაკურხევი, ფიცხელაურთ ერთ-ერთი მამა) – იპარავდნენ ხარს, ცხენს, ცხვარს. "ითვისებდნენ ჯვარის მამულებს" (ალ. ოჩ., VI_61); **კალაურნი** (სოფ. აჭეხი) – "მანთია კალაური თანდათან გამრავლდა და აღარაად ვის აგდებდა არც ხალხს და არც ჯვარჯვარისკარს". "გახდნენ თექვსმეტი სული. ისინი თანდათან გათამამდნენ და თავის დავლათს ხთიშვილთ დავლათზე მაღლა აყენებდნენ". აღარაფრად აგდებდნენ სალოცავს და სცემეს მედროშეს (ალ. ოჩ., X_114_116). ბურდულების გვარიდან ამოწვეტილან: **თავბერაულნი, ყარდანაულნი, თინიბექანი და ტაუზანი**. პირველი სამი მამიშვილობის ამოწვეტის მიზეზი სათემო, საჯვარო და პირად საკუთრებაში არსებული მიწების მითვისება ყოფილა (ალ. ოჩ., VII_73, 84). ტაუზათ "გამეგების მიზეზი იყო ძმობის ღმერთის დალაზვა და მეტად თავისაკე მიწეულობა. ტაუზად ჯარჯო ღარიბებისაგან მამულებს ყიდულობდა და სულ ცოტა ფასს აძლევდა. როცა ღარიბებს საქმე გაუჭირდებოდა, მაშინ ცოტა რამეს მისცემდა და მამულს თვითონ იჭერდა (ალ. ოჩ., VI_70). ბურდულების გვარში ამოწვეტილია **სამნანთ მამაც** (სოფ. ილღია) – "ლამფაის შუქი ღამღამობით მათ სახლიდან გამომდინარი ჯვართ ადგებოდა და ამას არ იხდენდა". "მაგრამ ჯვარი რაკი ერთი გაწყრა, აღარ შეინდო-შეიწყნარა ამ ხალხის ლოცვა და ბოლოს სულ ამოწვეტიდა ისინი" (ალ. ოჩ., VII_78); **ბაყინალი და ზეზვანი** (სოფ. გველეთში) – ბაყილანი "სიმრავლის გამო აზეზურებულან და დაუწყიათ სიამაყე. აღარც ჯვარი სწამდათ და არც სოფლის უღური. ამიტომ თანდათანობით შემცირდა მათი მამა" (ალ. ოჩ., XI_105); **ხორჯანი** (ბაკურხევი, ფიცხელაურთ ერთ-ერთი მამა) – "ქურდობდნენ, ამაყობდნენ, ხოცავდნენ ხალხს მთიულეთში და გუდამაყარში". "დაუწყია ხალხს რისხვა, მაგრამ მაინც ისინი არავის ეპოვებოდნენ. ჩვენი დავლათი ხთისშვილთ დავლათზე ნაკლები არ არისო – იტყოდნენ ხარაჯანი – ჩვენ მტერი ვერ მოგვერევა, ვერც ხმლით, ვერც რისხვით და ვერც დავლათითო. ხალხი რომ აუტყდა და ახოხორდა მათ საქციელზე, ჯვარიც გაუწყრა და ღმერთიც. გაუჩნდა ჟამი და ამათ მამაში სულ გაწყდა ქალიც და კაციც" (ალ. ოჩ., VI_64); **ხაომაჯალანი და ჭოლიკანი** (ლიქოკელთა გვარში) (ალ. ოჩ., VIII_92_93); **ომანი** (ქმოსტი, ბურდულთა გვარის ყარდანაულთ მამის ერთ-ერთი მამა) – "ომანი ქმოსტში ყველანი მდიდრები იყვნენ. მაგრამ მათ არ სწამდათ არც ჯვარი, არც ღმერთი. მამულები დაიჭირეს ჯვართან ახლოს" (ალ. ოჩ., XI_121); **კვირიკანი** (სოფ. ახიელი, ცისკარაულთ ერთ-ერთი დანაყოფი) – "ყოფილან ძალიან ამაყი ხალხი. მათი სიამაყე გამოიხატებოდა იმაში, რომ არც სოფელში, არც თემში არავის არ ეპოვებოდნენ, არაფრად აგდებდნენ არავის და რაც სურდათ იმას აკეთებდნენ. თუ თვითონ არ სურდათ, არც სახალხო საქმეს გააკეთებდნენ და არც საჯვაროს – არც საერთო წესებს და რჯულს ემორჩილებოდნენ. მათი სიამაყე კიდევ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღილღვებს (ქისტებს) ხოცავდნენ სალალ-სანებივროდ". "საბოლოოდ მთელი გვარი ამოწყდა, რაც ხალხმა მათ სიამაყეს მიაწერა" (ალ. ოჩ., I_4_9); **ხორჩანი** (ა. ახიელა, ოჩიაურთა ერთ-ერთი დანაყოფი) – "ამათი მამის ხალხი ყოფილან საშინელი ამაყი. ისინი უფრო ქისტებზე ნადირობდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ხირჩათ მინდია ყველაზე ამაყი იყო (ხევსურები ქისტის ან სხვა მაჰმადიანის მოკვლას ცოდვად არ თვლიდნენ. მაგრამ მაინც ასე იტყოდნენ: ქრისტიანის ხალხის ხოცა კი არა და ჯერ ურჯულოს ხოცაიც არ ვარგა. ისიც საბოლოოდ მაეწვევის; მითომ გვარს ღმერთი გაუწყრება და ამოწყვეტსო). ხირჩათ მინდიას 11 კაცი მოუკლავს და მეთორმეტე ტყვედ მოუყვანია". "როგორც ხალხი ამბობს, ხირჩანი ამოწყდნენ იმიტომ, რომ მეტად ბევრს ურჯულოს ხოცავდნენ" (ალ. ოჩ., 1_6_8). ხორჩაულთ გვარში რამდენიმე მამიშვილობა ამოწვეტილია: **ბაყიანი, ჭულიანი, ივანიკანი, ჯოყოლანი, მაღალანი**. "მაღალათ ჯურხა განთქმული იყო სიამაყით. არ სწამდა არც ჯვარ-ჯვარისკარი და არც სოფელი. სულ მუდამ შარში, შულღში და ჭრა-ჭრილობაში იყო, სადაც ვის მამული მოეწონებოდა, გაუხდიდა შულღად, ეჭრევიებოდა და მეძრე მამულს წაართმევდა. ბოლოს მოეწია ხალხის ცოდო და ცოლ-შვილიანად ამოწყდა" (ალ. ოჩ., VIII_29); **ჯოყოლანი** ზარიძეების გვარში ერთ-ერთი მამა იყო. ესენი ცხოვრობდნენ

სხვა ხორნაულებთან შედარებით უფრო კარგად. გადადიოდნენ მიწათ ღმერთს. ხორნაულთაში მიწის ნაკლებობა იყო და ხალხი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. როცა ვინმე მოკვდებოდა და ოჯახს ხარჯი დასჭირდებოდა გასაღებად და სახლში არაფერი ჰქონდა, მიმართავდნენ ჯოყოლათ, რადგან "მათ ყველაფერი ეშოვებოდა – მკვდრის ხარჯისათვის საჭირო სატან-ერბო, საკლავი და დრამაში გასაღები უნჯი და ვერცხლი. ჯოყოლანი ასეთებისაგან მამულებს ყიდულობდნენ სულ იაფ ფასებში, რადგან ღარიბ კაცს მეტი გზა არ ჰქონდა, მიწა უნდა გაეყო და ისიც იაფ ფასად, თუკი ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვინმე დაეხმარებოდა. ამათ აგრეთვე ახასიათებდათ ჯვარ-ჯვარისკარის არაფრად ჩაგდება. თუ ეწადათ, გავიდოდნენ ჯვარის სახნავ-სამკალში, თუ არ ეწადათ, არც იმუშავებდნენ და არც დასტურად დადგებოდნენ... ყველა ამ შანაცოდვარზე ამოწყდნენ ქალქალი-შვილიანად. მათი ქონება ცამეტმა კომლმა გაიყო, რადგან მათი ახლობელი აღარავინ იყო" (ალ. ოჩ., VIII_89); ამავე მიზეზით ამოწყვეტილა ს. კალოთანაში ქიბიშაურების ერთ-ერთი მამიშვილობა – **სოფარანი** (ალ. ოჩ., V_49_51); ამოწყვეტილან **ყურაულნი** (სოფ. ჭიე), რომლებიც საჭინჭარაულოში შედიოდნენ. "ყურაულნი არაფრად აგდებდნენ არც ჯვარს და არც იმის ყმათ. ეტანებოდნენ გუდანის ჯვარის მამულებს, ხნავდნენ და პურს იყენებდნენ თავის სასარგებლოდ. ჯვარს არაფერ წილს არ აძლევდნენ ნალაურში. გუდანის ჯვარის ადგილში ჰქონდათ სახლიც. ჯვარი ამიზეზებდა, მკითხავის პირით უთვლიდა: "ჩემს მიწა-წყალს თავი დაანებეთ, მკლავი მკლავს ნუ გამისწორეთ და კისერი კისერს, თორემ განანათავ". მათ მაინც არ დაიშალეს. ბოლოს ჯვარმა რომ ვერ მოიყვანა ჭკუაზე, შეუდგათ ავადობა და სულ ამოწყდა ეს მამა ქალ-ქალიშვილიანად" (ალ. ოჩ., VI_61_62). სხვა გადმოცემით, ყურაულნი გვევლინებიან აგრეთვე რჯულის დამრღვევად: "მამკლავ-მამკვდართ ერთად შეხყრიდნენ და მამკვდრის პატრონს ნებას არ მისცემდნენ, რომ მამკლავი მაეკლა. როგორც მათ სურდათ, ყველაფერი ისე უნდა გაკეთებულიყო..." (სლ. ოჩ., IV_101). ამოწყვეტილთა შორის, გადმოცემით, არიან ისეთებიც, ვინც ტრადიციულად დაკანონებულ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობას დაარღვევდა. ჩანს, თემი ეკოლოგიის დაცვასაც კონტროლს უწევდა. მაგალითად, ამ მიზნით ამოწყვეტილან **ხომიზურანი** (ცისკარაულთ ერთ-ერთი მამიშვილობა). "ხალხის თქმით ცისკარაულთ ეს მამა სიურჩემ და სიამაყემ კი არ ამოწყვიტა, არამედ ჯიხვების გადამეტებით ხოცვამ. შემოუწყველია ნადირი მწყემსს და დაილივნენ (ამოწყდნენ) ქალ-ქალიშვილიანად" (ალ. ოჩ., I_10). ხალხის რწმენით, ჩანს, ხატის მსახური ხუცესები ხევსურეთიდან არ უნდა გადასახლებულიყვნენ (რაც, თავისთავად ცხადია, ხუცესთა მიერ – ღვთისმსახურების შეწყვეტას გამოიწვევდა). ასეთ გადასახლებულს ხატი სჯიდა. გადმოცემით, ასეთი დღე დაადგათ ცისკარაულების გვარის **ფუნჩანთ** მამას. ერთ-ერთი ამ მამიდან, დავით ხუცესი კავკავში გადასახლებულა, სადაც თვითონ და მისი შვილები მოკვდნენ. ალ. ოჩიაურის თქმით, "ლაპარაკობდნენ, არხოტის ჯვარს არ უნდოდა, რომ მისი გამძღო დავითი სადმე წასულიყო, მას – დავითს – წასვლის ნებას არ აძლევდა, თავის ძალით წავიდა და არხოტის ჯვარმა გააძვეაო" (ალ. ოჩ., II_15); **კანათანი** (სოფ. გურო) – ეს უკანასკნელნი "თავის სიამაყით და უწესო საქციელით ამოწყდნენ რუსეთის ძველი მთავრობის დროს" (ალ. ოჩ., III_35_36).

ზოგიერთი ხევსურული გვარი ნაწილობრივ ამოწყვეტილა. გადარჩენილთა ნაწილი ხევსურეთიდან გადასახლებულა, ნაწილი ადგილობრივ აგრძელებდა ცხოვრებას, როგორც სხვა გვარის ერთ-ერთი პატრონიმიული ერთეული [6]. XIX-XX სს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, შატილელი ჭინჭარაულების ერთ-ერთ პატარა მამიშვილობას ჯალაბაურები წარმოადგენდნენ [21. გვ. 193]. ალ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული მასალით კი, ჯალაბაური შატილში ძველად დამოუკიდებელი გვარი ყოფილა, რომლებიც სხვებისაგან თავისი კაცრიელობით და სიამაყით გამოირჩეოდნენ. ჯალაბაურების შემცირება ხევსურეთში ორი გზით წარმართულა: L ა) ხევსურეთიდან ფშავსა და გუდამაყარში მიგრაციით [14, გვ.8-13, 24, გვ.35; 4, გვ.94] და ბ) ამოწყვეტით. "ჯალაბაურნი ხევსურეთშიც ამაყობდნენ და აგრეთვე ფშავს აწუხებდნენ" (ალ. ოჩ., IX_38). ჯალაბაურთ გვარში ყოფილა თავისი სიამაყით გამორჩეული

ვინმე თათარი, რომელიც არ ერიდებოდა მთისათვის დამახასიათებელი ადათ-წესებისა და ტრადიციების დარღვევას. თათარს დაურღვევია სტუმარმასპინძლობის წესები. მას ერთხელ სამი ღილღველი მოსვლია სტუმრად, ჩვეულებრივ, კარგად გამასპინძლებია, მაგრამ მძინარეთათვის თავები მოუჭრია (ალ. ოჩ., IV_39). ჯალაბაურებს ყოლიათ კიდევ თავისი სიამაყით სახელგანთქმული თაძია, რომელიც ხშირად თავს ესხმოდა ქისტებს, მოყავდა ტყვეები, შინაური პირუტყვი და ქონება. შატილელებს არ მოსწონდათ ჯალაბაურთ მიერ მეზობელი მითხოვლების დალაშქვრა, მაგრამ "ჯალაბაურნი კაცრიელნი იყვნენ და თან ამაყნი, ამიტომ არაფერს ეუბნებოდნენო (ალ. ოჩ., IV_40). "შატილში ყოფილან ჯალაბაურები. ეგენი ყოფილან ამაყი ხალხი, სოფელი უჩაგრაჲ, წყალი არ უზიდვინებია, მოჩხუბარი, მხოცველი და ერთი ხათაბალა ხალხი ყოფილა" (ბაბუტა ზვიადაური, ს. გამარჯვება). ზემოხსენებულ თათარ ჯალაბაურს ხუთი ვაჟი და ერთი ქალი ყოლია, რომელიც ცოლად ყოლია გიორგიწმიდელ საგინას. ჯალაბაურებმა სიძის დაჩაგვრაც დაიწყეს. ართმევდნენ საქონელს, ნანადირევს. შეურაცხყოფილმა საგინამ თავისი ცოლეურები ღალატით დაახოცინა ფშავლებს (ალ. ოჩ., VI_41_43). ასე თანდათან დაილია ჯალაბაურების დიდი და მრავალრიცხოვანი გვარი. "ჯალაბაური დანარჩენ მძის ჩამომავლობაში თითო-ოროლა კაცი კარგა ხანს იყო, მაგრამ ისინიც ამაყები და მოუსვენრები იყვნენ, თან მამა-პაპის შანაცოდარი და ბოლოს სულ ამოწყდნენ..." (ალ. ოჩ., IV_44).

რ. ხარაძის მიხედვით, არაბულთა გვარის ერთ-ერთი "ძირია" ველგუჯაური [21; გვ. 119]. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX სს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ველგუჯაური არაბულთა გვარში და სამაგანძუროს თემში შედიოდნენ. ელგუჯაური ცალკე გვარი არ იყო. მაგრამ ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, ველგუჯაური არაბულთა გვარიდან გამოსული განშტოება არაა. აი, რას ამბობს მთხრობელი: "ყველა არაბული არაბული არაა. მე, მაგალითად, ელგუჯაური ვარ. მასში ბევრნი არიან გამოქცეული გვარები, არაბული ძლიერ იდგა და ხარქვაბით შეფიცულები ვართ. მივიდნენ და დაეწერნენ არაბულების გვარზე; გაფიცულებია: ელგუჯაური, ფიცხელაური, ბიჩინგაური, ბაბურაული, რკინაული, და სხვები. ესენი ყველანი შეფიცულებია არაბულების გვარში". ალ. ოჩიაურის მასალით, ველგუჯაურები, თავის დროზე, ხევსურეთში ძლიერი გვარი ყოფილა, რომლებიც გათავებულან. მათი ამოწყვეტის მიზეზი ქედმაღლობა, სიამაყე და ძალმომრეობა ყოფილა: "გორშედმ, სადაც ვის მამული მოეწონებოდა, მოხნავდნენ და პური შინ მიქონდათ., თუ ვინმე ეტყოდა, რატომ ხნავთ ჩემს მამულსაო, ისინი უპასუხებდნენ: "ჩვენ განა მამულს გეცილებით, მამული ისევ თქვენი იყოს, ჩვენ მარტო პურს წავიდებთ, რაც ზედ მოვაო". მათ ისეთი დავლათი ჰქონდათ, რომ პირველ ხანებში გუდანის ჯვარის დავლათს სძლედა..." მკითხავს რამდენჯერმე სიზმარი ენახა, რომ გუდანის ჯვარის დავლათს უკან მისდევდა ველგუჯაურთ დავლათი და ეს უკანასკნელი სძლედა პირველს, რამაც ველგუჯაურები უფრო გაათამამა და გაამაყა. ერთ დილით იგივე მკითხავი ამდგარა და უთქვამს: "ეჰ, ახლა კი ხათაბალა ამბავი მოხდება, გუდანის ჯვარის დავლათმა გატეხა ველგუჯაურის დავლათიო, წინ გარბოდა წითელცხენიანი ველგუჯაურის დავლათი და უკან გუდანის ჯვარის დავლათი მისდევდა და სცემდა მათრახსაო". ეს ამბავი ხევსურეთს მოედო და ელოდებოდნენ ველგუჯაურების გათავებას. ცოტა ხნის შემდეგ შეუდგათ მუცლის ჭირი და ველგუჯაურები დიდ-ცოტაიანად სულ ამოწყდნენ. დარჩა ერთ დიაცი ორსულად და ვაჟი ეყოლა. ვაჟი, რახან უცოდველი იყო, გაიზარდა და დაცოლშვილდა. ემსახურებოდა გუდანის ჯვარს და დარჩა მისი შთამომავლობა. ხოლო არც სულ გათავებულან და არც გამრავლებულან, რადგან შანაცოდვარი ძველებისა არ ამრავლებდა და ახლმ, რომ აღარ სცოდავდნენ, მათი ძე ამის წყალობით არ გათავებულა. ხოლო სამ-ოთხ მეკომურზე ზევით არ წასულა მათი რაოდენობა. ასე უყო ველგუჯაურთ თავისმა სიამაყემ _ სთქვა მთხრობელმა" (ალ. ოჩ., IX_103_105).

ასევე სულ არ ამოწყვეტილან რკინაულები, რომლებიც რ. ხარაძის მიხედვით, ველგუჯაურთა მსგავსად, არაბულთა გვარის ერთ-ერთი "ძირი" იყო. გამრავლებული რკინაულები ხიტალედან და უკანხადუდან სოფ. ჩირდილში გადასახლებულან და სალოცავის

ადგილში დამდგარან. ამოწყვეტილან დიდი რაოდენობით. გადარჩენილა ერთი ბავშვი, რომელიც ხიტალეში რკინაულთ ერთ-ერთ მამას, თადიაურებს გაუზრდიათ. "ჯვარს ეს ოჯახი სულ უნდა გაეძევა, მაგრამ ყმაწვილი რომ უსუსური, უდანაშაულო იყო, ამიტომ ის გადარჩა და ისევ მომრავლდა მათი მამა" (ალ. ოჩ., IX_99_101).

ნაწილობრივ ამოწყვეტილთა შორისაა **დაიაურების** გვარი. ეთნოგრაფიული მასალა: "დაიას შვილები ისე გამრავლდნენ, რომ ყველაფერი ხელში დაუჭერავ: შატილი, ხახაბო, მიცუ, არდოტი. დაყოყოჩებულან, არაფრად არ აგდებდნენ ხალხს მკაცრივლობით. წინავ ხომ ძალმომრეობა იყო. ამ დაიაურებმა, გამრავლდნენ, ბევრნი გახდნენ და სხვების დაჩაგვრა დაიწყეს. შატილს, ხახაბოს, არდოტს შეუკრავთ პირობა და იმათ დახოცეს ეს დაიაურები. სამ წელიწადს ჩუმად ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონდათ, რომ დაიაურები დაეხოცათ. დაიაურები იყვნენ ლეკის ტყვის შვილები და დედა ჰყავდათ შეთეკაური. მემრე მოუწვევიათ ოთხ სოფელს ყრილობა. შეიყარნეს; ყველა მომზადებით მოვიდა. დაიაურებმა არაფერი იციან. შეყრილან იქა და უცბად დაღრევიან ამ უიარალო ხალხს და სულ მთლად დაუხოცავთ. მხოლოდ ერთი ქალი არ მოუკლავთ. ხახაბოელ მამიაურებს არ გაუშვიათ: ჩვენი ქალი ერთი კვირის გათხოვილია და არ მოგაკვლევინებთო. და ქნილა ის ორსული და ისევ ბიჭი ყოლია და ისევ წარმოიშვა დაიაური იმ ერთ ბიჭზე. დამთავრდა ამით მაგათი მოძალადეობა" (მთხრობელი საბედა ხთისოს ას. შეთეკაური-დაიაური. მასალა ჩავიწერე 1986 წ. ს. გამარჯვებაში მ. კანდელაკთან ერთად).

სოფლებში _ კისტანსა და ჭეჭყეთში _ **პაპკიაურებს** უცხოვრიათ. ჭეჭყეთელი პაპკიაურები ხორხში გადასახლებულან, კისტნელები კი ამოწყვეტილან. გადარჩენილებმა ჭინჭარაულთა გვარს შეაფარეს თავი, რომლებიც რ. ხარაძის მიხედვით, ჭინჭარაულთ ერთ-ერთ ძირს წარმოადგენდნენ [21]. სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილია იმის დამადასტურებელი მასალა, რომ პაპკიაურები ოდესღაც ცალკე გვარი იყო: "ჭეჭყეთიდან ყოფილან. იმან ვერმ თუ დახკარგ. იძოვად მაჯელ ველზე სადამ. წამაიყვან, მარცვალ ჩაუსრისად გაუკვირდ. _ პაპკიაურო, _ უთქომ ურთუთცივ ვისამ. დევ ვერმად მაშჩვენებივ. **გადმამბტარ ეს პაპკიაური** (ჭეჭყეთიონის გვარი), ორჯერ დაუკრავ ხმალი. ორჯერ უნდა დახკრას, მესამედ უნდა უთხრას, რომ სამებავ, დაგისამასავ, ის პაპკიაურ გამაქცეულ, მისულ სახლში, შაუსწრავ, კარ მაუკეტავ. **პაპკიაურ ყოფილ იმათ გვარი. ჭინჭარაულობით ეწერებიან** (აქ და ზევითაც ხაზი ჩვენია _ რ.თ.). ისე კი პაპკიაურები ჭინჭარაულები" [14, გვ. 171]. კისტნელი პაპკიაურების ამოწყვეტის მიზეზი სიმდიდრე და სიამაყე ყოფილა. "კისტანში იმ დროს ცხოვრობდა ოცდასამი კომლი სხვა გვარისა და ორნი ძმანი პაპკიაურნი თორელი შვილნი. ჯერ მათი მამა თორელი ყოფილა ძალიან ამაყი, რომ სოფელში არავის არაფრად აგდებდა. არც რაად ჯვარ-ჯვარისკარი გააჩნდა, არც ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ოცდასამ კომლში ის მარტო იყო, სხვა მოგვარე არ ჰყავდა, მაინც უმკლავდებოდა მთელ სოფელს. თორელი ისეთი მაგარი კაცი იყო, რომ უკაცურობა სულ არ ეტყობოდა. ამას ჰყავდა ორი შვილი. ისინი მამაზე მეტად ამაყები იყვნენ. სულ შიმის ზარს სცემდნენ კისტნელებს. ამ ორ ძმას ბევრი ჰქონდა ძალით დაჭერილ-მითვისებული მამულები და ტყეები... სოფელი, რასაც პირს დააწყობდა, თუ ჭკუაში არ მოუვიდოდათ, ჩაუშლიდნენ პირს, რაც უნდა პირი ყოფილიყო. _ თუნდა სასოფლო-სახალხო, თუნდა საჯვარო" (ალ. ოჩ., III_33_35).

სოფ. რომკაში **ჩურთაულებს** უცხოვრიათ, რომელთა ნაწილი, ივ. წიკლაურის მასალით, ამოწყვეტილა, ნაწილი კი აქედან გადასახლებულა. ასევე აყრილან ხევსურეთიდან **პავლეურები, ფილაურები, მოწმაოელი და გველეთელი გიგაურები, ორბელნი**. გადმოცემით, სანამ სოფ. ბარისახოს მაგანძურები დაიჭერდნენ, აქ პავლეურებს უცხოვრიათ. იგი მრავალრიცხოვანი გვარი ყოფილა. პავლეურის გვარისა დღეს ხევსურეთში აღარავინაა. ისინი მანამდინ აქ იყვნენ და აწუხებდნენ ხალხს. მოხნულ-დათესილ ყანებში უშვებდნენ პირუტყვს და არავის ეპუებოდნენ. ამაზე გაწყრა გუდანის ჯვარი, რადგან უფრო ამის ყმებს აწუხებდნენ და ჩაუგდო ისინი ხელში მტერს" (ალ. ოჩ., X_117). შესაძლოა, ხევსურმა პავლეურებმა დააფუძნეს ქართალსა და ანანურს შორის სოფელი პავლეური, სადაც 1774 წლის აღწერით, 13

კომლი პავლეური მოსახლეობდა. 1846 წლის აღწერით, აქ 16 კომლი პავლეურია აღრიცხული (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. №2126, გვ. 1-7). შემდეგდროინდელ აღწერებში პავლეურში პავლეურთა გვარის აღარავინაა. თუმცა დღეს აქ მოსახლე სხვადასხვა გვარები ხევესურეთიდან გადმოსახლებულად თვლიან თავს, რომელთაგან ერთნი ძირ-გვარად ჭინჭარაულს, მეორენი – ლაშქარაულს ასახელებენ [4, გვ. 59].

ხევესურეთში **ფილაურები** ბისოსა და ხახმატს შორის მოსახლეობდნენ ხახმატის თემში. "ფილაურნი ყოფილან ძალიან ძლიერი გვარი ხევესურეთში. მათზე ძლიერი არავინ იყო. ისინი თავიანთი დავლათით ამაყოფდნენ. ეს ხალხნიც კაცრიელობით თამამობდნენ და ხევესურეთში არაად ვის აგდებდნენ. ხევესურებიდან რომ პირადად შებრძოლებას არავინ ბედავდა, ჩუმად არისხებდნენ და თავის სალოცავებს სთხოვდნენ: გვიშველეთ და მოგვაშორეთ ეს ხალხიო.. შემოსულა მტერი ღამით და ეს სოფელი მთლიანად ტყვედ დაუჭერია" (ალ. ოჩ., X_117). დღეს ფილაურები თიანეთში, გარე კახეთის სოფ. კაკაბეთსა და ახმეტაში მოსახლეობენ [4, გვ. 19].

ხევესურეთიდან აყრილან გველეთელი და დათვისელი **გიგაურები** და ჭართალში დაფუძნებულან. მათი ერთ-ერთი წინაპარი, ვინმე გიგა გიგაური ზურაბ არაგვის ერისთავს ეხმარებოდა ხევესურეთის დამორჩილებაში. ზურაბის მარცხს მოჰყვა გაგა გიგაურისა და მისი გვარის წარმომადგენელთა ჭართალში გადასახლება. მათ, რა თქმა უნდა, ხევესურეთში აღარ დაედგომებოდათ. გიგაურები თავიანთი ნებით რომ არ აყრილიყვნენ და ხევესურეთიდან არ გადასახლებულიყვნენ, მათ, ხევესურული ტრადიციის ძალით, დალევა და ამოწყვეტა მოელოდათ, რადგან ისინი უპირისპირდებოდნენ თემს, მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ არაგვის ერისთავს ხევესურეთის დამორჩილებასა და საბოლოო ჯამში, მის სოციალურ სტრუქტურაში დისონანსის შეტანაში. ზურაბ ერისთავს ფშავში ჰყოლია ასეთი "დამხმარეები", კერძოდ, ახადელი შავშალიკა შალიგაური, რომელმაც ფეოდალს ლაშარის ჯვრის მუხის მოჭრის საშუალება ასწავლა [8, გვ. 192]. ამ შენაცოდვარზე (ე.ი. თემისადმი დაპირისპირებაზე) შალიგაურები გათავებულან. საერთოდ, ცნობილია, რომ კლასობრიობამდელ საზოგადოებებში ერთი კაცის დანაშაულზე ხშირად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ პიროვნების დიდ თუ მცირე ნათესაურ ჯგუფებს [25, გვ. 402-403]. ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა ამ კატეგორიის საკანონმდებლო ნორმების ჩარჩოებში თავსდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არხოტში ყოფილა სოფ. ორბეულთა. ალ. ოჩიაურის სიტყვით, "ორბელნი იყვნენ ამაყი ხალხი, მეზობელ სოფლებს მათი შიში და რიდი ჰქონია. როგორც ამბობენ, ესენი უფრო დამცემლობით ცხოვრობდნენ" (ალ. ოჩ., 1-5). გადმოცემით, ორბელნი იმერეთში დასახლებულან, რის შესახებ ხალხური ლექსიც ამბობს:

"ადგეს, წავიდეს ორბელნი, იმერეთს წყალსა გახდესა,
ამას კი ვერავინ იტყვის, არ იყვნეს იმით წახდესა".

ორბელთა ხევესურეთიდან აყრას ხალხი მათ სიამაყეს მიაწერდა. ს. მაკალათიას მიხედვით, ორბელები "ბაგრატიონ მეფეს უნათლავს და ვისაც ქრისტიანობა არ მიუღია, აქედან აყრილან" [11, გვ. 74].

ხევესურ წიკლაურებს თავდაპირველად ფშავში, შუაფხოს მახლობლად, მაშარაში უცხოვრიათ. ერთი ოჯახიდან თერთმეტი მამაკაცი ამოწყვეტილა, იმის გამო, რომ დაპირისპირებიან ფშაველთა ქისტაურთ თემის საერთო სალოცავს იახსარს. მეთორმეტე, დანარჩენილს კი ხევესური (და შემდეგ გუდამაყრელი) წიკლაურებისათვის მიუცია დასაბამი (ალ. ოჩ., IX_108, X_109_113). ხევესურეთის ამოწყვეტილი გვარების რიცხვში შეიძლება დავასახელოთ **კიკვიზაურები** და **ბადრიაულები** (ალ. ოჩ., II_22_3), თუმცა ეს გვარები ანდრეზით არაქართულ ეთნიკურ წრეს უკავშირდებიან [19, გვ. 387-393].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მასალები აშკარად მიუთითებენ ხევესურეთში პიროვნების (ოჯახის, მამიშვილობის, გვარის) თემიდან გამოყოფის ტენდენციებზე. ამავე დროს, აშკარად ჩანს, რომ თემიდან გამოყოფის ტრენდენციის მატარებელ სოციალურ ჯგუფებს – ოჯახი,

მამიშვილობა, გვარი – ყოველთვის ჰყავდათ ლიდერები, ვისი მოთავეობითაც ეს ჯგუფები მოქმედებდნენ და გამოცალკევებისა და მის მსგავს ტენდენციებს ამჟღავნებდნენ. თემიდან პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების გამოყოფის ტენდენციები, თემისა და პიროვნების დაპირისპირება კონკრეტულად შემდეგ შემთხვევებში გამოიყენებოდა:

1. საერთო-სათემო ადგილ-მამულის (სალოცავის მამულის – სახნავის, სათიბის, ტყის) მითვისება;

2. მეზობლების, თანამეთემეების ადგილ-მამულის მითვისება და სამან-სამძვრის გადაწევა;

3. სათემო სალოცავებისადმი დაპირისპირება და საკუთარი დავლათის ღვთისშვილთ დავლათზე მაღლა დაყენება: ჯვრის მამულში სახლის აშენება, სათემო სალოცავისადმი მოვალეობის შეუსრულებლობა;

4. ხალხური სამართლის (რჯულის) დარღვევა და საკუთარი შეხედულებისამებრ ამა თუ იმ სამოსამართლეო საქმის გადაწყვეტა;

5. თანამეთემეებისაგან და თემის გარეთ საქონლის, ცხვრის მოპარვა-მითვისება;

6. თანამეთემეებსა და სხვებზე ფიზიკური ძალმომრეობა;

7. მეზობელ არაქართულ ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლების (ქისტების) გადამეტებული ხოცვა;

8. მთისათვის დამახასიათებელი თემის ადათ-წესებისა და ტრადიციების (კონკრეტულ შემთხვევაში: სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვეულებების) დარღვევა;

9. ადამიანისა და ბუნების ტრადიციულად არსებული ურთიერთობების (ეკოლოგიის) დარღვევა (კონკრეტულ შემთხვევაში: ჯიხვების გადამეტებული ხოცვა);

10. შემოსული მტრისადმი (კონკრეტულ შემთხვევაში: მთის სოციალურ სისტემაში დისონანსის შემტანის ზურაბ არაგვის ერისთავისადმი) დახმარების გაწევა.

ზემოთ მიმოხილული მასალებიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ ხევსურეთის საზოგადოებრივ ყოფაში პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან გამოყოფას, თემისადმი დაპირისპირებას მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. ადგილობრივი ტერმინი რომ ვიხმაროთ, პიროვნების, ოჯახის, პატრონიმიული ერთეულის, გვარის გაამაყების შემთხვევებს თემი ბოლოს უღებდა; თემისა და ასეთ "აღზევებულთა" ბრძოლაში გამარჯვებული ყოველთვის თემი გამოდიოდა; ძირშივე ეღებოდა ბოლო მთელ თემზე ამა თუ იმ პიროვნების (თუ სოციალური ერთეულის) დაპირისპირებას. ამდენად, მოცემული მასალა იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ პიროვნების (ოჯახის, მამიშვილობის, გვარის) თემიდან გამოყოფის და თემისადმი დაპირისპირების მხოლოდ ტენდენციები გვქონდა. თემის სიძლიერის გამო ასეთი ტენდენციები განვითარებას არ განიცდიდნენ. გამათანაბრებელი ტენდენციები დაუძლეველი რჩებოდა.

მოტანილი ეთნოგრაფიული მასალები იმასაც აჩვენებს, რომ თემი მისდამი დაპირისპირებული პიროვნებისა და მცირე სოციალური ერთეულის წინააღმდეგ მაშინვე როდი მიმართავდა უკიდურეს ზომებს. მათ ჯერ აფრთხილებდნენ (როგორც ერთობლივი თემის, ისე ღვთისშვილთა საშუალებით), შემდეგ, დაარისხებდნენ, მოიკვეთდნენ და ბოლოს ამოწყვეტდნენ. თემისადმი დაპირისპირებული პირების (ან სოციალური ჯგუფების) ამოწყვეტა ხდებოდა როგორც ერთობლივი თემის, ისე თემის ცალკეულ წარმომადგენელთა მხრივ. ხშირად ასეთი შურისმაძიებლის როლში თემის ჯვარ-ხატი გვევლინება.

თავისთავად დაისმება საკითხი როდის, ისტორიის რომელ მონაკვეთში ხდებოდა ხევსურეთის საზოგადოებრივ ყოფაში პიროვნების გაამაყების, თემისადმი დაპირისპირების, თემიდან გამოყოფის ტენდენციები, თემისა და პიროვნების (ოჯახის, გვარის, მამიშვილობის) ურთიერთბრძოლა? შესაძლებელია თუ არა ეთნოგრაფიული მასალებით აღნიშნულის გარკვევა? თუ წარმოდგენილ მასალებს დავაკვირდებით, ვფიქრობთ, შესაძლებელია. გადმოცემებში (ანდრეზებში) არაერთხელ გვხვდებიან საქართველოს ცნობილი ისტორიული პიროვნებები (თამარ მეფე, ერეკლე მეფე, აგრეთვე ბაგრატიონ მეფე). ხაზგასმულია ასეთი

შემთხვევების გვიანდებლობაც ("ძველი რუსეთის მთავრობის დრო"). ამრიგად, ხევსურეთში პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან გამოყოფის, თემისადმი დაპირიპირების ტენდენციები თავს იჩენდა ისტორიის გრძელ მანძილზე – შუა ფეოდალური პერიოდიდან XIX საუკუნის ჩათვლით. დასაშვებია აღნიშნული სოციალური მოვლენის დროდადრო გაძლიერება და მინელება. ამასთანავე, ისიც დასაშვებია, რომ პიროვნების გაამაყების ბევრი შემთხვევა (განსაკუთრებით ძალიან ძველი) დავიწყებას მიეცა (ანდრეზი აღარ შემორჩა) და ბევრიც ეთნოგრაფიის კალამმა ვერ დააფიქსირა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ კუთხეს, ხევსურეთს შეეხება. მსგავსი სოციალური მოვლენა დასტურდება თუ არა ხევსურეთის მეზობელ კუთხეებში? ამ კითხვას პოზიტიური პასუხი ეძლევა. მაგრამ სანამ მოვიტანდეთ მასალას სხვა კუთხეების შესახებ, ისევ ხევსურეთის ყოფიდან უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი გადმოცემა თორღვას შესახებ. თქმულება თორღვაზე კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში [14, გვ. 124-126], ამიტომ აქ მის სრულად მოტანისაგან თავს შევიკავებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბაბუტა ზღვადაურისაგან ჩაწერილი მასალით, თორღვა მუცოელი ბაგრატიონის ნაბიჭვარი ყოფილა. თ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ "თორღვა რეალურად არსებული... პიროვნება ჩანს, მეორე მხრივ, ექსპლუატატორად და მჩაგვრელად გვევლინება" [14, გვ. 125]. აგრეთვე, გადმოცემები მას "აღზევებულ, გაძლიერებულ პირად წარმოგვიდგენს; იგი ბეგარას ადებს მოძმე მთიელებს, ჩაგრავს მეთემეებს" [14, გვ. 125]. მთხრობელის სიტყვით, "რაც თორღვამ ჯაჭვის პერანგი დაკარგა, იმის შემდეგ აღარ იბრძოდა, თავის ხალხისაც ეშინოდა, მოკლავდნენ" (ბ. ზვიადაური). თორღვას დროებითი სოციალური აღზევება კარგად ჩანს ერთი ხალხური ლექსიდანაც:

" _ სადარა იყავ თორღაო,
სად არ აუშვი ალიო?
_ აქ სადამ ვიყავ მუცოში,
ბეგრად დავადევ ცხვარიო.
თითო ნაცრიან ტომარა,
თითო არწივის მხარიო.
_ სამჯერ გეხვეწე თორღაო,
სამჯერ დაგიკალ ცხვარია,
მეოთხე შახვეწნაზედა, _
თეთრი ქორაი ხარიო.
ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარი,
მამა წაუწყდეს მკვდარია.
შამაუბრუნა შოთამა
ისარი შხამიანია,
გადაიბრუნა თორღვამა
ბარკალი სისხლიანია.
ეგ გინდა მიცუს გაზრდილო,
ამ მაგხვდა სატკივარია"
(ბ. ზვიადაურისაგან ჩაწერილი).

თორღვას შესახებ გადმოცემებს ყურადღება მიაქცია ა. ქალდანმაც [17], რომელმაც სამართლიანად დაინახა ამ პიროვნებაში სოციალური აღზევების ტენდენციები. ავტორი გამოყოფს თორღვას სოციალური აღზევების საფეხურებს, რომელიც კარგი ყმობიდან დაწყებულია: "როგორც ჩანს, თორღვას სასარგებლოდ გასაღები ჯერ კიდევ დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი **საკარყმოდ, სამეტოდ და ბეგთად**, რაც ვფიქრობთ, თორღვას აღზევების სხვადასხვა საფეხურზე მიგვანიშნებს – ჯერ კარგი ყმაა და **საკარყმო**

სურს, მერე **მემეტა** და **სამეტოს** ითხოვს, ბოლოს კი ბეგრავს მოსახლეობას, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ამ ქმედების სურვილს უფრო იჩენს, რადგან საგმირო პოეზიის რამდენიმე ნიმუშით მოსახლეობა ბეგრავს მიცემაზე უარს ეუბნება" [17, გვ. 75]. ა. ქალდანისავე სამართლიანი დასკვნით, "მოსახლეობა იბრძოდა პიროვნების განდიდების წინააღმდეგ და თორღვა შეეწირა კიდეც მას" [17, გვ. 75]. როგორც ვხედავთ თორღვა სოციალური აღზევების ტენდენციებს ამჟღავნებს, მაგრამ ეს ტენდენციები ტენდენციებადვე რჩება, რადგან თემი ასეთ ტენდენციებს ძირშივე აღკვეთდა. ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი მასალები კი სოციალური აღზევების ტენდენციების ჩარჩოებშიც ვერ თავსდება. ისინი მხოლოდ ეკონომიკურ და ძალადობრივ გამოყოფაზე, თემისადმი დაპირისპირებაზე მიუთითებენ, რომელთა განვითარებაც ასევე განწირული იყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთგვარად შეუთავსებლად მიგვაჩნია ა. ქალდანის დასკვნა, რომ "ხევსურული მასალით, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია მაინც და მაინც ღრმად წასული არა ჩანს [17, გვ. 76]. ამ მოვლენის შესახებ მისაღებად მიგვაჩნია მ. კანდელაკის სიტყვები: «Автор на обширном фольклорном материале наглядно проиллюстрировал процесс приватизации отдельных личностей из горской среды. Однако посредством тех же данных Калдани А.М. представил бесспорные доказательства обреченности этих тенденций в горных условиях хевсурской действительности» (26, გვ. 119).

ამრიგად, თორღვას აღზევება და მეთემეებისადმი დაპირისპირებაც დროებითი აღმოჩნდა. მას ბოლო სიკვდილმა (მკვლელობა) მოუღო. სხვათა შორის, თემისადმი დაპირისპირებულთა აღსანიშნავად ხევსურეთში სპეციალური ტერმინიც კი შექმნილა – **დროსელი (დროსელები)**. მთხრობელის საბედა შეთეკაურ-ზვიადაურის (სოფ. გამარჯვება) თქმით, "დროსელი ხალხია, ე.ი. ისეთ დროს "მამაცობენ", როცა გასაქანი აქვთ". აღნიშნული ტერმინი ფშავშიც იყო გავრცელებული. ა. შანიძის განმარტებით, "დროსეული" – ავის საქნელად დროს მომლოდინე კაცი" [18, გვ. 318].

აღ. ოჩიაურს ფშავში ამოწყვეტილ გვარებს შორის დასახელებული ჰყავს დადალაურები (სოფ. ხოშარა) – "ლაშარის ჯვრისა და თამარ მეფის თას-განძის მოპარვისათვის ისინიც ამოწყვეტილან თავის ქალ-ქალიშვილიანად, რომ მათი აღარავინ დარჩენილა (აღ. ოჩ., V_53).

ფშავში ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა გოგიჭურთ თემის სულასა და კურდღელას შეეხება (სოფ. ჩარგალი). აქ მოვიტანთ თ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილი გადმოცემის სინამდვილესთან დაახლოებულ ვარიანტს: "სულასა და კურდღელას ჩარგალში უცხოვრებავ. იმათ მიღები ჰქონიათ დაწყობილი და ისე მოსდენიათ რძე. ხევსურებს შიშით ჯორებისათვის საპირულები უკეთებავ, რო არ დაეყოფინა. ამ სულა-კურდღელათ ხალხი არ უშობავ არავის ჭალაზე, არც ფშავლები, არც ხევსურები. მაშინ ხალხი მარტო აფხუმში ყოფილა. სულასა და კურდღელას დედა ლუხუმის და ყოფილა. ეგ ლუხუმი ყოფილა პაპაჩენი. იმას ჰყოლია ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქალი – ანა, ვაჟები – ივანე და ლაჭაური. იმ სულა კურდღელათ ისე შაუწუხებავ ხალხი, სასოვეთ თავის მაღალზე საპარავის ყელისას ნაბდის ხლუჩით გადაულახავ ხალხი და ლალატით დაუხოცვინებია ისეები. ხალხი ჩაუსაფრებავ, თავად მეკვლედ მოსულა. მიიღეს როგორც დედიძის შვილი. როცა დაითვრენა, ადგა და შაატყობინა იმ ხალხსა. დეცა ეს ორი სოფელი (აფხუმო და ცაბაურთა) იმ ორ კაცსა. სულაი ახუნის შასამართს მაუკლავ, კურდღელა გამაქცევია და ჩარგლის კართ მაუკლავ" [14, გვ. 116].

ზემოთ მოტანილი გადმოცემით აშკარაა, თუ როგორ მძლავრობდა ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობაზე ჩარგალში მცოხვრები ორი ძმა – სულა და კურდღელა. მაგრამ, ისევე როგორც მრავალ ხევსურულ გადმოცემაში, ასეთი "აღზევებული" და გაძლიერებული პიროვნებები (დროსელები) მარცხდებიან, ისპობიან თემის ერთობლივი მოქმედებით. მათი აღზევება მხოლოდ დროებითი მოვლენა ჩანს. ის სოციალურ კატეგორიად ვერ ყალიბდნება და თაობიდან თაობაზე ვერ გადადის. უთანასწორობის მოვლენები, პიროვნების თემიდან გამოყოფის და თემისადმი დაპირისპირების ჩანასახები ძირშივე აღიკვეთება ხალხის (თემის) მიერ. გადმოცემიდან ისიც კარგად ჩანს, რომ პიროვნება, რომელმაც ამ ორი თემისადმი

დაპირისპირებული ძმის (დროსელების) მოკვლა განიზრახა, სათემო სოფელ ცაბაურთაში მიემგზავრება და იქიდან თემის წევრთა მონაწილეობით, აფხუმოელებთან ერთად (ეს სოფელიც ცაბაურთ თემში შედიოდა), კლავს თემისადმი დაპირისპირებულ ძმებს.

ივრის ხეობის სოფ. არტანში მოსახლეობდა თავგა თაღლაური. ეს სოფელი დამორებული იყო ბუდე ფშავს და დასახლებული იყო ჭიჩოელთ თემის ფშავლებით. გადმოცემის მიხედვით, თავგა თაღლაურს სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში უსახელებია თავი და კახეთის მეფისაგან წყალობაც მიუღია. ის კი თავის უფლებების გავრცელებას ცდილობს ხალხზე: "ისე გადიდებულა თავგა, რომ მთების აქეთ თუ რაიმე გადმოვიდოდა _ ცხვარი, საქონელი და ა.შ. _ იმას იჭერდა თავისთვინა, თავისობდა თვითონ". "თავგა თაღლაური აქ არ ყოფილა, არაგვის ფშაველები რო დასცემიან, ჩაბანოს ყოფილა წასული ძმობილთან" [14, გვ. 123]. თაღლაური გამოჰკიდებია მათ, დასწევია და რამდენიმე დაუხოცია. "ოცამდე რო მოუკლავ, _ მოგვითხრობს დ. მინდოდაური. _ უთქომ: მოვკალ ოცი, აღარ ვხოცი, შამინდე ძალო შაბათისაო, _ და დაბრუნებულა. ჭალაში რომ ჩამოსულა, ერთ კაც დამრჩალა ხალხის ამხანაგი (იგულისხმება თავდამსხმელი ხალხი).

_ თავ უნდა მამეჭრა შენთვისაო, შენც იმათი ამხანაგი ხარო! _ უთქომ თავგას.

_ მე ბეჩავი ვარო.

_ მაშ აქ რადა ხარო.

_ სოფლის პირი იყო, მაშ რას ვიქმოდო.

დაუნებავ თავგას თავი. იმ თავგას ბექთარი სცმია, იმიტომ ვერავის მოუკლავ. მემრე გაუხდავ ის ბექთარი, ხურჯინში ჩაუდავ. რო წასულა, იმ კოჭლს გამაუდებნებავ ისარი. ბექებში უკრავ და მაუკლავ. მემრე გადმოსულა აქეთ ხალხი პირიქითიდანა" [14, გვ. 123]. გადმოცემიდან ჩანს, რომ სამშობლოს წინაშე მტრებთან ბრძოლაში დამსახურებისათვის მეფე ფშაველ თავგა თაღლაურს ივრის ხეობის ზემო წელში უბოძებს თავისუფალ, დასასახლებელ ადგილს, რომელზედაც, როგორც ჩანს, ფშავის თემებს თავისი პრეტენზია ჰქონდათ. ამით მეფე ხელს უწყობს ერთ დროს კარგ ყმას თავგა თაღლაურს, რომ სოციალურად აღზევდეს. თავგა, მართლაც, მძლავრობს ირგვლივ მყოფ მოსახლეობაზე და მისი მძლავრობა ბუდე-ფშავსაც კი სწვდება. საიდანაც იყო გადმოსახლებული. მაგრამ ფშაური თემი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა გადმოსახლებულ მეთემეებთან, ასეთ მძლავრობა-აღზევების განვითარების საშუალებას არ აძლევს და თავგა თაღლაურის სოციალური აღზევების ტენდენციას ძირშივე სპობს. აშკარაა, რომ თავგა თაღლაურის მოსპობა თემმა გადაწყვიტა, მკვლელი ხომ ეუბნება, რომ "სოფლის პირი იყო"-ო.

მსგავსი გადმოცემები დადასტურებულია მთიულეთსა და გუდამაყარშიც. მთიულეთში ასეთ ამოწყვეტილთ შორის არის ცხრა წიფორელი ძმა, გუდამაყარში _ მირიანული [14, გვ. 127-128, 195-196]. ხევში იგივე ბედი ეწია შიოლა ღუდუშაურს [17, გვ. 39].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალები იძლევიან იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თავისუფალ თემებში თავს იჩენდა პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების თემიდან გამოყოფის ტენდენციები. შეიმჩნეოდა პიროვნების სოციალური აღზევებაც (თორღვა, თავგა თაღლაური). მაგრამ ყოველივე ამისთანა გამოვლინებას დროებითი ხასიათი ჰქონდა. თემი ერთობლივი მოქმედებით ყოველთვის სჯაბნიდა დროისელებს, ამარცხებდა და ფიზიკურად ანადგურებდა. საბოლოო ჯამში კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ჩვენს შემთხვევაში ხევსურეთში) მხოლოდ პიროვნებისა და სოციალური ჯგუფის (ოჯახი, მამიშვილობა, გვარი) თემისადმი დაპირისპირებისა და გამოყოფის ტენდენციებს ჰქონდა ადგილი (იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ აღზევებაზე), რომელსაც ტერიტორიული თემის სიძლიერისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო შემდგომი დიალექტიკური განვითარება არ ეწერა.

ზემოთ მოტანილი და მიმოხილული მასალა, ვფიქრობთ, რამდენიმე მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს:

თემიდან გამოყოფის ტენდენციის მატარებელ სოციალურ ჯგუფებს (ოჯახი, მამიშვილობა, გვარი) ყოველთვის ჰყავდათ ლიდერები, ვისი მოთავეობითაც ეს ჯგუფები მოქმედებდნენ. ამავე დროს, ერთი პიროვნების დანაშაულზე ხშირად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ პიროვნების დიდ თუ მცირე ნათესაურ ჯგუფებს. ასეთი საკანონმდებლო ქმედება კი, როგორც ცნობილია, კლასობრიობამდელი საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენაა. ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალები ამ კატეგორიის საკანონმდებლო ნორმების (ხალხური სამართლის) ჩარჩოებში თავსდება.

ხევსურული მასალებით ჩანს, რომ თემისადმი დაპირისპირებული პირები, სოციალური ჯგუფები (ოჯახი, მამიშვილობა, გვარი) გარკვეულ ხანს ახერხებდნენ შეენარჩუნებინათ "პრიორიტეტი", რაც, ალბათ, უნდა აიხსნას ტერიტორიული თემის ხასიათით, რომ მას არ დაეკარგა და არ გაეწირა თემის წევრები.

რატომ ამოწყვეტდნენ ერთი პიროვნებისა და ოჯახის თემიდან გამოყოფის ტენდენციების გამო მთელ მამიშვილობას ან გვარს? ვფიქრობთ, რომ თემის ასეთი მოქმედება განპირობებული იყო მთიელთა საზოგადოების ხალხური ნორმატიული ქცევით. როგორი დამნაშავეც არ გინდა ყოფილიყო პიროვნება, მისი მოკვლისათვის ნათესაური წრე (მამიშვილობა, გვარი) ვალდებული იყო შური ეძია, ამ შემთხვევაში არა რომელიმე ინდივიდზე, არამედ მთლიანად თემზე, რომელიც მას მოკლავდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თემიდან გამოყოფილთა და თემისადმი დაპირისპირებულთა მკვლელებად გვევლინებიან არა პიროვნებები, არამედ ერთობლივი თემი.

ეთნოგრაფიული მასალებით აშკარად ჩანს, რომ თემისადმი დაპირისპირებული ამოწყვეტილი გვარების გადარჩენილთა ნაწილი და მათი შთამომავალნი ფაქტიურად კარგავენ გვარის სოციალურ სტატუსს და ისინი იქცევიან სხვა დიდი გვარების შემადგენელ ნაწილებად, მამიშვილობებად (პატრონიმიულ ერთეულებად). მაგალითად, ველგუჯაურები – არაბულთა გვარში, ჯალაბაურები – ჭინჭარაულთა გვარში და სხვ. აღნიშნულმა კი ტერიტორიული თემობრივი კავშირების გაზრდა, გაძლიერება გამოიწვია, თუმცა გარეგნულად აქ თითქოს ერთი გვარის გაძლიერება ხდებოდა მეორის ხარჯზე. ერთი გვარის მეორე გვარში შესვლა ტერიტორიული თემის განმტკიცებას იწვევდა, რომელიც გარეგნული ფორმით გვაროვნულ თემს წააგავდა. ასეთი ძალის იყო მთის (ხევსურეთის) საზოგადოებრივი ურთიერთობები, თუმცა ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მთის რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსაც ჰქონდა.

Тенденции выделения из общины личности и социальных групп в Хевсурети

В работе изучены тенденции выделения из общины личности и социальных групп в Хевсурети. Установлено, что социальные группы (семья, фамилия) при выделении из общины всегда имели лидеров, которые возглавляли эти группы, выражали и действовали за выделение из общины и похожие тенденции. В общественном быту Хевсурети выделение личности и социальных групп из общины носило лишь временный характер. Мощь территориальной хевсурской общины не поддавалась влиянию таких тенденций. Уравнительные тенденции оставались непреодолимыми.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ზ. ანჩაბაძე., აღ. რობაქიძე. კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. XVIII. თბ., 1975.
2. ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემი (სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი). – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII, 13, 1952.

3. ჟ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბ., 1982.
4. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. თბ., 1984.
5. რ. თოფჩიშვილი. მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი. _ მაცნე, ისტორიის... სერია, 1985, №2.
6. რ. თოფჩიშვილი, ხევსურული გვარები (ზოგიერთი ეთნოსისტორიული და სოციალური საკითხი). _ ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები. თბ., 1989.
7. ვ. ითონიშვილი. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1960.
8. მ. კანდელაკი, ლაშარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში. _ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბ., 1987.
9. ს. მაკალათია. ფშავი, თბ., 1934.
10. ს. მაკალათია. მთიულეთი. თბ., 1930.
11. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1935.
12. გ. მელიქიშვილი. ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. _ მაცნე, ისტორიის... სერია, 1979, №1.
13. ალ. ოჩიაური. მოწყვეტილი გვარები ხევსურეთში. _ ივ. ჯავახისვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.
14. თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967.
15. ალ. რობაქიძე. მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე. _ კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული. ტ. III, თბ., 1975.
16. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში. თბ., 1983.
17. ა. ქალდანი. პიროვნების სოციალურ აღზევებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის. _ მაცნე, ისტორიის... სერია №3, 1984.
18. ა. შანიძე, თხზულებანი. ტ. I, თბ., 1984.
19. გ. ჩიტაია. ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები. _ ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. 1957.
20. რ. ხარაძე. ხევსურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო _ ანალები _ ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბ., 1947.
21. რ. ხარაძე. ხევსურული “მირი” და “გვარი”. _ მიმომხილველი. I. თბ., 1948.
22. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.
23. В.В. Бардавелидзе. Древнейшее религиозное верование и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси., 1957.
24. Н.Г. Волкова. Этнические процессы на Кавказе. М., 1978.
25. А.Я. Гуревич. Индивид и общество в варварских государствах. - Проблемы истории докапиталистических обществ, кн. 1. М., 1968.
26. М.Б. Канделаки. Из общественного быта горцев Грузии – институт аманатства. Тбилиси., 1987.
27. М.Б. Канделаки. Индивид и община в языческо-христианской традиции горцев Грузии (по этнографическим данным) (рукопись). 1988.
28. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе. I и II 1980.
29. История крестьянства в Европе, т. I., 1985.
30. Г.А. Меликишвили. К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, - ВДИ. 1984. №1.
31. Народы Кавказа, т. II. М., 1962.

32. А.П. Пронштейн, И.Н. Данилевский, Вопросы теории и методика исторического исследования. М., 1986.

33. А.И. Робакидзе. Некоторые черты горского феодализма на Кавказе. – Советская Этнография, 1979, №2.

ზეპირი საისტორიო წყაროები*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა მეცნიერება და მათ შორის, საისტორიო მეცნიერებაც ფაქტებს ეყრდნობა. ისიც ცნობილია, რომ ისტორიის მიზანია ადამიანთა (კაცობრიობის) წარსულის აღდგენა და შესწავლა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საისტორიო ფაქტების საშუალებით. ისტორიკოსები გამოავლენენ და აგროვებენ ზუსტ და უდავო ფაქტებს. ასეთი ფაქტები კი საისტორიო წყაროებსა და საბუთებშია ფიქსირებული. ადამიანთა განვითარებული საზოგადოებების შესწავლის ძირითადი წყარო წერილობითი წყაროებია. მაგრამ სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში ყველაფერი არ აისახებოდა; არაერთმა წერილობითმა წყარომ კი ჩვენამდე არ მოაღწია. ამიტომაც, რომ საისტორიო წყაროდ ითვლება ადამიანთა მოღვაწეობის შედეგად წარმოქმნილი ყველა "პროდუქტი", რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს და რომლებიც შეიცავენ საზოგადოების რეალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას.

ისტორიკოსთათვის ცნობილია ყველა ასეთი წყაროს მნიშვნელობა და მათ აქ არ ჩამოვთვლით. სპეციალისტთა მიერ საისტორიო წყაროების სხვადასხვა ტიპებია გამოყოფილი და მათი კლასიფიკაციებისადმი დამოკიდებულებაც არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. მხოლოდ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა კლასიფიკაციაში ფიგურირებს საისტორიო წყაროების ისეთი სახეობა, როგორცაა "ზეპირი წყაროები".

ზეპირ წყაროებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. სხვათაშორის, არაერთი ხალხის წარსული ცხოვრების შესწავლის ერთადერთი წყარო ხშირ შემთხვევაში ხომ გადმოცემებია. მაგრამ ამჯერად ასეთ ხალხებს არ ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები წარსული ცხოვრების ბევრ ფურცლებს აღადგენენ ზეპირი წყაროების საშუალებით. მხედველობაში გვყავს ისეთი ერები, რომლებსაც მდიდარი წერილობითი წყაროები გააჩნიათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მხოლოდ წერილობითი წყაროებით რეკონსტრუირებული ფეოდალიზმის პერიოდის ისტორია გარკვეულად არასრული და ცალმხრივია (ხ. სტროდსი, 1977, გვ. 42). ამ თვალსაზრისით, ისტორიკოსს ფასეული მონაცემების მიღება შეუძლია ეთნოგრაფიის სფეროდან, რომლის მსგავსი არა გვაქვს ტრადიციულ საისტორიო წერილობით წყაროებში. მხოლოდ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ზეპირი წყაროები მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა. სხვა შემთხვევაში კი ზეპირ წყაროებს (ეთნოგრაფიულ მონაცემებს) გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვთ. ვგულისხმობთ წერილობამდელი პერიოდის ისტორიის და თანამედროვე უდამწერლობო ხალხების ისტორიის შესწავლას.

ზეპირ წყაროებს გამოიყენებენ აგრეთვე ცენტრიდან დაშორებული პერიფერიების ისტორიის შესასწავლად. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს მთის პროვინციები, რომლებიც გეოგრაფიული პირობების გამო ცენტრს (ბარს) ხანგრძლივად იყვნენ მოწყვეტილნი და ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში (გ. მელიქიშვილი). ნიკო ხიზანაშვილი ფშავ-ხევსურეთის შესახებ წერდა: "ერთიგა და მეორეც ცხოვრობს წარსულით, გარდმოცემით. ქართლელისათვის გარდმოცემამ დიდი ხანია დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი აღმზრდელი ძალა. ფშავ-ხევსურისათვისაც კი ეს გარდმოცემა აქამომდე ღვთიური მადლია, რომელიც ასულდგმულებს, აცხოველებს ამ მუჭისოდენა ხალხს" (ნ. ხიზანაშვილი, 1940, გვ. 1). ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ ზეპირ

* "კლიო", №3, 1998, გვ. 139-154.

წყაროებს, გადმოცემებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. წინამდებარე ნაშრომის მიზანია შევჩერდეთ ზეპირ წყაროებზე და მათ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევისას.

სანამ უშუალოდ თემას შევხები, ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერი იმ ერებს შორისაა, რომლის ისტორიაც იწერება წერილობითი წყაროების საშუალებით. საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში დიდია ნივთიერი წყაროების როლი, რომელიც ქართველი არქეოლოგების წარმატებული მუშაობის შედეგად სათანადოდ არის გამოყენებული. არსებითია ენის მონაცემებიც. საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ზეპირ წყაროებს, გადმოცემებს. ესაა ძირითადად ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემები.

ზეპირ წყაროებს, გადმოცემებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. ივ. ჯავახიშვილი წერდა: "ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრეფენ ხოლმე, რომელთაც რასაკვირველია, თავიანთი მიზანი აქვთ, რომელიც ისტორიკოსის მიზნებისაგან განსხვავდება, მაგრამ, თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწრაფით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანისათვის ისტორიკოსსაც შეუძლიან, რა თქმა უნდა, ჯეროვანი მეთოდების მოშველიებით. ცნობებისა და ჩაწერილი ტექსტების ღირებულება იმაზეა მთლიანად დამოკიდებული, როგორ არის ასეთი მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილი" (ივ. ჯავახიშვილი, 1950, გვ. 170).

ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ მეცნიერის მოვალეობაა ამა თუ იმ გადმოცემისა თუ ფოლკლორული მასალის თავდაპირველი სახის აღდგენა, შემდეგდროინდელი დანამატებისაგან მისი გაწმენდა, რათა ის ისტორიკოსისათვისაც გამოსადეგი გახდეს. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ თვით ჩვენამდე მოღწეული ბევრი წერილობითი ძეგლიც ხომ დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა: "კარგად ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში წერილობით აღბეჭდილი ძეგლიც თუ მისმა ნუსხა-დედამა კი არა, არამედ მხოლოდ მერმინდელმა, მოგვიანებულმა გარდანაწერებმა მოაღწია, თხზულებისა, თუ საბუთის ტექსტი იშვიათად თუ არის ხოლმე იმ სახით დაცული, როგორც ავტორს ჰქონდა დაწერილი: მერმინდელ გადამწერთა უნებლიეთი, თუ ნებსითი შეცდომით, შესწორებითა და ზოგჯერ ჩანართებითურთაც შეცვლილი და დამახინჯებულია ხოლმე იგი. მით უმეტეს, ბუნებრივია, რომ ასეთი ცვლილებები და ჩანარები და შერთული ადგილები გვქონდეს ზეპირსიტყვაობაში" (ივ. ჯავახიშვილი, 1950, გვ. 170-171).

დავუმატებთ, რომ ბევრი წერილობითი წყაროც ხომ თავის დროზე გადმოცემის საფუძველზეა დაწერილი (წერილობითი წყაროს ავტორი ან თვითმხილველია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის, ან იყენებს საბუთებს და სხვა წერილობით ძეგლებს, ან გადმოცემების მიხედვით წერს).

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: "... თუ წერილობითი ძეგლებიც – კი დროის გავლენის სიდუხჭირეს ვერ გადაურჩა, წარმოუდგენელია, რომ ზეპირსიტყვაობის სახით დაცულ გადმოცემას და ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოეღწია და სხვადასხვა დროისა და წრის შენაერთი ადგილების არაერთი ფენით არ იყოს აჭრელებულ-შეცვლილი.

ზემოაღნიშნული წესით შეკრებილი ზეპირსიტყვაობითი მასალა რომ ისტორიკოსისათვის გამოსადეგი გახდეს, უნდა წინასწარ იმავე ფილოლოგიური და ისტორიული კრიტიკისა და თარგმანების მეთოდით, რომლითაც ძველი წერილობითი ძეგლების განხილვის დროს ვსარგებლობთ, ასეთი ზეპირსიტყვაობითი ძეგლებიც იყოს შესწავლილი. ამ გზითა და ღონეობით საშუალება გვექნება ძველს ნაწილს მერმინდელი შენართი, როგორც სიტყვიერი მარაგი, ისევე ცნება – წარმოდგენათა ფენები ქრონოლოგიურად განსაზღვრული შრეების მსგავსად გამოვაცალკეოთ და მის თავდაპირველ შედგენილობას მივაგნოთ" (ივ. ჯავახიშვილი, 1950, გვ. 171).

ვერ ვიტყვით იმას, რომ მეცნიერის ამ სახელმძღვანელო დებულებას, მეთოდოლოგიურ მითითებებს ზეპირი საისტორიო წყაროების შესახებ არ იყენებდნენ ქართველი ისტორიკოსები. იყენებდნენ, მაგრამ ნაკლებად. ისინი სამეცნიერო მიმოქცევაში ძირითადად ეთნოგრაფებსა და ფოლკლორისტებს შემოჰქონდათ და ხშირად ამ მეცნიერებათა კვლევის ფარგლებში რჩებოდნენ.

ქართველ მეცნიერთაგან გადმოცემებს სათანადო ყურადღება მუდამ ექცეოდა. ეთნოგრაფები მუდამ აფიქსირებდნენ და შემოჰქონდათ სამეცნიერო მიმოქცევაში, მაგრამ ჩვენი საისტორიო მეცნიერების ნაკლია ის, რომ ისინი ხშირად ვერ გადადიოდნენ განმაზოგადებელ საისტორიო გამოკვლევებში. ბევრი მათგანი ასეთ გადმოცემებს დღესაც უნდობლობას უცხადებს; არადა მათი საშუალებით საქართველოს ისტორიის არაერთ საკითხს შეიძლება ფარდა აეხადოს.

ეთნოგრაფთაგან, რომლებმაც სათანადო ყურადღება მიაქციეს გადმოცემებს და შემოიტანეს ისინი სამეცნიერო მიმოქცევაში, შეიძლება დავასახელოთ: გ. ჩიტაია, რ. ხარაძე, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური... რ. ხარაძემ ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. ის წერდა: "ანდრეზის შემნახავი პირები ვალდებულნი იყვნენ მომხდარი ამბავი შთამომავლობისათვის ანდრეზად გადაეცათ". "ანდრეზი სხვადასხვა სახით ინახებოდა. ვრცელი პროზაული თხრობის პარალელურად ის ზოგჯერ გალექსილი სახითაც არსებობდა". "ხევსურული ლექსების გარკვეული ნაწილი ანდრეზის მნიშვნელობის მქონეა, რომლის საშუალებითაც ხალხი გადასცემდა მომხდარ ამბავს შემდგომ თაობას". "ლექსს, როგორც საბუთს თვით ხევსურები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ჩვენ მოგვეპოვება საყურადღებო მასალა იმისა, თუ როგორ სჯიდა ხევსურული რჯული უდანაშაულო პირის ლექსში აუგად ხსენებას. სოფ. ბარისახოში შეყრილმა ბჭეებმა, განაჩენის გამოცხადების წინ ასეთი სიტყვებით მიმართეს დამნაშავეს: "ლექსით კაცი ფუჭდების, რაც გინდა მიმახე საყვედური, ის კი გაქრების, მაგრამ ლექსი დარჩების, თქვენ იმაში გიძევთ ბრალი, რომ უდანაშაულო კაც ლექსში გასაცილებელია". ლექსიცა და ანდრეზიც ხალხისათვის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, რომელიც სადაოდ ქცეულ საქმეს უეჭველად ხდიდა". "მთელ რიგ შემთხვევაში ანდრეზმა შემოინახა ისეთი ელემენტი, რომელიც ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უკვე დაჰკარგა" (რ. ხარაძე, 1951, გვ. 387, 389, 390, 393).

დავსძენთ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლექსიც განიცდიდა ცვლილებას: იქმნებოდა მისი სხვადასხვა ვარიანტები, იცვლებოდა სიუჟეტები. ამ შემთხვევაშიც მკვლევარი სათანადო მეთოდითა და ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული, სხვადასხვა ვარიანტებს შორის განსაზღვროს თავდაპირველი ვარიანტი, ან მასთან ყველაზე ახლოს მდგომი.

ახლა გ. ჩიტაიას ერთ ციტატას შემოგთავაზებთ: "საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისას მკვლევარები ისტორიული მონაცემებითა და ტოპონიმიკური ცნობების გამოყენებით კმაყოფილდებოდნენ. ყურადღება არ ექცეოდა იმ მნიშვნელოვან, თუმცა თავისებურ, წყაროს, რომელიც გადმოცემების სახით ხალხშია დაცული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხალხურ გადმოცემებში მოიპოვება არამცირედი ცნობა მოსახლეობის ძველი ფენების შესახებ, რომელთა შესწავლა სხვა მონაცემებთან ერთად, ხელს შეუწყობს ძველი მოსახლეობის საკითხის გარკვევას. ასეთ მკვლევართა შორის გამონაკლისია აკად. ს. ჯანაშია" (გ. ჩიტაია, 1955, გვ. 387).

ცალკე აღნიშვნის ღირსია თ. ოჩიაურის წიგნი _ გადმოცემებისადმი მიძღვნილი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მონოგრაფია "მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (თბ., 1967), რომელშიც ყველა ძირითადი გადმოცემა დაფიქსირებული და მეცნიერულად განხილული და რომელიც არასდროს დამველდება, თუმცა ცალკეული საკითხებისადმი მიდგომა და ახლებურად ინტერპრეტაცია მეცნიერების განვითარების კვალობაზე მოსალოდნელია.

ისტორიკოსთაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია ი. უთურაშვილის წერილი, რომელშიც ხაზგასმულია ზეპირი წერილობით წყაროების მნიშვნელობა XIX და განსაკუთრებით XX ს-ის საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესწავლის საქმეში (ი. უთურაშვილი, 1986). რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ისტორიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილება თავის დროზე ასეთ გადმოცემებს აფიქსირებდა, აწყობდა ექსპედიციებს, მაგრამ რაც აქამდე გაკეთდა XIX-XX სს. ისტორიის კვლევის საქმეში ზეპირი წყაროების შეკრების თვალსაზრისით, მაინც წვეთია ზღვაში. უფრო მეტი უნდა შემოსულიყო სამეცნიერო მიმოქცევაში. უფროსმა თაობამ, ამ ცხოვრებიდან წასვლით, ბევრი ფაქტი თან წაიღო, რომელსაც ვეღარასოდეს ვერ აღვადგენთ.

უფრო მეტი უნდა გაკეთებულიყო ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ეთნოგრაფთა ყურადღება ძირითადად მთის რეგიონებმა მიიქცია; ბარის ბევრი კუთხე კი უყურადღებოდ დარჩა. მართალია, ზეპირ გადმოცემებს ძირითადად ცენტრიდან დაშორებული რეგიონები ინახავდა (გურევიჩი), მაგრამ მათი ჩაწერა ბარშიც შეიძლებოდა. აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ თვალსაზრისით ქართველ ისტორიკოსთა თუ ეთნოგრაფთა მიერ დაშვებული შეცდომები. აფხაზებისა თუ ოსების ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევა თავის დროზე აფხაზებსა და ოსებს მივანდეთ: ჩვენ განზე გავდექით. არადა, წარმოვიდგინოთ, XX ს-ის 20-30-იან წლებში ხომ იყო შესაძლებლობა ჩაგვეწერა გადმოცემები თითოეული აფხაზური თუ ოსური გვარების სადაურობა-წარმომავლობის, მათი ძირი-სალოცავების შესახებ. დარწმუნებულნი ვართ აფხაზეთში ასეთი გადმოცემების დაფიქსირება ძვირფას მასალას მოგვცემდა ჩრდილოეთ კავკასიელთა აფხაზეთში მიგრაციის შესახებ.

საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობა სათანადოდ არაა შეფასებული. შიდა მიგრაციულმა პროცესებმა უმეტეს შემთხვევაში ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაცია გააწონასწორა. შიდა მიგრაციული პროცესების შესწავლა კი ძირითადად გადმოცემების საშუალებით ხერხდება. ესენია გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ასეთი გადმოცემები კი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ისინი საუკუნეებს უძლებდნენ. ჩვენი ხალხი გადმოცემებით ძაფს აბავდა წარსულსა და აწმყოს შორის. ისტორიის მახსოვრობა კი ერის ერთ-ერთი განსაზღვრელი ნიშანია. რაც ყველაზე მთავარია, გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ გადმოცემების უტყუარობას ხშირად საარქივო საბუთებიც ადასტურებენ. გადმოცემები გვაუწყებენ ამა თუ იმ გვარის თავდაპირველ საცხოვრისს, გადმოსახლების მიზეზს, ძირ-სალოცავს, ადრინდელ გვარს. ამ გადმოცემების დამადასტურებელი არაერთი საარქივო საბუთი არსებობს, ე.ი. ისინი უტყუარნი არიან. მათ უნდობლად არ უნდა მოვეკიდოთ. შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, როდესაც გადმოცემას საარქივო მასალა ადასტურებს. მაგალითად, ქაისხევში მკვიდრობენ ზოტიკიშვილები. ეთნოგრაფიული მასალით (გადმოცემით) ზოტიკიშვილების ადრინდელი გვარია ფისაძე, რომლებიც იმერეთიდან მოსული მღვდლის შთამომავალნი არიან. 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაში ქაისხევში დასახლებულია "ფისაძე პეტრეს შვილი მღვდელი ზოდიკე" (ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 123). გადმოცემით ძირად სისაურები არიან: მწითურები, დორეულები, ჭალისურები, გონჯილაშვილები, პატურაშვილები, მექობიშვილები, კახოშვილები, მოსიაშვილები, უშიკიშვილები... ჩამოთვლილი გვარების ადრინდელი გვარი და მათი ხევსურეთიდან მიგრაცია საარქივო მონაცემებით (XIX ს-ის სხვადასხვა პერიოდის აღწერები) დასტურდება.

იგივე შეიძლება ითქვას გადმოცემების შესახებ, რომლებიც ქართველთა მართლმადიდებლობიდან სხვა კონფესიურ ჯგუფებში გადასვლის შესახებ მოგვითხრობენ. მაგალითად, გადმოცემით თელაველი მარტიროსოვების ადრინდელი გვარი იყო ბერძენიშვილი, ხოლო ბეგიჯანოვებისა – ტალიური. ეს გადმოცემები ხალხის აღწერის დავთრებით დასტურდება.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ზემო რაჭული ლექსი, რომლითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია – დვალეთი, ოსეთში არასდროს არ შედიოდა და რომ დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით შეძლეს:

"მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი
თეთრი ფრთოსანი.
ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი – ოსი და დვალი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გათენიასა:
ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა.
ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
შუბის ნალექი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ წახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულს ანბავსა,
ლაშქრულს ანბავსა,
წითელ კაბასა,
სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა,
ჯაფარ წაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მოწიფულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელები –
ხელკალათითა" (ძველი..., 1911-1913, გვ. 115).

ამ ხალხური ლექსის 15-ზე მეტი ვარიანტი არსებობს, უფრო სრულყოფილიც. შესაძლებელია ამ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენა. მ. ქურდიანის მითითებით, თავისი აგებულებით ეს ლექსი საკმაოდ ძველია (მ. ქურდიანი, 1997, გვ. 176-178). დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალეთთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალეთთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ (და დასახლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში). დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, ის გაიქცა, "ვით კაკაბი". გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალეებს ანსახიერებს, ოსებმა აკუწეს. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტიპონიმი ("მაღლა მთა" და "ჟღელე", სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. "მაღლა მთა" ეს იგივე "მაღლა დვალეთია". ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს იოანე ბაგრატიონს (ი. ბაგრატიონი, 1986, გვ. 79).

"ჟღელე" კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭიდან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი "ქალაქა". "ქალაქაც" დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები "უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი", რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალეებს. ხალხური ლექსიდან აშკარაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ეთნოსი. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების "მტკიცებას" რომ დვალეები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში დვალეთში.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი და მოსული ოსური გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

როდის მოხდა ოსთა შიდა ქართლის მთიანეთში მიგრაცია-დასახლება? წერილობით წყაროებთან ერთად, აქაც ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ზეპირ საისტორიო წყაროებს (გადმოცემებს) აქვთ. 1936 წ. დაიბეჭდა ოსი ისტორიკოსის ზ. ვანეევის ნაშრომი (ზ. ვანეევი, 1936), რომელშიც გადმოცემების საფუძველზე მოცემულია ოსთა საქართველოში მიგრაციის სურათი. ოს ისტორიკოსებს ეს ნაშრომი შეგნებულად არ შემოაქვთ სამეცნიერო მიმოქცევაში; რაც შეეხება ქართველ ისტორიკოსებს, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ისინიც არ იყენებდნენ მას. ზ. ვანეევის დაფიქსირებული აქვს გადმოცემები ძირითადი ოსური გვარების წინაპართა შიდა ქართლის მთიანეთში მოსვლის შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა ინტერპრეტაციას აძლევს ოსი ავტორი მის მიერ ჩაწერილ გადმოცემებს, როგორ "ასაბუთებს" იმას, რომ ოსთა ეს სხვა, გვიანდელი ფენა იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული, რომ დღეს ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" განსახლებული გვარების მოსვლამდე აქ "პრეჟნიე ოსეტიები" ცხოვრობდნენ. მთავარია, რომ დაფიქსირებულია გადმოცემები, რომლებითაც დგინდება ძირითადი ოსური გვარების გადმოსახლების დრო და ის ადგილი, საიდანაც მოვიდნენ (ჩრდილოეთ კავკასიის ხეობა, სოფელი). ცნობილია, რომ არა მარტო ოსები, არამედ ქართველი მთიელებიც სულ ცოტა ხნის წინ დაგითვლიდნენ წინაპრების 10-15 თაობას სახელების მითითებით. კარგა ხანია აღიარებულია, რომ გვართა ისტორიის ამსახველი გენეალოგიური გადმოცემები ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება: "ხალხში შემონახული გენეალოგიები გარკვეულ ნაწილში და მათი კრიტიკული შემოწმების პირობებში ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ სიანტერესო წყაროს წარმოადგენს" (ა. რობაქიძე, 1975, გვ. 73).

ეყრდნობა რა საგვარეულო გადმოცემებს, ზ. ვანეევი მიდის დასკვნამდე, რომ თანამედროვე სამხრეთელი ოსები "სამხრეთ ოსეთში" ცხოვრობენ ოთხი-ხუთი საუკუნეა, ე.ი. აქ გადმოსახლებულან XV-XVI სს-ში (ზ. ვანეევი, 1936, გვ. 271-273). ავტორის მიერ მოპოვებული მასალით ოსური გვარების უმეტესობა გადმოსახლების შემდეგ 10 თაობას ითვლის. მხოლოდ გაგლოვებისა და ბეგიზოვების გვარები ითვლიან 12 თაობას. ზ. ვანეევი ერთ საუკუნეში სამ თაობას ანგარიშობს და როგორც აღვნიშნეთ, მისი გამოანგარიშებით სამხრეთელი ოსები 4-5 საუკუნის წინ გადმოსახლებულან, ე.ი. XV-XVI სს-ში. მაგრამ ცნობილია, რომ ერთ საუკუნეში თავსდება არა სამი, არამედ ოთხი თაობა. ერთი თაობა მოიცავდა 25 წელს, მითუმეტეს, რომ ოსებში საქორწინო ასაკი 20-25 წელს შორის მერყეობდა (ი. სმირნოვი, 1973, გვ. 125). გამოდის, რომ სამხრეთით ჩრდილოეთიდან ოსების მიგრაცია სწორედ XVII ს-ის მეორე ნახევარში განხორციელდა. ამრიგად, ზ. ვანეევის მიერ ჩაწერილ გადმოცემებს ოსური გვარების შესახებ, ჩვენთვის ოსთა შიდა ქართლის მთაში გადმოსახლების დათარიღების საქმეში ერთ-ერთი პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, ზ. ვანეევის მიერ ჩაწერილი გადმოცემებით

ისიც ირკვევა, შიდა ქართლის მთაში მიგრირებული ოსები ჩრდილოეთ კავკასიის რომელი ხეობიდან და სოფლიდან არიან გადმოსახლებულნი.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ გ. ჯალაბადის მიერ ჩაწერილი გადმოცემა, რომელიც ოსთა თრუსოში დასახლებას ასახავს. გადმოცემით თრუსოში ოსები არდონიდან არიან გადმოსახლებული: "არდონიდან ჩამოსახლებული ოსური ფენის უმეტესობა გადმოსახლებიდან სამ-ოთხ თაობას მოითვლის. ამასთანავე, გადმოცემებით თრუსოელი ოსები იმასაც მიუთითებენ, რომ მათ მოსვლამდე აქ მათთვის უცხო ტომის ხალხი ცხოვრობდა, რომელთაც ყაზარდოელებად მოიხსენიებენ. ამ გადმოცემაში იმის განსაზღვრა თუ რა არის რეალური და რა არა, ისტორიკოსის მოვალეობაა. აშკარაა, რომ ოსთა მოსული თაობების რაოდენობა სინამდვილეს შეესაბამება. რეალურია მათი თავდაპირველი საცხოვრისის სახელწოდებაც. სინამდვილეა ისიც, რომ ოსთა აქ მოსვლამდე მათთვის უცხო ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ვინ იყო ეს უცხო ხალხი? მოსულმა ოსებმა თრუსოში ადრე მოსახლე ხალხი ვარაუდით ყაზარდოელებს მიუაკუთვნეს. ყაზარდოელებს ხომ საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს უცხოვრიათ, თანაც თერგის ხეობაში, რაც ყველა საისტორიო წყაროთი უცილობელი ფაქტია.

შეიძლება კიდევ ერთი გადმოცემა მოვიყვანოთ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობის ეთნიკურ ცვლაზე მიუთითებს. ს. ჯანაშიას მოყვანილი აქვს ერთი საგულისხმო გადმოცემა: "აფხაზთა ხალხური გადმოცემით, ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წან-ის (აფხაზური ფორმაა), ანუ წანია-ს (სამურზაყანოული ფორმაა) გვარს" (ს. ჯანაშია, 1959, გვ. 14). ს. ჯანაშია ამ გადმოცემის საფუძველზე ასკვნის: "ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ წანიც სანისა და ჭანის ბუდეს ეკუთვნის, მაგრამ რას უნდა გულისხმობდეს რეალურ-ისტორიულად თვით გარდმოცემა? სხვაგან ჩვენ უჩვენეთ, რომ საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრივ სვანური შტოსი, მეორე მხრით – ჭანურ-მეგრულისა. მოყვანილ გარდმოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი გვაქვს. "წანი" ამ შემთხვევაში ჭანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ტომთაგანი, ჭანურ-მეგრული განშტოებისა, და არა საკუთრივ ზანები (დღევანდელი მეგრელები) და ან, მით უმეტეს, ჭანები. ამაში გვარწმუნებს სახელწოდება "წან", რომელიც შეუძლებელია მიჩნეული იყოს ზან-ის ან ჭან-ის აფხაზური გამოთქმის ფაქტებად, აფხაზურ ვარიანტად. ასეთი ფონეტიკური გადასვლისათვის აფხაზურში ჩვენ საფუძველს ვერ ვხედავთ, იმიტომ რომ აფხაზურს თავისუფლად შეეძლო შეეთვისებინა როგორც ზან, ისე ჭან ფორმები".

"ამრიგად, ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, – განაგრძობს ს. ჯანაშია, – რომ ფორმა "წან" აფხაზურმა მზამზარეულად შეითვისა, და არ გადააკეთა თავის ფონეტიკის ყაიდაზე".

ამ გადმოცემამ, აფხაზეთში ადრე "წან"-ების მოსახლეობის შესახებ, უდავოდ შორს მიმავალი და საყურადღებო დასკვნები შეიძლება მოგვცეს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მთიანეთში ოდესღაც ქართველური ტომების მოსახლეობის შესახებ.

ამრიგად, ვფიქრობთ, ერთი სტატიისათვის საკმარისია იმ გადმოცემების მოყვანა, რომლებიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დროსა და საკითხებს ეხება. ნაშრომში ახალი იმდენად არაფერი გვითქვამს. ჩვენი მიზანი იყო კიდევ ერთხელ მიგვექცია ისტორიკოსთა ყურადღება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზეპირ საისტორიო წყაროებს, გადმოცემებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში. მთავარია მეცნიერმა მეცნიერული ინტერპრეტაცია მისცეს ამა თუ იმ გადმოცემას, ჩაიწეროს ისინი გამართული მეთოდოლოგიით და განსაზღვროს, თუ რა არის ამა თუ იმ ზეპირ საისტორიო წყაროებში (გადმოცემაში) რეალური, ნამდვილი, თავდაპირველი და შემდეგი დროის დანალექი.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ი. ბაგრატიონი, 1986 _ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, თბ., 1986.
2. ზ. ვანევი, 1939 _ З. Ванеев. К вопросу о времени заселения Юго Осетии. – Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, вып. III, стр. 1939.
3. თ. ოჩიაური, 1967, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
4. ალ. რობაქიძე, 1975 _ ალ. რობაქიძე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე. _ “კავკასიის ეთნოგრაფიის კრებული”, III, თბ., 1975.
5. ი. სმირნოვა, 1973 _ Смирнова Я.С., Изменение брачного возраста у народов Северного Кавказа за годы Советской власти, СЭ. №1, 1973.
6. ხ. სტროდსი, 1977 _ Х.С. Стродс. Полевые этнографические источники в исторических исследованиях, сб. «Источниковедение отечественной истории – 1976», М., 1977.
7. ი. უთურაშვილი, 1986 _ ი. უთურაშვილი, ზეპირ ისტორიულ წყაროებზე მუშაობა, _ “მაცნე”, ისტორიის... სერია, №1, 1986.
8. მ. ქურდიანი, 1997 _ მ. ქურდიანი, საერთო-ქართველური ეპიკური (ნარატიული) ლექსის ერთი მეტრული სქემის შესახებ. _ კრ.: “გიორგი როგავას”, თბ., 1997.
9. გ. ჩიტაია, 1955 _ გ. ჩიტაია, ეთნონომიკური ხალხური გადმოცემები. _ “ისტორიის ინსტიტუტის შრომები”, ტ. I, 1955.
10. ძველი..., 1911 _ “ძველი საქართველო”, II, ტფ., 1911-1913.
11. რ. ხარაძე, 1951 _ რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი _ ხალხური სამართლის წყარო. _ “მიმომხილველი”, ტ. II, 1951.
12. ნ. ხიზანაშვილი, 1940 _ ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
13. ივ. ჯავახიშვილი, 1950 _ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები; თბ., 1950.
14. ივ. ჯავახიშვილი, 1967 _ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.
15. გ. ჯალაბაძე, 1961, _ გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. _ მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-ბ, თბ., 1961.
16. ს. ჯანაშია, 1959 _ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის*

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ისტორიულ-ეთნოგრაფიული) მხარეების საზღვრები იცვლებოდა. ერთი ასეთი ერთეულის ნაცვლად ორი კუთხის წარმოქმნის შემთხვევებიც გვაქვს: ფხოვი ხევსურეთად და ფშავად დაიშალა, თავვერი _ რაჭად და ლეჩხუმად. დადასტურებულია პირიქითი პროცესიც, ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორი სხვადასხვა მხარის გაერთიანება და ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) რეგიონად ჩამოყალიბება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხადისა და ცხავატის მთიულეთის ერთ ერთეულში გაერთიანება.

ყველა დაყოფა (დაშლა) თუ გაერთიანება (გამსხვილება) ფაქტორთა რიგი ერთობლიობით იყო განპირობებული. ამ მიზეზების შესახებ ქართულ ისტორიულსა და ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არაფერი თქმულა.

ჩვენი ინტერესის სფეროში ფხოვის ფშავად და ხევსურეთად გაყოფა შედის. ცნობილია, რომ ადრეულ და განვითარებული შუა საუკუნეების ხანებში დღევანდელი ფშავისა და

* გელათის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, VIII, თბ., 2003, გვ. 34-35.

ხევსურეთის ადგილას ფხოვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე არსებობდა. როგორც ფშავი, ისე ხევსურეთი, წყაროებში XV საუკუნიდან გვხვდება. ფშავი და ხევსურეთი თავდაპირველი ერთი მხარის – ფხოვის გაყოფის შედეგად რომაა მიღებული, ამის მიმანიშნებელია მათი ხშირად ერთად მოხსენიება (ფშავ-ხევსურეთი).

XV საუკუნეში ფშავისა და ხევსურეთის, როგორც ცალ-ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების, პირველად მოხსენიება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს მოვლენა სწორედ აღნიშნულ საუკუნეში მოხდა? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი უარყოფითია.

თამარ მეფის ეპოქაში, XIII საუკუნის ათიან წლებში ფხოველები ცენტრალურ ხელისუფლებას აუჯანყდნენ (მთა დროდადრო სამეფო ხელისუფლებას ეურჩებოდა. მთიელებს უჭირდათ ბარის სოციალურ-რელიგიურ ინსტიტუტებთან შეგუება). მთაში წესრიგის დასამყარებლად სამეფო ხელისუფლებას სამი თვე (!) დასჭირდა. ივანე მხარგრძელმა (ამირსპასალარ-ათაბაგმა) აჯანყება სასტიკად ჩაახშო.

ჩვენი თვალსაზრისით სწორედ აღნიშნული დროიდან – XIII ს-დან უნდა მომხდარიყო ფხოვის, ფშავისა და ხევსურეთის რეგიონებად განცალკევება. ვფიქრობთ, სამეფო ხელისუფლებამ ბართან უფრო ახლოს მდებარე შემდგდროინდელი ფშავის ნაწილი დაიმორჩილა, ხევსურეთისა კი – ვერა. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ფშავში ცენტრალური ფშაური სალოცავების "ლაშარის ჯვრისა" და "თამარის ხატების" გამართვა (გაჩენა). ხევსურეთში მსგავსი სახელწოდების სალოცავები არ არის. ამავე დროს, ერთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ორ ნაწილად გათიშვაში დიდ როლი ითამაშა სოციალური განვითარების სხვადასხვაობამ. ბართან სიახლოვის გამო ფშავში სოციალური და რელიგიური თვალსაზრისით ნოვაციები ინერგებოდა. ხევსურეთი კი ამ მხრივ უფრო კონსერვატიული იყო. მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის (ფხოვის) ორ სხვადასხვა ნაწილში, ადამიანთა ურთიერთობის ტრადიციულ სისტემაში განსხვავებულობის გაჩენას, მენტალიტეტის სხვადასხვაობას. ხევსურეთისაგან განსხვავებით, ფშავში ტრადიციულ საზოგადოებაში რღვევის ნიშნები ჩნდებოდა (ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია თავის დროზე ერთი მოვლენის ორ სხვადასხვა მოვლენად გარდაქმნა, უფრო სწორად – ხევსურული სწორფრობა ტრადიციული სახით შემორჩა, ფშაური წაწლობა კი ტრანსფორმირებულ სახეს წარმოადგენდა).

ქართული გვარსახელები*

(წერილი პირველი)

ჩვენი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს ქართული გვარების მიმართ. არაერთი პუბლიკაციაც მიემღვნა ამ საკითხს. უფრო ხშირად ამ პუბლიკაციათა ავტორებად არასპეციალისტები გვევლინებიან. რაღას აკეთებენ მეცნიერები? მეცნიერებიც მუშაობენ, იკვლევენ. საკვლევი კი ძალიან ბევრია, არც ერთი ხელის მოსმით გადასაწყვეტია. აკაკი შანიძე წერდა: "ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული".

დიახ, აკაკი შანიძე ხაზს უსვამდა, რომ ქართული გვარსახელები საგულისყოფო წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მაგრამ ქართული ენის ამ უბნით დაინტერესებულია ეთნოგრაფიაც. სწორედ ამ სამი მეცნიერების ურთიერთგადაჯაჭვით უნდა იქნეს შესწავლილი

* "ზურჯი ეროვნებისა", 1997, №7,8,9-10.

ქართული გვარსახელები. მხოლოდ მაშინ გაეცემა პასუხი მრავალ კითხვას. ესენია: რა არის გვარსახელი? როდის წარმოიქმნა ისინი? რა ფუნქცია ჰქონდა გვარს? როდის გაჩნდა კონკრეტულად ესა თუ ის გვარსახელი? როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მოდელი? რატომაა ქართული გვარების მაწარმოებელი სუფიქსები მრავალფეროვანი? აი, არასრული ჩამონათვალი კითხვებისა, რომლებიც ქართული გვარების შესახებ ისმება.

წინამდებარე წერილში მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით. რა არის გვარსახელი? მეცნიერებაში არსებობს ამ სოციალური ტერმინის ზოგადი განსაზღვრება. მოკლედ, გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის – ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. ჩვენ გვგონია, რომ ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნების გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი XVIII-XIX სს-ის წარმონაქმნი მოვლენაა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს, რომლებშიც საუკუნის განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას აღვნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის – ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა. სახელწოდებაა იმ სოციალური ორგანიზმისა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, ხშირად – საერთო სალოცავიც. საქართველოში გვარს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით გვარსახელის განმარტება თითქმის უახლოვდება პირველყოფილი გვარის (род) განმარტებას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარისაგან ბევრი სხვა ნიშნითაც განსხვავდება, რომლის შესახებ აქ მსჯელობის ადგილი არაა. აღვნიშნავთ ჩვენში გვაროვნული გვარისა და გვარსახელის მხოლოდ ერთ საერთო ნიშანს. როგორც ერთი, ისე მეორე სოციალური უჯრედისათვის დამახასიათებელი იყო ეგზოგამია – გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა. აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ნიშანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარსახელების წარმოშობის კვლევის თვალსაზრისით. მოკლედ, ეგზოგამიურობის შენარჩუნება იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში მოხდა ტრადიციული გადასვლა გვაროვნული გვარისა (род) გვიანდელ გვარში (поздний род) და გვიანდელი გვარისა – გვარსახელში. ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას ამ დასკვნისაკენ მიყვავართ. ტრადიცია ეგზოგამიისა საკმაოდ მყარი იყო მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა. ქართველისათვის წარმოუდგენელი იყო თავის მოგვარეზე დაქორწინება.

გვარსახელი იმითაც განსხვავდება პირველყოფილი გვარისაგან, რომ ეს უკანასკნელი კლასობრიობამდელი (და ადრეკლასობრივი) საზოგადოების მდგრადი სოციალური ერთეული იყო, საერთო წარმომავლობისა და ნათესაობის თვალსაზრისით, პირველს ეს ნიშან-თვისება აღარ ახასიათებს. კლასობრივი საზოგადოების გვარები შეიძლება წარმოიშვას და გარკვეული ხნის, თუგინდ საუკუნეების შემდეგ, სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, გაქრეს, ახალი გვარსახელი წარმოქმნას, ერთი გვარსახელი რამდენიმე ახალ გვარსახელად დაიშალოს, დედა-გვარს შტო-გვარები გამოეყოს და ისინი იურიდიულად ახალ გვარსახელებად გაფორმდნენ. აგრეთვე, ერთი გვარსახელი შეიძლება ატაროს ისეთმა კოლექტივებმა, რომლებსაც საერთო წარმოშობა არა აქვთ, როდესაც ისინი ერთი წინაპრისაგან არ მოდიან. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი.

მსოფლიოს მრავალ ხალხში, პირველყოფილი გვარის დაშლის შემდეგ, გვარსახელები არ წარმოქმნილა. ჩვენთან (და ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში) წარმოიქმნა, რისი მიზეზიც იყო სოციალური სისტემა. მხედველობაში გვაქვს ქართული ფეოდალიზმი. გვარი

საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. აქ საუბარია როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა ფენაში.

დავასკვნით, რომ გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ამრიგად, ქართული გვარსახელი ძალიან ძველი მოვლენაა, რომელიც უშუალოდ პირველყოფილი გვარიდანაა ამოსული. შემდეგ წერილში ვნახავთ ქართული გვარსახელების სიძველეს ქართული საისტორიო წყაროებისა და საბუთების მიხედვით.

(წერილი მეორე)

პირველ წერილში ეთნოლოგიური მონაცემებით შევეცადეთ დაგვედასტურებინა, რომ საქართველოში გვარსახელები ძალიან დიდი ხნის წარმოქმნილი მოვლენაა, რომ ჩვენში გვარსახელი პირდაპირ გვაროვნული გვარიდან წარმოიშვა. ასე რომ, ქართული გვარსახელი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის თანმდევაა.

ამ თვალსაზრისით რას გვეუბნებიან ქართული საისტორიო წყაროები და საბუთები? ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ საისტორიო საბუთში "დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი", რომელიც IX ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, გვარსახელებია ფიქსირებული. საბუთში დასახელებულია სამი გვარი. აქედან ერთი (ფავნელი) აზნაურია და მეორე და მესამე (შულლიასძე და ტარიკასძე) – გლეხები.

"მატიანე ქართლისაი"-ში ტაო-კლარჯეთის მთავრი ბაგრატ I კურაპალატის დროს (826-876 წწ.) იხსენიებიან ძმები გაბრიელ და სამოელ დონაურები: "და ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური. ძმა სამოელ ქორეპისკოპოზისა". ეს უკანასკნელი – სამოელ დონაური ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე გაბრიელზე ადრე, IX ს-ის დასაწყისში იყო. ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა ძველ გვარებს შორის დონაურების გვარსაც ასახელებს. სხვათაშორის, ეს გვარი კახეთში XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებშიცაა დასახელებული.

პირველად ბატონმა ზ. ჭუმბურიძემ მიაქცია ყურადღება "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთ მონაკვეთს, რომელშიც დაფანჩულის მემკვიდრეობით სახელზეა (გვარსახელზეა) საუბარი. ცნობილია, რომ გიორგი მერჩულე X ს-ის მოღვაწე იყო, რომელმაც აღწერა VIII ს-ის ბოლო პერიოდისა და IX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ერთ მონაკვეთში, როდესაც ნაწარმოებში აღწერილია აშოტ კურაპალატის დროინდელი (ე.ი. IX ს-ის 20-იან წლებამდე პერიოდის) ამბები, ავტორი წერს "ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული. და აწ ნათესავთა მისთა ჰქვიან დაფანჩულნი". შემდეგ: "ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, ხანძთას შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე". ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: სწორია მეცნიერი, როცა დაფანჩულში გვარსახელი დაინახა. გიორგი მერჩულე პირდაპირ გვეუბნება: ახლაც (ე.ი. ერთი საუკუნის შემდეგ) გაბრიელ დაფანჩულის ნათესავნი (ე.ი. ამ შემთხვევაში, შთამომავალნი) დაფანჩულის გვარს ატარებენო.

XII ს-ის საბუთში "დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი" ვკითხულობთ: "... და მუნ-შინა დამკუიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე"... "გიბედნიერნენ ღმერთმან მიკუნისამდე ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე..." თანამედროვე ყაიდაზე ის ასე დაიწერებოდა: "ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე დავითის ძე მიხითარაიძეები". ამ შემთხვევაში მიხითარაიძე ოთხი ჩამოთვლილი ძმის გვარსახელია, რომელთა მამასაც დავითი ერქვა.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ერთსა და იმავე რეგიონში (სოფელში), ქართული საისტორიო საბუთებით თვალყური ედევნება ერთსა და იმავე გვარებს. მაგალითად, აზნაური ტოხაიძეები (ტოხაძეები, შემდეგდროინდელი ტოხიშვილები) პირველად 1200 წლის საბუთში

არიან დასახელებული. ეს გვარი თითქმის ყველა საუკუნის საბუთში არის ფიქსირებული XVIII ს-ის ჩათვლით. იგივე შეიძლება ითქვას ჭარმაულების გვარზე, რომელიც ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გადადიოდა მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე. ჭარმაულები XVIII ს-ის დასასრულს ამოწყდნენ.

საგაზეთო სტატია არ გვამდევს საშუალებას გავაგრძელოთ ციტატების მოყვანა ქართული საისტორიო საბუთებიდან, რომლებშიც გვარსახელებაა ფიქსირებული. ის კი უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრ ქართულ გვარსახელს, რომელიც დღეს არის ცოცხალ გვარებს შორის, საფუძველი საუკუნეების წინ აქვს ჩაყრილი. ორიოდ სიტყვით უნდა შევჩერდეთ სვანურ გვარებზე. საბედნიეროდ ჩვენამდე მოაღწია XIII და მომდევნო საუკუნეების სვანეთის სულთა მატრიანეებმა. XIII ს-ის სვანეთის სულთა მატრიანეებში მოხსენიებული გვარები დღესაც იმავე სოფლებში არის განსახლებული. აქ ამ გვარების ჩამოთვლას აზრი არა აქვს და დაინტერესებულ მკითხველს ისინი შეუძლია ნახოს შესაბამის გამოცემებში. მხოლოდ ერთ ციტატას მოვიყვან ბატონ მ. ჩართოლანის ნაშრომიდან: "სოფ. უღლავის წმ. გიორგის ეკლესია (ჯგერაგ) აშენებულია ძმების ანტონ და მიქაელ უმფრიანების მიერ (XIV ს.). ამ სოფელში დღესაც მხოლოდ უმფრიანები ცხოვრობენ. ეკლესიაც და სასაფლაოც მხოლოდ მათ ეკუთვნით. სოფ. ლაღამში (დაბა მესტია) მაცხვარის ეკლესია აუშენებია და მოუხატავს შალვა ქირქიშლიანს (XIV ს.); ლენჯერის მუხურის მთავარანგელოზის ეკლესია აშენებული და მოხატულია იველდიანების მიერ (XV-XVI სს.). ამ ეკლესიის კაცი (ლაღამი მარე) ახლაც ილდანები არიან".

ამრიგად, ქართული გვარსახელები მოხსენიებულია ყველაზე ადრინდელ საბუთებში. ზოგიერთი გვარსახელი მრავალ საუკუნეს ითვლის. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილმა ყველა გვარსახელმა როდი მოაღწია ჩვენამდე. გვარსახელი, როგორც სოციალური ერთეული შეიძლება მომკვდარიყო, ერთი გვარიდან ანუ დედა-გვარიდან ახალი ანუ შტონაყარი გვარსახელები წარმოქმნილიყო. ძველი გვარსახელები განსაკუთრებით საქართველოს იმ რეგიონებს შემორჩა, რომლებსაც გარეშე მტრის თავდასხმები ყველაზე ნაკლებად შეეხო.

(წერილი მესამე)

ქართული გვარსახელები ისევე, როგორც სხვა ხალხებისა, შეიძლება დავაჯგუფოთ ძირების (ფუძეების) და გვარის სუფიქსების (ფინალების) მიხედვით. აღნიშნული თვალსაზრისით ქართული გვარსახელები ძირითადად დაჯგუფებულია (ზ. ჭუმბურიძე, ი. მაისურაძე). ამ მხრივ, მხოლოდ ზოგიერთი ნიუანსია დასადგენი. ზოგიერთი რამეც საკამათოა, რაც მეცნიერებისათვის ჩვეულებრივი ამბავია.

წინამდებარე წერილში ქართული გვარსახელების ფინალების შესახებ გვექნება საუბარი. მანამ, სანამ კონკრეტულად ვისაუბრებთ ქართული გვარების სუფიქსების შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გვაქვს უსუფიქსო ქართული გვარებიც, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით. შეიძლება დავასახელოთ ბუთხუზი, კვატიტი, სიმსივე, შერმადინი, ილარიონი, კროჭი, ლაბარი, მესტუმრე, მეკონდახე, მებუკე, ხარაზი, კანდელაკი, მესხი, დვალი, ძურძუკი, კორტი.

ქართული გვარსახელების ორიგინალურობა მათი ფორმანტების მრავალრიცხოვნებაშიც გამოიხატება. აი, ისინიც: -ძე, -შვილი, -სკირი, -იან (-ან), -ია, -უა, -ურ (-ულ), -ელ, -ში (-შ), -არ, _ჭკორი, -ყვა, _ტი, ისტორიული და დღეს ხალხურ სასაუბრო ენაში შემორჩენილი -ათ (-ეთ). აგრეთვე მდებდრობითი ფუნქციის მქონე -ფხე (-ხე). მართლაც ბევრი ჩამოვთვალეთ. ზოგიერთი მეცნიერი ქართული გვარების მრავალრიცხოვნებას ქართველთა ეთნოტომობრივი სიჭრელით ხსნის. ეს მოსაზრება არაა მართებული. ქართული გვარსახელების სუფიქსების მრავალფეროვნება ძირითადად ქართული ენის მრავალმხრივი შესაძლებლობებით აიხსნება. ისინი ძირითადად კრებითობის, კუთვნილების და სადაურობის გამომხატველნი არიან. მათ

ძირითადად ერთი დატვირთვა და შინაარსი აქვთ. ამასთანავე, ქართული გვარების მრალარიცხოვანი ფინალები იმის დამადასტურებელიც არის, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნისანი, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე წარმოქმნილი არიან.

ხშირად მიაჩნიათ, რომ -ძე სუფიქსი დასავლურ ქართული გვარებისათვისაა დამახასიათებელი, -შვილი კი აღმოსავლურ ქართულისათვის. საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს არ დასტურდება. დღეს შეიძლება -ძე სუფიქსს პრიორიტეტი დასავლეთ საქართველოში აქვს მოპოვებული, -შვილს კი აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისტორიულად აღმოსავლეთ საქართველოშიც და სამხრეთშიც პრიმატი -ძე ფორმანტს ჰქონდა. მრავალი გვარსახელი დღეს რომ -შვილი ფინალს ირთავს, თავდაპირველად -ძე სუფიქსით იწარმოებოდა. მაგალითად, სოფელ დილოშში დღეს მოსახლე თეთრაშვილები და მძევაშვილები XVIII ს-მდე თეთრაძეები და მძევაძეები იყვნენ. -ძე და -შვილი სუფიქსები აწარმოებს ძირითადად ეპონიმურ, პროფესიულ და ეთნონიმურ გვარსახელებს.

მამაკაცის სახელებს ერთვის სხვა ქართული სუფიქსებიც: -იან (-ან), -ურ (-ულ). -უან, -ვან (-ოვან) სუფიქსებს ირთავდა აგრეთვე სამეგრელოში დღეს გავრცელებული გვარსახელები. აქაურმა გვარებმა ბოლო "ნ" თანხმოვანი დაკარგა საკმაოდ დიდი ხნის წინ და მივიღეთ -ია, -უა და -ვა სუფიქსები. რამდენიმე მეგრულ გვარს აწარმოებს -სკირი ფინალი, რაც ქართულ -შვილს შეესატყვისება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ -იან (-ან) ფორმანტი დღეს თუ გვარსახელებს ძირითადად სვანეთსა და ლეჩხუმში აწარმოებს, თავდაპირველად გვარსახელებს აწარმოებდა საქართველოს ყველა კუთხეში. ასე რომ, აღნიშნული სუფიქსი საერთო ქართულ-ქართველური სუფიქსია და არა მხოლოდ მისი რომელიმე მხარისათვის (პროვინციისათვის) დამახასიათებელი. შუა საუკუნეების ქართულ საბუთებს თუ დავაკვირდებით, იმასაც აღმოვაჩინოთ, რომ ხშირად ერთსა და იმავე გვარში -შვილი და -იან სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ერთ საბუთში ერთი გვარი შეიძლება ხან დედაბრინად და ხან დედაბრინშვილად იყო ჩაწერილი. ქართლსა და კახეთში დღესაც კი სასაუბრო ენაში, როდესაც გვარს ახსენებენ, ჩვეულებრივ "პავლიაშვილის" ნაცვლად იტყვიან "პავლიანი". -ელ სუფიქსი სადაურობის ტიპის გვარებს ერთვის. მისი ფარდია -არ სუფიქსი. ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად შენიშნულია, რომ ამ ფორმანტიანი გვარები ჩნდებიან VIII-IX სს-ში, როდესაც "ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ იმ პუნქტის მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თაივანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ" (ნ. ბერძენიშვილი). ამავე პერიოდიდან, ვფიქრობთ, ცოტათი ადრე ჩნდება -ძე სუფიქსიანი გვარები, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში -შვილი ფორმანტმა შეცვალა.

საკუთარ სახელებს ერთვის -ურ (-ულ) სუფიქსიც. ცისკარაული, ანთაური ნიშნავს ცისკარას, ანთას კუთვნილს, მათ შთამომავალს. ასევე კუთვნილების აღმნიშვნელია -იმ (-ში) სუფიქსი, რომელიც ძირითადად ლაზებისათვის იყო დამახასიათებელი. ტულუში, ე.ი. ტულუს კუთვნილი შვილები, მოდგმა. რაც შეეხება -ჭკორ სუფიქსს, როგორც გ. როგავა აღნიშნავდა, მას ფეოდალიზმის დადი აზის. "ჭკორ" მეგრულად ყმას ნიშნავს, გეგეჭკორი, ე.ი. გეგეს ყმა.

ისტორიულად შესაძლებელი იყო ქართველებს სუფიქსების მიხედვით განესხვავებინათ ქალისა და კაცის გვარები. ასეთი ფუნქცია ზანურში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველთა მეტყველებაში ჰქონდა -ფხე (-ხე) სუფიქსს. მაგალითად, მამაკაცის გვარს კახაძეს შეესატყვისებოდა ქალის გვარი კახიფხე, ქოიავას – ქოიახე, გადრანს – გადრაფხე. მდებდრობითი სქესის გამოხატვის ფუნქცია გარკვეულ ეტაპზე შეუძენია -ურ (-ულ) სუფიქსსაც. ტბეთის სულთა მატთანეზე დაკვირვება და იმერეთის, ქართლის და კახეთის ენობრივ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ამ დასკვნის საშუალებას იძლევა.

ამრიგად, მრავალრიცხოვანი ქართული სუფიქსები, რომლებსაც ქართული გვარსახელები ირთავენ, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთშია წარმოქმნილი. უძველესი ქართული სუფიქსებია -იან (ან), -ურ და -ეთ, რომლებიც ქართულ გვარებს კლასობრიობამდელი

პერიოდის გვარებიდან გადმოჰყვით და როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, ისინი ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა ამოაგდო, როდესაც კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. რელიქტების სახით კი მხოლოდ საქართველოს რამდენიმე პროვინციაში შემორჩა. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა გვარსახელების ახალი ფინალები (-ძე, -შვილი, -ელ), რაც აშკარა შედეგი იყო მამაკაცის, მამის უპირატესი უფლებისა სამამულე ურთიერთობებში.

ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის*

1. ცნობილია, რომ გვარსახელი ესაა მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას. ქართველ ხალხს გვარსახელების ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია, რომელიც საისტორიო საბუთებით დასტურდება VIII-IX საუკუნეებიდან. თუმცა ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების გააზრებას იმ დასკვნისაკენ მივყევართ, რომ ქართველებში გვარსახელები უფრო ადრინდელი წარმონაქმნია და ჩვენში მოხდა გვაროვნული გვარის (род) ჯერ გვიანდელ გვარში (поздний род) გადაზრდა და შემდეგ გვიანდელი გვარისა – გვარსახელში (фамилия). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრეულ პერიოდში წარმოქმნილმა ყველა გვარსახელმა მოაღწია ჩვენამდე. გვარსახელი, როგორც გარკვეული სოციალური ერთეული, განსაკუთრებული ფუნქციით იყო აღჭურვილი და ის ჩვეულებრივ შეიძლება გამქრალიყო და სხვა, ახალი გვარსახელი წარმოქმნილიყო. გვარსახელები უშუალო კავშირში იყვნენ მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან. განსაკუთრებით ახდენდა მათზე გავლენას საგარეო ფაქტორი, ხშირი ომიანობა, დარბევები და ამით გამოწვეული მოსახლეობის მიგრაცია. ძველი გვარსახელები განსაკუთრებით შემორჩა საქართველოს იმ პროვინციებს, რომლებიც მეტნაკლებად გადაურჩნენ დარბევებს. ზოგიერთ პროვინციებში კი მთელი წყება ძირძველი ქართული გვარსახელებისა, საგარეო ფაქტორის ზემოქმედების გამო, მთლიანად ამოვარდა, დავიწყებას მიეცა.

ქართული გვარსახელები ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფა: **ეპონიმური, ეთნონიმური, გეოგრაფიული და პროფესიული**. ამ ოთხი ჯგუფის გვარსახელებიდან პრიორიტეტი ეპონიმურ გვარსახელებს ეკუთვნით.

ქართულ გვარსახელებში გამოყოფენ მეხუთე ჯგუფსაც, რომელსაც "შერქმეულ გვარსახელებს" უწოდებენ. ასეთი ჯგუფის ცალკე გამოყოფა დაუსაბუთებელია და ეს გვარსახელებიც ჩვეულებრივ-ეპონიმურ გვარსახელთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ "შერქმეული გვარი არსებითად გვარის ფორმით წარმოდგენილი მეტსახელია, უმეტესად ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებული" (ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1979, გვ. 51). ე.ი. ამ ჯგუფში შეყვანილ გვარსახელებს ჩვეულებრივ აკუთვნებენ იმ გვარსახელებს, რომლებსაც თიკუნები (მეტსახელები) უდევთ საფუძვლად. მეტსახელიც ხომ სახელია. ეს გვარსახელებიც ხომ წინაპრის სახელებიდან მომდინარეობენ და ამდენად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ეს სახელი იქნება თუ მეტსახელი. პირდაპირ გვარის შერქმევა როგორც მეტსახელისა, საერთოდ არ ხდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც "შერქმეულ გვარებს" უწოდებენ გვარის დანაყოფის სახელებს (ს. მელიქიძე, "ონომასტიკა – I", თბ., 1987, გვ. 297). ამ შემთხვევაშიც ტერმინი მორგებულად არაა გამოყენებული.

ქართული საისტორიო საბუთებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მეორე და მესამე ჯგუფის (ეთნონიმური და გეოგრაფიული) გვარსახელების ერთი ნაწილი ეპონიმურ გვარსახელებს უნდა მივაკუთვნოთ. ეთნონიმურ და

* "ქართველური მემკვიდრეობა", I, ქუთაისი, 1997, გვ. 91-97.

გეოგრაფიულ გვარსახელებად მიჩნეული ზოგიერთი გვარსახელის ფუძეს ეპონიმი (წინაპარი მამაკაცის სახელი) წარმოადგენს და არა ეთნონიმი და ტოპონიმი.

ჩვეულებრივ, ეთნონიმურ გვარსახელებადაა მიჩნეული **ბერძენიშვილი, თათრიშვილი** (თათარაშვილი), **თურქიაშვილი** (თურქია, თურქაძე), **თურქისტანიშვილი, ფრანგიშვილი, არაბაშვილი** (არაბული, არაბიძე), **ოსიშვილი**, (ოსაძე), **ჩერქეზიშვილი** (ჩერქეზია, ჩარგაზია), **ლეკიშვილი** (ლეკიაშვილი). მიგვაჩნია, რომ ამ გვარსახელების გარკვეულ ნაწილს საფუძვლად მამაკაცის სახელი (ეპონიმი) უდევს და არა ეთნონიმი. აქ "გარკვეულ ნაწილს" ხაზს ვუსვამ, რადგან ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ბერძენიშვილის (ბერძნიშვილის) გვარის საფუძვლის ჩამყრელი მართლაც ეროვნებით ბერძენი იყო, მეორე შემთხვევაში კი გვარის საფუძვლის ჩამყრელს ბერძნულ ეროვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მას საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი – **"ბერძენა"**. ასეთი სახელი არაერთგზის გვხვდება ქართულ საისტორიო საბუთებში (ქართლის 1725-1740 წლის აღწერაში მოხისს დასახელებულია "ადუაშვილი ბერძენა" – "საისტორიო კრებული", IV, ტფ., 1929, გვ. 25. "ბერძენი" ერქვა სახელად გვარად ბითაძეს 1830 წლის აღწერაში სოფ. ქვემო ხვითში). თუ ჩვეულებრივ მამაკაცის სხვა სახელებს შეიძლებოდა ეწარმოებინა გვარსახელი გვარის მაწარმოებლად, რატომ არ შეიძლება ასევე მამაკაცის სახელი "ბერძენა" ყოფილიყო? საისტორიო საბუთები და ეთნოგრაფიული მონაცემები გვადლევენ საშუალებას გავარკვიოთ ზოგიერთი ე.წ. ეთნონიმური გვარსახელის ადრინდელი ქართული გვარი და მაშინ ცხადი იქნება, რომ ამ გვარების საფუძვლის ჩამყრელები იყვნენ არა სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლები, არამედ ქართველები.

ქსნის ხეობის სოფელ საძეგურში მკვიდრობენ **ოსიშვილები**. გადმოცემით ოსიშვილების ადრინდელი გვარია რაზმაძე. ოსიშვილთა რაზმაძეობა საარქივო მასალებითაც დასტურდება. 1860 წ. მოსახლეობის აღწერის დავთარში საძეგურში მცხოვრებ ყველა ოსიშვილს მიწერილი აქვს თავდაპირველი გვარი – **Осишвили он же Размадзе**. რაც შეეხება კახეთის სოფ. კომკში მცხოვრებ **ოსიშვილებს**, ისინი წარმომავლობენ **ბერუკაშვილებისაგან**. ჩუმლაყელი **ოსიშვილები** კი ძირად **ნაცვლიშვილები** არიან.

არაგვისა და ივრის წყალგამყოფ ქედზე სოფელ ზენამხარში თურქიაშვილები მკვიდრობენ. გადმოცემით **თურქიაშვილების** ადრინდელი გვარია **სისაური**. ისინი ეყმობიან კიდევაც ხევსურთა ერთ-ერთ ცნობილ სალოცავს "ხმალა". XIX ს. მოსახლეობის აღწერის დავთრები ამ გადმოცემას ადასტურებენ – თურქიაშვილებს არაერთგზის მიწერილი აქვთ მეორე, ანუ ადრინდელი გვარი – სისაური. საერთოდ, "თურქია" ჩვენს მთაში ერთ-ერთი გავრცელებული სახელი იყო. 1801 წ. თიანეთის სოფ. ჟებოტაში ცხოვრობდნენ "მათურელი თურქა" და "დოლიაშვილი თურქა" ("საქართველოს არქივი", III, 1927, გვ. 146).

ახლა ორიოდ სიტყვა ლეკიაშვილებისა და ლეკიშვილების შესახებ. ეს გვარი ძირითადად გავრცელებული იყო კახეთში. ირკვევა, რომ ყველა ლეკიშვილს არა აქვს საერთო წარმომავლობა. ისიც ირკვევა, რომ კახეთის სხვადასხვა სოფლებში განსახლებულ ლეკიშვილებს და ლეკიაშვილებს საფუძვლად უდევთ ძირითადად მამაკაცის სახელი – "ლეკი", "ლეკია". თუმცა, აქვე ვიტყვით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ გვარსახელის საფუძვლის ჩამყრელი იყო ეროვნებით ლეკი. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დასკვნის გამოსატანად საჭიროა საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემების ერთ კომპლექსში გააზრება. XIX ს. მოსახლეობის აღწერის სხვადასხვა დავთრებიდან ცხადი ხდება, რომ ამ გვარების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ქართული გვარებისაგან მომდინარეობს. მაგალითად, გრემელი ლეკიშვილები **გამსახურდაშვილები** ყოფილან, კალაურელი ლეკიშვილები – **ნაპირელები**, ბოდბისხეველი ლეკიშვილები – **მათეშვილები**; შაქრიანელი ლეკიაშვილები **დედაბრიშვილებისაგან** წარმომავლობენ, ბოდბისხეველი ლეკიაშვილები – **გაგოშვილებისაგან**. იგივე შეიძლება ითქვას **რუსიშვილების** შესახებ. ერთ შემთხვევაში რუსიშვილების გვარს ეროვნებით რუსმა ჩაუყარა საფუძველი, მეორე შემთხვევაში კი გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი "რუსა" (XVIII ს-ის დასაწყისის აღწერაში კახეთის სოფელ მალრანს დასახელებულია "რუსი ნაცვლიშვილი", 1801 წლის აღწერაში

ყვარელში ფიქსირებულია "იმერლიშვილი რუსი"). შეიძლება დავასახელოთ ერთი მაგალითი, 1886 წ. აღწერით კახეთის სოფელ საბუეში ცხოვრობდნენ **რუსიაშვილები**. საარქივო დოკუმენტში მითითებულია მათი ადრინდელი გვარი – **ბეჟიტაშვილი**.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე **ჯავახიშვილების** გვართან მიმართებაში. ჯავახიშვილების გვარი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. აქ ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაცია ინტენსიური იყო XVII-XVIII სს-ში. აქედან მიგრირებულები ხშირად საფუძველს უყრიდნენ ახალ გვარს – ჯავახიშვილს. საისტორიო საბუთები საშუალებას გვაძლევს ამ ჯავახიშვილთა არა ერთი ადრინდელი გვარსახელი გავარკვიოთ. შეიძლება დავასახელოთ: ტეტიაშვილი, გაბრიელაშვილი, ჯუჯუნაშვილი, ელისაშვილი, სამანაძე, ივანიძე, სააკაძე... 1831 წ. აღწერაში ქართლის სოფ. ნაბახტევში ჯავახიშვილის გვართან ჩაწერილს მიწერილი აქვს: "თვრამეტი წელია (ე.ი. 1813 წ. – რ.თ.) გადმოსახლდა ჯავახეთიდან და ნაცვლად მაჰმადიანური სარწმუნოებისა მიიღო ქრისტიანობა (ქართული საქრწმუნობა)". სოფ. მარანში მცხოვრებ ჯავახიშვილებს კი 1831 წ. აღწერაში მიწერილი აქვთ, რომ წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ ასი წლის წინ. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჯავახიშვილთა გვარის გარკვეულ ნაწილს საფუძველად უდევს მამაკაცის სახელი – "ჯავახი", რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი იყო საქართველოში. შეიძლება დავასახელოთ XIII-XIV სს. "სვანეთის კრების მატთანე" და "გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი". მამაკაცის სახელი "ჯავახი" უდევს საფუძველად თავად ჯავახიშვილების გვარს.

XVIII ს. არაგვის ხეობაში უაღრესად გავრცელებული სახელი იყო "თათარი". შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მცხეთელი თათარაშვილები მთიული ქავთარაძეებისაგან წარმომავლობენ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ზოგიერთ ე.წ. გეოგრაფიულ გვარსახელზეც. მხედველობაში გვაქვს ერთი წყება გვარებისა, რომლებიც ორმაგ (-ელა+შვილი, -ელა+ძე) სუფიქსს ირთავენ. შეიძლება დავასახელოთ **მარგველაშვილი, ფავლენიშვილი, ჯაველიძე, ჩოხელაშვილი**... ამ გვარებს საფუძველი ჩაუყარეს არა არგვეთიდან, ფავნისიდან, ჯავიდან, ჩოხიდან გადმოსახლებულებმა, არამედ პიროვნებებმა, რომლებიც ატარებდნენ საკუთარ სახელებს: **მარგველა, ჯაველა, ჩოხელა**... თუმცა ასეთი გეოგრაფიული ტიპის ორმაგსუფიქსიანი გვარები ქართულში ჩვენ მართლაც ბევრი გვაქვს: **დიღმელაშვილი, კომკელაშვილი, გრემელაშვილი, ეგრისელაშვილი** ნამდვილად სოფლებიდან დიღმიდან, კომკიდან, ეგრისიდან გადმოსახლებულთაგან არიან წარმოქმნილი. ცნობილია ბევრი ასეთი გვარის ადრინდელი გვარიც. მაგალითად, დიღმელაშვილები **გენებაშვილებისაგან** მომდინარეობენ, ეგრისელაშვილები – **ბერიძეებისაგან**. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემების ერთობლივი გააზრებაა საჭირო. ჩოხელის გვარი ნამდვილად გეოგრაფიული ტიპის გვარია. რაც შეეხება ფშაველი ჩოხელაშვილების გვარს, ის სრულიადაც არაა მიღებული გვარსახელ ჩოხელზე -შვილი სუფიქსის დართვით. ჩოხელაშვილების გვარს საფუძველად უდევს მამაკაცის სახელი "ჩოხელა", რომელიც მთაში ბოლო დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული. ჩოხელაშვილები წოწკოლაურებიდან წარმომავლობენ და ეს გვარი ფშავში ("ლაშარის ჯვრის დეკანოზი ჩოღელაშვილი ნადირა") 1750 წ. საბუთშია მოხსენიებული. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე მარგველაშვილის, სურამელაშვილის, ფავლენიშვილის, ჯაველიძის, გავაშელიშვილის (გავაშელიძის), ვარძიელაშვილის გვარებთან დაკავშირებით. ქართულ საისტორიო საბუთებში ხშირადაა დაფიქსირებული მამაკაცის სახელები "მარგველა", "სურამელა", "ფავლენა", "ჯაველა", "გავაშელი", "ვარძიელა". მაგალითად: 1715 წ. რუისის სამწყსოს დავთარში სოფ. ფრცას დასახლებულია "უწყენაშვილი მარგველა". 1755-1760 წწ. საბუთში – ფალავანდიშვილი **ფავლენ**. XVI ს. საეკლესიო საბუთში შეტანილი არიან "გავაშელ კვირკველია" და "გავაშელ კიტია". სწორედ ამ სახელებიდან მომდინარეობენ დასახლებული გვარები და არა ტოპონიმებიდან. ეს გვარებიც ეპინიმურ გვარსახელთა ჯგუფს უნდა

მივაკუთვნოთ. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ აღნიშნულ სახელებს საფუძვლად უდევთ ტოპონიმიდან ნაწარმოები მამაკაცის სახელი.

II. როგორც აღვნიშნეთ, გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას. ქართულ სინამდვილეში მხოლოდ გვარსახელი არაა მემკვიდრეობითი სახელი. მემკვიდრეობითი სახელია აგრეთვე გვარის დანაყოფის სახელიც, რომელიც საქართველოს უმეტეს მხარეებში დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა. ქართულ მეცნიერებაში მეორე მემკვიდრეობითი სახელის (გვარის დანაყოფის სახელის) აღსანიშნავად გამოიყენება ორი ტერმინი: "შტო-გვარი" და "ქვეგვარი". პირველის შემოტანა სამეცნიერო ლიტერატურაში ს. ჯანაშიას სახელთანაა დაკავშირებული, მეორისა – ვ. ბარდაველიძის. პირველი ენათმეცნიერთა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა, მეორე – ეთნოგრაფთა. მიგვაჩნია, რომ ორივე ეს ტერმინი ხელოვნურადაა შემქმნილი. ისინი სრულიად არ გამოხატავენ აღნიშნული სოციალური ერთეულის სახელწოდებას. ამას გარდა, მეორე მემკვიდრეობითი სახელის აღსანიშნავად ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია ტერმინი "მეტგვარი" (ს. მელიქიძე). ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის განშტოებების (დანაყოფების) აღსანიშნავად გამოიყენებენ ზოგადი ეთნოლოგიური ლიტერატურიდან ნასესხებ ტერმინებს: "ფრატრია", "პატრონიმია". პირველი გვარის დანაყოფის მნიშვნელობით არასწორად გამოიყენებოდა 30-იანი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ტერმინის ("ფრატრია") გამოყენება მიუღებელია, რადგან: ა) მას იყენებენ პირველყოფილი საზ-ის სოციალური უჯრედის აღსანიშნავად; ბ) "ფრატრია" წარმოადგენდა არა გვაროვნული გვარის დანაყოფების სახელწოდებებს, არამედ, პირიქით, ერთი ტომის ორი ან რამდენიმე გვარის გაერთიანებას. ერთი შეხედვით შეიძლება მისაღები ყოფილიყო ტერმინი "პატრონიმია", რადგან იგი თავისი შინაარსით აღნიშნავს მამის სახელს, ერთი საერთო წინაპრის შთამომავლებს (pater-მამა, onyma-სახელი), მაგრამ ამ ტერმინსაც კლასობრიობამდელი საზოგადოების გვარის დანაყოფებს უწოდებენ. თუმცა შეინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში "პატრონიმია" უწოდონ კაპიტალიზმამდელი პერიოდის გვარების დანაყოფებს.

მეორე მემკვიდრეობითი სახელის (გვარის დანაყოფის სახელწოდების) აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ (ისტორიულ-გეოგრაფიულ) კუთხეში სხვადასხვა სიტყვა (ტერმინი) გამოიყენება: "მამანი", "მამიშვილობა", "ბუდობა", "კომობა", "ბაბუიშვილობა", "ბუნე", "სახიჯარი", "თოხუმი", "ქექილი", "ნარყი", "მეტსახელი", "გვარზე მეტი", "განაყრობა", "სამხუბი", "ლამხუბი", "თური", "დინო", "გამნარყი"... სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის დანაყოფის სახელადაა მიჩნეული "კილიც", მაგრამ როგორც ინეზა გაბელაიას მიერ აბაშის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აქ "კილი" მხოლოდ გვარის მეტსახელია და არა გვარის დანაყოფის სახელი.

გვარის დანაყოფის, განაყოფის სოციალური ერთეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მდგრადობა-სიმტკიცით ხასიათდებოდა. ერთი რამ ცხადია, რომ ის ცვალებადობას, ახლის წარმოქმნას უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე გვარსახელი. თუმცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, როგორც საისტორიო, ისე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემებით ჩანს, მეორე მემკვიდრეობითი სახელიც თავისი წარმოშობით უაღრესად ძველია და თითქმის იმავე ხნოვანებისაა, რა ხნოვანებისაც არიან გვარსახელები, რომელშიც ისინი შედიან. აქ შეიძლება გავიხსენოთ რ. ხარაძისა და იზ. ჩანტლაძის ნაშრომები ხევსურული და სვანური გვარებისა და გვარის დანაყოფთა შესახებ. როგორც გვარსახელებს, მეორე მემკვიდრეობით სახელებსაც საფუძვლად უმეტესად მამაკაცის სახელები აქვთ. უფრო დიდ სოციალურ ერთეულსა (გვარსახელი) და მცირე სოციალურ ერთეულს (გვარის დანაყოფის სახელწოდება) შორის განსხვავება ისიცაა, რომ პირველი ძირითადად ფიქსირებული იყო და ფიქსირდება ოფიციალურ იურიდიულ და სხვა სახის დოკუმენტებში. მეორე სახელი კი არსად არ ფიქსირდება, მას იურიდიული ძალა არა აქვს და ის მხოლოდ ხალხის მეხსიერებაში არსებობს. ამასთანავე, მას ყოველთვის გარკვეული სოციალური

შინაარსი ჰქონდა და აქვს. მეორე მემკვიდრეობითი სახელის მატარებელნი უფრო მრავალი სოციალური ვალდებულებებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ვიდრე გვარსახელის მატარებელნი. სოფელში სახელდებისას ძირითადად მეორე მემკვიდრეობითი სახელი გამოიყენებოდა. ს. მაკალათია მთის რაჭის შესახებ წერდა, რომ მხოლოდ "კომლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად, თქვენ თუ იკითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ **ივან ზვიადენთ ლობჯანიძე**, რომელი სახელით ეს კომლი ცნობილია და მაშინ კი გაიგებენ. მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არც იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივ იტყვიან: მიხა ერმილეენთი, მამუკო ნინიკიანთი და სხვ." (ს.მ. 1987, გვ. 50). დავსძენთ, რომ გვარის მრავალრიცხოვნობის პირობებში, პიროვნების გვარის დანაყოფის სახელით მოხსენიება ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალიც იყო.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ხშირად გვარის დანაყოფებს ჰქონდათ ტენდენცია ახალ გვარად გარდაქმნისაკენ. ე.ი. რომ დავაკონკრეტოთ, ახალ გვარებს საფუძლად ედებოდა არა მარტო მამის სახელი, არამედ გვარის დანაყოფის სახელიც. ამის ტიპიურ მაგალითად ფშავი შეიძლება დავასახელოთ, სადაც გვიანფეოდალურ პერიოდში (XIX ს-ის ჩათვლით) მოხდა დედა-გვარიდან ახალი გვარსახელების წარმოქმნა. მამიშვილობათა სახელები პირდაპირ გვარსახელებად იქცნენ. ისიც მოხდა, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, გვარის დანაყოფთა სახელები გვარსახელებად რომ იქცა, მოგვიანო პერიოდში ამ ახალი გვარსახელების წარმომადგენლები ისევ დაუბრუნდნენ ადრინდელ გვარს და გვარის დანაყოფის ადრინდელი სახელი ისევ დანაყოფის სახელად აქციეს. ასეთი მოვლენა შენიშნული გვაქვს ხევში. წიკლაურთა გვარის ერთ-ერთი დანაყოფია გოთიენი: "გოთიეთ ვეძახით, გვარად წიკლაურები არიან". 1774 წ. აღწერაში სოფ. სიონში **გოთიაური** გვარადაა ჩაწერილი: გოთიაური თამაზის შვილი გაია, იასე, გიორგი და პაპუა". აქ პირველი გვარია, მეორე – მამის სახელი და მესამე – სახელები. 1831 წ. ისინი კვლავ აღნიშნული გვარით, მაგრამ შეცვლილი ფინალით – ("გოთიაშვილი") არიან ჩაწერილი. 1886 წ. კი თავდაპირველ გვარს – წიკლაურს დაუბრუნდნენ.

საისტორიო საბუთებით იმის შესაძლებლობაც გვეძლევა, დავადგინოთ რა ხნოვანებისაა ესა თუ ის მეორე მემკვიდრეობითი სახელი. მაგალითად, სტეფანწმინდელი ალიბეგაშვილების გვარი ოთხი განაყოფისაგან შედგება: "ხოტიენი", "ყაზგერენი", "იენი" და "ცაცვენი". ამ მამიშვილობებიდან ორს საფუძველი XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩაყრია. 1774 წ. აღწერაში მოხსენიებული არიან **ია** და **ყაზგერ** ალიბეგაშვილები. ცალკე განაყოფას ქმნიდნენ ამა თუ იმ გვარში შესული სხვა გვარის წარმომადგენლები. მაგალითად, ხევის სოფ. ყაბონში მცხოვრებ კობიაშვილების გვარში შესული არიან ძირად ქისტის – **ხუტის** შთამომავალნი, რომლებსაც "ხუტიეთ განაყოფას" უწოდებენ. 1774 წ. აღწერაში ფიქსირებულია "კობიაძე ხუტის შვილი მგელი და ბეჟან".

ახლა მოკლედ უნდა დავუბრუნდეთ ისევ გვარის დანაყოფთა მეორე მემკვიდრეობითი სახელების აღმნიშვნელ სახელწოდებებს. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სიტყვა გამოიყენება. უმეტესი მათგანი წარმოშობით ქართული ტერმინებია. გვაქვს უცხო წარმოშობის ტერმინებიც. მაგალითად, "ბუნე" გვარის დანაყოფს ეწოდება ზემო იმერეთში. თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონით "ბუნი//ბუნია არაბულათ საფუძველსა ნიშნავს". მას მ. ანდრონიკაშვილი ირანულიდან შემოსულად თვლის. სამწუხაროდ, მეორე მემკვიდრეობითი სახელის აღმნიშვნელი სხვადასხვა ქართული სიტყვები (დიალექტური სიტყვები) თითქმის არც ერთი არაა შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. იშვიათად არიან ისინი განმარტებულნი დიალექტურ ლექსიკონებში, თანაც არასრულფასოვნად. ერთგვარი გამონაკლისია ქ. ძოწენიძის ლექსიკონი, რომელშიც "ბუნე" განმარტებულია, როგორც ერთი პაპის შთამომავალნი. როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის სახელწოდების აღსანიშნავად ორი (უფრო სწორად სამი) ტერმინია შემოთავაზებული: შტო-გვარი, ქვე-გვარი და მეტგვარი. ჩვენ ეს ტერმინები შესატყვის ტერმინებად არ მიგვაჩნია და არც სრულად ასახავენ იმ სოციალურ ერთეულს, რომელზედაც

გვაქვს ლაპარაკი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გვარის დანაყოფის სახელწოდების აღსანიშნავად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი ტერმინი დამკვიდრდეს, რომელსაც ქართველი ხალხი ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში იყენებს. ერთი და იმავე სოციალური ერთეულის (უჯრედის) აღსანიშნავად ენათმეცნიერმაც და ეთნოგრაფმაც ერთი ტერმინი უნდა გამოიყენოს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, უპირატესობა ერთ-ერთ დიალექტურ ფორმას უნდა მიენიჭოს. ასეთ ტერმინად "მამიშვილობა" (ანდა "განაყოფა") მიგვაჩნია. საბოლოოდ კი ყველაფერი შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

Towards Georgian Hereditary Names

Georgian family names have been mainly divided into four groups: economic, ethnonymic, geographic and professional family names. On the basis of the study of Georgian historical documents and ethnographic data it might be concluded that a certain part of the family names of the second and the third groups (ethnonymic and geographic) should be referred to as the eponymic family names.

In Georgian reality family names are not only hereditary names. Another hereditary name, having been rather in most of the parts of Georgia, is a kind of a division of a surname. Two terms have been used to denote secondary hereditary names: *što-gvari* ("branch-surname") and *kve-gvari* ("sub-surname"). Both terms have been derived artificially.

Various terms have been used in different historico-geographic parts of Georgia. In order to denote these secondary hereditary names both in Linguistics, and in history and ethnography, one of the Georgian dialectal forms should be chosen. From this standpoint, *mamišviloba* seems more advantageous.

საქართველოში საკუთარ სახელთა რქმევის ზოგიერთი ტრადიციის შესახებ*

წინამდებარე სტატიაში საუბარი გვექნება მხოლოდ მამაკაცის სახელებზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში ძირითადად მამაკაცის სახელებია ფიქსირებული, მეორე იმიტომ, რომ მამაკაცის სახელები ბევრად აჭარბებს ქალთა სახელებს და მესამე – ქართულ ეპონიმიურ გვარსახელებს, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ძირითადად მამაკაცთა სახელები უდევთ საფუძვლად. ცნობილია, რომ საქართველოში ისტორიულად გავრცელებული იყო ქართულ-ქართველური, ქრისტიანული (ბერძნული, ებრაული) და მეზობელ ხალხთა სახელები. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში დასახელებული სამი სახის სახელებიდან ხან ერთს ჰქონდა პრიმატი, ხან მეორეს და ხან მესამეს. ოფიციალურად, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია პიროვნებებს კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებს არქმევდა, თუმცა ქართულ-ქართველურ სახელებს ასპარეზი არასდროს დაუთმია. მათ მეორე პლანზე გადაინაცვლეს და მეტსახელების ანუ თიკუნების სახით მოგვევლინნენ. ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა და საისტორიო საბუთებმა შემოგვინახა არაერთი ფაქტი ორი სახელის რქმევისა, რითაც ჩანს, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ქართულ-ქართველური სახელები ნელ-ნელა განდევნა ასპარეზიდან. შეიძლება გავიხსენოთ "ლაშა-გიორგი" და "დავით-სოსლანი". სოსლანი და ლაშა, რა თქმა უნდა, ნათლობამდელი სახელები იყო ამ პიროვნებებისა, გიორგი და დავითი კი ნათლობის სახელები. ბოლო დრომდე ყველა ქართველს ორი სახელი მაინც ერქვა: ერთი –

* "მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (პირველი სამეცნიერო კონფერენცია), "ლომისი", თბილისი, 1997, გვ. 22-27.

ოფიციალური, ქრისტიანული (ნათლობისა) და მეორე – ზედმეტი სახელი. ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ვ. ბარდაველიძეს ნაჩვენები აქვს, რომ ჩვენში პიროვნებას რამდენიმე სახელი ერქვა. ერთი სახელი იყო ჯვარისა (სალოცავის), რომელსაც დაბადებისთანავე დედა არქმევდა შვილს (ვაჟსაც და ქალსაც), მეორე სახელი იყო სულისა, რომელსაც დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ არქმევდნენ. ეს იყო წინაპრისა ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი. მესამე სახელი იყო თიკუნი ანუ ზედმეტი სახელი და მონათვლის შემთხვევაში ერქმეოდა მეოთხე, ნათლობის სახელიც (ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია), "მიმომხილველი", I, 1949). დ. ბაქრაძე: "გურიაში იშვიათი არ არის, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობისა, და ერთიც შერქმეული" (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 128).

ვიმეორებთ, რომ ქართულ გვარსახელებს საფუძვლად ძირითადად მამაკაცის სახელები უდევთ, რომლებსაც მეცნიერებაში ეპონიმიურ გვარსახელებს უწოდებენ. თუმცა საკმაო რაოდენობით გვაქვს ტოპონიმისმიერი, პროფესიული და ეთნონიმიური გვარსახელები. უნდა ითქვას, რომ ეპონიმიურ გვარებში ხშირად მამაკაცებს არქმევდნენ იმ სახელებს, რომელმაც სახელებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამა თუ იმ გვარს. გვარის საფუძველჩამყრელის სახელი ტრადიციულად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული საისტორიო საბუთებიდან. მანამ კონკრეტულ მაგალითებს შემოგთავაზებთ, აღვნიშნავთ, რომ ასეთი საკუთარი სახელების რქმევა დამახასიათებელი იყო არა მარტო მთელი შუა საუკუნეებისათვის, არამედ მოგვიანო პერიოდის, – XIX საუკუნის ქართული ყოფისთვისაც. მაგალითები: "ქუცნა ქუცნიაშვილი", "გოდერძი გოდერძაული", "სამაღან სამაღანიშვილი", "ბეჟიტა ბეჟიტაშვილი", "ქუფრია ქუფრიაშვილი", "ღრუბელა ღრუბელაძე", "თვალთა თვალთაშვილი", "თეთრა თეთრაძე", "ბედო ბედოძე", "ჩიტო ჩიტოშვილი", "აფაქ აფაქიანი", "რატი რატიანი", "რატი რატიშვილი", "ბაია ბაიაშვილი", "ხუცურა ხუცურაული", "ჩეკურა ჩეკურაშვილი", "თავაქარ თავაქარაშვილი", "ჯამარ ჯამარაული", "ხიზანა ხიზანაშვილი", "ხარება ხარებაშვილი", "ხატო ხატიაშვილი", "რუსია რუსიშვილი", "მაისურ მაისურაძე", "ჯარმიზა ჯარმიზაული", "ბულალა ბულალაური"... ამრიგად, გვარის საფუძველჩამყრელის სახელი ქართულ გვარებში ტრადიციული იყო.

ირკვევა, რომ საქართველოში ერთგვარი წესი, ტრადიცია არსებობდა ადრინდელი გვარის საკუთარ სახელად ქცევისა. ამით ქართველები პატივს მიაგებდნენ თავიანთ ადრინდელ გვარსახელს. ეს იყო გარკვეული კავშირის გამოხატულება ადრინდელ გვართან. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს მოვლენა -ურ (-ულ) და -ძე ფინალიან გვარებთან. მაგალითად, ქსნის ხეობაში, ჭურთისხევზე მდებარე სოფელ დორეულთკარში მოსახლეობდნენ დორეულები, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აქედან აიყარნენ და ერწოში გადასახლდნენ. 1774 წ. დორეთკარის აღწერაში დასახელებულია "დორეული სისოურის შვილი აბრამ" (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967, გვ. 184). დღეს ასე დაიწერებოდა: "აბრამ სისოურის ძე დორეული". აბრამი საკუთარი სახელია, სისოური, ამ შემთხვევაში, მამის სახელი და დორეული – გვარსახელი. ეთნოგრაფიული და საარქივო მასალებით დასტურდება, რომ დორეულების ადრინდელი გვარია სისაური. ამდენად, დორეულები არ ივიწყებდნენ რა თავიანთ ადრინდელ გვარს, პატივს მიაგებდნენ მას და ხშირად თავიანთ გვარში დაბადებულ ვაჟებს სახელად ადრინდელი გვარის სახელს არქმევდნენ. ამავე აღწერიდან სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ. დორეულთკარში ცხოვრობდა: "დორეული ოსების შვილი სისოური", "დორეული ძაღლიას ობოლი, თავიბ, ქიტესა და სისური".

დასახელებული აღწერიდან კიდევ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ. სოფელ თინიკანთკარში მკვიდრობდა "თინიკანთ ბერის შვილი თავიბ, ბასილი და გაბიდაური" (გვ. 188). ამ

შემთხვევაშიც "გაბიდაური" საკუთარი სახელია, "ბერი" – მამის სახელი და "თინიკანი" (თინიკაშვილი) – გვარსახელი. საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ თინიკაშვილები ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური. თინიკაშვილების გვარშიც ადრინდელი გვარსახელი საკუთარ სახელად იქცა. ისევე როგორც დორეულების გვარში, თინიკაშვილების გვარშიც მოყვანილი მაგალითი ერთადერთი როდია. იმავე აღწერით სოფ. კორინთაში მკვიდრობდა "თინიკანთ ავთანდილის შვილი გაბიდაური" (გვ. 189).

გადმოცემით, ქსნელი ბუნტურების ადრინდელი გვარია ბურდული. 1774 წ. აღწერაში ცხავატში მოხსენიებულია "ბუნტური ბასილას შვილი ბურდული" (გვ. 195). ამ შემთხვევაშიც "ბურდული" ოჯახის უფროსის სახელია. XVIII ს. აღწერის დავთრით, ასევე დასტურდება მამაკაცის სახელად ღუდუშაური, სამხარაული (გვ. 111, 195) და სხვ.

მსგავსი მაგალითების (სუფიქსური საკუთარი სახელების) მოტანა მხოლოდ XVIII ს-ის აღწერის დავთრებიდან როდი შეიძლება. სახელების რქმევის ეს ტრადიცია XIX ს-შიც გრძელდებოდა. 1841 წლის აღწერით აფციაურთა გვარში ატარებდნენ სახელს – "ჯალაბაური". ცნობილია, რომ აფციაურთა გვარის ერთი ნაწილი ხევსურეთიდან გადმოსახლებული ძირად ჯალაბაური იყო.

ქსნის ხეობიდან გადმოსახლებულნი იყვნენ დორეულები ერწოს სოფელ ჭუჭულიანთკარში (იგივე წიაბეთი, ახლანდელი დორეულები). 1842 წლის აღწერაში ისინი ორი გვარით – "დორეული-სისაური" არიან ჩაწერილი. ამასთანავე, ერთ-ერთ დორეულ-სისაურს სახელად ერქვა "სისაური". ამავე სოფელში ცხოვრობდნენ თინიკაშვილებიც, რომლებიც ასევე ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. როგორც აღვნიშნეთ, მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური. 1842 წლის აღწერით ერთ-ერთ თინიკაშვილს სახელად ერქვა "გაბიდაური". ადრინდელი გვარის სახელს – სისაურს ატარებდა სახელად ერთ-ერთი გონჯილაშვილი თიანეთში. აქვე გვარად "ტუმურ-ბიტომვილს" ერქვა "ქისტაური". ამ გვარისანი ძირად ქისტაურები იყვნენ, გადმოსახლებულნი ფშავის სოფელ შუაფხოდან. იგივე შეიძლება ითქვას სიმონიანთხევში მოსახლე ბიჩინაშვილებზე. 1843 წ. აღწერით ერთ-ერთ ბიჩინაშვილს სახელად ერქვა ადრინდელი გვარის სახელი "ქისტაური".

ძირად ხამხაძეები იყვნენ თიანეთში მოსახლე მოსახლიშვილები. 1842 წლის აღწერით, ერთ-ერთ მოსახლიშვილს სახელად ერქვა "ხამხაძე". ჯამაგიძეების ადრინდელი გვარი იყო ზარიძე (ერწოს სოფელ ხევსურთსოფელში). 1842 წელს ერთ-ერთ ჯამაგიძეს სახელად ერქვა "ზარიძე". სხვათა შორის, მთიულ ზაქაიძეებს შორის გავრცელებული სახელი იყო "ზარიძე". აფციაურების გვარში ხშირად გვხვდება მამაკაცის სახელი "საბიჯური", ბაზალების გვარში, როგორც "საბიჯური", ისე "აფციაური". სოფელ საყდრიონში ცხოვრობენ მოხევიშვილები, რომლებიც ძირად მოხევეები არიან და მათი თავდაპირველი გვარი იყო "ჩქარეული". ერთ-ერთ მოხევიშვილს სახელად ერქვა "ჩქარეული". ხამხაძეების გვარიდან წარმომავლობენ თიანელი აბრამიშვილები. 1873 წლის კამერალური აღწერით, ერთ-ერთ აბრამიშვილს ერქვა "ხამხაძე". გიგაურის სახელი გავრცელებული იყო ფრიდონაშვილების, ქადაგიშვილების, კოტორაშვილების, ხარებაშვილების გვარებში, რომლებიც გიგაურთა გვარიდან იყვნენ შტონაყარი. გავრცელებული სახელი იყო "ზარიძე". ასეთი სახელი დადასტურებული გვაქვს ბადაგაძეების, ზაქაიძეების, ასტამაძეების, კარელიძეების გვარებში. ვინმე ზარიძე კარელიძე ნახსენებია XVIII ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთ საბუთში (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1047). ეთნოგრაფიული მასალებით, ქსნის ხეობაში მოსახლე კარელიძეები ზარიძეებიდან წარმომავლობდნენ. მოხევე ეფხოშვილების ადრინდელი გვარია ღუდუშაური. 1774 წლის აღწერით ერთ-ერთ ეფხოშვილს სახელად ერქვა "ღუდუშაური". მთიულეთში, სოფელ ჟოჟონში მამულაიძეების გვარი მკვიდრობდა. 1774 წლის აღწერით ერთ-ერთ მამულაიძეს სახელად ერქვა "გოგოლაური". მამულაიძეების გვარში კი დაცულია გადმოცემა, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო გოგოლაური.

საკუთარი სახელების რქმევის აღნიშნული ტრადიცია არამარტო გლეხთა ფენისათვის, არამედ თავადაზნაურობისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად შეიძლება ჯავახიშვილების გვარში გავრცელებული საკუთარი სახელი "თორელი" მოვიყვანოთ. ცნობილია, რომ ჯავახიშვილების გვარი თორელთა გვარს XIII ს-ის მეორე ნახევარში გამოეყო. ასევე ტრადიციული იყო ჯავახიშვილთა გვარში მამაკაცის სახელი "გამრეკელი". ცნობილია, რომ თორელთა გვარი თავის მხრივ გამრეკელთა გვარიდან მომდინარეობდა. XI-XV სს. საქართველოში დიდ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოდგენდა ვარდანისძეთა გვარი, რომელიც მარუშიანთა (მარუშისძეთა) საგვარეულოდან წარმოდგებოდა. ვარდანისძეთა გვარში ადრინდელი გვარი (მარუშიანი) მამაკაცის სახელად იქცა.

საქართველოში სახელების რქმევის ასეთი ტრადიცია გვქონდა. პიროვნებებს არქმევდნენ არა მარტო ყოფილი, ანუ ადრინდელი გვარის სახელს, არამედ გვარსახელს. XVIII და XIX საუკუნეების აღწერის დავთრებში არაერთგზის გვაქვს დაფიქსირებული ასეთი სახელები გვარსახელებთან: "ბუნტურ ბუნტურიშვილი" (დავაკვირდეთ, აქ გვარსახელ ბუნტურთან მეორე სუფიქსი -შილიც ჩნდება. ამ შემთხვევაში, პირველი "ბუნტური" საკუთარი სახელია, მეორე - ბუნტურიშვილი გვარსახელს გამოხატავს); "წიპტაური წიპტურიშვილი"; "ბაშარული ბაშარულიშვილი"; "შერმადინ შერმადინიშვილი"; "ზარიძე ზარიძიშვილი"; "ბექაურ ბექაური"; "ფსუტური ფსუტური"; "ხრიკულ ხრიკული"; "კაიშაურ კაიშაური"; "ამირიძე ამირიძე"; "პატაშურ პატაშური"; "გვიანაურ გვიანაური"; "ჩრდილელ ჩრდილელიშვილი" (აზნაური); "ქისტაურ ქისტაური"; "კურკუმელ კურკუმული"; "გაგაძე გაგაძიშვილი"; "ქვიცურ ქვიცურიშვილი"; "ბუჩუკურ ბუჩუკური"; "გიგაურა გიგაური"; "ხადურა ხადურიშვილი"; "მცხეთელაძე მცხეთელაძე"; "ტუმურა ტუმური"; "მახატელი მახატელი"; "ლაზნელიძე ლაზნელი" (1620 წ. საბუთში); "ქინქლაძე ქინქლაძე"; "ნიაურ ნიაურიშვილი"; "წიკლოურ წიკლაური"; "სამხარაულ სამხარაული"; "ვეშაგურ ვეშაგური". XIV ს-ის ერთ სვანურ დოკუმენტში დასახელებულია "ქურდიანილ ქურდიანი" (პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1944, გვ. 95). გვარსახელების საკუთარ სახელებად გამოყენების ტრადიციის შესახებ სვანეთში მიუთითებდა რ. ხარაძე წიგნში "დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში" (თბ., 1939). მას მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითი: "რატიან რატიანის ძე რატიანი" (გვ. 18).

აღნიშნული ტრადიცია გვარსახელის საკუთარ სახელად რქმევისა, დამახასიათებელი იყო თავადაზნაურთა ფენისთვისაც და, როგორც ჩანს, ასეთ ტრადიციას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, ქსნის ერისთავების გვარი აქ დამკვიდრების შემდეგ ქვენიფნეველი იყო. მამაკაცის სახელი "ქვენიფნეველი" ქვენიფნეველების გვარში, "მეგლი ერისთავთაში" (XIV ს. დასასრული) ორჯერაა დაფიქსირებული.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთი ტიპის მამაკაცის სახელებზე. საქართველოს მთიანეთში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო -ძე სუფიქსიანი სახელები: ბერიძე, ბაქიძე, ნანაიძე, მარაიძე, თამარიძე და სხვ., რომლებიც საგულისყურონი არიან. ამ შემთხვევაში დასკვნა ასეთია: -ძე სუფიქსიანი სახელები გადმონაშთია ძალიან ძველი დროისა. ასეთ სახელებს თავდაპირველად არქმევდნენ, რა თქმა უნდა, ბერის, ნანაის, თამარის შვილებს. შემდგომში ასეთი -ძე სუფიქსიანი სახელები გაქვავდა და ტრადიციით გადაეცემოდა თაობიდან თაობაზე. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს მთაში შემორჩენილ -ურ სუფიქსიან რამდენიმე სახელზე.

ქართული საისტორიო საბუთები, წყაროები იცნობენ აგრეთვე -ელ სუფიქსიან მამაკაცის სახელებს, რომლებიც გვარსახელებიდან არ მომდინარეობენ. ისინი მიღებულია ტოპონიმიზე - ელ სუფიქსის დართვით. შეიძლება გავიხსენოთ სურამელი, მარგველი, ლარგუელი და სხვ. ეს უკანასკნელი სახელი ტრადიციული იყო ქსნის ერისთავების - ქვენიფნეველების საგვარეულოში. ლარგვისი ქსნის ერისთავების სამკლეს წარმოადგენდა.

ამრიგად, საქართველოში გვქონდა საკუთარი სახელების რქმევის შემდეგი ტრადიცია: 1) პიროვნებებს არქმევდნენ სახელს, რომელმაც ამა თუ იმ გვარს თავის დროზე ჩაუყარა საფუძველი (მაგალითად, "რატი რატიანი"); 2) პიროვნებებს არქმევდნენ ადრინდელი გვარის

სახელს (მაგალითად, "სისოურ დორეული"); 3) პიროვნებებს არქმევდნენ უშუალოდ გვარის სახელს ("მცხეთელაძე მცხეთელაძე"). ამას გარდა, ყოფაში იყო -ძე, -ურ (-ულ) და -ელ საფიქსიანი სახელებიც.

აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულანთროპონიმიაში*

ყველა ეთნოსს წარმოქმნისა და ხანგრძლივი განვითარების პერიოდში მისი ენობრივ-ეთნიკური კოლექტივისათვის დამახასიათებელი ანთროპონიმები ჰქონდა. მაგრამ, ისევე როგორც კულტურის ელემენტები, ანთროპონიმებიც ერთი ხალხიდან მეორეში ვრცელდებოდა. ანთროპონიმების გავრცელების მიზეზი სხვადასხვა იყო. ქართველი ხალხიც (ქართული ეთნოსიც) არ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. ქართული ენობრივი და ეთნიკური სამყარო საუკუნეთა განმავლობაში ითვისებდა უცხო, არაქართულ ანთროპონიმულ ერთეულებს, რომელთა პირველი შემთვისებელი პრივილეგირებული წოდება იყო. ქართული სახელმწიფო ერთეულები მისი წარმოქმნის დღიდან ემეზობლებოდნენ ისეთ დიდ და კულტურულ-ცივილიზებულ ხალხებს, როგორებიც იყვნენ ირანელები (სპარსელები) და ბერძენ-ბიზანტიელები. ქართულ საისტორიო წყაროებზე, საბუთებზე თვალყურის გადევნება შესაძლებლობას გვაძლევს თვალყური გავადევნოთ როგორც პირველი, ისე მეორე კულტურული სამყაროდან ქართულში ანთროპონიმების შემოღინებას. თავდაპირველად განსაკუთრებით ბევრი საკუთარი სახელი გავრცელდა ირანიდან.

ქართული საკუთარი სახელები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი ისტორიულად იცვლებოდნენ, რაც განპირობებული იყო რელიგიითა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით. უცხო სახელები ქართველ ხალხში, უპირველეს ყოვლისა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვლევდა გზას. ქრისტიანობის მიღებამდე დიდად იყო გავრცელებული ირანული სახელები (მ. ანდრონიკაშვილი), რომელთა შემოღინება ქრისტიანობის მიღების შემდეგაც არ შეწყვეტილა. IV ს-დან ფართოდ ვრცელდება კანონიზებული ქრისტიანული სახელები, რომლებიც თავისი წარმომავლობით ძირითადად ებრაულ და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს ეკუთვნიან. ისტორიულმა ვითარებამ საქართველოში განაპირობა არაბული და თურქული სახელების დამკვიდრება. XIX ს-დან ქართველ ხალხში გავრცელდა რუსული და ევროპული სახელებიც.

შეინიშნება ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული საკუთარი სახელები, განსაკუთრებით კი მათ მეზობლად მცხოვრებ ქართველ მთიელებში (თ. უთურგაიძე). ყველა შემოსული უცხო სახელი თანაარსებობდა კანონიზებულ ქრისტიანულ და საკუთრივ ქართულ-ქართველურ საკუთარ სახელებთან ერთად.

ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში შემოსული უცხოური სახელები ქართულ ელფერს იძენდნენ. ბევრი მათგანი ისეა გაქართულებული და ფონეტიკურად სახეშეცვლილი, რომ სპეციალური ცოდნის გარეშე ძნელია მათი წარმომავლობის გარკვევა. საკმარისია, „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში ჩავიხედოთ, რომელშიც ზედა ფენის წარმომადგენელთა სახელებია დაფიქსირებული, აკმოვიკითხავთ ძირითადად გაქართულებულ სპარსულ (ირანულ) და კანონიზებულ ქარისტიანულ სახელებს: აბაზა, აბრაამ, არსენ, არჩილ, ბაგრატ, ბართლომ, ბაქარ, გაბრიელ, გიორგი, გუარამ, გურანდუხტ, დავით, დაჩი, დემეტრე, ელენე, ესაია, ვარაზ, ვახტანგ, ზაქარია, თევდორე, იაკობ, იოვანე, ლეონ, მარიამ, მიქაელ, პეტრე, რატი, სააკ, სამოელ, სარა, სვიმონ, ფარნავაზ... არაერთი აღმოსავლური სახელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კანონიზებული იქნა, რადგან ასეთ სახელთა

* „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი, 2002, გვ. 93-97.

მატარებელი წმინდანებად იქნენ შერაცხული. მაგალითად, შეიძლება კაცის სახელი **ვახტანგი** და ქალის სახელი **ქეთევანი** დავასახელოთ, რომლებიც წარმოშობით ირანული სახელებია.

„ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება საკუთრივ ქართული სახელი: **ზვიადი** და **კახაბერი**. **ზვიადი** პოპულარული სახელი იყო ყველა დროის საქართველოში. ის XIII ს-ის საბუთშიც გვხვდება. XIII საუკუნისავე საბუთში დადასტურებულია ვეფხა, მშუიდა, ნიორა. მაგრამ ქართულ წერილობით ძეგლებში ძირად ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები ძალზე მცირედი რაოდენობითაა წარმოდგენილი, რადგან ისინი ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებში, გლეხობაში იყო გავრცელებული, თანაც მეორე სახელის სახით. პრივილეგირებული ფენა კი ან ქრისტიანულ-კანონიზებულ, ანდა იმ ქვეყნის (ეთნოსის) სახელს ანიჭებდა უპირატესობას, რომლის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა საქართველო.

ქართულ-ქართველური საკუთარი სახელების განდევნაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი წვლილი ქრისტიანულ ეკლესიას მიუძღვის. ის კანონიზებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) სახელებს უხსნიდა გზას. ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები დავიწყებას მიაჩნდა არ ეძლეოდა და ისინი მეორე, ანუ ზედმეტი სახელების სახით ვრცელდებოდა. ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები, რომლებიც შეკრებილი და სათანადოდ კლასიფიცირებულია (ჭუმბურიძე, 1987; ღლონტი, 1982; გოდერძიშვილი, 1998) განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებსა, აგრეთვე სამეგრელოსა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შემორჩა. ესენია ძირითადად გაანთროპონიმებული ქართული სიტყვები, რომლებიც გამჭვირვალენი და ადვილად ამოსაცნობი არიან. ქვემოთ მხოლოდ მათ მცირე ნაწილს ჩამოვთვლით (ქალის სახელები შავი შრიფტითაა აწყობილი): ახალა, აპრილა, ბიჭია, ბიძასთვალი, **ბერდედა**, ბოჩოლა, ბედი, გვრიტა, გვიანა, **გულქალა**, გონიერი, დათვია, **დედუნა**, **დეუფალი**, **დედისიმედი**, ერთგულა, ვეფხია, **თეთრუა**, თვალა, ირემა, იმედა, კაკალა, კაკაბა, **კვაწუნი**, **კეკლუცაი**, ლომა, ლეკვია, **მაყვალა**, მგელა, მერცხალა, **მზია**, **მთვარისა**, მახარე, მამაცა, მამისიმედი, **მარცვალა**, მინდოდა, **მზევინარი**, მხიარულა, ნებიერი, ნუკრია, **ნათია**, ნემსა, **პირიმზე**, რჩეულა, რთველია, საყვარელა, **საბედო**, სიხარული, ტურა, ტყემალა, უფლისა, უშიშა, **ფოთოლა**, ფოცხვერა, ფუტკარა, ფეტვია, **ქალუკა**, ქურციკა, ქერა, ღრუბელა, შავთვალა, შველია, ჩქარია, ჩხიკვი, ჩიტო, **ძალღია**, წაბლიკა, **ცისმარ**, ჭრელა, ხმელა, ხმალა, ხოხობა, ჯიხვი, ჯვარისა...

ქართულ-ქართველურ საკუთარ სახელებს ქრისტიანობის შემდეგ ძირითადად მეტსახელის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ზოგჯერ კი კანონიზებული ქრისტიანული სახელი აღარავის ახსოვდა. პიროვნებებს გარშემო მყოფნი მხოლოდ მეტსახელით მიმართავდნენ.

ორი სახელით ჩაწერის (კანონიზებული ქრისტიანული სახელის და ქართული სახელის) საინტერესო ფაქტებია დადასტურებული ქართულ დოკუმენტებსა და XIX ს. აღწერის დავთრებში. ხშირად მეორე, ზედმეტი სახელის ფუნქციას ოფიციალური კანონიზებული ქრისტიანული სახელის შემოკლებული, კნინობით, საალერსო ფორმა ასრულებდა: კონსტანტინე→კოტე, კოწია; ალექსანდრე→ალე, ალეკო...; ბენიამინი→ბენო; ბესარიონი→ბესა, ბესო, ბესიკი; გაბრიელ→გაბო; თევდორე→თედო; ქრისტეფორე→ქიტა, ქიტესა; ეკატერინე→ეკა, კატო; მარიამი→მარო, მარიკო; პელაგია→პელო... (ჭუმბურიძე, 1987).

XIII ს. სვანეთის კრების მატთანეში გვხვდება როგორც კანონიზებული ქრისტიანული, ისე ქართულ-ქართველური სახელები: გიორგი და მუხლუხა, ილარიონი და ქუელი, მიქელ და დუდა, იოანე და რკინა, მარიამ და ნათელი, მარინე და გვანცა, ეგნატი და ბერეჟი, გაბრიელ და ქურციკ, ნინო და ქალკმაი, დავით და ლომა, ირინე და ზეჟალ (ინგოროყვა, 1941). ერთგვარად გამორჩეული იყო სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგინი, სადაც უფრო ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები იყო გავრცელებული, ვიდრე კანონიზებული ქრისტიანული სახელები.

გვიანფეოდალურ პერიოდში ქართველ ხალხში გავრცელდა თურქული, არაბული საკუთარი სახელები. გასაოცარია, მაგრამ, ფაქტია, რომ ხშირად ჩვენში ფეხს იკიდებდა

მაჰმადიან დამპყრობთა ისეთი სახელებიც, რომლებიც წესითა და რიგით სიძულვილის ობიექტი უნდა ყოფილიყვნენ და ქართულ ონომასტიკაში მათ ფეხი არ უნდა მოეკიდათ. ამის საილუსტრაციოდ თეიმურაზის (თემურის) დასახელებაც საკმარისია. ამდენად, ქართულ ანთროპონიმიაში უცხო სახელების (აღმოსავლური და დასავლური) შემოდინება უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა ქართულ გვარსახელებზეც არ ვთქვათ. ბუნებრივია, ქართულ გვარსახელებს ფუძედ აქვთ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროდან შემოსული სახელები, ლექსიკა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის გვარსახელები, რომლებიც ე. წ. პროფესიული ტიპის გვარსახელებს მიეკუთვნებიან. აშკარაა, რომ ქართველ ხალხში პროფესიული ტერმინების შემცველი გვარსახელები აღმოსავლურ (ირანულ, არაბულ, თურქულ) ლექსიკას შეიცავენ, რაც უდავოდ იმ დიდი გავლენის გამოხატულება იყო, რასაც საქართველო განიცდიდა მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან. პროფესიული ტიპის გვარსახელებს რაიმე პროფესიის, თანამდებობის ხელობა-მესაქონლეობის აღმნიშვნელი ტერმინები უძევს საფუძვლად. ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ გვარსახელებში არ გვაქვს თვით ქართული პროფესიული ტიპის გვარსახელები. ისინი საკმაოდ ბევრია. აღმოსავლურძირიანი პროფესიული ტიპის გვარსახელებთან შეიძლება დავასახელოთ: სადუნიშვილი (სადუნი - სხვადასხვა ენის მცოდნე), ქეშიკაშვილი (ქეშიკი - სპარსულად გვამის მცველია, Телохранитель), ჯოლბორდი („ისრის მთელი“), თოფჩიშვილი („თოფჩი“-მეთოფე, მეზარბაზნე).

დასავლური (ბერძნულ-ბიზანტიური) ანთროპონიმების გავრცელება ძირითადად, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ქართველ ხალხში ქრისტიანობის გავრცელებით. XIX ს-დან კი ეს პროცესი აღმოსავლური სამყაროსაგან ჩამოშორებამ განაპირობა.

ქართულ ანთროპონიმიაში აღმოსავლური და დასავლური ელემენტების გავრცელება ერთგვარ განსხვავებას გვაჩვენებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით. ბუნებრივია, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის სიახლოვე, მოსაზღვრეობა ამა თუ იმ ქვეყანასთან სათანადოდ აისახებოდა შესაბამის რეგიონზე.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქართველ ხალხში სომხური საკუთარი სახელები თითქმის არ შემოდიოდა, არ ვრცელდებოდა, რაც, ალბათ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ საეკლესიო დაპირისპირებითაც იყო გამოწვეული, ხოლო ქართველ მთიელებში კი ჩრდილოეთ კავკასიელთა სახელების გავრცელებას მეტი ასპარეზი ჰქონდა, რაც, ალბათ, აქ ქრისტიანობის ზედაპირული გავრცელებით უნდა აიხსნას.

უცხო სახელების გავრცელებას გვიანფოდალურ პერიოდში განსაკუთრებით ხელი ეწყობოდა იმ ქართულ მოსახლეობაში, რომლებიც არამართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ: კათოლიკე ქართველებში- დასავლეთ ევროპული (კათოლიკური) სახელები, გრიგორიანულ ქართველებში - სომხურ-გრიგორიანული სახელები, მაჰმადიან ქართველებში - თურქულ-არაბული სახელები...

XVI ს-ში სამცხე-ჯავახეთში ძირითადად ტრადიციული ქართულ-ქრისტიანული სახელები იყო გავრცელებული. „გურჯისტანის ვალაიეთის დავთრით“ ჩანს, რომ მხოლოდ გავრცელებას იწყებდა და ახლად იკიდებდა ფეხს მაჰმადიანურ-თურქული სახელები.

ამრიგად, ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე ქართველ ხალხში აღმოსავლური და ევროპული სახელების გავრცელება უაღრესად საინტერესო სურათს და საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. საქართველოს ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ქართველ ხალხში როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური საკუთარი სახელების გავრცელება. თუმცა შემოსულ ანთროპონიმებს ქართული საკუთარი სახელები საბოლოოდ არ გაუდევნია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
2. გოდერძიშვილი, 1998 - ქ. გოდერძიშვილი, ინდიგენური სახელებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი 1998.
3. ინგოროყვა, 1941 - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. მეორე, თბ., 1941.
4. უთურგაიძე, 1966 - ი. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1966.
5. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში*

ანთროპონიმია ესაა ადამიანთა სახელდების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სახელს, მამის სახელს, გვარსახელს, აგრეთვე, მეტსახელს. თითოეული მათგანი წარმოიქმნა ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში და კონკრეტულ სოციალურ გარემოში. ანთროპონიმი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა და როგორც ყოველი სიტყვა, ისიც ექვემდებარება ენის კანონებს და შეისწავლება ლინგვისტური მეთოდებით. მაგრამ ანთროპონიმი არის საკუთარი სახელიც, მას ატარებენ გარკვეული ეთნიკური, სოციალური წრის წარმომადგენლები, იგი ჩნდება ისტორიის რომელიმე ეტაპზე და ფიქსირდებოდა საეკლესიო ჩანაწერებში, ფიქსირდება პიროვნების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში და, ამდენად, მისდამი დიდ ინტერესს იჩენენ ისეთი მეცნიერებანი, როგორცაა ისტორია, ეთნოლოგია, სოციოლოგია, იურისპრუდენცია, საეკლესიო ფილოლოგია. საერთოდ, ანთროპონიმული მონაცემებით შესაძლებელია ფართო კულტურულ-ისტორიული, ეთნოისტორიული და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

ყველა სახელი თუ გვარსახელი გარკვეული მიზეზების გამო წარმოიქმნა. სახელიც და გვარსახელიც შეიძლება იყოს პოპულარული და არაპოპულარული, ძალიან გავრცელებული და ნაკლებ გავრცელებული, რასაც ხშირად ამა თუ იმ სახელთან და გვარსახელთან დაკავშირებული ესა თუ ის მოვლენა განაპირობებს. ყველა სახელსა და გვარს აქვს თავისი ისტორია, გეოგრაფიული და ეთნიკური გავრცელების არე.

საკუთარი სახელი ყველა ხალხს აქვს. ის ადამიანთა საზოგადოების გაჩენისთანავე ჩაისახა. ეთნოლოგთა მიერ შესწავლილ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი იყო საკუთარი სახელი. ასე რომ, მის გარეშე ადამიანი წარმოუდგენელია. მაგრამ ყველა ეთნოსისათვის როდია დამახასიათებელი პიროვნებათა მამის სახელით ანდა გვარსახელით დაფიქსირება. იმდენად, რამდენადაც ეთნიკური ერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალი ნიშნით, მათ ახასიათებთ თავისი საკუთარ სახელთა სისტემა ანუ ანთროპონიმული მოდელი. დღეს საყოველთაოდ გავრცელებული და იურიდიულადაც დაკანონებულია გვარსახელი (მემკვიდრეობითი სახელი). მაგრამ, შეიძლება დავასახელოთ ხალხები, რომელთათვისაც მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) ეხლაც უცნობია. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად შეიძლება ევროპელი ისლანდიელები დავასახელოთ. პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში მათ სახელი და მამის სახელი უწერიათ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ასეთივე ანთროპონიმული მოდელი ჰქონდათ თურქებს, სომხებს, რუსებს... მიუხედავად იმისა, რომ აქ დასახელებული ეთნოსები სხვადასხვა კულტურულ სამყაროს მიეკუთვნებიან, რუსული, სომხური და თურქული ენები სხვადასხვა ენათა ოჯახში შედიან, მათთვის გარკვეულ დრომდე უცხო იყო გვარსახელი.

* “ქართველური მემკვიდრეობა”, IV, ქუთაისი, 2000, გვ. 168-190.

თურქებს გვარსახელი ათათურქმა დაუკანონა, სომხებში ის XIX ს-ის მეორე ნახევრიდან წარმოიქმნა, რუსეთში კი თავადაზნაურობას პეტრე პირველმა დაუწესა, ხოლო მასებმა ის XIX ს-ის მეორე ნახევარში მიიღეს. ასე რომ, ამა თუ იმ ხალხის ანთროპონიმული მოდელი ისტორიულად იცვლებოდა, იხვეწებოდა.

ზოგიერთი ხალხისათვის საერთოდ უცხოა მამის სახელი. ამასთანავე, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან პიროვნების დოკუმენტში მამის სახელით ჩაწერა, მამის სახელი, როგორც მიმართვის ფორმა და მამის სახელით პიროვნების მოხსენიება. როგორც მამის სახელი, ისე გვარსახელი პიროვნებას აკონკრეტებდა და აკონკრეტებს. იურიდიული თვალსაზრისით, როგორც ერთ, ისე მეორე ანთროპონიმს განმასხვავებლის ფუნქცია აქვს. იგივე შეიძლება ითქვას მეტსახელზე (თიკუნზე), თუმცა ის ოფიციალურად არსად ფიქსირდებოდა. ხშირად ეს უკანასკნელი უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ოფიციალური სახელი.

მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმულ სისტემებში შენიშნულია რამდენიმე საკუთარი სახელის დარქმევა. ხშირად პიროვნებანი ორ, სამ და მეტ ზედმეტ სახელს ატარებდნენ, ზოგიერთში კი ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებშია დაფიქსირებული.

საკუთარ სახელთა ყველა ანთროპონიმული სისტემა ისტორიულადაა ჩამოყალიბებული. როგორც შენიშნავენ, "ყოველ საზოგადოებაში ფუნქციონირებს ანთროპონიმის სპეციალური სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთდროულად, ერთი მხრივ, ენის სიტემით და მეორე მხრივ, სამართლებრივი ტენდენციებით" (მილევსკი, 1959, გვ. 119). ამ სისტემების კვლევას აქვს არა მარტო ლინგვისტური და ეთნოისტორიული ასპექტები, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა დღეისათვის დაკანონებული უნდა იყოს იურიდიული ნორმატიული აქტებით.

პოლონელი ლინგვისტი თადეუშ მილევსკი პირველი იყო, რომელიც შეეცადა მოეხდინა ყველა ანთროპონიმული სისტემის კლასიფიკაცია მასში წარმოდგენილი წევრების (სახელის, მამის სახელის, გვარსახელის) რაოდენობის მიხედვით: ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა.შ. (მილევსკი, 1963). საკუთარ სახელთა სისტემების კლასიფიკაცია შემოგვთავაზა ი. ბესტუჟევ-ლადამაც. მაგრამ, შეიძლება ხაზი გავუსვათ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია პირობითია. სისტემების მრავალფეროვნება უნივერსალური კლასიფიკაციის შექმნას აძნელებს. ორწევრიანია ისლანდიელთა ანთროპონიმული მოდელი და ბულგარელებისაც. მაგრამ სხვაობა საკმაოდ დიდია, რადგან პირველი სახელისა და მამის სახელის ერთობლიობას წარმოადგენს, მეორე კი სახელისას და გვარსახელისას. სამწევრიანია ბერძნული და დღევანდელი რუსული ანთროპონიმული მოდელები, აგრეთვე დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნების ანთროპონიმული მოდელები. მაგრამ აქაც დიდი სხვაობაა. ბერძნულ და რუსულ პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში ამ სამწევრიან სისტემას ქმნის სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობა, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპული ქვეყნებისათვის მამის სახელი საერთოდ უცნობია და აქ სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელს ქმნის ორი ოფიციალური სახელი და გვარსახელი.

სხვადასხვა სახის ანთროპონიმულ სისტემაში მისი შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა რიგის მიხედვით არის წარმოდგენილი. ერთში თუ პირველ ადგილზე გვარსახელია, მეორეში – სახელი. ეს განლაგებაც ისტორიულად იცვლებოდა. დღეს თუ მრავალ ქვეყანაში ის ოფიციალურად რეგლამენტირებულია, ისტორიულად არავითარ რეგლამენტაციას არ ექვემდებარებოდა. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველდღიურ ყოფაში ოფიციალურად დაკანონებული ანთროპონიმული მოდელები როდი იხმარება. პიროვნებას როდი მიმართავენ იმ საკუთარ სახელთა ერთობლიობით, რომელსაც ის ატარებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმულ მოდელებს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ სისტემის სესხებაც. მაგალითად, შეიძლება რუსეთის იმპერია მოვიყვანოთ, სადაც სხვადასხვა ენის, წარსულის, კულტურისა და მენტალიტეტის ხალხს ერთი, რუსული ანთროპონიმული სისტემა დაუკანონდათ.

ანთროპონიმული სისტემების ცვლას უკავშირებდნენ სოციალურ-ეკონომიკური წყობის, ფორმაციების ცვლას (ნიკონოვი, 1974, გვ. 41). მაგრამ ეს მარქსისტულ-ლენინური შეხედულება არავითარ მეცნიერულ და რეალურ მონაცემებს არ ემყარება. საერთოდ, ერთხელ ჩამოყალიბებული ანთროპონიმული მოდელი, მართალია ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ როგორც ენობრივი, ეთნოლოგიური და ისტორიული მოვლენა, ის მაინც შედარებით მყარი და ნაკლებ დინამიკური იყო. თუმცა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, მხოლოდ არა ფორმაციების შეცვლის კვალდაკვალ.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის ანთროპონიმული მოდელიც. ქართველები იმ ხალხებს შორის ვართ, რომლებიც მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) უკვე მრავალი საუკუნეა რაც ატარებენ. ქართული გვარსახელი, რომელიც დოკუმენტურად VII საუკუნიდანაა დადასტურებული (თოფჩიშვილი, 1997), არავისგან ნასესხები არაა, მას თავისი განვითარების ხანგრძლივი გზა აქვს განვლილი. იგივე შეიძლება ითქვას საერთოდ ქართულ საკუთარ სახელთა სისტემაზე ანუ ანთროპონიმულ მოდელზე.

მანამ, სანამ ქართულ ანთროპონიმულ მოდელს შევხებით, ვისაუბრებთ ცალკეული შემადგენელი კომპონენტების შესახებ. ქართული საკუთარი სახელები ისტორიულად იცვლებოდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო რელიგიითა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით... საისტორიო წყაროებსა და საბუთებზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ უცხო სახელები საქართველოში უპირველეს ყოვლისა პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვლევდა გზას. საკუთარ სახელთა შესება იმ ხალხებისაგან, ვისგანაც საქართველო კულტურულ და ენობრივ გავლენას განიცდიდა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქრისტიანობის მიღებამდე საქართველოში დიდად იყო გავრცელებული სპარსული სახელები (ანდრონიკაშვილი, 1966), რომლის შემოღებაც თითქმის არასოდეს შეწყვეტილა. ქრისტიანობის გავრცელებამ ქართველ ხალხში კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებს გაუსხნა გზა. ეს სახელები თავისი წარმომავლობით ძირითადად ებრაულ და ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს ეკუთვნიან. ისტორიულმა ვითარებამ საქართველოში განაპირობა არაბული და თურქული სახელების დამკვიდრება. ამავე დროს, ყველა შემოსული სახელი საქართველოში ქართულ ენობრივ სამყაროში ქართულ ელფერს იძენდა და ხშირად ბევრი მათგანი ისე იყო გაქართულებული და ფონეტიკურად სახეშეცვლილი, რომ სპეციალური ცოდნის გარეშე ძნელია მისი წარმომავლობის გარკვევა. საკმარისია, "ქართლის ცხოვრებაში" ჩავიხედოთ, რომელშიც, რა თქმა უნდა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა სახელებია დაფიქსირებული და ამოვიკითხავთ ძირითადად გაქართულებულ სპარსულ და ქრისტიანულ კანონიზებულ სახელებს: აბაზა, აბრაამ, აბუსერ, ადარნასე, ადერკ, ამაზასკ, არზოკ, არსენ, არტავაზ, არჩილ, ბაგრატ, ბაკურ, ბარამ, ბართლომ, ბარტომ, ბაქარ, ბემქენ, გაბრიელ, გიორგი, გოდერძი, გუარამ, გურანდუხტ, დავით, დაჩი, დემეტრე, ელენე, ელია, ერეკლე, ესაია, ვარაზ, ვარდან, ვაჩე, ვახტანგ, ზაქარია, თევდორე, თორნიკე, იაკობ, იოვანე (ივანე), იონა, იოსებ, ისაკ, კონსტანტინე, ლეონ, ლიპარიტ, მარიამ, მართა, მირდატ, მირვან, მიქაელ, მურვან, ნასრა, ნერსე, ნესტან-დარეჯან, პეტრე, რატი, რევი, სააკ, საბა, სალომე, სამოელ, სარა, სტეფანოზ, სუმბატ, საურმაგ, სვიმონ, ფარნავაზ, ფარანჯომ, ფარსმან, ქართამ, ხოსრო... "ქართლის ცხოვრების" პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება ქართული სახელი, ერთხელ – ზვიადი და მეორედ კახაბერი. ზვიადი ეტყობა ყველა დროის საქართველოში პოპულარული ქართული სახელი იყო. ის XIII ს-ის საბუთშიც გვხვდება. XIII საუკუნისავე საბუთში დადასტურებულია ვეფხა, მშუიდა, ნიორა.

საყურადღებოა, რომ ქართულ-ქართველური საკუთარი სახელების განდევნაში მნიშვნელოვანი წვლილი ქრისტიანულ ეკლესიას მიუძღვის. ბუნებრივია, რომ ქრისტიანული ეკლესია, რომლის პრეროგატივა იყო სახელების რქმევა, კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებს უხსნიდა გზას. ქართულ-ქართველური სახელები მაინც არ ეძლეოდა დავიწყებას და ხშირად მეორე ანუ ზედმეტი სახელების სახით ვრცელდებოდა. ისინი განსაკუთრებით

შემორჩნენ მთის რეგიონებსა და სამეგრელოში. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები შეკრებილი და კლასიფიცირებულია (ჭუმბურიძე, 1987; ღლონტი, 1986; გოდერძიშვილი, 1998). ესენია ძირითადად გაანთროპონიმებული ქართული სიტყვები, რომლებიც გამორჩეული, ნათელი და ადვილად ამოსაცნობია. ჩვენ მხოლოდ ასეთი სახელების ნაწილს ჩამოვთვლით, რომლებსაც თავისი წარმოშობის მიხედვით 11 სხვადასხვა ჯგუფში აერთიანებენ (გოდერძიშვილი, 1998, გვ. 88-92): ახალა, ახალბედა, ახალკოჩი, აღდგომელა, აფთარა, აპრილა; ბიჭია, ბიძია, ბიძინა, ბიძასთვალა, ბერდია, ბოლონა, ბერი, ბერდედა, ბერძენა, ბუა, ბაწაწუნი, ბოჩოლა, ბატა, ბულბულა, ბედიანი, ბედი (ბედო); გვრიტა, გამახელა, გაზდილა, გვიანა, გულა, გულქალა, გვერდა, გუგულა, გლახა, გონიერი, გამიხარდი, გამახარე, გოჭია, გერი; დათვია, დედუნა, დედუკა, დათუნა, დეუფალი, დიდება, დედისდედა, დედისიმედი, დედულისა, დედიქალა, დაბალა; ეშმაკურა, ენძელა, ემეტა, ერთგულა; ვეფხია, ვიგრია, ვირიკა, ვაჟიბედი, ვაჟიკა; ზაქი, ზვიად; თეთრუა, თურქია, თათარა, თხუნია, თვარელი, თაგო, თიები, თუშია, თავბერა, თვალა, თუთა; ია, იაბერ, ირემა, იმედა, იანვარა, კაკალა, კეთილა, კურდღელა, კაკაბა, კაცია, კოჩი, კუტა, კომმა, კმარა, კალმახელი, კვირისა, კათათურა, კოპიტა, კაცურა, კოჭლა, კახა, კუნწული, კვაწუნი, კოხტა, კეკლუცაი; ლომა, ლეკვია, ლომკაცი, ლომგული, ლეგა, ლაგაზა, ლამაზო, ლაჟვარდა, ლომნია; მაყვალა, მაჭარა, მგელა (მგელია, მგელიკა), მერცხალა, მზია, მთვარე, მთვარისა, მახარე, მოლოდინა, მძულია (ძულია), მწარია, მზევარ, მამისთვალა, მამა, მამუკა, მამაცა, მამისიმედი, მარგველა, მშვიდა, მცივანა, მახარებელი, მთვარელი, მოკლია, მარტია, მასია, მემცხვარე, მახათა, მარცვალა, მწივანი, მყვირალი, მრევალა, მინდორა, მთორელა, მამაგული, მთვრალა, მინდოდა, მანძულა, მალღია, მზეჭაბუკ, მოგელი, მძიმია, მეწყინა, მორბედა, მეგრელი, მეშველი, მჭედელი, მზევინარ, მზეუა, მეტი, მურღვა, მხიარულა, მაყვალო (კაცის); ნასყიდა, ნისლაურ, ნებიერი, ნათობა, ნუკრია, ნიბლუა, ნარჩიტა, ნათია, ნანატრია, ნემსა, ნათელი, ნატრო; ობოლა, ოქროპირ, ოქროა, ოქრიოქალი, ოსია; პირიმზე, პატარა, პატარქალი, პატარკაცი, პირქუშა, პაწაწუნი, ჟუჟუნა; რჩეულა, რთველია, რუსია, რუსულა, რუხია; საყვარელა, საბედო, სეხნია, სამაგელა, სამძიმა, სულია, საყურა, სომხია, სიხარული, საბრალო, სამხარა, სახელა; ტურა, ტყემალა, ტუხა; უგუნურა, უფლისა, უმცროსია, უშიშა, უჭკუა; ფოთოლა, ფოცხვერა, ფაცქალა, ფშაველა, ფეტვია, ფეხელა, ფუტკარა, ფურცელა, ფიცხელა; ქრისტესია, ქუფრია, ქალუკა, ქალთამზე, ქურციკა, ქორია, ქოჩორა, ქუშა, ქება, ქერა, ქორფა; ღონენა, ღვთისია, ღვთისწყალობა, ღმერთისია, ღონია, ღვთისავარ, ღარიბა, ღვინია, ღრუბელა; ყორანა, ყურა, ყვირილა, ყვავილა, ყუშიტა, ყაჭია; შავთვალა, შუა, შოშია, შიშია, შავხალა, შაშვა, შველაი, შეწირულა, შუღლია; ჩქარია, ჩინელი, ჩერქეზა, ჩხიკვი, ჩხიკუა, ჩხუბია, ჩია, ჩიტა; ძამუკა, ძნელა, ძია, ძმობილა, ძაღლია; წამალა, წესიერი, წყალობა, წრაპაკანი, წიქა, წაბლიკა, წითელა, წიწილა; ცისმარ, ციხელი, ცუცუნა, ცაცუნა, ცხვირა, ცოტა, ცქიფი, ცოტიკა, ცისკარა, ცოცხალა; ჭიჭინა, ჭუკია, ჭანია, ჭაბუკა, ჭიალა, ჭიაბერ, ჭრელა; ხუცურა, ხისფეხი, ხარება, ხევსური, ხატია, ხატისა, ხუცია, ხელა, ხუმარა, ხარია, ხალია, ხმალა, ხახუტელი, ხახული, ხოხობა; ჯავახ, ჯავარა, ჯიხვი, ჯვარისა...

ქართულ-ქართველური სახელები ქრისტიანობის მიღების შემდეგ თანდათან ნაკლებად გამოიყენებოდა. ისინი ძირითადად მეორე ანუ მატსახელის ფუნქციას ასრულებდნენ საქართველოს ყველა პროვინციაში. ისიც ხდებოდა, რომ ძალიან ხშირად კანონიზებული ქრისტიანული ოფიციალური სახელი აღარავის ახსოვდა და პიროვნებას გარშემო მყოფნი მხოლოდ მეტსახელით მიმართავდნენ. ასე რომ, საქართველოში, ისე როგორც არაერთ სხვა ქვეყანაში (სიმინა, 1969), პიროვნებები ორ და მეტ სახელს ატარებდნენ. ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ვ. ბარდაველიძეს ნაჩვენები აქვს, რომ ჩვენში პიროვნებას რამდენიმე სახელი ერქვა. ერთი სახელი იყო ჯვარისა (სალოცავის), რომელსაც დაბადებისთანავე დედა არქმევდა შვილს (ვაჟსაც და ქალსაც). მეორე სახელი იყო სულისა, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ არქმევდნენ. ეს იყო წინაპრისა ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი. მესამე სახელი იყო თიკუნი ანუ ზედმეტი სახელი და

მონათვლის შემთხვევაში ერქმეოდა მეოთხე, ნათლობის სახელიც (ბარდაველიძე, 1949). მსგავსი სიტუაცია გვქონდა გურიაშიც: "გურიაში იშვიათად არ არის, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობის, და ერთიც შერქმეული" (დ. ბაქრაძე, 1987, გვ. 128). სხვათაშორის, ერთზე მეტი სახელის რქმევის ტრადიცია ფეოდალური პერიოდის ქართულმა წყაროებმაც შემოგვინახა. აქ შეიძლება გავიხსენოთ "ლაშა-გიორგი", "დავით-სოსლანი", "ქობულ-სტეფანოზი" (VII ს. პირველი ნახევრის ქართლის ერისმთავარი, ჯვრის მონასტერზე წარწერა "ქობულ-სტეფანოსი ადარნესეს ძე", "წმინდაო სტეფანე ქობულ-სტეფანოსი შეიწყალე" _ მოშიაშვილი, 180, გვ. 162, 165, მისი ბავშვობის დროინდელი, VI ს-ის ბოლო პერიოდისაა). ქობული, სოსლანი, ლაშა, რა თქმა უნდა, ნათლობამდელი სახელები იყო ამ პიროვნებებისა, სტეფანოზ, დავით და გიორგი კი ნათლობის სახელები. ბოლო დრომდე ხომ ყველა ქართველს ორი სახელი მაინც ერქვა, ერთი ოფიციალური, ქრისტიანული (ნათლობისა) და მეორე _ ზედმეტი სახელი. ორსახელიანობის საინტერესო ფაქტი გვაქვს დადასტურებული ერთ-ერთ ქართულ საისტორიო საბუთში. ქვემოთ მოყვანილ მასალას, ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს ქართული ანთროპონიმული მოდელისათვის. მხედველობაში გვაქვს დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერზე მინაწერები: "გიორგი მადრადის ძე იოანე, რომელსა ჰქვიათ ქუმსი...", "გიორგი მადრადის ასული მარიამ, რომელსაც ჰქვიათ კეკელა..." (გაბაშვილი, 1954 წ. გვ. 86). ეს ამონაწერი ქვემოთაც დაგვჭირდება. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იოანე გიორგის ძე და მარიამ გიორგის ასულ მადრამეებს, მართალია, ოფიციალურად კანონიზებული ქრისტიანული სახელები, _ იოანე და მარიამი, _ ერქვათ, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი მაინც სხვა, ზედმეტ სახელებს (ქუმსის და კეკელას) ატარებდნენ. წყაროზე მინაწერი "რომელსა ჰქვიათ ქუმსი", "რომელსა ჰქვიათ კეკელა" სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ ოფიციალური კანონიზებული ქრისტიანული სახელით მათ ნაკლებად იცნობდნენ და ყოველდღიურ ურთიერთობაში უფრო მეორე, ზედმეტ სახელებს (თიკუნებს) გამოიყენებდნენ. XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ოჯახის უფროსები ორი სახელით, ერთი ქრისტიანული და მეორე მეტსახელით, არიან ჩაწერილები. მაგალითად, კარდენახის აღწერა შეიძლება მოვიყვანოთ: "გიორგი იგივე ხარება გელუკაშვილი"; "გიორგი იგივე ხოხობა გელუკაშვილი"; "გიორგი იგივე საბრალო გელუკაშვილი"; "თევდორე იგივე ნემსა აფრიაშვილი"; "გიორგი იგივე ჭუკა ხოსიტას ძე ვაჟიბედაშვილი"; "ივანე იგივე ჯაგო ბეროზაშვილი"; კოდალოში: "სოლომონ იგივე წამალა მეშველიშვილი"; "ივანე იგივე ბიბილა თანდილაშვილი". ხშირად არიან ორი სახელით ჩაწერილი ფშავში: "ელენე-ქალთამზე"; "ბერი-ბესარიონ"; "ჯულურა-ივანე"; "გიორგი-ბერი"; "ქორია-ივანე"; "იოსებ-ბეწინა"; "გეჯურა-თომა"; "მახარე-დავით"; "მგელა-გიორგი"; "ბუჩულა-ვასილი"; "ივანე-ხორხელა"; "ივანე-ნებიერი"...

ქართველ ხალხში გავრცელებული იყო აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობელი ხალხების სახელები. ამ თვალსაზრისით საკმარისია ვაინახური სახელი ჯოყოლა დავასახელოთ. ფართოდ იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხთა სახელები გავრცელებული საქართველოს მთიანეთში. ამავე დროს, სვანურმა ყოფამ და აქ შედგენილმა საბუთებმა არაერთი ქართულ-ქართველური სახელი დააფიქსირა: მუხლუხა, ნათელი, ქუელი, ხალინა, დუდა, რკინა, გვანცა, ბელელა, ჯავახ, ხუცო, თვალშავა, ცხორება, ვეშაგ, რატი, ბერეჟი, ნათაი, ჩარგას, ქურციკ, თუთი, თოვლა, მწარე, შვიდაი, დედაჩი, გუჩუ, მარილა^ა, შვენიერი, ჭაბუკველა, კვანჭი, ბერი, ბორენა, მესხაი, ჯოხაი, დათუნაი, ცოტნე, ქარი, წიქარი, კურცხა, შავაი, ნაკვეთაი, ჯიქაი, ქალკმაი, კატაი, თვალმინდი, ლომა, ფრანგი, ლომინაი, მთვარე, მარცხი, ცეცხლა^ა, ცაცაი, მაღალა, თვალთაი, ვაჟელა, მამისთვალი, პირნათელ, თეთრუა, შვენიერი, ზექალი, ნათობ, ლხინაი, პატარაი, მხეცი, ქალინა, ქეზაი...

ბოლო დრომდე ბევრი, ქართულ-ქართველური სახელი იყო შემორჩენილი სამეგრელოში: უტა, დუტუ, ძოკო, ცეკვაია, გვატი, გუდული, გლახუა, კოჩია, გერე, ბუწუ, ბეჩუნა, უჩაკოჩი, შავა, ჯუარისა, ვაჟიკოჩა, გამიგონა, მხიარულა, სანატრელი, უწყინარა, ობიშხა, თოლიორქო,

კოჩივარა, თოლმიხილა, თუთაშხია, შურითოლი, თოლისკუა, შურიმიგდი, მარტიშია, ნანატრია, სამართალა, მამისმამა, თოლიბედი, სტუმარია, შესაწირი...

ამავე დროს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ხშირად ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტითა და კნინობითი ფორმითაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი მოზაიკურობა რაჭაში გვქონდა. XVIII ს-ის საქართველოში მამაკაცის სახელთაგან უაღრესად გავრცელებული იყო ბერი, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ბერიკა, ბერუა, ბერუკა, ბერელა, ბერო, ბერუნა, ბერა, ბერაი, ბერიაი, ბერინა, ბერუჩა. ისეთი შემთხვევაცაა დაფიქსირებული, როდესაც ერთ ძმას ბერი და მეორეს ბერუა ერქვა (ჯავახიშვილი, 1964, გვ. 194).

ქართველები მხოლოდ სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს. ქართულ საზოგადოებაში ბატონობით მიმართვა მხოლოდ გვიან, XIX ს-ში შემოვიდა. ბატონობით გლეხები მიმართავდნენ თავადას და აზნაურს. მამის სახელით მიმართვის ფორმა რუსული მოვლენაა; ის საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა (კალაძე, 1984, გვ. 309-310) და სრულიად კანონზომიერად ტოვებს ჩვენს სფეროს. სხვათაშორის, პიროვნების სახელითა და მამის სახელით მოხსენიებამ, საყოველთაო მოხმარების უფლება რუსეთში XVIII ს-ის ბოლოს შეიძინა. უფრო ადრე მას მხოლოდ სოციალური ფუნქცია ჰქონდა. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორები თვითონ ამტკიცებდნენ იმ პირთა სიას, ვისთვისაც შეიძლებოდა სახელითა და მამის სახელით მიემართათ.

მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას მისი დაკონკრეტების მიზნით ქართულ ყოფაში მამის სახელით ხშირად მოიხსენიებდნენ, რის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან. ანდა პიროვნებებს სახელითა და მამიშვილობით (გვარის დანაყოფის სახელით, მეორე მემკვიდრეობითი სახელით) მოიხსენიებდნენ. გვართ მოხსენიება საჭირო არ იყო. პიროვნების მოხსენიების ასეთი ორწევრიანი მოდელი (მამის სახელი+სახელი; მამიშვილობა+სახელი) არაერთია ცნობილი ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალებით. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ იყო გვარსახელის მოხსენიება. ის ისედაც ცნობილი იყო ამა თუ იმ სოფლის, თემის და სხვა რიგის ტერიტორიული ერთეულისათვის. ზემოთ თქმულის დასადასტურებლად უპრიანი იქნება გავისხენოთ ერთი ქართული ხალხური ლექსის "ლუის ლუხუმი", რომელშიც ლუხუმის მამის სახელია ლუი. ეთნოგრაფათათვის, ვინც სისაურთა (ლიქოკელთა) გვართ დაინტერესებულა, ცნობილია ამ გვარის საფუძველჩამყრელი "სანაგის სანაგი". ერთ ხევსურულ გადმოცემაში სოფელ მუცოს ადრინდელ მკვიდრთა შორის მოიხსენიება "არლუმის ჩარლუმი". მსგავსი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება თუშური ფოლკლორიდან. ეს მომენტი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს: "თუშეთში ხშირად გვარის მაგიერ ლექსებში მოხსენიებულია მამის სახელი ამნაირად: ქავთარ ლუხუმის ძე, მიქელ ზურაბის ძე ან ციგუს სულთანნი (ე.ი. ციგუს ძე სულთანნი), ხოსიკის ივანე (ე.ი. ივანე ხოსიკის ძე), აბალოს დავით (ე.ი. დავით აბალოს ძე)" (ძს, 1911, გვ. 115). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში იგივეს აღნიშნავენ: "თუშეთში როცა კაცი ან ქალი მამის სახელით მოიხსენიებოდა, მას ძე და ასული არ ერთვოდა, იყო მხოლოდ მამის სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. ამის შესახებ ილუსტრაციებს ხალხურ პოეზიაში ვადასტურებთ" (ცოცანიძე, 1987, გვ. 322). ალ. ჭინჭარაულის სამართლიანი მოსაზრებით, მთაში ბოლო დრომდე შემორჩენილი სახელდების ასეთი სახე ნაშთია ძველი ქართული სახელდების წესისა, რომლის უძველესი ნიმუშები შემორჩენილი გვაქვს უძველეს ლიტერატურულ ძეგლებსა და სახარების ტექსტებში (ჭინჭარაული, 1987, გვ. 324). სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ სახელ-მამისსახელიანი მოდელი (სახელი+ნათესაობით ბრუნვაში დასმული მამის სახელი) ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო (კალაძე, 1984, გვ. 311). პიროვნების არამართო მამის სახელით, არამედ პაპის სახელითაც ჩაწერის ერთი მაგალითი გვაქვს "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში": "ხოლო აწ კვალად დაა გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა

მირიანისა, მისა ბემქენ ბაჰლაუნდისაჲ მისა იოანესი" (ზარზმელი, 1987, გვ. 669). ამ შემთხვევაში საკუთარ სახელთან, მამის და პაპის სახელებთან ერთად დაფიქსირებულია გვარსახელიც (ბაჰლაუნდი). ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" VII ს-ის ძეგლია (ბოგვერაძე, 1986, გვ. 45-61). ეს ქართული გვარის პირველი ხსენებაა VII ს-ის წყაროში. მაგრამ, აქვე ისმის კითხვა: რატომ ჰქონდა ქართველ მთავარს არაქართული (უსუფიქსო) გვარი? ანდა როდის წარმოიქმნა იგი? ქართულ ეთნიკურ-ენობრივ სამყაროში სპარსული სახელის გაგვარება (ქართული სუფიქსის გარეშე) დაკავშირებული უნდა იყოს იმ პერიოდთან, როდესაც საქართველოში სპარსელთა მართვა-გამგეობა იყო დამყარებული. ქართველ მთავრებს, აზნაურებს საშუალო სპარსულის გვარსახელები IV ს-დან თუ არა, VI ს-ის 30-იანი წლებიდან, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ მაინც უნდა დაემკვიდრებინათ. "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ბაჰლაუნდი გვარსახელად მიაჩნია მ. ანდრონიკაშვილსაც. ამავე ავტორით ბაჰლაუნდი ქართულში შემოსულია საშუალო სპარსულიდან: Pahlav, Pahlavan. ოღონდ "განსხვავებას ქმნის თავკიდური ზ ქართულ ფორმაში და ზედმეტი დ სიტყვის ბოლოს" (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 193, 449), რაც პირველ შემთხვევაში დისიმილაციური გამჟღერებით იხსნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ბოლოკიდური დ-ს გაჩენა ახალი სპარსულიდან შემოსულ ფორმაშიც არის შენიშნული (ფალავანდიშვილი, მაგრამ ფალავანი) (იქვე).

ხალხურ სამეტყველო ენაში დღესაც ორწევრიანი სისტემაა გამეფებული, ოღონდ მამის სახელს მამიშვილობა (გვარის დანაყოფის სახელი) ცვლის. მაგალითად, სოფელ ძველანაგაში მოსახლე ჩალაბაშვილების გვარი ხუთ ძირითად მამიშვილებად (დანაყოფად) იყოფა: "ლოლაძიანი", "ზურიკიანი", "კაკლიჭიანი", "ქიტელაანი", "აპრისიანი". ჩვეულებრივ იტყოდნენ: "ლოლაძიანთ დათა", "ქიტელაანთ გიო", "კაკლიჭიანთ გიორგი". გვარსახელით პიროვნებას იშვიათად მოიხსენიებდნენ. გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა. ს. მაკალათია მთიანი რაჭის შესახებ წერდა: "თქვენ თუ იკითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ ივან ზვიადენთ ლობჯანიძე. მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არ იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივ იტყვიან: მიხა ერმილენთი, მამუკო ნინუკაანთი და სხვ. (მაკალათია, 1987, გვ. 50). დილმელი ქობელაშვილები სამ მამიშვილობად იყოფიან: "კიკუაანი", "ლიკიაანი", "ჭიმიანი". როდესაც აღნიშნული გვარის წარმომადგენელს მოიხსენიებენ, საუბარში სახელს გვარს როდი ურთავენ. პირიქით, სახელს ყოველთვის ერთვის მამიშვილობის (გვარის დანაყოფის) სახელი "კიკუაანთ ვანა", "ლიკიაანთ გოლა" და ა.შ.

როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მედელი? როგორაა ფიქსირებული პიროვნება ქართულ საისტორიო საბუთებში? მანამ, სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გვარსახელები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. საისტორიო წყაროებით ქართული გვარსახელი VII ს-დან დასტურდება. მაგრამ ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ ჩვენში მოხდა გვაროვნული გვარის ჯერ გვიანდელ გვარში და შემდეგ გვარსახელში გადასვლა. ასე რომ, მემკვიდრეობითი სახელის გარეშე ქართულ-ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო არასოდეს ყოფილა.

რაც შეეხება ქართულ ანთროპონიმულ მოდელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში, იურიდიულ დოკუმენტებში გვარსახელი თითქმის ყოველთვის ფიქსირდებოდა; ფიქსირდებოდა ის ზოგჯერ სახელთან და ზოგჯერ სახელთან და მამის სახელთან ერთად, ე.ი. პიროვნებანი ქართულ საისტორიო საბუთებში, ძეგლებში ჩაწერილი არიან როგორც სახელითა და გვარით, ისე სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. ამ მხრივ საქართველოში არავითარი დადგენილი წესი არ ყოფილა. პიროვნებათა მოხსენიება არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობოდა.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი XVIII ს-ში პიროვნების სახელით, მამის სახელით და გვარსახელით ჩაწერისა. ესაა 1729 წლის "დასტურლამალის" ხელნაწერზე მინაწერი: "გიორგი მალრადის ძე იოანე, რომელსა ჰქვიან ქუმსი...", "გიორგი მალრადის ასული მარიაჲ,

რომელსა ჰქვიათ კეკელა..." აქ აშკარად სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელთან გვაქვს საქმე სახელის, მამის სახელის და გვარსახელის შეთანაწყობით. ოღონდ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ შემთხვევაში ჯერ ჩაწერილია მამის სახელი, შემდეგ გვარი და ბოლოს სახელი. საერთოდ, ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნების სამწევრიანი (და ორწევრიანი) მოდელით ჩაწერა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე წერდა. ხან მამის სახელი იყო პირველ ადგილზე, ხან გვარსახელი და ხანაც სახელი.

მოვიხმოთ ქართული ანთროპონიმული მოდელის დამადასტურებელი მასალები საისტორიო საბუთებიდან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ორწევრიან მაგალითებს ჩვენ არ მოვიყვანთ, რადგან გვანტერესებს სამწევრიანი ნიმუშები. XII ს-ის შეწირულობის დაწერილში ვკითხულობთ: "... და მუნ შინა დამკვიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მოხითარაისძენი დავითის შვილნი: ოქროდ და მახარა, ბრაჭი და იოანე..." (ქსმ, 1965, გვ. 29). ამ შემთხვევაში მიხითარაისძე გვარსახელია ოქრო, მახარა, ბრაჭი და იოანესი, რომელთა მამასაც დავითი ერქვა. 1297-1298 წლების სიგელიდან: "მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ..." "დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი ჭაჭნიაშვილისა გრიგოლ ჭარმაულისა..." (ქისკ, 1984, გვ. 183). დავაკვირდეთ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულ ანთროპონიმულ მოდელში სახელთა განლაგება არავითარ ენობრივ და იურიდიულ კანონებს არ ექვემდებარებოდა. უკანასკნელი მაგალითიც ამას ადასტურებს. ერთსა და იმავე საბუთში ერთი და იგივე პიროვნება ჯერ ჩაწერილია გვარის, მამის სახელის და სახელის თანმიმდევრობით, შემდეგ კი ეს თანამიმდევრობა ირღვევა და პირველ ადგილზე მამის სახელია, შემდეგ – სახელი და ბოლოს – გვარსახელი.

1104-1118 წლების სიგელი: "აწცა მოვიდა ჩუენ წინაშე და გუეჰაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ ნიანია გრიგოლ მაოჭრებლისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისდევითა. დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ მოქსენებაი და ჰაჯაი არიშთანისი და გაუშუით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოჭრებლისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისდევითა..." (ქისკ, 1984, გვ. 50-51). საბუთიდან აშკარაა, რომ ნიანია გვარად არის ნიანიასძე, რომლის მამასაც ერქვა გრიგოლ და ჰქონდა ზედწოდება (მეტსახელი) "მაოხრებელი". ასე რომ, აღნიშნულ საბუთში პიროვნება მოხსენიებულია სახელით, მამის სახელით და გვარსახელით (პლუს მამის მეტსახელი).

1259 წ. საბუთიდან: "... დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე თქუენ, ყოველთა მამათა თუალსა და მნათობსა წმინდასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკვიდრებულთა წმინდათა მამათა, მე აბულეთისძემან, ძაგანმან, ძემან ერისთავთ-ერისთავისა იოანესმან..." (ქისკ, 1984, გვ. 139-140). ვფიქრობთ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ცხადია, რომ საქმე გვაქვს სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელთან. პიროვნება საბუთში თავის თავს ასახელებს გვარით, სახელით და მამის სახელით (ძაგან იოანეს ძე აბულეთისძე).

ახლა ქართულ ლაპიდარულ წარწერებს მივმართოთ. საყურადღებოა, რომ სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელი პირველად სწორედ ასეთ ძეგლშია დაფიქსირებული. მხედველობაში გვაქვს IX-X საუკუნეებით დათარიღებული სოფელ ბიეთის ეკლესიის წარწერა (შიდა ქართლი, მეჯუდას ხეობა), რომელშიც ვკითხულობთ: "ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოანე, ძე ბაკურ ყანჩაველისაჲ, უფალი და პატრონი ამისა წმინდისა ეკლესიისა, დაიცავ წმინდაჲ მრემლი სამებისა ყოველი" (შოშიაშვილი, 1980, გვ. 193).

შიდა ქართლისავე ტბეთის ბორცვისჯვრის (ლიახვის ხეობა) X საუკუნის შუა წლების წარწერიდან: "სახელითა ღმრთისაჲთა ესე ბალაჰვარი მე, ტბელმან პატრიკმან, ძემან ქავთარისამან დავდეჲ სალოცავად სულისა ჩემისა და შვილთა ჩემთათუინ ჯვარო ბორცვსაო, მეოხ მექმნე" (შოშიაშვილი, 1980, გვ. 180). აქაც სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელში ჯერ გვარია დასახელებული (ტბელი), შემდეგ – სახელი (პატრიკი) და ბოლოს მამის სახელი (ქავთარის ძე).

982-989 წლების ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის სამშენებლო წარწერა: "ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა, აქა ჯორციელებრი და წინაშე შენსა სულიებრ რატ ერისთავი, ძე იგი ლიპარიტ ერისთავისა, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი, წმინდაი ეკლესიაი, სალოცველად სულისა მათისა..." (შოშიაშვილი, 1980, გვ. 202). რატი ერისთავი წარწერაში მამის სახელით (ლიპარიტით) მოიხსენიება.

გ. ბოჭორიძეს სამცხეში, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერა გადმოუწერია, რომელშიც ვკითხულობთ: "ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთერისთავისა იოანეს ძისა და ჭიმჭიმელისა" (ბოჭორიძე, 1992, გვ. 215). გამომცემელს ეს წარწერა დათარიღებული არა აქვს. იგი XII საუკუნით უნდა დათარიღდეს. ნიკორწმინდის XI ს. ბოლო დროის ხატის წარწერა: "ქ. მე, კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატისმან მოვქედე ხატი ესე ჯუარცუმისაი ნუგეშისმცემლად და სალხინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა, რაჭის ერისთავის რატისად (ბოჭორიძე, 1994, გვ. 111). "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან"-ში ვკითხულობთ: "ამისდა შემდგომად წარვიდეს მჭარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, მოყმენი პირწადმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი, და ილაშქრეს ქვეყანასა დვინისასა" (ქც, 1959, გვ. 39).

1689 წლითაა დათარიღებული საფლავის ქვა, რომლის ეპიტაფია ასეთია: "მე დიდისა ორბელისშვილის ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე, სომხითის მოურავი საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორიგს დედის ძმა ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არ მესვა, არცა ასული, ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე, შეძვრად ჯელს ნუ მყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ გვედრებით, ქორონიკონი ტოზ (1689) (ჩიტაია, 1926, გვ. 120).

რადგან ყაფლანიშვილ-ორბელიშვილებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მოვიყვანთ ნაწყვეტს ერთი ნასყიდობის წიგნიდან: "ბატონის ყაფლანიშვილის გიორგის შვილი პაპუნა, გორჯასპი და ზურაბ" (სს, 1910, გვ. 259).

XIII ს. დაწერილში ვკითხულობთ: "...ესე დაწერილი დაგიწერე და მოგახსენე თქუნ, ყოვლად ძლიერსა ღმრთის მშობელსა, მე სურამელის ბეგაის შვილის მიქელის ცოლმან ქაქანამან..." (ქისკ, 1984, გვ. 194).

ახლა 1348 წლის წყალობის სიგელიდან მოვიყვანოთ ამონაწერი: "მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი წითლოსან..." (ქსმ, 1965, გვ. 98). დღეს ეს ასე დაიწერებოდა: "წითლოსან ლარგველის ძე ქუენიფნეველი".

1648 წლის განჩინებიდან: "დავსხედით სოლოდაშვილის შიომის შვილის დათუნასა და თამაზის და ბიძინას სასამართლოთ" (ქსმ, 1972, გვ. 85). 1648 წლის განჩინებაში დასახელებულია "ტოტუაშვილი მახარობლის შვილი ბასილი" (იქვე, გვ. 87). 1653 წლისაში "რატიშვილი თულას შვილი ხუცია" (იქვე, გვ. 94). 1753 წ. "გვარამაძე ისასეს შვილი ლომი" (იქვე, გვ. 418); 1760 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: "ციციშვილმან პაპუნა შვილმა დიმიტრიმ უჩივლა" (იქვე, გვ. 472). 1775 წლის საბუთში კი წერია: "გედევანიშვილის რევაზის შვილი სოლომან" (იქვე, გვ. 677).

"ქართული სამართლის ძეგლების" III ტომიდან (თბ., 1970): "წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ღმერთისა მიერ კურთხევით კურთხეულმა ამბა ალავედელმან ენდრონიკაშვილმან, ახელ მოურავის ძემან, ზაქარია შენ, ჩვენის დიდებულის წმინდის გიორგის ერთგულს და ჩვენზედ თავდადებით ნამსახურის ყმას ჩვენს დვალიშვილს ფოცხვერის შვილს ზაალს და შვილსა შენსა დავითს" (გვ. 717. საბუთი 1733 წლისა). 1733 წლის საბუთიდან: "გურიას ასათიანი ხუცესი ენუქის შვილი იესე" (გვ. 733). 1705-1741 წლების დომენტი კათალიკოზის ბრძანებაში ნათქვამია: "...ატენს ბერიშვილის ლაზარეს შვილის თომას მამული..." (გვ. 575). 1783 წ.: "წყალობის წიგნი და სიგელი და დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურიშვილს ქადაგიშვილს იოთამის შვილს ზაქარიას" (გვ. 941). დავით კათალიკოზის 1789 წლის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების სიაში

დასახელებულნი არიან: "ოქროპირიძე დავით მღვდლის შვილი ბერი"; "ოქროპირიძე თომა მღვდლის შვილი გაბრიელ"; "თოთაძე გიორგის შვილი გაბრიელ" (გვ. 990). XVIII ს. მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში მოხსენიებულია "ქენქაძე ელიზბარის შვილი ბერა" (გვ. 1049).

1790 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ: "ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს რაჭიდან გადმოსულს ზაქარიას შვილს კილაძეს ბეროს" (ქსმ, 1985, გვ. 68). ამ საბუთშიც, როგორც ვნახეთ, ჯერ მამის სახელი წერია, შემდეგ გვარი და ბოლოს სახელი. 1786 წ. წყალობის წიგნში მოცემული გიორგი რაჭის ერისთავის მიერ ქველი გამყრელიძისათვის აღნიშნულია: "...გიბომეთ ეწერს ბუჭულა მეტრეველის ჯავრონაშვილის პარტახტი" (სოსელია, 1954, გვ. 183). 1791 წ. შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: "არის ამისი გამრიგე და მოწამე კვარის მოურავი ბერი, ჩემი მოურავი ბახუტაშვილი ბაქარაძე ბერი" (სოსელია, 1954, გვ. 186). 1794 წლის წყალობის წიგნიდან: "სანიძე მამუკელას შვილი დათუკი" (სოსელია, 1954, გვ. 189).

რამდენიმე ამონაწერი ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებულიდან: "აწყურის ციხის იერიში შალიკაშვილის მასტანას შვილი თამაზ მოკლეს" (1619 წ. ბერძენიშვილი, 1940, გვ. 19); "მერმე სალთხუცესის ჩხეიძის ბეჟიას შვილი ოტია" (1641 წ. გვ. 27); "გიბომეთ არადეთს მოლოზანიძე ბეჟუას შვილი ამბრია..." (1646 წ., გვ. 32); "ნასყიდობის ფული და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ დიასამიძემ, სეხნიაშვილმან იესემ..." (1700 წ. გვ. 109); "ყოჟოლაძე პაპუნას შვილი რევაზ" (1700 წ., გვ. 110); "ლომკაციშვილი ბერის შვილი ნადირა ახალციხეს გაეყიდნა" (1713 წ., გვ. 157); "რიკაძე ოთარის შვილი ლევან" (1720 წ., გვ. 186); "ასე რომე დამიჭირა და მოგყიდე სათიხარს ლომოური ნადირაშვილები ნიკოლა და სეხნია" (1728 წ. გვ. 225); "მოგყიდე წეროანს კუნელაური გიორგის შვილი თამაზა" (1733 წ., გვ. 263).

საყურადღებოა 1780 წლის ანტონ კათალიკოზის სიგელი: "მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბომეთ თქვენ, ჩვენ ეკლესიის აზნაურშვილთ, თაზიშვილებს, მგალობლის ზაზაშვილს თეოდოსის, იორამაშვილს სვიმონს და მოსეს, მოსეს შვილთ პაატას და ზურაბს" (სს, 1910, გვ. 177). საბუთიდან აშკარაა, რომ საუბარია თაზიშვილის გვარსახელზე. რაც შეეხება მასში მოხსენიებულ ზაზაშვილს, იორამაშვილს და მოსეშვილს, ისინი მამის სახელებია. ასე რომ, ზემონახსენებ საბუთშიც პიროვნებები მოხსენიებულნი არიან გვარსახელით, მამის სახელით და სახელით, ე.ი. საქმე გვაქვს სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელთან. 1691 წლის დოკუმენტში დასახელებულია "წოდორელი ხუციანთ მარკოზაშვილი ივანე". ამ შემთხვევაში "ხუციანთ" (ხუციშვილი) გვარსახელია, მარკოზაშვილი – მამის სახელი, ივანე – საკუთარი სახელი.

ახლა 1774 წლის ერთ საბუთში ჩავიხედოთ ("წყალობის წიგნი იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა ბოდებული კარის მწირველ ონოფრე ჯაფარიძისადმი"): "გიბომეთ სევას გლეხი დემეტრაშვილი, დათუა შვილი გოგიტა და ივანიკა, ბერუკი და მისი შვილი გელიტა და მისი ძმის წული ქრისტესია, მათის ცოლ-შვილითა... კიდევ კაჭუნი დემეტრაშვილი" (სმ, 1910, გვ. 253). კომენტარის გარეშეც ცხადია, რომ ვსაუბრობთ გვარსახელზე (დემეტრაშვილზე), რომლის წარმომადგენლებიც, გვართან ერთად ჩაწერილი არიან მამის სახელითაც.

ჩვენამდე მოაღწია მორიგე ლაშქრის რამდენიმე ნუსხამ. 1774 წლის ერთ-ერთ ნუსხაში ("ჟინვანიდამ და არანისიდან") პიროვნებანი ჩაწერილი არიან გვარსახელით, მამის სახელით და სახელით: "ჟინვანიდამ ბოგანო ჩინთელი მანგაური ზურაბის შვილი დემეტრე"; "ჟინვანიდამ სისვაური ბერის შვილი გიორგი"; "არანისიდან ზანდუკელი გიორგის ყმა თეთრაული ბერის შვილი მამუკა"; "არანისიდან ზანდუკელი ზურაბის შვილი მამუკას ყმა მოძმენაძე შიოს შვილი გლაზა"; "ზანდუკელი გიორგის ყმა ხიტალიძე გამიხარდის შვილი მამუკა"; "ზანდუკელი ოთარის შვილი გლაზას ყმა მოძმენაძე ქრისტესიას შვილი პეტრე"; "ზანდუკელი გიორგის ყმა ლომიძე გამახარეს შვილი რუხი"; "ზანდუკელი გიორგის ყმა უთურგაძე პაპას შვილი ჩიტა"; "ზანდუკელი პაპუნას შვილი გიორგის ყმა ჭინჭარაძე ცოცხალას შვილი დათუნა" (ჯავახიშვილი, 1974, გვ. 118-120).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის სოფელ არბოს მორიგეთა ნუსხიდან: "ბუზალაძე მამუკას შვილი ბერი". "გვიმრაძე დავითის შვილი დეკანოზი გიორგი"; "ხიზანი სახასო სურამელი ჯობაძე ზურაბას შვილი ოქრუა"; "კაპანაძე სეხნიაშვილი სვიმონა" და სხვ. (ბერძენიშვილი, 1953, გვ. 81082). ვფიქრობთ, კომენტარი აღარ სჭირდება იმას, რომ მოყვანილ მაგალითებში პირველი კომპონენტი გვარსახელია, მეორე – მამის სახელი და მესამე – სახელი. 1690-1694 წწ. პირობის წიგნში გარე კახეთის სოფელ ბერთუბანს დასახელებულია "ბერნაცის შვილი ჯილაურისშვილი თამაზა" (ჯავახიშვილი, 1974, გვ. 39). XVII ს. II ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს დავთარში აღრიცხულია "დავითას-შვილი ინასარიძე დათუნა" (იქვე, გვ. 43). ორივე შემთხვევაში პირველ ადგილზე მამის სახელი დგას, შემდეგ – გვარი და ბოლოს – სახელი XVII ს. დამლევის სოფ. ღვერთეთის დავთრიდან: "გვრიტიძე გოგიაშვილი ბინინა" (იქვე, გვ. 83). 1774 წ. სოფელ ჩუმლაყის მორიგეში გამსვლელთა სიიდან: "ჩუმლაყიდან რუსთველის ყმა ოსოშვილი პატარკაციშვილი ნინია" (იქვე, გვ. 130); "გულგულიდამ ყველიაშვილი პაპას შვილი გიორგი" (იქვე, გვ. 131); "გულგულიდამ იაკასშვილი ბასილას-შვილი თევდორე" (იქვე, გვ. 132). 1787 წლის საბუთში: "თუმანიშვილი პაპუნასშვილი იოსებ" (იქვე, გვ. 150); "მაჩაბელი ალხაზიშვილი დავით"; "მაჩაბელი ბედელაშვილი ავთანდილ" (იქვე, გვ. 151). "აბაზაძე იოანეს-შვილი დავით"; "ფალავანდიშვილი ბეჟანის-შვილი როსტომ" (იქვე, გვ. 152).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქსნის ხეობის გამოსავლის დავთრიდან: "წიკლაურის ქაწაშვილის გამიხარდის მამულს აძეს" (იქვე, გვ. 173); "თინიკაშვილი ლოთეს ბასილის მამულს აძეს ბეგარი"; "თინიკაშვილის ლოთეს ბერის მამულს აძეს ბეგარი" (იქვე, გვ. 175). ამ შემთხვევაში მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაშია. ასეთივე შემთხვევაა 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში. ოსიაურის აღწერაში პიროვნება ჩაწერილია ასე: "გელაშვილი ბერი შოშიტასი" (თაყაიშვილი, 1901, გვ. 50). საეკლესიო გლეხების ნუსხიდან: "გორისეველი კატაპარია გლახას შვილი ღთისია, გოგია"; "გორისეველი გოგია ქიტესა-შვილი"; "გორისეველი ლაზარეს-შვილი ბარნაბე" (ჯავახიშვილი, 1974, გვ. 185).

1745 წ. ეპიტაფია: "ქ. ჩვენ მაჩაბელმა გიორგიმ... ქუასა ამას მდებარეს თანამეცხედრესა ჩემსა ამილახვრისა იოთამის ასულს ელენე, უფალმან... გთხოვთ წამკითხველო შენდობას, ქორონიკონს ულგ (მაკალათია, 1971, გვ. 35). XVIII ს. მაგდან კორინთელის ეპიტაფია (სოფ. იკოთი, ქსნის ხეობა): "მომიხსენე მე უფალო საფლავსა მდებარე მხევალი შენი აზნაურ დავით კორინთელის და ნანას ასული მაგდან-თხუთმეტი წლისა მოვშორდი ამიერ წუთისოფელს..." (ოთხმეზური, 1996, გვ. 155).

ქსნის ხეობის XVIII ს-ის სამმა აღწერის დავთარმა მოაღწია ჩვენამდე, რომელთაგან პირველი 1774 წლით თარიღდება, მეორე და მესამე – 1781 წლით. 1774 წლის აღწერის დავთარში ყველა პიროვნება სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით (გვარსახელი+მამის სახელი+სახელი) არის აღრიცხული, ხოლო 1781 წლის აღწერებში – შერეული სისტემით. მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს მოვიყვანთ: "ილურიძე გიორგის შვილი, მოურავი ხაჯარა და ოთარა"; "ილურიძე ბიბილას შვილი გიორგი"; "ილურიძე შიოს შვილი ლომკაცი და ილური"; "დორეული იოსებას შვილი კაცია"; "შერმადინი ელისბარის შვილი იმედა და გიორგი"; "ბუთხუზი ქოროღლის შვილი მამუკა, ვეფხია, ბუთხუზი და ბერი", "ქენქაძე მაზიტას შვილი ღთისია, ივანე, ძულია, წესიარი"; "გამხიტაანთ გიორგის შვილი კურდღელა და გრიგოლა"; "მიდელაანთ როსებას შვილი სიხარულა"; "წიპტაური გამხიტას შვილი ბერი და ბერუკა"; "წიპტაური იასეს შვილი ლომია"; "კარელიძე ირემას შვილი ბასილა, ძალლუა და გოგია"; "პავლიაანთ ბაქუზას შვილი სიხარულა და სახელა"; "პავლიაანთ მგელიას შვილი გვიანა, ოთარა და მგელია"; "ნათაძე ბასილას შვილი თათარა"; "ბაშარული ნადირას შვილი წესიარა" (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 183-204).

როგორც აღვნიშნეთ, ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერა შერეული სისტემითაა შედგენილი. მასში ანთროპონიმული მოდელის ორწევრიანი და სამწევრიანი სისტემები ერთმანეთს ენაცვლება. მაგალითად, სოფ. ალევის აღწერაში გვხვდება "ნათაძე თათარა" და "ნათაძე

მახარობლის შვილი გიორგი", სოფელ სამეგრეოში – "კობაური კაცია" და "კობაური ბასილაშვილი ბერი".

მთლიანად სამწევრიან მოდელზეა აგებული 1774 წ. არაგვის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთარი. ხევის სოფელ გერგეტში აღწერილთა შორის გვხვდება, "ჩიბუანთ ზაქარიას შვილი თათაი", რომელშიც პირველი გვარია, მეორე – მამის სახელი და მესამე – სახელი. თანამედროვე დაწერილობით კი ის ასე გადმოვა: "თათი ზაქარიას ძე ჩიბუაშვილი". იმავე გერგეტში დასახელებულია "წიკლაური ცანცუკას შვილი ხოტა" (ე.ი. ხოტა ცანცუკას ძე წიკლაური). სნოს აღწერიდან "ჯოჯიკაური თათრის შვილი მამა და შიო" (ე.ი. მამა და შიო თათრის ძე ჯოჯიკაურები); "ღუღუშაური სამუკას შვილი გუგუა და კურდღელა"; "ღუღუშაური ზარიბეგის შვილი ბულა, ღრუბელა, გიგი და გოგია"; გორისციხეს: "ჩქარეული პაპუნას შვილი ცხვირა და ზაალ"; "ავსაჯანიაური მარაიძის შვილი თადია, ბოჩოლა, ლაზარე და მარსამ"; ხურთისს: "ჩოჩოური გელიტას შვილი პაპი და იესე". მთიულეთის სოფელ ჯალუმთანკარს: "ჯალუმიძე იასეს შვილი ჩიტა, ნასყიდა და კურდღელა"; ბენიანთკარს: "ბენიანიძე პაპის შვილი ლუჭა, ვეფხო, დათვა, ადამა, ჭიჭა, და ხახო"; ზაქათკარს: "ზაქაიძე შალვას შვილი ჩიტა"; არახვეთს: "ბურდული ბედიანის შვილი ბერი"; სეფეს: "ტატიაური ბერის შვილი ლომი"; "კვიტიძე გელას შვილი ხარება"; "კეკიძე ზაზას შვილი თვარელი"; გუდამაყარში: "აფციაური პაპას შვილი ვეფხო და ფაცხვერა"; "ჩოხელი ჯაბანის შვილი ირემა და ქურციკა"; "თლოშიაური გიგას შვილი თორელი, ღრუბელა, დათვა და ნასყიდა"; "ბექაური ბოლონას შვილი ლომია, ისე და იმედა" (თაყაიშვილი, 1907, გვ. 407-486).

ზემოთ მოვიყვანეთ ის მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნებანი ძალიან ხშირად ჩაწერილი იყვნენ სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით გვარის, მამის სახელის და სახელის ერთობლიობით. ეს ტრადიცია მკაცრადაა დაცული XIX ს-ის თითქმის ყველა კამერალური აღწერის დავთარსა და საეკლესიო (აღსარების მთქმელთა) დავთრებში. ზემოთ ვთქვით და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ საბუთებში პიროვნების ჩაწერა არავითარი ენობრივი და სამრთლებრივი თვალსაზრისით არ იყო რეგლამენტირებული, ჩაწერა ხდებოდა ნებისმიერად, პირველ ადგილზე ხან სახელი იდგა, ხან გვარი და ხანაც მამის სახელი. დოკუმენტურად პიროვნების სახელით, მამის სახელით, და გვარსახელით ანუ სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით ჩაწერა VII ს-დან დასტურდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მამის სახელს გამოხატავდა მასთან "ძე"-სი და "შვილი"-ს მიერთება. ქალებისათვის ამ ფუნქციას "ასული" ასრულებდა. თავდაპირველად, VII-XII სს. "ძე" გამოხატავდა მამის სახელს, შემდეგ კი მან ადგილი "შვილს" დაუთმო. თუმცა გვიანფეოდალურ პერიოდში, "ძე" ხმარებიდან სრულიად არ გამოსულა. XIX ს-დან ერთადერთი მხოლოდ ის დამკვიდრდა.

ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით ფიქსირდებოდა. უფრო მეტი გვაქვს დოკუმენტები, რომლებშიც პიროვნებანი სახელით და გვარით არიან ჩაწერილი, ანდა შეიძლება სახელითა და მამის სახელით, ანდა სულაც მხოლოდ სახელით. XIII ს-ის "მატიანე სუანეთისა კრებასა"-ში მამის სახელი არ ფიგურირებს "გვინდა აფაქიანი", "მ~რმ გოგორელიფხე", "გიორგი ჩიქოვანი", "ქურსიკ სტეფანიაანი", "გ~ი ფანჯიგიაანი, "ბოცო ქურდიანი", "ვეშაგ ლოღელიანი" და მრავალი სხვ. (ინგოროყვა, 1941). მსგავსი ორწევრიანი ანთროპონიმული მოდელია წარმოდგენილი "ტბეთის სულთა მათიანის" XII-XVII სს. ფენებში: "გათენეთ გიორგი", "გოგლაეთ აბაში", "დოლიეთ კუირიკე", "სიკალაეთ დავით", "შავჩიტაძე ნიკოლოზ" (ენუქიძე, 1977). სვანეთსა და შავშეთში შედგენილ საბუთებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველში ჯერ დასახელებულია სახელი და შემდეგ – გვარი, მეორეში პირიქით, ჯერ გვარი და შემდეგ – სახელი. XVII ს. მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარიც მხოლოდ გვარსა და სახელს შეიცავს: "ფიდიური შიუკა" (წუბენს), "ბედელიძე შერმაზან" (ზემოყურს), "ბიძინაძე ტეტია" (ღრომს), "ბერიული ნადირა" (ღრომს), "ზურაბ ღაზნელის ყმა ევანისელი აბრამ" (ზახორს), "ვეშაპური ქურციკი" (მახისს)... შეიძლება ითქვას, რომ როცა

საჭირო იყო, მაშინ წერდნენ პიროვნებას სახელით, მამის სახელით და გვართ. მამის სახელი უფრო მეტად აკონკრეტებს პიროვნებას, ის ერთ-ერთი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანია. დასავლეთ ევროპის კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში პიროვნების დამაკონკრეტებელ (და განმასხვავებელ) მეორე ნიშანს მეორე ოფიციალური სახელი წარმოადგენს. საქართველოში იმიტომ არ შეიქმნა საჭირო მეორე სახელის ოფიციალურ სახელად დაკანონება, რომ განმასხვავებლის, დამაკონკრეტებლის ფუნქცია აქ დამატებით მამის სახელს ჰქონდა მინიჭებული (ანდა მამიშვილობას).

საქართველოს ხელისუფლებამ კი გაუთვითცნობიერებელი ადამიანების კონსულტაციით ოფიციალური და არაოფიციალური, იურიდიული და არაიურიდიული დოკუმენტებიდან მამის სახელი ამოიღო, როგორც არაქართული მოვლენა, რუსებისაგან ქართველთათვის თავს მოხვეული. რუსები ქართველებს სამწევრიან ანთროპონიმიულ მოდელს თავს ვერ მოახვედნენ იმიტომ, რომ რუსეთში გვარსახელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან გვიან გაჩნდა, მთელი ათი საუკუნის განმავლობაში საქართველოში რუსების შემოსვლამდე მთელ რიგ საბუთებში პიროვნებანი სახელთან და გვართან ერთად მამის სახელითაც არიან ჩეწერილი. ვფიქრობთ, მამის სახელმა კუთვნილი ადგილი უნდა დაიბრუნოს. საჭიროა ისტორიული ტრადიციის აღდგენა. ამავე დროს, ანთროპონიმიულ მოდელში მამის სახელის აღდგენა აუცილებელია იურიდიული თვალსაზრისით, რადგან როგორც სამართლიანად მიუთითებენ: "პიროვნების გენეალოგიური დახასიათება ზოგადენობრივი მოვლენაა, გამოწვეული ენის მომხმარებლის მოთხოვნილებით – მიიღოს დამატებითი ინფორმაცია" (კალაძე, 1984, გვ. 310). საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მიღებულია 1997 წ. 26 ივნისს) გვაქვს "მუხლი 17. სახელის უფლება", რომელშიც წერია: "ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს". აღნიშნულ მუხლში შესატანია შესწორება და ის ასე უნდა ჩამოყალიბდეს: "ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს საკუთარ სახელს, მამის სახელსა და გვარსახელს". წინააღმდეგ შემთხვევაში ენის მომხმარებლებს დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალება ესპობათ. ამავე დროს, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ "უმველესი ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე, ქართული სახელი ორწევრიანია და შედგება სახელისა და გვარისაგან. ამით იგი დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ტრადიციებსაც შეესაბამება" (ჭანტურია, 1997, გვ. 165), არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ როგორი იყო ქართული ისტორიული ტრადიცია, ვფიქრობთ, ამის დამადასტურებელი მონაცემები ზემოთ გვქონდა მოყვანილი. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპაში ქართული სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელის მსგავსი აქვთ მართლმადიდებელ ბერძნებს. მაგალითად, ბერძნულ პასპორტში პიროვნება ასეა ჩაწერილი: "ცილიდის ნიკოლას ოდისეას", რომლეთაგან პირველი გვარია, მეორე – სახელი და მესამე – მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. იქნებ ბერძნებსაც რუსებმა მოახვიეს თავს სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელი გვარის, სახელისა და მამის სახელის შეთანწყობით?

აუცილებლად ჩვენი, ქართველების გადასაწყვეტია, როგორ უნდა გადავიდეს უცხო ენაზე ქართული სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელი. ვფიქრობთ, ისევე როგორც ქართულად იწერება, ყოველგვარი თარგმანის გარეშე: Гиორги Амиранис дзе Цулаиа; Иракли Зурабис дзе Кавтарадзе; Тamar Михеилис асули Джавахишвили; Giorgi Amiranis dze Tsulaia; Irakli Zurabis dze Kavtaradze; Tamar Mikheilis asuli Metreveli; Nino Tarielis asuli Javakhishvili. სხვათაშორის, XIX ს-ის პირველი ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, რომლებიც რუსულ ენაზეა შედგენილი პიროვნებანი სწორედ ასეთი ფორმით არიან ჩაწერილი: «Глаха Павле Швили Давитури», «Чрело Атила швили Хархелаури». «Бери Гогиа швили Эбралидзе». «Гиоргий сихарула швили Молодини». «Шио Абрама швили Суаридзе». ახალციხის მაზრაში ქართველი მაჰმადიანები ასე აღუწერიათ: «Маграм Дава-оглы Лорткипанидзе». «Гусейн Мамуд-оглы Махарадзе»; «Абдул Сулейман-оглы Джаджанидзе»; «Муса Алы-оглы Базадзе» და სხვ.

დასასრულს, საკითხის დასმის წესით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ოფიციალურად პიროვნებისათვის ორი სახელის მინიჭება. ამ ორი სახელიდან ერთი აუცილებლად ქრისტიანულ-მართლმადიდებლური უნდა იყოს, მეორე – ქართულ-ქართველური. ჩვენ ზემოთ არაერთი ნიმუში მოვიყვანეთ ქართული სახელებისა. ვფიქრობთ, მათი დავიწყება არ ეგების. ანალოგიისათვის ევროპის გერმანულენოვანი ქვეყნების მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, სადაც ქრისტიანულ სახელებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ძველი გერმანული სახელები (ბესტუჟევ-ლადა, 1968, გვ. 137).

ასეთი იყო ძველად, ასეთია დღეს და ასეთი უნდა იყოს მომავალში ქართული ანთროპონიმული მოდელი.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
2. ბარდაველიძე, 1949 – ე. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, – “მიმომხილველი”, I, თბ., 1949.
3. ბაქრაძე, 1987 – დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
4. ბოგვერაძე, 1986 – ა. ბოგვერაძე, ისევ “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების” თარიღის გამო. – “საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები”, V, თბ., 1986.
5. ბერძენიშვილი, 1940 – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
6. ბერძენიშვილი, 1953 – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
7. ბესტუჟევ-ლადა, 1970 – И.В. Бестужев-Лада, Исторические тенденции развития антропонимов, Личные имена, в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.
8. ბესტუჟევ-ლადა, 1968 – И.В. Бестужев-Лада, Имя человеческое: прошлое, настоящее, будущее, – Советская Этнография, №2, 1968.
9. ბოჭორიძე, 1992 – გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
10. ბოჭორიძე, 1994 – გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
11. გაბაშვილი, 1954 – ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი. – “მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის”, ნაკვ. 30, თბ., 1954.
12. გოდერძიშვილი, 1998 – ქ. გოდერძიშვილი, ინდიგენური სახელებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.
13. ენუქიძე, 1977 – ტბეთის სულთა მატიაზე, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977.
14. ზარზმელი, 1987 – სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987.
15. თაყაიშვილი, 1907 – მასალანი სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII ს-ში, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907.
16. თოფჩიშვილი, 1997 – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
17. ინგოროყვა, 1941 – პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. მეორე, თბ., 1941.
18. კალაძე, 1984 – ც. კალაძე, სახელ-მამისახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.
19. მაკალათია, 1971 – ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
20. მაკალათია, 1987 – ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987.

21. მილევსკი, 1959 – T. Milewski, La comparaison des sustmes antroponymiques azteques et indoeuropees, - Onomastica, 8, RocznikV, zeszyt, 1959.
22. მილევსკი, 1963 – T. Milewski, Slowianskie imiona o sobowe na tle porownewezym. – “Zpoliskich studiow slawistycznych”, Warszawa, 1963
23. მსოფლიოს..., 1986 – Системы личных имен у народов мира, М., 1986.
24. ნიკონოვი, 1970 – В.А. Никонов, Задачи и методы антропонимики. – Личные имена в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.
25. ნიკონოვი, 1974 – В.А. Никонов, Имя и общество, М., 1970.
26. ოთხმეზური, 1996 – გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. – “ოსთა საკითხი”, გორი-თბილისი, 1996.
27. რაიანდი, 1970 – Э. Раянди. Имя и право, – Личные имена в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.
28. სიმინა, 1969 – Г.Я. Сими́на. Фамилия и прозвище, – Ономастика, М., 1969.
29. სოსელია, 1954 – ო. სოსელია, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954.
30. სს, 1910 – საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910.
31. სსკ, 1997 – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1970.
32. ქც, 1959 – ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959.
33. ქისკ, 1984 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, თბ., 1984.
34. ქსმ, 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965.
35. ქსმ, 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970.
36. ქსმ, 1972 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1972.
37. შოშიაშვილი, 1980 – ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, შემდგენელი ნ. შოშიაშვილი, თბ., 1980.
38. ჩიტაია, 1926 – ფიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები – საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1926.
39. ცოცანიძე, 1987 – გ. ცოცანიძე, თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, – ონომასტიკა I, თბ., 1987.
40. ჭანტურია, 1997 – ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.
41. ჭინჭარაული, 1987 – ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის საკითხისათვის, ონომასტიკა I, თბ., 1987.
42. ჭუმბურიძე, 1987, – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.
43. ჯავახიშვილი, 1967 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ., 1967.
44. ჯავახიშვილი, 1974 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. II, თბ., 1974.

ROLAND ANDRIAS DZE TOPCHISHVILI

GEORGIAN ANTHROPONIMIC MODEL IN THE PAST, PRESENT AND FUTURE

The question of the Georgian anthroponimic model from the ancient time to nowadays is discussed in the article. The historical sources, documents, ethnographic and folkloral data are proving the existence of three member model of Georgian anthroponimic model including the name, name of

father and surname. In the present the name of father without any grounds is artificially forced out from Georgian anthroponimic model. Thus, the language user is left without the opportunity to get additional information. In the article is arisen the task of reestablishment of historically formed Georgian anthroponimic model and its transition into the Georgian language, the example of what is shown in the summary.